# ვასილ ბარნოვი

თხზულებათა

სრული კრებული

ათ ტომად

19 თბილისი 62

# ვასილ ბარნოვი

## თხზულებანი

## ტომი 6

1919 – 1922

„საბჭოთა მწერალი“

გამოჩენილი ქართველი მწერლის ვასილ ბარნოვის თხზულებათა სრული აკადემიური გამოცემა იბეჭდება პირველად. იგი განზრახულია 10 ტომად. წინამდებარე VI ტომი შეიცავს 1919 – 1922 წლებში დაწერილ ნაწარმოებებს.

როგორც წინა ტომებს, ამ წიგნსაც ერთვის ვარიანტები და სიტყვათა განმარტება.

სარედაქციო კოლეგია:
გიორგი ლეონიძე (რედაქტორი)
სოლომონ ყუბანეიშვილი
მიხეილ ჩიქოვანი

ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, ვარიანტები, შენიშვნები და სიტყვების განმარტება დაურთეს ზ. ჭუმბურიძემ, ლ. ჭრელაშვილმა და ლ. მეგრელიშვილმა.

# მოთხრობები

# რომანები

# კერძო ბედნიერება

მთლად ბედნიერი ქვეყანაზედ არავინ არის. უთუოთ იჩენს თავს კაცთ ცხოვრებაში რამე ნაკლი და ფასს დაუმცირებს სიამეს თუ კმაყოფილებას. ცხოვრებაში ბედნიერად მიჩნეულ ადამიანზედ ვამბობ ამას, თორემ უბედურ ვარსკვლავზედ დაბადებულს ხომ გარშემორტყმული აქვს ყოველი ავი, გულის ვარამი.

გახსოვს, ბრწყინვალე ხელმწიფე რომ ეძებდა თავის საბრძანებელში ბედნიერ ადამიანს და ვერ იპოვნა? ერთი მოჰგვარეს ყოვლად შემკული, ჭაბუკი მშვენიერი, მდიდარი, ლამაზი ცოლის პატრონი, ერთის შეხედვით ყოველ სისრულით სავსებით სავსე, სიკეთე – ჭარბი; მაგრამ როცა იმან კეისარის წინ აღიარა ერთი თავისი გარემოება, ისეთი ნაკლი დაინახა იმაში მბრძანებელმა, ისეთი უშრეტი საგუბარი სევდისა, რომ შეშფოთდა სიბრალულით.

– რატომ მაშინვე არა სთქვი, რა უბედურება დაგმართია, შე საცოდავო? – ჰკითხა მეფემ.

ბედნიერმა ისეთის მწუხარებით შეხედა მეფეს, რომ იმან ცხადად დაინახა კითხვის უადგილობა, მთლად უფერობა.

– ხომ გახსოვს იმ კაცის უბედურება?

– ვიცი!

* * *

ბუნებისაგან ყოვლად შემკული და ცხოვრებისაგან გალაღებული ცოლ-ქმარი ნამდვილ ბედნიერად მოსჩანდნენ თავიანთ მდიდარ სასახლეში, სავარდეებით დამშვენებულ ეზო-ყურეში, რომელს გარს შემორტყმოდა იმათი მადლიანი მამულ-დედული. სწორედ ბედნიერებიც იქნებოდნენ ისინი თავიანთ თვალშიც, მთლად კმაყოფილნი, თუ ღმერთს ეკურთხებინა მათი კავშირი და ბალღების ტიტინით აეხმაურებინა მათი ოქროს კერა. უშვილოები იყვნენ და იმას დარდობდნენ. ეს იყო იმათი მუდმივი ვარამი. თუ ახალ ტანისამოსს შეიკერავდა ქალი და შრიალით გაივლიდა ქუჩა-უბანში, გვერდზედ გადიხედავდა, ხელსაც გაიწვდიდა, თითქო პატარა უჭირავს და თან მიიყოლებსო. ოცნების თვალით მაინც იქვე მისდევდა იმას მისი ელიკო, თმახუჭუჭა ფუნთუშა ბალღი გაზაფხულის ყვავილივით მოსილ-მოკაზმული; მისი ბაკიბუკიც კი ესმოდა გატაცებულს და ისე ცხადად, რომ უნებლიეთ გადახედავდა ცალიერ ადგილს. გული სწყდებოდა ქალს: აგერ ხუთი წელიწადი იყო, რაც გათხოვილიყო, შვილი კი არა ჰყვანდა, მისი სიყვარულის ნაყოფი.

– ნეტა ისეთი რა შევცოდე, რომ არ გაიმეტა ჩემთვის თავისი მადლი, ლოცვა-კურთხევა?! – ჰკვირობდა ქალი.

აბა რას აწყენინებდა ლმობიერი ხასიათის ევა, მოსიყვარულე, ან ღმერთს, ან კაცს?! არაფერს, სრულიად არაფერს! მაგრამ განგებას რომ ის ყოველივე საუნჯით აევსო, ნივთიერი თუ სულიერი სიკეთით, თან მაინც ეს გულის ნაკლი დაეტანებინა: მართლა და ბედნიერად არ იგრძნოსო თავი, ყოვლად ნეტარად. ევას იღბლიანობას ეს დარდი ჰფენდა უსიამოვნო ჩრდილს.

– რად მინდა ეს ეზო-ყურე ველის ყვავილით მოფენილი, სავარდეები ან ხეხილები, თუ ყვავილებში არ დაცქრიალებს ელიკო ჩემი, ყვავილი მოღიმარე ჩემის სიყვარულისა? – გაიფიქრებდა ქალი

და სევდის ცრემლი მოადგებოდა თვალებზედ, როცა გაიხსენებდა, რომ აგერ რამდენი წელიწადი იყო ნატრობდა დედობას, ბედი კი არ უსრულებდა ამ უბრალო ნატვრას.

– დაილოცა, უფალო, შენი სამართალი! ზოგს ისე გაამთავნიერებ და გაამრავლებ, შვილთა სიმრავლე დარდებს უმატებს, შიშის ზარსა სცემს უილაჯოს მათი გამოკვება თუ აღზრდა; ზოგს კი მოაკლებ ამ შენს წყალობას და ხშირად სწორედ ჩემისთანას, რომელსაც მოცემული მოწყალების გამო სრულებითაც სადარდელი არა აქვს, როგორ დავაპურო თუ ავაღორძინო ჩემი ნაშენიო.

სადილზედ თუ ვახშამზედ, დილით თუ ღამე, განკერძოებულ ყოფის დროს თუ სტუმრობაში ეს უჩუმარი დარდი არ ჰშორდებოდა ქალს. ნაღველი უორკეცდებოდა მეტადრე მაშინ, როცა ნაცნობი ქალები ეწვეოდნენ ბალღებიანნი. ის უფრო სწყინდა გულკეთილ ევას, რომ ამ შემთხვევაში უსიამოვნო შურსა გრძნობდა მისი ლმობიერი სული, კეთილს ჩვეული. არა, არავის კი აგრძნობინებდა ამ შურს, უფროც უალერსებდა სტუმრად მოსულ ყმაწვილებს და ასიამოვნებდა, მაგრამ გულის სიღრმეში ტკივილსა გრძნობდა, კვნესას.

თუ სადმე ყმაწვილების დღესასწაული გაიმართებოდა, იქ კი უყისმათოდ სთვლიდა თავის თავს. არ წასულიყო, არ იქნებოდა, ეწყინებოდათ კარგ ნაცნობებს; წასულიყო და გული უკვდებოდა, რომ ამ მოცეკვავე ყვავილთა თუ მოფარფატე პეპელათა შოროს არ იყვნენ მისი ელიკო, მისი შალიკო. ევედრებოდა, ცრემლით შესთხოვდა, მსხვერპლს აღუთქვამდა, ბევრსაც სწირავდა. არ უსმენდა ი დალოცვილი! ხატს მისთვის ყური არ ჰქონდა სმენად, არც თვალნი ხედვად. მისნობასაც ბევრჯერ მიმართა, მკითხაობასა, მაგრამ ამაოდ: ეშმაკსაც თუ აღარ ეცალა ამ ევასათვის

და იარა უფრო მუქდებოდა, ფართოვდებოდა; ტკივილებიც თანდათან ემატებოდა.

* * *

მისი ქმარი, სვიმონიც არ იყო უდარდელი. არაფერი აკლდა ვაჟკაცს; მხიარულს, ჰაზრიანს, კეთილად მოქმედს მხოლოდ მეგობრები და კარგის მსურველნი ეხვივნენ გარშამო; მისი ოჯახი პირთამდინ სავსე გობი იყო სინოყივრისა. და განა მარტო მისთვის, მოყვასთათვისაც. განისვენე, სულო! ილხენდე და იხარებდე, ქუდბედ-დაყოლილო! კიდეცა ლხინობდა სვიმონი თავთავის დროზედ. სუფრულს შემოსძახებდა, სტუმრებს კი არა, ჯამ-ჭურჭელს ააღიღინებდა. ეშხით რომ გადახედავდა შეზარხოშებული თავის ღვთისნიერ მეუღლეს მღიმარ-მცინარეს, ყველაც ეშხზედ მოჰყვანდა, გარშემო მყოფთ გულში სიხარულს ამრავლებდა.

– ბედნიერ ეტლზედ არის დაბადებული სვიმონი.

– ღირსნიც არიან ეგეც, მაგის ცოლიც: ორივე კარგები.

– იღბლიანია ჩვენი სვიმონი, მთლად უდარდელი და არც მშურს მაგისთვის რამე სიკეთე.

მართლა და ერთის დახედვით, განგებისაგან კეთილით დაჯილდოვებულს, იმასაც იგივე უცილებელ-უძინებელი დარდი ჰქონდა, რომელიც ღრღნიდა მის ცოლის გულსა. არც ამას ჰშორდებოდა იგი, თანა ჰყვებოდა, მარად თვალწინ უდგა. თუ სთველი ჰქონდა დიდებული, უხვობის დღეები, გულსუყობისა, მის კმაყოფილებას მაინც ჩრდილი ედგა მაბუნდებელი: მისი შალიკო არ დახტოდა მსხმოიარე ვაზებში, არ ახმაურებდა იქაურობას ჭიკჭიკით, აკიდოებს არა სჭრიდა მითომ ზამთარში

შესანახავად. მხოლოდ მეზობლებისა თუ ნაცნობ-ნათესავების ბალღები ჰლაღობდნენ ეხლა მის ვენახში.

– იხარონ, იცელქონ, იმხიარულონ! განა მშურს მაგათთვის რამე! მაგრამ... ეჰ, ჩემი კი არ ურევია მაგათში და...

თუ კალოობა ჰქონდა გახურებული, ფიწლის ტრიალი, კევრთა სრიალი, ის ენანებოდა ოჯახიშვილს, რომ კალოს გარს არ დასცანცალობდნენ მისი პატარები. ხილის კრეფაში, ტყისა თუ ველის თვალიერების დროს, ცხენებისა თუ სხვა საქონლის კვება-დამწყსის ჟამს, და ყოველ ნაბიჯზედ სოფლური ცხოვრებისა სვიმონს გვერდით ედგა თავისი შალიკო, უკვე თავისუფლად მოტიკტიკე მალხაზი ბიჭუნა. ხანდისხან აღელდებოდა სვიმონი, თავისთავად გაჯავრდებოდა:

– რაღა ჩვენ დაგვემართა ეს ძნელი საქმე და ზეცამ არ აკურთხა ჩვენი გვირგვინი. გვარში უშვილო სულ არავინ გვყავს, შვილით მრავალი კი ძალიან ბევრი არის. ნეტა რად დაგვჩაგრა ბედმა ესე მძლედ?!

ხანდისხან, გაცხარებულ მუშაობის ჟამს, უეცრად წამოაგონდებოდა, რომ არა ჰყავდა მემკვიდრე, და მოუდუნდებოდა მშრომელი მარჯვენა, მოეღლებოდა მოქმედი მუხლი.

– რად მინდა, ამოდენას ვზრუნავ და ვწვალობ? რისთვის ვახვავებ ქონებას ან რად ვამრავლებ სარჩო-საბადობელს? მე ვიცი ჩემი მოდგმა გაიხარებს ჩემი შრომის ნაყოფით! ჩემი სახლები მოწყობილ-მოკაზმული? ეჰ, სხვას დარჩება ჩემ შემდეგ, ვოღაც უცხოს, თუნდაც ნათესავს, მაინც სულ სხვას და არა ჩემ სისხლ-ხორცს, არა ჩემსავე პიროვნებას განმეორებულს თუ განახლებულს. ღირსღა ზრუნვა და მუშაობა?!

მაინც მუშაობდა გაუწყვეტლად. იმედი ჰქონდა, ეგებ როდისმე ნატვრა ამიხდესო. მაგრამ ეს იმედიც არ კი ძლიერდებოდა თანდათან, ცრიატდებოდა, ძალას ჰკარგავდა. მომავალზედ ფიქრი ხანდისხან ძალიან აღონებდა სვიმონს: ის ერთობ ჩამუქებული მოსჩანდა, უსიამოდ ჩაშავებული.

* * *

– გაივლის დრო, მოვა სიბერე და დაგვავიწყდება ყველა ის სიამოვნება, რომელიც ვიგემეთ ჩვენ უზრუნველ და უხვ ცხოვრებაში. მაშინ სულ ერთი იქმნება ჩვენთვისაც, სხვისთვისაც, როგორ ვცხოვრობდით, როგორი გვეცვა, რით ვსაზრდოობდით. წარსულ ცხოვრებიდან ისღა ეჩანება გავლილ შარაზედ, რასაც მიზანი რამ ჰქონდა საბოლოო, რაც მარად თან მოგვყვებოდა ცხოვრებაში სასიკეთო და რაც შესძლებდა ჩვენ შემდეგაც განეგრძო თავისი არსებობა ჩვენ მოსაგონად, მოსახსენებლად. ესეთები არიან მხოლოდ შვილნი დედ-მამისათვის და კეთილნი საქმენი შენნი მთელი ხალხისათვის.

– როგორ?

– ესე: საზოგადო სიკეთე განაგრძობს მომავალთ გონებაში შენს ხსოვნას ძვირფასს; შვილნი განაგრძობენ შენ არსებას ხორციელს თუ სულიერს. ეს არის ხილული უკვდავება, ყველასათვის ცხადი, უკამათოდ მისაღებელი და მიღებული. იქნება ერთადერთი უკვდავებაცა, ვინ იცის?! თუ არა, განხმები ქარქვეტისაებრ და გამტვერდები, როგორც ყვავილი შარშანდელი, ცისფერ თვალებით მზის შემყურავი... ჩვენ კი ორივ დაწყევლილები ვართ ბუნებისაგან, უნაყოფოდ განწირულები... განგებისაგან არც იმ შარაზედ ვართ გამოყვანილნი, რომ მოუთხრას ისტორიამ საქმენი ჩვენნი ძნელშესამართნი, დაუვიწყარნი.

და კბილნი დააღრჭინა ჯავრით მოცულმა. სვიმონს კიდევ ის ადარდებდა, რომ უნაყოფობა აყანდებდა იმათ ცხოვრების ხეს ჯერ ისევ ახალს, აყვითლებდა მის ხასხასა ფოთლებს.

პირველ ორ-სამ წელს მათის ერთობისა, აღფრთოვანებულნი მოელოდნენ შეტკბობის ნაყოფს. ოცნებობდნენ, შორიდან უალერსებდნენ ჯერ ისევ არარაობაში მყოფ პატარას, ამბობდნენ მის მომავალ აზრდაზედ, ბევრ სასაცილო წვრილმანზედაც ნანინანატრის მომავალ ცხოვრებისა. ერთი და იგივე ოცნება მეტ ჰაზრსა სძენდა მათ ლამაზ ერთობას, უფრო მეტ სანდომიანობას აძლევდა მათ ცხოვრებას.

* * *

მაგრამ ამ ტკბილად მოღუღუნე ცოლ-ქმარის ცხოვრებაშიც ნელ-ნელა ამოსისინდა ცივი ნიავი, მათ გულის ყვავილის დამაზრობელი. უგემურება დაეტყო იმათ ურთიერთობას.

გინახავს პირველ ზაფხულშივე ფოთოლშეყვითლებული ხეხილი გვალვისაგან გამომხმარი. გენანება უდროვოდ დაღონებული, ცუდ გუნებაზედ გაყენებს მისი გაცრეცილი სახე უნაყოფო.

გვალვა იყო მათ კერაზედ გამეფებული, ღივი ვერ გამოეღო მარცვალს დამწვარ ნიადაგზედ. თითქო ჰშორდებოდა ცოლ-ქმარი ერთურთს, განზედ დგებოდა ერთმანეთისაგან; მათი სულიერი არსება პირს თანდათან სხვადასხვა მხარეს იბრუნებდა. მათ ხორციელ ბუნებასაც გამცალკევებელი რამ ძალა ეუფლებოდა.

შეკრთა ვაჟკაცი, მუხლი აუთრთოლდა: ცხადად დაინახა ორი გზა, რომლებიც სხვადასხვა მხარეს მიემართებოდნენ და აშორებდნენ ცოლ-ქმარს ერთმანეთს. ეგულვებოდათ მათ ცხოვრების დასრულებამდინ ერთად სვლა, ერთად ღიმილი, თუნდაც ტირილი, ან სულთქმა მძიმე.

ევას მაინც უფრო ძლიერ ენანებოდა თავიც და კერაც; უბრძოლველად ვერ დაუთმობდა უგულო ბედსა და იბრძოდა. საბრძოლველ ნიადაგის თუ იარაღის მოსაპოვებლად ჰკრეფავდა იმისთანა ამგებს, რომლებიც ნუგეშს უღვივებდნენ ცოლ-ქმარს, იმედის ნაჟურს ადენდნენ მათ გულში.

– იცი, სიმო, თურმე წითლაურის საავადმყოფოს ახალი ექიმი განთქმულია დედათა ავადობის წამლობაში. სადაც წინად უმსახურნია, ისე მისდევდნენო სხვადასხვა სენით შებყრობილები, როგორც წმინდა ქრისტეფორეს.

– კარგი ხერხისთვის მიუმართავს! მერმე თუ ისეთი გადარეულები მისდევდენ, როგორც იმ მშვენიერ წმინდანს.

– მაინც არა გწამს რა ექიმებისა. ამბობენ, უებარი წამლობა იცის, იშვიათად იქნება არ მოარჩინოს სენით შებყრობილიო.

– თილისმა თუ რამ იცის. ბედი წაღმა დასტრიალებია, რახან მანდილოსნებს ყურადღება მიუქცევიათ; თუნდ ვერ მოარჩინოს, მიმდევარი მაინც დაიჟინებს, იმ წამს მიფონაო მისმა წამალმა. ჩვენ მაინც რა?! მადლობა ღმერთს, სისხლი არ გაკლია და ხორცი; ყაყაჩოსავით ღაჟღაჟებ, – უთხრა ქმარმა

და ხმაში მკაცრი რამ ბგერა შეაჩნდა.

– უსაქმოდ არის, არ იცის, რა უყოს დროს. ეხლა ესეც სხვებს მიბაძავს, გადაეგება ი ვიღაც გაოსტატებულს, – გაიფიქრა იმან და განაგრძო:

– ეჰ, რაც უნდა, ქნას. დეე, თავი გაირთოს საწყალმა ახალ რამ ავადობით, რომელსაც ის კაცი აღმოუჩენს და უწამლებს. ძალიან ფულის ბადე კი გაუბია, შანა არ შემოაკლდება.

ქალმა იგრძნო დაფარული უკმაყოფილება ქმრის თქმაში და გული ეტკინა. ამ უსიამოვნობას ხშირადა გრძნობდა ის ამ ბოლოს ჟამს: კაცი ისევ პატივსა სცემდა თავის მეუღლეს, არც თავდაჭერის უნარი აკლდა ზრდილს, მაგრამ მუქ გრძნობის გუბეს ვეღარ იტევდა მისი გული და ნამეტნავისაგან გულისა ხან პირი იტყოდა, ხან მოუხათრებელი რამ მოძრაობა საცნაურ-ჰქმნიდა. ქალს გულსა სტკენდა ეს ყველაფერი, სჩაგრავდა, მაგრამ უსიტყვოდ იტანდა ავს, რადგან დარწმუნდა, რომ ოჯახის უბედობის მიზეზი თვითონ იყო, ბუნებისაგან მახინჯად ქმნილი, დედათა შორის ბოროტად კრული.

ეხლა მათ არეში მკურნალის გამოჩენამ იმედი ჩაუსახა ბუნებისაგან დაკნინებულ ადამიანს; ქმარს მაინც არაფერი უთხრა ამაზედ: წინადაც რამდენჯერმე მოტყუვდა ევა და ქმარიც შეცდომაში შეიყვანა უბრალოდ. გაცრუებული იმედი კი, შენ იცი, უიმედობაზედ უფრო მძიმეა, გულის მლახვრელი.

გაიცნო ექიმბაში, იარა მასთან, ვერცხლი უზიდა. ექიმი ძალიან ერთგულად მოეკიდა ჯანსაღ ქალს, საკვირველი რამ დედათა სენი აღმოაჩინა მის ნაგებობაში.

– ამ სენის მოსპობა და თქვენი საწადელის ასრულება ერთდროს იქნება.

– მოხდება კი?

– უსათუოდ, – ანუგეშებდა ექიმი და ცდილობდა.

* * *

გასჭრა გამოცდილის მეცადინეობამ: აუსრულდათ ნატვრა ცოლ-ქმარს. სინამდვილემ ოცნებას გადააჭარბა: რა მშვენიერი იყო ჯერ ისევ ჭყლინტი! აღტაცებული მშობლები უკვე ჰხედავდნენ მათ წიაღში აღმოჩენილ ახალ თამარსა, იერიქონის ვარდს კოკობს, ჯერეთ უფურჩქვნელსა. რა ძეობა! რა ძიძა! რა ჭოჭინა! რა ჟრიამული სიხარულისა! რა სიჩუმე თუ სვლა აჩრდილებური! უფლისწულს ეძინა და ნიავსაც არა ჰქონდა ნება ვერხვის ფოთოლი ეშრიალებინა.

ვინც წლით იზრდებოდა, პაწაწინა ელიკო თვით ღვივდებოდა. თვალებში აზრი ააჩნდა – მშობლებს ფიქრები აუცისკროვნა; გაიღიმა – სახლს სიხარული გადააფინა; ფეხი გადადგა – ჭრელი ოცნებები დავლურს უვლიდნენ, ასრულებული ნატვრები მწყობრად მუსიკობდნენ. ბულბული რომ ეშხით უსტვენდა, ელიკოს სიცოცხლეს უმღერდა. მთვარე თეთრი სხივით მის აკვანს ეძებდა, რომ დაეხედნა მძინარისთვის, მოეალერსნა. შენ არ იცოდი ეს?! რად არა ჰკითხე იმის დედ-მამას? ღიმილით გეტყოდნენ, დაგარწმუნებდნენ.

ბალღის აკვანთან განახლდა მეუღლეთა სიყვარული, გადახალისდა. კვლავ ადიდდა ტრფობის მდინარე, ახალ სადინელზედ გადავარდა იგი. აქამდისინ ცოლ-ქმრის სიყვარული მაინც ვიწრო ფარგალში იყო მომწყვდეული, პიროვნების ნაჭუჭთ ნამსხვრევი ჯერ ისევ ზედ ეკრა. ეხლა ჰაზრი დაედვა მათ არსებობას.

ისევ გახალისდა სვიმონი. ბეჯითობით მოჰკიდა მან ხელი კერის წარმართვას. შრომობდა – მღეროდა, ისვენებდა – ღიღინებდა; ყოველ წუთს ალერსის გუნებაზედ იდგა გაახლებული. და მის ღიღინს ცოლის ღიმილი აჰყოლოდა მწყობრად, გულით სიცილი, ხოლო ორივეს ნათელ-მოქმედება ყვავილებად ეხვევოდა გარს ქესკუმ ელიკოს, უფლისწულს ხუჭუჭს, თვით ჟინიანობაშიც სანდომ-სანატრელს.

– ბედი ჰქონიათ კობენაურთ, რომ შვილი მიეცათ, თორემ გახუნდებოდა მაგათი ურთიერთობა სურვილით ქმნილი, მთლადც ჩაჭკნებოდა. საზოგადო მოვლენა არის ეს უშვილ-უძეოდ გადაგებულ წყვილთა ცხოვრებაში. და უშვილობას ტყუილად კი არა

სთვლიდნენ უწინდელნი წყევად გამჩენისა, ხოლო მათი კანონი მთლად საკმაო მიზეზად ცოლ-ქმრის გაყრისა.

* * *

– ძალიან გამოიცვალა ჩვენი ევა, რაც ბალღი გაუჩნდა: აღარც თეატრი თუ გართობა, აღარც კრებებზედ სიარული; სულ მიატოვა საზოგადო ცხოვრება.

– ხალხში აღარ ენატრებათ გამოსვლა, რადგან შინაც კმაყოფილნი არიან. სახლში თუ გაქვს საუნჯე, კარში რაღად მოსძებნი.

მაინც რაღად უნდა ეძებნათ სხვაგან სიხარულის ნაკვეთნი, ბევრჯერ მხოლოდ შეფერილი ნამსხვრევები თაღლითის კმაყოფილებისა, როდესაც სიამის ნაკადი შადრევნად ამოდიოდა მათვე კერაზედ და მარგალიტის შხეფად ეფინებოდა პირისფერ საგუბარს ალიცლიცებულს.

ვეებერთელა ეზო, სუფთად გადავარცხნილი. მწვანე ველის ყვავილებით შეფენილი. დაცანცალებს თმახუჭუჭი ელიკო სავარდეს ყვავილივით სიხარულის ფერებით მოსილი. პეპლებს დასდევს, მფრინავ ყვავილებს, თითონ მოფარფატე ნაზი პეპელა, თითონ ყაყაჩო მოცქრიალ-მოცეკვავე.

ძალიან უყვარდა ყვავილები პატარას, უალერსებდა, თავს დასტრიალებდა: ყვავილები იმისი ტიკინები იყვნენ. ყველა ყვავილს თავისებური სახელი ერქვა, სულ ახალი სახელი უცნაური, პაწაწინასაგან ახლად შეთხზილი. სასაცილო ის იყო, რომ დიდრონებიც ყვავილებს იმავ უცნაურ სახელებით ახსენებდნენ, ახლად გამოგონებულ სახელწოდებით.

ნამდვილ ტიკინებს მაგდენ ყურადღებას არ აქცევდა ბალღი. გასინჯავდა, გაათამაშებდა, ფეხს თუ ბორბალს წაატეხდა, თავს მოახდიდა და... მოიმწვანილებდა. უსულოები იყვნენ ის სათამაშოები, არც ლაპარაკი იცოდნენ, არც ღიმილი; რულიც არ მოსდიოდათ თვალებზედ, ყვავილები კი ცოცხლები იყვნენ, ამბობდნენ, იღიმებოდნენ, სუნნელებას აკმევდნენ; ზოგჯერ ტიროდნენ, იცრემლებოდნენ. მაშინ გოგონაც მათთან ღონდებოდა, კიდეც ტიროდა. ავადაცა ხდებოდნენ საწყალი ყვავილები: ფოთლებს დაუშვებდნენ, ჭკნებოდნენ, იფურცლებოდნენ, ელიკო ჰშველოდა შეღონებულებს; წყალს დაუსხავდა, მიწას აუფხვრიდა, ჩხირებს შეუდგამდა ტანგატეხილებს; სწამლობდა, არჩენდა. ხანდისხან ტკბილეულობასაც მიუბყრობდა, შაქარლამას თუ სხვა რამ სანუკვარს. არა სჭამდნენ ბეჩავნი: მადა აღარა ჰქონდათ დაავადებულთ.

სვიმონს, გახსოვს შენ, ტყე ჰქონდა იქვე მახლობლად, პატარა, მაგრამ მშვენივრად შენახილი ტანაყრილი ტყე, რომელს ზედ შუაზე ჩამოუდიოდა საწისქვილე წყალი. ამ წყალის პირას, წისქვილის ზევით, ნაკადი უფრო გაშლით მოდიოდა და მთელი ველი ყვავილებით იყო სავსე ახალ გაზაფხულიდან დაწყებული ღრმა შემოდგომამდინ. აქ ისეთი ყვავილებიც იზრდებოდნენ, რომლებიც არა გვარობდნენ კობენაურის ფართო ეზოში, გრძელღეროიანი ყვავილები ლიტაოდ ზრდილნი, ან გვერდაზედ გაშლით მოდებული ხაოიანი მდელო ყვავილოვანი: ნებიერთ ყვავილი, ნაზმაზუნა, თვალებჭყვრიალა.

ბევრჯერ მიჰყვანდა იქ სვიმონს თავის პატარა; მხარზედ შეისვამდა, ისე მიასეირნებდა. ზოგჯერ მთელი ოჯახობაც მიდიოდა წისქვილისაკენ. მიმოივლიდნენ, თვალს გააღებდნენ, საუზმეს მიირთმევდნენ წყაროს პირას, ბექობიდან რომ გადმოჩქრიალებდა წისქვილის ზევით. უნდა გენახათ, როგორ მხიარულად

ბრუნდებოდა პატარა ამისთანა სეირნობიდან, მთლად ყვავილებით მორთული ყვავილი უჭკნობი, ცელქად მოცქრიალე.

* * *

– დედი, დედილო! ეხლა სად არიან ჩემი ტიკინები, ნეტა საით წავიდნენ?

– აგერ, შვილო, შენი ტიკინები. თაროზედ ჩამომწკრივებულან და შენკენ იყურებიან; გული გადაჰლევიათ შენ ლოდინში.

– არა, მაგაებზედ არ გეუბნები. ის ჩემი ტიკინები სად წავიდნენ, ეზოში რომ მყვანან ხოლმე?

– ყვავილები, ქაჯან? ისინი ეხლა შორს არიან, ძალიან შორს! ეშინიანთ სიცივისა და რაკი იგრძნობენ ზამთრის მოახლოვებას, ინდოეთისაკენ გაეშურებიან. დახე, რამოდენა თოვლი ძევს ეზოში და ხეებზედ. აქ რომ იყვნენ ეხლა ისინი, სიცივით დაიხოცებოდნენ.

– უჰ, რამოდენა თოვლია! რა თეთრია! ქათმები ვეღარ გადმოდიან, შიგ იფლობიან. სად არის, დედილო, ინდოეთი?

– მზე რომ ამოდის, იქით არის, ძალიან შორს. იქ სულ ზაფხულია. ეხლა იქ არიან მერცხლებიც, ბულბულებიც, იადონებიც, წეროებიც. იქით მოფრინავდნენ გაბმულ-გამწკრივებულნი.

– ნეტა ჩვენც იქ ვიყვნეთ ეხლა! რატომ ჩვენ კი არ მივყევართ მამასა?

– ჩვენ ფრთები არ გვასხია, ვერ გავფრინდებით, ჩქარა ვერ მივალთ.

– ყვავილები? იმათაც ხომ ფრთები არა აქვთ საწყლებს.

– ყვავილები ფუფალას მიჰყავს ხოლმე იქ, თითონ გადააფრენს.

– ახ, ნეტავი მეც წამიყვანოს ფუფალამ, გადამაფრინოს!

– ჯვარი გწერია, საყვარელო! – წარმოსთქვა დედამ

და გაფითრდა, გული შეეხუთა, ცუდმა რამ წინადგრძნობამ დაჰკრა თხემზედ, შეაზრიალა. ჩაიკრა ბალღი გულში, მრავალჯერ ჰკოცნა.

ძლიერი ზამთარი დადგა, დიდთოვლიანი. მიწა გაყინული იყო, როცა თოვლი მოვიდა. ადლზე ააგო. ბურუსი არ იდგა; არც ღრუბელი იყო ცის კამარაზედ ქუდად შეკრული, რომ დედამიწის ბუღი შეეყენებინა, დაბლავე ეტრიალებინა და ჰაერი გაეთბო. მზე ბრწყინავდა, მაგრამ მუხლმოჭრილი ერთობ დაქვეითებულიყო და მის ელმეცრივ სხივებს სითბო ვეღარ მოსდევდა. შუადღისას რომ მოდნებოდა თოვლის ზედაპირი, საღამოზედ ისევ ითოშებოდა, ღამე მთლადაც იყინებოდა, მთვარე-ვარსკვლავებით გაჭახჭახებულ ღამეში. სახლის ბანებიდან თუ საბძელ-სახვავეების ჩალურ სახურავებიდან მრავლისაგან მრავალი თოში გადმოკიდებულიყო. ახალ წლებში ისეთი თოვლი ააგო, რომ ნიჩბებით მოუნდათ გზების გაკვალვა თავლებისა და საქათმეებისაკენ, მდინარისაკენ. დაბარდნული დადიოდა სოფელი. თუ ვისმე ტყავ-ტყაპუჭი და სათბილობელი ჰქონდა, შეემოსნა. სიცივისაგან განაწამები ხალხი იმითღა ინუგეშებდა თავს, ჭირნახულისათვის კარგიაო ამისთანა თოვლიანი ზამთარი.

სვიმონს ვერ ავიწროებდა ზამთრის სიმძაფრე. დოვლათით სავსე ოჯახი ჰქონდა და ხარჯის დრო საფიქრებელში ვერ აგდებდა იმას. ეზოში უხვად დალაგებული ზეხმელი, სავსე ბეღელი, გატენილი საბძელი, თივის ზვინები, ყოველი კეთილით აღსავსე მარანი, მოლიცლიცებული ქვევრები, გომი პირუტყვით სავსე, განცალკევებული ეზო მფრინველით მოფენილი; სხვა ეტლთა გვერდზედ კოხტა მარხილი. ზამთარი კიდეც უხაროდა იმას: გაჭირვების დრო უფრო ცხადადა ჰხატავდა

მის კეთილდღეობას. დიასახლისიც ღიმილით გაჰყურებდა ფანჯრებიდან ბუნების სიმკაცრეს. რას იდარდებდა: ბნელი ღამეები გაკაშკაშებული ჰქონდა მრავალი ლამპრით, ცივი დღეები დამთბარი ახლდა მოღუღუნე ბუხრებით თუ ღუმელებით. ბუნების სიმწირე განედევნა სახლიდან დაზვინებულ სანოვაგეთა სიმრავლით, დროზედ ნაგულებ საჭმელ-სასმელით. ელიკოს ტიტინი შორს გაფრენილ ბულბულთა, სტვენას დაჰნაცვლებოდა ცოლ-ქმრისათვის, მისი ცანცალი – ჭრელ პეპელათა ფარფატს საამოს, მისი ლოყები – ხაშხაშს გადაშლილს, მისი თვალები – ლამაზ ყვავილებს ციაგის მომფენთ.

– არის, არის ბედნიერება ქვეყანაზედ! ვაჰ, რომ ცოტაა იგი და ისიც სიმწარით მრავალკეცად შემოზღუდული. ხან მოკლეა იგი, ხანდაზმით შიგადაშიგ ოდენ ჩამოკვესებული. ქრთილის ტოლაა იგი და წამიერი ცალკე ადამიანისათვის, ოჯახისათვის; მით უფრო ცოტაა იგი მთელი ერისათვის, კაცობრიობისათვის.

მძიმე ზამთარი მშვიდობით მიიწურა სვიმონის ოჯახისათვის. წყვდიადს რომ თვით მზეზედ მიეტანა ძალა, მძლავრად დაეხარა იგი და მეტი სარბიელი მიეცა ბოროტებისათვის, ბედნიერ ოჯახს ეს ვერ აშინებდა: მზის ანარეკლი სითბო-სინათლე მაგრა ებყრა ოქროს ხელიანს და იცინოდა გამარჯვებული. სიამესაც კი ჰპოვებდა ყისმათიანი სახლობა ავად აქოჩრილ ბნელის ბრძოლაში. ქათიბ-ქურქებში გამოხვეული სახლობა მარხილით რომ სრიალებდა ყინვის კალთებზედ, სიამოვნებდა ზამთრის სურათების ხილვით, სუსხიანი ჰაერის მახვილ შეხებით. იცოდა, ამაოდ აღჭენდა მასზედ კბილებს მკაცრი სიცივე: ის ვერ შეჰყვებოდა იმათ ღმერთთა სადგომივით მოწყობილ სახლში: ფერსაც კი ვერ ართმევდა იმათ მძაფრი ყინვა, მხოლოდ ააწითლებდა, ააღაღანებდა. სილურჯის ბჭემდინაც ვერ მიჰზიდავდა: ვერ მოასწრობდა ვნებას ბოროტი, ხელიდან უსხლტებოდა მსხვერპლი, მისთვის შეუვალ კოშკში შეასწრობდა და დასტოვებდა მას მთლად გაავებულს, კბილებალესილს.

* * *

ბოლოს მაინც მოასწრო ბოროტმა აჩემებულ მსხვერპლს. პირდაპირ ბრძოლით რომ ვერა ავნო რა, ქურდულად შეეტყუა იგი: შხამიანი კბილი გამოჰკრა ოჯახის ყვავილს სამხიარულოს.

ნების კვირაში ლეღი დაუჭირა: თოვლი უეცრად დადნა; ნამქერი ჩაწყალდა, ყინვა ატირდა, შემაღლებული მზისაგან ძლეულ ზამთარს სირცხვილეულს ფერი ეცვალა. ზურგი გაუთბა ქვეყანას. შროშნებიც მოფრინდნენ შიგადაშიგ. ბუნება იშმუშნებოდა. გაზაფხულის მახარობელი ენძელა კიდეც გაშლილიყო. მოიხსნეს ადამიანთ თბილი ძონძმანძი. ქურქებს თუ ნაბდებს ხარიხოებზედა ჰკიდებდნენ მზისაგან გამთბარ-გამხნევებულნი. ხეში წყალი ჩამდგარიყო. ახლად ჩასახული კოკრები მსწრაფლ ღვივოდნენ, ივსებოდნენ, მზის დასანახად მიისწრაფოდნენ. ბავშვები მხიარულად გამოჟიჟინებულიყვნენ.

– წავიყვან, ქალბატონო, ელიკოს, გავასეირნებ: ლამაზადა თბილა.

– გაუფრთხილდი კი, ჩემო ნენევ: ახალმა გაზაფხულმა გატყუება იცის, ზამთარს ჯერაც არ დაჰმტვრევია ბასრი ჭვანგები.

– ვიცი! სხვა რაღა საქმე მაქვს, თუ ამასაც არ გავუფრთხილდები.

ნასიამოვნები დაბრუნდა შინ ბალღი, თვალებგაბრწყინებული, გახალისებული, თითქო აღელვებული.

– დედილო, ეხლა ისევ მოვლენ მერცხლებიც, ტიკინებიც! ნენემა თქვა, წამოსულებიც იქნებიანო ინდოეთიდან.

– წამოვიდოდნენ. იქ რაღას გააკეთებენ ეხლა?! ვერც გაძლებენ იქ: ძალიანა ცხელა, დაიბუგებიან.

ღამე გატეხილი იყო, რომ მძინარე ბავშვს რაღაცა მოუსვენრობა დაეტყო; შუბლს იჭმუხნავდა, მძიმედ სუნთქავდა. გააღვიძა ევამ ქმარი. დახედეს ბავშვს. პატარა ტახტში ეწვათ მოაჯირიანში. იქვე ედგათ ბავშვის საწოლი თავიანთ ახლო. სვიმონს არ უამა სურათი, მაგრამ გული გაიმაგრა:

– შენ სულ ესე იცი, ქალო! შეიძლება სურდო შეჰხვდა, ღვთის ნათლული ხომ არ არის, არაფერი წამოსტკივდეს. დილამდის გაუვლის. დაწექ!

არ დაწვა ეჭვით შეპყრობილი დედა, აღარ დაიძინა. კარგი ქმნა: ბავშვმა მალე ტირილით გამოიღვიძა. თავი სტკიოდა. ოდნავ სიცხე მიეცა. შეშფოდნენ, იზრუნეს, ღონე იღონეს. ვერ განდევნეს ავადობა. მოიწვიეს ექიმი. გასინჯა, დაფიქრდა. წამალი გამოუწერა, მისცა დარიგება, როგორ უნდა ეფარეზათ ავადმყოფისთვის. წაიყვანეს ექიმი. ქალაქი ახლო იყო, ეტლი შინა ჰქონდათ, ცხენები მზად და არ გაუჭირდათ ექიმის ტარება. გაძნელდა ავადობა. მარჯვე კაცი იყო მკურნალი, დაფიქრებული; თანაც ახალი იყო იქ და არ უნდოდა პირველი შემთხვევავე მარცხით დაჰმთავრებოდა. ებრალებოდა კიდეც პატივისმცემელი ოჯახი: ბუნებით ნაზი გრძნობის ადამიანი გამოდგა და ვერ შესჩვეოდა ჭირისუფალთა მწუხარებას; ავადმყოფების ტანჯვისათვის თვალი არ შეეჩვივნა, გულისყური არ დაჰხშოდა მათ ვაებისათვის. ძალიან გაძნელდა ავადობა. ცოლ-ქმარი თვალებში შეჰყურებდნენ მკურნალს, ის კი ხმას არ იღებდა. რა უნდა ეთქვა, როცა ჰხედავდა, ლამის ეძლია იგი სენს?! ბოლოს დროს დღეში ორჯერ მოდიოდა. დიდხანსა რჩებოდა პატარის სარეცელთან დაღვრემილ-დაფიქრებული. ერთხელ წასვლისას ხმა აღარ გასცა სვიმონს, მხოლოდ მაგრა ჩამოართვა ხელი. ცუდი ნიშანი! პატარის განწირულ ყოფას ყველანი ატყობდნენ ეხლა.

ბნელი ღამე იყო უმთვარო, ღრუბლიანი. ცა იცრემლებოდა. მომაკვდავ ელიკოს თუ დასტიროდა სვიმონისავით უხმოდ, მხოლოდ ცრემლებით. ევა ხატის წინ იყო პირქვე დამხობილი: ევედრებოდა, თავს ახლიდა იატაკს, ხელით კავებს მძლედ ეზიდებოდა. დიდხანს ილოცა, დაჟინებით, შეუწყვეტლად, სისხლის ოფლამდინ.

– თანაწარხდეს, უფალო, ჩემგან სიმწარე ესე შეუზომელი, ცეცხლი ესე უნელებელი! – ამოიკვნესებდა ჟამითი-ჟამად.

ვაებით განადგურებულმა სვიმონმაც კი შენიშნა ცოლის გატაცებული ლოცვა უთავებელი! ჰაზრმა გაურბინა, მოეშორებინა ის ხატისათვის; აღარ აასრულა: ბალღის მიმტკნარებული კვნესა სნთქამდა მთელ მის ნებისყოფას.

– სვიმონ, მისმინა ყოვლადწმიდამ! მითხრა: სარწმუნოებისაებრ შენისა გეყოს შენ! – ახარა ევამ ქმარს.

და შეშმიშად შეანათა მას თვალები. შეკრთა კაცი: თუ შეიშალაო, სიმწარით გაიფიქრა.

– დაწექ, გენაცვა, თვალი მოატყუე: აღსრულდეს ნება უფლისა! რაღა შეგვიძლიან, ან რით შევებძოლებით განგებას?!

ჩამოჯდა ქალი. უაზროდ იღიმებოდა. მიდო თავი მომამკვდავის ფერხთით. წამს დაეძინა ღამეებ-ნატეხს. მინელდა ბალღის სუნთქვა. მამა ხელიდან აღარ უშვებდა ბავშვის მაჯას თითქო გაციებულს. უნდოდა ამ ბოლოს წუთს გაეღვიძებინა ტანჯული დედა, რამდენჯერმე შეახო ხელი და შეარხია, მაგრამ ვერ აგრძნობინა, გონებაში ვერ ჩააგდო; ხმის ამოღებას კი ვერა ჰბედავდა: ვეღარ გაეგო, ჩაეძინა ბავშვს თუ ჩაიფერფლა სასიკვდილოდ. ირიჟრაჟა. თითქო უფრო წყნარად სუნთქავდა პატარა. დააკვირდა, – შუბლზედ ოფლის ცვარები წამოსდგომოდა. ოფლმა იმატა.

– ჭირის ოფლია, თუ? – გაურბინა სვიმონს თავში.

ქალს თითონ გამოეღვიძა. დახედა ბავშვს და გაუღიმა ქმარს, სვიმონი პირმოკუმული იჯდა შეძრწუნებული: უბედურობა უბედურობას არ დაერთოსო, ქალი არ შეირყასო, – ფიქრობდა. ბავშვს ეძინა ოფლში გაწუწულს. მოვიდა ექიმი, დახედა. სახე გაუნათლდა. მიულოცა:

– გადაიტანა ბავშვმა საშინელი ავადმყოფობა. წუხელ უმწვერვალესი სიძლიერე იყო სენისა. მოტყდა ბოროტი! – სთქვა მკურნალმა ღიმილით.

– მოგვხედა უფალმა?!

– აკი გითხარ წუხელ, გამოგვიბრუნდება-მეთქი პატარა, – დასძინა ქალმა

და ექიმს უამბო თავისი ლოცვა, ისიც, ხმა რომ გაიგონა სანუგეშო. მკურნალი დააკვირდა ქალს. საწინააღმდეგო სრულებით არაფერი უთხრა. დამამშვიდებელი წამლები მისცა, – გატანჯული ხარ, გულს გიპოვისო.

მოიწმინდა ცა. რა ლაჟვარდი იყო, უმანკო, გამჭვირვალე? მოიშორა ბუნებამ გაზაფხულის ნესტი და ნისლი. აღარ იცრემლებოდა; იღიმებოდა ტურფად მკობილი. მთელი ეზო სავარდედ გარდაქმნილიყო. ტანშეყრილი მდელო ყვავილად გადაპენტილიყო. ფერად-ფერადი პეპელები, ეს მფრინავი ყვავილები, თავს დაჰფარფატებდნენ მათთვის უხვად გაშლილ ტაბლას. ახლადშეფოთლილ ხეხილებიდან მფრინველთ ჟრიამული გაისმოდა სამხიარულო.

– დედილოჯან, მოსულან ტიკინები ინდოეთიდან! ეუბნებოდა ელიკო დედას

და დაცანცალებდა ყვავილებ შორის, დაცქრიალებდა.

– მოვიდნენ, შვილო, შენ სანახავად, შენ გასახარად!

პირნათელი სვიმონი აივანიდან დაჰყურებდა დედა-შვილს, ულვაშქვეშ იღიმებოდა; ახალ სიკეთესაც მალე ელოდდა კმაყოფილი.

– აკი არ არისო ქვეყნად ბედნიერება. ყოფილა! ნუ მიწყენ კმაყოფილებას, ჩემო მფარველო!..

1919 წ. მაისის 10-ს.

## ქუდბედიანი

„ბედი მომეც, სანაგვეზედ გადამაგდე“.

– სკოლა... – სჩაგრავს მოზარდის აგებულობას სასწავლებელი! ქედს ახრევინებს, წელში გაჰღუნავს, ხალისს უკარგავს, სიცილს ავიწყებს; უდროვოდ აბერებს; მთლადაც უნადგურებს სხეულის ძალას.

– მართალია! სკოლაში მთელი ყურადღება მოქცეულია სულის წვრთნაზედა, გონების განვითარებაზედ. თითქო უხორცო ქმნილება იყოს ადამიანი.

– მეტს ვიტყვი: ხორცი განზრახ არის ისეთ ყოფაში ჩაყენებული, რომ მოსპობილი აქვს ბუნებრივი ზრდის საშუალება. დილით საღამომდინ ჩაჭედილი ვიწრო კალაპოტში, მაგიდაზედ დაკრული, ქაღალდის დამყურებელი; არც დრო, არც შეძლება გამოვიდეს დარიჯაგიდან, ლაღად გაიფანცქალოს და... ეს შვიდი წლიდან ოც წლამდინ მაინც.

– რად არის სკოლა ესე მოწყობილი?

– იქნებ იმისთვის, რომ ქრისტიანულია: სჯულისათვის სხეული უშნო რამ ჭურჭელია, რომელშიაც ცუდ გუნებაზედ მდგარ განგებას ჩაუმწყვდევია საბრალო სული.

– იზრდები მარტო გონებით, თავს ავარჯიშებ, ტანის სხვა ნაწილთ სჩაგრავ, აყენებ. თუ ეგრე გაჰყვა, მხოლოდ კეფა გაიზრდება, კინკრიხო მრავალი და... ბოლოს მხოლოდ თავად გარდაიქმნები, აგორებულ რამ ვეება გოგრად.

– არა, ცოცხალი ადამიანი ვერ შეურიგდება ესეთ ყოფასა.

– აკი ალღოთი გრძნობს ზოგი ბავშვი ხიფათს საშინელს და მარად ებრძვის სკოლის დარიჯაგს. ვერ ეტევა შიგ, ააჭრიალებს, მიღრეჯ-მოღრეჯავს; ბოლოს გაამტვრევს და დაზეზდება: დასწყვეტს, აეშვება, გაინავარდებს.

– კარგსა შვრება! უნდა მოისპოს ხორცის უშნო ზრდა თუ დაკნინება, მთლად მოიკვეთოს!

* * *

– არც ერთს არ გესმით, არცვინ რა იცით და ამბობთ... თანაბრად განიკითხე სხეულიც, სულიც; ერთნაირი ყურადღება მიაქციე ხორცს და გონებას... როგორ, სუსტ თესლს და ძლიერს ერთნაირი ფარეზი?! ცოტა თანხას და ბევრს ერთნაირი გაფრთხილება?! ჯანდაკ საქონელს და გამთქვინებულს ერთნაირ...

– ვინ არ იცის: ბევრსა და ძლიერს ნაკლებად სჭირია მიშველება.

– კეთილი! დამიგდე ყური: ბუნებას რომ ადამიანი შეუქმნია, ორი ნაწილი შეუკავშირებია, ხორცი და სული, მაგრამ თანაბრად არა: ნივთიერი მასალა უხვად ჩაუზელნია, სულიერი ფრთხილად წაუხმარებია, თითქო საფანლად ან თუ სანელად.

– არ გაუმეტნია?

– შეიძლება. იქნება სუბადაცა ჰქონდა, ხარჯვას ფრთხილობდა. ჰო და სულიერი არსება გონიერი ერთობ ნაზად არის ადამიანში ჩარგულ-ჩატანებული, ბევრჯერ ისე მცირე, სანთლით უნდა ეძებო; ზოგან თითქო მთლად დაჰვიწყებია დალოცვილს სანელის მიცემა და... ცხოვრება კი, ეხლანდელი ყოფა-არსებობა, ძალიანა თხოულობს ამ საფანელსა, გონების ძალს. რა უნდა ქნას საწყალმა სკოლამ, თუ ძალით და გაჭირებით არ აგროვა მისი ნამცეცები, არ შეანივთა და არა ამატა?!

– ჭკვას ახლოა!

– მესმის!

– ხორცი, ჩემო კარგო, ისეც ძლიერია და მდიდარი: ხალისობს, ფუნდრუკობს, წინ იწევს. მთლად დაამუხლისთავებს საწყალ სულიერ არსებას გონიერს, წაჰქელავს უწყალოდ, კისერს წაატეხს, თუ ტოლი არ დაუდეს მას.

– რა არის ტოლი?

– მეხრედ არ მჯდარხარ?! თუ ძლიერისკენ არ წასწიეს-მეთქი ჯამბარა, არ დაამოკლეს იმის უღელი. სკოლა ტოლს უდებს ხორცს, რომ გონს განუმტკიცოს სვლა; ტანს უკუაგდებს; ერთს ერეკება, მეორეს უხევს. მაშ რა გეგონა?!

– ეხლა კი მივხვდი! შიმშის ტრიალი, შხეპლის ზუზუნი, ალაყურები; მათი განგრძობა: ერთიანები, ორიანები. აღმზრდელის ხელში ხორცთა ლაგამი, სულის მათრახი.

– ეხლა, მეც მესმის! აზრიანი ყოფილა სკოლის საქანი, მიზან-წონილი.

– ეგ ეგრე. მაგრამ რა საჭიროა ცხოვრებისათვის სულის სინათლე, გონების ძალა?! აქა სცდებიან სასწავლებელთა ჭირისუფალნი, ნახტომი ეშლებათ.

– შენა გგონია, უქმი არის ცხოვრებისათვის გონების გაშლა?

– მეტი ბარგია, მხოლოდ მტანჯველი; მიხედ-მოხედე, აზომ-აწონე, „ანს დახედე, ბანს დახედე, სიგრძესა და განს დახედე“. გადაჰხედე თუნდ ბატონს როსტომს.

– დარისპანის ძეს? მერმე რა სარგებელია მისგან ქვეყნისათვის?!

– სხვისთვის არ ვიცი, მოყვასისათვის, თითონ კი რომ მზიურ ცხოვრობს დიდ სიკეთეში, ეს ცხადია. რა შედარება იყო იმისა და მის ძმის შორის სკოლაში სწავლა-აღზრდის დროს?! ეხლა... სწორედ ქუდბედი დაჰყოლია როსტომს.

– რა არის ქუდბედი?

– არ იცი? არც მე ვიცი! ამბობენ: გამჭვირვალ გარსის რამ არახჩინით დაიბადება ყისმათისაგან კეთილად აღნიშნული სული. იმ ქვეყნიდანვე თუ წამოჰყვება სამკაული ნივთში ჩასასახად წარმოგზავნილ სულს.

* * *

– მართლა და სულ სხვადასხვა გზით მიდიოდა ამ ორი ძმის ზრდა, როსტომისა და ივანესი. იტყვიან: „ერთის ხიდან ჯვარიც გამოვა და ბარიც“, ბარული რამ ძირხვენის საჩიჩქნი. ამისთანებზედ იტყვიან. დარისპანი თავის ვაჟებს გიმნაზიაში ზრდიდა და მადლიანად უწყობდა ხელს. იმედი ჰქონდა, არვის ჩამორჩებოდნენ სწავლაში. იქნება ბოლოს კიდეც ესახელებინათ გვარი, დედ-მამა. რატომ? ნიჭი არ აკლდათ ჯანსაღებს, ცხოვრება შესაფერადა ჰქონდათ მოწყობილი; შრომის უნარიღა იყო მათთვის საჭირო. მოეწყო კიდეც მათი გარჯილობა თავიდან: წყვილად მიდიოდნენ ძმები ერთი მეორეზედ მხოლოდ ერთის წლით უფროს-უმცროსნი. მოსამზადებელი განყოფილებები, ოთხი ზედა კლასი. შვილებს უქებდნენ, ამაყ სიამოვნებასა გრძნობდა მათი დედ-მამა.

– „კვიცი გვარზედ ხტის“. მე მგვანან ნიჭით. დედის გვარიც კი ჭკვიანია. იმედია, ამისრულდეს ოცნება, – იტყოდა დარისპან. მის კმაყოფილებას ხინჯი შეაჩნდა მეხუთე კლასში: უმცროსზედ ვეღარ იყვნენ კარგი ჰაზრისა.

– ნიჭით არ ჩამოუვარდება ძმას, გონების სიფხიზლით კიდეც სჯობია; მაგრამ... გული აიცრუვა მუშაობაზედ: გაკვეთილებს აღარა სწავლობს, საწერს არ ასრულებს. შარშანვე შეატყო მას...

– მაინც რომ კარგი ნიშნები ჰქონდა.

– ეს მიტომ, ფხიზელი ნიჭი აქვს: სიტყვას იხსომებს, მიუგებს მასწავლებელს მისი სიტყვით; წინანდელი ჰაზრიც მუშაობდა, მასწავლებელთაგან ადრე შედგენილი შეხედულობა; როცა არ იცოდა, ეგონათ, მისი არ ცოდნა შემთხვევითიაო, ენანებოდათ. იციან ესე ოსტატებმა. ერთიც დავსძინო: საშინლადა ჰბაძავს მასწავლებლებს სიარულში, მიხვრა-მოხვრაში, თვით ხმაში. ეს ყველა...

– შენიშნეს ოსტატებმა?

შენიშნეს და სწყინთ. კარგი ჩვეულება გაქვთ, ჩამოჰხედავთ თქვენს შვილებს. უმცროსს ძლიერა სჭირია თქვენი ყურადღება. უფროსი კი, ივანე, მოწაფე კი არა, ოქროა კლასის მამშვენებელი.

ეს საუბარი შემოდგომაზედ იყო. გაზაფხულზედ დასძინეს: ბიჭი ხშირად აკლდება გაკვეთილებს და ყოვლად უმიზეზოდაო. კიდევ სთქვეს, თუთუნს შეეჩვია, გლარჯის მილსაო. ვეღარ უშველა ვერც დაყვავებამ, ვეღარც ჯავრობამ. მაინც გადიყვანეს მეექვსეში, კუდით და რქებით გადაათრიეს სწავლაში ფეხ-ათრთოლებული.

უნდა გენახა, რა უნარი გამოიჩინა იმ ზაფხულს სოფლად! ნადირობა, ჯირითი, ცეკვა, სმა, ღრეულობა. მაყრობაც შესძლო, ნამდვილი მაყრობა ანჯახი. მეორე დღეს „ომგარდახდილი ჰშვენოდა შენატევები ცხენისა“. გოგოებს, პატარძლებს თვალი მასზედა რჩებოდათ. საროს ტანი, მხარ-ბეჭ გაშლილი, ორაზროვნად მოღიმარე. უხდებოდა იარაღი მკვირცხლ ახალგაზრდას. თექვსმეტ-ჩვიდმეტის წლის ბიჭი

ცხრამეტი წლის ჭაბუკი გეგონებოდა, ოცისა. ულოცავდნენ დარისპანს, ძალიან ვაჟი დაგიდგაო. მამა ცდილობდა ხალხის ყურადღება მიექცივნა ვანუაზედ. ამაოდ! სკოლაში პირველი, ყველა კითხვაზედ მზამეტყველი, აქ ნაბოლოვარა იყო. გამოუსადეგი.

– კისერი დაღლას მიუგავს... ერთი მხარი მაღალი, მეორე დაბალი, ფერნაცვალი, შეხუნებული. არც ცხენზედ ჯდომა, არც სიმღერის თქმა, სადღეგრძელოს სმა; ცეკვას ვინ ჩივის, გავლაც კი უშნო. როგორი როსტომის ძმა არის ეს?

– ნუ ეხუმრები ჩემს შვილს ივანეს, მამაო აბრამ: მშვენივრად სწავლობს; ძველი ენები საუკეთესოდ იცის; ხუთს არ ჩააცდენს არც ერთს საგანში! – ეტყოდა დარისპანი მოძღვარს, რომელიც ნაწრთობი იყო, სკოლის ჩლაში გამოჩლეჩილი, მაგრამ რომელსაც ყველა იქ შეძენილი დაჰვიწყებოდა თუ გადაებნია, როგორც ურგები მეტი რამ ბარგი. ნეტა მისი ხსოვნიდან ის ყრუ ტკივილიც წაშლილიყო, ძნელის წარსულის მომაგონები სამძიმო გრძნობა.

– უნდა დავსძინო, მამაო; ყოველ წელიწადს ჯილდოს აძლევენ კარგ სწავლისათვის, წლეულაც მისცეს.

– ჯილდოს?! აკურთხოს ღმერთმა! დახე, დახე შენს როსტომს! რა ვაჟკაცია! მაზაა სუფრისა ი დალოცვილი; მშვენიერებაა ეშხით აღსავსე. ბედნიერი მამა ხარ, შვილებით გახარებული.

* * *

ბედნიერი მამა ვერ იყო კმაყოფილი ეშხით აღსავსე შვილით. უკვირდა: რაც ოჯახში დუხჭირად მიაჩნდათ, გარეშეთ იმაზედ რჩებოდათ თვალი; კერის კნინებად ჩარიცხული სახლის ბედნიერებად ეჩვენებოდათ. ხედავდა ვანუა, რომ ყველა საჩენ შემთხვევაში მის მიჩულულ არსებას ყურადღებას არავინ აქცევდა და ან დადიოდა სალხინო ყრილობებში, ან ადრევე ბრუნდებოდა იქიდან, რომ ჩასჯდომოდა თავისსავე წიგნებს. კითხულობდა, სწერდა, დაჟინებით ჩასჩიჩინებდა ეტრატს. არც კი უყვარდა ეს სამუშაო, გატაცებული არ იყო მითი: სკოლაში რომ ირჯებოდა, თავს აწონებდა მასწავლებლებს, პირველობდა ამხანაგებში; სახელს ითქვამდა ახალგაზრდებში; აქ კი... შეხსნილი იყო ეს გარეშე ძალა წამახალისებელი და კაცი მიზანს ვეღარა ჰხედავდა ბეჯითობისას. ცოდნისადმი სიყვარული სწავლა-განვითარებისათვის ვერ გაჰღვიძებოდა მშრომელს; საცოდნელის შეძენა, ცნობის-მოყვარეობის ავსება არ აკმაყოფილებდა მას: შრომა ვერ დაჰმყარებოდა სწავლის სიყვარულზედ.

– სკოლის უბედურება, ახალგაზრდების გაჭირვება. შესაძლო კი არის სკოლაში სწავლის წარმოება მხოლოდ ცოდნისათვის?

– ჰაი, ჰაი შესაძლო არის აზრიანად მოწყობილ სკოლაში, ცოდნით გატაცებულ ოსტატის ხელში.

ძნელი იყო დარისპანის პირადი მდგომარეობაც: თავისი ვანოთი თავი მოსწონდა, მაგრამ მხოლოდ იქ, სასწავლებელში; შინ კი, სოფლად, როსტომი უფრო უამებოდა, მურაზით სავსე შახი ჭაბუკი, ყველგან პირველი. დაუდეგარი როსტომი აგონებდა დარისპანს მის დაუდგრომელ სიჭაბუკეს; მისი სარკე იყო როსტომი, მისი გაზაფხულის განმეორება. გულის ჯურღმულში ინახავდა ის ამ შეგრძნობას, საიდუმლო სადღაც კუნჭულში. როგორ იტყოდა, ვის გაუმხელდა?!

ორნაირი მოქმედება სჭირდებოდა დარისპანს: როცა სკოლაში იყვნენ ბიჭები, იფნის სახრით უნდებოდა დაოჩნებულის შეხურება, ხოლო მეორის დაყვავებით უკანდახევა, რომ უღელის დაუზოგავად წევაში წელი არ ჰკრთომოდა; სოფელში

ყოფნის დროს კი გაორყებულ როსტომს სახრითვე უკან უხევდა, ხოლო ვანუას წინ ელალებოდა, ცდილობდა, ფეხი იმდენად მაინც წაედგმევინებინა, რომ შესძლებოდა ახალგაზრდას თქმა: „მეც ნახირ-ნახირაო“.

ებრძოდა დარისპან თავის საქმეს, ყოველ ღონისძიებასა ხმარობდა, რომ მუხლმოჭრილი მისი შვილი, უხეირო ნალოსავით რომ ასთრევოდა ეხლა თავის კლასს, მთლადაც არ მოსწყვეტოდა ამხანაგთა კრებულს. ვანოს საქმეც საფიქრებელი იყო, რადგან მთლად ზურგი შეაქცია იმან ცხოვრების ხალისიან დენას და ეს საზიანო იქნებოდა შემდეგში მისთვის. დაყუდებულად ხომ არ გავიდოდა სადმე უდაბნოში, ხალხში საცხოვრებლად კი არ გამოადგებოდა მას ესეთი მიმართულება. მხნე კაცი იყო დარისპანი, მარჯვედ მომქმედი და აისრულებდა თავის წადილს.

– როსტომს უთუოდ დავასრულებინებ სწავლას: მაშველ მასწავლებელს მიუჩენ, მის ბედის მჭრელთ დავეღრიჯები და დავათავებინებ. მაგისთანები გადიან ბოლომდინ! თავში ხომ მაინც სწავლობდა, კარგად მიდიოდა, ვერ იტყვიან, ნიჭი არა აქვსო. ვანუა... ასაკში შესვლა აქაც თავისას გაიტანს და აამღერებს. ეჰ, იმასაც თავისებური შველა სჭირია, სულ სხვანაირი, – ამბობდა ზრუნვაშემრავლებული კაცი

და სავალს ჰზომავდა, გამოიკვლევდა. უსათუოდ მონახავდა გამოსაძრომ ხვრელს, თუ უცნაური ამბავი არ დასტეხოდა თავს მის ღვთის გარეგანსა. საქმე ბოროტი. არც თუ სახუმარი; ავაზაკური რამ მოძრაობა გასაღიმარი.

– ავაზაკობა გასაღიმარი?!

– ნუ სჩქარობ!

ახალ კლასში მთლად დაქვეითდა როსტომი, ბოლოში მოექცა, უიმედო რამ ქვემო-ბოლოს. მაინც იყო ერთი საგანი, რომელშიაც ვერვინ შეეცილებოდა მას, ვერვინ წაართმევდა პირველობას. ეს იყო ფიზიკური ვარჯიშობა. ვინ შეეჯიბრებოდა ამ მუშაითს იმ საგანშია?! ჯამბაზი იყო მარჯვედ მოქნილი. რა ძლიერი! ისე ათამაშებდა ცალი ხელით ორფუთიანსა, როგორც მეშის ბურთს. მოჰკიდებდა ამხანაგს კისერში ხელს, მერხებში გადააგდებდა. ამ ვარჯიშობამ დაღუპა ბიჭი.

მასწავლებელი ჰყვანდათ ჩია რამ კაცი, მტვერის ფერი, თვალამღვრეული; მთლად ავზნიანი. ღიმილი იცოდა ღრენის მაგვარი. საგნის მშვენივრად მცოდნე. მკაცრი, სასტიკი. ძალიან აითვალწუნა ჟინჟღილივით ბიჭი. ან კი რა ექმნა: როსტომი უმძრახად დაადგა მის საგანს. თუ მასწავლებელს ერთხელ და სამუდამოდ დაესვა ერთეული, შეურიგდებოდა შეგირდი სამართლიან ხვედრს. მაგრამ თავს არ ანებებდა ოსტატი: გაუძახებდა კვირაში ერთხელ მაინც, აწამებდა, კლასს აღიმებდა. ერთ ამისთანა განსაცდელის წუთს როსტომმა თვალი ვეღარ მოსწყვიტა ოსტატის ქეჩოს. მარჯვენა თავისთავად იწევდა წინ, იძგიფებოდა და... დასწვდა სატანა საყელოში, ასწია, კაცი აიწიალა. ჰაერში ეჭირა რამდენსამე წამს. წამოიშალა კლასი. გაეღიმა როსტომს. დაუშვა ძირს გონებამიხდილი, გაფითრებული. წყნარის ნაბიჯით გავიდა გარეთ. იღიმებოდა. რა აცინებდა?!

* * *

დადგა როსტომისათვის უწყვეტი დღესასწაული, ზეიმის დღეები მზიან-დარიანი. მამული აცხოვრებდა ოჯახს. მაგდენსაც არასა ჰხარჯავდა კერა როსტომზედ. მთელი კვირაობით შინ არ იყო კაცი. ყოველთვის კარგად ჩაცმული, მშვენიერ ცხენზედ, ძვირფას იარაღში. რითი სცხოვრობდა? ვინ იცის! ვისიც კვამლი მაღალი იყო, ის იმათი მაყარი იყო თავის ამხანაგებით. და რა ამხანაგებით: ყველაფერი გამოუვიდოდათ ხელიდან იმათ...

დაამთავრა ივანემ სწავლა. მასწავლებლობა ჩააბარეს მაშინვე. ბეჩავი ოსტატი დადგა. არ შეიყვარეს მოსწავლეებმა; ვერ დაეწყვნენ მის გაკვეთილზედ; არ შეითვისეს. ვერა ჰხიბლავდა; რიხიც არ ჰქონდა; ხათრი არ ჰქონდათ, არც ეშინოდათ. მალე ჩამოჰშორდა სკოლას მამის სიკვდილის შემდეგ. ჩაუდგა მამულს. შეჰყვა იმ შარას, რომელზედ სვლისათვის სკოლას მისთვის არაფერი მიეცა. არა! სკოლამ შეაჩვია ის შრომას, მუყაითობას. დაჰყვა კაცი იმ სადინელსა: შეუდგა მამულის ერთგულად დამუშავებას, მამის შრომის განგრძობას. მეზობლების მიხედულობით, თუ წიგნებიდან ნელ-ნელა შეისწავლა მამულის ხელი; გააფართოვა მეურნეობა. შეისყიდა ხელმომჭირნემ ნაწრეთები, მიუმატა თავის მიწებს გასაშენებლად. რა უჭირდა; კარგად მოწყობილი სამეურნეო უჯრედი დაჰხვდა, ოჯახის კარგად მაცხოვრებელი; თითონაც უმატა.

როსტომი ეხლაც წინანდებურადა ცხოვრობდა: მღეროდა უზრუნველ ჭრიჭინასავით, დახტოდა მკალსავით მუქთა-მჭამელისა; ცა ქუდად არ მიაჩნდა, დედამიწა ქალამნად; ყველა ჭერის ქვეშ მისი ბინა იყო, ყოველ სუფრაზედ მისი ადგილი. და თუ გვალვიანი დრო დაუდგებოდა, ვერსად ვეღარას გახდებოდა, ვერც თუ ძალადობით, მიმართავდა თავის სახლს: მამის მაგივრად ძმა ედგა პატრონად. მოიცლიდა გაბმულ ლხინიდან, დაისვენებდა; სახარჯოს შეავლებდა ხელს და ისევ გაუდგებოდა სადინელს უზრუნველობისას. იყო კი მის ყოფაში ერთი სახიფათო განსხვავება: ძმა უანგარიშოდ არას აძლევდა, მასზედ დანახარჯს პირობის ძალით მის ხვედრს აწერდა, მის ნაწილს მამულისას. იყო სხვა გარჩევაც: შეძველდა როსტომი, დაიყვავილა, ლამის დაპურდა და მისადმი პატივს თითქოს ჩაეშალა ნაწიბურები.

მაგრამ, გითხარი, ყისმათი უღიმოდა ქუდბედიანს: ქალაქში ქალს შეჰყვარებოდა ის, გული შეჰვარდნოდა. ლამაზად მოეზომა ჭკვიანს თავისი სახტომიც, თავის სანეკრეც და... ხელთ დაიჭირა მშვენიერი ვაჟკაცი მისთვის ზედგამოჭრილმა საპატარძლომ, განგებისაგან მისთვის შერჩეულმა საცოლომ. მეჯლიშში ენახა ჩასპანდური და მაშინვე ასდუღებოდა კოჭობი სიყვარულისა. რას ვამბობ?! – ტრფობის ქვაბი საარაყე! პირდაპირ მიეწერნა ქალს წერილი გატაცებული, თანაც გაანგარიშებული. სწერდა:

„მეუღლეები შეავსებენ ერთმანეთის ნაკლს; ქალი შეავსებს არსებას ვაჟკაცისას, ვაჟკაცი სრულჰყოფს ბუნებას ქალისას; სდგება ორისგან ერთი მთლიანი, ცხოვრებისათვის მარჯვედ წყობილი. ნამეტნავი ჩემი ნაკლულევანებისათვის შენისა, ხოლო ნამეტნავი შენი ნაკლულევანებისათვის ჩემისა. შენთან არს მშვენება ხორციელი, ხოლო ჩემთან არს კეთილი ნივთიერი: ოქრო-ვერცხლი პინით საწყავი, პალატნი დიდ-დიდნი, ყოველგვარი სიმდიდრე ქვეყნიური. შევეზავნეთ ერთმანეთს: შენ თანაზიარ მყავ მშვენიერისა სიმამაცისა შენისა, მე მოგცე საუნჯე ულეველი... ახ, უცხოს უცხო, მიკვირს, აგრე რად მეკეთე! ღმერთმა კი ნუ ქმნას დღეის იქით უცხონი ვიყვნეთ ერთმანეთისთვის“.

გასჭრა გულ-წრფელმა შეთხოვნამ. ოქრომ კოჭები დაუჭირა როსტომს. რა იქნებოდა იგი ვაჟკაცი შეძლების გარეშე?! წაქცეული ალვის ხე ფუყი, რომელს ყველა დააბიჯებდა, რომელი გამოუსადეგარი იქმნებოდა საშენებლად, საწველადაც კი. თავისი სამკვიდრებელი უკვე ჩანთქმული ჰქონდა უძღებს; შრომა არ შეეძლო; ჭაბუკობის ხანა გასთავებოდა: დილ-დილით შეთეთრებულ ბეწვებიდანა ჰმარგლიდა თვის წვერ-ულვაშს და გულს ეყრებოდა სუსხიანი შემოდგომის მოლოდინში. თოვლად გადაპენტილ მყინვარ ზამთრის წინ. წაიკითხა უსტარი, ჭკვაში დაუჯდა. ჩაიცინა კმაყოფილად. წარმოსთქვა:

– კა უთქვამს, კა განუზრახავს, კა წიგნი მოუწერია!

რატომ? ოქრო არის შენივთებული სხივი მზისა მაცოცხლებელ-მაცხოვრებელი და...

– როგორ არა, ნაკლი აქვს საწყალ ქალს, ხინჯი არა ერთი. ხორბლის ფერი, თითქმის რომ შავი... მაგრამ სიშავე არ უშლის სილამაზეს. გახსოვს „ქებათა ქებაში“: „შავ ვარ, ასულნო ისრაილისანო, და მშვენიერ!“ ესეც არ ოყოს, სიბნელეს ოქროს ბჭყვრიალი ჰფანტავს, გოჰართ ლაპლაპი. ყური... ლავაშია რაღა! მაგრამ ყურს რას უყურებ, საყურე ნახე ყვრიმალის მაციაგე გაყინული ალის საყურე. ცხვირი... ცოტა მოზრდილი, მელანქოლურად წამოწოლილი... ეჰ, სასუნთქავი იარაღია ცხვირი და რაც უფრო თოქმაა, სხვილ ხვრელიანი, მით უმჯობესია. კოჭლიაო. ჰა, ჰა, ჰა! განა კურდღელს ვადევნებ. იცი? იმდენ ას თუმნიანს დაიწყობს მოკლე ფეხ ქვეშ, გძელს დაუსწორდეს; მაინც სრულებით არ შეეტყობა იმის ზღვა ქონებას. დამჯდარი ქალი... აღარც ხომ მე ვარ მთლად ნორჩად-ნორჩი. და ისევ დოვლათი, მარად ქეიფი, სიმღერის ხმები, ეშხით ნავარდი. ვახ, საყვარელო!

ქალის უსტარზე ლბილი პასუხი. ქალთან სტუმრობა. მიალერსება. ქორწილი დიდებული. ღმერთების ბინა. ეტლი. მსახური. განცხრომით ყოფა, ფული ჩეჩქივით. ისე უფრთხილდებოდა ქალი თავის ქმარს, როგორც თავის ფარღულს ფასდაუდებელს.

ერთი იყო როსტომისათვის ძნელი: ქალს ძალიან მოსწონდა თავი ტოლ-სწორში, რომ ტარიელისებური ქმარი იშოვა და ხშირადა მართავდა წვეულებას. მეჯლიშის დროს არა ჰშორდებოდა თავის ვაჟკაცს, თვალებით უალერსებდა. ისიც ვალდებული იყო ემჟღავნებინა თავისი მისდამი პატივცემა, ემზევლებინა თვის სიყვარული. ქუჩაშიც ამოეტოლებოდა, მიეკვრებოდა. თუ გინახავს ისინი ერთად სეირნობის დროს?

მართლა და უნდა შეეზავებინათ ცოლ-ქმარს ერთმანეთი: ასეა წესი, ამას მოითხოვს სავსება ოჯახისა, მისი კეთილი. უნდა შეევსო ვაჟის წამოსადეგობას ქალის დაჩიორება, ქმრის მტკიცე სვლასა ცოლის კელობა, ერთის სიყირმიზე მეორის სიმუქე; ცოლის ჭკვიან თვალებს ფრთხილად მეტყველებს ქმრის ალქატი შეხედვა ზედაპირული.

* * *

– აფსუსი არ არის ეს თეთრ-ყირმიზი ვაჟკაცი ამ დუხჭირ არსებისათვის?! – იტყოდნენ მკილავნი.

– ცოდვა არ არის ეს სიმდიდრე ულეველი იმ ფუქსავატ არსებისათვის, – წარმოთქვამდნენ მოშურნენი.

ვისაც რა უნდა ეთქვა, ეს ფუქსავატი კაცი და ოქროს მატყლოვან ვერძის მფლობელი გრძნეული კი ლამაზად თავსდებოდნენ ერთმანეთში, ურყევად მისრიალებდნენ ცხოვრების გზაზედ. კაცს მოწყენილი ჰყვანდა პირსუფთებიც კი და მხოლოდ იმისი ეშინოდა, არ შემწყდარიყო მისთვის უზრუნველი ცხოვრების დენა. ქალს დოვლათი თავსაყრელი ჰქონდა, კაცი დაჰლეოდა, რაინდი თვალთმტაცი, ოცნების ძალით სხივოსნებული. იცი: ოცნებით ავსებს თვის ნაკლს ადამიანი, მით უფრო ბუნებისაგან თუ ცხოვრებისაგან გაძრცვილი კაცი. აქ სინამდვილედ იქცა ორი ოცნება და დაყუჩდა, დაემინდა ორივეს გული.

ეს ყველაფერი ამ ომიანობის წინ მოხდა, მსოფლიო ჟლეტამდინ, მანამ მოთავე ერები ერთმანეთს ამოიჭამდნენ დამონებულთა გასახარად. მსოფლიო ბრძოლამ შეამძიმა ცხოვრება, შევიწროვდა ყოფა იალად ნაჩვევი ხალხისა; აიცერცნა, დასკდა კანი ნანაზი; გაუჭირდათ დღიურად მცხოვრებლებს, თუნდაც მდიდრულად მყოფთ, მწვადივით რომ სჭამდნენ შემოსულ სარჩოს ზედ შამფურზედვე.

– ბიჭო, ბიჭო, თუ ეს ნაბიჯი არ გადამედგა, თუ ჩემს მაკრინეს არ შევკავშირებოდი, დავიღუპებოდი! რითი უნდა გამოვკვებულიყავი, რა ჩამეცვა, რა დამეხურა, როცა ესე გაჭირდა ყოფა, სისხლის ფასად გახდა ყველაფერი, როცა ლუკმას უთვლიან პირში ერთმანეთს თვით გულ-ჩვილები, დარდიმანდებიც?! ჰა, ჰა, ჰა! ამბობდნენ, ჭკვიანი ვერ არისო. შეადარონ ჩემს ზეიმს თავიანთ ჭკუის ნაჟური! მინდოდეს, მორბედად დავიყენებ იმ დაბრძნობილებს: ერთი თვალი კი ვუყო ჩემს მაკრინესა.

– მართალს ამბობ, მაგრამ დუხჭირი რომ...

– მოგცლია! გონჯი, დუხჭირი... რა ყრია ურგებ სიმშვენიერეში?! უყურე ბადრ მთვარეს, ძლიერ გაძღები. მის ტოლა მჭ... უმზირე ტურფად შლილ ყვავილს, კაბას ჩაგაცმევს ენიანს. კოხტა ჩანჩქერი ლამაზ რამ ბორცვთან ჩექმებს ჩაგაცმევს ჭრიალ-პრიალას. სიმშვენიერე არზანიკია, მხოლოდ, სანელი. არც წვენი გაქვს, არც ფოჩი, სანელს დაეძებ?!

– მაინც უნდა გითხრა: სიმშვენ...

– მაინც, ჩემო კარგო, ისიც გამოვცადე. ჰაი, ჰაი ვიგემე და ვიგემტკბილე! გეტყვი: ბოლოს და ბოლოს დაკვირვებული ადამიანისათვის ორივ ერთია! ატლასის კანი თუ ხამი ტყავი, ერთსა და იმავე სანდომთან მიმყვანებელი. ფაიფურზედ მოგართმევენ საზრდოს თუ ქაშანურით იმავ სანუკვარს... ეჰ, მაინც რა ყოფილა სიმშვენივრე?! გარეგანი სახე საგნისა, უბრალო რამ ქერქი საფცქვნელი, შინაარსი ნახე შენ... ჩრდილივით წარმავალია სახე თეთრი, თუ შემუქებული; ტანი ტატანი თუ დაბალი, ბაჩა; წვივმწყაზარი ჯეირანივით, თუ სპილოს რამ ფეხი ან... მკელობელი...

– ცხრა-ცხრა ადლია...

– კაცო, ამ ჩვენს როსტომს, დახე, გიორგის ჯვარიც მიუღია! თუ იყიდა?

– იყიდდა, მაშ თითონ ხომ არ გამოსჭედავდა, ალბათ დაიმსახურა: ტანი აკლია თუ ფეხი! დახე, რა იარაღში ზის! მარტო რადა ღირს მოხრილი ხმალი მძიმედ შემკული!

შევხედე. თითით საჩვენებელი ვაჟკაცი ძვირფასად მკული, იარაღსხმული. ერთი დამენანა: თუ არ შეიძლება ისე მარჯვედ მოეწყოს საქმე, ტყვიის მფრქვევლებიც აებასთ ჩვენ როსტომ გმირებს დასამშვენელად?

* * *

გაძლიერდა ომი. გაჭირდა ყოფა. ხალხი აღელდა. იგრძნო სალტების მოშვება და შეიბერტყა; ფერხთ ქვეშ განერთხო დიდი უფალი. მოჰკრა ტოტი ამირანმა პატარ-პატარა ბატონებსაც. მრავალი განადგურდა, ბევრი გადიქანჯა, ზოგი ქალაქისაკენ გამოიქცა. რა წიოკობა, ვაი-ვაგლახი, მეორედ მოსვლა! ვინ შეაყენებდა ბობოქრობას სტიქიონისა?! მართალნიც მოჰყვნენ მტყუანთ მუსვრაში. იმქვეყნად თუ განარჩევს ღმერთი, იქ თუ მიუზღავს.

დაირღვა ივანეს მეურნეობაც. დაანგრიეს, დააწიოკეს. განა ვისმე უშავებდა რასმე, მაგრამ საზოგადო რღვნა იყო მემამულეებისა და ყველა წალექა, ვინც ხომალდში არ იჯდა. ჩამოვიდა ივანე ქალაქს. შეივრდომა ის დაწუნებულმა: რძალმა ზემო უბანში მოათავსა მაზლი და მისი ოჯახობა, ერთ-ერთ თავის სახლში. პატარა ბინა იყო, მაგრამ მუქთი და ნაჩუქარ ცხენს კბილებს არ უსინჯავდა, მადლობასაც სწირავდა ღმერთს ნაშოვნის გამო. ქალი სუფრის ნაბერტყსაც უგზავნიდა ახალ ლაზარეს, ნაცომ-ნახმარითა ჰმოსავდა მის ჯალაბობას: დუხჭირ სხეულში ლმობიერი

გული ყოფილიყო დავანებული, ბოროტის მიმტევებელი. რატომ?! შეიძლება თიხის ჭურჭელში ნელსაცხებელი სუნნელოვანი და ბროლისაში საჭრაქე ზეთი ჩამწარებული.

ისევ მასწავლებლობას მიჰმართა ივანემ. მისცეს ადგილი. რა უგემურად შეუდგა თავის ხელობას! იმ ნაკვეთს რომ გადასცემდა ცოდნისას, რომელიც ერთხელ ზეპირად ესწავლა, მოწაფედვე ჰგონებდა თავის თავს და... ბოღმით ივსებოდა.

– რად მინდოდა იმოდენა ოფლის ღვრა ან შაგირდობის დროს, ან მერმე სახლში?! მევლო მაშინვე როსტომის გზაზედ და... ჯანსაღი ვიქნებოდი, პირმოღიმარე, ბედის ხელში მჭერი.

– შენა გგონია? ქუდბედი რომ არა გქონდა დაყოლებული.

ცხოვრობდა ივანე, გული კი ღვარძლითა ჰქონდა სავსე: ხალხზედ ჯავრობდა, ქვეყნის გამგეებზედ, ცხოვრების მღელვარე დენაზედ, ღმერთზედ, რომელიც თითქო შეუძლურებულიყო. რაც ხანი გადიოდა, ღვარძლი იზრდებოდა, თავთავს ისხამდა, მარცვალს ისრულებდა. კეთილის მყოფელებსაც კი ბოროტი სიმთვრალით დაათრობდა ეს ღვარძლის ხვავი, თუ შესძლებოდა ივანეს. ვერ იყო მხარგრძელი, ვერ მისწვდებოდა! რა შეეძლო დაჩიორებულს?! პირში ღიმილი, გულში ბრმა შური. მისი მეუღლე წინად რომ დაცინვით დასქეროდა გონჯ მაკრინესა, თუმცა მაშინაც მოწიწებასა გრძნობდა მის დოვლათის წინ, ეხლა შესტკბობოდა კეთილის მყოფელს. საკვირველება: ხორცთა ყვავილოვნებითაც თითქო დაახლოვებოდა ამ დამქანცველ დროს დამაღონებელს. შემჭკნარიყო, ჯავრს აესერ-დაესერა მისი შუბლი, ბაგეთა არე; დაჰკარგვოდა სხივოსნობა, როგორც რამ ყვავილს სიცივე-დაკრულს. კიდევ ცოტა და მაკრინე სხეულის სიკეთეშიც დაუტოლდებოდა თავის ლამაზ რძალს, სხვა ყველაფერში მის მჯობინარე.

– რას ამბობ, კაცო, მახინჯი მაკო დაედარებოდა მაზლის ცოლს ლამაზს?!

– მომიბყარ ყური! სიცოცხლის გაზაფხულის ჟამს სიმშვენივრე ყვავილია შემამკობელი დედა რტოისა, თაიგულად მსახველი მისი. ჟამიერია იგი ყვავილი, მსწრაფლ წარმავალი. ნახე ზამთრის პირს ვარდის ბუჩქი და კვრინჩხის ჯაგი. რა გარჩევაა? რა ბედენაა? კვრინჩხი სჯობია ვარდს მსხმოიარე. დამცინავი ღიმილიო შეჰყურებს ის სილამაზიდან გაძრცვილ ვარდის ბუჩქს. რას წაართმევს კვრინჩხს თუნდაც სიცივე? „ტიტველა კაცი ცხრამ ვერ გაძარცვა“.

მითვალიერებია მშვენება გაზაფხულისა შემოდგომაზედ, ფერნაცვალი სილამაზე გაფითრებული. დამიკრავს თვალი ყვავილისათვის მის ზამთარშიაც. ვახ, დაღრეჯილო! ოხუნჯია ბუნება, ბოროტად მოღიმარე: ლამაზს გადაჰხდის ცისარტყელის ფერს, მისრეს-მოსრესავს, ანაცრისფერებს, დააკოხუნჯებს და ზურგს შეაქცევს. ღმერთო ჩემო! ნუთუ ეს ის მშვენებაა, აგერ სურათზედ რომ იღიმება ვარდის კოკორი ახლად ნაპობი?! ტყუილს მომითხრობს; სხვის სახეს იჩემებს დუხჭირად ქმნილი, ფერიას იერს გონჯი არსება!

გულს იოხებდა ეხლა მაკრინე: მისი ქმარი ხომ სჯობდა და სჯობდა დაბეჩავებულ ივანეს, თითონაც აღარ ჩამოუვარდებოდა თვის მაზლის ცოლს სახე-შეშლილსა. ფეხიც რომ გასწორებოდა! კოხტად მოწყობილ მაშიაში მხოლოდ კელობდა, თითქო ფელჩობდა, როცა გვერდით მისდევდა თავის რძალს დაფრახებულს.

* * *

და მოღელავდა ცხოვრება მღვრიე, არა სცხრებოდა, მოაქანებდა საზარელ ზვირთებს. ხიდებს სწვდებოდა, ჰგლეჯდა სავალ გზებს. ვისაც თავისი თავი უზრუნველყოფილი ეგონა ყოველგვარ ბოროტ ცვლილებათაგან, მასაც შიში იპყრობდა

ჟამითი-ჟამად, ფერი მისდ-მოსდიოდა. მცოდნენი თვალს ადევნებდნენ მდინარის ბობოქრობას, გამალებულ მის ტალღებს შავ-ბნელად აგორებულებს; თვალს აყოლებდნენ ზვირთებზედ მოცეკვავე ხერგს თუ ნარიყსა, ძირიანად გლეჯილ წიფლებს, მთელ სოფლის ნალეწს აწ მოტივტივეს. იტყოდნენ: ეხლა ეს შემდინარე ადიდდა, ეხლა ისაო. წარღვნის სადენლად იყო ცა შებნელებული. მიწა აღარ იშრობდა მაღლით ნაშხეპ ღვარს. გაშმაგებული მდინარე ცხოვრებისა ვეღარ ეტევოდა სადინარში, მთელი ქვეყნის წალექვასა ლამობდა. ძირიანად იყო შერყეული ცხოვრება კაცობრიობისა. ყველგან განსაცდელი ელოდდა წინანდელ სახეს არსებობისას. ძრწოლით ელოდდნენ მომავალს მყუდროდ მყოფელნიც, ჯერ ისევ გამარჯვებულნიც.

– კაცო, როსტომ, რას იტყვი მაშინ, ცხოვრების ტალღა დაუნდობელი რომ შენც შეგეხოს, შენს უძრავ ქონებას: ქალაქის მამულებს?

– როგორ თუ შემეხოს?! ვისი რა მმართებს?

– ვისი ემართა შენს ძმას ივანეს? თუ იმას ჩამოართვეს ზედმეტი მიწა და მხოლოდ ის მიუბყრეს, რასაც შეუძლიან აცხოვროს მშრომელი ოჯახი, შენ რაღა ხარ?

– ჰა? თითქოს სახუმროს არ მეუბნები... მაგრამ, ეჰ, კარგი ცურვა ვიცი და ავყვებ-დავყვები ცხოვრების ტალღას. მაინც რად მეტყვი მაგას? სად მიწა, სად შენობები?!

– როგორ თუ სად?! ესეც სხვის ხელით და სხვის ზურგზედ შეხვავებული დოვლათია რჩეულებისათვის დანაგები, ისიც. გარჩევა მხოლოდ ერთია: ის სიმდიდრე არის გაშლილი დალოცვილ ქვეყნის პირზედ, ეს საუნჯე ზედიზედ არის მწყობრად დალაგებული, ცისკენ აზეული, ლაჟვარდ სივრცისკენ. ფუფუნების ეს ყუდე კიდეც სჯობია იმ სავანეს განცხრომისას: შრომა ნაკლებად უნდა, ხვავი მეტი აქვს.

– მერმე რაო?

– მერმე ის, რომ ხალხი პირდაპირ დადის მსჯელობის სადენზედ, მკაცრი მართმსაჯულია ის და მეშინიან თქვენც არ დაგიდგეთ განკითხვის დღეი.

– ახლა მაგაზედ მაფიქრე და ეგ მადარდე! რაც იქნება, იქნება; რაც ღმერთმა გამაჩინა, ის ღმერთი დამარჩენს.

მართალი იყო როსტომი: რომელი ღმერთიც აქამდინ ასაზროებდა მას, მურანფელს უზრუნველს, იგივე ღმერთი ცდილობდა ეხლა მის დასარჩენად: ჭკვიანი მაკო ვერცხლს აქუჩებდა, ოქროს ბჭყვრიალას, ლითონის ზოდებს. ზედმეტი მამული წინადვე გაყიდა, ფულად აქცია, ნივთად ძვირფასად; ეხლაც ახერხებდა მოჭარბებულის განაღდებას. და თუ ცხოვრების დენა აუცილებლად მოითხოვდა მისგან მსხვერპლად ქალაქის მამულების ნაწილს, გაიღებდა ამ გასატანს; მაინც ხელცარიელი არ დაჯდებოდა, არ დასტოვებდა უნუგეშოდ საკუთარ რაინდს, თვის სიამაყეს. ქუდბედი დაჰყოლოდა მოხდენილ როსტომს.

ივლისის 27. 1919 წ.

## გველის ზეიმი

შენც შეგინიშნია ეს საკვირველი ამბავი? ჩაჰხედავ ადამიანს თვალებში და შემოგანათებს იქიდან რომელიმე მხეცი ან ფრინველი თუ ქვეწარმავალი. დაინახავ ხანდისხან ანგელოსსაც, ნათელის შვილს, ციაგის მოტრფიალეს; თვით სიბრძნეც შემოგხედავს, ღრმად გამჭვრეტელი ან სახიერება, კეთილის რამ ტბა, მაგრამ იშვიათად, ათასში ერთხელ. უფრო ხშირად - რაღაც პირუტყვი.

- შემინიშნია მაგეთი რამ ერთხელ თუ ორჯერ. როგორ არა? ყურადღება კი არ მიმიქცევია, რა სათქმელია?! ხანდისხან გადღინული ჯირკი კარგ ნაცნობს მოგაგონებს და გაგეღიმება, ჭაობის ლელი - ქალის წერწეტ წელს. რა ვუყო?! ბევრია კაცის ცხოვრებაში მაგისთანა უხანო გრძნობა წყალწასაღები. ყველას ხომ არ იტყვი. "პირზედ მომდგარსა სიტყვასა განა ყველასა თქმა უნდა".

- ვიცი! აკი ვითმინე აქამდინ; შენთვისაც არაფერი მითქვამს, არ გაგნდობივარ. ეხლა კი... საქმე ის არის, ამ განცდის სადინელზედ ძნელი ამბავი გადამხდა და გული ვეღარ ითმენს.

- ავი რამ წაგეკიდა? სთქვი და გაათავე!

- გინახავს, გითვალიერებია გველის თვალები, ღრმად გამზირალი, მარად აზავთებული, ბოროტად გამჭვრეტი გველის თვალები უქუთუთო? ბალღობიდანვე შიშსა მგვრიდა მისი შეხედვა, უძირო რამ ზიზღს. მუდამ სიფრთხილეს მიკარნახებდა, მტრობას უძინებელს.

"უმზირდეს კაცი თავსა გველისასა".

და ვუმზერდი მარად. ჩვენ დიდ ეზოში არ გავბადებდი მცურავს; შევებრძოლებოდი; ვერ მოვისვენებდი, თუ შევამჩნევდი იმის კვალს სადმე. მისი თვალების მკაცრი გამომეტყველება არ მომასვენებდა, არ დამაწყნარებდა, არ დამაძინებდა; მუდამ საფრთხის შიშსა მგვრიდა და ის. მანამ არ გავუჭეჭყდი თავს. რა მარჯვე ჯოხი მქონდა მისთვის დამზადებული!

"უმზირდეს კაცი თავსა გველისასა".

- ბიჭო, გობრონ, ნახავ, თუ მცურავის მსხვერპლი არ შეიქმენი ოდისმე რას გადაეკიდე მა წყეულებსა?!

რა იცოდა ბეჩავმა მანგიამ, რომ იმ გამბედაობას სწორედ შიში მინერგავდა და უთმინო ზიზღი ცივ, გლუვ ქვეწარმავალისადმი.

შემდეგ, ცხოვრებაში, ეს შიში და უშრეტი მტრობა გველისადმი გამყვა ბოლომდის. ნამდვილ გველისადმი კი არა, - ქალაქ ადგილას, ბუნების კალთას აშორებული, სად შევხვდებოდი მცურავს პირისპირ?! - გველის თვალების მექონ ადამიანისადმი. თუ სხვა ცხოველს ან ფრინველს დავინახავდი ადამიანის თვალში, ყურადღებას აღარ ვაქცევდი. ვიცოდი, ეს ჩემი პირადი განცდა იყო და არავითარი კავშირი არა ჰქონდა იმას არც საზოგადო ცხოვრებასთან, არც თითონ იმ ადამიანის ღირსებასთან, რომლის თვალშიაც ვხედავდი ცხოველს, - პატივსადებ და პატივდებულ ადამიანის ღირსებასთან. მაგრამ თუ ვნახავდი გველის გამომეტყველებას ვისიმე თვალში, სიწყნარესა ვკარგავდი, უზომოდა ვღელავდი, ვიკუმშებოდი, საბრძოლველ გუნებაზედა ვსდგებოდი. ისეთ ზომებს ვერ მივიღებდი მის საწანააღმდეგოდ, როგორც ბალღობისას გველის წინააღმდეგ: ვერც თავს შევუმურავდი მას, ვერც წელს მოვწყვეტდი და... ვერიდებოდი: გავურბოდი, მისგან მოწოდებული კეთილიც გესლი მეგონა ფრიად საფრთხილო. იქნება ბეჩავს კიდეც უკვირდა ჩემი უმიზეზო განზე დგომა, იქნება კიდეც მოვსწონდი, ვუყვარდი და

იტანჯებოდა, მაგრამ რა შემეძლო?! ესეთი ჩემი ქცევა მთლად შეუმართებელი იყო ჩემგან, ბუნებისაგან მძლავრად ნაკარნახები. მტკიოდა გული ამნაირ განცდის გამო; ვიცოდი, უსამართლო იყო ეს გრძნობა. როგორ შეიძლებოდა ღვთის სახე ადამიანი მცურავივით დაუნდობელი ყოფილიყო, შხამმორეული?! მაინც უძლური ვიყავი ამნაირ შთაბეჭდილების წინაშე, მთლად ღონემიხდილი.

ესეთ გარემოებაში მაყენებდა ყვითელი პეტრეც, ჩვენი სოფლის ბიჭი, შემდეგ ქალაქში, ჩვენ უბანში, ზედ ჩვენ გვერდზედ მცხოვრები ბინადარი. ბალღობიდანვე არ მიყვარდა პეტრე, ვერიდებოდი, თუმცა ჯერ არ დამენახა მის თვალებში გველი გესლიანი: მაშინ არ მქონდა ესეთი განცდა. ადრე გაება პეტრე ქალაქის ცხოვრებას, ხელოსნობას კი არა, ვაჭრებთან მორბედობას. შემდეგში თითონ ვაჭრობდა, უდუქნოდ ეწეოდა აღებ-მიცემას. რა არ გამოეარნა, ღმერთო ჩემო?! როცა მომიყვებოდა, მიკვირდა, ნუთუ ადამიანის შვილს ამდენი სხვადასხვანაირი ყოფის, ბევრჯერ უკიდურეს მდგომარეობის ატანა შეუძლიან-მეთქი. აღსარებას არ მეუბნებოდა, ბევრ რასმე ჰმალავდა ჩემგან, უფერ რამ შემთხვევებს, მაგრამ რასაც მეტყოდა, ისიც ჰმოწმობდა, რომ მხოლოდ წისქვილი არ დატრიალებულიყო მის თავზედ, სხვა ყველაფერი გადაჰხედოდა.

* * *

როცა მე თბილისში მოვყევი სამუდამოდ საცხოვრებლად, ყვითელი პეტრე ქალაქის ბინადარი კაცი იყო. წინანდელი სახე შეეცვალნა: კოხტა ჩუსტები წვრილად ჩანაოჭებულ მაღალ ყელებით, ბჭყვრიალა ქსოვილის შავი ახალუხი, ვერცხლის ქამარი გობაკებიანი, წელ-მოკლე ჩოხა ნაოჭასხმული, განიერი შალვარი, ნაბდის ქუდი, რომლიდან ყვითელი ქოჩორი გადმოჰფენოდა შუბლზედ; ოქროს ვეება ბეჭედი ჭიაყელასავით მოძრავ თითზედა. არ კი უხდებოდა ესეთი ჩაცმა: თხელი კაცი იყო, უმუცლო, ძვალ-წვრილი, მოქნილ-მოხრილი; ესეთი ტანისამოსი უფრო თოქმად ნაშენ ვაჟკაცს უხდება, ხორციელად სრულს.

- აა! გობრონ, შენა? როგორა ხარ, კაცო? ჩვენ ქალაქში ჩამოგისეირნია.

- მთლად გადმოვსახლდი; აქ ვიშოვნე სამსახური. შენ როგორღა ხარ? ისევ ფეხზედა ვაჭრობ?

- კარგად! არა, დუქანი მაქვს შუა ბაზარში. ხილსა ვყიდი, მწვანილეულობას, ათას რასმე სხვას. რომ გამოიარო იქით, მიკითხე: მინდა ფიშტაღი დაგალოცვინო - მითხრა თავმომწონედ.

და ყელი მოიღერა, მთლად გაიშეშა კისერი, თითქო ბალით სავსე თაბახი უდგაო თავზედ. თან თვალები აუციმციმდა, შიგ გველი აუთამაშდა კმაყოფილი, ახლად გამაძღარი. არც ყელის მოღერება დაჰშვენდა, ღალღასავით წვრილი კისერისა.

- სიამოვნებით! უთუოთა გნახავ: შენთან მირჩევნია ვაჭრობა, მანამ უცნობ ვისთანმე, - ვუთხარი გულწრფელად, რადგან დამენანა, რომ მის წინააღმდეგ ბოროტი მაგრძნობინა მისმა თვალის ჩინმა. ჩემთან არავითარი დანაშაული არ მიუძღვოდა კაცს, არ დაემსახურებინა იმას ჩემგნით მტრობა, თუნდაც უარყოფა.

ჩავიარე შუა ბაზარში. ვიპოვნე პეტრეს დუქანი. ისეთ დროს მივედი, ხილს უწონავდა მუშტარს. მთელი მისი ყურადღება სასწორისაკენ იყო მიმართული. ვერ დამინახა, მანამ ფული არ ჩამოართვა და სასწორის თეფში არ შეათამაშა, თავის უძვლო თითებით.

- აი, გობრონჯან, ჩემი დუქანი. მოგწონს?

- მარჯვე ადგილას არის.

- ნაქირავებელი მაქვს ეს დუქანი, მაგრამ, ღმერთია მოწყალე, მალე ვიყიდი.

- ღმერთმა ხელი მოგიმართოს! ერთი გირვანქა ყველი ამიწონე. წუთზედ მამცა. გავსწორდი. თითო ჭიქა არაყი დავლიეთ იქვე, ხილის რამ მარცვალი შევატანეთ. არ ეცალა საუზმე გაგვეჩაღებინა, მუშტარი ეხვია. ვუსურვე დუქანს ბარაქა. მასწავლა თავისი ბინა. წამოვედი მოვდიოდი და თან იმაზედა ვფიქრობდი, რომ სარჩოს პირი ზოგს იმთავითვე დაჰყვება ბუნებით, ქვიდან გამოიღებს და შეიძენს კი. ვიცოდი, პეტრეს სიტყვა უბრალო კვეხნა არ იყო; ალბათ მოზომილი ჰქონდა ყველაფერი, რომ ესე თამამად ამბობდა დუქნის შეძენაზედ. მეც ვაპირებდი ქალაქში პატარა რამ ბინის ყიდვას. ცოტაოდენი ფულიცა მქონდა ამ ჰაზრით გადაგდებული; სხვაგან სამსახურის დროს გადავანარჩუნე.

- ჯოჯო რომ არის, ხვლიკი რამ პირდაღებული, იმათაც თავიანთი სორო აქვთ კლდის ნაპრალში თუ ჯაგნარის ძირას და შენ რაღა დაგემართა, უბედურო, რომ აგიკიდნია ბარგი და დაათრევ ერთი უბნიდან მეორეში?! იპოვე ერთი რამ თავშესაფარი და დაბინავდი. მარტოხელი კაცი ხარ. ერთი ოთახიც გეყოფა. თუ ოთახის წინ ხეც იდგება, რომ ზრუნავდე იმაზედ და ზაფხულობით შეგეძლოს მის ჩრდილში ჩამოჯდე, სხვა რაღა გინდა? ლუკმა-პურის ფასს ყოველთვის იშოვნი, - ვეტყოდი ჩემს თავს.

და ვცდილობდი ფულისათვის ფარა მიმემატებინა, მცირეოდენი თანხა შემეგროვებინა. არ კი გეგონოს ვიკლებდი რასმე ანა ვძუნწობდი. არა! ვსაზრდოობდი წესიერად, მეცვა სუფთად; სალაღობოსა და გასართობსაც მთლად არ ვიყავ მოწყვეტილი. უმეტეს დროს კი ჩემ სამსახურს ვანდომებდი და წიგნის კითხვას. წიგნების შოვნას არც თუ იმდენი ხარჯი სჭირდებოდა. ბოლოს გავბედე და შევიძინე სახლი. არა, მე კი არ გავბედე - შემთხვევამ მიმაგდო ზედ.

- კაცო, გობრონ, სულ საკუთარ ბინაზედა ფიქრობ და, მოდი, - გაყიდვინებ, - მითხრა ჩემმა თანამსახურმა.

- ამაღლდები მაგრამ ფული იმდენი არა მაქვს, ვალისა კი ისე მეშინიან, როგორც გველისა.

- ვიცი. კარგად გაგიცანი. სწორედ საშენოა: ერთი ოთახი, ზედ მიდგმული პაწაწა ფიცრული და მცირე ეზო.

- ხე დგას ეზოში?

- დგას კარგად მოზრდილი ფშატი. ცოტა შორს კი არის სახლი, ქალაქის განაპირას.

- მაინც სადა?

- ზედ კლდეზედ. სულ უკანასკნელი სახლია მთაწმიდაში.

- ეგ კარგია: მაღლობი ადგილი მიყვარს. წყალი?

- წყალი ზედა აქვს, იქვე ხევის პირას. წამო. ბარემ წაგიყვანო. ხელად მოგარიგებ; ძალიან უჭირს კაცს და ნაღდს ეძებს.

წავედით. მომეწონა. მოვრიგდით. ჩავაბარე ფული. იმ ჩემმა ამხანაგმა ყველაფერი თითონ მოაგვარა და ნასყიდობის ქაღალდი ჩამაბარა. სახლის გამყიდველიც მადლობელი დაგვრჩა.

- ვალსაც მოვიშორებ, ცოტაოდენი კიდეც დამრჩება. ის საძაგელი მევალე კი მემუქრებოდა, შენი ქოხი ჩემს ვალს ვერ აუვაო.

ტომბახი დამჭირდა, სადილი გავაკეთე. ფუძის ანგელოსს შეახვეწეს ჩემი თავი. ძველი სახლის პატრონი მავედრებდა თავის ნაქონ სახლსა თუ ეზოს. ჩემს ამხანაგს თავი მოსწონდა, რომ მარჯვედ დაათავა ეს საქმე და შნოიანად თამადობდა, ახალ-ახალ სადღეგრძელოებს ამბობდა.

- იქნება ხანდისხან ამოვიდე, დავხედო ამ ეზო-ყურეს, ხომ არ გეწყინება? ძალიან მიყვარდა, შენც შეიყვარე!

- მოდი ხოლმე, მიამება შენისთანა კეთილი კაცის ნახვა. უთუოდ შევიყვარებ ამ სახლ-კარს.

გადავკოცნეთ ერთმანეთი. წავიდნენ. ფშატს მივეყუდე. კმაყოფილების ღიმილით შევყურებდი ჩემს ახალ მონაგარს.

* * *

რა კარგი იყო საკუთარი ბინა! კაცი ვიყავი, თავისი ჭერი მეფარა თავზედ. ვერც ერთი ჯოჯო ვეღარა მჯობდა: თუ იმათ ჰქონდათ ხვრელი რამ სორო. ეხლა მეც მქონდა ჩემი ბუნაგი. რამდენი ჯოჯო იყო კლდის ნაპრალებში ზედ ჩემ ეზოს წინ! მიყვარდა მათი თვალიერება ჩემი პაწაწა აივნიდან. გამოეფინებოდნენ, გაწვებოდნენ გახურებულ სილაზედ, თბებოდნენ მზეზედ; ამთქნარებდნენ, თვალებს ლულავდნენ, გვერდებს უცხუნებდნენ. გამჩენელს მიეცა მათთვის სიცოცხლე, საზრდო, ბინა, მზის მცხინვარე სინათლე და თავისებურად ნეტარებდნენ თავის არსებობით, ჰმადლობდნენ კეთილ - მყოფელ ბუნებას. წიწილებიცა ჰყავდათ, პაწაწინები. თავისებურად თუ უალერსებდნენ, სიყვარულს ამჟღავნებდნენ. ვიჯექი ჩემ ხის ქვეშ, ჩემს საკუთარ ეზოში და კმაყოფილება ავსებდა ჩემ არსებას.

მაინც რა ბევრი უნდა ადამიანის კმაყოფილებას? ლუკმა პური, ბინა უყვედრი, და კეთილი გული. გრილი წყალი არცროდის არ მაკლდა: იქვე, კლდის ქიმის გადაღმა, სალი სცვარავდა ცივს ნამს ანკარას; ქსნური ჩემი ლიტრა კარგად ინახავდა სიგრილეს. წავიკითხავდი ვიფიქრებდი, გავიღიმებდი; ვოცნებობდი კიდეც ხანდისხან.

- რაზედ ვოცნებობდი? იმაზედ, რასაც ოცნებობს მარტოხელი კაცი: ოჯახზედ, ახმაურებულ კერაზედ, თავის ცალ არსებაზედ. რატომ პატარა ეზო მქონდა, ცოტა დათავქვევებული, მაგრამ არც ისე. ბალღს ვერ ეცანცალნა, თუნდაც ახალ ფეხ-ადგმულს. ორი ოთახი მედგა. ერთი ფიცრული იყო და ძალიან პატარა, მაგრამ რა დარბაზები უნდა ორ ადამიანს, თუნდა პატარაცა ჰყვანდეთ იმათ?! მოყვარულ ცოლ-ქმარს ცულის ტარზედ დაუძინიათ. კიდევ იყო ერთი ოდის ადგილი, მაგრამ... ერთობ გადაჭარბებული ოცნება არ შეჰფეროდა ჩემს ყოფას.

- გირჩევნია ღარიბი ვინმე მოიყვანო, პატიოსანი ოჯახის ქალი: არ გაუკვირდება შენი ხელმოკლეობა.

- ჰაი, ჰაი, მირჩევნია!

- ჰო, მაგრამ როცა ბალღები დაგიჩნდებიან, რაღას აპირებ? შენი პაწაწა ჯამაგირი, ყუთის ტოლა შენი ქოხმახი...

- შენც მართალს ამბობ! მაგრამ არც თუ მეტი შიში ვარგა, გადაჭარბებული. ერთი ბალღი, თუნდაც მეორეც...

- მერე?

- მერე... მერე ზომიერება, თავის შეკავება. მოთმინებას ნაჩვევი კაცი...

- თავის შეკავება, ზომიერება... აბა ერთი სცადე! ადვილად იტყვის ენა.

იქვე ჩემი ეზოს წინ აზეული ფრიალო ერთ ადგილას თითქმის სწორედ იყო შეკვეთილი, ფართო კიბის საფეხურივით წავაკებული. ქვიშა იყო ზედ დაგროვილი, ზევიდან ჩამორეცხილი შლამი თუ მიწა. მცენარესაც ფეხი მოეკიდებინა იქ: ბალახეულობა, ნარი, ყვავილები ფურფუჭა. ეს წასწორებული ადგილი არ იყო შორს ჩემის ეზოდან, მისვლა კი არ შეიძლებოდა: მთლად მიუდგომელი ქვევიდან, არც ზევიდან შეიძლებოდა ჩამოსვლა: ერთობ დაშვებული, სიპი კლდე.

ჩიტებს უყვარდათ ამ ადგილას შეგროვება: ჭიკჭიკობდნენ, ნავარდობდნენ, ბალახში ბუდარაობდნენ, მის თესლს ჰკენკავდნენ, მთლად უშიშრადა გრძნობდნენ ღვთის შვილები აქ თავს: ბალღები ვერ მიუდგებოდნენ, არც ქორი დაეშვებოდა ესე დაბლა, თითქმის სახლებთან. მიყვარდა ჩიტუნების თვალიერება. ვერთობოდი. მიხაროდა ჩემს ახლო სულდგმულთ მხიარულება. ერთი მაფიქრებდა: თუ ბალღი მეყოლებოდა, შეიძლებოდა აფოფხებულიყო იქ ან ყვავილებისათვის, ან ჩიტების დევნაში და... უთუოდ დაგორდებოდა. არა, ჯერ მაინც საშიში არ იყო ეს, შორს იყო ესეთი დრო: ცოლიც არა მყვანდა ჯერ. შესაძლო კი იყო და ადვილადაც: მოვინდომებდი - წლის თავზედ შევიძენდი. რა შეუძლიან ერთს წელიწადსა, თუნდ

ხუთ-ექვსსა?! ვუყურებდი ჩიტუნებს, მიხაროდა: რა ფთხრიალი, რა ჟრიამული, შექცევა, არშიყობა, ხანდახან კინკლაობაც. რა უშავდა? იქვე რიგდებოდნენ. მაშინვე.

- ოღონდაც რომ ფრინველნი ცისანი, ჰაერის შვილნი! არცა თესენ, არც მოიმკიან და სახიერი აცხოვრებს მათ შვებით.

- ეგრე გგონია, ჩემო კარგო?

- შეხედე და დაინახავ!

- ჰო, მაგრამ ახლა იმ დროსა ნახე მაგათი ყოფა, როცა ბნელი ბოროტი სძლევს კეთილ სინათლეს: დღე დაპატარავდება, მზე შავ ღრუბელში დაიმალება, გაიცრიცება, გაცივდება; სასტიკი ქარი ასისინდება გველივით; ბუნება გაიძარცვება და გაითოშება; მოესპობათ ყოველი საზრდო ყინვით შებოჭილ ბუნების კალთაზედ.

- ზამთრობით?

- სწორედ! აბა რა ცხოვრებაა მაგათი ყოფა მაშინ?! დახტიან საცოდავად გზა-ბილიკებზედ, ფუნეს ჰქექავენ ნაღეჭ მარცვლისთვის.

- მაშ რადა სწერია ღვთის წიგნში ესე?

- რა ვიცი! იქნება საწყალის სანუგეშებლად. ბალღსაც ხომ აღუთქვამენ, ეგებ დაჩუმდესო. იქნება ეგ თქმა იქ იყო ზედგამოჭრილი, სადაც წარმოსთქვეს: ამბობენ, სამხრეთ ქვეყნებში ზამთარი არ იცისო. ესეც არ იყოს, განა ცოტა მტერი ჰყავთ მაგ საწყლებს ეხლაც...

დავფიქრდი, მაგრამ მხოლოდ მცირე ხანს. ავყიაა ჩემი მეგობარი: რაც უნდა კარგ გუნებაზედ იყო და ლამაზ გარემოებაში, მაინც შავ ღრუბელს იპოვის მოწმენდილ ცაზედ შენის მხიარულებისა.

* * *

პატარა სურვილები მქონდა. შემოსაზღვრული და დიდი რამ ძალა თუ გამჭრიახობა არ უნდოდა მათ ასრულებას; არ აემატებოდნენ ჩემი მისწრაფებები ჩემს უნარს და ვასრულებდი თანდათანობით ჩემს ნდომებს თუ მოქალაქობრივ მოვალეობას.

- უცოლო კაცი ცალმხრივია, არ არის სრული, ვერ იტყვის, ნამდვილი მოქალაქე ვარო.

- რატომ?

- იმიტომ რომ ვერ ასრულებს მოვალეობას: ვერ უზრდის ხალხს შვილს, ვერ ეხმარება ერის გამრავლების აუცილებლობას; იქნება ცხოვრებისა ეშინიან და მისთვის გაუმარტოვებია თავი, ხოლო მშიშარა რა ვაჟკაცია, რა მოქალაქე?! იქნება ისეთი თვითმოყვარეა, რომ არ უნდა თავი შეივიწროვოს ვისთვისმე, არც საყვარელი

არსებისათვის; მხოლოდ თავის თავზედ მზრუნველი აბა რა მამულიშვილობას გასწევს.

- ლამაზად ამბობ! აფსუს, ცარიელი თქმა არის ეგ სიტყვები შენს პირში, ჰაერის უბრალო რყევა.

- როგორ, კაცო?

- თუ ეგრე ფიქრობ, რად არ ასრულებ შენს ნათქვამს, რას დაეყუდები მარტოდმარტო მიუკარებელ ყარყუმივითა?

- არა, ძამიავ, არც თუ მარტო სიტყვის კაცი ვარ; ვასრულებ ჩემს ნათქვამს თანისთანობით, როცა დრო ხელს მიწყობს: ვამბობდი, თბილისში გადავალ-მეთქი და გადმოველი; ვსთქვი - სახლს შევიძენ-მეთქი, და აჰა, ჩემს ჭერ ქვეშ ვცხოვრობ.

- ეს ხომ მე გაგაბედინე.

- მადლობელი ვარ. მეგობრების დაუხმარებლად ძნელია ყოფა: ერთი - ერთს გირჩევს და გაგაკეთებინებს, სხვა მეორე საქმეში წაგიმართავს ხელს. ესე ნელ-ნელა და შეუმჩნევლად, აი, ეხლაც საქმე უკვე მოწყობილი მაქვს ვანო მერჩულის დედის დახმარებით: კვირას ქორწილში მეწვიე!

- კვირას? ქორწილში?! ჯვარს იწერ? ვიზედ, ბიჭო?

- ნარგიზაანთ ქალზედ. ცოტა ნასწავლიც არის.

- რა ჰქვიან?

- მაია, მაიკო რაღა.

- ფულიანია?

- არა, ღარიბია. მდიდარი რომ იყოს, მე ხომ არც გამომყვებოდა. იმისი გარემოებები რომ ავწონ-დავწონე და ჩემს მდგომარეობას შევუფარდე, ჩემისთანა ალხანასათვის შესაფერ ჩალხანად ვიცანი.მომწონს კიდეც: ღვთის სახე აქვს. იცი? ვგონებ, კიდეც მიყვარს.

- კეთილი! უსათუოდ გეწვევი.

უჩინარი კაცების პატარა ქორწილი. მათთვის საკმაო სიმხიარულე. პატარა ოჯახის საფუძვლის ჩაყრა. წლის თავზედ ბალღი, შემდეგ კიდევ სხვა. ეჰ, წადი და თავი შეიმაგრე, აქაო და ღარიბი ვარო. დავწვრილშვილდი, დავიწიე. მაინც გულს არ ვიტეხდი: გამეზრდებოდნენ, ისევ ავიწევდი. რა ვუყოთ, რომ ეს მერმე იქნებოდა, შორ მომავალში; მანამდისინ კი ტვირთი დამიმძიმდებოდა. რა ვქნათ: ოფლითა შენითა სჭამდე პურსა შენსაო და მეც ოფლს ვიწურავდი ჩემი კერის კეთილად მოსაწყობად. არ მეზარებოდა შრომა, არც თავსა ვზოგავდი. მაგრამ თანდათან ძნელდებოდა სახლობის შენახვა. ვიხრებოდი ტვირთ ქვეშ, იღუნებოდა ჩემი ნებისყოფა; მეშინოდა, მთლად არ

მოღვედილიყო ის, ან არ გადამსხვრეულიყო, ცხოვრების თანაბარ დენაში კიდევ როგორმე შევძლებდი სიმძიმის ზიდვას მე და ჩემი ცოლი, მაგრამ ორივეს შიშის ზარსა გვცემდა რამე რყევის შესაძლებლობა: ავადმყოფობისა თუ სხვა კერძო მარცხის მოვლენა ან საზოგადო ცხოვრების უშნოდ შერყევა, რაც ზედმეტ ხარჯს მოითხოვდა.

- ნუ გეშინიან, ჩემო კარგო, მაინც გავუძლებთ; განა ცოტაა ჩვენზედ ღარიბი და გაჭირვებული. ჩვენ ჭერი მაინც გვაფარია თავს, ვერვინ გაგვდევნის ბინიდან. სხვებს ესეც არა აქვსთ. შენც სამსახურის კაცი ხარ და რა გვიშავს?!

- არაფერი, გენაცვალე! განა გულს ვიტეხ, მხოლოდ მენანება, ნაკლებულებაში ჩაგაგდე და ამთავითვე მოგაკელ რამე სიამოვნებას.

- ისე ლაპარაკობ, თითქო ახალი დანიშნულები ვიყოთ. არ მოგიკვდეს მაიკო, ის თავის თავისათვის არა ზრუნავდეს! - ღიმილით მეტყოდა დოინჯშემოყრილი.

ვმხნევობდი ცოლის ნუგეშით ოდნავ დაწყნარებული, წელგაშლით მივდიოდი სამსახურში, მაგრამ იქ, ქაღალდების გადაწერაში გართულს, ხშირად მელანდებოდა ჩემი მაიკოს სახე. რომელიმე ასო თუ ხაზის მოსმა მომაგონებდა მის დოინჯს, მის ფეხის ნადგამს, ცალმხრივ მის ღიმილს და... გული მიკვნესოდა: დავინახავდი, ქალი მხოლოდ ჩემ გასამხნევებლად იტყოდა ლამაზს; დავრწმუნდებოდი, მისი ღიმილი საცრემლე ღრეჯად გარდაიქმნებოდა, რაკი შინიდგან გამიგულებდა. ვინ იცის, იქნება, როცა ქოხს ალაგებდა, ან ძონძმანს აკერებდა, ან კოჭობში შეჭამადსა ზელავდა, ვინ იცის-მეთქი, ცრემლებს აფრქვევდა.

იცი? ერთხელ წვენი მლაშე მოსვლოდა მაიკოს, უცნაურად იყო წამლაშებული, თითქო მარილი კი არა, სხვა რამ სიმლაშე დასჭარბებიაო და... კოვზი დამივარდა ხელიდან სევდა-ნაკრავსა: ჩემი მაიკოს ცრემლებს გადემლაშებინა საჭმელი. ხომ იცი, ცრემლს თავისებური სიმლაშე მოსდევს, საკუთარი.

- არ ვიცი!

- არ გიგემებია, ბედნიერო?! იგემე! ხომ გყავს სატრფო გულისა? ჰო და როცა ის აგიტირდება შეჭირვებული, თვალები ამოუკოცნე და განიცდი ცრემლის თავისებურ გემოვნებას.

სიცოცხლის დენა რომ ძირიანად შეირყა, იმან შეგვაშინა. მთლად ახალ სავალზე გადავარდა ცხოვრების მდინარე ამღვრეულ-აღელვებული. შავად მოქანაობდა აზვირთებული, მოჰქონდა თან არე-მარე, გზა-გზა ჰლექავდა ყველას და ყოველსავე. ამან შემაკრთო, დამამუხლისთავა. მარჯვე მცურავები აჰყოლოდნენ გაგიჟებულ ღვარს და... რა კაპუეტებს იჭერდნენ ბოროტად მოცეკვავე ტალღებში! თვალები თუ აუბა დაქანებულმა მღვრიემ თვით წყლის შვილებს.

”პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს!” - ვიტყოდი სუფრის ნასახზედ და... ჩემი შრომა ვეღარ იძლეოდა ვერც პურს არსობისას, დღიურად საკმარისს, შავ პურის კოტორს გაუცრელს, ბზეზედ დაზელილს. მხოლოდ პური! დღეისთვის მაინც! სატანს რასმე სხვას როგორღა წარმოვიდგენდით. გადელაჯნათ ბნელისშვილებს პურზედაც არსობისა, მოგვიპყრობდნენ ოქროს ფასად. გავტეხდი პურსა, შიში გვიპყრობდა: იგი

პური გამღებლის ხელში რძეზედ ზელილი, მიმღებლის ხელში სისხლზედ იყო ნათითხნი, ადამიანის სისხლზედ ჩაშავებულზედ.

წაიღო, გაიტანა სისხლიანმა პურმა სისხლის ოფლით მონაგარი ყოველი კარგი. ”არა ვიხილე თესლი მართალთა მთხოველ პურისა”, იტყოდა ფონს-გასული გვირგვინოსანი. დასცილებოდა თავის წარსული უკვე ბედნიერს, მთლად დაჰვიწყებოდა. ”და ჩვენ ვიხილეთ თესლი მართალთა მთხოველ პურისა” ჰაი, ჰაი, ვიხილეო, საკუთარ კანზედ გამოვცადეთ.

მაინც ვცხოვრობდით. რა გვიშავდა ჟამიერად ტვირთმძიმეებსა?! გვეგონა: წამიერად. იმედის სხივები გვიციაგებდნენ და გვამხნევებდნენ. თავისებური სიამეც კი მქონდა ისევ, ლამაზი განცდები, მეტადრე კვირა-უქმეში, როცა სამსახურიდან თავისუფალი ვიყავი და შემეძლო ცოლ-შვილში გამეტარებინა დრო. ყველაზე საამო ის იყო ჩემთვის, როცა ჩემგან ლამაზად მოვლილ ფშატის ქვეშ ვიჯექი და შევყურებდი ჩვენი ეზოს წინ აყუდებულ სალ კლდეს თვალუწვდენელს. ვათვალიერებდი მის ნაპრალებს, მის დაღვრემილ სახეს დაღარულს, იმაზედ სასწაულებრ მოსულ მცენარეს, რომელსაც როგორღაც მოეკიდებინა ფესვები, პირდაპირ ქვიდანა სწოვდა თავის საზრდოს და თითონაც ასაზრდოებდა მწერებს მაინც, პატარა ჩიტუნებსაც.

- აი ცხოვრებას უნარი ამისათვის დაუტანებია გამჩენელს, ვფიქრობდი. რომ იტყვიან, სიპზედ დასვა, თავს დაირჩენსო, ამისთანაზედ იტყვიან. ადამიანიც არის ასეთი: რომ გამოედება ძურწასავით, აღარ მოეფშხვნება, მინამ თავისას არ გაიტანს. ყვითელმა პეტრემაც ესე იცის: ალღოთი მიჰხვდება, სად შეუძლიან გამორჩეს ოქროს და აღარც მოეშვება; სუნს იკრავს მეძებარივით, ლბილად შემოეხვევა გველივით, უხსნელად და... დაჰკრავს ნესტარს. ვინღა გადურჩეს ასპიტს გესლიანს?! ამბობენ, ძალიან სარგებლობს გარემოებით, ვინც წლით მდიდრდება, ის დღით მდიდრდებაო.

* * *

ყვითლის მოგონებამ ცუდ გუნებაზედ დამაყენა, სიამე შემიმღვრია. მათ უფრო მძიმე იყო ეს ჩემთვის. რომ იმ დღეს უქმე იყო. მიხაროდა. მზე მხიარულად თამაშობდა კლდის თლილ გვერდებზედ გაფოთლილ ფშატის ქვეშ თითქმის ვნეტარებდი საგრძნობ სადილის მოლოდინში. იქვე ფარდაგზედ თამაშობდნენ ჩემი ბალღები: კლდიდან ჩამოცურებული ქვის ფირფიტებით ხუხულას აშენებდა უფროსი, პაწაწა პირღია შესცქეროდა ახალ მოვლენილ ხუროთმოძღვარსა. განა მშურდა პეტრესათვის მისი უნარი ან მეხარბებოდა მისი დოვლათი? არა! მის მოგონებაზედ ისე გამითამაშეს წინ მისმა თვალებმა, თითქო თითონ შემოვიდაო ეზოში, ბოროტად მჭვრეტმა გველის თვალებმა. ძალა დავატანე ჩემს თავს, მოვიშორე გონების თვალთაგან უნდო სურათი და გავხვდე ისევ ჩემს კლდეს, იმედიანად მდგარ ურყევ ბუმბერაზს. კლდის ფერდობზედ ეხლაც თვალი დავკარი იმ წავაკებულ ადგილს მიუდგომელს, რომელზედაც შემრავლებულიყო მცენარე, ტანიც აეყარნა. რიგი ყვავოდა, რიგს თესლი გამოეღო, დაპურებულიყო. ჩიტუნები ისევ ირეოდნენ იქ. ნაჩვევი ვიყავი მათით შექცევას. ვუყურებდი, ვსიამოვნებდი: მახარებდა მათი ხალისი, ჟივილ-ხივილი, მათი ცელქობა; გულს მიყუჩებდა, ღიმილის გუნებაზედ მაყენებდა. მზის სხივებში ბანაობდნენ ჰაერის შვილნი მათი დრო იყო; სინათლე, სითბო, მარცვალო უხვობა, მწერთა სიმრავლე.

იმ წავაკებულს ზევიდან კლდის ბექი ჰქონდა წამომდგარი და მისი ქიმი ზედ დაჰყურებდა ამ მდელოიან ადგილს განცალკევებულს. ბექობ ზევით კლდე ისევ ციცაბოდ იყო აწეული, ნაპრალებიანი კლდე, ერთ ნაპრალიდგან გამოსრიალდა კლდის ფერადვე შეჭრელებული მცურავი და წამოვიდა სალის ქიმისაკენ, გაინაბა ქვის იქით, მთლად გაეკრა სიპს; ძლივსღა ვხედავდი; ოდნავ გამოყო ქვის გვერდით თავი და... ელდასავით დააწყდა ჩიტებს. დაფთხნენ შეძრწუნებულნი. ერთი მათგანი პირში შერჩა მტაცებელს. ჩანთქა საცოდავი. დაიღუპა სიცოცხლე წყეულისაგან.

- ეჰ, სხვა ბევრი დაენაცვლება დაღუპულს; მდიდარია ბუნების ძალა, ულეველი, ბევრეულ სიცოცხლის წარმომშობელი.

- მაინც არა იმისი, რომელიც დაიღუპა. გაქრა საუკუნოდ ის განკერძოებული ცნობიერება თავისებური, აღარ გამეორდება. მასთან მოისპო მისთვის მთელი ქვეყნიერებაც, ხეც ყოველ გაზაფხულზედ იმოსება ფოთლებით, მაგრამ მხოლოდ გულუბრყვილოს ეგონება, იგივე ფოთლებიაო ის. არა, ისინი მოისპნენ, მტვერს განერთხნენ, ნიადაგს შეერივნენ მიწის შვილები.

ზევითვე აცურდა გველი ნელ-ნელა. მზე ისევ დაჰყურებდა მდელოთა კორდსა. მთის ნიავი ისევ არხევდა ტანშეყრილ ბალახს, სხივები ჰქარგავდნენ ბჭყვრიალა სირმით ლამაზ ყვავილებს. მეორდებოდა და უსათუოდ დაჰკრავდა მიზანში ამოღებულს. გადანთქამდა დააცურდებოდა მზიან მაღლობზედ; სიამოვნებდა მზის მცხინვარე სხივებზედ, გვერდებს უცხუნებდა გახურებულ კლდეს, ლორწოიან გვერდებს გრილს. ბალღობისას უცაბედად ხელი შემიხია გველისათვის და იმ მკვეთრ გრძნობას დღესაც განვიცდი მის დანახვაზედ. იცი? ერთხელ პირისპირ შემეხო სიკვდილი, ვიგრძენი მისი ხელი ჩემს კანზედ და ისეთივე განცდა იყო ის ჩემთვის. გადავრჩი მაშინ, როგორც ბალღობისას გველის შემოხვევას: ღვთის შვილმა მიხსნა საკვირველის ოსტატობით, როგორც ბალღობისას რაღაც განგებამ.

სისხლი ყელში მომდიოდა ამ გველის დანახვაზედაც, მებრალებოდნენ მისი მსხვერპლები. რას ვიზამდი? ასვლა და ეშმაკეულის განადგურება არ შემეძლო: ფეხის მოსაკიდებელი არ იყო სალზედ. ტყვიით შეიძლებოდა მისი მოსპობა, მაგრამ... ბალღობაში რომ მჭერია თოფი, მერმე ხელი აღარ მიხლია იარაღისათვის. თუ ვიშოვიდი, მაინც კლდესაც ავაცდენდი, არამც თუ მასზედ წოლილ გველს.

და შევყურებდი ბოროტებას უღონო-ქმნილი, კარგის ვერ-მგონი. ასიც კი უნდა ვსთქვა, მაჯადოვებდა გრძნეულის ნადირობა. გამოვიდოდა ხვრელიდან, თვალებს უნებლიეთ მივაპყრობდი, მთელი ჩემი ყურადღება მისკენ მიექცეოდა, არც ერთი მისი მოძრაობა არ გამომეპარებოდა. როგორ ჭკვიანად მოქმედებდა, მიზანშეწონილად! ყოველ გამოსვლაზედ ახალ-ახალ ჰანგსა ხმარობდა ნადირობისას, ნელი და ფრთხილი მიპარვისას; მარჯვე, მედგარი თავდაცემისას.

”ხოლო გველი იყო უგონიერეს ყოველთა მხეცთა ქვეყანასა ზედა”.

გაიწაფა. დაბზინდა: ტყავი თუ გაიძრო და ახალ კანში მეჩვენებოდა. გაიზარდა კიდეც: დასქელდა, სიგრძე ემატა, მზეზედ თამაშობაც უფრო მოძრავი შეექმნა. ბევრჯერ ნახევრად წამოდგებოდა, ყელყელაობდა მაღლობიდან. რა შესაზარი იყო

ბოროტი! სურვილითა მსურდა მისი გაქრობა, დაუფიქრებლივ მივიდოდი მასზედ კეტით ხელში, თუ ბილიკის ნასახი შემემჩნია მასთან მიმყვანი.

* * *

- საით მიეშურები ეგრე, გამარჯვებასაც არ მეტყვი კარგ ნაცნობს?

- პეტრე შენ? უკაცრავად, გენაცვა: ტანისამოსზედ ვეღარ გიცანი, სახეზედ კი ვერ შემოგხედე. ძალიან ვეშურები, სამსახურში დამიგვიანდა. ბალღი გვყავს შეუძლოდ, იმას დავტრიალებდი.

- არა უშავს რა! ეხლა ხშირად ვნახავთ ერთმანეთს: თქვენი მეზობელი გავხდი, ბაიდრელაანთ სახლი ვიყიდე და იქ გადმოვალ ამ დღეებში.

- ალექსასი?

- ჰო! ცოტა რამ ემართა, სხვა ნაღდად ჩავაბარე და...

- კარგი სახლია! ხელი მოგიმართოს ღმერთმა, მშვიდობაში მოგახმაროს.

კანი გამოეცვალნა ყვითელს: მიხაკის ფერი მაუდის ჩოხა გრძელი; იმფერივე მოგრძო ახალუხი; ზევიდან ვერცხლის ქამარი, ესე ორი თითის სიპრტყე, მოოქროვილი, უგობაკო; წაყვითანო ხუჭუჭი ქუდი; საათის ძეწკვი ოქროსი, სუფთა წაღები გაკრიალებული, ტოტებჩამოშვებული ვიწრო შალვარი უფრო მუქი; კოხტად გაკრეჭილი წვერი. დარბაისელ მოქალაქეს დაჰმსგავსებოდა, სუფთად მცხოვრებელს, ისევ ისე მოქნილი ტანი თითქო უძვლო, მხოლოდ ცოტა შესუქებულიყო, დაბზინებულიყო, წელში უფრო გასწორებულიყო; ბატონკაცური რამ იერი მიეღო. დავემშვიდობე. გრილი თითები ჰქონდა ლორწოიანი.

არ მიამა მისი მეზობლად ჩამოსახლება. ჩემსა და მისგან შეძენილ სახლს შუა ერთი ქოხმახიღა იყო, ღარიბი დედა-შვილი სცხოვრობდა იქ. დედაც, ქალიც ნემსის წვერით გამოდიოდნენ. ვაჟკაცი მოჰკვდომოდათ, ჭერი დარჩენოდათ საკუთარი და დაჰყრდნობოდნენ მხოლოდ თავიანთ შრომას. ჩვენც გვიკეთებდნენ ცოტაოდენ საქმეს, გვეშველებოდნენ. ხელს ვატანდით რამდენადაც შეგვეძლო. უვაჟკაცონი იყვნენ ქალაქის განაპირას და უხაროდათ კაციანი მეზობელი. ბოლოს ძალიანაც შეეჩვივნენ ერთმანეთს ქალები, გული შეაწყვეს.

- ახ, ერთი მალე გავათხოვო ჩემი ფეფიკო! მაშინ თუნდ მოვკვდე, ჯავრი არაფრისა წამყვება, - იტყოდა ბაბალე.

- რა გული გაგტეხია, ჯერ ხომ ისევ ნორჩია ქალი.

- თუ კარგი კაცი შეჰხვდა, ფხიზელი და საქმიანი, იცხოვრებენ ღვთით: თითონ ფეფიკო ხელგამამავალია, ახლა საკუთარი ბინა და რა უშავთ. არც მე ვარ ჯერ საბყარი, სხვის შესანახი; ცოტას რამ ვარგებ.

ამასა ნატრობდა ქალის დედა. ამაზედ ოცნებობდა თვითონ ფეფიკოც, თუმცა ხმას არ იღებდა, როცა მის გათხოვებაზედ ვლაპარაკობდით განსაკუთრებული დარდი აქვს. ამ პატარა სახლობასაც, ყველა ხელმოკლე ოჯახის საერთო დარდს გარდა, ის აწუხებდა, რომ მათი სახლი დაგირავებული იყო. როცა ფულის შეტანის დრო ახლოვდებოდა, ჭირი უმრავლდებოდათ: ძნელი იყო ნაღდის წინადვე შეგროვება, დღიურად ძლივს გამოდიოდნენ; უნდა ესესხნათ და ნელ-ნელა გადაეხადათ თავნ - სარგებელი.

აი ამ პატარა ოჯახისა და ჩემ სახლის გვერდზედ ჩამოსახლდა ყვითელი პეტრე, ეხლა უკვე შეძლებულთ წრეში შეჭრილი, ფულით ძლიერი პავლეს ძე პეტრე. სულ რამდენსამე კვირაზედ გადააკეთა თავისი ახალი მამული. მორთო პატარძალივით. ჩეჩქივითა ჰქონდა ფული, არა ზოგავდა. ისე აცხოვრებდა თავის სახლობას, სიზმარშიაც ვერა ვნახავდი მისთანა ფუფუნებას.

- ხელის ჭუჭყია ფული; მიდის, მოდის, გზა-გზა კარგ ცხოვრებასა სთესავს. შნო უნდა გქონდეს თანხის მოგებისა, მისი ხარჯვისაც.

- მართალს ამბობ! თუ უნარი არა გაქვს, რას მოახერხებ?! მაინც მაითხარი, როგორ დაურუვე შენკენ ოქროს ნაკადულს?

- ქაღალდისას-თქო! მაგრამ ჰო! ჩემს ხელში ქაღალდის ფარატინიც ოქროს ფირფიტებად გარდაიქმნება თილისმის ძალით. რა ჭკუა აქვს ეხლა ან შინ დასტა-დასტა ქაღალდის დაგროვებას, ან ბანკში შეტანას?! ერთიც ვნახოო, გააუქმეს ქაღალდის ფული, ან მიითვისეს ბანკის თანხები.

- მაშ რა უნდა უყოს მდიდარმა ფულსა?

- ქონებად აქციოს: მამულები იყიდოს ქალაქში, - სოფლად მიწა აღარაფრად ღირს ჩვენისთანა კაცისათვის. - სავაჭრო საქონელი დაამზადოს ბლომად, ძვირფასი ნივთეულობა შეიძინოს. უნდა ატრიალო თანხა დაუსვენებლივ.

- მაინც როგორ მოიგდე ხელში დიდი ფული?

- გეტყობა, მოხელე ხარ, ქაღალდს ჩასცქერი. თავი აიღე, დალოცვილო, გაიხედ-გამოიხედე. იცი რა ხდება? ერთს თვეზედ შეიძლება გამდიდრდე. ჩემი დუქანი სხვას გადავეცი. ვგონებ, გითხარი, ის დუქანიც, სახლებიც ეხლა ჩემია. ისევ ფეხზედ ვაჭრობა დავიწყე ხან წვრილ-წვრილად, ხან ბითუმად. ბაქო, ბათუმი, ერევანი, კავკასია, თრიალეთი. რა ვიცი, სად არ დავდივარ, რით არა ვვაჭრობ. ცხვარი, ძროხა, ნავთი, ბოსტნეულობა, ერბო-ყველი, ღვინო-არაყი, თამბაქო, ხორბლეულობა, თუ ფქვილი... ეხლა მთელ გემ საქონელსაც ვყიდულობ და იქვე ვასაღებ ადგილობრივ, თითქმის უნახავად. ბევრჯელ რამდენსამე საათში მანეთზედ თუმანი მოდის. ჰაზრიანად კი უნდა ყველაფერი, ნახტომი არ შეგეშალოს, თორემ ხრამია ახლო უძირო. მაინც აუცილებელია გამბედაობა, თავხედობამდის მისული გამბედაობა! - სთქვა პეტრემ.

და აუბზინდა თვალები, აუთამაშდა თვალთა ბაიაში მცურავი ცბიერებისა დაუნდობელი. შემეზარა. ხომ არ შევიმჩნევდი: ძლიერი კაცი იყო, მთელ ჩვენ უბანში

სხვა არავინა სჯობდა ეხლა იმას შეძლებით და შეუპოვარი გამჭრიახობით; ვერც მოხერხებით და მოქნილობით. არც მიზეზი მქონდა მემჟღავნებინა სიძულვილი: სიავკაცე არ მიუძღოდა ჩემ წინაშე.

გაუჭირდაო ბაბალეანთ: ფული დასჭირდათ. მიმგზავნეს პეტრესთან. როცა ვუთხარი, რამდენი ფული უნდოდათ, სიცილად არ ეყო. ეგ რა ფულია, ერთი დღის საგძალიო. მოიხმო დედაკაცი, უთამასუქოდ ჩააბარა ფული.

- რა ქაღალდი მინდა, ან რა სარგებელი?! მეზობლები ვართ და ესეთი ხელის გამართვა უბრალო საქმეა. არა, კეკუციჯან? - მიუბრუნდა თავის ცოლს.

- ოღონდაც! ამისთანა პატარა საქმეში თუ ვერ ვენდობით ერთმანეთს, მაშ რაღა მეზობლები ვყოფილვართ?! - დაუკრა კვერი კეკომ.

და ხელები გაპარჭყა, ალბათ იმისთვის, რომ დაკვლანჭილ თითებზედ აელაპლაპებინა ძვირფასი ბეჭდები. მერმე რამდენი, ღმერთო ჩემო! ზღაპრულმა მელამ რომ კუდზედ აისხა ბეჭდების გროვა, კუდის წვერამდინ, ის გამახსენდა.

- მაინც მეხათრება.

- მაშ ხელსაქმეს გაგაკეთებინებთ და გამოგიქვითებთ: მიქეს შენი ქალი, კარგი მკერვალიაო.

შეიჩვიეს მადლიანი ქალები პეტრიანთ. მეც შევეჩვიე, თითქმის მივენდე. ისევ ვხედავდი გველს მის თვალებში, მაგრამ ამას მხოლოდ ჩემს კერძო განცდას ვაწერდი, რომელსაც არავითარი ფუძე არა ჰქონდა სინამდვილეში.

* * *

ცხოვრება კი თანდათან ძნელდებოდა. ფასები ზღაპრულად იწევდნენ ზევით. ქალაქ ადგილას მხოლოდ ვაჭრებს და მტაცებლებსღა შეეძლოთ გაჭივრებულ ყოფასთან გამარჯვებულად ბრძოლა, ან რა ვიცი, ერთობ მოხერხებულებს. იწყეს ქონების გაყიდვა, რომ შიმშილით არ ამოხოცვილიყვნენ. შიშით და ძრწოლით ვუყურებდი მომავალს; ველოდით, ძირს მოგვითხრიდა ხვალინდელი დღე. რა ადვილად! ჩვენ ხომ ღრმად არა გვქონდა ფესვები გამდგარი, ძლივს მოვკიდებოდით კლდეს. ერთი შერყევაც და მოვსწყდებოდით ნიადაგს, უფსკრულისაკენ დავეშვებოდით.

ჩვენ მეზობელ ქალებს კი თითქო უფრო გაუშუქდათ: პეტრიანი ხშირად აძლევდნენ სამუშაოს და კარგ ფასებში; ყვითელი ძალიან ხელს უწყობდა მეზობლებს.

- ალბად ებრალება. გულკეთილი თუ არის, თუმცა გველი უთამაშებს თვალებში, - ვფიქრობდი.

და მრცხვენოდა ჩემი საკვირველის განცდისა. როგორ გავამხელდი იმ გრძნობას?! ჩემი მაიკოსათვისაც არ მითქვამს. შეურაცხჰყოფდა კაცს ჩემი განცდა, მთლად უდანაშაულო ადამიანს. რომ გაეგოთ ეს ჩემი შთაბეჭდილება, იქნება კიდეც

შემკრთალიყვნენ; შეიძლებოდა, აღარც კი გაჰკარებოდნენ იმ ოჯახს. ცოდვაა, კაცზედ აუგი სთქვა, აქაო-და შენზედ ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს ის: მისი საქმეებით შეაფასე ადამიანი; ნაყოფათ იცნობების ხეხილი.

ვცხოვრობდით. ვიბრძოდით ლუკმა-პურისათვის. ეხლა ერთითა პურითა სცხონდებოდის ადამიანი, ცარიელი პურით; სატანაზედ ოცნება შეუსაბამო შეიქნა. უზომოდ მძიმდებოდა უღელი ყოფნისა, იღარებოდა წახრილი ქედი, იცრცნებოდა, ადგილ-ადგილ კიდეც სკდებოდა. ცხიმი არსად იყო, წაგეპოხა გაღვერილი ტყავი.

მაინც არა უშავდა რა: ვიწროებში ვიყავით, ფართო გზისაკენ მივისწრაფოდიო, ჭრელ-ჭრელი ოცნებით. ეხლა კი ვგვანდით ფრინველთა ცისათა, რომელნი არა შეიკრებენ, და მწირობის ჟამს შიმშილით იხოცებიან. ზამთრის დღეებში, ბუნების სიცარიელის ჟამს, თორემ ეხლა რა უჭირდათ ბედნიერებს: ყველა ხეზედ თუ ბალახზედ საზრდო მზამზარეული, ბუჩქებში თუ მდელოთა შორის ბინა უშურველი, ყველგან სითბო და სინათლე სამხიარულო.

ბედნიერები იქნებოდნენ ეს ჩიტუნებიც, კლდის წავაკებულზედ რომ იკრიბებოდნენ, მდელოთი დაფენილ მიუვალ ადგილას, თუ წყეული არ შესჩენოდათ იმათ დაუძინელ მტრად. რა დაიგეშა! გაალაგა საცოდავები! მე მხოლოდ კვირა-უქმეში მქონდა დრო მეთვალიერებინა. უთუოდ გამოინადირებდა. ჯავრი მამდიოდა მის დანახვაზედ, თან მოვჯადოვდებოდი და თვალს ვერ ვაშორებდი მის თვითეულ მოძრაობას. ზღაპარშია ნათქვამი:

”მოფრინდებოდის დღე ყოველ გველეშაპი ფრთოსანი და ჩანთქამდის რჩეულთაგანს კაცთა შორის. კაცნი იმა ქვეყნისა უმწეონი იყვნენ წინაშე გველეშაპისა მის და განიგდიან თვის შორის წილი. ზვარაკად დადებულსა მას სციან ჭამადი ფრიად, ჩააცმევდიან ბისონსა; უმღერდიან და უგალობდიან”.

საწყლები! ალბათ არ იცოდნენ; იმისთანა მობყრობა ბევრად გააღრმავებდა ტანჯვას განწირულისას.

ჩიტუნები თითონ არ ირჩევდნენ თავის შორის მსხვერპლს, თვითონ გველი იბყრობდა თავის ზვარაკსა. არც იცოდნენ გულუბრყვილოებმა განსაცდელის აუცილიბლობა. არ ვიცი, ალღო ვერ აართვეს, თუ ახალ-ახალნი მოდიოდნენ და ძველებსაც იტყუებდნენ თავიანთი უზრუნველი ჭიკჭიკით თუ ხტომა-ცელქობით.

გამოვიდა ჭრელი. ნაჩვევი გეზით წავიდა, ქიმზედ რომ ქვა იდვა, იმის პირდაპირ. გადაეშვა ელვასებურად. წყალწყალა მოჰხვდა, საბრალო წყალწყალა!

- დახელოვნდა წყეული! - ვიფიქრე.

იმისთვისა ვთქვი, რომ ეს ჩიტუნა უფრო მარდი იყო, ფრთხილი და დაუდგრომელი. პირველად იგემა გესლიანმა ლამაზი. შევბრუნდი შინ თითქო კმაყოფილი, რომ დღესაც ვნახე ჩემი სანახავი, თან შემძიმებული: ვაჟკაცი ვიყავ, ღონე კი არ მქონდა მომესპო ეს საცოდავობა, ზედ ჩემი ეზოს წინ რომ ხდებოდა, ის ბოროტება.

ძალიან ჭკვიან არსებად მიმაჩნდა ეხლა მე ჭრელი და მით უფრო საშიშრად, რამდენადაც გესლიანი იყო ის და ულმობელი.

- რახან გადავდგავ ნაბიჯს მის საზიანოდ, უნდა კიდეც გამიმარჯვდეს და მთლად მოვსპო ის, თორემ ამემტერება, ჯავრს ამოიყრის: ჩამოცურდება ღამე, დაეხვევა ბალღის აკვანს თუ ლოგინს და დამიგესლავს პატარებს. რა გაუმაგრდება ამისთანა მტერს?! კარ-ფანჯარის აფრაკ ადგილიდან შემოსრიალდება, უჩინარ რამ ხვრელით შამოვა, ვფიქრობდი შემკრთალი.

და ვცდილობდი არ მიმექცია ჩემზედ ბოროტი ქვემძრომის ყურადღება, მტრად არ გადამკიდებოდა, წყეული. გოგირდს თუ ათასგვარ სხვა წამალს ვაყრჩოლებდი ეზო-ყურეში, მცურავისათვის არასასიამოვნო წამალს, რომელსაც კი ვინმე მირჩევდა.

იწურებოდა ზაფხული, მალე მთლადაც დათავდებოდა. ჯერ ისევ ცხელოდა, მაგრამ მაინც შეეტყო ბუნებას გახუნება: ბოროტი სიბნელე თუ დაძრულიყო ჩვენის ქვეყნისაკენ სითბო-სინათლის გასადევად, ბუნების კეთილ ძალთა შესაბორკავად, წყვდიადით, ყინვით ხალხთ საწამებლად.

ლამპარი ანთებული გვქონდა. ტახტზედ ვიჯექი ბალღების შუა. შემოვიდა მაიკო აღელვებული.

- ცოტახან აქ გამოდი!

- რა იყო, რა ამბავია? - მივაძახე შეშინებულმა.

მეგონა, გველი ჩამოსრიალდა ჩვენს ეზოში. გავყევი. ხელი დამიჭირა, ბაბალეანთკენ წამიყვანა.

- დახე, რაღაც უბედურებაა ამ საწყლების თავს - მითხრა ჩურჩულით.

ლამპარი ენთოთ. ფარდა ჩამოუფარებელი დარჩენოდათ. დედაკაცი მოსთქვამდა უსიტყვოდ, ირხეოდა ტახტზედ ჩამომჯდარი, გადად-გადმოდიოდა; ხელებს ასავსავებდა შიგადაშიგ, ბრჭყალებად მოხრილ თითებს ბუწუწებზედ ჩამოისვამდა. ფეფიკო ტახტზედ მიგდებულიყო და ცდილობდა ხმა-ჩაწყვეტით ექვითინა; მხრებს აყოლებდა, თავს აწყვეტდა.

- შევიდეთ! მივეშველნეთ!

- რას ამბობ?! ჰხედამ, ისეთი ავი წაჰკიდებიათ, თავიანთ თავსაც უმალავენ. თუ შველა შეიძლებოდეს, თუნდა ნუგეში, დაგვიძახებდნენ.

ჭკვაში დამიჯდა ნათქვამი; მაინც ჰაზრიანი იყო ჩემი მაიკო. ცოტა ხანს კიდევ ვუყურეთ მეზობლის უხმო ვაებას და გამოვბრუნდით. ფარდაც ჩამოაფარა დედაკაცმა.

- ჰა, ქალო, რა გგონია, რა უბედურება დაემართებოდათ?

- ვერაფერი მოგიფიქრია, ალღოთი მაინც ვერ მიმხვდარხარ?

- ვერა!

- მე კი წინადვე ვგრძნობდი მაგათ უბედურებას, თითქმის ვიცოდი: სარკეში ვხედავდი.

- მაინც?

- ყვითელს ცოლ-შვილი შინ არა ჰყავს. ფეფიკო კი წინანდებურად დადიოდა მის სახლში: პეტრეს ცოლს დაევალებინა რამეების შეკერვა; ეთქვა, ოჯახსაც ხანდისხან მიხედეთ, ხომ იცით, ვაჟკაცი შინა საქმეში შეუგნებელია, მსახურებს კი ადამიანი ვეღარ ენდობაო. თითონ ბაბალემ მიამბო ეს. სანდო არ არის ის კაცი: შემიმჩნევია, როგორი ნდომით უყურებდა ქალს.

- შენა გგონია, გველმა დაიჭირა საბრალო წყალწყალა? ეჰ, სხვაზედ წაველ. გგონია, ხელში ჩაიგდო გაქნილმა გოგო?

- რა ვიცი?! რაღაცა საიდუმლო დარდი კი დაატყდათ თავს ამ საცოდავებსა და...

* * *

ამ შემთხვევების შემდეგ დადუმდა ბაბალეს პატარა ოჯახი, გაწვა, გაიტრუნა. ველოდით, გვეტყოდა დედაკაცი თავის დარდს, გაგვიზიარებდა თავის გაჭივრებას, რომ საქმით თუ ვერა, სიტყვით მაინც გვენუგეშებინა კარგი მეზობელი. ამაოდ: სიტყვა არ დასძრა იმ შემთხვევაზედ. სხვანაირად დაგვიწყო მზერა, ეჭვიანი თვალით. ფეფიკო ათასში ერთხელ გადმოირბენდა ჩვენთან და მაშინვე გაიქცეოდა, პირდაპირ არ შემოგვხედავდა. პეტრიანთან მთლად ამოიკვეთა ფეხი. იმათ სახლიდან აღარც სიცილი გაგვიგონია, აღარც ხმამაღლა საუბარი ხალისიანი. წინად კი იმათ კერაზედაც იყო შვების წუთები, გულახდილი სიცილი თავისუფალი. რა ვუყოთ, რომ ღარიბები იყვნენ, დაჩაგრულები?! საწყალსაც შეუძლიან სიცილ-ხალისი, თავის პაწაწა კმაყოფილების დაჩენა წუთიერი.

- სწორედ მართალია ჩემი ეჭვი: თუ სხვა რამ უბედურება მოჰხდომოდათ, ესე არ გაჩუმდებოდნენ, პირში წყალს არ ჩაიგუბებდნენ.

- ვატყობ! ხმასაც აღარ იღებენ ყვითელ პეტრეზედ, სრულებით აღარ ახსენებენ იმის სახელს.

- აღარც მეზობლობა აქვსთ იმასთან. ქალი ეხლა ქალაქში ჩადის სამუშაოდ. შორს რად წავიდოდა უმიზეზოდ, როცა კარზედაც ბევრი ჰქონდა ხელსაყრელი ხელსაქმე?!

- წინად კი ხანდისხან სადილადაც იმათთან რჩებოდა.

- ალბათ იმან დაღუპა საცოდავი: მაგარ სასმელს შეაპარებდა ან ბანგსა და...

- რა იცი, იქნება ფული დაახარბა: ჩეჩქივითა აქვს ნაღდი.

- არა მგონია! მაშინ აღარ ატყდებოდა ბაბალე, სახლი უნდა გავყიდოვო: შეეჩვევოდნენ თავიანთ ყოფას და ქონების გაუყიდავადაც კარგად იცხოვრებდნენ. არა, პატიოსნები არიან საწყლები; მხოლოდ უბედური რამ შემთხვევა ეწეოდათ.

ვეჭვობდით. ნამდვილ კი არაფერი ვიცოდით. პეტრეს ქცევას არ ეტყობოდა რამე ცვლილება ბაბალეანთ შესახებ. არც ეცალა ყვითელს ამისთანა წვრილმანისათვის. ვაჭრობდა, იჯარადრობდა, სცვლიდა საქონელს. ციბრუტივით დატრიალებდა. ახალ ნაყიდ სახლსაც საფუძვლიანად აკეთებდა, სულ სხვა სახეს აძლევდა. ფულს აღარც კი სთვლიდა: დასტა-დასტა ელაგა ჯიბე-უბეში. ალღო აერთვა ცხოვრებისათვის და მარჯვედ ასდევდა მის მღვრიე ტალღებს მცურავი გამოცდილი, ყველა ფანდის მცოდნე. მორევისა თუ ჩანჩქერის, საფერ ყველა ყაიდისა. ისე დატენა სარდაფები, საძრაობა აღარა ჰქონდა საქონელს.

- ძლივს დავითანხმე ბაბალე სახლის გაყიდვაზედ. ნეტა რად უნდოდა? მაინც ხომ ვერ შეინარჩუნებდა ამ საშინელ სიძვირეში: ვერ შესძლებს იცხოვროს ნემსის წვერით. სჯობია, დროზე მოიშოროს, - მომმართა პეტრემ.

- ძალიან გაუძნელდებოდა გაყიდვა: შვილივით უყვარდა ქოხმახი.

- გაუძნელდა. იტირა. მაინც გადაწყვიტა. ქალიც ძალიან დაღონდა. თითქო მტრულად დაგვიწყეს ყურება. მე კი მხოლოდ სიკეთე მინდა მათთვის.

დავაკვირდი პეტრეს ნათქვამს. ყველა მისი სიტყვა გათვლილი იყო. გრძნობდა, შევატყვეთ, როგორი უნდობლობა ჩამოვარდა ბაბალეანთა და მათ შორის, თითქო მტრული განწყობილება, და ცდილობდა ჩვენი ჰაზრი სხვა მხარეს მიემართა; ჰსურდა, გვეფიქრა, რომ მათ შუა უსიამოვნების მიზეზი სახლის გაყიდვაზედ საუბარი იყო. ისეც კი შევატყვე, რომ ნათქვამიდან არაფერი იყო მართალი: თითონ რომ დინჯად ამბობდა, დაჭეშმარიტებით, მისი თვალები სულ სხვას მეუბნებოდნენ, მათში ათამაშებული გველი მაცთუნებელი.

- იმისთვის ვაძლევ ღირებულებაზედ ბევრით მეტს და ფულს არა ვზოგავ, რომ ჩემთვის ძლიერ მარჯვეა და საჭირო ეს პატარა ადგილი: მინდა ლამაზი სასახლე ავაგო, ზევიდან დავამშვენო ჩვენი თბილისი. ესე მოზდილი ადგილი დამჭირდება, ამოდენა, - სთქვა პეტრემ.

და ხელი ისე შემოავლო ჰაერში, ჩემი სახლიც მთლად შიგ მოჰყვა, თან დაკვირვებით შემომანათა მოუსვენრად მოთამაშე თვალები უქუთუთო. მოვუწონე განზრახვა. გულთმისნობაც შევუქე ფიქრში: ჩვენ, მე და ჩემს მაიკოს, ჯერ არაფერი გვეთქვა ჩვენი სახლის გაყიდვაზედ, არ გაგვემჟღავნებინა ეს დარდი ერთმანეთისათვის, მაგრამ უსიტყვოდაც დარწმუნებული ვიყავით, რა აუცილებელი იყო ეს ჩვენთვის ამისთანა გარემოებებში. თურმე ისიც გათვლილი გვქონდა, რომ ადრე თუ გვიან ჩვენი სახლიც ამ ახალი ძალის ხელში გადავიდოდა. ალბათ მოგვაჯადოვა იმ კაცმა. თითონ ხომ მთლად დარწმუნებული იყო ყვითელი, რომ აისრულებდა წადილს. სანადიროდ გამოსულ გაგეშილ გველს ვერ დაუსხლტებოდა მიზანში ამოღებული ვერც ერთი მსხვერპლი. ფულით ძლიერ პეტრეს რა შეუშლიდა ხელს თავის სურვილის ასრულებაში.

დამაღონა პეტრეს სიტყვებმა, თითქო შემთხვევით ნათქვამმა მისმა; არც თუ დამაღონა. მენანებოდა უკვე განწირული ჩემი სახლი; არც თუ მენანებოდა. სიტყვაც ხომ არ უთქვამს ცხადად, მხოლოდ მანიშნა. კარგი შემთხვევა იყო ჩემთვის: დიდ ფასს ავიღებდი და ნაღდად. გაყიდვა მაინც არ ამცდებოდა: ზევ-ზევით იწევდა ფასები ყველაფერზედ, მე კი საზრუნველი უფრო და უფრო მემატებოდა.

* * *

- ბაბალეანთ კიდეც დაუჭერიათ ბინა ანჩხატის უბანში. მიწის პირადა სდგას ოთახი, მაგრამ სანთიანი და ნათელი არისო. პეტრემ თურმე თითონ ითავა მთელი საქმის წარმოება. ბარგსაც მე გადაგიზიდინებო, შეჰპირებია.

- რატომ! ცხენები ჰყავს და ეტლებიც აქვს, მადლიც იქნება დაეხმაროს.

- იცი? კარგი კაცი მოჩანს ეგ პეტრე: ფულის მოგება რომ იცის, ხარჯვაც ეშხიანად სცოდნია. შეეძლო ერთიორად ნაკლებ ფასში ეყიდნა სახლი, მაგან კი დარდიმანდულად გადააპნია ფული.

- მეც ეგრე მოვიქცეოდი. მაგისთანა შნო რომ მქონდეს ფულის მოგებისა.

- შენ იზამდი, სხვა არა. რაც უფრო მდიდრდება კაცი, იმდენად უფრო ძუნწდება, კრიჟანგი ხდება, სისხლის მწოველი.

- ჰაზრიანი კაცია პეტრე, მოხერხებული. ალბათ ეხლანდელ დროს აღარ შეჰშვენის ისეთი სიძუნწე; დრო თუ უთხრობს, ხერხივით გაჰქონდეს და გამოჰქონდეს კაცს, თავისაკენ ერთი ათად მეტი, რა საკვირველია.

- ეგრე გგონია?

- დარწმუნებული ვარ, რომ აქაც მაგისი გულუხვობა გაანგარიშებულია და გათვალისწინებული, თუმცა არ ვიცი, რა გზით და როგორ.

- ძალიან ხელსაყრელად კი გაყიდეს ბაბალეანთ სახლი; სხვა მაგისთანა მუშტარს ვერ იშოვნიდნენ.

დავრწმუნდი, ჩემს მაიკოსაც უიმედოდ მიაჩნდა სახლის შენარჩუნებაზე ზრუნვა, უსარგებლოდაც, რაკი ამისთანა შემთხვევა მოგვდგომოდა კარს. დავღონდი. გონება მეუბნებოდა, ნუღარ ეწინააღმდეგები მოსულ შემთხვევას, მხოლოდ რაც შეიძლება მეტი ისარგებლე, შენკენ გადახარე ბედის სასწორიო; გული არ ემორჩილებოდა ფიქრს, კვნესოდა, როცა წარმოვიდგენდი, რომ სურვილით შეძენილი ბინა ხელიდან უნდა გამეშვა. მაგრამ რა შუაში იყო აქ გრძნობა?! აღებ-მიცემა ხდებოდა ჩემთვის სასარგებლო და უნდა დავმორჩილებოდი ანგარიშს.

დაღონებული შევყურებდი კლდეს. ჩაფიქრებული იდგა შუბლ-დაღარული. საუკუნო ფიქრს მოეცვა მისი გონება, სამარადისოს. იმ ჟამს ვეღარა ჰხედავდა უზარმაზარ ქალაქს, რომელს ტალღები შეერტყორცა მის ფერდობებზედ; ვერა

გრძნობდა დაუდგრომელ ცხოვრების დენას, რომელიც დუღდა და გადმოდიოდა. მისთვის ჭიანჭველათა ბუდე თუ იყო ეს, სად ფუინი გაჰქონდა მწერს თვალთუჩინარს.

- ნუ შეაშფოთებ, ჭიავ უმწეოვ, დიდებულ ბუმბერაზის ყოფას გარინდებულს, ნუ დაარღვევ მის ყუჩილს საუკუნოს! იცის ძლიერმა: მხარებს შებერტყავს ჟამითი-ჟამად, საუკუნეთა უწყვეტ დენაში, და მტვრად იქცევა მის კალთებზედ ნაგები ყველა, გრიგალის საზიდ კორიანტელად. არც ის იცოდა ეხლა ღრმად ჩაფიქრებულმა, რომ ყვავილნი იშლებოდნენ მის ახოვან მკერდზედ, სირნი ხარობდნენ, გველნი ავობდნენ, მხეცქმნილნი კაცნი ერთმანეთს სჭამდნენ. ეს ყველა სხლტებოდა სალ კლდეზე ღრმად ჩაფიქრებული ბუმბერაზისა. ვინ სცნას მისი ფიქრი საუკუნე?! ვინ განსჭვრიტოს რას ჰხედავს იგი თვის სიმაღლიდან, რა მომავალსა?!

ძალიან ცხელოდა. თუმცა შემოდგომის დღე იყო. იცის: უკანასკნელად გაიბრძოლებს სიცხე და... შემოდგომის დღე ზაფხულისას გადააჭარბებს. ფრინველები ჯელგა-ჯელგა დანავარდობდნენ. ბარტყებიც მთლად დაზრდოდათ, დედა-ჩიტებში ვერ გამოარჩევდით. ხალისობდნენ ერთად, ქეიფობდნენ, ზეიმობდნენ თავისებურად. კლდის წავაკებული უეცრად აივსო ფრთოსან სტუმრებით: დაპურებულ ბალახს ეწვივნენ. მწარედ გამეღიმა: თითონვე მოდიან-მეთქი მტაცებელთან, ვინ იცის, მათში რომელია განწირული.

დღეს დაიგვიანა მცურავმა. თუ ეძინა გესლიან სიბოროტეს მიუვალ ხვრელში; ან იქნება სიამოვნებდა მსხვერპლთა ჭიკჭიკით. მუსიკასავით შეესმოდა მათი ჟღივილი, ხორცთა მატკბობელ შეწყობილ ხმებად. საკვირველია: მწყინდა, რომ იგვიანებდა; გულს შემაკლდებოდა, თუ არ გამოსულიყო, ბოროტსაც ეჩვევა საცოდავი გული კაცისა. გამოვიდა. ყელი მაღლა აიღო, მიიხედ-მოიხედა. გააღო საშინელი პირი, ენა გაალავლავა ორკაპიანი. მყის გაეკრა სალს. მსწრაფლ გასრიალდა. პირდაპირ გადაეშვა და... საწყალი ჩიტუნები! ერთს რომ პირი სტაცა, მეორე ტანის ხლართში მოიყოლა, ანაზდად შეკრულ რგოლში ტანისა. მაგრა თუ შემოესალტა ბეჩავს, რომ პირს აღებდა, უძრავად შეჩერებული. გადანთქა ერთი, მერე მეორეც. აცურდა ზევით. მორთო სისინი. გაიშხლართა გახურებულ ფიქალზედ. თბებოდა, სტკბებოდა, ტანს აღელვებდა.

საშინელი ჯავრი მომივიდა, ბრაზი უღონო. მზისა სინათლე და სითბო სანეტაროდ ამ გესლიანსა! სიცოცხლით სავსე ლამაზი არსნი გამოსაკვებლად დაუნდობელსა! ვინ სთქვა, ბოროტსა კეთილი დასძლევს, ბნელსა განდევნის ნათელთა სხივი?!.. რად შეივრდომე, კლდევ ფიქრიანო, ბნელის ნაშენი.

- რაღა ძალიან ჩაფიქრებულხარ, გადაწყვიტე და გაათავე! - მომესმა პეტრეს ხმა და გამომარკვია.

ვიცოდი რაზედ მეტყოდა მეზობელი; ვგრძნობდი, აუცილებელი იყო მისი ნება, ბედისწერასავით შეუმართებელი, და მორჩილად ვუპასუხე:

- კარგი! ადრე თუ გვიან ხომ უნდა შეველიო ამ მამულს და რაღად გაუშვა მარჯვე შემთხვევა?!

- იმისთვის გეუბნები, ჩემო გობრონ, რომ სხვაგან უნდა წავიდე კარგახნობით და ბარემ გაგითავებთ საქმეს ბაბალესაც, შენც. რახან ვაკეთებ საქმეს, მინდა საფუძვლიანად გავაკეთო, ფართოდ გავწიო. ფასი?

- რა უთხრა? იცი, რაც დამიჯდა ეს მამული და ეხლა ხომ ფული ერთი ხუთად იაფია.

- ერთი ათად და მეტადაც, ჩემო კარგო! ვიფიქრე მაგაზედაც და აი ჩემი ფასი. დამტკიცებაზე და საქმის წარმოებაზე ხარჯი სულ ჩემია. ბაბალეანთაც ვუთხარი მათი სახლის ფასი. თქვენ მარტო ხელს მოაწერთ. ფულს ეხლავე გაბარებთ ნაღდათ. სიტყვას დავაგდებ, ბარგი გადაგიზიდონ ჩემმა ბიჭებმა. ისეთი თანხა დამისახელა, მე თავის დღეში ვერ გავბედავდი, იმდენი მომეთხოვნა. ჩემი მაიკოც კარებში იდგა. მარჯვენა ხელი ყბაზე მიედვა, მარცხენაზე ნიდაყვი დაეყრდნო და ისე გვიყურებდა დაფიქრებული. დავთანხმდით. რა გვეთქმოდა?!

ერთის დაკვრით მოგვსპო, ჭრელმა პეტრემ ჩვენ და ბაბალეანი. როგორც ყვითელმა გველმა წყვილი ჩიტუნა. რა ლბილად! რა ძლიერად! კმაყოფილი წავიდა სოვდაგარი თავის სახლისაკენ, ნელ-ნელა მიცურავდა ტანის ოდნავ ხლაკვნით.

- ცხოვრების ტაბლა მაგათი არის, ყვითელი გველისა - ჭრელი პეტრესი! - მომესმა მკვეთრად.

მეც ესე ვფიქრობდი.

გონების სარკემ უეცრად დამისახა ბალღობისას ნანახი სურათი:

ცხელოდა საშინლად. ცამოწმენდილზე გაჩნდა ფრთაწათეთრო ღრუბელი გულშავი. ანაზდად გადაეფინა კაშკაშ ლაჟვარდსა; კაკლის ტოლა სეტყვა წამოვიდა. ყინვის გულა ხტოდა, ცეკვავდა ხმელ ნიადაგზე. ქარბუქი, ღვარი. არემარე თან წამოიღო. გადიდარა. გორის ძირას ზვინი დამდგარიყო ღვარის ნაზიდი ქვიშისა, თუ ქვის ნალეწისა და მის ნაშალში უზარმაზარი გველი გაშხლართული, ამობრუნებული. სეტყვამ თუ მოასწრო და ჩააქვავა, ღვარმა თუ ზიდა გესლით აღსავსე.

- ჭრელსა პეტრესაც, იმ ყვითელ გველსაც ღვარი მოუსპობს ყოფას გესლიანს, ღვართქაფის ძალა, ხალხთა ტალღები!

- ვინ იცის, ვინა?!

1919წ.

# ყვავილი მიმომავალი

## 1

ისე გარდივლის ზოგი არსი ცხოვრების არეს, როგორც ვარსკვლავი მოწყვეტილი ცის კამარაზედ. გაავლებს კვალსა წამს გაშუქებულს და განქრება, განქარდება საუკუნოდ; არრად იქცევა მისი სახე ლამაზად ქმნილი.

არა! დასტოვებს თავის აჩრდილს ტურფას, ხსოვნაში ვინმე მეოცნებესი, რომელი შეჰმზერდა მაშინ ნათელის ბინდით ალაჟვარდებულ ცას: ის ეტრფიალა იმ უხანო მნათობს წამიერს, არა სხვა ვარსკვლავთ, მტკიცედ რომ უბყრიათ სამყაროში თვისი ადგილი, სამუდამოდ, დაულეველ ჟამთ დალევამდინ.

უმზერ იმ ადგილს, სად განქრა ნათელი იგი წუთიერი, და ვეღარ ჰპოვებ თვით ნიშსაც გარდასრულისას, საფლავის ნასახს; მთლად წაშლილა სამარე მისი ლურჯ კაბადონზედ უსაზღვრო ცისა.

არა! აქვს ბედშავს ცის სივრცეში სამარე თვისი მთლად უჩინარი, მეოცნებისთვის ნათლადმჩინარი: მის ხსოვნაში მკაფიოდ არის აღნიშნული საბედისწერო ადგილი იმ მოციაგის არარად ქმნისა.

აღარ არის იგი მნათობი ეთეროვანი... იყო კი! ნაზი შუქებით აცისკროვნებდა იგი იმ არეს, სად გარდეფურჩქნა ლაღ ბუნებას ის მშვენიერი, სახიერი, ზრდილი, ნარნარი. ყვავილი იყო იგი მიწისა, ცის საუკეთესო ძალთაგან თხზილი, ცხოვრების გზაზედ დასაღონად აღმოჩენილი...

## 2

– როგორ ნაღვლიანად დაჰყურებს მოსთვლილ ყვავილებს თითონ ყვავილი ახლად ფურჩქვნილი! რამ დააღონა და ჩააფიქრა სიცოცხლით სავსე ნორჩი ქმნილება?!

– ბევრჯერ შევნიშნე ნანოს თვალებში სევდა-ღიმილი, ცრემლების ნამით გარმოდებული.

– ნანო ჰქვიან?

– ნანოი! კარგა ხანია ვიცნობ მე მაგ ქალს. ბევრჯერ უნებლიეთი ოხვრაც ამოჰხდენია ლამაზ მკერდიდან, ტკბილის სიამით რომ უნდა იყოს სავსე, ღელვილი. უსაგნო არის მუქი ჭმუნვა ნორჩ არსებაში...

– ვინ იცის! რთულია ადამიანის ბუნება, ღრმა არის მის გრძნობათა საგუბარი. მეც მუდამ ჩაკვირვებულსა ვხედავ მაგ ქალს, ლამაზ კაეშნის ნისლით მობურულს: გამოვა ყვავილოვან ეზოში, დადის მარტოდმარტო თითონ ყვავილი სიტურფით სავსე... მეგონა, მხოლოდ მე მეჩვენება ეგეთი სახით.

– მეც ეგრე ვხედავ! მამწონს ეგ ქალი, მაგის კალთაზედ ვარ გამობმული, მაგრამ რომ მივუახლოვდები, არშიყობის მაგივრად, გიჟურ აღტაცების ნაცვლად, გაურკვეველი სევდის ბურუსი მეხვევა მეც გულს; მძიმე, გარნა ძვირფასი დარდის აჩრდილები დამტრიალებენ. მასაც თავს ევლებიან იგი აჩრდილნი მუქ-ფრთებიანნი: მინახავს მე ისინი მის მტკიცე შუბლზედ, სხივთ კულულებით გარმოდებულ მის ლამაზ თავზედ.

– ჭაბუკი ხარ ჯერეთ მთლად ნორჩი და როგორ შეიძლება შენმა მიახლებამ არ განუფანტოს ქალწულს ფიქრთა-ბურუსი?

– არ ვიცი! მინდა მოწიწებით ვემთხვიო მას სარტყელის ფოჩებზედ და ვანუგეშო. მაგრამ რად, რის გამო?! არავითარი დარდი არ უნდა ჰქონდეს მშვენიერს.

– მე კი მეგონა, დარდით დასერილი ჩემი გული უნებლიედ ჰფენს მის ნათელ არსებას სევდის საბურავს, მისთვის, მთლად უფერს...

ესე უბნობდნენ ხანში შესული კაცი და მთლად ახალი ჭაბუკი. ისინი დაკვირვებით უმზერდნენ ღობის იქით აივნის მოაჯირზედ დაყრდნობილ ქალწულს, რომელიც დაფიქრებული დაჰყურებდა დაღონებული თვალებით ყვავილთა ბუნჯგალს ახლად დაკრეფილს და თითო-თითოდ არჩევდა, ათვალიერებდა. ვაჟკაცები აქეთ ეზოში იყვნენ, ღობის გადმოღმა, ხის ქვეშ. მაგიდას მოსხდომოდნენ წიგნებით სავსეს. ქალი ვერ ამჩნევდა, რომ ის იყო მათი მზერის საგანი, მათი საუბრისა: გაფოთლილი ხის ხშირი ტოტები თუ ჰფარავდა მისგან მოსაუბრეებს.

## 3

ხნიერი კაცი საზაფხულოდ იყო მოსული სააგარაკო ადგილას, ახალგაზრდა იქაური იყო, იმ დაბის მკვიდრი მემამულე, სამსახურიც იქვე ჰქონდა ნაშოვნი. არც მისი მამული, არც მისი სამსახური თვალსაჩინო რამ არ იყო; მაინც ჰყოფნიდათ, უზრუნველად აცხოვრებდა მათ პატარა ოჯახს. სხვაგან უკეთესი საქმე შეეძლო ეშოვნა: განათლებაც შესწევდა საიმისო, უფლებაცა ჰქონდა, მაგრამ მისთვის ხელსაყრელი იყო იქვე დატრიალება, იმავ დაბაში: სახლს უვლიდა, დედას ეშველებოდა ამ მძიმე საქმეში, რომელიც ეტვირთნა მას ახალქალობაშივე დაქვრივებულს. თავის გასათხოვარ დისათვისაც იმავე ქალაქში ეშოვნა მცირე რამ სამსახური: გულს აყოლებდა ქალი, ჯიბის ფულიცა ჰქონდა თავისუფლად.

არჩილს სხვა რამ თილისმაც იჭერდა იმ ქალაქში: აგერ ერთი წელიწადი იყო, შეყვარებული თვალი შეეყენებინა ლამაზ ნანოზედ; საბედისწერო ნაბიჯის წარდგმას კი ვერ ახერხებდა. თითონ გაუბედავი ახალგაზრდა იყო, გამჭრიახობას თუ ძალუმ თვითმოქმედებას მცირედ რამ მოკლებული და ვერ გაებედნა უკანასკნელი სიტყვის წარმოთქმა. არჩილს მოსწონდა ქალი, მისი დედა ჯერ ისევ ყოყმობდა, გადაწყვეტილ ჰაზრს ვერ დასდგომოდა ქალის შესახებ.

– კარგია, შვილო, ნანო ქალი, ღვთისნიერი, ყველას პატივისმცემელი, ყველასათვის მოსაწონი, მაგრამ თითქო ფხა აკლია; ვერ ემჩნევა მოქმედების უნარი; ვაითუ გაუჭირდეს, ვერ შესძლოს ცხოვრება ზრუნვით მოცული.

ატყობდა გამოცდილი ადამიანი, რომ მის შვილს გერგილი არა ჰქონდა სათანადოდ განვითარებული; გრძნობდა იმასაც, რომ ამაში თითონ იყო ცოტად დამნაშავე: ალერსი მეტისმეტი, უკან დევნა დაუცხრომელი, ფრთებ ქვეშ ფარება...

– ჯერ მთლად ახალგაზრდაა, დედი, შეეჩვევა ზრუნვას და გარჯას. არც თუ უსაქმო ქალია... მაინც ისე რა გაგვიჭირდება, ერთი ადამიანი ვერ ვაცხოვროთ.

– ღმერთმა ნურა გაგვიჭიროს რა! ქალი, მართალს ამბობ, მოსაქმეც არის, მაგრამ... მე ის არ მომწონს, რომ ყოველთვის თითქო სხვა რამეზედ ფიქრობს შორეულზედ, სულ ოცნებობს, ზღაპრულ არეში ცხოვრობს; თითქო ვერ ესმის, რა ხდება მის გარშემო, ან რას ამბობენ.

– ეგ კი მართალია! იმ დღეს მარაო დარჩენოდა ხეზედ, რაღაცა რტოთი იგრილებდა სახეს. რამდენი ვეძებე! იცი, დედი, მაგ მეოცნებობით უფრო მიზიდავს მე ის თვისკენ.

– ჰე, როცა კაცს კაცი უყვარს, ჭაპიჭუპი ნაზ ჭამად ესმის, ბრაგიბრუგი კეკლუც გავლადა. მიყვარს... ღმერთმა გზა დაგილოცოთ. უფრო ფულიანი და გამჭრიახი კი მერჩივნა რძლად, მაგრამ ცოლ-ქმრობის საქმე ალბად მართლა ცაში რიგდება.

## 4

დედის უნებლიედაც გადაწყვეტილი ჰქონდა არჩილს გაეცხადებინა ქალისათვის სიყვარული, დედის თანხმობამ უფრო გაამხნევა იგი და ეხლა მარჯვე დროსღა ელოდდა სურვილის აღსრულებისათვის. ვერ კი იცოდა ჭაბუკმა, როგორ შეჰხვდებოდა ქალი მის ნატვრას: არ ერიდებოდა ნანო მას; არც ძალიან მიისწრაფოდა იგი მისკენ: ხანდისხან თითქო ვერც კი ამჩნევდა ვაჟს თავის გვერდზედ, თუმცა ყოველთვის ლმობიერად და ალერსიანად ეპყრობოდა მას. ეს იყო მიზეზი, რომ ხშირად ვერ დადიოდა ჭაბუკი ქალიანთას, თუმცა ისწრაფოდა, ყოველთვის ჰხლებოდა ქალწულს, განუწყვეტლად ემზირნა მის გატაცებულ თვალებში. ეხლა მარჯვე შემთხვევით სარგებლობდა არჩილი და თითქმის ყოველდღე დადიოდა თავის წინანდელ მასწავლებლის ბინაზედ, რომლის ეზოს მხოლოდ ღობე ჰყოფდა ქალიანთ სახლიდან და მის დიდ ეზოდან. ბატონ სვიმონს ეზოში უყვარდა ხის ქვეშ ყოფნა. აქ კითხულობდა დილით საღამომდინ, სწერდა; აქვე ისვენებდა გაშლილ ხალიჩაზედ. არჩილი ყოველდღე მიდიოდა მასთან: ყურძნის სიყვარულით ღობეს ჰკოცნიდა.

მის მოხუც მეგობარს ბევრად აღარ ართობდა ცხოვრების სილამაზე, სიცოცხლისადმი მისწრაფების პირად-პირადი ყვავილები: იგი უკვე გასცდენოდა ნივთიერ ყოფის ტკბილ დასკვნათა საზღვრებს; უკვე გაევლო გზა ცხოვრებისა, დასდგომოდა თავდაღმართს სიცოცხლისას, უფსკრულისაკენ რომ მიაქანებს ყოველს სულდგმულს, ყოველსავე არსს. ეხლა მისი სანავარდო ასპარეზი ფიქრთ სამფლობელოღა იყო, რომელი უცნაურად აერთებს წუთისოფლის ცხოვრებას ნივთიერს და დაუსრულებელ არსებობას სულიერს. მას ადრევე ჰქონდა შეღებული ბჭე უცვლელ იდეათა სამფლობელოში, თავის სიჭაბუკეშივე; ეხლა მთლადაც იქ ტრიალებდა და თუ გამოდიოდა იმ ნათელ სივრციდან, მხოლოდ მისთვის, რომ მაინც ჯერ ისევ ნივთიერი არსებობა ემოსა და შეუძლებელი იყო მთლად გაეწყვიტნა კავშირი ხორციელ ცხოვრებასთან. ლამაზი კი ბევრი რამ დარჩენოდა სვიმონს ნივთიერ არსებობაში, უნებლიეთ მიეტოვებინა მრავალი ეშხიანი ყვავილი, გზა აექცივნა: იგი ფერად-ფერადი მდელო სუნნელი აღარა ფშოდა აწ იმისათვის, აღარ მიაბყრობდა მისკენ თავის ლამაზ პირს მოღიმარეს.

არჩილის აღტაცებამ სვიმონიც გამოიყვანა განყენებულ ჰაზრთა არედან, მიაქცევინა მეტი ყურადღება ამ უცხო ყვავილისადმი, რომელი აღმოცენებულიყო მივარდნილ კუთხეში, ვის მახლობლად მოჰნდომოდა მას შემთხვევით დავანება.

ძნელი არ იყო მისთვის ქალის ახლო გაცნობა: მისი მასპინძელი და ქალის დედა მეზობლები იყვნენ, მისვლა-მოსვლა ჰქონდათ ერთმანეთთან; მხოლოდ სვიმონი არ აქცევდა მასპინძლის სტუმრებს არავითარ ყურადღებას და განმარტოვებით ატარებდა დროს. ეხლა გაეცნო იმ მეზობლებს მასპინძლის სახლში. მალე დაიმეგობრა ნანო: წიგნები შეურჩია, მარჯვე განმარტებები მიუთხრა; ჩაახედა ზოგ რამ დასკვნაში მწიგნობრობისა; მოხიბლა ნორჩი გონება გულწრფელის ახალგაზრდისა.

გავიდა ჟამი. დაბრძნობილი ვაჟკაცი თითონაც მოიხიბლა თავისი ახალი მოწაფის სულიერის სიმშვენივრით და თავისებურობით, მისის გონების უცნაური მიმართულებით, საოცარი ყვავილებით მისის გულისა.

– ბატონო სვიმონ! თქვენ რომ წიგნი მიბოძეთ, ძალიან მადლობელი ვარ იმ წიგნისათვის. სკოლაში როდი გვაძლევდნენ ამისთანა საკითხებს.

– ძლიერი ნაწარმოებია ეგ მოთხრობა, მეტად რჩეულისა, კალმით მხატვრისა. მაინც რა უფრო მოგეწონა იქ?

– ის გამეხარდა, რომ ცხადად მეჩვენნენ ყველანი, ვინც იქა უბნობს და მოქმედობს.

– როგორ?!.

– აი ეხლაც, დავლულავ თვალებს და ჩემს წინ დადგებიან ისინი. შემეძლება ვესაუბრო: მეტყვიან, პასუხს მომცემენ, – სთქვა ქალმა

და დახარა მიჯრით მიწყობილი წამწამთა ტევრი, დაფინა სხივთა იგი მჭელეული აცისკროვანებულ ღაწვთა არეზედ. დახედა სვიმონმა და... და იგრძნო, რად იყო მისი ჭაბუკი მეგობარი ისე მოხიბლული ქალწულისაგან: ჰხამდა მოწიწებით ჰმთხვევიყავი იმ გაბედულად მოხაზულ თვალთა მიდამოს, მოღიმარე ბაგით აგეკრიფნა დაფენილ სხივთა მთრთოლარე სიტკბოება.

– მესმის! მაგრამ შენ რომ მეუბნები, ჩემო ქალო, ეგ იქნება იმდენად წიგნის უნარი არ იყოს, რამდენადაც შენი საკუთარი გონების თვისებისა და გრძნობათა სიმძლავრისა: განგიცდია, მკვეთრად აგისახავს სურათები და გაცოცხლებულან იგინი შენ თვალთ წინ.

– გამოგიცდია, ბატონო, ესეთი რამ?

– ბევრჯერ! აი ეხლა ისეთი სამუშაო მაქვს, რომ მხოლოდ ცივი გონებით უნდა გაისინჯოს; გულის მისწრაფების ძალას აქ დიდი სარბიელი არა აქვს; მაინც ისე ცხადად მიდგანან თვალწინ დასკვნილი დებულებები, რომ ხორცშესხმულნი არიან ჩემთვის, ხელშესახებნი.

– მე კი... მე ვერვისთვის მითქვამს ჩემ ჩვენებათა შესახებ: ვერ გაუგიათ, უკვირთ, განცვიფრებულნი მიყურებენ.

– რადა, ქალო?

– ნერვებ-აშლილი ხარო... რას ვაშავებ?!. თუ საქმე არის რამე, გულდასმით ვაკეთებ, არ მეზარება. მხოლოდ...

– მხოლოდ რა?

– მხოლოდ ხანდისხან დამავიწყდება, რასა ვმუშაობ და ხელში შემიჩერდება საკეთებელი; შემიგვიანდება; ხან სხვაგან მივდივარ, სხვა გზაზედ შევუხვევ.

– ეგ არაფერი! რამე ჰაზრი თუ სურათი გიტაცებს და გავიწყებს ყველაფერს, რაც შენს გარშემო ხდება. მეც ხშირად მომდის ეგ; შენოდნობასაც ვიცოდი ეგრე.

– თქვენც გამოგიცდიათ ამისთანა რამე, ბატონო? – კვლავ ჰკითხა ქალმა

და სიხარული დაეტყო სახეზედ.

## 5

მისთვის უამა ნანოს უფროსი ადამიანის სიტყვა, რომ მას აქამდისინ ვერვინ ენახნა ისეთი, რომელსაც შესაძლებლად მიეჩნია და ბუნებრივად იმგვარი ხილვები, მის ჩვენებათა სინამდვილე, არსებობა იმ სანახავთა, როდესაც მღვიძარე იმყოფება ცხადის სიზმრების ტურფა არეში.

– მაშ მიმიხვდებით, ბატონო! უცნაურ სახეებს ვეალერსები ტურფა წალკოტში, თანაც სხვებისავითა ვარ: ყველაფერს სხვებთან ერთად ვხედავ, ვისმენ, ვგრძნობ, ვფიქრობ. გამიგონია, ძილში სული ამოვა და განთავისუფლებული მიმოსვლის ქვეყანაზედ, ბევრს რასმე საკვირველსა ჰნახავს.

შენი ლამაზი სული ცხადვივაცა ჰხედავს ზღაპრულ ქვეყანას, ჩემო კარგო: ძლიერი ამხატველი ნიჭი გაქვს, გონების თვალი მჭრელად მხედველი.

კიდევ უნდოდა ეთქვა რამე ქალს, მაგრამ შენიშნა დამკვიდრებული თვალი სვიმონისა და შეკრთა, შეიკუმშა. სათქმელი კი ჰქონდა: უნდოდა გაენდო მისთვის, რომ სხვადასხვა ბგერა მის გონების თვალთ წინ მოძრაობდა განსახებული, ცეკვავდა განმარტოებული თუ სხვებთან ერთად; ბევრი სიტყვა ნივთიერ სახედ ეხატებოდა; ბგერას, ხმას, სიტყვას ფერად-ფერადი სახე ჰქონდა განკერძოებული; ფრასაც აფერადებული იყო წითლად, მწვანედ, ყვითლად; იყვნენ სხვა ყველა ფერნიც, შავი ფერებიც სამგლოვიარო ძაძით მოსილ-მობურულები. ხომ გინახავს ასოთა ღიმილი, გაგიგონია სიტყვათა ქვითინი, მოკასკასე ფრასა მხიარული? ყვავილთა მდინარე დაქანებული, ფართო ზოლად რომ მოიგრაგნება შენს გონების თვა...

ჰოდა ამისთანა სახილველებით იყო ნანო გარშემორტყმული. სხვებს კი უკვირდათ, რა ემართება, რომ ხანდისხან სინამდვილეს ვეღარა ჰხედავსო. საწყლები! ისინი მხოლოდ მძიმე სინამდვილესა ჰხედავდნენ, უსახო ნივთით პირთამდინ აღსავსე არსებობას, პირდაპირ რომ გადაჰღობებია სულდგმულს უშნოდ გახირულ სათარივით, გვერდ-შელეწილი ლოდივით ტლანქად ჩაწოლილისა. ამბობენ, როგორ შეიძლებაო სხვა სინამდვილის ყოფა, უსხეულო სხეულთა არსებობაო?!

მართალს ამბობენ ბევრეულნი; ცხოვრება მხოლოდ ნივთიერ არსთა დაუცხრომელი მიმდინარეობაა პირადპირადად ხლართული, ყველასათვის თვალსაჩინო არსებობა, ხრწნადი, უჟამო, მსწრაფლ წარმავალი, წუთიერ-წამიერი.

ქალის ცხოვრების ამ უჩინარ მხარეს ვერვინ ჰხედავდა, შინაური თუ უცხო: თვალნი არ ესხნეს სანახავად იმ უცხო არსთა და ყურნი სმენად იმ უცხო ხმათა. ცოტას რასმე მიმხვდარიყო არჩილი: ქალისადმი სიყვარულს ოდნავ შეეღო მისთვის იმ უცხო წალკოტის კარი უცნაურისა; ისიც მხოლოდ ალღოთი იყო მიმხვდარი, ნამდვილ კი ცხოვრებას იგი საღი თვალით უყურებდა: უნივთო ნივთთა სამშობლო მხოლოდ ოცნება ეგონა უნაყოფო, საარაკო რამ არე ბალღური.

არჩილის დედა მთლად ფხიზელი ადამიანი იყო. მძიმე ცხოვრებისაგან ბევრჯერ მიწამდინ დახრილს საკუთარი შრომით გაეკაფნა გზა ძნელი არსებობისა და სრულებით არ ესმოდა მეოცნებე სიტყვა ზღაპრული. როდის და სად მოიცლიდა ის ამისთანა არაჩვეულებრივ ამბავთა საცნობნლად?! ეხლაც ფხიზლად უყურებდა შვილისაგან დაწყობილ საქმეს: იცოდა, რომ ოცნება და ეკლიანი გზა უხეში ყოფისა უარსა ჰყოფდნენ ერთი მეორეს; უნდოდა მისი შვილი დასდგომოდა მთლად საღ სავალსა.

– ვისაც სახლში შემოიყვან, შვილად მივიღებ. მაგრამ შენ თითონ შეიქმნები უკმაყოფილო, როდესაც ორი ტვირთის ზიდვა დაგჭირდება, საკუთარი შენი სიმძიმისა და შენი ცოლის საზიდ ბარგისა. შენ იცი, როგორ იძალება ხარი, როცა ტოლს დაუდებენ მას.

ჰაი, ჰაი იცოდა, როგორ ძნელი იყო უღელის წევა ტოლდადებულისა, მაგრამ გრძნობდა აღფრთოვანებული, რომ იგი ტვირთი ერთობ სასიამოვნო იქნებოდა მისთვის, თუნდაც დაეძლივნა იმის სიმძიმეს ვაჟკაცი, დაეხარნა მიწის პირამდინ.

– არ ვიცი, დედი, რა იქმნება შემდეგ, ეხლა კი ნეტარებას ვეწევი; ჩემთვის დღეს მეტად სასურველია მისი მიახლება, მისი ჩემად წოდება. ეს ჩემთვის ძვირფასი საქმეა დღეს და რა სამართალი იქნება, კარგს ცუდი მოჰყვეს, კეთილმა ხეხილმა გამოიღოს ნაყოფი ხენეში?!.

მართლა და როგორ შეიძლებოდა კარგიდან დრკუ რამ წარმომდგარიყო, დუხჭირი სახე?! ეხლა აღარც არჩილის დედა ჰხედავდა რასმე შავს ამ სიახლოვეში. არც

იყო სიავე! მხოლოდ ის იქმნებოდა უფერი, თუ ქალი იწროებაში ჩავარდებოდა ცხოვრების გზაზედ, არსებობის მწირ თუ მოუხეშავ დენის დროს.

– იყავ ნება უფლისა! – სთქვა გულში დედამ

და აღარ დაუშალა, წასწრაფებულიყო არჩეულ სადინელზედ. ჭაბუკმა იგრძნო ეს და გულსავსედ წავიდა მისთვის ამონათებულ სხივისაკენ მშვენიერისა, როგორც რამ ფრინველი ღამის სიბნელეს შესწრებული უეცრად აღმოჩენილ სინათლისაკენ შორეულისა.

## 6

ზაფხული ზეიმობდა, გალაღებულიყო განდიდებული. მზე და მთვარე ერთმანეთს შეჰშველებოდნენ ქვეყნის ალერსში, მის ნებივრად დაჭერაში: მზე რომ მცხინვარე სინათლით სიცოცხლეს უხშირებდა ქვეყანას და მრავალსახეობას ამრავლებდა ეშხით გამთბარ ნივთიერებაში, მთვარე ტკბილ ნანას უმღეროდა მოკასკასე სიცოცხლით მიქანცებულ ბუნებას, უალერსებდა შუქთა ნაზი შეხებით, თვის მიმზიდველ სხივთა ეთეროვან ამბორით.

ხალხიც გალაღებული მისქეროდა სინებივრეს: დღისით რომ მზის მწვავ კოცნას გაურბოდა და ჩეროებში სთვლემდა გარინდებული, ღამით ენანებოდა ძილისათვის მიეცა თავი; უფრო უხაროდა ლბილ მდელოზედ, ხუჭუჭად გაშლილ ხეთა შორის, მოკამკამე ნაკადის პირას ეგემნა არსებობის სილამაზე. წყვილ-წყვილად თუ ჯგუფ-ჯგუფად მიმოვიდოდნენ, უბნობდნენ, იცინოდნენ, შესტრფოდნენ ლაჟვარდ ცას, უხვად მანათობელ პირმანგს, თვალჟუჟუნა ვარსკვლავებს.

ხალხში გამოსულიყვნენ ნანო და არჩილიც, მაინც განცალკევებულიყვნენ: ისხდნენ ნაკადის პირას, სად მდინარე შეგუბებულ-შეღრმავებულიყო და ოდნავ მღელვარე ტალღებში არხევდა მნათობთა სახეს, ამსხვრევ-აპნევდა მოციმციმე ჭავლებზედ მათ შარავანდედს. საოცნებო ღამეს სინამდვილედ გარდაექმნა მარად მეოცნებე ნანოს საყვარელი სურათები. იგი ეხლაც შესტრფოდა იმათ, იდუმალი ღიმილით ეალერსებოდა, თვალს ადევნებდა, აცისკროვანებულ მორევად მორღვეულ თვალებს. სიხარულით შეჰყურებდა ჭაბუკი მას თვალებში, გარნა ეს სიხარული არ იყო მდუღარე, წასწრაფებული, ღელვით მავალი, ფრიად უთმინო; ეს სიხარული იყო ღრმა, უძირო და თანაც ფრთხილი, რომ უხეშად არ შეხებოდა აღტაცებისას თუნდ გრძნობათა დენაში, ჯერეთ უხორცო გრძნობათა სვლაში. ნაღვლიანი იყო ეს ჯერ უთქმელი სიხარული.

– ნანო, გენაცვალე! შენ არა ხარ გაჩენილი ცხოვრების ძნელი სინამდვილესთვის; შენთვის ნივთიერი არსებობა მძიმეა, სუნთქვის შემხუთველი.

– ეგრე გგონია?

– მგონია! ოცნებათა არეა შენი ნამდვილი არსებობის სივრცე, ისევე იქნება ბოლომდისინ...

– არჩილ! ჰხედავ იმ ორ ვარსკვლავს, ერთად რომ ბჭყვრიალებენ ცის განაკიდზედ? – უთხრა ქალმა და გაიწოდა ხელი ჩრდილოეთისაკენ.

– რომელს?

– გააყოლე ჩემს ხელს თვალი! პირდაპირ დიდი ვარსკვლავია მოწითანო.

– ვხედავ!

– იმის ქვეით ორი მბჟუტავი...

– როგორ მიყუჟულან საწყლები! ნეტა ჩვენი ვარსკვლავები იყვნენ ისინი. უსამზღვრო სივრცეში განმარტოვებული ვიყო შენთან უქრობლად, მარად ჟამს, დაუსრულებელ დროთა დენაში, – ინატრა ჭაბუკმა

და მოწიწებით შეეხო ბაგით ქალის სარტყლის ფოჩს. ნანომ წყნარად დაუშვა მკლავი მუხლზედ, მოსწყვიტა თვალი ლაჟვარდ კამარას და დაჰნათა ვაჟს ლმობიერი ხედვით, მცირედ გაკვირვებულით.

– გიყვარვარ, საწყალო?

– მიყვარხარ, სალოცავო ჩემო!

ქალმა აღარა უთხრა რა; მხოლოდ დაიხარა მისკენ და შეეხო ბაგით მის შუბლს ხუჭუჭებით გარემოდებულს.

ნაზი იყო ამ ჟამს ქალ-ვაჟის წრფელი ალერსი უნივთო, მოტრფიალე ვარსკვლავთა ალერსი იყო იგი, ცის კიდურზედ სხივებით რომ უალერსებენ ერთმანეთს საუკუნეთა განმავლობაში. იგი წუთი გარდუვალი იყო მათთვის, სამარადისო, როგორც დროთა ბრუნვა დაუსრულებელი. უსაზღვრო სივრცეში ერთმანეთს შეხვედრილ ვარსკვლავებს რომ ჰგვანდნენ ისინი, იმისთვის უღიმოდნენ მათ თვალჟუჟუნა ცის მნათობები. მანგმაც მიაქცია ნათელი ხედვა ამ დატოლებულთ და დალოცა სხივთა შეხებით. გრილი იყო იგი დალოცვა, საამსოფლო მცხინვარებას გამოკლებული: თავის ახლო თუ უნდოდა მათი სათუთად შენახვა სხვა თანამავალ ვარსკვლავებთან ერთად; არ თუ ემეტებოდა, ამ ქვეყნადვე დამწვარიყო მათი არსება საერთო ცეცხლით და ფერფლად დაჰფენოდა შავს მიწას გულგაციებულს.

– სად იყავით, შვილო? – ჰკითხა მათ ვაჟის დედამ.

– აქ გახლდით, დედი, მდინარის პირას.

– განცალკევებულხართ, არ იღებთ მონაწილეობას ახალგაზრდათა ჟიჟინში.

– არ ვიყავით განცალკევებულნი: ერთად ვიყავით! ქვეყნის მანათობელნიც სულ ჩვენთან იყვნენ, გარს გვეხვეოდნენ! – მიუგო არჩილმა

და დედათა წინ აკოცა ქალს ხელზედ.

დედები ერთ წამს უთქმელად გაჩერდნენ, თითქო შეყოყმანდნენ, გარნა მხოლოდ ერთს წუთს, მალე მოეგნენ გონებას; გადაეხვივნენ ბედნიერ შვილებს, სიყვარულით გადაჰკოცნეს ერთმანეთიცა.

ქალ-ვაჟი წინ მოდიოდა ხელიხელ ჩაკიდებული. დედები მოშორებით მოსდევდნენ. არ უბნობდნენ ახალგაზრდები: ნაწყვეტ ალერსს თუ შესძღვნიდნენ ერთმანეთს ობოლ მარგალიტივით.

სიტყვა ვერ ჰხატავს იმ განცდის სიღრმეს, ვერც თუ მის სიტკბოს ან სუნნელებას; თქმა მხოლოდ ზღუდავს აქ გრძნობათა ნავარდს ლაღს, თავისუფალს: დუმილი შეჰშვენის სათუთ საიდუმლოს.

დედები კი გაბმით ლაპარაკობდნენ, მხიარულად მიუბნობდნენ ახალი მძახლები. ცხოვრების საგნებზედ თუ მსჯელობდნენ, მათ თვალწინ დაწყებულ ახალ სიცოცხლის ახალ ნაკადულებზედ.

– არჩილ, გენაცვალე, გესმის ჭოტის ხმა?

შესდგა ჭაბუკი. მკაფიოდ გაისმა მიკიოტის ხმა შორიახლო.

– პატარაობიდანვე გაურკვეველ შიშსა მგვრის მაგ ფრინველის ძახილი, არ ვიცი რად.

– ბნელის შვილია, წყვდიადში მონადირე, ხოლო ბნელსა და ბოროტს განუყრელად აერთებს ქართველთა ჰაზრი. ალბად ამისთვისა აქვს ჩვენს ხალხს ჭოტის ძახილი ცუდად დაცდილი, – მიუგო არჩილმა

და გულში ჩაიკრა ქალის ხელი ოდნავ ათრთოლებული, არც თითონ უხაროდა ამ ჟამს ჭოტის ძახილი; ერჩივნა, ბულბულს ეგალობნა მათთვის ამ სხივოსან გზაზედ ახალის ყოფისა.

## 7

აღივდა კერძო ბედნიერება კერძო ადამიანებისა, პირადი სიხარული გულუბრყვილო წყვილისა, ქვეყნისათვის უჩინარი, ხოლო ქალ-ვაჟთათვის დიდად მჩინარი ნეტარება უჩრდილო. გაზიარებულმა სიყვარულმა არ დაარღვია ჭაბუკის მხრივ უსამზღვრო პატივცემა, რომელს გრძნობდა ის ქალისადმი და რომელი ისახებოდა ყოველ მის სიტყვაში თუ მოქმედებაში, უნებლიეთაც იხატებოდა, შეუგნებლად. ქალს ძლიერ ულბობდა ეს გულს და თანისთან უვსებდა სიყვარულის საწყაულს.

არჩილი ძლიერ გრძნობდა ქალისადმი მისწრაფებას და უნელდებოდა სურვილთა გულში დატევნა, გრძნობა აღარ თავსდებოდა მის არსებაში. გაძლიერებულმა ნდომამ მეტად აამაღლა ქალი მოტრფიალეს თვალში: მზის უჩრდილო რამ ნაკვეთად დასახა მან ნანო მოელვარედ, მანათობელ-დამათბობელად. ვეღარა სძლებდა ვაჟი უმისოდ; უნდოდა ყოველი თავისუფალი წუთი მის გვერდზე დაელივნა.

სვიმონის ყვავილი მარტოთ მოსიარულე აღარ იყო ეხლა: ჩრდილივით ასდევნებოდა მას კიდევ სხვა ყვავილი მიმომავალი. და ეს წყვილი ბუტკო უფრო საამო შექმნილიყო მისთვის, ძვირფასი თუ გასახარო მის კეთილი გულისათვის ლმობიერისა. ცხოვრებაში სვიმონის კერა ვერ მოეწყო სასურველად: ვერ გამეფდა იქ სიყვარული თბილი, ვერც ნათელი საამებელი. გაგრილებულ-ჩაბინდულმა კერამ ვერ აღზარდა საესავო მომავლები, ვერ გამოიღო ისეთი ნაყოფი, რომელს შესტრფოდა ვაჟკაცი თვის ჰაზრთა სამფლობელოში. თითონაც იყო ამაში დამნაშავე: ვერ შესძლო ემსახურნა წიგნისა და კერისათვის, ერთად ორისათვის. ყველას როდი შეუძლია ემონოს რამდენსამე მბრძანებელს, თუნდაც თავის სურვილით არჩეულს! იქნება ეს იყო მიზეზი, რომ ვერ დაივანა მის ოჯახში გრძნობათა დამაამებელმა დიასახლისმა, აი ისეთმა, როგორიც დადგებოდა ეს ნანო ქალი, არჩილის დანიშნული, ბედნიერისა. ისე უხაროდა ამ უცხო ადამიანს ახალგაზრდათა დაახლოვება, თითქო მამა ყოფილიყო მათი ან ბიძა კეთილის მქნელი. ისე შეეჩვია ქალ-ყრმის ნახვას, რომ თუ შემთხვევით ვერ გამოჩნდებოდნენ ისინი გადაღმა ეზოში, უხერხულობასა გრძნობდა უცნაურს; კიდეც ჯავრობდა გულში, წყრებოდა, იბუტებოდა.

ვაჟის დედაც მალე შეეტკბო სძლად დასახელებულს. ნანოს წრფელმა გულმა, ლმობიერმა ხასიათმა და გულუბრყვილო მეოცნებობამ შეისყიდა მისი გული: გამოცდილი დედაკაცი ისე უყურებდა ქალს, როგორც საყვარელ ბავშვს ხელზე შესანახს. ჩააფიქრა კიდეც ქალმა დედაკაცი; მას არ შეჰხვედროდა ესე მოზრდილი, ბალღობიდან უკვე მთლად გამოსული, ამ ზომად სახიერი. მთლად გულკეთილი.

– თითონ რომ კარგი სული არის ნათელი, სხვებიც ეგეთები ჰგონია; მგელიც კრავად მიაჩნია, თუნდაც თვის ქერქში ეჩვენოს იგი მას, მტაცებლის ტყავში სისხლის მსმელისა.

– მართალს ამბობ, დედილო! ვერ წარმოუდგენია, რომ შეიძლება კაცს ბოროტი ჰაზრი ამოქმედებდეს ან ავი გრძნობა; ყველანი ღვთის შვილები ჰგონია.

– თითონ რომ ღვთის შვილია, იმიტომა ჰგონია ეგრე: თორემ მისი გონების პატრონი ადვილად უნდა განსჭვრეტდეს სხვის პიროვნებას, ავის მომნდომნელ ბოროტ ქმნილებას.

– ოღონდაც რომ ნათელი გონება აქვს ფართოდ მხედველი! ვერ წარმოიდგენ, დედი, რა განათლებულია და ნაკითხი.

– კარგია! შორიდან რომ ვუყურებდი, არ მეგონა, ეგეთი საყვარელი იქმნებოდა. გიბედნიეროს და გაბედნიეროს მასთან! ჩემმა კეთილმა სალოცავებმა თუ მიგიყვანეს მაგათ კარს. ობლობაში გამოზრდილი ახალგაზრდა; ალბათ ბედს უნდა საკუთარის კეთილდღეობით გაგახაროს დღეს.

თითონაც ძალიან ისწრაფოდა არჩილი საკუთარი ცხოვრება დაეწყო სამხიარულო. იმისთვისაც ეჩქარებოდა, რომ უსაგნო შიშსა თუ შურს შეებყრო ჭაბუკი: ეგონა, აი ეხლა, აი ეხლა მოვა ბედისაგან კეთილად აღნიშნული სხვა ვინმე ჭაბუკი და ხელიდან გამომაცლის ჩემს საუნჯესაო; შეიძლება სხვა რამ ავმა შემთხვევამაც დამაკარგვინოსო ჩემგან ხელდადებული იღბალი ჩემი და ვერ ვეწიო მურაზს მშვენიერს.

– ეი, არჩილ, ფხიზლად იყავ, თორემ დევი მოვა სამთავიანი, ვეშაპზედ მჯდომი და მოიტაცებს შენს ქალთამზესა: გრძნეული ეტყვის მას, ის ბნელის შვილი, და გამოგზავნის შენის ყისმათის წარსატაცებლად; გახსოვდეს მეცანი ბოროტის მქმნელი!

– მახსოვს! მეშინის!

ამ დევით, ვეშაპზე მჯდომ სამთავიანი დევით, აშინებდა დედა თავის არჩილს პატარაობისას, რომ დაეშლევინებინა ჩვეულება რამ უგვანო, უშნო საქციელი. ეხლა ბალღობის შიშიც კი განუახლდა დიდ ბედნიერებასთან მიახლებულ ჭაბუკს: ბნელი ბოროტი მრავლად არის გაბნეული ქვეყანაზედ და მარად სცდილობს ჩააშავოს სხვის სხივი სიხარულისა, მოსპოს იგი მთელ დუნიაზედ.

## 8

– რაღას ვახანებთ ნეტა, დედილო? რაკი ჩვენად დავასახელეთ ნანო, ბარემ მოვიყვანოთ: ჯვარს დავიწერ გახსნილებისას.

– ცოტა რამ მომზადება მაინც უნდა ქალს: უყიდიან, შეუკერავენ.

– ჰე, თუ რამ ემეტებათ ან ეთხოვებათ, მერმეც მოაწვდიან. თითქო რიღასიც მეშინიან, ვერ დავწყნარდები, სანამ შინ არ დავიგულებ მას ნამდვილ ჩემად.

– ნუ გეფიქრება: არვინა გტაცებს შენს მზეთუნახავს! მაგრამ, ჰო, გვარად მოგიდისთ ამისთანა შემთხვევებში აჩქარება: საწყალმა მამაშენმა არც ბელგის მოცემა, არც ნიშანი არ მოისურვა, ეხლავე უნდა ვიქორწინოვო; წინა დღეს რომ გამიცნო, მეორე დღეს ჯვარი დავიწერე იმავ კაბაში, გაცნობის დღეს რომ მეცვა, – მიუგო დედაკაცმა

და გაიღიმა. იმაზედ იღიმებოდა გაკვირვებული დედა, რომ თვითონაც ძალიან ეჩქარებოდა რძლის შემოყვანა სახლში. რაკი ახლო გაიცნო ქალი, შეუყვარდა; ეგონა, ყველას ძალიან მოსწონსო და ეფიქრებოდა, არავინ შეგვეცილოს, არავინ გადაეღობოს ჩემს შვილს გზაზედაო. ამაო შიში! ნაცნობებში არჩილის მჯობი ჯერ არავინ მოსჩანდა; ან რაღად გასტეხდა ქალი თავის აღთქმას, როდესაც სიტყვა ჰქონდა ვაჟისთვის მიცემული?! გონება ესე არწმუნებდა დედაკაცს, მაგრამ ცხოვრებისაგან ნაწრთობს, ბევრჯერ შემკრთალ-შეშინებულს, ეხლაც უცნაური საშიშროება ელანდებოდა: ვერა სჯეროდა თავისი შვილის უცილო ბედნიერება, კერის განათება უჩრდილო სიხარულით.

– შუადღე მშვიდობისა, შვილო ნანო! – მიესალმა არჩილის დედა ფეხზედ წამომდგარ ქალს

და თვალები ამოუკოცნა.

– რას ჩასჯდომიხარ ეგრე გულმოდგინედ, რომ ძლივსღა გაიგე ჩემი შემოსვლა?

ქალი ეზოში იჯდა ხის ქვეშ გაშლილ ხალიჩაზედ და რაღაცას ჰკერავდა გულდადებით; დაჰღიღინებდა საკერავს.

– დედამ დამავალა, ეს მალე შეკერეო და ვეჩქარებოდი დამეთავებინა.

– სად არის დედა?

– დილასვე წავიდა ბაზარში, გოგოც გაიყოლა, – მიუგო ქალმა

და სახეზედ ზრუნვა აღებეჭდა დედის ხსენებაზედ, რიღასიც შერცხვა. დედაკაცმა მაშინვე შეატყო ეს ქალს და დააკვირდა.

– რა იყო, შვილო, რამ შეგაფიქრა?

– არაფერი, დედი! როცა მიდიოდა დედა, მითხრა, საჭმელი დგას ცეცხლზედ და მიხედეო...

– შენ კი მთლად გადაგავიწყდა... წამო, გენაცვალე, ვნახოთ ის საჭმელი.

წყალი ამომშრალიყო. კარგი, რომ ცეცხლი ჩამქრალიყო, თორემ დაიხახებოდა მოსახარშად შედგმული სანოვაგე.

– ლამაზად კი მოიკაზმება შენ ანაბრად დარჩენილი სუფრა! – დასცინა სადედამთილომ

და მოეხვია ქალს, უნებლიეთ გული არ ვატკინოვო გამკილავი სიტყვით. გამოაკეთეს გაფუჭებაზე შემდგარი საზრდო. დააგზნეს ცეცხლი. ქალის დედამ ვერაფერი ვერ შეატყო საჭმელს. მხოლოდ რძალ-დედამთილის საიდუმლო იყო ეს და უჩუმრად უღიმოდნენ ერთმანეთს, როცა სუფრას შემოუსხდნენ და მიირთმევდნენ.

– მძახალო, ჩემი ვაჟი სულ იმაზედ ნაღვლობს, ქორწილი გვიანდებაო. სჯობს ავაჩქაროთ; გახსნილდება თუ არა, ჯვარი დავსწეროთ.

– ვამბობ, ქალი შევამზადო-მეთქი: არც თუ ისეთი ღარიბი ოჯახიდან მიგყავსთ, უმზითვოდ გამოვისტუმრო.

– ვიცი, გენაცვა! მეც ეგრე ვფიქრობდი, მაგრამ რაღა საჭიროა ჩვენში ანგარიში: შენი ქალისათვის რაც გემეტება, მერმეც შესძლებ დაეხმარო.

დაასკვნეს: ჯვარი გადაეწერნათ გახსნილებისასვე, მარიამობის შემდეგ. საგვირგვინო კაბა და მორთულობა კი სრული უნდა ყოფილიყო. მოასწრობდნენ: ფარჩა უკვე ნაყიდი იყო, თეთრი აბრეშუმი თითქმის თავისივე ფერი ყვავილებით დაფენილი: მკერვალმაც აღუთქვა ტანსაცმლის გამოყვანა აღნიშნული დროსთვის. ორივე ოჯახი აჩქარებით ემზადებოდა საქორწინოდ. დიდი მზადება არა სჭირდებოდათ: ისეთი გამოჩენილი ქორწილიც არ იყო, მთელი დაბა თავს დასცემოდათ.

ვაჟი ძალიან გახარებული იყო, დღეებსა სთვლიდა, საათებსაც. მის სიხარულს ბუნდოვანი რამ შიშის აჩრდილი მაინც არა სცილდებოდა. ეს მდგომარეობა აღელვებდა მას, მოუსვენრობას განაცდევინებდა; დაკარგა ახალგაზრდამ სულის სიმშვიდე; ვეღარ მიაგდო თვისი თავი ვერც ერთ საქმეზედ. ქალს კი არ ეტყობოდა დიდი რამ ღელვა: თავისებურად მშვიდად ცხოვრობდა ოცნებათა სამფლობელოში ჩაბმულ-გართული; მხოლოდ ეხლა ამ ჰაეროვან სურათებში შეჭრილიყო მისი გულის მეგობარი არჩილი, რომელს თავს ევლებოდნენ ქალის ფიქრები ფრთა-დაფერილნი.

– იოცნებოს, შვილო, მანამ დრო აქვს ნატვრისა და პირად-პირადი სურათებით გართობისა. შენც ინატრე, იოცნებე! სიხარული იცის უნივთო სურათმა ლამაზ-ლამაზმა. მოვა დრო, ცხოვრების უღელი დაგხრით მიწისკენ და დაგანახვებთ

ზრუნვებით სავსე სინამდვილესა. მაშინ თქვენც მხოლოდ მუშაკნი შეიქმნებით ყოველდღიურის არსებობისა, დამკლავებულნი მშრომელნი, ოფლით რომ მოიპოვებენ პურს არსებობისას. მაშინაც გეყოფათ დრტვინვა თუ სიმძიმილი, ურვა თუ დარდი.

ტყუილად უქადაგებდა გამოცდილი ადამიანი თავის გამოუცდელ შვილს: გახარებულ ჭაბუკს ცხოვრება ედემი ეგონა, სადაც ყოველ კუთხეში მომწიფებულიყო მისთვის სიამე ნოყიერი, ყვავილად გარდაშლილიყო სიხარული მოღიმარ-მოცინარე; იმ ნაკურთხ წალკოტში ჯერ არ აღმოცენებულიყო ეკალი თუ უნდო რამ მდელო, გველსაც ჯერ არ დაეგესლა იგი მულღაზარი.

## 9

ახლოვდებოდა დღე ბედნიერებისა. აღარაფერი ედგა წინ ახლო მომავალ სიამეთა სისრულეს. ხელით მისაწდომი გამხდარიყო იგი მზიური კეთილი, თვალით დასანახი. უფრო დატკბა ისეც ტკბილი ქალი, გადაშალა თვისი გული ვაჟის წინაშე, რჩეულ ყვავილთაგან შეთხზილი თაიგული. თვალებში შეჰყურებდა ჭაბუკი. მთელი მისი ქვეყნიერება იქ იყო ასახული, იმ ნათელ სიღრმეში და მაშ ვის შეჰხედავდა სხვას, ან რასღა დაინახავდა მის გარეშე მთელ დუნიაზედ?!

– შევუმზადოთ ბუდე ლამაზი მშვენიერ გვრიტებს! მაგათ ტრფიალს რომ ვუყურებ, ნათელ მისწრაფებას ერთმანეთისადმი, ვრწმუნდები, ყოველი დაყოვნებული წუთი მარგალიტია ზღვაში გადატყორცნილი; მაგათ გულისპირიდან აწყვეტილი თვალი ძვირფასი.

– აკი ვეჩქარებით, გენაცვალე! მიხარიან, რომ ეგრე შეაწყეს გული ერთმანეთს: ახალგაზრდობას მაგონებს, ლამაზ წუთებს ჩემი ცხოვრებისა.

– ღმერთმა დიდი დღე მისცესთ და ეს წუთები წლებად უქციოსთ! კარგი ქალი გყოლია, ნამდვილი ღვთის შვილი. არც ხომ ჩემი ბიჭია დასაწუნი, ჩემი ქოჩორა არჩილი!

– და ვინ იწუნებს ჩემს კოხტა სიძეს?! ჩვენ რომ დავუჩაგრივართ ბედს ცხოვრებაში და ჯერეთ ისევ სავსე ფიალა მოუცლია სიტკბოებისა, ჩვენ დანაკლის სიამეს ამათ მიუძღვნის.

– ოღონდაც რომ მიუძღვნის! ღირსნიც არიან: მართლმსაჯულია ყოვლად მოწყალე. სად არიან ნეტა?

– გავივლ-გამომივლითო, მითხრეს; კვერნაკისაკენ წავალთო.

– იარონ, ისიამოვნონ! ვარდის თვე სდგას იმათი მხიარულობისა.

ნანო და არჩილი აღარ! ეკრძალებოდნენ ერთმანეთს, აღარც სხვებს; ხელგაყრილნი მიდიოდნენ ბილიკზედ, რომელიც ასდევდა გორას. საუკეთესო სასეირნო იყო ეს ადგილი. ბილიკს აქეთ-იქით მოსჯროდა ბუჩქნარი, წვრილმანი, ტყე შემაღლებული. გორის თხემზედ, შეკვეთილ ადგილას წავაკებულს, ტყე აღარ იყო. ზედვე, კვერნაკის მარცხნივ, გორას მოჰბმოდა ნაძვნარით შემოსილი დიდებული მთა, რომელსაც ჩამოსდევდა პატარა მდინარე. მთის წყალი სჭრიდა კვერნაკს ცალ მხარეს და გადადიოდა ფრიალოზედ საშინელის სისწრაფით, ქაფად აშლილი, ჯგუფ-ჯგუფ წინწკლებად თუ ჭავლებად დაშლილ-დალეწილი. ამ ლამაზ ჩანჩქერის სანახავად მოდიოდა ხალხი. მის სახილველად წამოვიდნენ ახალგაზრდები.

აღმართში ქალი მინდობილად დაეყრდნო შეყვარებული ჭაბუკის მარჯვენას. თავს რომ დაჰხრიდა ვაჟისკენ, სხივად ასინათებული ხუჭუჭი ეხებოდა ჭაბუკის სახეს, უალერსებდა მის ახლად აშლილ წვერ-ულვაშს. არჩილმა რამდენჯერმე მოსტაცა კოცნა ეშხიანი.

– მაცა, გენაცვა, იყუჩე! – უთხრა ქალმა

და როცა არჩილმა კიდევ წარსთქვა საალერსო, ქალმა ქორფა თათი დააფარა პირზედ. შეჩერდა. ერთხანს თავწახრილი რასმე ისმენდა. არჩილს უნდოდა ჩაეკოცნა ყვავილის ღეროდ ამოსული ყელ-ყური, მაგრამ ვერ გაბედა განძრევა.

– გესმის?

– რა, გენაცვალე?

– ხეების ხმაურობა, მათი უბნობა.

– მესმის შრიალი. საღამოობით აქ ყოველთვის იცის ნიავი; ის აშრიალებს ფოთლებს.

– და ასაუბრებს! ერთმანეთს უალერსებენ ხეები; ჰკოცნიან სიყვარულით ერთურთს.

– ესრე. გენაცვალე?

– მაცა!.. მე სულ ვიცი, რასაც მცენარე ამბობს. იცი? ესენი ეხლა იგონებენ ზამთრის ქარს, მის მყინვარე მობერვას; შიშით იხსენებენ. ზამთრობით არ დამიგდია ამათთვის ყური: ვინ წამომიყვანდა?!

– მე წამოგიყვან, რომ დაზამთრდება.

– რა კარგი იქმნება!

– რა კარგი ხარ!

ავიდნენ კვერნაკზედ. ტყე წვრილიანით თავდებოდა აქ. ზევიდან ჩამოშვებული ნაძვნარიც უეცრად შემდგარიყო. ყვავილოვან ველისათვის დაეთმოთ ტყეებს ადგილი. მთიდან გიჟმაჟი ხტომით მომდინარე წყალზედ ღრმა სადენი ვერ გაეჭრა წავაკებულზედ: ძირში სალი კლდე იყო და მდინარეს მცირედღა გაეღარნა თავქვისაკენ. ხეც თუ მისთვის ვერ იკიდებდა აქ ფეხს, რომ ნიადაგი ღრმა არ იყო, მიწა ფიფქად ეყარა სალს; ბალახით კი ალაღებულიყო. ფერად-ფერადად აღყვავებული. დიდებული გადასახედი! როგორც ხელის გულზედ, ისე მოსჩანდა ძირს გაშლილი არე. ჩამავალი მზე პირდაპირ დაჰნათოდა გიჟური ხლტომით ჩამდინარე წყალს. მის ქაფებში, აქოჩრილ ჭავლებში. შხეფად ადენილ წინწკალთ ბუნჯგლებში იმტვრეოდ-იმსხვრეოდა მნათობის სხივები და აცისკროვნებდა მქუხარ ჩამდინარეს.

## 10

– დავისვენოთ!

– დაიღალე, საყვარელო?

ვაჟმა დაუგო ბალახზედ შალი. დასხდნენ.

– ჰო, დავიღალე... ჯერ ჩვენს მეტი არავინ ამოსულა.

– ადრეა ცოტა; მთვარის ამოსვლისას მოიკრიფებიან.

– მშვენიერება იქნება აქაურობა ბადრი მთვარით გაკაშკაშებული.

– დღეს თხუთმეტისაა მთვარე... ნეტა ხილი რამე წამომეღო შენთვის.

– მე წამოვიღე შაქრის პურები, აი! – უთხრა ქალმა

და გადახსნა ფარჩის პარკი, ამოიღო ქაღალდში გახვეული მცირე რამ ნუზლა.

– აღარა სთქვა. დიასახლისად არ ვარგაო ჩემი ნანო.

– ვიტყვი: სატრფო არის ჩემი დიასახლისი!

მართლა დაღლილიყო ქალი. მიეყრდნო თავის დანიშნულს. გარინდებული გაჰყურებდა სივრცეს. უფრო დაიხარა მზე; პირდაპირ დაასვა სხივთა მჭდეულები ჩახრიალას, აალაპლაპა, ააცისარტყლა. მზის ალერსით გალაღებულმა მდინარემ უმატა

ქვესრბოლას ფიცხელს, ხლტომას, გრგვინვასა. ძირს უფსკრულში, ღრმად გაეთხარა ჩანავარდნ წყალს კლდოვანი ნიადაგი და შეგუბებულიყო უზარმაზარ აუზად, ტრიალებდა.

– დავათვალიეროთ ჩახრიალა!

– გავსინჯოთ! ხომ მეტყვი, რას მოგვითხრობენ გიჟი ტალღები?

– გიამბობ, კარგო.

წამოხტა არჩილი, უბყრა ქალს ხელი. ჩაიწია განიერმა სახელომ, ამოაჩინა მკლავი სპეტაკი. ეშხით დაკოცნა ვაჟმა ფუნთუშა.

– მოდიან სხვებიც, მოეფინებიან. აბა გადაჰხედე!

– მხოლოდ ის არ წამოვა, ვისაც შნო არა აქვს, დასტკბეს მშვენებით, ვისაც არ ესმის არსის ძახილი.

– მიყვარს ბუნება! შენც გიყვარს განა?

– მიყვარს! მიყვარს ძლიერ!

– მიყვარს და ვეტრფი! სულდგმულად ვსახავ: მსურს ჩავეკონო.

– შენ ჩაეკონო? მკერდში ჩაეკრა?! მძულს მე ბუნება!

– უჰ, როგორი შურიანი ხარ! განა ისე მიყვარს, გიჟო, როგორც მიყვარხარ...

წარსდგნენ ფრიალოსაკენ. ახლო უნდა მისულიყვნენ, რომ მათ წინ დაჩენილიყო ჩანჩქერი მთელი თვისი ალაპლაპებული ტანით. ძალიან ახლო კი არ შეიძლებოდა მისვლა: შხეფს რომ ისროდა შფოთი მდინარე, წინწკალთ აფრქვევდა და მიდამო კლდე მოსიპული ჰქონდა, მთლად მოლიპული, როგორც ყინული. აქ შველიც კი ვერ უახლოვდებაო წყალის სასმელად: ფეხს ვერ იკიდებსო.

– რა ლამაზია! დააკვირდი, გენაცვალე! ჩანჩქერის ალავარდნილ ნატეხებში იხატება სახე ათასნაირი და ჰქრება: კაცი, მფრინველი, დევი, ნადირი, ნამსხვრევი ცისარტყელისა...

– ბალღივით აღფრთოვანებული რომ...

– იყუჩე! მწყობრი რამ ხმები...

დაჩუმდა ქალიც, წინ წარსდგა ბიჯი. მიჰყვა ვაჟი.

– რა მშვენიერებაა. ვაჰ, გენაცვალეთ! – წარმოსთქვა ქალმა

და წარსდგა ფეხი. მოსწყდა ფრიალოს... წაეტანა ჭაბუკი... გამოფრიალებული სარტყელიღა შერჩა ხელში...

უფსკრულში მოსჩანდა ნანო საბრალო, ნახევრად ჩაეთრია მორევს; მბრუნავი ტალღა არხევ-ანძრევდა, ეზიდებოდა ერთ სიღრმისაკენ: ფერიები თუ ეწეოდნენ თვის ახალ დობილს. ტალღები ჰრეცხდნენ სისხლის შხეფებსა: უნდოდათ თუ, დაეფარნათ თვით კვალი უბედურებისა.

---

უჰ, რამოდენა ლოდი დაგიდვიათ! ხომ შეეხუთა სუნთქვა ნაზ ნანოს... დრუნგილის მატური უნდოდა ჰაეროვანი... ეს ყვავილთ კონა?

– ყოველ წელს მოდის მის სიკვდილის დღეს...

1919 წ.

# აღდგომის ცოდვა

„ყურძნის ქურდმა იანვარში დაიკვეხა“.

– მინდა გაგანდო აღდგომის ცოდვა.

– აღდგომის ცოდვა?! არ არსებობს! არ გისწავლია ღვთისმეტყველება: აღდგომის სამ დღეს ყველაფერი ეპატიება ადამიანს, ცოდვა ცოდვად არ ითვლება; ვინც მაშინ კვდება, სამოთხეში შედის პირდაპირ.

– კარგია! მაშ „მუნ თანა წასატანი“ არა შემიცოდვია რა...

– ისე რომ, თუ ცხონება გინდა, უნდა მოზომო. აღდგომას მოკვ...

– სრულებით არ ვისწრაფი!.. სინიდისი მაინც მზრზნის იმ საქმისათვის.

– ეგ სხვაა!.. რა მოგიხდა?

– დიდ შაბათს ბაზარში წაველ. მარტოხელ კაცს ბევრი ოჯახი გამომელის სასიძოდ; მაინც შეიძლებოდა დარბაზობა ისე დამემთავრებინა, პური არსად აეხლიჩათ ჩემთვის, საჭმელი არვის მოეპყრო: ცხოვრების სამალდე ერთობ გაჭერილია, ყველას თავი გასჭირვებია. ვიყიდე წითელი კვერცხი, მოხარშული ლორი, შემწვარი ხორცი ბატკნისა, გოჭისა, ინდაურისა; კარაქი, ყველი, ტარხუნა, ფუნთუშები, კახური. ჩემს ბინასაც ვაგრძნობინებდი აღდგომის დღეს, ჩემს ჭიასაც გავახარებდი. გავავსე ხალთაგუდა. დავიმშვენე იასამანით გულისპირი. წამოვედი. ქარვასლის გვერდზედ ბატკნები ეყენათ. შეჯგუფებულ ხალხთან ტანის ნაცნობი რამ რხევა შევნიშნე. წავესწრაფე. გამიკვირდა: ეფემია იყო, პავლეს ასული. იცნობ შენ.

– ჯაგარიშვილის ცოლი, თავადობის მაძიებლისა? როგორ არ ვიცნობ!

– გახსოვს მისი საპასექო სუფრა?

– რა ნამცხვარი! რა მწვარი თუ მგბარი! სანუკვარი სანოვაგე, საუკეთესო სასმელები, ტკბილეულობა.

– სუფრის მორთულობა? მაგიდა იზნიქებოდა ფაიფურისა, ბროლისა თუ ვერცხლის ჭურჭლის სიმძიმით.

– სადარბაზოდ ჯაგარაშვილისასა ბოლოს მივდიოდი: იქ უნდა მესადილნა.

– ჩვენც ეგრე გვქონდა გეზი აღებული; ბევრნი ვქუჩდებოდით იქ სასადილოდ.

ყველა დიასახლისს თითო ჟინი სჭირს, სადაც უმეტეს ამჟღავნებს თვითმოყვარეობას. ეფემიას თავმოყვარეობის საგანი პასექის ნამცხვარი იყო; მაღალი უნდა ყოფილიყო, მსხვილი, ლიტაო. მზირად ათვალიერებდა, სხვას არ წაესწრო მისთვის ამაში. ქმარი რომ დაუბრუნდებოდა დარბაზობიდან, დაწვრილებით უნდა აეწერნა ყველას სამზადისი, მეტადრე ნამცხვარის ტანი, მოყვანილობა და გემო.

– მახსოვს, კიმოთეს ყოველთვის შიშსა ჰგვრიდა პასექის მოახლოვება: დიდი ხარჯები; ათასი წვრილმან-მსხვილმანი; საჭმელ-საკაზმი; ქაქანით რბენა. მარტო ის რადა ღირს, რომ ცოლი უთუოდ მას დააზელინებდა საპასექო ცომს.

– მორთული გამოშრიალდებოდა ქალბატონი სტუმრებთან, თითქო საგანგებო სურათიდან გადმოსულაო ეხლა...

– თითონაც სურათი ქალია...

– თავისი თავი მშვენივრად მიაჩნია; ქებას ბუნებრივ ხარკადა სთვლის თავისადმი.

– ერთი ძირითადი ნაკლი მაინცა აქვს: შედარებით მომცრო საზომითა აქვს მოხაზული სახე და ყოველი მისი ნაქვთი.

– მართალია ერთი ბეწოც წაემატებინა დალოცვილ ბუნებას და... მშვენიერ ქალთაგანი იქნებოდა:

– სითეთრე ჰფარავს მაგ ნაკლსაც: მარგალიტი ცოცხლდება მის ყელზედ, მის საყურეში...

– ჰოდა ეფემიას მოძრაობა შევნიშნე ყარტან-ყურტან ხალხში, რომელიც ცხვარს ეტანებოდა, უფრო შესტრფიალებდა უიმედოდ ხელმოკლობის გამო. ის ქალი და აქ, ამათში! მივახლოვდი. ის იყო; თითქო არც ის იყო. გამოცვლოდა გარეგნობა: მოღეჭილ-მოცვეთილი ტანისამოსი კოპწიაობას ნაჩვევ ქალს. ხომ გახსოვს, რა სურათი ფეხი აქვს? ლამაზ მაშიას მაღალქუსლიანს უფრო უნდა ჩაეხატნა ეშხიანი მისი ნაგებობა; არამც თუ მხოლოდ ფეხსაცმელი უნდა ყოფილიყო, თან სამკაულიც.

– ფეხი ხომ არის, ახლა მოკლე კალთების ქვეშ ლიტაო წვივი, მარმარილოს სვეტივით თანისთანობით ნაქანდაკები...

– ეხლა კი მაშიების ქუსლები წინ წასულიყვნენ, შეწოლილიყვნენ; ფეხის დადგმისას იზნიქებოდნენ წელში დაკრულნი; სიარულს უუშნოვებდნენ ქალს, ურყევდნენ თეძოებში მოშლილივით. შაპო... ჟამთა მსვლელობას გაეძებნა საწყალი შაპო, ბუმბული გაჰქუცოდა, საქინძისთავე ჩაღრუეებულიყო: ფრთები ჩამოეყარნა. მარგალიტი ისევა ჰქონდა ქალს ყელზედ, მაგრამ ერთი წყობაღა და იმასაც შიგა და შიგ ძაფი უჩანდა.

– ეჰა, მძიმე დროს ამისათვისაც დაუბიჯებია ტლანქი ფეხი. – გავიფიქრე.

ესეც უნდა მომხდარიყო: მისი ქმარი დიდი მოხელე იყო. მაგრამ მაინც მხოლოდ მოხელე, ოცის შემხედველი. უსათუოდ უნდა დაეწივნა ნივთიერად, დაკნინებულიყო. ეხლაღა შევიგენ ამ წინაზე ნანახი: კიმოთე, იცი შენ, ზორბა არის, ძლიერი, ბალან-ნაჭარბი. ვეება თვალებიანი...

– ზორბა და ძლიერი?! ფუყია. ფრახი; გარედან მტერს უყენებს თვალებს, შიგნიდან პატრონს.

– მხოლოდ შეხედულებით ძლიერი-მეთქი. ფურნის პური ეშოვნა ვეებერთელა; მკლავები მოეხვივნა, გულზედ მიეკრა და მიჰქონდა თვალების ბრიალით, ძლევამოსილად. უკვირდა თუ დავლის ხელთ გდება, თავი მოსწონდა. წინად კი... კიმოთე თევდორეს ძე და ამეების ტარება?! კაცი კეწკეწ თათმანს არ იშორებდა ნიჩაბივით ფართო ხელიდან...

– როგორ, კაცო, ეს ბატკანი? – შეეკითხა ეფემია.

– ოცდა ათი თუმანი.

– გამხდარი იქნება: დუმა არა აქვს.

– დუმაში რა ჭკუაა: ზოგს სქელი დუმა ჰკიდია ვეებერთელა, თვითონ კი გამხდარია, წისქვილზედ დასაფქვავი. ეს უდუმო ჯიშია კარაქივით გემრიელი.

– მაინც ძვირია...

– ამ გოჭს გევაჭრები, ბიჭო!

– გოჭსა?! ბურვაკია, ნახევარი ფუთი გამოვა.

– ახალია?

– უსუნე! წუხელი გამიფუფქია.

– მაინც ფასი თქვი.

– შენი ხათრისათვის ოცდა ხუთი თუმანი.

– უჰ, უჰ!..

– მამალია ეს ინდაური?

– მამალია და რა მამალი!

– როგორ?

– თვრამეტი თუმანი.

– დააკელ ფასი!

– მაგაზედ იაფად?! ხელს არ მომცემს.

– ხელსაც მოგცემს და ფეხსაც, მაგრამ...

– ფეხსაც, ქალბატონო?..

იარა. ბევრი სხვა რამ შეაფასებინა: ზუთხი, ხაჭო, კარაქი, ყველი, არაჟანი, ვაშლები, ფორთოხალი. ვიცოდი, ეფემიამ ფულის ყადრი არ იცოდა, მუჭა-მუჭა აპნევდა, და მიკვირდა, რადა ჩინჩობდა ეხლა. ეჭვი შემეპარა იმის ქისის შესახებ. დაგლეჯილი გოგო დასდევდა უკან, მწვირიანი. ფართოდ დაწყებული ვაჭრობა მჭლედ გაათავა. ღაბუა ქათამი იყიდა ღვთისნიერი გლეხისაგან. თითონაც მოღაბუო იყო და ალბათ იმისთვის მოეწონა. იქვე მეპურეს თონის პური ააწონინა ოთხი. ნაჭერი დაიწონა. გაიყვეს, პირი გააცმაცუნეს. გამოტრიალდნენ. ზურგისაკენ მოვექეც ფულს რომ იღებდა, თვალი დავკარ ქისას: არც ერთი ოცდახუთ თუმნიანი, არც ათიანი, ხუთიანიც კი. ისე ამოიოხრა ფულის ამოღებაზედ, გული თან ამოატანა, ნაზმაზუნა გული აწ დაბზარული. შემეცოდა. ბლომადა მქონდა ფული და დავაპირე შემეპარებინა. გადატეხილი იყო მისი გოროზობა და აიღებდა, თუ მარჯვედ ვიქნებოდი. იქნება კიდეც შესჩვევოდა ჩემგან ჟამითი-ჟამად ფულის მიღებას. მერმე... უნდა გაგიტყდე: თითქმის მომწონდა; მინდოდა დამემორჩილებინა კიდეც ზვიადი, წელში გადამეზნიქ-გადამეტეხა, გართხმული მენახა ჩემს წინ. ალღოთი ვგრძნობდი, შესაძლო იყო. გეგმაც შევადგინე:

– ვახლავარ ქალბატონ ეფემიას! მშვენიერი გოჭი გახლავსთ. თქვენებურად შემწვარი სუფრის მაზა იქნება.

– თქვენა, ყმაწვილო?! ცოტა ძვირი მეჩვენება.

– არ გახლავს ძვირი ეხლანდელ კვალობაზედ.

– შეიძლება. გამოუცდელი გახლავარ. მაგრამ... არ წამომყოლია იმდენი.

– მომეცით ნება, გათხოვოთ! კიმოთეს ხელით დამიბრუნებთ მერმე... ხომ კარგადა ბრძანდება?

და... მივართმევდი ექვს-შვიდ ოცდახუთ თუმნიანს. უსათუოდ მოვახერხებდი. ლამაზ ბანკში მექნებოდა ფული შეტანილი. თავი შევიმაგრე: მინდოდა მაშინვე მენახა გოროზი ბოლომდინ დამდაბლებული, იმ წუთშივე. ესე მიკარნახებდა ჭინჭყლიანი რამ ეშმა გულსწრაფი. განა არა, სხვა ეშმაკი ღიმილით მირჩევდა, ამესრულებინა ჩემი განზრახვა, კარგ სამკალსაც ამითქვამდა ჭკვიანი. აფსუს, არ დავუჯერე!

ამოიარა ქარვასლისაკენ. შევიდა ჰაჯის მაღაზიაში. ყველა ხილი გასინჯა საუკეთესო, ნაღუნაკი იგემა. ვერ იყიდა. რას იყიდდა?! იშტა ჰქონდა, წელი არ მოსდევდა.

– ქალბატონო, რა მშვენიერი თაიგულია!

დააფასებინა. ეძვირა. ვერ იყიდა. დაჩაგრული ბავშვის იერი მიიღო. მოღიმარე ეშმაკმა კიდევა სცადა ჩემი ჩაგონება.

– ისწრაფე შენ ხელთ არის. დამიჯერე, უშნოვ!

ნაბიჯი წავსდგი: უნდა მეყიდნა ყვავილები, მიმერთმია; მერმე მთლადაც ამესრულებინა ჩემი განზრახვა. ვერ მოვახერხე: ბოროტმა ეშმამ ჩამიქრო ნდომა. ტრამვაის ბაქანზედ მოთავსდნენ ისიც, მისი მოახლეც. წინად ამ დღეებში ეტლს დააქროლებდა ეფემია მაღაზიიდან მაღაზიაში; ქარი უფრიალებდა შაპოზედ ძვირფას ფრთებს, უშრიალებდა ფარჩის ტანსაცმელს.

ჩრდილივით ვსდიე ორი-სამი საათი, თავი არ შევამჩნევინე; ყოველ წამს კი მინდოდა წარვსდგომოდი, ამესრულებინა ჩემი კარგი განზრახვა. გავჯიქდი. მეგონა, კიდეც დავიკმაყოფილე უთმინო გრძნობა. მაგრამ არა: ის გულფიცხი ეშმა შემიჯდა

გვერდებში და აღარ მომასვენა მეორე დღესაც, სანამ ბოლომდი არ ჩავყევი ამ წვრიმან გრძნობას ბოროტს.

კოხტად გამოვეწყე აღდგომა დღეს, ჩავჯექ ეტლში, გავწიე სადარბაზოდ. ღმერთო ჩემო, რამდენი დაღი ვნახე ხელმოკლეობისაგან დასმული წინად დაბზინებულ ოჯახებზედ! მოვიცლი, გიამბობ. ბოლოს... კიმოთეანთკენ გავსწიე ღიმილით, სულმოკლე ეშმაკისაგან ნაკარნახებ ბოროტი ღიმილით. კარი უცნობმა გამიღო.

– ვინა გნებავსთ, ყმაწვილო?

– კიმოთეანი, რასაკვირველია!

– იმ კარებისაკენ მიბრძანდით; ეს ოთახები ჩვენ მოგვაქირავეს, დანარჩენები თითონ დაიტოვეს. უხერხული გახლავსთ: ერთი და იგივე შემოსავალი ორივე ბინას...

– ბარათებს დააკრავდით ცალ-ცალკე, ზარს გაიყვანდით.

ორჯერ დავარახუნე კარი, მესამედ ძლიერ. თითონ ეფემიამ გამიღო.

– ქრისტე აღსდგა! მომილოცნია... მპა! – გავუტლაშუნე ხელზედ.

შემიწვია. დავსხედით. ვსთქვით რამდენიმე. ფერი მისდ-მოსდიოდა. კაჭკაჭივითა ცმუკავდა სკამის ქიმზედ. ღრმად ჩავჯექი სავარძელში, საფუძვლიანად.

– კიმოთე თევდორეს ძე სადარბაზოდ იქნება?

– დიახ! გვიან დავბრუნდებიო, თქვა.

– რა საკვირველია: ბევრი ნაცნობი ჰყავს. მე კი შემოვიარე ყველანი და ჩვეულებისამებრ თქვენი ოჯახი ბოლოსათვის შევინახე, როგორც ნუგბარი რამ სატკბილობელი.

– წლეულ... მგლოვიარობამ შეგვიშალა წლეულს ხელი.

– მგლოვიარობამ?! განა...

– დედიდა გარდამეცვალა და...

– საწყალი! აღდგომა დღეს მაინც გარდაცვლილიყო, ცხონდებოდა, – წავროშე.

ხმა არ გამცა. თავის ქმრის ქისას თუ ეძახდა დედიდას. საწყალი დედიდა! გარდაცვალებისა რა მოგახსენო და რომ სისხლნაკლები შექმნილიყო და ძალიანაც, ეს კი ცხადი იყო.

ეს მისი ბოდიში დათხოვნა იყო ჩემი, ძალიან ცხადიც. ვითომ ვერ გავიგონე. უფრო ღრმად შევჯექ სავარძელში და გავსწორდი.

– მართლა დაიგვიანებს ბატონი კიმოთე, როგორც ეტყობა.

– ეგრე მითხრა, როცა მიდიოდა.

დარწმუნებული ვიყავი! კიმოთე იქით ოთახში იყო: ცოლი არ გაუშვებდა სადარბაზოდ. რა დარბაზობა შეჰშვენის ვაჟკაცს, რომელსაც წელი არ მოსდევს საპასექო ნამცხვარით გაახაროს ოჯახი, გულუხვად დაჰხვდეს მომსვლელს, პატივისცემა აგრძნობინოს სახლისადმი?!

შემოსვლისას კიმოთეს ჯოხიც შევნიშნე ხარიხაზედ. ვერცხლის თავიანი შავი არგანი, რომელსაც ისე განუყრელად ატარებდა ის, როგორც მწყემსი კომბალს. ხმაც გამოდიოდა შიგა და შიგ ბალღების ოთახიდან, ყრუ რამ ღუმღუმი.

ჩაწყდა სიტყვა: სასაუბრო შემოგვაკლდა. ადგა დიასახლისი, გაიარ-გამოიარა, ფანჯრიდან გადაიხედა. მე უფრო ღრმად შევჯექ სავარძელში, მკვიდრად მოვეწყე. შემატყო, წასვლას აღარ ვაპირებდი და... გადადგა სახიფათო ნაბიჯი:

– სააღდგომო სუფრა არა გვაქვს მოწყობილი, მაინც პური გატეხეთ ჩვენთან, ქრისტე აღსდგა გაგვაგონეთ.

ცალყბივ თხოვნაზე ბოროტმა ეშმამ უფრო გამაჯიუტა.

– სიამოვნებით!

გავიდა, იფუსფუსა.

– მობრძანდით!

პატარა მაგიდაზედ ორკეცად გადაფარებული თეთრი სუფრა. ხახალში თონის პური თხლად დაჭრილი. სასმისით არაყი. ხუთიოდე წითელი კვერცხი. პატარა ლანგრით... ცივად მოხარშული ქათამი, ასოასო დაჭრილი. საწყალი ღაბუა! ბოროტმა ღიმილმა გამიპო ბაგე.

– ქრისტე აღსდგა, – მივეხმაურე დიასახლისს და გადავკარი. გავტეხე კვერცხი. გამოვხიწნე თეძო.

– კიდევ მიირთვით!

– სიამოვნებით! თქვენი სადღეგრძელო, მშვენიერო დიასახლისო!

გადავკარ, გამოვხარ გულისპირი. ცალი თვალი ქალისაკენ მეჭირა. არეული გრძნობა აჰხატოდა სახეზედ: განადგურებული თვითმოყვარობა, ჩემდა ბოროტი სიძულვილი, ცოფმორეული ჯავრი ალბათ კიმოთეზედ; თითქმის ცრემლები, უღონო სიავისაგან ნაჟური გესლი. ღაბუას ხორცს რომ ვსჭამდი, ისე გრძნობდა თავს, თითქო მას ვკბენდი. ავდექ, გამოვეთხოვე ვგონებ სამუდამოდ. ძონძივით მოდუნებული ხელი მომცა. ჯერ ბჭეს არ გადმოვცილებულიყავი, კარი მიაჯახუნა. წამოველ ღიმილით. რა მაცინებდა?! მომწყდა თავიდან ზავთი ეშმაკი. მაშინღა შევიგენ: თუ გუშინ კეთილგონიერი ეშმაკისათვის დამეჯერებინა შორსმჭვრეტელისა, სწორედ მოგებაში დავრჩებოდი. გვიანღა იყო.

## განასკვილი სიმი

– ბურუსი დასწოლია შენს გულს შენივთებული, ჯანღი რამ მძიმე; ცვარად აცრემლებული ნისლი გეხვევა გარს, უგემურად აჟრიალებს შენს გუნებასა, მთელს შენ არსებას.

– ბოროტი ბნელი მიმოსავს ყოფას, მიხშობს გრძნობასა, თვით ჰაზრთა დენას...

– გაეცალე შენს თავს, მიჰრიდე ერთს წამს ცნობიერებას შემძიმებულსა. მთლად კი არ მოსცილდე კაცთა სავანეს: დაგიმარტოვებს იგი წყვდიადი სამარის ფერი, მთლადაც ჩაიხვევს შენს სულის ციაგს; შეგაზარებს არსებობას ლაღს; მწვირით გაჟღენთილ სიბოროტედ მოგაჩვენებს სიცოცხლეს ლამაზს.

აუტანელ ყოფად დახრწნილად.

– განიმარტოვე თავი! მთლად კი არ განშორდე კაცთ სავანეებს, ადამიანთა ტალღებს, წუთიერ ყოფის ბილიკებზედ მიმავლებს. იარე იქ, სად აბნეულ ხმაურობით სავსეა არე და მაინც სიჩუმეა შენთვის, უცხო დუმილი; სად აღსავსეა მიდამო ხლართულ მოძრაობით დაუდგრომელით და მაინც უძრავია შენთვის, გარინდებული; სად მრამალთაგან გარემოცულ ხარ და მაინც ხარ მარტოებული. იარე იქ, ხალხით აღსავსე უხმო უდაბნოში!

– დასახლებულს ადგილს უკაცოს, შეუცნობელ ხმათა მიერ სავსე მდუმარებაში...

– იყავ იქ, იარებოდე ჰაზრთა ნამსხვრევებით სავსევ, მაინც უაზროვ, განათებულ ფიქრთ უქონელო; გრძნობათა ნაფლეთებით აპირთავებულო, მაინც ელვარედ ასახულ გრძნობათაგან მთლად ცალიერო; სურვილთა სიმრავლით შემძიმებულო, მაინც სამოქმედოდ დაკვართულ ვნებათაგან უარყოფილო.

– სამოქმედო მილტოლვისგან ხელცალიერო...

– არ გახვიდე ყაბახზედ! არ აქსელო შარა, სად უცნობი ნაცნობები დაგეხირებიან ყოველს ჟამს, გულყანდი მეგობრები. ვაჰ თუ ბაგეზედ უქროდესთ ღიმილი ყალბი და შეგამძიმონ; იქნებ აშკმულ მათ პირში თვალი მოჰკრა სისხლიან ეშვს ალესილს, სულდგმულთ მუსვრაში ხელოვნებულსა, და შეგაღონოს, მთლადაც აგაკვნესოს.

– ეშვსა ალესილს, კბილს ცოცხალთ მკვეთელს...

– თუ არა, უფრო დაუმძიმდება შენს სულს ტვირთი თვისი მძიმე, ბოროტების ნაკადად გადმოჩქეფდება ჯანღი იგი გახშირებული, შენს გულს რომ დაუფლებია, საწყალობელი. წადი იქ. სად არვინ გიცნობს; არც მიმომსვლელნი, არც ის აჩრდილნი, მრავლად რომ ჰფრენენ არეებში, გარდასრულ ხალხთა იგი ლანდები.

– ყოფილ ცხოვრების მოგონებანი... ვიცნობ მათ ყველას.

– შენ ვერა გცნობენ! არც ერთი მათგანი არ შეაყენებს შენს გაწამებულ არსებაზედ თვის ხედვის ისარს სივრცედ მიმართულს, თუ შენ თითონ არ უხმე მათ. იქ წადი!

* * *

ამისთანა მდგომარეობაში მე ისნის ვიწრო ქუჩები მირჩევნია, ქუჩაბანდები, ძველ ნანგრევებზედ შიგადიშიგ დაშენებული ახალი ქოხები; თუნდ ხარფუხის ქუჩა-ბილიკნი, სადაც სხვის ეზო თავის ზესვლაში თავს წასდგომია სხვა სახლის ბანსა, სარდაფი დასწორებია სართულს მეორეს. არ გინდა ისანში, აღარც ხარფუხში, თუნდ ჩუღურეთში? მაშ ანჩხატისკენ, ან გარეთუბნის ვიწრო ქუჩებში, თუნდ მთაწმინდაზედ, ოღონდ სულ ზევით, განაპირებში...

ნაღარ-ნალეწი სავალი ძნელი, მიყრილ-მოყრილი ბუნაგ-ბინები, კაცთა საჯგუფი რამ ყორეები... ყველა თაობას სორო მიუდგამს წინაპართ სადგომისათვის, ყუდე რამ მიუშენებია წარსულთ ბუნაგზედ. იქ ყველა შუკა თუ ქუჩაბანდი სავსეა ხალხით, კაცთ ნალექის სიმრავლით უამრავით; გარდასრულ ხალხითაც აღსავსეა ძველის-ძველითა. ვის არ შეხვდები! ოღონდ კი თვალნი გესხდეს ხედვად სხვებისა, ხილვადც აჩრდილთა; ყურნი გქონდეს ხმათა სასმენლად, შორეულ სიტყვათაც სულ უწინდელთა. რამდენ გარდასრულს მოსწყენია ბნელ აკლდამაში ყოფნა განმარტოებული და გამოსულა თავის სახლისა თუ ქუჩა-უბნის დასახედავად!..

– ვერა მხედავენ იგინი: თვალნი სივრცისკენ აქვსთ მიქცეულნი.

– მისთვის ხარ მარტო კაცთაგან სავსე არემარეში; მისთვის დუმილად გესახება ხმათა სიმრავლე და თუ მოგსურდეს, მოუწოდე მათ, გაეხმაურე. შედგებიან, მოგხედავენ, აგჩქამდებიან.

– მეტყვიან რასმე?! ახალს, ძველებურს...

– არ დაჰვიწყებიათ საუბარი. კიდეც გიმღერებენ.

ოღონდ კი თავისად გიცნან შენ, უცხო სახით მოვლინებულო, მათთვის მთლად უცხო მოხაზულობით.

– მათთვის უჩვევი მოხატულობით...

– დინჯად გაიარე. დაკვირვებით მოავლე თვალი მოყვარული. ყური მიუპყარ ჭირთაც სმენად გამზადებული. ლმობიერების ნავტიკით შეცურდი მათ მუქ არსებობის ტბორში, მორევში. გაგიტაცებენ: გაგიღიმებენ, ჩაგაკასკასებენ; დაგაღონებენ, აგაქვითინებენ; აღიღინდებიან, აგამღერებენ; გიამბობენ, ლამაზ სიტყვას გათქმევინებენ.

– მომხედავენ? შვებას მომცემენ? სულს მეფონება?! უკუნშია ჩანთქმული ჰაზრთა არე ჩემში; შავი მცურავი თუ შემოეხვია ჩემს გულს შეხუთულს და სწურავს იმას თვის

ცივ ხლართებში; არარაობა ფოლადის ჯაჭვად დაჰხვევია ჩემს ნებისყოფას და შეუბორკავს, მოძრაობა აურთმევია ტყვედქმნილისათვის.

– შეჰბედე, შეჰმართე, გაიბრძოლე!

– ვცადე შემართება, გავიბრძოლე რამდენჯერმე. ამაოდ! გარს შემომრტყმოდა უხსნელი ღვედი, უწყვეტ საბელად შემომხვეოდა. რა იყო მიზეზი? არაფერი! ყველაფერი! თუ მივაგნებდი გარკვეულ მიზეზს, გამოდგებოდა სევდის სარღვევად; თუნდ ბრინჯაოსი ყოფილიყო იგი შემძიმებული კაეშანი, ოღონდ კი დამენახნა მისი უსახო სახე, მიმეგნო მის მასაზრდოებელ ძალისთვისა.

* * *

გაძნელდა სუნთქვა. ვეღარ გავძელ ოთახში. დავეშვი ქვევით. ისე სწრაფად გავიარე დიდებული ქუჩა შეფერილი, თითქო უკან მომდევდა პირაშკმული სიბოროტე ვეშაპის სახით. გონებას რომ მოვეგე, ავლაბრის ხიდის ყურზედ დავინახე ჩემი თავი.

ჩქეფდა უფსკრულში მძლავრი მდინარე, ქაფდებოდა ურყევ სალთაგან შეზღუდვილი, იწროებული; გული უდუღდა გამძვინვარებულს. განწირვით ეხეთქებოდა კლდეებს, შოლტავდა, ზედ ასკდებოდა, ღრღნიდა ბოროტად პირქაფებული; წამს განშორდებოდა, ჩაიზნიქებოდა; წამს ახლტებოდა, აფრინდებოდა, ზედ ემტვრეოდა, ელეწებოდა. ამაოდ მძვინვარებდა! ყრუ სალს ურყეველს ვერა სწვდებოდა ვერც მისი ბრდღვინვა, ვერც თუ ქუხილი.

– საშინელია! ღრმა იქნება აქ?

– ძლიერად მოგხვევს მკლავს. დაგკოცნის ისე, ვეღარ ისუნთქო. კლდეს დაემზღვრევა აღბორგებული, შენც ზედ დაგაწყვეტს.

– ზედ დამახეთქებს შესამუსრავად?

– ჩაგნქთამს, მოსწმენდავს კვალსაც სისხლისა.

– რა ცივი იქნება სასტიკი!

– ხარბია, გაუმაძღარი. ნაჩვევიც არის აქ მდინარე შესაწირავსა, ადრინდელ დროდან შეჩვეულა.

– ძველ დროიდგანვე?!

– უწინდელ დროში საწამებელი ადგილი იყო ეს. შეხედე ზევით ციხის საძირკველს: კლდის ქიმი რომ არის გადმოზნექილი, აღქაფებულს რომ დაჰმზერს უფსკრულს წამდგარი...

– ვხედავ იმ კონცხსაც, ქვეშ მჩქეფარესაც...

– იქიდან გადმოამზღვრევდნენ შეუნდობელს, რომ დასთხეოდა წყალიდან ოდნავ ამოჩენილ წვერებს სალისას და ჩაენთქა უფსკრულს იგი იმ წამსვე, მოეწმიდ-მოერეცხნა კვალიც მისი არსებობისა.

– ნიშანიც კი მისის ყოფისა...

– საწყალი უშანგ!

– ხმალი ღვთის გულისათვის!.. წარმკვეთეთ თავი!.. – იძახდა სასომიხდილი, როს მიათრევდნენ უფსკრულისაკენ.

– ცოდვაა ხმალი მოღალატისთვის!

– მიშველეთ!.. – გაისმა კივილი

და მოეფინა საზარი ხმა ისნის აღმართებს, მთელ კალა-ქალაქს, ნარიყალასაც.

– მიამბე?

– მერმე, შემდეგში...

აბოს ძვლებიც ამ უფსკრულს ჩაანთქმევინეს, წმიდა აბოსი. უამა თურმე გულჩახვეულსა: აციაგდა მორევი.

– აშუქდა?!

– თურმე შენათდა...

– იყუჩე, ბესიკ! ჰბედავ, უმღერი ბატონიშვილსა?! მაღლა შეჰმზერი, უჰ, ძლიერ მაღლა! შეჰმართავ მზესა ღია თვალებით... დაგბუგავს თვალებს, წაგართმევს ხედვას და... და გადმოგამზღვრევს ამ ფრიალოდან. ჰბედავ, შეჰხედო ზეამაღლებულს!..

მოვშორდი ხიდსა: ისნისკენ წაველ. სანთელი დავუნთე წმინდანის აჩრდილს მიყუჟულ ნიშში: ციაგად მოევლინება წამებულს. ერთს წამს გაუნათებს ყოფას შავეთში.

* * *

წავსდგი რამოდენიმე ბიჯი. მომესმა ჭიანურის ხმა. ფეხი დავაწყნარე. გავარჯიშებული ხელი ხმარობდა ხემსა![*] სევდიანი ბგერანი მწყობრად დარაზმულნი ამოდიოდნენ საკრავის მკერდიდან, მიმოფრინავდნენ. უფრო ვუკელ სვლას, თითქმის შევსდექი. მსუბუქ ფრთებზედ მოჰფრინავდნენ ხმანი, ნარნარი რხევით. მთლად დავდექი. ბგერათა შორის ერთი ნამზნევი მოსჩანდა: რყევით მოსდევდა. ვერ გავიგე მიზეზი. უსიამოვნო რამ აჩრდილმა გამკრა ფრთა. მივბრუნდი, მიუახლოვდი დამკვრელს; დავაკვირდი.

ბერიკაცი იჯდა მოკეცილი. ჭიანური დაებჯინა და უკრავდა. ტყავის წოწოლა ქუდი თვალებზე ჩამოეფხატნა. ტანზედ ტყავი ეცვა ყავარ-ყავარ დახეთქილი. ჯამი ედგა წინ; ფული რომ ეყარა შიგ, შესაწირავი.

ამოვიღე ქისა. ვხსნიდი, თან ნჯღრეულ ბგერის მიზეზს ვათვალიერებდი. მივაგენ! განაპირა სიმი იღებდა იმ ნამტკივნ ხმას: გაწყვეტილიყო; გლახაკს გაენასკვა ის და ისევ გაება საკრავზედ. ეს ვნებული სიმი იყო, რომ მსუბუქად ვეღარ აყოლებდა ხმას თანამომღერლებს, თვის ამხანაგებს; ვეღარ ეხმატკბილებოდა მათ.

აღარ მივეცი გასაკითხი. გამოვტრიალდი. ისევ გამოველ ხიდს. მოედნის პირში რომ მაღაზიაა, იქ მეგულებოდა სიმი. ვიშოვე. ვიყიდე.

– აი, ბიძია, სიმი: ალბათ ეს გირჩევნია ეხლა პურის ფულს.

– სიმი?! აბა!

მივაწოდე. გასინჯა. პირი გაუნათდა. ქუდი გადაიწია თვალებიდან და შემომხედა.

– დაილოცოს შენი მადლიანი თვალი! შეჰნიშნე საწყალი სიმი განასკვილი? ვიმსახურე, ვტანჯე; გაწყდა წელში, მაინც აღარ ვეშვებოდი. გული კი ცრემლებით შევსებოდა მისი ცოდვით. სად ვიშოვიდი ეხლა ახლის ფასს?! ამაღამ გავაბამ ამ სიმს.

გლახაკმა ისევ ჩამოიფხატა ქუდი და გაუსვა ჭიანურს ხემი. იქვე ვიდექ გაქვავებული. ერთხანს ენა აღარ მემორჩილებოდა.

– სოსიკო?

გლახაკმა ისევ გადიწია ქუდი და დაკვირვებით დამაცქერდა.

– დათიკოჯან?!

---

[*] ეს სიტყვა კარგარეთელმა მომაწოდა იამ. ვ. ბ.

– მე.

– დახე ჩემს ყოფას უბედურს!

– სადა სცხოვრობ?

– არსად!

– მაკრინე?

– ნუღარ იტყვი! ნუღარ კითხულობ ჩვენს ამბავს: მკვდარი ვარ! შენდობა მითხარი, კარგო კაცო, და წადი შენს გზაზედ, – მითხრა გლახაკმა

და დაღუნა თავი: სევდამ მიწამდინ დაჰხარა მისი ანაოჭებული ხედი.

* * *

ისევ ამოვიღე ქისა, მაგრამ გადავიფიქრე: ადრინდელი მეგობარი იყო ჩემი, იმთავითვე ჩემი ტოლ-სწორი და მისთვის დამამცირებლად მივიჩნიე, ფული გადამეგდო, მით მომეხადნა მოვალეობა.

– როგორ თუ ვერ გაუბედე?! ვინ გლახაკი, სად თავმოყვარეობა!

– ნუ იტყვი! ნივთიერად დაკნინებულს, განა აუცილებელია, სულიც ლაფანივითა ჰქონდეს მოღვედილ-მოშვებული, მიწამდის დაწეული, მწვირში თუ ტალახში ამოვლებული?..

ხმა აღარ გავეცი, გავტრიალდი: იქვე ახლო რომ მიკიტნის დუქანია, იქ შავედი. ღვინო მოვითხოვე, მცირე სამხარი: მინდოდა ფანჯრიდან მეთვალიერებინა გლახაკი და თან ავყოლოდი მას, როცა დაიძვრებოდა ის თავის ადგილიდან. ნელ-ნელა შევექცეოდი. ვფიქრობდი: გარდასრული სურათები მითამაშებდნენ თვალწინ.

ნაცნობი იყო ეს არე ჩემთვისაც, სვიმონისთვისაც, – იმ გლახაკისათვის, აგერ რომ მიჰყრდნობია ზურგით კლდეს და უკრავს სიმძიმილის დროს იმავე თარს, რომელსაც ლაღობის დროს ახმატკბილებდა. ბეჩავ, ბიჭო! ბევრჯერ გამოგივლია ამ ქუჩებზედ თავმომწონედ... მაუდის კაბა ყურთმაჯეებიანი, აბრეშუმის სარტყელი ფოჩგადმოშვებული, კალმუხის ქუდი: საათის ძეწკვი ოქროსი; შრიალა ახალუხი ფარჩისა. კეწკეწი შალვარი ყაფაღიან წაღებში ჩატანილი. შავი ულვაშები მოპარსულ პირზე. აბრეშუმის ხელსახოცი სანოვაგით სავსე, ჯიბეში ფული. ტუჩზედ ღიმილი.

მიუხაროდა შინ ბედნიერსა: მაკრინე დაჰხვდებოდა ოჯახში, სუფთად ჩაცმული კერის ანგელოზი, თვისი მეუღლე, თანც საყვარელი; მარად სატრფობი მაკრინე, ეშხზედ მომყვანი.

– სად მიდიხარ, დათიკოჯან?

– არსად! ისე გამოვისეირნე: კარგი საღამოა. მოდიხარ კიდეც დუქნიდან?

– ეს არის, ავუგდე დარაბები; დახურულ ბაზარში, იცი შენ, ადრე ბნელდება.

– ნახვამდისინ!

– ერთად ვივახშმოთ! ჩემთვის ხომ ვახშამია, რაც არის: სადილს დუქანში ვსჭამ მარტოდ-მარტო, უსახლობით კი-მე მად...

– შენგან არ მიკვირს! ცოლი თუ გიზის გვერდზედ, რა მადა გექნება, ან რა ლუკმა ჩაივლის ყელში?!

– ყელში იხირება საჭმელი, თუნდაც კახური დაასხა ზევიდან დალოცვილს. დუქანში მე მარტოდ-მარტო ყარყუმივით; იქ, სახლში, შენი ახალი სული...

– მურაზით სავსე სული ახალი...

– წავიდეთ! მაკრინესაც გაეხარდება: უყვარხარ, ნათლია.

– მეც დიდ პატივსა ვსცემ. უცხო ხომ არა ვარ: მეჯვარე ვარ თქვენი.

მივდიოდით პირმხიარულნი. მწვანილ-ბოლოკი, მოთალი, თევზ-ხიზილალა; ტკბილი ღუღუნი, თარზედ ღიღინი. მარჯვე დიასახლისა მოსიყვარულე... სხვებიც შეგვესწრებოდნენ ხანდისხან. სამხარი ვახშმად გადაგვექცეოდა, ჩუმი შექცევაახმაურებულ მხიარულებად. მეტადრე, თუ აშუღ მიქელა შემოგვესწრებოდა... რა თქმები, რა ზმები! საარშიყო ლექსები. ძველებური ამბები...

– იქით კვირა ჩემთან! ჩვენი კერის ანგელოზიც ვასიამოვნოთ. ნათლიდედ, თქვენც წამობრძანდით: ჩემს ფეფიკოს გაეხარდება: დასავით უყვარხარ. მიქელ! ხარაზ პეპიაც დამიპატიჟე; ახალი ლექსები აქვსო გამოღ...

– ეჰა! დაძრულა სვიმონ თავის ადგილიდან. როგორ მოხრილი მოდის! წელში გაუტეხია ცხოვრების სიმძიმეს. ბევრით კი არ არის ჩემზედ დიდი. ზედ ზურგზედ დაუცია უბედურობას.

გავუსწორდი მარკოზას. გამოვედი. მივეწიე.

* * *

– შინათკენ?

– მივდივარ. განა შენც აქათა სცხოვრობ? არ შემხვედრიხარ აქამდისინ.

– ვერაზედა ვცხოვრობ. განძრახ ვიცდიდი დუქანში: მინდა შინ წამოგყვე.

– შინა? სადა მაქვს ბინა?! საღორეში ვყრივართ. არა! ნუ მოხვ...

– მაინც უნდა წამოვიდე: ვერ მოვისვენებ. მაკრინე?

– საწყალი მაკინე!.. მაინც ვერ დაგინახავს: დაბრმავდა ორივე თვალით, სრულებით ვეღარასა ჰხედავს.

– დაბრმავდა?!

– ჰო! მოტეხილს მოსტეხიანო...

– წამოვალ!

ვიცოდი ამ კაცის უბედურება. გაკოტრდა. კიდევ იბრძოდა. გატყდა. მორცხვადა სთხოვდა ნაცნობებს შემწეობას. დავკარგე თვალთაგან. ეხლა მთლად დაგლახავებულს შევხვდი, მაგრამ თუ მეტი საცოდავობის მზიდავი იყო უბედური, ის კი აღარ მეგონა.

– დაიცა ემანდ! – ვუთხარი.

როდესაც დავუსწორდით სარდაფს, ჩავირბინე. მოვითხოვე სანოვაგე, სასმელი, თეთრი პური: ფულს აღარ დავხედე.

– წადი, დათიკოჯან, თუ ღმერთი გწამს! არ მინდა ჩემ ბუნაგში მიგიყვანო: ერთხელ მეც ხომ კაცი ვიყ...

– გრცხვენოდეს, სვიმონ! მე მეუბნები მაგას?! უსათუოდ უნდა ვნახო ბეჩავი მაკრინე!

ხმა აღარ ამოიღო: ალბათ დამთანხმდა. ავათავეთ აღმართი. მარცხნივ შევუხვიეთ, ვიწრო ქუჩისაკენ. მინგრეულ-მონგრეული სახლები რომ არის, იქ შესდგა გლახაკი.

– აქ?

– აქ! მაგრამ...

– გამიძეღ!

– მაკრინემ არ იცის რომ ვმათხოვრობ, არ წამოგცდეს!

რაღაცა ჯურღმულში ჩასავალი თავქვე იყო. ჩავდგი ფეხი. ჩავედით.

– საღამო მშვიდობისა, ქალო! ჭრაქში კიდევ არის ნავთი? ასანთი მომაწოდე ერთი, მუხლ ქვეშ გექნება.

გაჰკრა წუმწუმა. ააშუქა. აგურის იატაკი ჰქონოდა ბუნაგს. ამოცვივნულიყო. ბუხრის ნანგრევი მოჩანდა. ტახტზედ, რაღაცა ფიჩვზედ, იჯდა მოხუცი. თვალები ახილული ჰქონდა. არც ლიბრი ჰქონდა გადაკრული. ეჭვი შემეპარა სვიმონის სიტყვებში.

– ვინ შემოგყვა? ფეხის ხმა გავიგე: სუნთქვაც მესმის.

– გამოიცან!

ვაი, რომ ვეღარვის ვიცნობ! ვინა ხარ, შვილო! მე ხომ ღმერთმა თვალები დამიყენა...

– მე ვარ! დათიკო ვარ, მამზერალიძე.

– აღარ გახსოვს, შე საწყალო, ნათლია დათიკო, სოლომონის შვილი?

– უი, ქა! სად მიპოვნე ქვეყნისაგან ხელაღებული, სიკვდილისაგანაც დავიწყებული?!

– სვიმონა დავინახე თარით ხელში და გამოვყევი: ძალიან მომინდა ამისი თარის ხმა და სიმღერა კიდევ მომესმინა, უწინდელი ჰანგები ლამაზ-ლამაზი.

– რა კარგია! მაინც არ ივიწყებენ სვიმონს ძველი ნაცნობები: ქორწილი, ნათლობა, ახალგაზრდების ქეიფი უმაგისოდ არ იქნება. თარით შოულობს საწყალი საზრდოს და მეც მაცხოვრებს, ესეთს საბყარსა. თუ თარს არ ეშველნა ამ უბედურობაში, დავიღუპებოდით.

– შენ კი, ჩემო მაკინე, ახალგაზრდობისას სულ იმას მაყვედრიდი, გადაჰყევი მაგ თარს თუ სიმღერას, ქეიფში საქმე დაგავიწყდაო.

– მართალი ვიყავი, ჩემო კარგო ნათლიჯან, მაგ ქეიფში არ დაიღუპა კაცი და ძვირფასი მაღაზია დაკეტა? ეს თვალდახუჭული მღეროდა ეშხზედ მოსული ბულბულივით, მტაცებელი კი მოეპარა და დაანელა...

– ალბათ ესე ეწერა შუბლზედ. გულს ნუ გაიტეხ იქნება შენ ისევ გეშველოს. ექიმს არ ეჩვენე?

– ორჯერ-სამჯერ წამიყვანა სვიმონამ ექიმთან, მაგრამ იმან ხელი არ დასდვა ავადმყოფობას: შავი წყალიაო მოურჩენელი. შინაური წამლებიცა ვსცადე, მაგრამ ტყუილად: აღარ გამინათდა.

* * *

შევაყოლეთ საუბარი: ერთი კბილის ხალხნი ვიყავით და ძველ ამბებს ვიგონებდით.

– ბარემ ვახშამი გავშალოთ, – მიჰმართა სვიმონამ მაკრინეს.

– უკაცრაოდ კი ვართ სტუმართან...

– ნურას ბოდიშობ! ყველაფერი არის ღვთის მოწყალება: დათიკომ იყიდა ყოველივე.

– დათიკომ?!

– არა უშავს რა, ძველი ნაცნობია, თანაც ნათლია.

– მოვდიოდით. მამეწონა დუქანში ეშხიანად დაწყობილი სასმელ-საჭმელი და.. ვივახშმებთ-მეთქი ერთად, ძველ დროს გავიხსენებთ, ვიფიქრე.

დედაკაცმა ხმა აღარ ამოიღო. ადგა, სუფრა გაშალა, ჭურჭელი გადმოაწყო თაროდან. სვიმონა ჰშველოდა ნელ-ნელა იძროდა ბრმა, მოზომილად; ძლიერ ფრთხილობდა. გამოთვლილი ჰქონდა თვითეული ნაბიჯი, ფეხის გადადგმა. მაყალიც გაჩაღებულიყო, ჩამოიტანა სვიმონამ: წეღანვე მივეცი ნახშირის ფული, მოიტანე-

მეთქი. სითბო დადგა გაყინულ ბინაში; ნესტის სუნი კი აუშვა: უცეცხლოდ ჩაჟღენთილიყვნენ იატაკი თუ კედლები უმზეო ბუნაგში. რა უშავდა?!

– შესჩვეულხარ სიბნელეში მიდგომ-მოდგომას.

– შევეჩვიე. რას არ შეეჩვევა ადამიანი! ეზოშიც შემიძლიან ასვლა. ქუჩაშიც გავდივარ, მაგრამ სახლს ვერა ვცილდები: მეშინიან. დართვას და წინდის ქსოვას კიდევ ვახერხებ, თუ ხელში მომცეს საქმე. ვეღარასა ვშველი სვიმონას. ჰაი, თუ ჩემი თვალები მექნებოდა ეხლა!.. ბნელეთის წერა ვყოფილვარ მე საწყალი...

გავთბით. შევნაყრდით. დედაკაცი ცდილობდა, ნაზად ეჭამნა, მაგრამ მაინც ეტყობოდა, დამშეულიყო, დანატრებულიყო სასმელ-საჭმელსა. გუნებაზედ მოვიდნენ. მაკრინე თავისებურად გასწორდა წელში, ყელი მოიღერა, ჩამხმარ-ჩანაოჭებული ყელ-ყური. სვიმონა დახელოვნებულიყო დედაკაცის მოვლაში: მარჯვედ აწვდიდა საჭირო ჭურჭელს, საჭმელს თუ სასმელს. ისე ესმოდა დედაკაცს ყოველივე მოძრაობა, თითქო ხედავსო. ისევ ისეთი სუფთა მაკრინე, ბედშავობაშიც ლამაზად მქცევი.

– ჩემი ბიჭის უბედურობაზედ კი დამემართა ეს ავადმყოფობა: ცრემლს თუ ვეღარ გაუძლეს საწყალმა თვალებმა. ჯერ ისე შავი რამ ფარდა მელანდებოდა, ბნელის ნაგლეჯი. თანდათან ძირს ჩამოიწია წყვდიადმა და გაფართოვდა. ერთს დღეს მთლადაც ჩამომეფარა თვალებზედ. ბისტი კი წინადაც არსადა სჩანდა. მეუბნებიან, თვალებს არც ეხლა აქვსო ლიბრი გადაკრული.

– სუფთა თვალები გაქვს, წინანდებურად მოკრიალებული.

სვიმონასაც თანდათან გული ეხსნებოდა. ცალი თვალი ჭიანურისაკენ ეჭირა. მისწვდა საკრავს, გააბა ახალი სიმი, მომართა. ააქვითინა სიმები. გრძნობათა ნაჟური გვადინა თვალთაგან. მაკრინეც აღელდა, სიამის ცრემლი გადმოადგა ჩაბნელებულ თვალებზედ.

– ახალი სიმი?

– დათიკომ მიყიდა.

– რა მადლობელი ვარ! აწამებდა საწყალ კაცს ნამზნევი სიმი გაკვანძილი. მეც სმენას მიქანჯავდა. ვერ ყიდულობდა სხვას: ამბობენ, დიდი სიძვირე ჩამოვარდაო ყველაფრისა.

– მართალია!

– წინადაც კი ყოფილა შიმშილობა: ერთი ცულის ყუა ხორბალი მინალთუნად გადიოდაო.

– გახსოვს, სვიმონ, ქეიფს რომ შევაყოლებდით ნელ-ნელა?

– პატარა სუფრა. ტკბილი ღიღინი. თაფლივით სიტყვა.

– სველი ხელადა. მწვადის შიშხინი. მადის ამშლელ კვამლში რომ ეხვევი, სუნნელოვანში.

– გათენებისას საარი გამყივარი, პირველი სხივები ამომავალი მზისა რომ ცისკენ აზეულ ზურნის ტუჩში ჩაიმტვრევიან...

– აი თქვე ეშმაკებო! მე კი თვალჩაუხუჭავი ველოდი ჩემს ვაჟკაცს; მეშინოდა, ხიფათი რამე ხომ არ წაეკიდა-მეთქი.

– ახ, დრონო, დრონო, წარსულნო დრონო! – ჩაიღიღინა სვიმონამ და მწყობრად დააპკურა ზედ ვერცხლებრივი ბგერანი ჭიანურისა.

დამავიწყდა, სად ვიყავი, რა უბედურების სავანეში. თითონ ბედშავთაც გადაავიწყდათ ეს; სახეგაბრწყინვებული სვიმონა ასაუბრებდა თარს; მაკრინე თვალს აყოლებდა მიმომფრენ ხმებსა. იქნება კიდეც ხედავდა უხილავებს თვის გონების თვალთა არეში. შეწყდა ხმა მწყობრი: თარმა უკანაკნელად ამოიკვნესა და ჩაჩუმდა.

* * *

– გმადლობთ, ნათლია ჩემო, ამ სიმისათვისაც: კვანძიანი სიმის ხმა ყურთა სმენას მიგმირავდა, კოჟიჟივით მეჭდეოდა ზედ გულის კანზედ.

– არაფერს! მეც ვისიამოვნე. რათა ხანია, აღარ გამიგონია ეს ძველი სიმღერები. რამდენი სიმღერა იცოდი შენ, მაკრინე, და ლექსებ-ზღაპრები! კიდევ გახსოვს?

– მამა განთქმული მელექსე ჰყვანდა და ამბის მთქმელი. ზღაპრების გუდას ეძახდნენ.

– ყველაფერი დამასწავლა მამამ, სუყველაფერი მახსოვს.

– ეგ კარგია, მეხსიერება რომ შეგრჩენია.

– რაც თვალები დამევსო, ის უწინდელი ლექსები თუ ზღაპარსიტყვაობა უფრო მკაფიონი შეიქმნენ ჩემთვის. რომ ვიგონებ, თითქო ვხედავო. ვხედავ კიდეც საკვირველად აციაგებულ სიტყვებს; დარაზმულნი მოდიან მწყობრად, მოუბნობენ, მოიმღერიან. იგინი ეხლა ჩემთვის ცოცხლები არიან!

– ჰხედავ? მოძრაობენ, ცოცხლები არიან?!

– ახ! საწყალი ჩემი თვალები ალბათ შიგნით ჩაბრუნდნენ, შინისკენ მიიქცნენ და იქ ანათებენ ძველისძველ ამბებს, ქამხა-ატლასივით მძიმედ დაკეცილ ძვირფას სათქმელებს.

– გვიამბობ, ჩემო მაკრინე, ყველა იმ ამბებს?

– გეტყვით, მოგითხრობთ, თუ გიხარიანთ.

– მოვალ ხოლმე და გაამბობინებ. კარგი?

– კარგი, გენაცვა, ძალიან კარგი! განა კიდევ მოხვალ ჩვენსა, კეთილო? სხვამ ყველამ დაგვივიწყა, თითქო დაგვმარხეს.

– უთუოდ გნახამთ, ჩემო კარგებო!

დავდივარ სვიმონაანთას. თვეში ერთხელ მივდივარ, ოცის შემდეგ ჯამაგირის მიღების მერმე. საკვირველია! იმ საცოდავ ბუნაგში აყროლებული ჭრაქის ოდნავ მბჟუტავ შუქზედ კაშკაშდებიან ძველი სახეები, იძვრიან, ცოცხლდებიან; თვალწინ მეორდებიან უწინდელი ამბები.

– გარდასრულნი თუ მოდიან იქ თქვენ სანახავად, დროს სატარებლად?

– ნამდვილ მოდიან, შავეთიდან გვევლინებიან. რას არ ამბობენ! უფრო კი სევდიანს მოგვითხრობენ, გვიმღერიან, გვეუბნებიან. ხან მთლად უჩუმრადა სხედან იგი აჩრდილნი წარსულისა. ჩვენ კი მაინც ვხედავთ მათ, გვესმის მათი სიტყვა, მეტადრე მაკრინეს: ის ჩვენზე კარგად ჰხედავს იმათ, ჩვენზედ მახვილად ესმის მათი უხმო ხმა. როცა ამოვდივარ იმ ჯურღმულიდან, მგონია, ბურანში ვიყავი და გამოვფხიზლდი. მანამ მეორედ მათთან მისვლის დრო მოვა, ეჭვიც კი მეპარება იმათ არსებობაში.

**1920 წ.**

## სადედოფლო სარტყელი

– ჰაი, შე უშნოვ! როგორ უმიზნებ?! მრთელი ნაბიჯით ასცდა ჯილა!

– კარგი, გოგი, თუ ძმა ხარ! ახლა შენ დამნავსე. ისეთ წაგებაში ვარ.

– მაჩვენე კოჭი!.. მარცხენა ჩაგიტყვიანებია. მარჯვენა უნდა, რომ ცერი დაენდოს თოხანს. სალოკი ჰხვდება ეხლა გლუვ მხარეს, სხლტება სროლის დროს...

– კარგი ერთი! ძალიან მასწავლებელი გამოხვედ... დასხი შენც! გინდა?

– დავსხამ! არ კი მიშაროთ. ძალიან მშიან: მეხუთე გაკვეთილიდან მოვდივარ. მარტო ერთ ხელს ვითამაშებ: წავაგებ ალალი იყოს; მოვიგებ-წავალ.

– ხუთ-ხუთია!

ჩაამწკრივეს კაკლები. სულ ტრუზები იყო. დიდი წრის შემოვლება დასჭირდათ: ბევრი იყო მოთამაშე ტოლ-სწორი. ყარეს კოჭი, ვის როდის ერგებოდა სროლა. ამოიღო გოგიამ ჯილა. ვერძის კოჭი სუფთად ჩატყვიანებული, მცირედ ჭუკ-წალესილი.

– ასცდა!

– ვაჰ, მაღლა მომივიდა.

– ასცდა!

– რომ უცურებ, არ იცი, ვერ მოარტყავ; მტვრიან მიწაზედ მოცურება?

– ბეწვის ტოლაც და წრეს გააცილებდა თეთრ კაკალს: ძლიერად მიბზრიალდა ჯილა.

– ერიჰა! კოჭურით?! ვინ მოგცემს ნებას?!

– არა მაქვს ჯილა!

– აჰა ჩემი!

– აფუ მე! ფეხი წამიცდა.

– არა, ეგენი არ იყოს... ჩამოდეგ!

– ესროლოს: არა უშავს რა.

– ასცდა!

– ჩემი ჯერია! – წამოიძახა გოგიამ და მოიხსნა აბგა წიგნებით სავსე, გადასცა ამხანაგს.

– ჭახ!

– ყოჩაღ, ბიჭო! გოჯზედ არ მოუცურდა, ისე ეცა.

– ჭახ!

– კიდევ?!

– ჭახ!

– გეყოფა!

– მაცა!

– სულ გაიტანს კაკლებს!

მთლად არა, უმრავლესობა კი გააცილა წრეს. ჩაიყარა ჯიბეში. გადიგდო მკლავებზედ აბგა. იქვე გაკვნიტა ერთი, პირს იკრა ბროლივით ლებანი. დაეშვა ხტომით შინათკენ.

* * *

მიხტოდა ბავშვი. პირი უღიმოდა. კარგი დღე იყო მისთვის: სკოლაში გაუმარჯვდა, ორ საგანში ხუთიანები მიიღო. სხვებს რომ შიმშით თუ შხეპლით ჩაჭდიეს სწავლის საჭიროება და მუხლის თავებით შეაგრძნობინეს მისი აუცილებლობა, იმას ქოჩორზედ გადუსვეს ხელი. იმისთვისაც მიუხაროდა შინ. კარგ ამბავს მიუტანდა თავის ტოლ-სწორთ. ძალიან უყვარდათ იმათ გოგია. ჩვეულნიც იყვნენ კარგი ამბების სმენას მალხაზი ბალღისაგან ნიჭიერისა. მიხტოდა.

– ვინც პირველად შემხვდება კაკალს ვაჭმევ მონაგებს, – ოცნებობდა.

შიმშილიც კი მიაჩქარებდა: ჯიბით წამოღებული ყუა დილითვე გაათავა. მეტადრე გოგოები ევლებოდნენ თავს. ლამაზი ბიჭი იყო, მგრძნობიარე, მხიარული, თანაც უწყინარ-უზაკველი, მთლად მისანდობი. ერიდებოდნენ სხვებს, ავზნიანებს: აღარც ისე პატარები იყვნენ, ქალ-ვაჟთა ზღაპარი სამარადისო მთლად უცნობი

ყოფილიყო მათთვის, ბუნდოვანი წარმოდგენა ამ ლამაზ არაკზედ ჰქონდათ მათ. ეს უფრო აახლოვებდა გოგოებს თმაგრუზა გოგიასთან, ბრძნულად მოწყობილი ოჯახის შვილი იყო ზნეფაქიზისა და უბნის ქალებს ისე უყურებდა, როგორც სათუთებს. გასცდა დიდ ქუჩას. გაუხვია ქუჩაბანდისკენ... შემოეგება ხარაზიანთ ლიზა.

– ძლივს არ გამოჩნდი!.. რამდენი ხანია, გიცდი.

– ეხლა გაგვითავდა გაკვეთილები.

– სხვა ბალღებმა რათა ხანია გაიარეს.

– ჰო, ერთი ხელი წრე ვითამაშე ზევით. რა კაკლებია! აი, ნახე, – უთხრა ბალღმა და ამოალაგა ჯიბიდან.

– ნუშოსაც მიეც, ანიკოსაც. დაურიგე, ვისაც გაჰხვდეს.

– შენ?

– გზადაგზა ვჭამდი. კარგ ფეხზე ავდექ დღეს: ხუთიანებიც მივიღე, კაკლებიც მოვიგე.

– კარგი ხარ და ამისთვის! მეც რამ უნდა გითხრა. გიცდიდი, რომ პირველად მე მეთქვა.

– მამა ჩამოვიდა? რამდენ ხილს ჩამოგვიტანდა!

– არა! დაიცა: ბატონიანთ ქორწილი აქვსთ ამაღამ, ციაგასა სწერენ ჯვარს.

– ვუყუროთ! საყდარშიც გავყვეთ. მდიდრულად იქნება მორთულ-მოკაზმული!

– დაიცა, ბიჭო! აღარ ათქმევინებ?! – შენიშნა მაგნომ, რომელიც მიეტოლა მათ.

– ის უნდა მეთქვა, ქორწილში შენ დაგიძახებენ.

– სარდაფის მართამა თქვა, გოგიას დაუძახებენო, – ჩაურთო ნუშომ.

– თურმე იმისთვის უნდა დაგიძახონ, რომ სარტყელი შემოარტყა პატარძალს, – ჩამოართვა სიტყვა ბაბუცამ.

– მართალია?! მაგრამ საიმათო ტანისამოსი რომ არა მაქვს. სულ თავადიშვილები იქნებიან, დიდკაცები... ეჰ, არ წავალ!

– წადი, შენ გენაცვალე!

– უნდა წახვიდე! დაათვალიერე ყველაფერი და გვიამბე, ძალიან მდიდრები არიან, სულ ოქროქსოვილში და თვალმარგალიტში ჩასვამენ პატარძალს, – უბრძანა ეონამ.

* * *

მჭვირვალიანი... ციაგა... წადი!.. ადვილ სათქმელი იყო ყველა ეს, ძნელი ასასრულებელი ვიღაც ქუჩის ბიჭისათვის, თუნდაც სკოლაში გამარჯვებულისა. ორსართულიანი დიდი სასახლე მტკვარზედ გადაკიდებული აივნებით; ზევით მხარეს მშვენიერი წალკოტი ალვის ხეებით; ლითონის ლომები ალაყაფის დარაჯებად; მარმარილოს კიბეები წითელ მაუდით დაფენილი; სამადლიანი ფანჯრები მთლიანი ბროლისა, მზის სხივებზედ რომ თვალსა სჭრიდნენ ლაპლაპით; ბატონი გრიგოლ გრძელტარიან ყალიონით, უშველებელი ნაგაზი რომ ახლავს განუშორებლივ. რა მგრგვინავი ხმა აქვს, მბრძანებელი! ახლა დიდკაცობა...

– ძალიან მეძნელება: ციაგას სარტყელიო, უმოახლოდ რომ არ გაივლის, იმ მზეთუნახავის. მისი მედიდური ღიმილი დამცინავი... არა!

– წადი, თავს შემოგევლე! შენი ბაბილო არა ვარ?! აბა თვალებში ჩამომხედე და ისე მითხარ უარი.

– შენს ანიკოსაც უარს ეუბნები? აკი სულ იმას მეტყოდი, შენის გულისათვის ქვესკნელის ცეცხლს გავაპობ და დევისაგან დაგიხსნიო, პირყვითელ დევისაგან, თვალცეცხლიანისა...

მოდი და ნუ წახვალ. ნუ გაიტეხინებ, შეკრთომა დაიმჩნიე და შიში! ერთს ხანს გაჩუმდა გოგია კიდევ ყოყმობდა. მერმე წელში გაიმართა, თავი მოიმამაცურა, ქოჩორზედ ხელი გადისვა. მუხლი მაინც უთრთოდა: ძნელ საქმეს უბრძანებდნენ სასტიკნი მაცთური ხვეწნით, ლამაზ ალერსით.

– მიდიხარ? აი ყოჩაღ! ისევ ჩვენი გოგია ხარ.

– იცი, გენაცვა, ისადილე, გაკვეთილებიც დაამზადე. მოვალთ, რომ გნახოთ, როგორ იქნები ჩაცმულ-დახურული.

– ხალათი გახამებულ პერანგზედ ჩაიცვი: ხელადვე გავავლებ წყალში და გაგიხამებ.

– ღილები ხომ არ აკლია ხალათს? გავსინჯავ, დაგიკერ-დაგიმაგრებ, კიდეც დაგიუთოებ.

ჩემთვის უნდა დაევალებინათ ეგ საქმე, რომ სულ ხტომით წავსულიყავი, მაგდენი ხვეწნა კი არ დამჭირდებოდა, – სთქვა ვალიკომ.

რომელიც დიდი ამხანაგი იყო გოგიასი, მაგრამ მაინც შურით უყურებდა ეხლა მის გამარჯვებას.

– შენ რად დაგიძახებდნენ? გოგიასთან როგორ მოხვალ შენ: ამას ბედნიერი ხელი აქვს.

– ამის ხელი ბევრჯელა სცადეს და ყველამ იცის, კარგი ხელი აქვს. შენც კარგად იცი ეს და ნეტა ტყუილ-უბრალოდ რაღას ლაპარაკობ?! – შერისხა იგი ბაბილომ და ზურგი შეაქცია.

* * *

– რა პატარძლის მომრთავ-მომკაზმი იქნებოდა ვიღაცა ბიჭი და მერე დიდებულ ოჯახში, ბატონიშვილის სწორის სასახლეში? არ მესმის! საკვირველ რასმე ამბობ.

– არც საკვირველს ვამბობ, არც დაუჯერებელს. აღარ თუ გახსოვს ჩვენი ქართული ჩვეულება. მისმინე! ქორწილს ბევრი ჩვეულება ასდევს – ზოგი გამოცდილების შედეგი, სხვა – ცრუმორწმუნოებისაგან წარმოშობილი: ზოგი სიმბოლიური, შორიდან მანიშნებელი. ერთი ამ ჩვეულებათაგანია: პატარძალს სარტყელს შემოაკრავს გამთავნებული ოჯახის პირმშო ვაჟი, ბალღმრავალ კერისა. გოგია უფროსი ვაჟი იყო ამგვარ ოჯახისა. მისი მშობლები იღვწიდენ ფრიად, გულმოდგინედ ასრულებდნენ ეკლესიის ბრძანებას:

„განმრავლდი, ვითარცა იაკობ!“

მოგეხსენება, თორმეტი მარტო ვაჟი ჰყვანდა ამ მამათმთავარს, ქალებს აღარა ვთვლი. გოგიას მამას მიზნად დაესახა, ებაძნა იაკობისათვის და მიმზგავსებოდა მას. დიდ იმედს იძლეოდნენ ამ ასპარეზზედ: ღვივოდნენ წვრილფეხობის მშობელნი. ეს იყო მიზეზი, რომ გოგიას სახელი დაუვარდა, ბედნიერი ოჯახისა არისო.

თითონ ბალღიც მიმზიდველი იყო: ნაქვთად კარგი, ეშხიანი; ცეცხლის მფრქვეველი თვალები, ჰაზრიანი; მოსიყვარულე გული ალერსიანი; სწავლაში მახვილი. რჩეული იყო. უბნის უბრალო ხალხი ალერსიანად უყურებდა.

სოფლიდან იყო. ხელმოკლე სახლში სცხოვრობდა, ნათესავის კერაზედ. მისი იქ ყოფნა დაბეჩავებულ თვისისათვის რომ ხელსაყრელი იყო, ბალღისათვისაც კარგი გამოდგა: უცხოობას არა გრძნობდა მოსიყვარულე დიასახლისის ხელში. სუფთა ქცევა-

ზნეობისა იყო ბალღი: ახალი იაკობ და რახილი თვალის გუგასავით უფრთხილდებოდნენ თავის ლამაზ კერას, იქ ვერ გაიჭაჭანებდა ზნეობის შემლახავი სიტყვა თუ ქცევა; იმათ სახლში დაევანნა უმწიკვლო ნათელს მხიარულს და პატარასაც იგი ნათელი ჩაჰქარგოდა ბუნებაში. მიტომ უმზერდნენ მას მცნობნი ლამაზი ღიმილით.

ყისმათიანიც იყო: უბანში რამდენიმე პატარძლისათვის შემოერტყა სადედოფლო სარტყელი და ყველას საბედნიეროდ მოჰხდენოდა მისი ხელი: უკვე ეჭირათ მათ ხელში ოქროს ქოჩრიანი ვაჟები. სხვებსაც მოელოდნენ.

რა ვუყოთ, რომ მჭვირვალიანი დიდი დიდკაცები იყვნენ?! მაინც ქართველები იყვნენ, ქართულ ჩვეულებათა მიმდევარნი, თუნდაც საწყალ ხალხში ფეხმოკიდებულ ჩვეულებათა.

* * *

გოგიას სახელი გაეგოთ მჭვირვალიანთ მანდილოსნებს. მოსარეცხე, პურის მცხობელი, მეუმარილე, პირისმკეთებელი სულ იმ უბნიდანა ჰყვანდათ და ქუჩის ამბებს რომ უამბობდნენ, ბალღსაც ახსენებდნენ, ქებით იტყოდნენ მის სახელს. ეხლაც პირისმკეთებელმა ურჩია დიდ ქალბატონს, გოგიასათვის ებრძანებინა სარტყლის შემორტყმა.

– ბედნიერი ხელი აქვს იმ ბავშვს! ნაცადია: იმან შემოარტყა სარტყელი მკერვალიანთ კაკიტოს, წოწოქაანთ ანოს, კუდაანთ ბაბალეს. ყველანი ბედნიერი დედები შეიქმნენ. ხომ ჰნატრობ, ქალბატონო, შენმა ციაგამ შვილისშვილს შეგასწროს, ვაჟის დედა შეიქმნას ბედნიერი.

– ჩემი ოცნებაა ეგ!

– მაშ უბრძანე, ის ბალღი მოიყვანონ.

– აქვს რამე სუფთა ტანისამოსი, რომ ამოდენა სტუმრებში...

– რა ბრძანებაა?! არც ისეთი ღარიბია. სუფთა ხალათი, შალვარი, წუღები. მოგეწონებათ, ისეთი გვრიტივით ვაჟია, – ეუბნებოდა დედაკაცი

და თან პირს უკეთებდა მზეთუნახავ ციაგს. შიგადაშიგ სიტყვის შეწყვეტა უხდებოდა დედაკაცს: მუშაობის დროს ძაფის ერთი წვერი პირში ეჭირა.

– როგორ თუ პირს უკეთებდა?!

– არც ეგ იცი?! ეჰ, გასაკვირველი არ არის: მთლად დაივიწყეს პირის გამოქნა. მისმინე! მაშინ ქალის სახის მორთულობად არ ითვლებოდა ბალანი. გამჩენს ქალი პირტიტველი გაუწესებია, ვაჟი – პირბანჯგვლიანი. სადაც ბუნება გარეწრობას იჩენდა და თავის კანონს თვითონვე არ ასრულებდა, იქ ხელოვნება ასწორებდა მის შეცთომას. მტკიცედ დაგრეხილი ძაფი დახვეწილი ძირიანად აგდებდა ბეწვის ნასახს ლამაზის სახეზედ. რა დახელოვნებული იყო ოსტატი! მარდად, სუფთად, უწიწკნელად. წარბებსაც აუვლიდ-ჩაუვლიდა გადაგრეხილი ძაფით, რომ რაიმ ბეწვს განზედ არ გაედგა ფესვი და გიშრის მშვილდთა სუფთა მოხაზულობა არ ეუშნოვებინა. ეხლა რა! ვაჟნი მთელ სახეს იფხეკავენ საქალამნე ტყავივით, ქალნი პირის ბუსუსს თვალისჩინივით უფრთხილდებიან და ამრავლებენ...

– ცდილობენ, აქაც ქალ-ვაჟთა თანასწორობა დაამყარონ.

– რა ქმნან: განათლებული ევროპა ეგრე იფხიკება.

– ხელსაყრელიც არის: შუახნის ვაჟკაცი ჯერ ისევ ჭაბუკად მოსჩანს.

– ჰოდა პირმკეთებელს გაეკვალნა გზა გოგიასათვის მჭვირვალიანთ სასახლეში.

* * *

გაჩირაღდნებული სავანე დიდებულთა. ჭაღები, ვერცხლის შანდლები, წვივმაღალი ლამპრები, მრთელი იატაკი ორხოებით მოფარდაგული, კედლები დიდრონ სურათებით მოფენილი. ხავერდის სავარძლები, სელები. შირმაიით მოჭედილი სკამები. ჯურა-ჯურა მაგიდა თაიგულებით დატვირთული. ფაიფურის მაშრაფები ყვავილებით. ვერცხლის სურები, თასები, ჩოღრათოები... ზეკაცთა სადგომი სამოთხისებური. რა შრიალა ტანთსაცმელი! ქალ-რძალნი პირად-პირადად შემკულნი. ჯინჯილებიანი ვაჟკაცნი მხრებოქროიანნი. მათ შორის რიხიანი ბატონი ბაგრატ ყურთმაჯებგადაყრილი. განა ერთი ოთახი, მთელი ჯგუფი ნაირნაირად მორთულ დარბაზებისა, გალიაკებისა. სუნნელება სუნნად – სუნნელი. საიდანღაც საკრავთ ჟღერა, ტკბილი ღიღინი.

– აქათ, ბალღო, აქ! მე მომყევი. როგორ აცაბაცა მიგირბის თვალები. აი თვითონ პატარძალიც. მიდი!

მიდიო! დააბნია ბავშვი უნახავმა სიმდიდრემ მრავალგვარმა, ამოდენა ბატონებისა თუ ქალბატონების ყრილობამ. მიდიო! კინაღამ მთლად შეკრთა და შეშინდა.

– რა პირითღა ვეჩვენო ჩემებს?! – გაურბინა ელვასავით ფიქრმა

და აეხატა გონებაში სანდომი სურათები თვის მეგობრების, ქუჩაში რომ იყვნენ ეხლა შეჯგუფებულნი და შიშით თუ ცნობისმოყვარეობით ელოდნენ თავიანთ გოგის. იცოდნენ ლამაზებმა, რა ძნელი საქმისათვის შეაგულიანეს ის.

– იცი, გოგოჯან, ისე მაკანკალებს, თითქო იანვარიაო: გოგის მაგივრად მე მეშინიან.

– მე ვერ შევბედავდი, ფეხსაც ვერ შევსდგავდი სასახლეში.

– მეტადრე ეხლა, როცა ამოდენა დიდკაცობა არის შეყრილი.

– არ კი შეშინდეს ბიჭი, ხელი არ აუკანკალდეს, ან რასმე არ დაეჯახოს.

– მეფიქრება, არაფერზედ გაურისხდეს დიდი ბატონი: ჯავრიანიაო, ბოროტი.

ტყუილად შიშობდნენ კარგები: მათმა სახემ გაამხნევა გოგი. ერთს წუთს შესდგა პატარძლის წინ შემკრთალ-აღელვებული, მაგრამ მაშინვე შეიბერტყა, ქოჩორზედ ხელი გადისვა და წარსდგა. დაჰკრა თვალი ციაგს. სხარტი ქალი, ტანწვრილი, მაღალ-მაღალი. მშვილდივით წარბები. შავი თვალები დიდრონ-დიდრონი. მომსხო ტუჩები. კეხიანი ცხვირი.

– მაინც ნუშო გჯობია, ლიზაც, – გაიფიქრა პატარამ.

სირმანაკერ ფარჩაში იჯდა ქალი. ელავდა თვალ-მარგალიტით მოოჭვილი. კაბის წინკალთა შეტაცებით ედგა, პატარა ფეხი მოსჩანდა მაღალქუსლიან თეთრ მაშიაში. ქალმა ალერსიანად დახედა. ოდნავ მოღიმარე კეთილმა თვალმა გაამხნევა ბიჭი.

– სარტყელი! – ბრძანა დიასახლისმა.

მოიღეს სარტყელი და რა სარტყელი! უბრალო სჩანდა ერთის შეხედვით იგი ფასდაუდები: უმანკო თეთრი ქსოვილი მჭიდროდ ნაჭედი, მძიმე; სარტყლის ტოტებზედ ამოქარგული გაშლილი რტონი ყვავილოვანნი. ფოთლებიც, ყვავილებიც შეფარდებული მარგალიტის მარცვლებით გამოყვანილნი, დიდის გემოვნებით ნახელოვნარნი.

თვალი მოსტაცა პატარას სარტყელმა, სხვა ყველა სანახავი დაჩრდილა იმან. ეს იქნებ იმისთვისაც, რომ მხოლოდ ამ სარტყელთანა ჰქონდა მას საქმე, მარტო მან შეადგმევინა ფეხი დიდებულ სასახლეში.

– ბედნიერი ხელი გქონია, ბალღო, და აბა შემოარტყი ეს სარტყელი ჩემს ქალს, კეთილი უსურვე!

გამხნევდა ვაჟი. თამამად ჩამოართვა სარტყელი, წარსდა ნაბიჯი, შემოავლო მკლავები წელზედ. ძალიან ახლო მოუხდა მისვლა, სახე შეახო მკერდს: პატარა იყო, შორიდან ვერ შემოაწვდინა ხელები.

– სიხარულიმც შემოგერტყმება ახალ ცხოვრებაში! – წარსთქვა დასწავლილი სიტყვა, არაერთხელ მისგან განმეორებული.

– აი, გაიზარდე!

– მართალი სთქვეს, ჭკვიანი ბალღიაო.

– დაბალ წოდებაშიც გამოდის შიგადაშიგ შესამჩნევი ყმაწვილი.

– უბნის საყვარელი ბავშვიაო.

– ტოლ-სწორი ხომ უყვართ, დიდრონებსაც შვილივით მიაჩნიათო.

– აი, პატარავ, ეს საკუთრივ შენ! ეს კი შენც გეყოფა, შენ ამხანაგებსაც, – უთხრა ქალბატონმა

და ერთს ხელში ოქრო ჩაუდვა, მეორე ხელში ქაღალდის პარკი მისცა პირამდის შაქარლამით სავსე.

– ესეც ჩემი მხრივ! – უთხრა სხვამ

და ჯიბე-უბე აუვსო ლანგრებიდან აღებული ხილეულობით.

– ბიჭო, პატარავ, აბა ერთი შემომხედე! – უბრძანა დიდმა ბატონმა

და ნიკაპი აუწია ორი თითით.

– კარგი სჩანხარ! ესეც ჩემ მაგივრად, – უთხრა

და ოქრო ჩაუდვა ხელში.

აღარ ახსოვდა, როგორ გამოიარა ოთახები. ჩამოაცილეს კიბეზე. გამოხტა ქუჩაში გაჭარხლებული. ჰკითხავდხენ. ეტყოდა, არ აცლიდნენ. ერთი საგნიდან მეორეზედ ხტებოდა, ერთი ამბიდან მეორეზედ ფრინავდა. რა უშავდა! ყველა საგანი კარგი იყო, სურათთა ყველა ნატეხი თვალწარმტაცი. დაურიგა ნაშოვარი. დიდრონებსაც გულმა ვეღარ გაუძლოთ: მივიდნენ, ჰკითხავდნენ, აქებდნენ. მათაც ერგოთ სატკბანურები.

* * *

ახ, რა კარგი დღე იყო ის დღე გოგიასთვის, ლამაზი, ბედნიერი! განა ბევრი არის ადამიანის ცხოვრებაში ამისთანა შემკული ჟამი. ეწვალებ-ეწამება იგი მრთელ თვის ცხოვრებაში, საკუთარი მარჯვენით ჰკაფავს გზას ეკლიან სავალზედ თავის ყოფისა, უდიერ შრომით აპობს მის წინ გადახირულ საბრკმელთა სიმრავლეს. რამდენჯერ დაიკვნესებს იგი ტვირთმძიმე რკინის უღელ ქვეშ, დაჰგმენს უჩუმრად; რამდენჯერ დაიმუხლისთავებს მიწამდინ დაზნექილი. ზევე აღდსდგება! იბრძვის უტეხი! მაინც ისევ სისხლზედ ზელილი პური უდევს ხალთა-გუდაში, ცალიერი, უსატანო; მაინც სანატრელი რჩება მისთვის რძეზედ მოზელილი პური, საოცნებო.

და გამოჭყურავს იგი ცხოვრება მთელ მის არსებასა, ჩაუნელებს და ჩაუქრობს მის გონების მანათობელ ლამპარს, რომლის შუქს მისდევდა გულუბრყვილო, რომლის მიწთომას ოცნებობდა გამოუცდელი; წამოუცალიერებს გულს, გრძნობათა შესაკრებელს, მისთვის თურმე არდაწერილ ლამაზ გრძნობათა შესაკრებელს; უხეშად გადაზნექს მის ნებისყოფას, მთლადაც გადაჰფშვნეტს მის სურვილთა თუ მისწრაფებათა მისაყრდნობელ სვეტს და უძლურ ჰყოფს კაცს მსახურებად სინათლისა. საფუძვლით შეარყევს ბროლის კოშკებს მის სულიერ აღმაფრენათა და მათ ნალეწ-ნამსხვრევებით დაჰფარავს მის ჭრელფრთიან ოცნებებს სანეტაროს.

და ცხოვრების იგი სიმძაფრე არ იკმარებს მისი სულის გაპარტახებას, იავარქმნას მის ნათელ ჰაზრთა, გზნებულ გრძნობათა, კეთილ მისწრაფებათა. სევდის მმგვრელ სახედ გადაეფინება ნივთიერ მის არსებასაც: გასწურავს მას, ღალას დაუნთქრევს, ჩვილ ტანს გაუხმობს, დააჭკნობს მის ღაწვზედ გაშლილ ვარდს მაისისას; ყორნის ფერ თმას ცივად დაუთრთვილ-დაუთოვლავს, ჩაუნელებს თვალთა სინათლეს, ჩაუნავლებს მუნ გზნებულ ცეცხლს, საამოდ დამწველს; მოჰხრის სარო ტანს, დაჰღარავს მის შუბლს ოდესმე მტკიცეს და...

და გადასტყორცნის კასკას-ხარხარით თვით უფსკრულში საზარელის არარაობის... ესე ახლა სხვას, ესე სიმრავლეს უთვლელ-უამრავს...

და შეგვხვდება მოძრავ ჩონჩხად იგი სამიწედ გამზადებული, ოდესმე სიცოცხლით სავსე, კეთილ ძალთა სანავედ წარმოშობილი. ის არის, მაინც ის არ არის. მოდის, გიღიმის, შენც უღიმი; გეტყვის რასამე, შენც მიუგებ. მაინც იცი, იგი არ არის: ლანდია მისი, უშნოდ ნაღრეჯი.

და გისევდიანებს საცოდავ გულს, ნათელ დილას ჩამოგიბნელებს.

ნახე წალკოტში ზამთრის სუსხით დანაზრობი ყვავილთა ჯგუფი. აგტკივა გული: აღარ დამრჩალა არც ნასახი მათ სიტურფისა. აგერ გამხმარა, მტვრად ქცეულა ტურფა, ამაყი; აჰა ჩამპალა ეს სუნნელი ბილილა ნაზი.

ამაო ამაოებათა! მაგრამ...

* * *

– გამარჯვება, დათიკოჯან!

– გაგიმარჯოს, ჩემო გოგი!

– ხომ თითქმის ყოველდღე ვხვდებით იმ გზაზედ ერთმანეთს, მაინც ეხლა ვინატრე შენი ნახვა და ამისრულდა.

– ბედნიერი წუთი! ნეტა სხვა რამე გენატრა კარგი, თუნდ თეთრი გუდა გუდაზედა მაინც?

შევდექი. აღელვებული მეჩვენა გოგია: თვალები უელავდა, წყნარად ვეღარ იდგა, სახე უთამაშებდა. გავკვირდი.

მე და გოგი ერთი კბილისანი ვართ, ერთ უბანში გაზრდილები. ორი სასწავლებელი გაგვითავებია ერთად. მეგობრები ვართ. ხშირად ვხვდებით ერთმანეთს; ის რომ აღმა მოდის სამსახურში, მე დაღმა მივდივარ სამსახურშივე. გავუღიმებთ ერთმანეთს, სიტყვას ვესვრით ერთურთს. გვიამება: განა ბევრიღა შეგვრჩენია ჩვენი ხნის მახლობელი. ჩანაოჭებულ ყვრიმალზედ თუ ლოყებზედ მიწის ფერი ასდევს წალურჯო. ქეჩოზედღა შერჩენია თმა. ქალა მოლიპული. წელში მოხრილა მაგრად ნაგები. სადღაა მისი მოხდენილი რონინი?! მძიმედღა მიაბიჯებს, რყევით. ჩამქრალი თვალები. ნაკეც შუბლზედ ზრუნვის ხაზები.

რა ოცნებებს ევლებოდა თავს! ნატვრათა ყვავილებს ეწვდებოდა, ჰსურდა ლამაზ თაიგულის შეკონვა, რომ ესროლნა ტურფა სამშობლოსთვის. დაბებკილი ჩანთა იღლიაში, გადასაწერ ქაღალდებით სავსე... ნუთუ ესღა დარჩა ცეცხლის ბირთვისავით მცხინვარე ჭაბუკისაგან?!

ესეღა დაგვრჩა სანაცვლოდ იმ იმედისა დიდისა.

– გცალიან? შეგიძლიან ნახევარ საათით შეიფერხო? – შემომძახა.

– არა მცალიან. შემიძლიან. მითხარ!

– წამო, გიჩვენო რამე. დეე დაგვიანდეს.

– იარე!

* * *

დავბრუნდით. ჩავიარეთ ქუჩა. შესახვევში დიდი მაღაზია იყო მდიდარი. ყველანაირი ნივთები ელაგა ფართო ფანჯრებში, ძველისძველი სიმდიდრე საოჯახო: მოოჭვილი ხმალი, ვერცხლის ჩარჩოიანი სარკე. ვინ იცის, რამდენი სახე იყო მის მინაზედ აღბეჭდილი?! შეჭედილი დამბაჩა ტალიანი, შირმაიით მორთული სავარძელი, ბაჯაღლოს ფარღული, მუზარადი რაღაცა წარწერით, ხმლის პირი რომ ეტყობოდა შუბლზედ, ისართან... ვინ მოსთვლის?!

– იცი შენ, რა ღვარმაც გამოიტანა ეს მძიმედ დაცული სიმდიდრე სალაროებიდან და დუქანში გამორიყა? ისეთი ძალა მოიპოვა მჭადმა, ვეღარაფერი გაუმაგრდა მას. ცხრაკლიტული რკინის კარებები ჩალეწა მისმა ძლიერებამ. წამოაცალიერა ურყეველი საუნჯეები.

რა უშავს! ახლად დავიბადენით ისტორიულად და ავი არ უნდა გვიკვირდეს დუშმანისაგან აკლებულ-მიქელილებს, სიკვდილის პირად მიტანილთ. წამოვჯობინდებით, მუხლს გავიმაგრებთ, დავმშვენდებით რიხით, ძალით, შემმართებლობით და უკეთეს საგანძურთ შევუკრებთ ერს ნივთიერს თუ სულიერს. ამირანიც ხომ თვალდაზიანებული გამოვიდა ვეშაპის გვამიდან, წვერ-ულვაშ გაცვივნული. ტყუილად ნაღვლობდა კარგი ქართველი, ამაოდ წყრებოდა: მტრისავე ფილტვის ნაკვეთით მოირჩინა თვალი; იგრი ბატონის ჯადოწყალი რომ გადაივლო, ჯალჯი თმა ლომის ფაფარივით გადაეფინა; ყორნის ფრთის ფერმა წვერ-ულვაშმა რიხი უორკეცა შავ ღრუბლის მზგავს შესაზარ ვაჟკაცს.

– დახედე, დაათვალიერე!

– ამის გულისათვის როგორ დამაბრუნე და მომაცდინე?! რამდენჯერ დამითვალიერებია...

– გასინჯე! ძლიერ ძვირფას რასმე შენიშნავ.

ავათვალიერ-ჩავათვალიერე.

– ყველაფერი ძვირფასია. რომელს დავადოთ ხელი?!

– ეჰ! ერთი შეხედე ამ სარტყელს...

– ძალიან ლამაზია. მშვენიერი. ეშხით არის ნაკერი. მართლადა რა ძვირფასია!

– ჩემი ნაცნობი განძია, ბალღობიდან ნანახი. ხელში მჭერია.

გაკვირვებით შევხედე: ვინ გოგია, სად ესეთი ნივთი ფასდაუდები.

– არა გჯერა? გიამბობ!

და მიამბო ყველაფერი მჭვირვალიანთზედ, ციაგზედ, სარტყლის შემორტყმაზედ.

– ფული მქონდეს, უთუოდ შევიძენდი.

– კარგი მასალა გკლებია! თანხა მქონდეს, იცი, რას ვიყიდდი? – ვუთხარ მე

და სულ თითებზედ ჩამოუთვალე, რას მოვივაჭრებდი. ძალიან მოეწონა, სულ ღიმი მოსდიოდა. გონება მაინც იმ სარტყლისაკენა ჰქონდა, იმ სადედოფლო სამკაულისკენ. ამაოდ: ვინ შესწვდებოდა?!

გულში ჩამეჭრა, მენახა სარტყლის გამყიდავი. ვიკითხე. მითხრეს ბინა. უსათუოდ ვნახავ.

1920 წ.

# მოგვთა კალო

სადღესასწაულო ამბავი

– თუ ღმერთი გწამს, ჩემო ფარსმან, უარი არ მითხრა!

– რა ამბავია?

– დიდ შაბათს სამშვილდეში უნდა ვიყვნეთ! ხომ თავისუფალი ხარ ეხლა?

– სამშვილდეში?! მერე გზა, ხარჯი?.. რამ მოგაგონა?!

– აუცილებელია! ცხენები მზად არის: ასფაგურს მივყევართ, ბინაც მასთან გვექნება.

– ასფაგურ კეთილაურს?

– ძალიან მოწადინებულია: არ მოგვეშვება.

– დიდება ჩემს სალოცავს! რად ვუნდივართ?

– იცნობ განდეგილ ნილოსს, გინახავს?

– რამდენჯერმე! მინახავს, ვიცნობ. მღვიმეში სცხოვრობს სამშვილდის დასწვრივ, ქციის პირს, ჭივჭავის ხევის შესართავთან.

– მოღვაწე განსწავლილი, ღვთივ ამაღლებული...

– დიდად პატივსაცემი. მიკვირს. როგორ სძლებს მთლად განდეგილი!..

– ჰოდა ნილოსი აღდგომა ღამეს წაიყვანს ხალხს მოგვთა კალოზედ. მთელი სოფლები თურმე ემზადებიან წასასვლელად.

– რა უნდა იქ ხალხს?! რად მიუძღვისო?

– სასწაული უნდა მოხდეს: ჯვარი უნდა აღსდგესო ქრისტესი.

– ქვის ჯვარი დიდი?

– ქვის დიდი ჯვარი! მისნობის ხმა აქვს მას დარხეული. წინასწარმეტყველად ჰხადის ხალხი. ხომ გინახავს მოგვთა კალოი?

– ვყოფილვარ, დამითვალიერებია. ღირს მისი ნახვა განმეორებით. ქციის მარცხნივ გორაკებს შუა ამართული მომაღლო მთა. ტყით დაფენილი კალთები. თხემი უტყეო, გავაკებული, განზრახ წაკვეთილი. ზედ ვრცელი მოედანი, უზარმაზარი გელაზებით ირგვლივ მორტყმული. ლოდნი მხცოვანნი, ხავსიანნი, ჩაფიქრებულნი. ზღუდე ერთს ადგილას გახსნილი: აქედან სჩქეფს ცელქი ნაკადი. რა გადასახედია! ძირს ქცია მიიგრაგნება ცისფერ ბაფთასავით; შორს მტკვრის წილ თვალუწვდენელი, მსუბუქი ნისლით შემობურვილი; მარჯვნივ ჯავახეთის მთები ლურჯ მწვერვალად...

– თეთრ წვერებად: თოვლი არ არის ჯერ აღებული...

– შემოზღუდულ მეიდნის შუა ოთხი უზარმაზარი სიპი ტახტად შეკრული.

– სამსხვერპლო თუ არის, ძველისძველი? რამ ტრაპეზი?

– შეიძლება! ტრაპეზის ახლო უზარმაზარი ჯვარი მთლიანი ლოდიდან გამოკვეთილი; ფრთებგაშლილი, ოთხს ადლამდინ სიმაღლე, გული ბირთვივით მოყვანილი. ჯვარის კვარცხლბეკად სალივე ამაღლებული. ჯვარის საფეხი შუაში ამოკვეთილი. მიწაზედ ასვენია აწ იგი ჯვარი.

– მხრები თუ შეიბერტყა მთამ და ძირს განართხო. კაცისაგან მასზედ დამკვიდრებული თუნდაც სიწმიდე.

– არა! ჯვარი თითონ ამოდის საფუძვლიდან და დაემხობა ნიშნად გლოვისა, როცა საქართველოს ეუფლება მტერი, უსპობს თავისუფლებას.

– როცა აღსდგება სამშობლო მკვდრეთით, თავისუფლება – ჯვარიც აღიმართება, მხიარულად გადაჰხედავს გარემო არეს.

– აკურთხებს ლამაზს პირმომღიმარე! მოგვითხრობს ხალხი, ესე სწამს იმას.

– ნამდვილ?! აღსდგება, ზე ამაღლდება: განთავისუფლდა ტურფა ქვეყანა, თითონ ეუფლა თვისსავე ყოფას...

– იხსნა თავი ვეშაპისაგან მყინვარეთისა, განერა იგი სასტიკ მონობას.

– აღსდგება ჯვარი. საქართველო განთავისუფლდა მონობისაგან და რაღას დაუცდის ღვთისაგან კურთხეული!

– ეგრე უქადაგნია ღირსსა...

– მთის ძირში რომ პაწაწა ეკლესიაა, იქა ვსთქვათ „ქრისტე აღსდგა“ განთიადისას ავიდეთ მთის წვერზედ. მზე რომ ამოაშუქებს და აათამაშებს აღდგომის ბატკანს...

– წავიდეთ! განა ყველა მოესწრობა ამისთანა ამბავს, ბედნიერ წუთს! მივდივართ!

გულდასმით დავათვალიერებთ ყველაფერს და გიამბობთ შემდეგ, ალბათ მეორე აღდგომას, თუ ღმერთმა ქნა.

**1921 წ.**

## ლეგას ჩოხა

1

ჩააკრა ლეგამ ახალს გოდორს ძირი ფიცრისა და ააბრუნა, დააყენა, შემოუარა. მოხდენილი ეჩვენა, მკვიდრი: მზის სხივები ვერ უვლიდნენ ჩაწმახნულ წნელებს. მაღალი იყო. ქვევრის სახე მისცემოდა: მოქნილი პირი, ხოხმიკი ყელი, ფართო მუცელი თანდათან ვიწრო; ბოლოს ისევ განივრდებოდა, რომ შესძლებოდა მკვიდრად დადგომა.

– ისე არის პირი ნახვევი, როგორც ჩვენი საყდრის ჩუქურთმა: ზედ დააცვდება, არ დაირღვევა. გავგოზავ ეხლა, ორს-სამ დღეზედ მთლადაც გაშრება და გადავუტან, – სთქვა ჭაბუკმა.

მაინც კიდევ მიავლ-მოავლო თვალი მკვლევარი. ალმასის დანით აასხიპა შიგნით თუ გარეთ წნელებს თავები.

– ეხლა კი კმარა! ხელი მოუსვა, არ მოგედება. მაგარია. ჟამს აასრულებს. ვერ იფიქრებენ, ლეგამ უშნო საქციელი გაგვიკეთა ან მალალიო. იმათ ქალივით მკვიდრი არის, სუფთა, ყელყელა, ახ, მისი კოცნა!..

გათავებულმა ლამაზმა საქმემ და მეტადრე ნანინოს სახემ გუნებაზედ დააყენეს, გრძნობით აავსეს. ამღერდა გული, თავისთავად ატოკდა მუხლი და ბიჭმა ხტომით მოურბინა თავის ნახელოვნებს; თან მკლავსა შლიდა, ხმას აყოლებდა:

ქალს ვაკოცე ერტისსაო,
მეშინოდა ღმერთისაო!
ქალს ვაკოცე ბორბალასა,
კამეჩს ჰგვანდა გორგალასა!

– კარგი მოგივა, კარგი ის იქნებოდა, თუ ჩემსავით ბურნუთს ეწეოდა! – შემოესმა დედიდის ხმა, რომელიც გამოსცდა ტყრუშულ ღობეს და შემოაღო ლასტის ჭიშკარი. შედგა ლეგა, მიიხედა პირმოღიმარემ. როდი შერცხვა ვაჟკაცისთვის უფერ ქცევისა: დედიდა იყო საყვარელი, არ დასძრახავდა ამ ბალღური აღტაცებისთვის.

– მიხარიან, დედიდოჯან, რომ გავათავე. რა მაგარია, თან შნოიანი! დამიმადლებენ.

– შემოგიკვეთეს?

– თითონ კოპრუა შემენუკვა, ფქვილისათვის ძლიერ მინდაო. ხათრი ვეღარ გავუტეხე, თორემ რა დროს გოდრებია?! ზამთარში, როცა...

– კოპრუაანთა? ეხლა მესმის, რად მუშაობ ეგეთ ხალისით, ან რა გამღერებს: ნანინოს სურვილს აუტანიხარ.

– არა, დედიდო! მაგრამ... განა კარგი არ გგონია ყარყარა გოგო?! რა ცეკვა იცის!

– რატომ, გეთაყვა! მე შენ გითხრა, ჯანი აკლია, ან...

– დედიკავ, შენა? რა კარგი ჰქენ, რომ გადმოხვედი! მობრძანდი, გენაცვა, მობრძანდი! - მიეგება ლეგას დედა საყვარელ დასა.

## 2

ხელოვანი დამწვნელი იყო; სოფელში ტყრუშულს უიმისოდ არ აკეთებდნენ, ისე მწყობრად აასხავდა ფიჩხებს ფარცხადა, გადავარცხნილ ქოჩორსა ჰგვანდა; მისი დაწნული გოდორყუა მისწრება იყო თევზის საჭერად; ჯინი, კალათა, გიდელები თუ გოდორაკი; ჭრელად ხლართული მის ხახალი ლანგარს უდრიდა. ღადაღუდეში დაძრწოდა წნელის მუსუსი; თხილის ყლორტი არ ასცდებოდა იმის მზირ ხედვას. წნელის შენახვაც ეხერხებოდა; მის ხელში შხეპლა არც ხმებოდა, არცა ლპებოდა: სასუქში ჰფლავდა, სანათურთან რომ ეგროვა აზვინებული; შიგადაშიგ გაამზევლებდა. ზამთრობით სწნავდა მოცლილ დღეებში.

– აბა დავიწყოთ! საქონელს ხომ მოუარეთ, გაშანშლული არ დასტოვეთ შინ რამე საქმე?

– ყველაფერი დავაბინავე.

– მოვურბენინე კოკით წყალი და გამოვკურცხლე.

– დაასუფთავეთ ემანდ ეგ მხარე!

ჩამოჰგვიდნენ დერეფნის კუთხეს. წრეს მოუვლებდა ამყოლ მანის ჩასამაგრებლად, წნელს დაჰხედავდა, დაუწყობდა დასაწვნელ საქმეს და... თავის საკეთს რომ მუშაობდა, მათაც თვალს არ აშორებდა, ან წნელი არ გაამრუდონ, ან ფაჩხატი არა ჰქსოვონ, საქარებითო.

– ბიჭო, გოგილო! ნასხეპ ყლორტთან გადგიტყდა წნელი; ამოიღე, გადააგდე: წნულს გაგიფუჭებს.

ხელობა ხომ იზიდავდა ბიჭებს ლეგასკენ, მის მხიარული ხასიათიც ხელს უწყობდა მათ მეგობრობას: რომ მუშაობდა გულდადებით, თანაც უბნობდა, შაირობდა, დაამღერებდა; ხანხან ფეხსაც ააყოლებდა, თითქო ზურნის ხმა მოესმა შორიდანაო. მოხდენილი ცეკვა იცოდა.

– ჯიშად მოუდის მაგ ბიჭს შუშპარი: მაგის დედას თავის დროზედ ვინ აჯობებდა?!

– სიარულში ეხლაცა სჩანს გაწვრთნილი ფეხი.

არა ჰგვანდა ლეგა თავის დედას: ხორბლის ფერი დედაკაცი ბეჭებში სწორე; ჯერ ეხლაც არ იხრებოდა თუნდაც კოკის ქვეშ. ლეგა შავი ბიჭი იყო, გიშრის თვალება, წვერ-ულვაშიც ყურჭი ჰქონდა, არ გრუზდებოდა ფაცახი ბეწვი. წელში ცოტა მოხრილიყო. ხელებს მუდამ ისე ხმარობდა, თითქოს საქმეს უნდა დასწვდესო, ნამგალს თუ ფიწალს, ნაჯახს თუ ბარსა. თვალნი მაცდურად უღიმოდნენ. ჯერ ოცი წლისას რიგზედ ჰქონდა მოწყობილი თავის ოჯახი: წამოიზარდა, გამრჯელ დედას შეეშველა, უშნოდ გაზნექილი კერა წელში გამართა. საბარო ურემი, უღელი ზაქი, ძროხა, კვებულა. რა უჭირდა? მოზვრებს იყიდდა, ახალს სულსაც მოიყვანდა და...

– ჯერ კი არა, აღებების მიწურულებში, რომ გატყდება ზამთარი ცივი და გაზაფხულის სუნი დაჰკრავს დედამიწასა, მაშინ დავნიშნავ; ნააღდგომევს დავიწერ ჯვარსა. რომ არ გამომყვეს, გამიამაყდეს? გამომყვება! ოღონდ სხვებმა არ დაუშალონ, დედ-მამამ, ბიძამ. თუ არა და... ეჰ, რა უშავს, თიკოც კარგია. არა, არა! მიყვარს ნანინო, სხარტი გოგო, აყლორტილი კარგი წნელივით.

**3**

– ბიჭო, ლეგავ! სუფრა გავშალე; რას იგვიანებ, შემოდი ჩქარა!

– ვამბობ, ბარემ გავათაო გოდრის გაგოზვა.

– მემრეც მოასწრობ! დედიდა გყავს სახლში სტუმრად; შიმშილით ხომ არ გადავახრწნევთ.

– ეხლავ, დედილო!

დაიბანა ბიჭმა ხელები, გაიწმინდა ჩოხის კალთაზე; შევიდა სახლში. სახეებად დაჩითული ლურჯი სუფრა ტახტზედ გაშლილი; მთელ-მთელი პური; ჭდეულ ჭიქის სამარილე მარილით სავსე; ხის კოვზები; კომბოსტოს წნილი, ნიახური, თანაც წიწაკა; ხელადით ღვინო. ზემო თაროს მოეკეცნა სტუმარ დედიდას. ბუხარში ლობიოს ქოთანი ჩუხჩუხებდა. ახლოვ ეწყო თიხის ჯამები. ძაღლი ხალია კარებში იწვა, თავი ზღურბლზედ გადმოედვა, სუფრას შემზეროდა. ხატაური დედიდასთან მოწყობილიყო, თვალებს ჰნაბავდა. ღორი დრუნჩა დერეფანში დაღრუტუნებდა: იცოდა, მასაც ერგებოდა ნასუფრალიდან.

– სულ ჰმუშაობ, გენაცვალე! პური მაინც არ მოგშივდა აქამდისინა?

– მოვასწრობდი გაკეთებას, ისე მეგონა.

დიასახლისმა გადმოდგა ქოთანი, აუვსო ჯამი სტუმარს. დაუსხა შვილს ხის დიდ ჯამზედ, პინაკს რომ გვანდა, თავის კერძიც მიიტანა და მოიკეცა.

– ახსენე ღმერთი, პური გატეხე! შენი ვალია.

– ღმერთო დიდებულო, შენ გაუმარჯვე ჩვენს ოჯახს, აქა, მბრძანებელს! – სთქვა ლეგამ

და გადატეხა პური.

მიჰყვეს ხელი. ჩაიყარეს, ჩაიბუჟბუჟეს. ჩაიქოშიშა ბიჭმა პინა, თავი მოუდგა. დაწყნარებით შეექცეოდნენ, აუჩქარებლად. მუსაიფობდნენ, ამ მთისას თუ იმ ბარისას მოიგონებდნენ. არც პირუტყვებს ივიწყებდნენ: ხატაურა ილოკებოდა, ძაღლს ტოტებში ყუა ეჭირა, თანა სჭამდა, თან დაჰღრენოდა; დრუნჩასაც კი შეჰხვედროდა რაღაც კოტორი, დაჰღრუტუნებდა.

– დაღვინებულა შენი მაჭარი. რა ძლიერი სჩანს!

– უწვიმარი დარი ჰქონდა, კარგად გამოშრა.

– მინდა, დედიდო, ერთი ქოცო გადავარჩინო.

– ჰო, დაგჭირდება. არც კი გეყოფა საქორწილოდა. დრო არის, ბიჭო! არავინ გყავს ამორჩეული?

– არა, დედიდო!

– რაღაცასა ჰმალავ? ხომ კიდეც გაქვს გადაწყვეტილი, – უთხრა დედამ

და მიუბრუნდა დედიკას:

– ძლიერ მოსწონს ქალი ნანინო.

– კოპრუას ქალი? რა ურიგოა?!

– რიგიანია, ძალიან კარგიც, მაგრამ მეტად გაკეთებული ოჯახისაა და ვაითუ ყელმოტეხილ მთხოვნელებად დაგვიჭირონ, უარი გვითხრან. მე მირჩევნია ნონიაანთ ნენეს გოგოი.

– რას ამბობ, ქალო?! იუკადრისონ ჩვენი ვაჟკაცი! ჰო, კეკელაც ძლიერ კარგია, ცოდვა არის რამე ავის თქმა: გამრჯელია, თანაც ჯანსაღი, – მიუგო სტუმარმა.

და მიჰმართა ბიჭს:

– შენ რაღას იტყვი? არჩევანი შენი არის, ჩვენ კი – მრჩევლები, კეთილის მდომნი.

– ნონიაანთ კეკელა... რატომ, კარგია, მაგრამ ჩაჯედაა, ბარაქიანი; ჯინს მამაგონებს განივრად მოწნულს, – სთქვა ბიჭმა დაფიქრებით.

– ძვალმსხვილია და მოიდაბლებს, მაგრამ მხნე არის, დაუღალავი; ოჯახში შევა, ანთებული სანთელივით შეანთებდა.

– მაინც, შვილო, შენს გულსა ჰკითხე უპირველესად სადღეგრძელო შენი საბედოსი!

დალიეს; გაუჯდათ; გამხიარულდნენ.

– ნათლიდედ, ჰაა, ნათლიდედავ! - მოისმა შორიდან.

დათვიამ თავი მიიღო და შეჰყეფა, წამოხტომა დააპირა. ლეგამ შეუტია ძაღლს. გახედა, კოპრუაანთ გოგო იყო თეონა.

– დედამ შემოგითვალათ, ორიოდე პური გვასესხეთ, ხვალ გამოვაცხობთ და მოგართმევთო.

– წაიღე, შვილო! გუშინ გამოვაცხეთ, – უთხრა დედამ

და უნდა ამდგარიყო. მაგრამ ლეგამ აღარ აცადა; წამოხტა, ამოურჩია პურები, მისცა და გადააცილა გოგო ეზოს, რომ ძაღლს არ შეეშინებია.

– კარგი ქალი აურჩევია ჩვენს ლეგას. ნუ გეშინიან, არ დაიწუნებენ. იქნებ თითონაც ფიქრობენ, რომ კარგ მეზობლად მოგკიდებიან. კეკელასაც თავის ბედი არ დაელევა; ვგონებ, ლეკი თხოულობს იმას.

– ძამნაანთ სეკა? რამ გაალეკა, ან რითა ჰგავს გულიხადარა ლეკს?

– ეგრე ეძახიან იმ ბიჭს სოფელში. წყნარი ბიჭია და გამრჯელი.

– ვიცი ჩემი ლეგას მეგობარია. კარგი გოგო აურჩევია.

– ჩვენი ბიჭის არჩევანი მაინც სჯობია, – მიუგო დედიკამ

და მიმართა შემოსულ ლეგას:

– მეც მომწონს შენი არჩევანი. აბა, ეცადე! ქორწილის ხმებით გავახაროთ ეს თქვენი ჭერი.

## 4

ცდილობდა ლეგა ჰაზრიან შრომით, კარგი კაცობით მოეხიბლა ქალის ოჯახი და თითონ ქალიც. ქალ-ვაჟის შეხვედრაც ეხლა უფრო ხშირად ხდებოდა. მოსავალით ზურგგამაგრებულთ ქორწილები თუ ხატობა ეხშირებინათ; ბიჭს არ უფრთხოდა არჩეული მისგან გოგონა, მაგრამ ხანდისხან გაურბოდა, იღრუბლებოდა.

– გოგო, ნანინო! საცეკვაოდ რომ გაჰყევი იმ ბლუკუნასა, საფერი არის?

– ეგრე მენება! მითომ რატომ? კარგი ბიჭია!

ხან უღიმოდა, ახლოვდებოდა, საალერსოდ შეანათებდა და უღვივებდა ტანჯულ გულში ტკბილ ნაკვერჩხალსა. ტრფობის სხივი ხან თუ სწვავდა, ხშირად თბილად აციაგებდა. მიიწურა შემოდგომა, მთლადაც მიმტკნარდა. გვალვა იდგა, ცას ღრუბელი არა რჩებოდა. ხმელი ყინვა მტვრად ავარდნილი. გახმა ბალახი, ხის ფოთლები ძირს გაიფინა. ტყე მთლად გაშიშვლდა. ჯოყრად იყო გარდაქმნილი მინდორზე მდელო. ბაღში ვაზი ჭიგოსაგან არ ირჩეოდა.

– თოვლის მოსვლამ დაახანა; წაგვიხდენს ნაშრომს ამდენი გვალვა.

– საშიში არის! ერთს ხანს კიდევ არა უშავს რა, მერე კი... სწორედ მისწრება იქნებოდა ეხლა თოვლი.

– ფოთოლი რომ ძირს მოედო და გახმა მწვანე, შეამზადა მიწამ პირი ზამთრისათვისა. დაეფინოს დედამიწას თეთრ საბნად თოვლი! სრულად დაათბობს ფოთოლს, ბალახს; დაშლის თანისთან, მიწადვე იქცევს და ნიადაგს დაუბრუნებს შარშანდელ ღალას.

– ნახნავებსაც ნელ-ნელ გაჟღენთავს, ღრმად ჩაუვლის სინოტივე, მოსავლისათვის შეამზადებს საგაზაფხულოდ.

– მაგრამ თუ გვალვა კიდევ გაგრძელდა, დათესილებს გაგვიჩანაგებს: თაგვი, ფრინველი გაზიდავს მარცვალს, მშრალი ყინვა დააზარალებს.

– ღმერთმა დაგვიხსნას!

და დაიფარა გამჩენელმა თავისი ხალხი: დაჰქროლა ქარმა, გადმოყარა ღრუბელთ ფთილები: ჩავარდა ქარი, შეთბა ჰაერი; შეიყარნენ ღრუბელთ ნაგლეჯნი, კალთა-კალთა დაეწყვნენ ცაზედ და დაეშვნენ მიწის პირისაკენ: ცვარნაჭარბნი ალბად შემძიმდნენ. და წამოვიდა სპეტაკ ფიფქად ღრუბლების ტვირთი. გადაჰბურა, გადაჰპენტა მთლად დედამიწა! ნიჩბით დასჭირდათ კარ-მიდამოს გაკვალ-გახვეტა. გატკბა ბუხარი. ზღაპრების ხანა თბილ გომურებში, ოდებში, ცეცხლთან.

ლეგაანი მზად დახვდნენ ზამთარს: პური და ღვინო, შეშა თუ ფიჩხი, ბზე და თივა საქონლისათვის; დრუნჩასათვის რკო გოდრით ედგათ; ქათმებისათვის ნაკმაზი უხვად. უხაროდა ლეგას შეშის ჭრა, რა ცული ჰქონდა! ყუამდისინ ჯდებოდა ხმელშიც. ძლიერ უნდოდა გაეჩინა საქმე რამე კოპრუაანთკენ: ეგებ შევხვდეო წყეულ ნანინოს. ვერ აგვარებდა. ეჰა, მიაგნო! ისინი რომ გამორეკდნენ საქონელს წყალზედ, ლეგაც მაშინ გააღებდა გომურის კარებს. ვახ, ვაჟკაცები მისდევენ საქონს! მაგრამ ისიც გულსა ჰფხანდა სასიამოვნოდ, რომ ნახავდა მის პატრონებს, სიტყვას ეტყოდა.

– იქნებ როდისმე ნანინომაც გამორეკოს, თითონ ჩამოჰყვეს, ვეღარ მოვითმენ, შევეხვეწები! როდი მოჰყვება, სხვები მოსდევენ...

– ბედნიერებო! ნანინოს უმზერთ, გესმით მისი ხმა! – შეჰნატროდა მის ოჯახისებს.

ლეგას საქონელი ყოველთვის დაურვებული-დაწმენდილი იყო. ზაქებს ქედზე ცხიმი არ აკლდათ; დიდ ყინვებში ფიჩვებს ჰხურავდა, ქარშიკებით დაშარტული დაუდიოდა. არ უნდა ეთქვათ: არ სცოდნიაო ლეგას მოვლა თავის საქონლის.

– თუ იტყვიან რასმე ჩემზედ ნანინოის გასაგონადა, თუ მახსენებენ?

დაჟინებით რომ მისდევდა თავის საწადელს, კიდეც ეწია. შობა მოახლოვებული იყო. ცა გადიწმინდა. გაიყინა ხევში მდინარე. ყინულსა სჭრიდნენ, რომ საქონელს ეპოვნა წყალი. ლეგას საქონი ჩაელალნა, ნაჯახის ყუით ამტვრევდა ყინულს, აფართოებდა წყალის საჩენსა. კოპრუაანთ ხბო თუ ძროხა ჩამოთავქვევდა. გამოჩნდა ქალი: ნანინო თითონ გამოჰყოლოდა. ცული შერჩა შემაღლებით პირგამშრალ ბიჭსა:

ყინვის ზოდად თუ გარდაქმნა მძაფრმა სიცივემ. დაჰკრა ქალმა შევარდნის თვალი, მიჰხვდა ყველაფერს და... გაუღიმა. ნეტავი ვინ სთქვა, ვარდ-ყვავილი თოვლზედ როდი იფურჩქნებაო? არა სცოდნია ბუნების წესი!

– ლეგავ, შენა ხარ?

– მე, ჩემო ყველავ!

– ვაჟკაცები ტყეში წავიდნენ, ბოჩოლები და ძროხები მე ჩამოვლალე.

– აღარ თუ გეყოთ შეშა-ფიჩხი დანამზადები?

– ვერ მოიტანეს თავის დროზედ.

– ხომ არ შეგცივდა ამ ყიამათში?

– არა, ბეჩავ: თბილად მაცვია, – უთხრა ქალმა

და წასდგა ბიჯი, აეტოლა აღტაცებულსა. სადღა იყო ლეგასათვის თოვლი, სიცივე?! ვისღა ახსოვდა საქონელი, მთელი ქვეყანა?! ძლიერ მოუნდა ხელის ხლება, მხოლოდ შეხება. ვერ გაუბედა: ეშინოდა, არ ეწყინოსო. შექმნილიყო მბრძანებლად გოგო ნანინო.

## 5

არ გაუვლია რამდენსამე დღეს და ნანინომ თითონ გადიარა სამეზობლოდა. უხდებოდა ლამაზ გოგოს ჭრელ წინდებზედ კოხტა ჩუსტები. ბიჭი ლეგა შინ როდი იყო: ქალმა იდროვა, გაიგულა, მაშინ გადავიდა. ლეგას დედამ აუსრულა სათხოვარი, მოუალერსა; მაშინვე კი არ გაუშვა: დასვა ბუხართან, ალაპარაკა. სანუკვარიც ამოუღო სკივრის კუთხიდან. გოგომ თავი მოაწონა აზრიან სიტყვით, სუფთა ქცევით; მოისყიდა ადამიანი. მიაცილა ჭისკარამდის მეზობლის ქალი.

– თუ ჩემი რძალი? – წაიტყოდა პირმოღიმარი.

გაეღო გული. ჭრელ სურათებს შეჰხაროდა, მომავალის ლამაზ სახეებს.

– პირი ჩვენსკენ მოუღია ბედს მოღიმარეს. სწორეთ თავი მოაწონა ჩემმა ბიჭმა ლამაზს. ვგონებ, აღარც პატრონები გადაგვეღობნენ.

ლეგა ბიჭი ცას ეწია დიდ სიხარულით, როცა გაიგო, რა ნათელს სულს გადეარნა იმის კერაზედ; დაწვრილებით აამბობინა, რისთვის მოვიდა, რა სთქვა, სად იჯდა და განა ერთხელ: ვერ ძღებოდა ნაამბობით იმისი გული.

გაახშირა ლეგას დედამ მეზობლური მისვლა-მოსვლა კოპრუაანთას. აგრძნობინა ვაჟის დარდები. არ იუცხოვეს, შორსაც როდი დაიჭირეს მათი მოყვრობა. ბოლო სიტყვა მაინც კიდევ არ დათქმულიყო: ჯერ კიდევ ვერ გაებედნათ მაჭანკლის ხლება. დადგა შობის დღესასწაული. მისალოცად შეიკრიბა ახალგაზრდობა. დადიოდნენ სახლიდან სახლს, ბედნიერ დღეს ულოცავდნენ ყველა მეკომურს. მიაღწიეს კოპრუაანთ კარს.

ალილო! ოცდახუთსა ამ თვისასა
ქრისტე დაბადებულაო. ალილო!

გვიან იყო. ბნელოდა. მაინც მალე ახმაურდნენ ოჯახიშვილნი: თუ ელოდნენ მიმლოცველებსა. გაიღო კარი. ლეგამ მარდად შეირბინა დერეფანში სამწყალობლოს ჩამოსართმევად და...

– ნანინო, შენა?

ჩამოართვა. მოხვია მკლავი. მოსტაცა კოცნა! დაცეკვავდა ბიჭი ლეგა იმ ყიამათში, სულ დაფრინავდა, დაღლა როდი ეკიდებოდა!

– კაცო, ლეგა! თუ შენ აქ არა გვყვანდე, მოგვეწყინებოდა.

– ჩვენმა ლეგამ ხატის ღვინო თუ დალია, რომ სისხლი უდუღს!

– შეერგება მურაზიანს კარგი ზედაშე!

– ხატის ღვინოვო! რა იციან, რომ ხატს ვემთხვიე, ჩემს ნანინოსა! რა ტკბილი იყო, ბადაგსა ჰგვანდა. როდი იწყინა. რა კარგი არის!

დიდ ქეიფით დაათავეს მილოცვები ახალგაზრდებმა, შეზარხოშდნენ; კიდეც რომ დალბნენ. ლეგა მღერად გადაიქცა, შუშპარს უვლიდა, სხვებთან ერთად თუმცა არ სვამდა: როდი იყო ღვინის ტრფიალი. ან რად უნდოდა სასმელი მძლავრი ნანინოს ეშხით ისეც დამთვრალსა?!

და მაჭანკალი კოპრუაანთ კარს. დაიკვალა იმათ შუა ბილიკი მტკიცე. ლეგასათვის დაითქვა ქალი. მაინც ფრთხილობდნენ: ბედნიერებადა სთვლიდნენ ქალის მოყვანას და იცოდნენ ჭირთმნახველებმა, რამოდენა მტერი ჰყვანდა ცხოვრების ყვავილს.

– ბიჭო ლეგა! ემჯობინება, დაიწერო ჯვარი და მორჩეს. ბევრს უჭირავს გოგოზედ თვალი და... ეშმაკს პირი როდი უჩანს, შენც კარგად იცი.

– თვალი უჭირავთ ნანინოზედა?

– კარგი რომ არის, სხვებიც ხედავენ. რახან ჩვენია, სჯობს რომ დავთქვათ ჯვარისწერის დღეც.

– ნიშნობა, დედი?

– ნიშნობა და ჯვარის წერა ერთად სჯობია. დავეკითხე ჩვენ მღვდლის ჯალაბს; ეგრე მირჩია. ემჯობინება, ყველივრის წინ წამოვიყვანოთ.

– მაშ კარგი, დედი! ნაღდი რაიმ დაგვჭირდება; რამდენსამე ურემ შეშას ჩავიტან ქალაქს.

– შესძლებენ კი შენი ზაქები?

– გავუფრთხილდები, შევაძლებინებ.

– კარგი, გენაცვა! თუ არა და შეიძლება აბრიასგან ავიღოთ ვალად.

– მეშინია, ვალი დავიდო.

– იმდენი რომ არა გვაქვს შეშა!

– მოვიტან ტყიდან. ნანინოანთ ვაჟკაცებმაც ეხლა მოზიდეს. ზეხმელები მაქვს შერჩეული.

## 6

სისინებდა ნიავი ცივი; ქარს ღრუბლები დაეწყვიტნა, აქანავებდა მათ ნაფლეთებს, ელალებოდა. ლეგას ზაქები დაეშარტა, ურემში ებნენ; ტყავი ეცვა, ბეწვიანი ქუდი ეფხატა.

– ყაბალახი არ დაგავიწყდეს. შეიძლება ჩოღუნი ასტყდეს; აჰა გუდაცა; პური, ყველი ჩავაწყე შიგა. ლეკმა თითქო დაიგვიანა.

სიტყვა ჯერ არ დაეთავებინა, რომ მოისმა ხმა:

– გამორეკე, ლეგავ, გამორეკე!

ახსენა ღმერთი, დაძრა ურემი. ქარი თანისთან ძლიერდებოდა, თოვლი აჰქონდა ზოგ ადგილას კორიანტელად, ატრიალებდა. შევიდნენ ტყეში. ქარი ქვევით თავისუფლად ვეღარა ქროდა; ხის წვერებს კი ძლიერ არხევდა. ტყის გუგუნი ნიაღვრის ხმად ჩამოდიოდა. მთის კალთებიდან ატანილი მტვერად ნამქერი ყინულის ფერფლად ეფინებოდა. ნაჯახის ცემა. გროვდებოდა საჭირო შეშა: ხმელი მორები, სხვილსხვილი ტოტი.

– ლეგავ! ბარემ ავამზადოთ, ხვალაც მოვიდეთ.

– მეც ეგრე ვფიქრობ! ადრეა მაინც.

ქარის გრგვინვა ძლიერდებოდა, იტაცებდა ჰაერთ ტალღა ნაჯახის ჯახუნს.

– დრო თუ არის, დაუდოთ შეშა?

– თითოც სათრად გამოვაბათ.

– თავქვე არის თოვლზედ თრევა არ გაჭირდება.

– ერთი კიდევ შეუტიოთ და...

მოიმარჯვეს ისევ ცულები. ლეგა ზეხმელს დასდგომოდა მოსაჭრელადა. დიდი ხე იყო, სავსე ურემი ამოვიდოდა. ქვეით მხრიდან აღრმავებდა, რომ ხე იქით გადახრილიყო. იქით ხრიდა ქარიშხალიც, მუშას ჰშველოდა. მსწრაფლ იზრდებოდა ხის ნაჭრევი, ფართოვდებოდა. დაჰბერა მძლავრად, დაზნიქა ხე და გადატეხა. მოასწრო ლეგამ: გახტა განზედა. ძარღვნი ერთ დროს არ დააწყდნენ წამოსულ წიფელს, შეტრიალდა ხე ჰაერშივე და ტოტის წვერი მოჰკრა ვაჟკაცს, ძირს დაანარცხა. მიეშველა ამხანაგი. რას უფონებდა გულის ფიცარ განადგურებულს? დატვირთული ურმის ბადლად მიაყენეს კარს მომაკვდავი. „ვაიო, ვაი!“ დაიძახა ლეგას დედამა და ჩაიკეცა. როგორც იყო შეასმინეს, ცოცხალია, შველა უნდაო. შეიბერტყა დედაკაცი, ზე წამოიჭრა. ჩააწვინეს, მოსწმინდეს სისხლი. დაუძახეს დალაქს, ბებიას: გამოცდილები არიან, უშველიანო შენგრეულ მკერდს რით გაჰკურნავდნენ?!

ჩალურჯ-ჩაყვითლდა, იწყო ხრიალი.

შედრკა მოძღვარი: ზიარება სისხლის დენას გადმოჰყვებაო. მაინც მიუბყრო.

– აბა დახედეთ, გენაცვალეთ, წმიდა ნაწილი დაიძრა თუ მოიტივტივა.

– მოიტივტივა, ზიარება წამლად ექცევა!

– ვაი შენს მტერს!

შედგა მცირედ სისხლის დენა, შიგადაშიგ ბელტებადღა გადმოდიოდა. ცნობას მოვიდა განაწამები. დედა იმედს არ ჰკარგავდა.

– არ შეიძლება! ჩემი ლეგა როგორ მოკვდება?

მიდმოდიოდა, ირჯებოდა: სწმენდდა, ჰბანდა; ეშველებოდა.

– შესდგა სისხლი. გამიმთელდება! ჩვენი კვებულა კურატად ხატსა. დედაო ღვთისავ, შემიბრალე ლეგას დედა გამწარებული!

გაიღო კარი, შემოვიდა ქალი ნანინო. შალის წვერი გადაჰვარდნოდა. თვალთ აფეთებდა. წინ მიიწევდა.

– ბიჭო. ლეგავ, როგორა ხარ, შენ გენაცვალე? - ჩასძახა ქალმა

და დაეკონა. გააღო თვალი მომაკვდავმა; დააშტერდა; გაიბრძოლა; აიღო თავი. დაეძრა სისხლი. აგლიჯეს ქალი. ვაჟის დედას მიაგდეს რძალი.

– ნანინოჯან, გვიკვდება ლეგა!

## 7

დამარხეს ლეგა. გავიდა დრო. დედაკაცი დატრიალებდა, თითქო საქმობდა. შიგადაშიგ ეძახდა შვილსა.

– აღარა გყავს შენი ლეგა, შე უბედურო! - ჩასძახოდნენ გაოგნებულსა.

თვალში ჰაზრი ჩაჰქრობოდა, ვერრა ესმოდა.

დანიავდა ლეგას კერა, ჰყიდდნენ ყველაფერს: მკვდრის დამარხვა და შენახვა ცოცხალ-მკვდარისა. ლეგას ჩოხა ლეკს ეყიდნა, ზედ ეცვა ეხლა. ზაქებსაც ჰყიდნენ, სეკას უნდოდა მათი შეძენა. ჰკითხეს დედაკაცს; ვერ შეასმინეს. ტყიდან მოვა ჩემი

ლეგა! გაიძახოდა. მაინც ხალხში მიიყვანეს, რომ დასწრობოდა. შავი ჩოხა დაინახა სეკას ტანზედა.

– იმისი არის! ჩემი ლეგას შავი ჩოხა ლეკს ჩაუცვია! – წარმოსთქვა დედამ

და გაეკრა იმის სახეს ღიმი ტანჯული. გაშალა მკლავი; ცერზედ დასხლიტა უსახელო, დაატყლაშუნა და დამღერა:

შავლეგ, შენი შავი ჩოხა, შავლეგო!
გულხადარას აცვიაო, შავლეგო!..

დამღეროდა დედაკაცი, თან ტრიალებდა.

1921 წ.

## ნაძვნარის დევი

და შეჰქმნა კაცი მიწისაგან და შთაბერა პირსა
მისსა სული სიცოცხლისა.

### 1

ალგეთის მარცხნივ, გოხნარის მწვერვალის დასწვრივ, შენდებოდა დიდებული ეკლესია იმ სამლოცველოს მაგივრად, რომელი დაჰნაცვლებოდა ქრისტიანობის პირველ ხანში კერპთა სავანეს. ხევის პირი იმ ადგილას უფრო ვაკეა, დაღმართი ნელ-ნელა დაშვებული, თანისთანობით. ხევს რომ ამოხვალ და გაივაკებ, უხვ წყაროს ნახავ გადმომდინარეს. ამ წყაროს გვერდზედ შეემზადებინათ ტაძრის ადგილი: დაესწორებინათ, ჩაეკირნათ, საძირკველი დუღაბით ჩაეყარნათ; ღრმა სარდაფი დაეტანებინათ გელაზებით ამოტანილი. ვიწრო ხვრელით უერთდებოდა იგი ჯურღმული დიდს გვირაბს, რომელს გაევლო მთა და გასულიყო ქართლისაკენ მიმართულ ხევში. წყაროსთან პირი ექმნა გვირაბს, მერმე ისევ ღრმად ჩასდევდა ალგეთამდინა. უმთავრეს გვირაბს უერთდებოდნენ სხვა ხვრელები, რომლებს დაექსელათ მთელი კვერნაკი ალგეთისა და მის მარცხენა შემდინარეს შუა.

გოხნარის მწვერვალზედ, პატარა წყაროსთან, უწინ იმ ზეგანის მცველი კერპი იდგა, ეხლა იქ უზარმაზარი ჯვარი აემართათ მთლიან ქვიდან გამოკვეთილი: „გულდამაანთ მამიდა“ სასწაულთმოქმედი. მწვერვალისა და გვირაბის პირის ანგელოზები ღამ-ღამით ნათელ ბირთვებად თუ ცეცხლის შუბებად გადად-გადმოდიოდნენ ერთმანეთში, მეტადრე ელვა-ჭექის დროს.

შენობის მახლობლად მთელი თავქვე მოდებული იყო ალგეთის პირზედვე მოჭრილ უზარმაზარ ლოდებით. სხვანაირი ქვაც ბევრი იყო შორიდან მოტანილი. მარმარილოს ზოდებიც სჩანდა. შენდებოდა ციხე-გალავანი, სამრეკლო, თვით ტაძარი და დიდძალი მასალა იყო საჭირო სხვადასხვა გვარი. კარგა ხანი იყო, რაც ტაძრის ტანს აგებდნენ. კედლები, სვეტები, თაღები, დერეფნები უკვე აეტანათ და შეეკრათ. შენობა არ იყო ერთობ დიდი, არც მეტად მაღალი, ცოტა მძიმეც მოსჩანდა თვალთათვის; მაგრამ ისეთი მკვიდრი და ძლიერი, რომ მის შემხედველ დროთა დენას, ყოვლის

დამრღვეველს, გული უწუხდა: იგი თამამად შეებრძოლებოდა სტიქიონთა დამშლელ-დამხრწნელ მოქმედებასა.

უკვე დრო იყო აღემართათ იგი გუმბათი, რომლის საფუძვლად აგებულ იყო მთელი შენობა; ის თვით ცა იყო შენობისა, მისი მიზანი, მის მედიდურად დაგვირგვინება. დღე-დღეზედ მოელოდნენ ამ ძნელი საქმისათვის დიდ ოსტატს ბაკურ ბერდიაულსა.

## 2

ბაკური აქამდისინ მხოლოდ შიგადაშიგ დაჰხედავდა სამუშაოს და ჰხელმძღვანელობდა შენობაზედ მდგომ ოსტატებს. არ ეცალა; მრავალი ციხე-დარბაზი თუ ეკლესია შენდებოდა ქართველთა ამ მყუდროდ ცხოვრების დროს და ყველგან საჭირო იყო ჰაზრიანი თვალი შემოქმედ ხუროთმოძღვრისა. შენობებში საფრთხილო ადგილს მაინც თითონ აგებდა თავისი ხელით: ვერვის ანდობდა. დიდად განვითარებული და გამოცდილი იყო იგი ხუროთმოძღვართ უხუცესი. ბიზანტიაშიც იცოდნენ მისი სახელი. ბატონი მეფე ამაყობდა, რომ იმისთანა ხელოვანი ახლდა მას. მისი ანაგები შენობები დღესაც აკვირვებენ ადამიანს. მისგან შეზავებული დუღაბი ქვაზედ მაგარია, ამ დუღაბით შელესილ კედელს მარჯვენას დააჭდობდა. ეხლაც იხილვის მის ხელის სახე ისევ უშლელად. მონასტრის აღაპებშია ბაკურის სახელი შეტანილი.

გულდასმით დაათვალიერა შენობა. არ დაიწუნა. მხოლოდ მოაშლევინა გუმბათის ფუძე, რომელიც ზევით განიერ გრკალად შემორტყმოდა ერთად თავმოყრილ სვეტებს თუ კედელ-თაღებსა.

– ამ სარტყელზედ უნდა დაეყრდნოს გუმბათი მთელის თავისის სიმძიმით, იგი კი... აბა, ონისე, გახედე იმ კვარცხლბეკის წრეს, თუ შეატყობ რასმე.

– უკვე ონოფრე, ბატონო ბაკურ!.. აგერ მარჯვნივ წრე ოდნავ შემრუდებულია, თითქმის ერთ წყრთაზედ.

– მხოლოდ უნაკლულოდ მომზომელი თვალი და უტყუარი ალღო შეჰნიშნავს ამას! ეგ სიმრუდე, თითქმის შეუმჩნეველი, მთელ გუმბათს შეარყევს ოდესმე, საუკუნეთა განმავლობაში. აქ არც ერთი ხაზის გამრუდება არ შეიძლება! ქრთილის ტოლი რაიმ მანკი მთელ ტანს შეჰლახავს.

– როგორადაც მწყობრ სიმღერაში.

– სწორედ! გუმბათი ქვით ნათქვამი საგალობელია ამმაღლებელი.

თითონ დიდი ოსტატი დაადგა გუმბათის ატანას.

– ონისე! ქვის გამოყვანას ეხლა სხვას ვეღარავის ვანდობ, აირჩიე საუკეთესო ხელოსნები, მათგან გამოვლილმა ყველა ნაჭერმა მაინც შენ ხელში უნდა გაიაროს და ისე მომაწოდონ ზევით. ჩემი იარაღი იხმარე. სხვას კი ნურვის ჩაუგდებ ხელში.

რა იარაღი იყო! ბევრნაირი; სულ შეწყობილი.

მუშაობდა დაკვირვებით დიდი ოსტატი. არა ჩქარობდა. მის ხელში ქვის გარშემორტყმა თვითეულ სრედა ახალ სახედ შეამკობდა ნაგებ სიმაღლეს, ანვითარებდა მწყაზარ მის ტანს, მისსა მშვენებას. ისეთი სისწორით ნაკეთები მასალა მოსდიოდა, რომ დიდ ოსტატს აღარ სჭირდებოდა ჩაქუჩით შეჰხებოდა მას. უნაკლულოდა ჯდებოდა მასალა თავის ადგილში. ონოფრე, მხოლოდ ხანდისხან მუშტრის თვალით ათვალიერებდა ოსტატის ხელოვნებას, რომ ვარაუდი გაეწივნა და ჰანგი არსად შეეშალნა უფროს მქმედისთვის.

## 3

ამ ციხე-ეკლესიის აგებას ერთგულად ეკიდებოდა ხალხი: სამღთო საქმე რომ მზადდებოდა სულის საოხი, შენდებოდა ნივთიერი კეთილყოფის ზღუდე-სიმაგრეც. გარემო სოფლებს დავალებული ჰქონდათ შეჰშველებოდნენ: ქვისა თუ ხე-ტყის მოზიდვა, მუშა ხელის მიშველება. ხალხი უამურად არ ასრულებდა ბრძანებას; ბეგარის გარეშეც ეხმარებოდა ორსავ ცხოვრებაში დამხმარ კარგ საქმეს. ეხლა, როცა დიდი ოსტატი თითონ მუშაობდა აქ და შენობა უნდა მალე მოთავებულიყო, უფრო მეტი ხალისი და ერთგულობა გამოიჩინეს. ხევის თავადი კვირიკე კიკეთელი, უმთავრესი მზრუნველი ამ დიდ საქმეში, მთლად ყურადღებად გარდაიქმნა: ულუფას აწვდიდა; თითონაც ხშირად დაჰხედავდა და ამხნევებდა. გაისმა ხმა, თავადის მეუღლეს მოუსურვებია შენობების ნახვა, ქალიც მოჰყავსო მზეთუნახავი მირანდუხტი. უამათ ოსტატებს: სტუმრობა სახეირო იქნებოდა პირად მათთვის და ტაძრისათვისაც; დაჰსაჩუქრებდნენ მშრომელთ, შესწირავდნენ საყდარს, გაამშვენებდნენ.

მზე საშუადღეოზედ იყო, რომ გაისმა ხმა:

– მობრძანდებიან ბატონები!

– ქალებიც მოჰყავთ?

– ალბათ! ტახტრევანდები მოჩანან.

უნდოდათ ხელი აეღოთ სამუშაოზედ და შეჰგებებოდნენ მომავლებს, მაგრამ დიდმა ოსტატმა არ ინება.

– შრომაშივე გვნახონ ყველა თავის ადგილას! – გადმოსძახა.

მივიდნენ, დაიარეს, გასინჯეს. თვალი მოსჭრა გუმბათის ნაქვთმა და აღნაგობამ, თუმცა ჯერ ხარაჩოში იჯდა იგი.

– უნაკლულო წრედ არის მოვლებული გუმბათის ძირი.

– ხომ ქვისა არის მთელი ყელი, მაინც მსუბუქი მოსჩანს ყარყარა, თითქო ბურჯებს არც კი აწევს, თავისითა სდგას.

– ჰაეროვანია ეს მკვიდრი გვირგვინი შენობისა. ჯადო ოსტატის ხელში ქვას ფრთა შეუსხავს, თითონ წასულა მაღლა მაღლა; ეთერზედან სდგას.

ოსტატს იამა ესეთი შეფასება თვისის შემოქმედებისა და განუმარტა:

– ტაძარი ღვთის სახლია ცაში მყოფისა, ჰხამს ზეცისაკენ ეწეოდეს კაცის ფიქრებსა; ხოლო გუმბათი... ცას უნდა ჰგავდეს მეუფის სამყოფს!

– გრძნობას მარად აამაღლებს ხილვა ამისი!

– მთლად მე ნუ მომაწერთ: მასალას ჩემი შეგირდი მიმზადებს ონისიმე და ისე მოწყობილად, რომ ბევრი მოსაზრება და აწონ-დაზომა აღარ მჭირდება: მადლიანი ხელი აქვს დალოცვილს.

– მწირი ონოფრე? არ უნდოდა გამოეშვათ მონასტრიდან, მაგრამ ვუბრძანე და მაახლეს.

შებრძანდნენ, სადაც მუშაობდა ონისე. ტანკენარი საროსავით წამოიმართა, დახარა თავი ბატონთ წინაშე. წამოეშალა დანაკვთილ შუბლზედ ჩაგრუზული თმათა ტევრები, ბოლოშეხრილ მშვილდებამდინ დასწვდა ფაფარი. გადაისვა მარჯვენაი ურჩ ბუნჯგლებზედა. ნათალ თითებით შემკული თათი სამკაულად აისახა მუქ ბარდებზედა. როსტომისებურ მხარბეჭიან ახალგაზრდას მწირის სამოსი საბატონო ტალავარად დამშვენებოდა; ტყავის ქამარი ვიწრო წელზედ სამეფო სარტყლად. პასუხს ვეღარ იძლეოდა აღელვებული; ენა ებმოდა. მარცხენა ხელით ახლად აშლილ წვერს ებრძოდა, ულვაშს არხევდა. მის დანახვაზედ ქალის ბაგეს აეთვისა ღიმი დამცინი,

ხოლო მის თვალნი განცვიფრებამ დაადიდრონა. შენიშნა მწირმა; უნებლიედ ჩააკვირდა ქალწულის სახეს, მის მეტყველ თვალებს, უნაკლულო აღნაგობასა. გასცდნენ. გადაიარეს ონისესთვის ძნელმა წუთებმა.

– მთლად ახალგაზრდა ყოფილა შენი ნაქები შაგირდი.

– ოცდასამი-ოთხი წლის ჭაბუკი გახლავსთ.

– ბერად შედგომა მაგისთანა ვაჟკაცისათვის!

– არ დაიშალა: ბერი ბიძა აგულიანებს. დიდი ნიჭი აქვს. გამიგზავნეთ ბიზანტიას განსასწავლადა, შეავედრეთ ბატონ მეფესა.

– დაამშვენებდა ჩემსა ეგ რაზმსა. რა ძლიერი სჩანს! მოუხდება აბგარ-აბჯარი.

მამას ეთანხმებოდა ქალი თავის გულში: შეუდარებელი რაინდი დადგებოდა იგი მწირი ქალის ფიქრითაც.

**4**

წავიდნენ სტუმრები. კიდეც დაივიწყეს ეს შემთხვევა. მხოლოდ ონოფრეს ვეღარ დასცილდა იგი. არა! დაივიწყა იმანაც ყველანი და ყოველივე, გარდა მოღიმარე მზეთუნახავისა, გაკვირვება რომ აჰსახოდა ლამაზ თვალებში. ვეღარ მოშორდა იგი ქალი მის გონების თვალს; მარად წინ ედგა; ნამდვილ ის იყო.

– ხსოვნისაგან ანახაზი მისი აჩრდილი.

– არა! თითონ ქალი ხორცსხმული! ოდნავ იღიმის; ანათებს თვალებს.

ახალგაზრდას მისი მახვილი მეხსიერება მიმკრთალ სახეს არ უჩვენებდა სინამდვილისას, აჩრდილს ფერმიხდილს; მისი ხსოვნა თითონ საგანს ინახავდა თვის სალაროში და ისევ ცოცხლად წარუდგენდა ხანთა შემდეგა: გაიღებოდა თილისმიან სავანის კარი, გამოვიდოდა ფერუცვლელი პიროვნება, ნივთი, ქმედობა. ცოცხლად მოევლინებოდა მწირს იგი ქალი, ნივთიერად: ჰხედავდა ტურფას, ჰყნოსდა იგი ყვავილოვან ხორცთ სუნნელებას, მიესმოდა აღტაცებულს იმისი სუნთქვა, მისი ხმაური; მკლავსაც მოჰხვევდა, შეიგრძნობდა თვით შეხებასა, თუ გაებედნა.

გრძნობდა ცდუნებას; შეეცადა დავიწყებასა; ბევრჯერ ილოცა; თვით ჩვენებას ევედრებოდა.

– განვედი ჩემგან, მაცთურო ჩემო მშვენიერო. სულზედ უტკბესო!

ვერ გასჭრა ვერამ! სულ თვალთ წინ ედგა ტურფა ქალი ბერობად მიხრილს. დახე ცოდვასა: არ აღონებდა მოჩვენება, სევდას არ ჰგვრიდა; სიმხიარულეს მიუბყრობდა ყვავილოვანსა, უბრყვილო რამ დაამებას მტკივნეულ გულის.

– კვლავ მოხვედ ჩემთან, სახიერო, არ დამივიწყე? რა კეთილი ხარ! არ უკადრისობ; გებრალები ვიღაც მწირი ცხოვრებიდან გაბიჯებული...

არ უშლიდა მუშაობას; კიდეც შველოდა: ახალისებდა.

– და აჩრდილი მწირს შრომის ჟამს ეხმარებოდა?

ძლიერ ცდილობდა მისის ეშხით უნაკლოდ ესრულებინა საქმე ნატვირთი. ეს აამებდა ტურფა ჩვენებას: მოვიდოდა, დაჰხედავდა; მოუწონებდა; მის თვალებში გამხნევებას შენიშნავდა, ლამაზ თვალებში. რა დიდი სასყიდელი იყო ეს მისთვის! მთლად განცვიფრებული იყო დიდი ოსტატი ონისეს ნამუშევარით.

– არ მეგონა, ესეთის სისწრაფით დახელოვნდებოდა. ოღონდაც რომ დიდი ნიჭი მიუცია შენთვის შემოქმედს. ძლიერ ვეცდები სამზღვარგარეედ გაგაგზავნინო, თვით ხელმწიფე მობრძანდება და მასაც შევთხოვ.

მხოლოდ ის აჯავრებდა ბაკურს, რომ მისი ძვირფასი შაგირდი არაფერს ხალისობდა: საერთო მხიარულებაში არ ერეოდა, კიდეც ერიდებოდა ხალხს, თანამუშაკთ. ოსტატთანაც ცოტას იტყოდა. განმარტოებით დადიოდა ჩაფიქრებული.

დროც აღარ ჰქონდა ეხლა ონოფრეს: ორნაირი სამუშაო გასჩენოდა, ერთმანეთზედ უფრო საფრთხილო; გუმბათის ქვას ლარს რომ ავლებდა, აყალიბებდა და უნაკლოდ დათლილს აწყობდა; ზოდსაც ჰკერჭნიდა, ჰსთლიდა, ჰკვერავდა, რაღაცა სახეს აქანდაკებდა. ამ საშრომს არვის უჩვენებდა; განცალკევებით მუშაობდა; არდაგებით დაეფარნა უცხო თვალისგან.

– დაუძახე ონისიმეს: სადილის დროა.

– ვიყავ, ვუთხარი: ხმა არ გამცა, თითქო ვერ ესმის.

– რას აკეთებდა?

– თეთრ ქვას ჰკვერავდა.

ნელ-ნელა ისახებოდა ონისიმეს სამუშაო, გამოდიოდა განუჭვრეტელ რაიმ ჯანღიდან არარსებობის; ახალ-ახალ ნათქვამს ისხავდა ოსტატის ხელში; იკრიბებოდა, მატულობდა ნათელ ქვაში მისი მზგავსება, ვისიც დასახვა ჰსურდა სურვილით ახალ ოსტატსა. და წარმატება ხალისს აძლევდა მოქმედ ხელოვანს, ჰმატებდა ძალას, შრომის უნარს მიაწოდებდა.

გადიოდა დრო. ყელყელობდა გუმბათის ყელი. კიდეც დასრულდა ლამაზ სვეტად შორით მჩინარი. შეუმჩნევლად გრკალდებოდა ყოველ მხრიდგანა; ეწყობოდა საფუძველი გუმბათის ცასა, თითონ კამარას, ადონაის სავანედ ნაწესს.

სრულდებოდა მარმარილო, ინაქვთებოდა დრუნგილის ქალი! როგორა ჰგავს იგი მზიას, თვის პირველ სახეს! და შეჰქმნა კაცი მიწისაგან! მაგრამ... მხოლოდ ტანი მისი, ხორცი თუ ძვალი, ნივთიერი მისი სხეული. სახეა მისი დიდებულად გამოყვანილი, მაინც უსულო, უასაკო, ლოდის ნაკვეთი. სიცოცხლე მოეც, სული ცხოველი! ან... წუთსავ დაიმსხვრეს, არ არსებობდეს!..

– ონისიმე! უნდა მაჩვენო, რასა ჰმუშაობ.

– არა, ოსტატო! უსულო არის და შეურაცხჰყოფს, ვისაცა ჰხატავს, ქალწულ მშვენებას.

– ვერ მესმის კარგად.

– შენგნით ნაშენი თუნდ ეს გუმბათი მით არის კარგი, რომ ცოცხალია: გაგრძნობინებს, თვით გაცნობს, გეტყვის, მანამდისინ კი...

– მანამდისინ კი ყორეა მხოლოდ, თუნდაც მაგარი: შემოქმედს ხელი ვერ შეუხია.

– მას გავაცოცხლებ, შთავბერავ სულსა!.. მაინც, ოსტატო, ეს საშრომი როდი მიშლის ჩაბარებულ საქმის კეთებას. თუ აღარ ხარ კმაყოფილი ჩემის ნაშრომის?

– რას ამბობ, კაცო! აღტაცებაში მოგყევარ ამ ბოლო ჟამსა. ესე დიდი წარმატება ამ მცირე ხანში?!

და ლოცულობდა ონისიმე, ევედრებოდა დიდ შემოქმედს, მიეცა ძალა, რომ შესძლებოდა ჩაედგა სული იმ სახებისთვის, მისგან შექმნილ მშვენიერისთვის. ჩაჟინებით ჩაჰყურებდა ქვისგან ნაკვეთ ლამაზ აღალმას, გარნა უსულოს.

– მომმადლე ძალა, შემოქმედო, მომეც ნიჭი სასწაულისა და გმსახურებდე სიკვდილამდე, შეგწირო სული.

– ოცნებაში ჰხედავ სახეს სიცოცხლით სავსეს?

– ვხედავ, დიდო შემოქმედო! ეჰა, მიღიმის...

– იმოქმედე, ნუ დასცხრები, სცადე მრავალ გზის!

და ეჭირა საჭრეთი, კვერი და ჩაჰყურებდა აღგზნილ თვალებით ქანდაკებას ჯერეთ უსულოს.

– ამოძრავდნენ, შემოქმედო, ტუჩნი ესე მზეთუნახავის, ჩჩვილის ღიმილით გაეპოს ბაგე ვარდს აკოკრებულს! – იტყოდა მწირი.

და სიოს სინაზით შეახებდა მჭრელ ხელსაწყოს ბაგეთ არესა.

– გაიღიმა!.. მისმინე, ღმერთო? ბალღის ღიმილი ქალის სახეზედ! ღიმის სინათლე ეფინება მწყაზარ ღაწვებზედ, მიდის თვალთაკენ... ახ, ეს თვალები...

– მიეც მათ სხივი სიცოცხლისა, შემოქმედო ყოვლად ძლიერო! – იტყოდა მწირი.

და სიოს სინაზით შეახებდა მჭრელ იარაღს თვალთა არესა.

– ააჩნდა შუქი! აელვარდა ნაპერწკალი ცნობიერების! მოღიმარე განცვიფრება შუქურ თვალებში!..

და შთაბერა პირსა მისსა სული სიცოცხლის!

## 6

გუმბათის ცა იწურება, მალე შაიკვრის.

– ონოფრემ ბევრი დახმარება გაუწია დიდ ოსტატს ამ ძნელ საქმეში.

– მართალია! თითონვე ამბობს ამას ბაკური; მადლობელია.

– ისეთი ხელოვანი გამოდგა ონისე, რომ ბატონის ქალის სახება გამოუკვეთნია მარმარილოდან.

– ვიცი! შენობების დათავებისას რომ დღესასწაულს გამართავენ, მაშინ მიართმევსო ქანდაკებას ზღვნად.

– გადამეტებულსაც ამბობენ: იმ ქვის სახებას თურმე ლოცულობს; მიწას გართხმული მის წინაშე ბევრს უნახავსო.

– ხატი იქნება, თუ ევედრება. ყოვლად წმიდა ქალწულის სახე თუ გამოკვეთა.

– გავიგებდით, თუკი ვნახავდით; ძე ქრისტიანს არვის უჩვენებს!

– შეუჩადრია, ისე ინახავს. დროს რომ იპოვის სამუშაოდ, მაშინღა გახსნის. ახლოს მაინც არავის უშვებს, მეტადა ჯავრობს.

ეს ამბავი იცოდნენ კიკეთელთა ოჯახშიც და მიელოდნენ საიშვიათო ზღვენს. ბატონ კვირიკეს აღეთქვა ბაკურისათვის, დიდ ყურადღებას მივაქცევო მაგ ნიჭიერ მწირს. მწყობრად მიდიოდა ყოველივე; ბედნიერად დათავდებოდა, თუ ეშმაკს არ შეშურებოდა და ბნელით არ დაეფარნა იგი ნათელი.

მონასტერშიც მივიდა ონოფრეს ამბავი. წინამძღვარმა და ქრისტეს მიერ ძმათ მადლობა შესწირეს უფალს, რომ მათ შორის აღმოჩნდა რჩეული, რომელმაც სახელი გაითქვა საეკლესიო ხუროთმოძღვრობაში. იმედი იყო, მისი მარჯვენა დაამშვენებდა დიდებულ ტაძრებით ბევრს მხარეს ღვთისმშობლის ხვედრის საქართველოსი. ეს მწირის ბიძამაც სასიამოდ მიიღო, მაგრამ მეტი ყურადღება მიაქცია იმ ამბავს, რომ მის დისწულს კაცის სახე გამოეკვეთნა ქვიდგან და თაყვანსა სცემდა.

– ქვის ხურო რომ ლოდს გასთლის და სახეს გამოიყვანს ეკლესიის დასამშვენებლად: ჯაჭვით დაბმულს ლომს-ბელიარს, მსხმოიარე ვაზს იესოს, რომელი არს ვენახი ჭეშმარიტი, კეთილ რამ ყვავილს სამოთხისას, ეს წესი არის და მისახვედრი. მაგრამ ქალის გამოკვეთა მარმარილოდან და მის წინ დიდი აღტაცება ჭაბუკისაგან... სხვას ვხედავ აქ მე. დაიხსენ, ღმერთო, სულიერი შვილი ჩემი ცთუნებისაგან! – სთქვა ბერმა.

ჩაიცვა ქალამნები, აიღო კვერთხი. დაადგა გზასა: თავის თვალით უნდა ენახა ყოველივე. მივიდა. შევიდა ონოფრესთან.

– მშვიდობა შენდა, საყვარელო შვილო ჩემო!

– მშვიდობა თქვენს მობრძანებას, ღირსო მამაო. გვაკურთხენ!

ბერმა აკურთხა. ეამბორა. ჩამოჯდა ქვაზედ. მიავლ-მოავლო თვალი ფარდულსა. ქვები ელაგა დათლილ-დაკვერცხილი.

– ეკლესიისა?

– დიაღ, მამაო!

– შეგიწიროს! მიხარის: ღმერთს ნიჭი მოუცია შენთვის. ჩემო დისწულო მოვიდა ხმა, ქვიდან წმინდანის სახეც გამოგიჭრია.

მწირი შეჰკრთა, ფერი ეცვალა, პასუხი ვერ გასცა.

– მიჩვენე, შვილო საყვარელო! მიამება, რომ დავინახავ კეთილს გზაზედ შენს წარმატებას.

სდუმდა ონოფრე; ადგილიდან აღარ იძროდა. ბერმა რიხიანი სახე მიიღო და უბრძანა, დამორჩილებოდა. მწირი ნაჩვევი იყო ბიძის ბრძანების ასრულებას და დამორჩილდა. გადაჰხადა დაფარნები თვის ნამოქმედარს. ბერი დააკვირდა. განცვიფრება აეხატა სახეზედ. შუბლი შეიკრა. ბოროტი ცეცხლი აეგზნო თვალებში.

– ახალი სახე ძველის კერპისა!

– ბატონ კვირიკეს ქალის სახება.

– თვით ბელზებული იმ ქალის სახით!

– რა ბრძანებაა?!

– არა ჰქმნა თავისა შენისა კერპ! თუ დაგავიწყდა, შე უბადრუკო, ვითარ მოიღო მოსემ კერპი იგი, რომელ ჰქმნეს ძეთა ისრაილისათა, და დამუსრნა იგი წვლილად?

მწირი უსიტყოდ იდგა განრისხებულ ბერის წინ; გამოუთქმელმა ჯავრმა კრიჭა შეუკრა. მისმა დუმილმა უფრო განარისხა მსახური ღვთისა. წარსდგა ნაბიჯი. ჰაერში ჯვარი გამოსახა ქანდაკების წინ. წარსთქვა:

– შეიმუსრნეს ნიშითა და სასწაულითა ჯვარისათა ყოველნი წინააღმდგომნი ძალნი.

და დასწვდა ჩაქუჩს. ელდა ნაცემმა მწირმა შესძახა:

– არა კაც ჰკლა!

და გადაფრინდა მისკენ.

გვიანღა იყო: მოხვდა რკინა მარმარილოს. დაიკვნესა ქანდაკებამ და შეიმუსრა. მწირმა შეჰკივლა განწირულად და დაეცა ნამსხვრევების წინ.

– და მეყვსეულად სულმან არაწმინდამან დააკვეთა იგი! – წარსთქვა ამბაკომ.

მიეშველნენ. აბრუნებდნენ. მოსულიერდა. ადგა, აკრიფა ნამსხვრევები, შეკრა არდაგში და გაემართა. გასცდა ეზოს, ტაძრის გალავანს. მიდიოდა აღმა-აღმა. მიეფარა ხშირსა ნაძვნარსა.

– მიდის შემცოდე მონასტერში! იქ მოინანებს! – დაასკვნა ბერმა

და დამშვიდდა. სხვებმაც მეტი ყურადღება აღარ მიაქციეს ამ ამბავს. თანდათან დაივიწყეს. არ ივიწყებდა მხოლოდ დიდი ოსტატი. ის ეხლა უფრო მტკიცედ დაადგა თავის განზრახვას: გამოეტაცნა ეს ცხებული მონასტრიდგანა ძალის მექონთ შემწეობითა და გაეგზავნა განსასწავლად სამზღვარგარეთა. მწირი არ მისულიყო თვის მონასტერში. ეგონათ, სხვა რომელსამე სავანეს თუ შეეფარაო. არც ეს გამართლდა: არსად აღმოჩნდა.

* * *

გაიარა დრომ. გავიდა ხანი. დიდ ნაძვნარში გამოჩნდა დევი. საშინელი დიდი იყო ნაძვნარის დევი. წვერ-ულვაში და ჯალჯი თმა წელამდი სცემდა. ტყაპუჭი ჰქონდა ტანთ მოხვეული, ყავარჯენად გალოპრილი ნაძვი ეჭირა. ბევრმა ნახა ალგეთის პირს,

გამოქვაბულში; უღრან ტყეშიაც. უწყინარი დევი იყო: ადამიანს, არც საქონელს არას ერჩოდა. ეს იყო ძნელი: მოსწვდებოდა, ვისაც ნახავდა, შეაყენებდა, ცეცხლის თვალებს ჩააშტერებდა და... გაუშვებდა.

– სჯობს, არ გაექცე: ძალიან ჯავრობს.

– ან სად წაუხვალ საშინელ დევსა?

ჟამითი-ჟამად გაისმოდა უღრან ტყეში, მღვიმეებში, თუ მდინარის პირს დევის ქვითინი საზარელი, ხანაც ხარხარი: ნაძვნარის დევი ხან ტიროდა, ხან იცინოდა.

**1921 წ.**

## სული მთვლემარე

– კაცო, მზე მოიღალა სიარულით, სოფელი ფეხზე დგას, ქვეყანა აჟიჟინებულია, შენ კი სათარივით ჰხირიხარ წაგორებული. ადე, ხელი გაანძრიე: კარმიდამოა, საბძელ-კალო, მინდორი, ტყე, ათასი საქმე. ადე, გაიძარ! – ეუბნებოდა მარო თავის ქმარს.

და მისი ხმა თანდათან მაღლდებოდა, ხშირდებოდნენ მის თქმაში მშრალ ბგერათა ბუნჯგალნი, მჭახედ სათქმელი ამოძახილნი; მრავლდებოდნენ ჩხუბის წინამორბედ ხმათა მიმოხვრანი ტეხილ-ლეწილნი.

ცოლის ატეხილ ხმაურობაზედ წაიქშინ-წაიბურტყუნა გულაღმა მწოლარე გიგოლამ და გვერდი ივალა, გასწორდა; ამოუშო დევივით ფშვინვა.

– ერთი დახედე იმ გულმკვდრის შვილსა! განა აქვს ამას უნარი სახლის მოვლისა, კერის შენახვისა?! – წამოიკივლა გააფთრებულმა

და ტახტზედ დაებჯინა მუხლით, წაიწია მძინარესაკენ, წაატაკა გამხმარი თითები, კალიის ფეხივით გამოფიტული ხელი წრიოკი. ტყუილად! ვერ აგრძნობინა, ვერ ჩაატანა.

ვეება ჯირკივით კაცი იდო ტახტზე, საბანქვეშ. თავი უჩანდა და, შამბად ატეხილ ჯაგარის ტევრებით გარემოცული ქეჩო და ქალა; ვიწრო შუბლი ედგა უკან დახრილი. პირი კედლისაკენა ჰქონდა გულაღმა მწოლიარეს, ცხვირი მაინც ბარაქიანად ამოსჩენოდა, კეხად ამაღლებული სასუნთქი იარაღი უშველებელი. საბანი ვერ გასწდომოდა, ვერ დაეფარნა ბალნით მოსილ წვივზედ ტლანქად მობმული ფეხი უზარმაზარი. მკლავი ზევიდან ეგდო, დამორილი თითებით საბნის ნაკეცი შეეჭმუჭნა. გააძლიერა მკვრგვინავი ფშვენა, უშფოთველის, წყნარის სვენების მაღლა მთხრობელი. გამწარებულმა დედაკაცმა შეანძრია მდებარე გორა, შეაჯანჯღარა.

– ჰა? რა ამბავია?

– ღმერთმა რომ არ იცის შენი თავი!.. წყეულიმც იყოს ის დღე, შენ რომ გადაგეკიდე!..

– მოდი, დედაკაცო! რა სულა ჯავრობ?! – ამოილუღლუღა მწოლარემ

და გადასდო დედაკაცს მარჯვენა. ხელის სიმძიმემ სიფრიფანა დაჰხარა საბნის პირამდინ. კაცმა მოიბრუნა პირი ცოლისკენ. ბუნდათ უბჟუტავდა სავსე სახეზე წვრილი თვალები, სიღრმიდან იმზირებოდნენ პაწაწინები.

– თვალი შენც დაგიდგება! – მიაძახა მარომ

და ძლივს გამოუსხლიტა ბეჭებზედ გადადებულ თათს. ერთს ხანს დოინჯით ადგა თავს მწოლარეს; მერე გაუპო ტუჩები ღიმილმა გამკილავმა, მიაყარა ქოქოლა ქმარს, სარტყელშივე გაიმაგრა კაბის კალთა და გატრიალდა.

* * *

გულით როდი სწყევლიდა თავის ქმარს უზარმაზარს, არც ქოქოლას აყრიდა გამეტებით, მედგრად, ორივე ხელით. თვალებს გამოჰღადრიდა ფიცხი, თუ ვინმე გაჰბედავდა მისი კაცის ჩასაქოლად ქვის აღებას, თუნდაც საქოლავის ღირსი ავი ჩაედინა მდორეს, გულფიცხელობას მთლად მოკლებულსა, ავზნეობისაგან სავსებით გაძრცვილს.

– შე უმადურო! გუშინ მთელი დღე ამუშავე ჩემი კაცი, იმდენი ჯირკები ძირიანად ამოაბრუნა შენს ახოში და საკმაოდაც არ დააპურე ბეჩავი?! შინ მომთხოვა შეჭამადი.

– არა, ნათლიდედ! ძლიერად რომ იმუშავა, სადილი მადიანად ვაჭამე; მაგრამ რა ვქნა, რომ ამირანს აჯობებს ჭამაში.

– ლუკმასაც უთვლი პირში?! აბა მაშ შემდეგაც იშველიე...

ყოველ დღე სწყევლიდა გიგოლას მარო, ყოველ ჟამს ჰკრულავდა მას ხმამაღლა, მთელი ეზო-ყურეს გასაგებად; მაგრამ ხმადაბლა, მხოლოდ თავის სასმენად თუ ყურმახვილ ღმერთის გასაგონად, მაშინვე უმატებდა: „ნუღარვე“! პირი რომ სწყევლიდა ბოროტად მოთქლეშილი, ძუძუ აქარწყლებდა მის კრულვას ლბილი, კეთილი. სძულდა ქალს ქმარი ყოველ წუთს, უყვარდა მარადჟამს: საქმეში სძულდა შრომისთვის თავგადაკლულს ნებით გარჯის უარმყოფელი; შრომაში თვის გვერდზედ ვერა ჰხედავდა მეუღლეს და მისთვის ეჯავრებოდა, მიტომ წყრებოდა; უამებოდა იგი ცოლს ჯაფის გარეშე, გულში უღიმოდა მისგან დამტკბარი, მთლად კმაყოფილი.

დედაკაცი რომ ფიცხი იყო, ნაპერწკალი მარად მოძრავი, ელვასავით კისკასი, სწრაფი, ერთსა და იმავე დროს ყოველგან მყოფი თავის ეზო-ყურეში, კაცო მთლად მდორე იყო, თითქო უძრავი; მის ერთს ფეხის გადადგმაში სრული საათი გადიოდა დედაკაცისთვის, მთელი საუკუნე, იმისთვისა სძულდა ტარივით მბრუნავს ზანტი, უძრავი. მისთვის ჰკრულავდა ბეზარმოსული; მაინც ლოცავდა მისგან დამტკბარი ძუძუებით, უალერსებდა ნდომის ღიმილით. დიდი მიმზიდველი ძალა ჰქონდა ქმარს ცოლისათვის, მარად მიმხვრელი; უკუმქცევი სიძლიერეც დიდი დართოდა, უარმყოფელი. ეს იყო დედაკაცის უბედურება; მისი ბედნიერებაც ეს იყო.

– კაცო, გიგოლ! ხბო დაჰხვევია მარგილს; მიგიბამს, მიგინებებია; დაიღრძო საწყალი. მიეშველე! – შესძახა მარომ, რომელიც თონის პირას ქვაბებსა ჰხეხავდა ნაცარტუტაში.

– ჰა? ხბო დახვეულა?

– ვერა ჰხედავ?! რა ჩემი თქმა გინდა!

შეინძრა გიგოლა, შეირყა, გადადგა ბიჯი:

– ჩქარა, შე შეჩვენებულო!.. ნუღარვე!..

შუა გზაზედ იყო კაცი! დედაკაცს რომ გულმა ვეღარ მოუთმინა, დააგდო ქვაბი, გაექანა; მიუსწრო. რა ტანი დაამძიმებდა! პატარა იყო, შავად შემწვარი, ძარღვებად ნაქცევი, ქარივით დაჰქროდა. მფრინველი, ბუხრუკები, ცოცხი, ბუხარი, ავღანი ბალღები, სარეცხი... ვინ მოსთვლის, ღმერთო ჩემო, რამდენი საქმე ჰქონდა გამჭრიახ დიასახლისს; წვრიმანი საკეთი უმნიშვნელო, მაინც აუცილებელი, უთვლელ-ულევი. მარტოხელი მეუღლე იყო, უნებლიეთ თავისკენ მიეწივნა „ტოლი“ მეორე ცალის უქნარობის გამო.

– სისხლი გამიშრო შეჩვენებულმა... ნუღარვე! მაგ... ეჰ, გული რომ ვერა სწყევლის: რაც უნდა იყოს, გვირგვინია ჩემი, მამა ჩემის ბალღებისა; ბედია ჩემი, ცისგან მოცემული იღბალი მძიმე, უხეშ-უძრავი...

ქმარი არ შეეფერებოდა დედაკაცს აგებულებით, ხასიათით, არც მისწრაფებით თუ აღზრდით, გარდასრული ხანით ბალღობისა; მთლად მოწინააღმდეგე თვისებებისაგან შესდგებოდნენ ეს ორნი. იქნება ამისათვის იზიდავდნენ ერთმანეთს მარად უარმყოფელნი?!

* * *

მარო ბალღობიდან იცნობდა გიგოლას, სულ პატარაობიდან, იმ ხნიდან, როდესაც ის ქალაქიდან მოჰყვებოდა თავის დედას ბექობიანში ზაფხულობით. რაკი ქერები გაიჭრებოდა, აგლანა ამოჰყვებოდა შეშის ურემს თავისი გოგოთი და ათასგვარ სავაჭროთი სავსე ბოხჩებით, ყუთებით, პარკებით; დაიდება ბინას ნათესავისას; დაძრწოდა კარი-კარს, უბნიდან უბანს, სოფლიდან სოფელს. დოინჯაანთ ქალი იყო, მთაწმინდელი ზეინკალის ცოლი, წყაროს უბნიდან. ქმრის შემოსავალს თავისი დალალობით ამრავლებდა. ამოიტანდა საწვრიმანოს, უფრო ქალთა საამოს თუ გასახარს, და სცვლიდა კვერცხზე, კარაქზე, ხორბალზე, ხილეულობაზე, სამარხოზე თუ სხვა მოსარგოზედ. თავისი კუთხე ჰქონდა აჩემებული; იქ აგროვებდა ყველაფერს კალათებში, პარკებში, კასრებში, ქილებში. მთელი ზაფხული რჩებოდა სოფლად, სთველსაც აქ ატარებდა. ხვავიანად იმარაგებდა სარჩოს; გასწევდა დატვირთული ურმით ქალაქისაკენ. წანსვლისას ერთხელ კიდევ ჩამოუვლიდა ყველას, უფრო შემძლე ოჯახებს, დაემშვიდობებოდა. ბაღჩა-ბაღიდან თუ მინდორ-ველიდან შემოსული დოვლათით დატვირთულნი არ ისტუმრებდნენ საჭირო ადამიანს ხელცარიელს, სთავაზობდნენ, ასაჩუქრებდნენ.

სასარგებლო იყო გამოქნილი: საჭირო სავაჭრო რომ თითონ მიჰქონდა ყველას კარს, წამლობაც იცოდა: შაკეკიანი, შაშინებული, თვალნაკრავი, დამიზეზებულნი ხშირადა რჩებოდნენ მისი წამლობით, მეტადრე თუ წამლის მიღებისას კიდევ შეულოცავდა. ძალიანი იყო მისი შელოცვა: მთქნარებით ყბა ეხეოდა ლოცვის დროს. მკითხაობაც ეხერხებოდა: ბანქოში ცხადად ჰხედავდა მომავალს. რამდენჯერმე სცადა დაბმული ბედის ახსნაც; გაუმარჯვდა, დაჟამებული ქალები დაათხოვა მისმა თილისმამ, ბედნიერად დააბინავა.

– შენ არ იცი, როგორ უნდა ბედის ახსნა?! კარგი, გასწავლი. უშვილობის წამლისათისაც მიეგნო, თუმცა ძალიან იშვიათად ხმარობდა, დიდის სიფრთხილით, საიდუმლოდ: ძლიერი წამალი იყო, თითქმის საშიში.

– იცი, ქალოჯან, უცხო თვალი და ყური ძალას უკარგავს ამ უებარ წამალს.

– მართლა, ადამიანო?!

– რამდენჯერ გამომიცდია! იმ ჩემი, ერთადერთი გოგოს მზემ, მეც მიკვირს ამ წამლის ამბავი.

ქალაქში დაბრუნებული აგლანა მაინც არ მოსწყდებოდა სოფელს, კავშირი ჰქონდა მასთან: გამოცდილი იყო ვაჭრობაში, უფრო ქსოვილის არჩევაში; სოფელს კი ათასი რამე ჰქონდა სავაჭრო: ჩითი, ნარმა, ხამი, მიტკალი, ქიშმირი თუ სხვა ფართალი რამ დასჭირდებოდათ, მიმართავდნენ გაჭირვების ტალკვესს, გაიყოლებდნენ. ვაჭრებიც იცნობდნენ, იმადლიერებდნენ, რომ სოფლის ხალხი მათკენ მიეზიდნა. ამითაც სარგებლობდა დალალი, ორივე მხრიდან ჰაზრიანად გამოჰქონდა გასამრჯელო; ყველა კმაყოფილი რჩებოდა. კარგი სარგებელი ჰქონდა დედაკაცს, როდესაც რომელსამე ოჯახში ჰმზითავდნენ ქალს: ბევრი იყო მაშინ სავაჭრო და ყველაფერს რომ ცოტ-ცოტას ჩამორჩებოდა, საკმაო საწირავი ხვავდებოდა...

– ალალი იყოს! ვინ აყვედრის გამრჯელს გასამრჯელოს?!

ქმრის დროსვე ესე შრომობდა აგლანა. ცხონებულის შემდეგ მთლადაც გადმოუხვია ამ გზაზედ: საუკეთესო გეზი იყო მის დასაპურებად ამ ტანტალში, ქალაქიდან სოფლად სიარულში, დედაკაცს განუყრელად დაჰყვებოდა თავისი მარო. ჰშველოდა: ათვალიერებდა, ალაგებდა, ჰყარაულობდა გასასყიდ საქონელს თუ აღებულ სარგოს. გამჭვრეტი თვალი ჰქონდა მახვილი, დიდად გამოსადეგი იყო დედის ხელობაში.

წამოჩიტდა გოგო, წამოიზარდა, დაბზინდა: გრძნობათა ღივებმა გაიღვიძეს მის გულში; მიმზიდველ-მამშვენებელ ვნებათა საგუბარნი აბირთვდნენ მკერდზედ. დედა რომ ვაჭრობდა და საზრდოს საკრებად მახვილ თვალს ადევნებდა ყველაფერს, მისი ქალიც მუშტრის თვალს ავლებდა წამოღერებულ ბიჭებს, სათავისოდა ზომავდა ქოჩორ-ქოჩორებს. ამ თვალიერების დროს იყო, რომ მაროს შეებრძოლა თავისი გული და რა ძლიერად! ყოველივე საღი მოსაზრება დაუფერფლა, ქარს გაატანა.

* * *

– ნეტა ფეხი მომტეხოდა, ამ სოფლისაკენ პირი არ მექნა არასოდეს! ახლა რაღა ვქნა და რა წყალში ჩავვარდე?! – გულს ეყრებოდა აგლანას.

ვეღარაფერი გაეწყო: როგორღა გადმოაგდებდა სასიკეთო გზაზედ ქალობაში გადაბიჯებულ თავის გოგოსა?!

– აკი ჭკვიანი იყავ, შე გულკვდრის შვილო, კარგად იცოდი ავკარგის გარჩევა; სავაჭროს არჩევაში მეცა მჯობდი ხანდისხან. რამ დაგიყენა ეგ დასაბრმავებელი თვალები ამისთანა მძიმე საქმეში?!

ყელს აგდებდა წელგადამტვრეული გველივით, უღონოდ ახეთქებდა თავს, ამოუსვლელ ხნარცვში ჩათხეული. დრტვინვითა და წუხილით ვეღარას უშველიდა ჯავრმორეული; ან უნდა გადაეჭრა ის სამატი, რომლითაც გადაჰბმოდა გოგო ზერდაგსა, ან მითომ ნებით ჩაჰყოლოდა, მძლავრად ჩათრეული.

– ეს რა მომივიდა, ქა?! სხვებს ვურიგებდი ბედს თვალდამდგარი, თითონ ჩემი ვერ გავარიგე საბედნიეროდ, ფლატეში გადავამზღვრიე ჩემისვე ხელით.

ჯავრით თმას იბდღვნიდა, ლოყებს იკაწრიდა. რაღას უშველიდა?! ერთხელ-ორჯერ გულიც იჯერა: ათრია გოგო, ხორცი აგლიჯა, ჩაალურჯა. ამაოდ! მარიკო ჯიუტად ასდევდა თავის კვალს, ლირფად იღიმებოდა: განცდილი ტკბილი სახეები თუ უალერსებდნენ მის ახალ ქალობას. დარწმუნდა დედაკაცი, რომ გვიანღა იყო; დაჰყვა უბედო ბედს, აუცილებელს. ბარემ მუხლი ეკვეთებოდა ამ მისთვის არასანდომ გზაზედ, მაგრამ მეტი ღონე ჰქონდა შებოჭილ-შებორკილს.

სულ უბრალოდ მოუხდა გოგოს ეს ამბავი; ბრანძვიაანთ სახლი ხევის პირას იდგა, სოფლის ბოლოში. ღარიბი მეკომური იყო ივანე, ძალიან უხაროდა თავისი ბიჭი, მომეშველება მუშაობაში, მხარს დამიჭერსო. საფუძვლიანი იყო იმედი: ჯანსაღი ბალღი. ერთობ სრული, ვეებერთელა. ბრანძვიანთ მოსდგამდათ სიმსხო; ამას გადაეჭარბებინა. მისი ხელ-ფეხი დათვის ტორებს მოგაგონებდათ. გოლიათის ტანი დაიჭირა კოპიტად ნაგებმა. ღონეც შესაფერი ამოაჩნდა: უბრალო საქმედ მიაჩნდა ჯერ ისევ ბალღს ვაჟკაცთან ერთად აეწია სავსე ტომარა თუ სხვა რამ სამძიმო. ის იყო ცუდი, ერთობ ნელი იყო საქმეში, მიხვრა-მოხვრაში, თითქმის მთლად უძრავი. კოლოტივით იდო ამდღე დილისაკენ მიქცეული; რომ ეღვიძა, მაინც ეძინა: მილეული ჰქონდა მბჟუტავი თვალები, უძრავად გაიყურებოდა სივრცეში, თითქო ვერაფერი იზიდავსო უგრძნობელსა. იშვიათად აღელდებოდა მარად მთვლემარე, მაგრამ მაშინ დიდად

სარიდო იყო: ისე დასტორავდა მოპირდაპირეს, რომ ვეღარ დაავიწყდებოდა მისგან ვნებულს.

ვერ გამოდგა ბიჭი მორბედად: უარს არ იტყოდა, მაგრამ მოთმინება ილეოდა, მანამ ის შეუდგებოდა საქმეს და ზლაზვნით გააკეთებდა: წყაროზედ ვერ გაეგზავნათ შიშით, მოსვლა აღარ ეღირსებოდა; მძიმე იყო უღელზედ მეხრედ, ღამეც ვერ უშვებდნენ მძინარეს გუთნეულის დასამწყსავად. ბარი და ნაჯახი კი მისი საქმე იყო; დაადგამდა სატერფალს ფეხს, ბარს მთლად ჩაუტარებდა მიწას; დაჰკრავდა ნაჯახს, ყუამდინ ჩასვამდა ხეში. მაგრამ რა! თითო საათი უნდებოდა თითო დაკვრას. მაინც მისი შნო იყო, რომ მთელ სოფელში საუკეთესოდ იყო შემოფარგლული ბრანძვიაანთ კალო-საბძელი, ეზო და ბაღჩა: ისეთ კარჩხას მოათრევდა ტყიდან, უღელი ხარის სათრევადა კმაროდა; ისეთ ხარიხოს ჩამოიტანდა, თავხედ გამოდგებოდა. სუფთა საქმე სრულებით არ ეხერხებოდა: მისი დამორილი თითები გახევებულნი ვერ ეხვევოდნენ სათუთ საკეთს საფრთხილოს.

უყვარდა ბალღებში ყოფნა, ვერ კი შეეძლო მიეღო მონაწილეობა მათ გართობაში: ჩილიკა-ჯოხი, წრე-ლახტი, მალაყი დიდ მოძრაობასა თხოულობდნენ, მარდს; ეს არ შეეძლო ნივთდაჭარბებულს, მძიმედ ნაგებს.

– ბიჭო, ბიჭო! აგერ გიგოლა მობაჯბაჯებს; დაგინახეში ჩავაბათ, ან ტანტალოში.

– არა, სალექ-მალექი ემჯობინება, ვნახოთ, როგორ იძუნძულებს ცალფეხზედ.

არა სწყინდა ტოლ-ამხანაგების დაცინვა: თითონაც ესმოდა, ასეთი სათამაშოები მისთვის არ იყო გამოგონილი. მაინც უხაროდა სხვების ხალისი; მხარ-თეძოზედ წამოწოლილი მბჟუტავ თვალს ადევნებდა მათ. ბიჭებსაც მოსწონდათ უძრავი ამხანაგი; შეუდარებელი მებარგულე იყო; ქუდი, ქამარი, ჩოხა, ჯიბურა ეყარა მის გვერდზედ თუ მის წინ, პატრონები დაიმედებულნი იყვნენ, არ დაეკარგებოდათ; ვინ გაჰბედავდა მიჰკარებოდა რასმე მისი შიშით?!

გიგოლას აქ ყოფნის დროს ვერც სუსტის დაბრიყვებას გაჰბედავდნენ თავწასულები: მხარს დაუჭერდა დაჩაგრულს; ნაწვნევი ჰქობდათ მისი ტორის სიმძიმე. ერთი გასართობი ეხერხებოდა; ბალღებსაც ძალიან მოსწონდათ: გაშლიდა მიწაზედ თათებს, ზედ შეიყენებდა ვისმე და ასწევდა, აიმართებოდა, აიყვანდა; ისე ეჭირა ვეებერთელა ბიჭი, როგორც თოჯინა. გოგოებიც ხალისობდნენ ამ გასართობს.

– გოგო, მარო, აბა ეხლა შენ შედექი.

მსუბუქი გოგოს ასაყვანად მარტო ცალ ხელს გაშლიდა ბიჭი; ისე ადვილად ასწევდა, თითქო ფირფიტისაგან არისო ქალი გამოთლილი.

– თავზედ მომავლე ხელი, თმაში!

და იღიმებოდა განიერ ღიმილით, როცა მარო მის მონაბდულ ფაფარში ჩაფლავდა თითებს, ჩაბღუჯავდა შესამაგრებლად. ყველაზე დიდხანს ის ეჭირა ჰაერში, კიდეც გაატარ-გამოატარებდა. ამ შეჩვევამ და დაახლოვებამ გამოიღო შემდეგში ის ხენეში ნაყოფი, აგლანას რომ თვალი დაუყენა, გულს შემოჰყარა.

* * *

თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ბიჭი დასრულებულ ტანს ატარებდა უზარმაზარსა. სათავისო სამუშაო კი ჯერ ვერ ეპოვნა; ჩვეულებრივ გლეხურ საქმისათვის არ ვარგოდა, სხვა შესაფერი საშრომი არ გასჩენოდა სათავისო. არც ძალიანა ზრუნავდა ამაზედ. შემთხვევამ თითონ გაუღიმა მას, დააყენა ცხოვრების გზაზე.

ერთს ზაფხულს ბექობიანს მეჭურჭლე ეწვია. სავაჭრო არ მოიტანა თან; რაღაცა ჩარხები მოზიდა, ხელსაწყოები. აუარ-ჩაუარა ხევს; აკვირდებოდა, მიწას სინჯავდა:

წყალს უსხამდა, ხელში ჰზელავდა, ასორსოლებდა, ცეცხლს უცხუნებდა. დიდი ხევი იყო; სხვადასხვა ფერის ნიადაგი ზოლზოლად ჩასდევდა ჩაკაფულს, ნაკეც-ნაკეცად ზევიდან მუქი მიწა, ქვევით – ქვიშრობი, მჭადა-ქვანარევი; უფრო ქვეით განიერი ნაკეცი ჩაწოლილიყო კვერცხის გულივით ყვითელ თიხისა, ბოლომდინ, წყალის პირამდინ. ამ თიხის მადანმა მიიპყრო ოსტატის ყურადღება. გამოთხარა, დაზილა, ფირფიტებად დაათხელა, გამოსწვა; ერთმანეთს ურაკუნებდა, აწკრიალებდა, სიმაგრეს თუ ხმას უშინჯავდა. ულვაშებში იღიმებოდა: ჭკუაში თუ დაუჯდა.

ბრანძვიაანთ საბძელ-კალო იქარავა. შეუდგა სამზადისს. გიგოლა ზედ გამოჭრილი გამოდგა მის სამუშაოსთვის: თიხის დათხრა, ამოზიდვა, შეშის დაჩეხა. ხელ-ნელა მუშაობდა, მაგრამ ძალუმად. ოსტატიც არა ჩქარობდა: ქურის აშენებას უნდებოდა, ხელსაწყოების დადგმა-მოწყობას. ალერსიანად ექცეოდა ბიჭს; ღიმი მოსდიოდა პირზედ: მის უზარმაზარ ფეხს შეჰხაროდა, ნიჩაბივით განიერ ტერფს, თვალით უალერსებდა უშურვებლივ მოზომილ-მოჩორკნილს, ბანჯგვლიანი სვეტის კვარცხლბეკსა.

მაშ რა უნდა ექმნა, როცა მისთვის კაცი მხოლოდ იმდენად ფასობდა, რაც უფრო ვეება ფეხი გამოჰბმოდა მძიმე და ტლანქი?! ეგრეა: ზოგი ადამიანს უმზერს, როგორც ტვინს, სხვა როგორც მარჯვედ მოძრავს ხელებს თუ თითებს, ის როგორც ხმოვან საყვირად მოწყობილ ყანყრატოს, ეს როგორც კისკისად მოქმედ წვივებს, ლიტაოდ გებულს. ყველას თავისი საზომი აქვს ადამიანის შესაფასებლად. მინახავს, კაცის ღირსება მის ფაშვით უზომნიათ, რამდენად უდრის და ემსგავსებაო კოლოტს მოკუპრულს.

გამართა ოსტატმა ქურა. დადგა თუ დააწყო იარაღი, თავისთვისაც საბძელშივე დაიდო ბინა. დაყარა დაზიდული თიხა კალოდ, ჩაასხმევინა შუაში წყალი.

– გიგო, ბიჭო! მოდი, დღიურად იმუშავე ჩემთან. შემოდგომამდინ დავრჩები აქ, შენც ჩემი მუშა იქნები ამ ხნის განმავლობაში.

– რა უნდა ვაკეთო?

– შენთვის სულ ადვილი საქმე! აბა დაიკარწახე მუხლებ ზეითამდინ. ეგრე! აიღე ნიჩაბი, აურიე თიხა. კარგია! შედექ ეხლა თიხის კალოზედ, იარე, ზილე, ტკეპნე. ნელანელა იარე, როგორც გეხერხებოდეს.

ეგრე! პირში გეტყვი: ორი მუშის ტოლას გააკეთებ. თუ კენჭი მოგხვდეს, ამოიღე: ფეხს აღარ გატკენს, თიხაც სუფთად დაიზილება. აი ყოჩაღ!

იღიმებოდა ოსტატი, სიამოვნებით ხელებს იფშვნეტდა. რატომაო?! სადაც ფეხს დასდგამდა ბიჭი, ნიადაგამდინ დაიყვანდა თიხას. კარგი სასყიდელი დაუნიშნა. შეეჩვია გიგოლა საშრომს, მთლად შეეთვისა. უთქმელად მუშაობდა, აუჩქარებლივ, მანქანასავით თანაბრად, სულ ერთნაირად. უკეთეს მშრომელს ვერ ინატრიდა მოტანტალე ოსტატი.

გაიმართა ქარხანა. კეთდებოდა: კოკა, სურა, ლიტრა, ჭიჭილა, საღვინე, დოქი, ჯამი თუ თეფში, მათრათი, ჭრაქი, ქოთანი თუ ქვაბ-ქოთანა, ყველაფერი, რაც კი თიხისა სჭირდებოდა იმ სოფელს, გარეშე სოფლებს. ჭურჭლის შესაძენად ნაღდი არ იყო საჭირო: თითო წყვა ხორბალი, ორ-ორი წყვა ქერი თუ ფეტვი, ნახევარი წყვა სამარხო; კვერცხი, ქათამი, ყველი, ნართი მორიგებით. ყველაფერს იღებდა დამყოლი ოსტატი. აღარ იკადრეს არემარეში ხოხონები; ახალ-ახალი სურებით დაიარებოდა ქალ-რძალი წყალზე.

მადლობელი ოსტატი თავისთან ასადილებდა გიგოლას. რა უშავდა: უხვადა ჰქონდა სოფლებიდან სანოვაგე. არც თუ დაკარგული იყო ბიჭზედ დანახარჯი: იმასაც

ეხლა საბძელშივე ეძინა; იმაზედ სანდო დარაჯი საჭირო არ იყო ოსტატისაგან მომარაგებულ დოვლათისათვის.

– ჰა, ჰა, ჰა! – გამოისმოდა საბძლიდან, მეტადრე სადილს უკან: მიუჯდებოდა დაზგას გიგოლა, დასდებდა ზედ თიხის გუნდას, ატრიალებდა მანქანას და ცდილობდა ჭურჭელი რამ გამოეყვანა. არა ჰნებდებოდა მასალა; მის ტაბიკებივით თითებს ვერ უძლებდა მაგრად ნაზელი თიხაც, ირღვევ-იშლებოდა; უბრალო კეცის ნაპირებიც კი უმწეოდ იღვედებოდნენ მის მოუხეშავ თითებში. ამაზედ იცინოდა კარგ გუნებაზედ დამდგარი ოსტატი, ეს აღიმებდა მის შაგირდს უშნოს; თავს იქნევდა გაკვირვებული.

* * *

გული ჩამოუხდა მეჭურჭლეს: დადგებოდა ზაფხული, მოვიდოდა; სალთად მოსული დაბარგული ბრუნდებოდა შემოდგომაზე. ბრანძვიაანთ საბძელ-კალოს თავისზე სტოვებდა. მუშაობდა გიგოლა.

რა უშავდა: საკმაო სასყიდელს იღებდა. შეაჩვია მუხლი თიხის ზელას; დატოპავდა წელზედ ხელებ გადაჭდობილი; იძროდა აუჩქარებლივ, თან კენჭს არჩევდა. ძნელი ის იყო, სამუშაომ გადააჩვია ადამიანურ სიარულს: გზატკეცილზედაც ისე აბოტებდა, თითქო ტალახში ჩაფლულ ფეხსა ჰგლეჯავსო; ხელებიც წელზედვე ჰქონდა გადაჭდობილი. ყველა ხელობა თავის დაღს ასვამს ადამიანის აგებულობას, მის მოძრაობას, სულსაც იმისას.

არ მოსწონდა ეს მის ცოლს მარიკოს, გულს უმღვრევდა.

– რა ღმერთი გაგიწყრა, კაცო, რომ აქლემივით აბიჯებ! ისე დადიხარ, თითქო თიხასა ჰზელავო.

იღიმებოდა გიგოლა: ალბათ ესმოდა ცოლის ჯავრობა. იქნება, არც კი ეყურებოდა, თორემ ან სვლას გაისწორებდა, ან პასუხს მისცემდა; სწორედ არ ესმოდა! თუნდაც ჰსმენოდა გაკაპასებულის ხმა, ავს არ ეტყოდა: ძალიან მოსწონდა, კიდეც უყვარდა. ყველაფერი ის უყვარდა გიგოლას, რასაც თავისში ვერა პოულობდა: სხვილი რომ იყო, ცოლის წრიოკი აგებულობა მოსწონდა, სიჩხინტე გამოლეული; დათვის ტორივით მაჯა რომ ება, დარუმბული თითები, ცოლის ძვალ-ტყავი მაჯა უხაროდა გამოფიტული, მახათივით წამწვეტებული თითები; უძრავ-უთქმელი შეჰხაროდა მარად მოძრავ დედაკაცს, უსაკრაოდ მოცეკვავე მის ტანს. ცოლის არსებაში გიგოლას აჰსახოდა ყველაფერი, რაც პირადად მისთვის მიუწვდომელი იყო. ამისთვის თუ უყვარდა უტყვ სიყვარულით, ამიტომ თუ ემორჩილებოდა კოღოს რამ უძლურს სპილო ძლიერი.

ალბად მაროც სწორედ იმ თვისებებს აფასებდა თავის ქმარში, რომლებსაც თავისში ვერა ჰხედავდა. მის გამო თუ ეთვისებოდა მას იგი საქმით, თუმცა სიტყვით მარად ურისხდებოდა, სჩხვლეტდა, სჯგვლემავდა. მათ ძლიერ შეთვისება-შეტოლებას უტყუარად ჰმოწმობდა ბალღებით სავსე მათი ქოხმახი.

კაცის აგებულება სავსებით აევსო მძიმე ნივთიერებას და ცოლის ფხაასხმული სიტყვა წამწვეტებული ვერ ატანდა მის მგრძნობიარე შემადგენლობამდის მთრთოლარისა. ზენაარსი სული ცხოველი რომ მოფრენილიყო გიგოლაში განსასახებლად, ნივთიერ ბუნებას ძალა მიეტანა მასზედ, ჩაეხმო მისი ცეცხლებრივი არსება, მისი მარად მოძრავი ბუნება ქმნადობად მიმლტოლველი; ძლივსღა გამოიყურებოდა სული განუჭვრეტელ ნივთთა სიუხვისაგან შემძიმებული, სიფხიზლეს მოკლებული, მარად მთვლემარი, ბუნდად შემცნობი საცნაურისა. სულ

სხვა იყო მარიკო: იქ მოქმედ არსებას ცნობიერს ისე ჭარბად არ შემოხვეოდა ნივთთა სიუხვე და აკი მისი სულიერი ბუნება სჭარბობდა მის ხორციელ შემადგენლობას მძიმეს. ამისთვის თუ მოსწონდა კაცს თავისი ცოლი.

– მაშ გიგოლას მიცვალებისას მისი სული შეღავათს იგრძნობს, ფრთას გაშლის, გაინავარდებს ჰაზრთა, გრძნობათა თუ მისწრაფებათა სფეროში, ეთეროვან სამყაროში დაუსაბამო ნათელისა.

– ეგრე უნდა მოხდეს, თუ...

– რაღა თუ?!

– თუ მაგის სულს არ უწერია გარდასვლა უფრო ნივთდაჭარბებულ არსში ბნელით მოსილში, თუმცა...

– რაო?!

– თუმცა თითქო მაგ კაცში უნდა სცხოვრობდეს სული ზემსვლელი, უფრო ჰაეროვან არსებებში განსასახები.

– როგორ?!

– სული, ეთეროვანი არსება ნათელი, ჩაისახება ნივთიერ ქმნილებაში, საცნაურ იქმნება ხორციელ არსში. ჟამთა სრბოლაში იშლება ხორცი, იხრწნება ნივთიერი აგებულება და სული თავისუფლდება, მაგრამ მხოლოდ მისთვის, რომ შეიმოსოს ხორციელი სახე სხვა, საცნაურ იქმნას სხვა ქმნილებაში.

– რად ინებებს სული ნათელი ბნელ ნივთიერებაში განსახებას?!

– ცოდვა უფერი შეამძიმებს მას, დასწევს ხორცთა სამფლობელომდის.

– ეგრე მოგზაურობს სული მარად ჟამს?

– იცვლის დაუცხრომელად სახეს ნივთიერს. ორგვარი სვლა არის: ზესვლა და ქვექვე რონინი. ზოგ სულს მიჩემებული აქვს იშვას თანდისთან მდაბალ არსებაში; ეს მის ცოდვათა გამო: მძიმეა ბოროტება, იგი დასწევს ნათელთაგან თხზილ სულს, რომ იტანჯოს და მით განიწმინდოს, გამოხალისდეს.

– მაშ შესაძლოა, ადამიანის სული განხორციელებულ იქმნას, ვსთქვათ, დათვში და მაინც შერჩენილიყოს გრძნობა, რომ ოდესმე ის იყო ზეარსი, ან თუნდა კაცი.

– ოღონდაც!

– მაშინ მისი ტანჯვა...

– სააქაო ჯოჯოხეთია მისი წამება! კიდევ კარგი, რომ წინაარსებობის გრძნობა ბუნდოვანია, გაურკვეველი...

– ჰოდა ზოგ სულს უწერია განხორციელება თანდათან მაღალბუნებოვან არსებაში, უკეთეს გვამთა შემოსვა.

– სასიხარულო იქნება ამისთანისათვის ახალი განსახება, თუ შერჩენია ხსოვნა, რომ ოდესმე უწმინდურ რამ მძიმე ცხოველად იყო მოვლინებული.

– დიახაც! ამისთანა ბედნიერი გრძნობს, რომ სიკვდილი მისთვის მხოლოდ გარდაცვლა არის სამჯობინარო.

– და როდემდისინ?

– მინამ სული ისევ გაიწმიდება, ისევ ღირსი შეიქმნება დღისით და ღამით ჰხედვიდეს მზისა ელვათა კრთომასა, ბრწყინვალებას დაუსაბამო ნათელისას, რომელი არის შემოქმედი სიმშვენიერისა, სიკეთისა, ჭეშმარიტებისა.

– მაშ გიგოლას სული...

– ვაჰ, თუ მის აწინდელ განხორციელებამდინ ბრანძვში იყო განსახებული ან ტლანქ სპილოში: შემდეგი განხორციელება მაინც ატარებს წინა განსახების თვისებებს, ძალიან მკრთალად, მაინც უსათუოდ. გითხარი: ბევრჯერ ადამიანის თვალებში

გაითამაშებს რომელიმე ცხოველი საზიზღარ-საშიში ან ზეამაღლებული სახე ტკბილ-საალერსო.

– საწყალო გიგოლა!

– ბედნიერი! მაგის სულს თანდათან ზესვლა მოელის; აღმაფრენის გზაზედ არის დამდგარი: კეთილისაკენ უფრო არის გადახრილი მისი ბუნება.

* * *

და ცხოვრობდა გიგოლა, როგორც მისი მეზობლები. თუ იქ ვაჟკაცები უფრო ფხიზლები იყვნენ, უნრიანები, აქ დედაკაცი იყო მარჯვე, მხნედ მკეთებელი; ერთის ნაკლს მეორე ავსებდა: მარო ჩარხი იყო, ჯარა ბზრიალა; კაცი დოლაბს ჰსახავდა უზარმაზარსა, ერთ შემოტრიალებაზედ იმედნსა ჰფქვავდა, რასაც სხვა მფქველი ბევრ თვის ტრიალში. თითონაც ცოტა მოთხოვნილებისა იყო: პური ჰქონდა საკმაო, სხვას არას დაგიდევდა; ღვინო, არაყი, თუთუნი, ჩაცმა-დახურვა არ იზიდავდა; ეს შაღავათს აძლევდა ოჯახის ხარჯსა. მომავალიც იმედიანი ჰქონდათ: წამოიზრდებოდნენ ბალღები, შეეშველებოდნენ; მალხაზები სჩანდნენ, კარგი მორბედები დადგებოდნენ, გაიჩარხებოდა გლეხური კერა, თავის შემნახველი, სოფლის ტვირთვისაც თავის წილად შემმსუბუქებელი. მაგრამ...

მანვე შეუჯდება ადამიანს გვერდებში, აღარ მოასვენებს, მანამ არ აუფურტვნის ცხოვრების გზას გავაკებულს, სინამ ღორღით არ ამოუვსებს სადენს გაკვერილს. მერმე სიამოვნებს კაცის ტანჯვითა, ხარხარ-კასკასებს.

კიდევ კარგი, რომ დაუდგრომელია, მალე მოიწყენს, მიანენებს თავს. გადაინაცვლებს. შეუჯდა მაროს მაცდური და გადააგდო საძნელო გზაზედ, ფლატესაკენ დახრილ თავქვეზედ.

მარო რომ ქალაქელი იყო, თუნდაც დალალის შვილი, გარეთუბნელი დედაკაცისა, მაინც თავი იმთავითვე მოჰქონდა ტოლ-სწორში, უკადრისობდა; ქალაქი უფრო სუფთა ცხოვრებას ეწეოდა, თუმცა მაშინაც გამოფიტულს. სოფლელებიც პატივით უყურებდნენ ქალს, კიდეც ჰბაძავდნენ სიტყვა-პასუხში, ჩაცმა-დახურვაში. შემდეგში დაუტოლდა მათ მარო, ქვეითაც მოექცა, როცა მათი მეზობელი შეირთო, მათგან ნაწუნი.

– ქა, ძალიან მოჰქონდა თავი, ესა და ეს ხელოსანი მთხოულობსო, ბაზაზს უჭირავსო ჩემზედ თვალი და... გიგოლა კი შეირთო.
– დედაც რომ კვერს უკრავდა მაშინ და ბაქიობდა.

– ნეტა რა ნახა იმ კაცთაარამგზავსში თვალდამდგარმა, რომ გაჰყვა?

ის მაროს ძუძუმ იცოდა მაშინ, რად გაჰყვა გიგოლას, თუმცა ეხლა კი კმაყოფილი აღარ იყო დედაკაცი თავის ყოფისა, კაცისა კი არა, თავის სოფელში ცხოვრებისა. თვალი ქალაქისკენ ეჭირა, ცხადლივ თუ სიზმრად ჰხედავდა, იმას ნატრობდა. ვერა სძლებდა, ყოველ წელიწადს არ წასულიყო ქალაქს; მთელი კვირაობით რჩებოდა იქ, უბნის თუ ქუჩების სურვილს იკლავდა. რა ექმნა: იქ იყო გაზრდილი, მისი ბაღდადიც ის ვიწრო ქუჩები იყო თუ ქუჩაბანდები. საქმეცა ჰქონდა: დედის ხელობას ედგა; სასოფლო სავაჭროს აქუჩებდა. ოცნებობდა ქალაქში გადასახლებას. მაინც ვერა ჰბედავდა: ძნელი იყო მოწყობილი ოჯახის აშლა, აყრა-დაყრა, ახალ ბინაზედ სანთიანად ყოფნის მოწყობა. გაბედა ბოლოს, როცა ქალაქში რომ ქოხი ჰქონდათ, მისი პატრონო თითონ შეიქმნა. შემოდგომის მიწურულებში მიფურტკნ-მოფურტკნა ყველაფერი, გაყიდ-გამოყიდა, სახლ-კარი გააქირავა, სახნავ-სათესი ღალით მისცა და წყაროს უბანში გაჩნდა ქმარ-შვილით. გიგოლას არ მოსწონდა

გადასახლება. თავს იქნევდა უარის ნიშნად, დრტვინვის ნასახიც კი ააჩნდა თვალთა სიღრმეში, მაგრამ დედაკაცმა გაიწია და როგორღა ვინ შეაყენებდა?!

თბილისში არ შეიძლებოდა კაცის უქმად დამყოფება, უმუშაოდ მისი შენახვა; რამე საქმეზედ უნდა დამდგარიყო. თითონ გიგოლა ამაზედ თითქო სრულებითაც არა ფიქრობდა. ვერაფერი ფერზედაც ვეღარ ფიქრობდა: ჰაზრთა წინანდელი საგნები მიეფარნენ მის თვალიდან და ახალი საფიქრებელის დამუშავება... ძნელი იყო მისთვის ეს საზრუნველი! მხოლოდ განცვიფრება ესახებოდა მას უტყვ სახეზედ.

– წადი, შე შეჩვენებულო, მიდექ-მოდექ, ეგებ რამე სამუშაოს დაადგე. ამ დევქელა ქალაქში რომ საქმე ვერ იპოვო, მაშ სადღა რა უნდა იშოვო?! – დაჰკიოდა დედაკაცი

და ვერ ისვენებდა, ცმუკავდა, დახტოდა დამკლავებულ-დაკარწახებული. კაცი უძრავად იყო; თუ ძალიან გაუჭირდებოდა, თავს გაიქნევდა უარის ნიშნად.

– ჩაგვიჭლექდება ეს საცოდავი, თუ ჩვენვე არ გავაბით რამე საქმეში. გაერთობა მაინც. ხანდისხან გაღიმება იცოდა, აქ ის ღიმიც მთლად დაეკარგა, – ეტყოდა ძუძუ დედაკაცს

და საყვედურით შეჰხედავდა ლმობიერი.

ღიმილი დაავიწყდა გიგოლას, ხორციდან ჩამოვარდა. ლოყები გუდა ლეღვივით დაეკიდა: დარდობდა ახალ ყოფას, ვერ შესჩვევოდა ქვის ორღობეებში გამომწყვდეული; თუ არ შეცვლილიყო მისი ცხოვრება, უჩუმარი სევდა გადაიტანდა. ჰხედავდა ამას მარო, ფიქრს მისცემოდა. ვერც შეინახავდა თავის დალალობით თუ მუშაობით ვეება ვაჟკაცსა. კარგი, რომ ბალღები ოსტატებს დაურიგა, ხელობაში მისცა; ხარჯი შეიმსუბუქა.

– ვისღა ვთხოვო გიგოლას შესახებ ან ვის მივმართო? საცა იმედი მქონდა, ყველგან გზა დამეცარა; არავინ არ გამოიდო თავს, – ფიქრობდა დედაკაცი

და გონების თვალით ათვალიერებდა ნაცნობებში ამგვარ საქმისათვის გამოსადეგს.

– ქა, ნათლია ერმალოზი! სიკვდილსამც დაჰვიწყებია... პატიოსანი მოხელე, პატივცემული... მიშველის!

ჩაიცვ-დაიხურა, წამოირქვა კოპ-სარალუჯი, გადისვა შუსტაკი და...

– ნათლი, გენაცვა! იმ ჩემმა კაცმა უსაქმოდ აღარ იცის, რა ქნას; გაჯერდა ცუდათ ყოფნით; დარდობს; სულ ჩამოჭკნა. შენახვაც მიჭირს: მარტო მე დავტრიალებ. დაიდე მადლი, ადგილი უშოვნე, პატივცემას გადაგიხდი.

პატივცემული მოხელე გადამწერი იყო. ისე მარდად და ეშხიანად გამოჰყვანდა ასოები, როგორც მანქანას. კალამი ყურთან უკან გაიმაგრა, შეიჭმუჭნა, ღრმა ფიქრს მიეცა. ნათლიდედა კრძალვით შეჰყურებდა მის ჩაფიქრებას. ამოიღო ხმა, სთქვა სიტყვა კარგი:

– მივაგენი საიმისო საქმეს! აქვე, ჩვენ სამსახურში, მეეზოვე არის საჭირო, ერთგული კაცი...

– ერთგულობა კი ჩემს გიგოლას მოსთხოვეთ...

– მეეზოვედ დავაყენებ, ხვალ ამდროს მნახეთ.

– შენ კი გენაცვალოს შენი ნათლიდედა!

– მოვიდეს. მოვიფიქრებ.

ფიქრი არ ეჭირვებოდა: უფროსმა უბრძანა და დაეძებდა მეთვალყურეს.

* * *

ის დრო იყო ეს, როცა ხალხის მტერმა უფლებამ შიში იგრძნო ქვედა სართულებიდან: სისხლით აგებულ მის სასახლეს ძლიერად არყევდა საძირკვლებიდან წინააღმდეგი ძალა ახალი. იბზარებოდა უზარმაზარი გოდოლი თვალმახარა. შეკრთა მთავრობა; უმატა დარაჯთ, გააძლიერა ყველა დარგში მცველი თუ მხსნელი. წესის მცველთა რიცხვიც გაამრავლა მეეზოვეთა დასებით, ჩომბახებით შეიარაღებულ ასასთა გუნდებით; ამოუდგნენ ისინი გვერდში დაბალ მოწესეებს, დაექვემდებარნენ მათ. მეთვალყურენი რომ თოფ-იარაღით გამოეშველებოდნენ უფლებას, ესენი ზურგს გაუმაგრებდნენ მათ კომბლებით ხელში, ბერკეტებითა. იდუმალი დავალებაცა ჰქონდათ მეეზოვებს: თვალებად ედგნენ და ყურებად შემკრთალ ბატონს; ბევრი თვალ-ყურის მგდებელი სჭირდებოდა. შოულობდა: კარგ ჯილდოს აძლევდა გაწაფულ-დაგეშილებს.

მეეზოვე შეიქმნა გიგოლა. ჩააბარეს ჩომბახი მძიმე, წამოასხეს დურატყავი, დახურეს თავზე მთელი ცხვარი. რამოდენაა, ღმერთო ჩემო, უზარმაზარი! მისანდო აღმოჩნდა, საფრთხილო დავალების პირნათლად მატარებელი. ღამე მუშაობდა, დღე ეძინა. ისე თვალხმიერად დასტრიალებდა ეზო-ყურეს, როგორც ბელებიანი დათვი ბუნაგს. ერთში არ ივარგა: ვერ შეათვისეს ენის ტარება, დაბეზღება. სცადეს ჩაგონება. მაგრამ ამაოდ; თავს იქნევდა უარის ნიშნად. უშვეს ხელი. ბევრი დაკარგა: ამ საქმისათვის ცალკე სასყიდელი მიეცემოდა. სწორედ დაითხოვდნენ, თუ ისეთი ერთგული არ ყოფოლიყო გუშაგობაში. სხვა სარგებელიც ჰქონდათ მისგან: დაუზარებელი მკეთებელი იყო, უანგარო.

– გიგოლ ჩემო, ეს ტომარა გადაიტანე ჩემსას. ოთხფუთამდინ იქნება. ხომ არ გემძიმება?

გიგოლა ამოიდებდა საცალოს იღლიაში და მიაბოტებდა.

– რა გერგება გასამრჯელო?

მხოლოდ თავს გაიქნევდა უარის ნიშნად და გაუდგებოდა გზას. ნებით მიაწოდებდა უხვი საკმაოს, ძუნწი ცოტას, კრიჟანგი არაფერს. ეს მისი დაუფასებელი თვისება ჰფარავდა მოხელეების თვალში მის ნაკლულებას. წყნარად განაგრძობდა გიგოლა თავის ახალ სამუშაოს თითონაც კმაყოფილი, სახლისათვისაც გამოსადეგი. ძალიან ერთფერი იყო და შემოზღუდული მისი საშრომი; რა უშავდა: არც თითონ იყო ცვალებადი ცხოვრების მიმდევარი, მრავალფერისა. ესე იქნებოდა ბოლომდის, თუ შემთხვევის არ შეერყია მისი ყოფა, არ გადაეგდო დაკვალულ სავალიდან, უმწეოდ არ დაეტოვებინა ჯვარედინ გზაზე.

გითხარი: ძალიან თვალხმიერი დარაჯი იყო ჩაბარებულ ეზო-ყურეში ეს უძრავად მჯდომი თუ მდგომი კაცი. არ იცოდნენ ეს ღამის ოსტატებმა და ერთი მათგანი მოჰყვა ხაფანგში; მერმე როგორ უშნოდ!

განეზრახა დაგეშილს თავისი ხელოვნება ეცადნა გიგოლას საბრძანებელში. დღისითვე მიმალულიყო სადღაც ჯურღმულში. დაეარნა ღამე მიზანში ამოღებული ოთახები, შეეგროვებინა დავლა და აპირობდა გასხლეტოდა ხელიდინ გუშაგს. გიგოლას სმენას ადრევე მიექცია ყურადღება არაჩვეულებრივი ჩუჩუნისათვის. დაეთვალიერებინა, შეენიშნა მძარცველის ონავრობა და იქ გაჩერებულიყო უძრავ სვეტივით! რა ადგილსაც ქურდი გზას ვერ აუქცევდა. დიდი ხანი გავიდა ლოდინში. თითქო მისწყდა ყოველი ხმაურობა. გაქვავებული ყარაული იქვე იდგა უძრავად. მტაცებელი უსათუოდ უნდა გასულიყო, თორემ შემოათენდებოდა. სცადა ბედი, მეტი რა ღონე ჰქონდა?! მოიგდო ნაძარცვით სავსე ტომარა და ფეხაკრეფით დაუპირდაპირა ალაყაფის კარებს. იმედმა გაუღიმა: პატარა კარი ღია დაჰხვდა; გულგახსნილი იწევდა თავისკენ თვის მოტრფიალეს. დარაჯი არ იძროდა, ჩომბახზედ დაყრდნობილი.

მოემატა მპარავს გამბედაობა: ძლიერ ფეხმარდი ბიჭი იყო, ქალაქის ყველა ქუჩებისა თუ ვიწროების მცოდნე; თუ ერთი გასცდენოდა გიგოლას, შეუძლებელი შეიქმნებოდა მისი მოწევნა, როგორც მერცხლისა, მისი მოხელვა, როგორც ნემსის პოვნა ბზით სავსე გოდორში. დაუახლოვდა გარინდებულს, თითქმის დაუსწორდა. ერთი ნაბიჯიცა და...

საშინლად დაიღმუვლა გუშაგმა; ისე გადახტა მთასავით კაცი, თითქო დათვი გადაეშვაო განაპირებულ ძროხისაკენ, რომ ზურგზედ მოაჯდეს და მძლავრად დაბუბნოს, დაგლიჯოს, დაბდღვნასო. ამ უეცარმა მოძრაობამ მუხლი შესტაცა გამქცევს. მისწვდა გიგოლა, მოჰკრა თათი კისერზედ. ერთი კი შეჰკვნესა მპარავმა და მიწას განერთხო, გაითანგა; მოკვდა კაცი, მოკვდა. შეიქმნა ხმაურობა. გაანათეს იქაურობა. შეგროვდნენ. გასინჯეს.

– კისერი მოსწყვეტია ამ...

– მართლა, კაცო! დახე, პირი ზურგისაკენ მოჰქცევია.

– როგორ მოღვედილა!

– მომკვდარა?

– აღარც ბევრი უკლია.

– ყოჩაღ, გიგოლ! ესე უნდა ამისთანა ავაზაკებს! – ეუბნებოდა უფროსი.

და მოწონების ნიშნად მხარზედ ხელს უბარტყუნებდა. გიგოლა აღარ ჰშორდებოდა მისგან ვნებულს; წყალს აპკურებდა, კისერს უსინჯავდა; ბურტყუნებდა. ასწიეს კაცი, წაიღეს. ნაძარცვი დააბინავეს.

– შენ, ჩვენო ერთგულო, ამ ყოჩაღობისათვის ჯილდოზედ წარგადგენ! იცი, რა სირცხვილს და ზარალს გადაგვარჩინე?!

ერთგული კი უკმაყოფილოდ იდგა, თავს იქნევდა უარის ნიშნად; მერმე გაიძრო ქურქი, მოიგლიჯა ქუდი, დააწყო ერთად, დადო ზედ სადარაჯოდ მიცემული ჩომბახი და გასწია შინისკენ. აღარც დაბრუნებულა. ვეღარ გასჭრა ვერც უფროსის ბრძანებამ, ვერც ერმალოზის თხოვნამ, ვეღარც ცოლის კაპასობამ. დაკარგა კაცმა კარგი ადგილი, ჯიუტად დასტოვა იგი შეუგნებელმა. რაღას იზამდნენ, რას გააწყობდნენ?!

* * *

თითქო დაკარგა გიგოლამ უნარიც არსებობისა; მთლად გარინდდა ისეც მიძინებული, არას იტყოდა ისეც მთლად უტყვი, აღარ იძროდა ისეც უქმედო. იდო დირეზედ, იხუხებოდა გაზაფხულის მზეზედ. ნაღვლობდა თავისებურად. ამ ხანში მარტო ერთხელ გამოფხიზლდა, თუ გახალისდა: გაიგო, მისგან ვნებული სიკვდილს გადარჩენოდა; ნახა განკურნებული.

– რას გაჩუმებულ-გაჩერებულხარ, შე ჩემი ცოდვით სავსე? მთლად დაგიკარგავს საქმის ხალისი. შენა გგონია, ოჯახს შენახვა არ უნდა; ან შენ, ან ბალღებს ჭამა-სმა, ჩაცმა-დახურვა? ადექ, გაინძერ, ხელი გაიქნიე!

ზანტად შეხედავდა გამწარებულ დედაკაცს, აზრი აუციმციმდებოდა თვალთა სიღრმეში; ვერ აისახებოდა იგი ფიქრი ვერც რამ სიტყვაში, ვერც თუ სახეზედ; ჩაქრებოდა მისი ნასახიც: გარინდდებოდა კაცი.

მაინც ესეთი იყო მის ფიქრთა არე: ბუნდ აჩრდილებივით გამოდიოდნენ იქ აზრები და აუსახველნივე ქრებოდნენ; ვერ შესძლებდნენ, ნათელი შეემოსათ. დაჭარბებული ხორცთა ბადეში გაბმულიყო მისი სული, უსხნელ-უწყვეტ ხლართებში. ჰხედავდა იგი ქვეყნიერებას თუ მისსა ბრუნვას, მაგრამ გაურკვევლად, ბადის ხშირ თვალებიდან; აჩნდებოდნენ მის გულში გრძნობათა ნასახნი, ვერ კი ამოძრავდებოდნენ, ვერ ხმაურობდნენ აღქაფებული ზვირთებისავით; სწადდა

მოქმედება, მაგრამ მოძრაობათა სადენზედ იმავე მარყუშებით იბლანდებოდა მისი ნებისყოფა. წვალობდა სული, მაინც იგი ტანჯვა-წამების მწვერვალამდინ ვერ ადიოდა; შეუგრძნობელი ნივთიერება მძიმე აქრობ-ანელებდა პატიჟთა ალსა. ბალღობიდანვე რომ მიჰშველებოდნენ მის შემძიმებულ სულს, ხელოვნურად ემლიერებინათ მისი ქმედობა, ალბათ მცირედ მაინც გაუმარჯვდებოდა მას უსახო ნივთიერებასთან ბრძოლაში. ვინ იცის?!

– მაცა, დედაკაცო, მერმე მიკივლე.

– ეხლა რაღა საქმე გიშლის ხელს, მისმინო?!

– ვიგონებ... ხევი. მდინარე. ბუერები. რა თბილა! თიხა ყვითელი...

– რასა ჰბოდავ, კაცო?! სიზმარში თუ ჰხედავ.

სურათი რამ იქარგებოდა გოგოლას ცნობიერებაში, სიამის მომტანი; სურვილსაც აღვიძებდა იგი სახე, მასთან მიახლების ნდომას. ჯერ მკრთალი იყო ხატები, გაცრეცილი, დაუსრულებელი; მისგან ამოზიდული სურვილიც სუსტი იყო, ღონემიხდილი. იქნება მალე გარკვეულიყო ის სურათი, სურვილსაც ნივთთა სიმძიმიდან ამოეხეთქა, როგორც ნაკადულს. მაგრამ დროს არ აძლევდა ფიცხი დიაცი იმ შრომისათვის: ძალიან იყო გულდამწვარი და ყოველ წამს ბობოქრობდა, თავზედ ცეცხლს აყრიდა უსაქმოდ დამრჩალს, ურყევ-უწყვეტდა ისეც ზანტად მომდინარე ფიქრების ნაკადს. ფიქრი მაინც მუშაობდა, იკვლევდა სადენს და ბოლოს კიდეც აისახა იქამდინ, რომ სხვებისთვისაც საცნაურ იქმნა.

ეხლა კი შეკრთა დედაკაცი; სცადა თავი შეეკავებინა, შეალბო მწარე თქმა, ამწველი ქცევა. თუ ეს ნათელქმნილი სახე გიგოლას უწინდელი ცხოვრებიდან ყოფილიყო, ძლიერ შორეული წარსულიდან მისის სულისა. დედაკაცს არ შეაფიქრებდა ეს. ჰქონდა გიგოლას ესეთი ჩვენებებიც. მაროს ვერც წარმოედგინა იგი გარდასრული სახეები საკვირველი, არც რამე კავშირი ჰქონდა მათთან. მაგრამ ეს სახე კაცის ფიქრისა ახალი ცხოვრებიდან იყო ამოღებული, ცოლ-ქმრის ერთად ყოფნის დროიდან; ამან შეაშფოთა დედაკაცი.

– რა დაგემართა, კაცო, მთლად ჩათხრობილი ხარ ამ ბოლოს დროს და ნაღვლიანი. აღარ დასდეგ ადგილას, აღარ დასდეგ; დარდით რაღა ეშველება?!

– ბექობიანი... ჩვენი წყალი... თევდორა მოვა...

ბექობიანისა და თევდორას ხსენება მოსვენებას ურყევდა მაროს: თავის სოფელზედ ფიქრობდა კაცი; ქალაქში უშნოდ ცხოვრებას გადაეგდო ის ამ საფიქრებელზედ, მისთვის შეუფერებელ ყოფას. სოფელი იზიდავდა ძლიერად. იცოდა დედაკაცმა: თუ დაადგებოდა გიგოლა გარკვეულ გზას, აღარ მოჰშორდებოდა, ვეღარ მოსწყდებოდა. რა ექმნა?! მისვთის იშვიათი იყო მკვეთრი სურათისა თუ სურვილის აღმოჩენა ცნობიერების არეში. გაიწევდა აზრისა თუ სანდომისაკენ, როგორც კამეჩი სასიმინდესკენ: ვერაფერი სიტყვა, თუნდა იფნის სახრესავით მოქნილი თქმა მწვავე, ვეღარ შეაყენებდა. დედაკაცს არასგზით არ უნდოდა საცხოვრებლად სოფელში დაბრუნება; უფრო ადვილად შეელეოდა ქმართან ყოფნას, სინამ პირს იზამდა ბექობიანისკენ.

გიგოლას გონებაში კი ეს აზრი თანდათან მკაფიოდ ისახებოდა, უძლეველ ძალას იმოსავდა, დიდად მიმზიდველს. მივიდოდა ამ აუცილებელ დასკვნამდინ! ამას ისიც აჩვენებდა, რომ ეხლა ძალიან უხაროდა თავიანთ სოფლელების ნახვა; აღარა ჰშორდებოდა მათ, უთქმელად ეალერსებოდა, ფართო ღიმილად ბაგე გაშლილი. სოფლელები ხშირად იყვნენ ამათსა.

– რა დაგემართა, კაცო. რომ აღარა შორდები? აღარ გინახავს ნაჩხატაანთ მართა ან ავგროზაანთ ივანე?

იცოდა ეხლა დედაკაცმა. რად ეტმასნებოდა გიგოლა სოფლიდან ჩამოსულებს, მაგრამ განზრახ თვალს არიდებდა: ეშინოდა პირდაპირ შეეხედნა აუცილებელ მომავლისათვის, თითქო ამით უფრო ადვილად აიცდენდა მას.

ასცდა დედაკაცს განსაცდელი: გამოუჩნდა შემწე და მხსნელი. ერთ დილას გიგოლა ჩვეულებრივ იჯდა გაყუჩებული; მზეზე თბებოდა. ბანჯგვლიან ტოტებზედ გამობმული ქობინასებური ფეხები წინ წაეყარნა. დაკარწახებულ-დაკაპიწებული დიაცი სახლის საქმეს ჩასდგომოდა, თუმცა უქმად მჯდომ ქმარსაც არ ივიწყებდა, მწარე თქმას ესროდა შიგადაშიგ, გულის დასაწველს. ვეღარ ითმენდა! უბანში რაღაცა საქმისათვის ამოსულიყო მეაგურე მუსტაფა. ფართად მოწყობილი აგურხანა ჰქონდა მას ვერაზედ. დაინახა გიგოლა და შედგა; აავლ-ჩაავლო გამოცდილი თვალი. სიამოვნების ღიმილმა გაუპო უსისხლო ტუჩები, სიხარული აუციმციმდა მიბინდულ თვალებში.

– ესეთი შერჩეული მანქანა ჩემგან მოწყობილ წარმოებისთვის?! არა მყოლია ამისთანა არც რომელიმე, არც როდის. საუცხოვოა! – გაიფიქრა.

ანდამატივით მიიზიდა გიგოლას აგებულობამ; ოქროს მძებნელმა ზოდი იპოვნა საიშვიათო.

– ეი, გძინავს?

გიგოლამ შეხედა თათარს და ისევ მილულა თვალები. მუსტაფა იქვე იდგა, ნდომის თვალით დაჰყურებდა ვეებერთელა ტორებს.

– რა გინდა? ვინ ხარ? – შეეკითხა მარო.

– მუსტაფა, ვარ, მეაგურე. მუშას ვეძებ. არ დადგება?

– გიგოლ, მუშის დამქირავებელი არის.

კაცმა გააღო თვალები, წამოდგა, წელში გაიმართა. გოდორსა ჰგვანდა, თოქმად ნაშენსა. მუსტაფას უფრო გაუბრწყინდა თვალები; ხელი ჩამოისვა ჰინით ნაღებ წვერზედ. თიხის მზელავ მუშას თურმე ეძებდა. შეიჯერა, წაიყვანა. რომ შედგა დაკარწახებული თიხის უზარმაზარ კალოზედ, თავის ქერქში იგრძნო თავი კმაყოფილმა. იწყო დინჯის ნაბიჯით სიარული მუხლამდინ საფლობ ტალახში. გაერთო, სახე დაუმშვიდდა, პირზედ ღიმილი გადაეფინა. ჩამომჯდარიყო თათარი აგურებზედ, შეჰყურებდა, თვალს ვეღარ აშორებდ. სხვა მუშაც დადიოდა თიხაში გიგოლას გვერდით. რა საწყალი იყო მასთან შედარებით!

მუსტაფამ აღარც მოიშორა გიგოლა. კარგ ჯამაგირს აძლევდა. ზამთრობით მუშაობა არა ჰქონდა, სხვა მუშებს დაითხოვდა, მას კი არ უშვებდა, არც დღიურ ჯილდოს უმცირებდა: ეშინოდა არავინ გადიბიროსო. ტყუილადა შიშობდა: გიგოლამაც შეითვისა დამქირავებელი, აღარავისზედ გასცვლიდა იმას. მოკეთდა კაცი, ხორცი შეისხა, ლოყები დაეტენა. კიდეც ასაზრდოებდა მას მუსტაფა. არ იყო წაგებაში: სამძიმო ასაწევ-დასაწევი თუ გადასაგორებელ-გადასატანი გიგოლას ებარა, სანდო მუშა იყო ერთგული, ძლიერი. კარგი იყო. მაგრამ საუკეთესო იყო მაშინ, როდესაც წელზედ ხელებ-გადაჭდობილი ფართოდ მოზომილი ნაბიჯით დადიოდა ღრმად საფლობ თიხაში და ჰსრესავდა მას თვით მყარ მიწამდინ.

**1922 წ.**

# სარო მეტყველი

> მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო
> უასაკოთაც და უსულთ შორის
> და უცხოველეს სხვათა ენათა
> არს მნიშვნელობა მათის საუბრის.

შემთხვევითი მონაგარი არ იყო ის ზვარი, ბალავრიანთ სასახლის წინ რომ ჩაჰფენოდა მთის კალთას, თანისთან დაშვებულს, უმჩნევლად ჩავაკებულსა; ახლად გაკეთებული მეკომურისაგან არ იყო შეძენილი, რომელს მიწა-წყალი თუ მცენარე არას ეტყოდა, გარდა იმისი, რომ სარჩო იყო წელმაგარი და სამუდამო. მამაპაპური ქონება იყო ის და ბევრს მოუთხრობდნენ პატრონს ახოვან ხეთა რაზმები, ვენახს რომ სდარაჯობდნენ, ოთხსავ მხარეს ჩამწკრივებულნი; ციხე-დარბაზი, ზევიდან რომ დაჰყურებდა ედემს სანუგეშოს. ძველი იყო ბალავრიანთ გვარი ისტორიაში ხსენებული, სახსენებელი. უწინდელ დროდან გადმოდიოდა მათი მოდგმა ამ ადგილას, როგორც იქვე მოჩანჩქარე ანკარა ნაკადი, რომლის ტოტი შუაზედ ჩაურბოდა წალკოტს, ხოლო თითონ ის არხებით ორად გაყოფილი გარს უვლიდა მამულს, რომ ბოლოში კვლავ შეერთებულს განეგრძო გზა დაცემულ მინდვრებსა თუ ჭალებს შუა.

ოჯახმა იცოდა იქ ყველა კუთხის მოთხრობა, დახავსებული ხეების ამბავი, ძველ ნანგრევების თუ ნაშთ-ნასახების აზღაპრებული თქმა. მამულს თავს დასტრიალებდა მრავალი საგვარეულო მოგონება მაფიქრებელ-მაღონებელი, გასაღიმ-გასაცინი, ცნობისმოყვარეობის მწვავედ აღმგზნები და ყველა ერთად მათის წარსულის მაშუქებელი, აწმყოს შემგონებელი, მომავლის ბუნდოვანად მაინც დამკვლევი. კერძო სახეები იყო ახატული, საოჯახო თქმები, მაგრამ შიგადაშიგ ამ ამბებს ფრთები ესხმოდა და მიმოფრენდა მთელს სამშობლოსა.

– ესეთი იშვიათი შემთხვევა დაკავშირებული არის ადარნასეს ცხოვრებასთანაც. აბა გახედე შემაღლებულ მხარეს ზვარისა.

– სადაც მდინარე სამად იყოფა?

– ჰო! გაავლე თვალი ჩარაზმულ ხეებს.

– იქ თითქო კარია დატოვებული.

– ორი ხე აკლია. ანდერძია ამ ოჯახისა: სამუდამოდ ცალიერი უნდა დარჩეს ეგ ადგილი იმ შემთხვევის მოსაგონებლად.

– მითხარი!

– ია!.. ხე რომ აღარ არის აქ, არც მისი ნასახი, წინად სარო მდგარა ალვის ხის გვერდზედ. იმის სიცოცხლეს შეჰორებია სახლის ვაჟკაცის, მის მეუღლის ელვარე ხვედრი ჩაბნელებული. ამ ადგილას უფრო ძნელია მცენარისათვის თავის სიმტკიცით დაცვა. ნიადაგი ისე ღრმა არ არის, კლდის სარჩული უფრო ახლოა, სინამ სხვაგანა. შეხედე არხიდან, თვალით გაზომე!

– არც ეგრე ახლოა კლდე! სქლად აწყვია მყარ სალზედ ლბილი სრეები თიხისა, ქვიშრობისა, ნოყიერის ზედაპირისა.

– მართალია, მცენარე კარგა ხარობს აქ, მარდად იზრდება, მაგრამ ხის ფესვები ისე ღრმად ვერ მიდიან ნიადაგში, როგორც სხვა ადგილას. აი აქ მდგარა წყვილად სარო და ალვის ხე. გახედე, რა ლაღად ასული, უხვ-ტოტ-ყლორტიანი, ხასხას ფოთლით დატვირთული ხეთა რაზმი შემორტყმია ვენახს გარშემო!

– იშვიათია!

– ის ორი ნორჩი ხე ირჩეოდა ყველა იმათში ნაქვთთა ქანდაკებით, ტანის სისწორით, სასიცოცხლო ძალთა სიმრავლით. მეტადრე კვიპაროზი ლაღად აზრდილი. ახლო-ახლო იდგნენ. გიყვარს ფოთოლთა ხმიანობა?

– მუსიკაა დამატკბობელი! მიყვარს ქალაქი. მაგრამ იქ მცენარეთა ხმაურობას მოკლებული ხშირად ვღონდები. ქალაქში ხის ქვეშ!..

– დავსხდეთ!

ლოდზე ჩამოვსხედით. მზე გადახრილიყო. ჩრდილები ჩაშავებულიყვნენ ხევებში, ბუნდოვან ზოლებად ჩასდევდნენ მთასა. ალმაცრად ნასროლ სხივებზე მაღლობები მეტად ბრწყინავდნენ; იქნება მუქად ჩამდევარ ჩრდილებთან დარება ატყუებდა თვალს. ტყეები უფრო მწვანობდნენ მზიან კალთებზედ. დაძრულიყო ნიავი, ხეებს ევლებოდა, დაჰღიღინებდა, მოუთხრობდა მთის შემონათვალს. საამოს თუ რასმეს ეტყოდა: სიხარულით ამღერებულიყვნენ ფოთლები, შეწყობილ ხმაზედ ყლორტნი როკავდნენ, დავლურს უვლიდნენ. ეხვეოდნენ ერთმანეთსა, ამოდ ჰკოცნიდნენ.

– ჰგონებთ, არ მესმის, რას ეტყვით ერთურთს? ყველა სიტყვას ვკრებ, მესმის თქვენი ბგერა თვითეული, ტუჩთ მოძრაობა მიზიარებს თქვენს გულის ნადებს. მაშ რა გეგონათ?!. იხალისეთ, იმხიარულეთ: განა ბევრი გაქვსთ ცხოვრებაში კარგი წამები, ჰაერის თუ მზრდელი მიწის სიკეთით სავსე? მოვა დრო ბნელი და... ნუ, ნუ შეკრთებით, მშვენიერებო! ვინ იცის, ჯერ როდის მოვა ის დრო პირქუფრი...

ცქრიალ-ტრიალებდნენ ყლორტნი თუ ტოტნი გრილ ნიავზედა, ნაკადი კი, მოტრფიალე ნაკადული, შურით აღსავსე უიმედოდ ღელავ-შფოთავდა, ხლტებოდა შხეფებად, ლამაზ ჭავლებად. ამაოდ! ნიავი რომ ტანთ ევლებოდა მშვენიერ საროს, ყელ-მკერდს ეკროდა, ბაგეს თუ თვალთა დაუკოცნიდა, უფურთვნიდა თმათა ტევრებსა ნაკადული მხოლოდ ფერხთ ეხვეოდა ლამაზ ქმნილებას, ტერფთ უკოცნიდა, თვის სარკე გულში ასახულ ლანდით სურვილს იკლავდა.

– იქნებ არ იცის, არც ჰსურს მიმიხვდეს, რომ ვასაზრდოებ ტურფის არსებას...

– რამ დაგაღონა, კრიალ-ჩხრიალავ? ეხლავე ვეტყვი! – დასძახა მფრინველმა

და ფრთა გაავლო ანკარა ნაკადს, დაუკოცნა სახე მჭვირვალე, წავიდა მაღლა საამბობლად, შემოევლო ლამაზ საროსა.

– ნუ, გენაცვალე! გულნაზია ჩემი მირან-დუხტ, ნუ გაახსენებ, რომ ვიტანჯები სადღაც მის ტერფთ ქვეშ, სევდიანი ვუალერსებ მარად მის აჩრდილს; არ რა მიუთხრა თვის ყოფნით ჯერეთ ბედნიერს, არ გააგონო რომ ვეწამები, რომ ქვეყანა ჭმუნვა-ურვათ სამფლობელოა, – იტყოდა ადარნასე

და მკლავს მოჰხვევდა ლამაზსა საროს, მოეჭდებოდა; რინდებული დასტკბებოდა სატრფოს სიახლით.

თავისი ნორჩი არსებობითაც სტკბებოდა ჭაბუკი, ახლად აღვსებულ თავის სიცოცხლით. მოწიფულიყო ცალის საპოვნად, თავის მეუღლისა, ცხოვრებაში თანამგზავრისა, იმ ცხოვრებაშიც! ჯერ ვერ ეპოვნა ადარნასეს ბედის ვარსკვლავი; მთელი მისი ბუნება კი მიისწრაფოდა მის საძებნელად, მისი საღი აღნაგობა ალაღებული. ხორცთა ძალით სავსე იყო ღონიერი ახალგაზრდა მკვიდრად ნაგები. ვერ იყო უნაკლოდ ნაქანდაკები, ნაქვთჩამოსხმული, მოარული ნაძვის მაგვარი; მაინც დიდად მიმზიდველობდა: მის გატაცებულ თვალებიდან სხივთ ბუნჯგლები ეფინებოდა მისსა მმზერალსა და იზიდავდა უნებლიეთ, შეუგნებელად. ახლად აშლილი წვერ-ულვაში საიმედო, გრძლად ნაყენები ლბილი თმა ოდნავ გრუზული. ლომის ფაფარი გადაეფინებოდა ყავღის მიმცემი ვაჟკაცისა მისი მშვენება. არ დასჭირდებოდა იგრი-ბატონის ჯადო-წყალი თმათ სახშირებლად.

სიკეთით სავსე ახალგაზრდა ბედმოღიმარე! მემკვიდრე იყო ამ მამულის, კარგის ქონების. ჯერ გამოუცდელი მაინც დაკვირვებით განაგებდა თავისსა დოვლათს; ყველგან სწვდებოდა მისი აზრი, მომზომი თვალი, ხელი მოქმედი.

– ბატონო, შენ რომ არ ჩამოგეტანა ჯერი, აბრამი იქ არ იყო? გამოატანდი...

– გამარჯვება თქვენი! აბრამა ვენახში ჩუჩუნებდა და აღარ ვუთხარი: მე გამოვუძეხ ცხენს. მინდოდა კიდეც გამეგონა გუთნური ხმები, ღირღიტას ბანი... გუთნის დედავ, მომეც გუთანი! არ გაიღიმო, თუ მიმტყუნოს ხელმა თუ თვალმა... აბა, ბიჭებო!..

მაღლით წამოვა ღრუბელი,
თავთავქვე დაეკიდება;
საკვეთი გასჭრის შავს მიწას,
სახნისი მოეკიდება...

– გაიში!

– გაიში!..

ბელტი გადმოვა ბელტზედა,
მიწის გულ ამობრუნ...

– ზედა!

– ზედა!..

– კაცო, ეს ჩვენი ბატონი არა ჰგავს სხვებს: შეძლებული, ნასწავლი და ესეთი თავმდაბალი!

– ტოლად გვექცევა; თითონ მუშაობს.

– კიდეც რომ ეხერხება გლეხური საქმე! როგორ შნოიანად ეჭირა გუთანი...

– ისე გაავლო კვლები, არსად ხარვეზი არ დასტოვა.

– ჭკვიანი კაცია; იცის, ჩვენც ადამიანები ვართ და მოყვარულს მეგობრულად მოვექცევით, მოძულეს – მტრულად.

– თუ ქალბატონიც თავისთანავე კარგი შეჰხვდა...

– რაღას ელის ეგ დალოცვილი?! მე ვიცი საქორწილო ხარჯის გაღება გაუძნელდება...

ბარემ თითონაც აღარ უნდოდა ცდა და დაგვიანება, არც ხარჯებისა ეშინოდა, მაგრამ რა უნდა ექმნა, როდესაც სათავისო ჯერ არ შეხვედროდა? არა! უკვე შეჰხვედროდა, იცნობდა კიდეც! მაგრამ ვერ მიეგნო მისი სავანე. მისი აჩრდილის ბინა კი, მომავლის თვისის ბედისა, კარგად იცოდა: ეს საღად მოაზრე კაცი, ფხიზლად მოქმედი, აქ ერთობ გატაცებული მოსჩანდა, თითქო მთვრალი ამ საგანზედ ფიქრით თუ გრძნობით. დაჰკვირვებოდი, ვეღარ იცნობდი; სხვა ვინმე გეგონებოდა. ისეც კი იცოდა შიგადაშიგ გატაცება, დარდში თუ მხიარულობაში, მაგრამ აქ... ჭეშმარიტად ორი კაცი სცხოვრობდა ადარნასეს არსებაში: სინამდვილის საღად შემგნები, მასთან ანგარიშით შეგუებული და თან ცხოვრებისთვის თვალდამწუხული, მის ვერ მხედველი; მხოლოდ ოცნების, ფრთაგაშლილ გრძნობის თუ სურვილის გატაცებით მიმდევარი...

– პასუხს არ იძლევა მარინეს შესახებ ჩვენი ადარნასე; ქალი კი ყოველმხრივ მოსაწონია და მოწონებული.

– რაღას ელის და ალოდინებს? ვაჟი იჯდეს – ბერდებოდესო.

– სიბერემდის ჯერ დიდი მანძილი უდევს ახალგაზრდას, მაგრამ ტყუილად არიდებს თვალს იმ ლამაზ ქალსა. ვიღაც გულნაზ მირანდუხტზედ ოცნებობს, მისთვის შემოუხვევია თავის ფიქრები.

– რითა სწუნობს ჩვენს რჩეულ ქალსა?

– სულაც არ სწუნობს! მხოლოდ დაუჟინია: ეგ ის არ არის, განგებას რომ ჩემთვის დაუწერიაო; მე ვიცნობ იმას, საროს ტანს რხეულს; ჩვენს კვიპაროზში ჩანერგილაო მისი აღალმა; გული დამიდასტურებს, რა წამს შევხვდები.

გული დასტურს არ ეტყოდა ადარნასეს მარინეს შესახებ, თორემ გონების თვალი წრფელად იტყოდა იმას სამისოდ. გრძნობა არ ეყრდნობოდა ფიქრთაგან მოტანილ ურყევ საბუთებს: ცხად აზრს მძლედ ებრძოდა უშუქო მილტოლვა ბუნდოვანი, მაინც უფრო ძლიერი. შეუძლებელი შეიქმნა ბრძოლა ამ შორეულ სახის წინააღმდეგ მაინც მეტად მახლობელისა, ამ ურკვეველი ხატების წინ მეტად გარკვეულისა: გრძნობათა შესაკრებელს მხოლოდ ის მიაჩნდა სატკბოდ, ნებისყოფა მარტო იმას ჰხადოდა მოქმედების საფერად. განცვიფრებით დაჰყურებდა ჰაზრი ჯიუტად უარმყოფელ თვის განუყრელ თანამოქმედთ, გრძნობას და ნებას.

ის ხატება მშვენიერი, ჯერ ცნობიერების სინათლეზედ გამოუსვლელი, საიდუმლო ღიმილით უმზერდა მურაზით აზვირთებულ ჭაბუკს და იზიდავდა უძლეველის ძალით, თავისაკენ მიასწრაფებდა. საროს აღნაგობიდან უღიმოდა ჭაბუკს ის სახე ბურუსით მოცული; იმისი ხმა ესმოდა მის ფოთოლთა უხმო შრიალში, იმის მიმოსვლასა ჰხედავდა მის ტოტ-ყლორტთა ნძრევა-რხევაში, ლიტაო ტანის მიმორყევაში; მისი სუნთქვა თუ სულთქმა მოესმოდა ამ უასაკო ფშვინვარ-გმინვაში და იბრძოდა ვაჟკაცის სული, ნათლად შეეგნო იგი ხატება, მკაფიოდ ეგრძნო მისი არსება, სამოქმედოდ აესახნა მის სურვილები.

– უცნაური ზნე დასჩემდა ადარნასეს ამ ბოლოს დროსა: მუშაობის დროს მშრომელი მოსაწონი, მოფიქრების ჟამს მკვეთრი ჰაზრის გამომღებელი, საუბრის ხანს დარბაისლად მთქმელი-მეტყველი, სადარბაზოდ დინჯად მქცევი, მოზომილად მიმომავალი, ლხინ-ზეიმში ეშხით სავსე სასიამოდ გატაცებული, მარტო რომ რჩება, საკვირველობს ჭკვათამყოფელი: უსაგნოდ იღიმება თუ იქუშება, ხელებს აყოლებს, სახეს აცეკვებს, ხმაზიდვით თავს მიეტყვის, ებაასება; კვიპაროზთან მთლადაც ხელობს: ეხვევა, ჰკოცნის, ეხმატკბილება; ხან სიცილი, ჟამს ტირილი იმ უსულოსთან...

– საფიქრო არის, მაგრამ... დრო დაწყვილების. უსახო სახეც სახიერად მოგეჩვენება, უსულო – ცოცხლად, უტყვი – მეტყველად. შესტრფი ვარსკვლავებს. ტოტთ ათამაშებ ფოთოლთ მოთქმაზედ. ყვავილობის დრო ხშირებული. ხესაც თუ ალხობს მის გულის სითბო.

– საროს ქვეშ შეუძლიან მთელი საათობით იჯდეს გარინდებული...

– იცის: შეეჩვევა ადამიანი ადგილს, მდინარეს, ხესა თუ ქვასა და უხარიან იქ დროს რონინი. რა უშავს? თუ სულდგმულს შეაწყობს ადამიანი გულს, მცენარე რაღა არის, თუნდა ყველა ქმნილებაც უასაკო? იქნება მხოლოდ ჩვენს შეზღუდვილ გონსა ჰგონია ისინი სიცოცხლის ძალთაგან უარყოფილნი. ისიამოვნოს! ერთს გეტყვით.

– რასა?

– ის დაეძებს თვის ბედის სახეს, ახალის სულის. მიუკვლევია იმის ლანდისთვის. საროს ნაკვთში თუ დაივანა იმის არსებამ.

– შესაძლო არის?!

– რატომ? ზღაპრების ჟამია ეს ჭაბუკისთვის, ცხად არაკების. სავნებელი არ იქნება ეს მისი ქცევა: ჩვენებათა სამფლობელოდან სითბოს მოიტანს იმის სული სინამდვილეში, ის არე ფარგლით მორკალავს მის პიროვნების კუთხეებს, გაანედლებს

მის განხმელ ნაკვთებს, რომ მოქნას ცხოვრებაში იმისი სვლა და შეალბილოს: აღარ დასძეწკავს ყოფის გზაზედ დიდსა, პატარას.

– მაინც არ შეშვენის ჭკვათამყოფელს ესეთი სინაზით აეთვისოს რაღაც მცენარეს, ესეთ შეფრფინვით. ადამიანისაგან სიყვარული შეჰფერის მხოლოდ ცნობიერებას მთლად გაღვიძებულს: მარტო იმას შეუძლიან შეგნებულად გრძნობის ზიარი, შეცნობილი სიყვარული ჟამთადენის ჩამდევარი, უსრულებელი.

– აკი განიშნე, რომ სულდგმული არის იმისათვის ის კვიპაროზი, მისი იღბალი იმ საროში მოთავსებულა, მის ახალ სულის სიცოცხლის ქსელი ჩაბეჭილა იმ მცენარეში.

– ვერ შემიგვნია.

– ...იყო კოლოფი იაგუნდისა და იმ კოლოფში ჩაკეტილი იყო იმისი სული და ის საუნჯე ზღვის თევზის თავში ჰქონდა მეცანს შენახული... იყო სარო ტანად კენარი და იმ კვიპაროზს შეერთებოდა ადარნასეს ბედის ხატება აუსახელი, იქ მოთავსებულიყო იმის აჩრდილი ნივთიერი და იმ საროს ნაქვთებიდან ეტყოდა ჭაბუკს მის ყისმათზედ გაჩენილი მზეთუნახავი...

– მაშ ხეს რომ ეხვევა განცხადებით, თვის სატრფოს ეალერსება იდუმალ, უსიტყვო საროსთან სმენად გარდაქმნილი სატრფოს ხმათა მუსიკობით მოხიბლულია?!

– ნამდვილ!

სარო ჯერ მხოლოდ ანიშნებდა ადარნასეს ბედის ვარსკვლავის დავანებას მის არსებაში; შემდეგ აჩრდილმა ცხადი სახე მიიღო მისთვის; ამეტყველდა იგი ლანდი უკვე ხორცსხმული და... დარწმუნდა ჭაბუკი, რომ მისი მნათობი უკვე მიეახლა მის სამკვიდრებელს და ჩაეშუქა ლამაზ საროსა. კვიპაროზი ეხლა აღარ იყო ადარნასესთვის მხოლოდ მანიშნებელი სულის სწორისა, ის უკვე ორება იყო მისი, სხვისთვის უმჩნევი, იმისთვის ცხადი. ეტყოდა სარო:

– ჰპოვებ შენს იღბალს, რომელს გიხატავს ოცნება შენი; კიდეცა ჰპოვე!

– მამცნე, მაჩვენე იმ ტურფის სახე!

– მოგწონს ჩემი ტანადობა, ჩემი იერი?

– მშვენიერებავ...

– ესეთი არის შენი ბედი, სული ახალი!

– გატკბობს ჩემი ცხოვრების ძალა, უხვად რომ სჩქეფს ჩემს არსებაში?

– ვგრძნობ. ვხედავ, ვნატრი შენს სიცოცხლის ნიჭს.

– ესევ სავსეა ის ლამაზი ცხოვრების ძალით!

– მაშ...

– ბუნდადა ჰხედავ ჩემს არსებაში დავანებულს, ჩემში ჩაქსოვილს; ჰნახავ გარკვევით!

– მაშ შევიქმნები კაცთა შორის მე ბედნიერი!..

– შენ განიცდი მცხინვარებას მზიურ ბედისას! მაგრამ ჩემი არსება, მისიც არსე...

– მწარეს რასმ მეტყვი: ამოიკვნესე...

– მის არსება ჩემს ყოფასთან შედუღებული...

– ვაჰ, ნეტარებავ! ისიც შენსავით იდღეგრძელებს ჩემდა სალხე...

– დიდს სიხარულს დარდი დიდი ასდევნებია; მოულოდნელად მოვისპ...

გაუმართლდა ადარნასეს საროს სიტყვები: ჰპოვა თავის თანამგზავრი ბედის ნაწერი, უძლეველად მიმზიდველი ნათელის შვილი. რა კარგი იყო!.. უსასტიკესი სულიერი გაწამება მის ძიებაში. იმის გულის მოპოება.., რა სიხარული, ჰე, ნეტარება!..

კვიპაროზთა მოსასპობლად ბნელთა ძალა მძაფრ ქარიშხალად... ქუფრმა დაჰფარა ნათელთა სხივი... გამეფდა ბნელი...

– მიამბე ყველა!

– როდისმე, კარგო: ღელვამ დამქანცა.

**1922 წ.**

## ღიმი დამღუპი

– ეგ თქმა: „მშვენიერ სხეულში სულიც ლამაზი! უფრო ადრინდელია, მინამ ელინთა მცნება; იგი დასკვნაა ძველისძველ ნათელთა თაყვანისმცემლობისა.

– როგორ?

– კარგი ადამიანი რაინდია ნათელი შემოქმედის მხრივ გამოსული ბნელთან საბრძოლველად, მებრძოლს კი სულის სიმტკიცესა და სიკეთესთან სჭირია ნივთიერი კეთილქმნილებაც უხინჯო: რა რაინდია მანკიერად ნაგები, სხეულის ნაქვთებში მახინჯებული?!

– შესაძლოა! მე მხოლოდ ვამბობ: ეგ დებულება ბევრჯელ არ ეთანხმება სინამდვილეს. მოხდება: კეთილქმნილ სხეულში უშნო სული ცხოვრობს, ლამაზი სული ხინჯიან აგებულობას ატარებს; ნაჯახით მორილ ტლანქ სხეულში ჰაეროვანი სული მინაზებული, სათუთად ნაგებ-მოქნილ აღნაგობაში უდრეკი სული უხეშად ქმნილი.

– იშვიათად უნდა იყოს ეგ: დუხჭირი აგებულება ბოროტ გრძნობას თუ მისწრაფებას ჰბადებს სულში, თუნდაც სხეულის ნაკლისაგან წამომდგარ ზიანის შესავსებლად და... თუ ერთხელ სულში შეაღო კარი ბნელმა, იბარტყებს იქ ბოროტი, ფესვებს გაიდგამს.

– ჭკვას ახლოა! ერთი გავიწყდება: ბუნება ოხუნჯია, უყვარს წინააღმდეგობათა მოთავსება ერთს ფარგალში, ერთსა და იმავე პიროვნებაში ერთმანეთის უარმყოფელი ხორცისა და სულისა. იღიმება ბუნება არსთა ძალების ესეთს შეთამაშებაზედ.

– და ეგ მისი ღიმილი ძვირად უჯდება ქმნილებას.

– ოღონდაც! აი თუნდა ჩვენი გობრონი...

– სუ, კაცო! აგერ მოგოგავს. ეწყინება ესეთი სიტყვა თავისზედ მიიღებს.

– ყმაწვილებს გაუმარჯოს! – დაიძახა გობრონმა და გაუღიმა ამხანაგებს. გამაცნეს. თავი მოიხარა, ფეხი ფეხზედ შემოჰკრა, ხელი ჩამომართვა. ძლივს მოვავლე თითები ოთხკუთხ თათს. სქელი რამ მაჯა მოსჩანდა გაქათქათებული პერანგის სახელოდან. ხმამ გამაკვირვა.

მორგვივით კისერი, ჩინჩახვიანი ყელი და ესეთი წვრილი ბგერები?! ცხრა-ათი წლის ნაზარდი ხმა ოცდაათ წლამდინ მიღწეულ კაცში...

გვითხრა. ვუთხარით. ნაზად ამბობდა: ოდნავ ენას უკიდებდა: საუბარის დროს არგანს ათამაშებდა: ზუმბასავით წვრილი ჯოხი; ძვლის ტარი ჩუქურთმიანი. უფრო შესაფერი იქნებოდა რიკნა ჭიგოსებური. განათლების პაწაწა ნიშანი ყარამანის მკერდზედ. ჩაცმა-დახურვაში, ხარჯებზედ თავისუფლად ლაპარაკში ეტყობოდა, შეძლებული იყო. ამოიღო სათუთუნე, ჩუქურთმით მოკაზმული ნივთი ჰაეროვანი. გადმოიხარა ჩემსკენ, თუმცა ვერ გადმოყვა განიერი წელი.

– ინებეთ!

– გმადლობთ!

სცადა მარჯვედ ჩაეკეტნა კოლოფი; მოკლე თითებმა ჩადრიკეს ნივთი. გავშორდი ნაცნობებს, როცა სადილზედ ჩამოაგდეს საუბარი და სურვილის თვალით შეხედეს გობრონს.

ნაცნობები გავხდით. შევხვდებოდით ერთმანეთს ქუჩაში, ყაბახზედ, თეატრში და თავს ვუკრავდით. ფართოდ გამიღიმებდა, ალერსიანად. ყოველთვის კარგად იყო ჩაცმულ-დახურული: ჩალის ფერი ტალავარი, ღია ფერის ფეხსაცმელი, ყელზედ ოდნავ შეწინწკლული ფანცი საფირონის ქინძისთავით შემაგრებული, ნეკზედ ალმასის ბეჭედი წვრილღეროიანი; მინანქრიანი ოქროს საათი მსუბუქი ძეწკვით, რბილი ქუდი იღლიაში. ყალყზედ ედგა სხვილი თმა. უფრო ნაზ ქსოვილებში, მქრქალ ფერებში უყვარდა გამოწყობა მომხოდ აღნაგებს, ყინჩ ფერნაჭარბებს. თანთქარა ლოყები: ხორცით სავსე ტანი. ისეც ძვალმსხვილს, არ უხდებოდა ხაიათი ტალავარი, არ ეფერებოდა.

ერთხელ სეირნობის დროს შორიდან შევნიშნე გობრონი და შევდეგ გაკვირვებული. მოდის ახლებში გამოწყობილი და... გვერდზედ ციაგა ჰაეროვანი, ჩემი კარგი ნაცნობი ციაგა, შორეული ნათესავი.

– გობრონი და ციაგა?! ლელწამივით ქალი და ვაჟის დიდი ტანი მოკლე წვივებზედ?! ციაგას იმლიკი ხასიათი და გობრონი შინაურ სამოსში ან საცვალთ ამარა?! მაგრამ, ჰო, ქალი – ხელმოკლეობაში ჩავარდნილი, კაცი – შეძლებული. ოქრო სჯობნის ანდამატს მიმზიდველ ძალით.

– გობრონს ვახლავარ! – მივესალმე ვაჟს და წარვსდეგ ქალის წინ: ხელზედ ვაკოცე, მოვიკითხე. გობრონი გაოცებული მიყურებდა. როცა ნახა, ჩემი მახლობელი იყო ქალი, მეტად უამა. თანაგრძნობით დავემშვიდობე დაწყვილებულთ. მივხედე მიმავლებს. ვაჟი მხრებამდინა სწვდებოდა ატოლებულ ქალს. წარსთქვეს მომავლებმა:

– რა ტანია!

– ლატანია!

ქალი რომ ჰაერ-ჰაერ მიდიოდა, ვაჟი მარგილივით ასომდა ფეხს, ერთბაშად ატყაპუნებდა მთელ ტერფს. სხვადასხვანაირია სვლა: ერთი ქუსლიდანა ზომავს გზას თითებამდინ, სხვას დაბიჯებაში აქლემივით უბრტყელდება ფეხი, ზოგი ჭლიკებზედ დად... გობრონი... სხვანაირად არ გადიდგმებოდა სპილოს წვივზედ ბმული ოთხკუთხი თათი.

ვზივარ ოთახში. ვეწევი ჩიბუხს ჩიბუხზედ, არ ვიცი რა ვუყო ჩემს დროს; ვერ მიმიგდია თავი საქმეზედ.

– დავიძინებ!

– ჯერ დავლევ ზორბად!.

– მოიცა სადილობამდინ!

– მაშ გავივლ-გამოგივლი!

დავასკვენ წასვლა. ჩავიცვ-დავიხურე. გაისმა ზანზალაკის წკრიალი. შევკრთი: მევალე მეგონა. ცალი თვალით გადავხედე ფანჯრის კუთხიდან. გობრონი იდგა ჩემს კარს. გამეხარდა; ვსთქვი: გავერთობი! ვილაპარაკეთ. გამენდო:

– კვირა საღამოს ქალბატონ ციაგასთან ვიქნები და იქ დამიხვდი; ვითომ შემთხვევით მოხვედი.

– მოვალ: დავდივარ იმათას.

გაეხარდა. უფრო დამენდო:

– გადაჭრილ ნაბიჯს ვაპირობ: განუცხადებ სიყვარულს და... ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამა...

– ციაგას უყვარს შოთას სიტყვები; ზეპირად იცის.

– მე ცოტა ვიცი რუსთველიდან: რუსეთს დავყავი ბევრი ხანი და...

– რა უშავს; შეისწავლი.

– ძლიერ ვეცდები, ოღონდ კი ერთი ვეწიო ჩემს სურვილს!

– აღარა ჰხუმრობ: შეგყვარებია.

– იცი, დათიკო, მარად ეგეთ ქალს ვეტრფოდი ოცნებაში: სხარტი, მოქნილი, ყვავილივით ნაზი, სხივივით გამჭვირვალ-მანათობელი; თანაც კდემამოსილი. ბედნიერი ხარ, შენი ნათესავია.

– უბედნიერესი შეიქმნები მისი მეუღლე!

– შენს პირს შაქარი!

– თუნდ შაქარინი!

– კაცო დათა! სახელი ხომ უბრალო რამ წოდებაა, მაგრამ ამასაც დიდი შერჩევა უნდა. სჯობია, თითონ აირჩიოს ადამიანმა თვისი სახელი. დავით იესეს ძე, დავითი, დათიკო, დათა... რა კარგია! გობრონი... უშნო ხმებია. საალერსოდ შეამოკლო, ვერ მოახერხებ. მესმის: ია, სოსანა, სანდალა... გობრონი... უჰ!

– არაფერი! ყურმა შეჩვევა იცის. აბა, გობრონ ჩემო, მარჯვედ იყავ კვირას და... მეც იქ ვიქნები, შენს გვერდზედ.

ადრე წამოსულიყო: ძალიან თუ ესწრაფებოდა. პატივცემით მიიღეს. უფრო მეტის ეშხით იყო ოთახი მორთული, მაგიდაც სანუგეშოდ იდგა: გაკრიალებული ჩაიდანი დუღდა, მღეროდა. მურაბა. თეთრი პური, ყველი; კარაქიც. შუაზედ ლამაზად მაშრაფა ყვავილებით. ციაგას მღელვარება ეტყობოდა, ფერი მისდმოსდიოდა. სხვებიც ღელავდნენ. ყველა დარწმუნებული იყო, გობრონი დღეს განუცხადებდა თავის სიყვარულს. დედ-მამას ეშინოდა, ქალმა უარი არ უთხრას და შეძლებული კაცი არ დაგვაკარგინოსო. ქალი უკრთოდა გადამწყვეტ წუთსა; არა – შეუძლებლად მიაჩნდა, ჰო – არ ემეტებოდა. მღელვარება თანდისთან ხელსა ჰრევდა სასიძოს. წითლდებოდა, თვალები უმრგვალდებოდა; დაუდგრომლად იძროდა, მის სკამს ჭრიალი გაჰქონდა. სახე დავიწყნარე, ვუმატე დარბაისლურ თქმას: მაგალითს ვაძლევდი სიდინჯისა. ვერ შევაგონე! სიტყვა აუჩქარდა გობრონს: ბგერები თავისთავად მომდინარობდნენ პირიდან. ენის მოკიდებაც უფრო დააჩნდა. დასწია სკამი, ქალისკენ მიიხარა: თქმის დროს წამოდგომა დასჭირდებოდა, იმას უმიზნებდა. ფეხი ფეხს შემოედო. თითები რომ ვერ დასწდომოდა ფეხთსაცმელს, ბამბით გამოეტენა იგი; მოჩანდა, სად თავდებოდა ფეხი. ხასად აათამაშა ჭვინტი. შევხედე, ვაგრძნობინე. ჩამოდგა ფეხი. გაუშტერა ქალს თვალი.

– ჰე, იტყვის!

ჯერ ენაზედ აშრებოდა სათქმელი: უნდოდა ლამაზად ეთქვა სამურაზო, კოხტა სიტყვები კი ეფანტებოდნენ. წასწვდა ჩაის. ბროლის ჭიქებით გვედგა. ლამბაქებიც ბროლისა. თხელ შუშაზედ ყვავილები გამოყვანილი. ღელვისაგან ხელი ოდნავ უკანკალებდა. შენიშნა ეს და უფრო მკვიდრად დაიჭირა ჭიქა თითებში. კვლავ მიაბყრო ქალს თვალი; ტუჩები აამოძრავა. ერთი წამიც და ჭახ! უხეშ თითებში ჩაატყდა ჭურჭელი... ნამსხვრევები, მდუღარება. კალთები. იატაკი. მოვეშველე: ვამშრალებდი. ნაწყვეტი სიტყვები. ერთს ხანს შეკრთა ციაგა, თითქო შეწუხდა. მერმე... თვალებში ღიმი ააჩნდა, დამცინავი ღიმი დამღუპი. გაიშალა იგი ღიმი ქალის სახეზედ, გაუპო ბაგე. იბრუნა პირი... ჩამსხვრეული ოცნებები. ჩაფუფქული იმედები. მონთქრეული ტკბილი ნატვრები.

**1922 წ.**

# მაგნოლია

– ქარბუქს ღრუბლები დაუგლეჯია; ხეებსა ჰკეცავს; კარსა, ფანჯარას ნამქერით ჰქოლავს; ყინვა უტეხი აზრობს თვით სულსა; ყვავილებისთვის მოგიცლია, მაგნოლია მოგლანდებია?!

– ბუნების სიმკაცრეს ავ გუნებაზედ დაუყენებიხარ; ცუდ ტაროსს ხანგრძლივს იმედის სხივი ჩაუქვრია შენთვის. მისთვის თუ გინდა შავს ყოფაში ბოროტზედ მოთქმა.

– უფრო შესაფერი იქნება.

– არა! ისე არ არის ადამიანი შემოქმედისაგან განწირული, მთლად მიეცეს ბნელ ძალას ბოროტს. დაუტოვებია სახიერს მისთვის სიბნელეშიაც საამო კვალით სხივით ფენილი.

– რა სავალია იგი ნათელი?

– კეთილია ანარეკლით აციაგებული აჩრდილი ხორცსხმულის არსებობისა, დარი – სადარი სინამდვილისა.

– ანარეკლი, მაინც ბადალი სინამდვილისა?!

– ნივთიერ არსზედ უფრო ნამდვილი, უცვლელ-უხრწნელი, უბერებელი, თვით უკვდავების ბჭედ მიტანილი, მარადისობად გარდაქცეული.

– საკვირველს ამბობ, დაუჯერებელს.

– ეს სამკაული, ადამიანის სულში კეთილ ზეცისაგან დატოვებული, არის ოცნების ნიჭი დამატკბობელი.

– ოცნების ეშხი?!

– არ გიყვარს ოცნების ტურფა ციმციმი? შეიყვარე! რა ლამაზია! დუხჭირი დროის მამშვენებელი, მილეულ გულის მამრთელებელი. დაინთქებოდა ადამიანი ცხოვრების გზაზე მარად ღელვილზე, თუ არა ჰქონდეს ნატვრათა ნავი აფრა ასხმული, გოჰარ შეყრილი, ურწევ-ურყევი.

– ოცნებათა კატარღა ძლიერად მბრძოლი?!

– რა მსუბუქია! შევარდენის ფრთები ასხია კისკას ტანზედა, რა ძლიერია! მიჰქრის, მიაპობს; სრულიადაც არ უკრთის ავ სინამდვილეს დამთრგუნველს, მმუსრავს. ნაღვლიანი ღიმილით დაჰყურებს მას, ბნელის მოვლენილს, ბოროტის მსახურს. ბოროტი სჭარბობს სინამდვილეში. ბნელის მკლავები შემოგვხვევიან და გვწურავენ გესლიან ხლართში; ლამის მოგვაშთონ. სულს გვიხუთავს გაციებული თვალები უფერის ცხოვრებისა; სისხლს რომ გვიყინავს, გულსაც გვიქვავებს. სინამდვილეს მზე დაუშორებია ჩვენთვის და დაუთოვლავს, მოუსპია ტურფა ყვავილნი ბუნებაში. გულთა წალკოტშიც.

– აკი გითხარი...

– ოცნებას კეთილს მოუახლოვებია ჩვენთვის მნათობი ბრწყინვალე, მისი სხივებით ყვავილები გადაუფურჩქნია საიდუმლოდ ნაგებ წალკოტში; ვაჰ, რომ ზოგისთვის შეუცნობელ არეში, შეუვალ ზღუდით გარშემორტყმულში.

– წამიყვან! მაჩვენებ?

– ია! ვიამოთ, ცრემლით ვინამოთ.

– შეხედე! თეთრად გადაპენტილა იგი მაგნოლია, ზღუდეს ასცილებია, შემკულ თაიგულად დამშვენებულა. თვალნი დაასვენ მის ლამაზ სახეს! იყნოსე სიტკბო? ჩვენამდის მოდის მის სუნნელება.

– ვუჭვრეტავ, ვყნოსავ! კეთილია: ჰსურს ყველა დასტკბეს მის სუნნელებით, ყველამ იამოს ტურფა ხატებით.

– ფიალა უდგა გულში ნექტარით სავსე. რამდენი მწერი! უძლეველად იზიდავს იმათ ყვავილის სუნი, ნათელი სახე; მიდიან, ეწაფებიან, თვრებიან; ჩაიძინებენ იმის უბეში, მთლადც ჩაკვდებიან, ყვავილი შესწოვს იმათ სიცოცხლეს და გალაღდება.

– უბედურები!

– ბედნიერები! თუ რამ სჯობია სატრფოს უბეში დათრობ-ჩაბნედას, იქავე სიკვდილს?! ჯერეთ ნორჩია იგი მაგნოლია, უფრო აიყრის ტანს, უკეთესად გარდაიშლება.

– სხვა ყვავილების ბუჩქნიც მოჩანან.

– ყვავილნარია ლაღად ნაქარგი.

– ვარდის ბუჩქები უფრო მომწონან გრძელ ყლორტიანნი, სვეტებს რომ აჰყოლიან და ყავარზედ გადაფენილან. ყვავილთა ფიანდაზით დაუფენიათ წითელ-მწვანით მთელი აივანი.

– მე მაგნოლია უფრო მახარებს: მშვენიერ თეკოს მისახავს იგი, მაგ ოჯახის დიასახლისისას, მაგნოლიასვე.

– ეგ სულ სხვა არის! მიუკარებელი თუ არის იგი ლამაზი: შეუვალი სჩანს გალავანი, ძალიან მკვიდრი.

– არ მენაღვლება! ჯერ შორიდან ვეალერსები მის სილამაზეს... იცი, საიშვიათოა სიტურფე ჰაეროვანი ბნელ ნივთიერებისაგან ქმნილ ქვეყანაზედ?! – მიუგო ჭაბუკმა.

და თვალი მოაშორა ბეჟანიანთ ფართო ეზოს, გადმოჰხედა მინდორზედ შეკრებილ ხალხს, გაზაფხულის ყვავილებივით მორთულ-მოკაზმულს. დროც იყო შეეწყვიტნათ საუბარი: წირვა გამოვიდა, მლოცავი ეზოში გამოიფინა, დადგა ჟამი სიმღერისა, ცეკვა-თამაშის, სავაჟკაცო ვარჯიშობისა, შექცევისა, არშიყობისა. უფრო ცხენოსანი ხალხი იყო სალოცავად თუ სასეირნოდ მოსული ხატის კარს. ეკლესია მაღლობზედ იდგა. ვეება გალავანი ერტყა. ზევით მხარეს ძველი კედელი ზღუდავდა უკვე ნგრეული; ქვევით ახალი გალავანი შემოერტყათ ფართოდ მიზომილ ველისათვის. ახალ ეზოსთვის ალვის ხე შემოემწკრივებინა მზრუნველ მარჯვენას; შუაშიც დაერგო ცაცხვი თუ მუხა. ჯერ ახლები იყვნენ, ნორჩები იმ ხავსმოდებულ ხეებთან შედარებით, რომლებიც ძველ გალავანში ამართულიყვნენ და დიდროვანი ტოტებით დაეჩრდილნათ მთელი მიდამო.

– ვეჩხუბებოდით ჩვენს ხუცესს, როცა საყდარს მიათვისა ეს სამოსახლო ადგილი; რამდენჯერ გავამწარეთ იმის გულისათვის. ეხლა ვხედავ, კარგი საქმე გააკეთა საშვილიშვილო: დიდებული ხატია, ბევრ ხალხს იზიდავს და არ ეყოფოდა პატარა ეზო.

– იმაზედ ჯავრობდნენ მაშინ მღვდელიც, ხატის სხვა პატივისმცემლებიც, რომ ბაზრობა იკიდებდა ფეხს იმ წმიდანის დღეობას და სავაჭრო კარვები, თუ ფანჩატურ-ალაჩოყები არყევდნენ რჩეულ ადგილის მყუდროობას, მის სიწმიდესა. საჭირო იყო აღებ-მიცემისათვის ახალი ადგილი უფრო მოშორებით.

ეკლესიის ძველი გალავანი ხელშეუხებელი იყო, დასუფთავებული. ბაზარი ახლად შემოღობილ მეიდანზედ მოეწყოთ. გამოისმოდა ბრბოდან ყვირილი, ჩინჩი, სიცილი, ფიცი მამტკიცი, რა არ გამოეტანათ გასასყიდად! ადამიანიც გამოეყვანათ საბაზროდ: გასასყიდ სოვდას ყავღას აძლევდნენ ლამაზ-ლამაზნი, ძვირფასად

მოაჩვენებდნენ უბრალო რასმეს, გაჭირვებაში თითონ დაენაცვლებოდნენ სასოვდაოს. რატომაო: რითი სჯობდა მათ მათგან გამოტანილი საქონელი თუნდ უკეთესი?! დიდძალი წვრილფეხობა ირეოდა, უფრო ხილით სავსე კალათებს დასტრიალებდნენ, ფეხმარდი ჯიბის ოსტატები დაძრწოდნენ შეჯგუფულ ხალხში: დავლის სუნი ეკრათ დაგეშილებს.

– შე... ჩემს ჯიბეში რა ხელებს ურევ!

– გამიშვი, კაცო! რას მერჩი: ჩემი ჯიბე მეგონა...

## 3

შეფენილ ვარდის ყლორტებით მორთულ სახლს ყვავილნარით დამშვენებულს ქვითკირის გალავანი ერტყა. ზღუდეს შიგნიდან ჩაჰყოლოდა მწყობრად დარაზმული ალვის ხე, გარს შემორტყმოდა ლამაზ დარაჯად ტურფად ნაგებ სრა-სასახლესა. გალაღებულიყო მცენარე სუყ მიწაში ფესვებ გადგმული. უხვადა სვამდნენ მათ ფესვები მთის წმინდა ნაკადს შუა ეზოში მოჩანჩქარეს. ლაჟვარდ ცამდის ასულიყვნენ ტანად კენარნი: ხასხას ფოთლებს დაეტვირთნა მათი მოქნილი ტანი. უნაზდებოდნენ მზის სხივთაგან გავარვარებულ ჰაერს გამჭვირვალს, ესაუბრებოდნენ ერთმანეთს ბედნიერნი, მათი ხმა ფოთოლთა შრიალად ედებოდა არეს, ყურთა სმენის მატკბობელ ბგერადა.

– ერთმანეთისკენ ჰხრიან მწვერვალებს, სიტყვას გადასცემენ გულის საამოს.

– ნამდვილ! რამდენი ექნებათ სათქმელი, საამბობელი: ბევრსა ჰხედავენ: ეთერის ხმასაც ალბათ ისმენენ, საუბარს გასაკვირველსა.

მხოლოდ კედელი და ალვისხეთა რაზმი ჰყოფდა ხატის ეზოს მოსახლის მამულიდინ. ბეჟანის გამოჩვენების დღეს იყო, ხატში მოსულ მის ნათესავების თუ ნაცნობების მასპინძლობის დღე. არ ეშინოდა სტუმართ სიმრავლისა: საქორწინო ხარჯი შეემზადებინა გულუხვს მდიდარი.

– გახედე! ყველა ხესთან ცხენი აბია შეკაზმული; დიდი ხარჯი მოუვა; დაისეტყვება.

– არა უშავს რა; დოვლათიანია, მარჯვეც არის, მოხერხებული; თავის დროზედ იცის ყველაფრის დამზადება; წლიური ხარკია ეს მისი და ყოველთვის ეშხიანად უმასპინძლდება.

– ვიცი, გამიგია. დაპატიჟებული ხარ?

– რასაკვირველია! სადარბაზოდაც ვიყავი. წავისაუზმეთ. გამოველ ხალხის სათვალიერებლად. სხვებიც მალე გამოიშლებიან, სადილობისას კი... შენც წამოხვალ?

– არა ვყოფილვარ სადარბაზოდ, თუმც დამპატიჟა.

– რა უშავს! ხომ კარგად იცნობ?

– ისე, შორიდან, საქმეებში დავხმარებივარ.

– უშნო ხარ! სიკეთეს შეგძენს ეს ნაცნობობა. ტყუილად ერიდები მოთავე ოჯახებს. უთუოდ მოდი!

– მეძნელება; არ ვარ ნაჩვევი.

– მაინც წამოდი, დიასახლისს ახლო გაიცნობ. ისე დასტრიალებენ მშვენიერს, როგორც ფუტკრები ყვავილს. უკეთესს ვერავის ჰნახავს ადამიანი: ტყუილად არ ეძახიან მაგნოლიას.

– ბედნიერი იქნება მისი ქმარი.

– სასუფეველი რად უნდა მის მკლავზედ მწოლიარესა?! მაინც ტანჯულია; შიშით კანკალებს, ეჭვითა თრთის, მთრთოლარე შურით სიყვარულისა.

– რადა? მთლად უმანკოაო, მკაცრი ქცევისა.

– ჰკითხე!.. მტერსაც ვერ შეუძლიან მასზედ ავის თქმა, თუნდაც მცირედის შეწამება. ოჯახის მშვენებაა, კერის სიწმინდე. უთუოდ წამო, უკარებელო!

დაეთანხმა გულში დარისპან: სამძიმო სტუმარი არ იქნებოდა ბეჟანის სახლში; საამოდაც მიიჩნევდნენ, სასარგებლოდაც.

## 4

სვეტივით მკვიდრი. ტანმაღალი, ცისფერ-თვალება; შენისლული ვერცხლის ქანდაკება ცხოველსმყოფელი; ოდნავ დამცინავი ღიმილი ახრილ ულვაშ ქვეშ.

– მოღიმარე ქმნილება, ძლიერი, სიამეთა სამკალად მოვლინებული.

– არ ესმის! ვერ სცნობს თავის თავს. განმარტოვებულა განდეგილი ახალი. საკუთარ ოცნებას თუ ეალერსება.

– ამსახველ ძალთა სურათები სინამდვილე ჰგონია; ფიქრობს, შესაძლებელია დაენაცვლოს გონების სარკეში აჩენილი სამყარო ნივთიერ ქვეყნიერებას ნამდვილ არსებულს. სისხლ-ხორცით სავსე ქმნილებათა ყოფასა.

– ამაოდ ჰფიქრობს! ბევრმა სცადა ეგ, კიდევ ბევრი სცდის ტყუილად! სინამდვილე შეიჭრება ოცნების არეში და ისე ჩაჰგლეჯს მის მსუბუქ ქსელებს, როგორც მერცხლის ფრთა ობობას ნაქარგს.

– სირინოზი თუ უნახავს და მოხიბლულა. იცის! მისგან გატაცებული ხელს ვეღარ იხსნის სხვათა საბყრობლად.

– არ არის სენი, წამალი არა ჰქონდეს: მხიბლავ გესლს შხამივე ჰკურნავს სხვა ჯადოსნისა, უფრო ძლიერის, თვალთ წარმტაცისა.

ყურადღებას აქცევდნენ დარისპანს, მის ქცევა-ყოფას. პატარა ქალაქ-დაბებში შესამჩნევი ხდება კერძო მოვლენაც უბრალო. ცოტაა იქ საზოგადო საფიქრი მაღელვებელი და ცალკე პიროვნებაც საგულისხმიეროდ მოსჩანს; მის ყოველდღიურ ყოფა-ცხოვარბაზედ საუბრობენ.

მუსაიფობდნენ ბეჟანიანთ დარბაზში მყოფი სტუმრები; მიფანტულიყვნენ სავარძლებში, მაგიდებთან, სელებზედ: ელოდნენ ჟამს, რომ გამოფენილიყვნენ მასპინძლების მეთაურობით დღეობაზედ მოსულ ხალხში და ეხალისნათ, დრო გაეტარებინათ, თვალთათვის წყალი ესმიათ. მორთულ-მოკაზმული დიასახლისი იქვე ტრიალებდა, თავაზიან სიტყვას თუ თქმას გადაუფრენდა; ცდილობდა სტუმრებს გულღიად სჩვენებოდა, პირმოღიმარედ. მისი გამოჩინების დღე იყო, მასპინძლობა თვითმოყვარეობა უკარნახებდა, არავის ჩამორჩომოდა ცნობილ ოჯახთაგანს.

– ისეთი უხვობოთ დავხვდე და ღიმილითა, კვლავ ამდრობამდინ არ დაავიწყდეთ ჩემს კარს ზეიმი, ჩემი ოჯახი დოვლათით სავსე.

შეეძლო იღბლიანს ესეთი თქმა: განვითარებული სოვდაგრის ცოლი იყო გამჭრიახისა; ოქრო ჩეჩქად მოჰქონდა მის კერისაკენ ვაჟკაცისაგან მარჯვედ დარუებულ დოვლათის სადენს. საქართველო, მთელი კავკასიონი, მოსკოვი, ლიონი, მარსელი, ლონდონი, ვენა, – ყველგან და ყველაფერზედ ხელი მიუწვდებოდა ენათა მცოდნეს. ჭკვიანი, ჰაზრიანი, თავხედობამდის გამბედავი, მარად გამარჯვეების გზაზედ ვიდოდა არჩეულ სარბიელზედ.

– რისა მეშინიან, ან მეფიქრება?! მამის სახლიდან ხელცარიელი გამოვედ და მაინც შევსძელ თავის გატანა. ეხლა გამოცდილი ვარ, მეტი ნდობა მაქვს და უნარი; თუნდა დღესვე დამენთქას ყველაფერი, არას ვინაღვლი; ისევ აღვადგენ, – იტყოდა სრულის რწმენით.

– მაგნოლიასაც?

– ღმერთმა დაიფაროს!

შეჰშვენოდა ქადილი ფულიან კაცს, მარჯვე თვალის მქონს, ყველგან და ყველასაგან ნდობით აღჭურვილს. ეს აშინებდა მის მეტოქეებს, თუნდაც ძალიან შემძლე და გამოცდილ მის მოჯიბრეებს, ახრევინებდა მის წინაშე თავს. დღეს საჯაროდა ჰფენდა თავმომწონე თავის სიუხვეს, დარდიმანდულის გულღიაობით, და გულწრფელად უხაროდა ყოველი ახალი სტუმარი. მე ვიცი, სანოვაგისა თუ სასმელის სიმცირე შეაშინებდა. არც სტუმრად მისული ბოროტისა ეფიქრებოდა; თითონვე დაზიანდებოდა ესეთი: შური შესჭამდა მას; მადიან-მადლიანი ოჯახი, მოქმედ მარჯვენიანი სახლის თავი, ოქროს ხელეურებს რომ იმკიდა ნამგლის ყოველ მოსმაზედ და...

მზის ნატეხი დიასახლისი თეთრ ღიმილად ნაელვარები, გულს რომ გაგიღებს თუნდ ჯავრით დახშულს, სხივს ჩაგიყენებს თვით ბნელ სულშია, აგიცისკროვანებს უკუნ ყოფაში; გაგიღაღანებს ნაზ სიხარულით გრძნობის თაიგულს.

– ეჰე, გამოვიდა ბეჟანი თავის ამალით! ისე მოზდევენ სტუმარ-მეგობრები, როგორც რომ ბატონს, დიდს ვინმე მფლობელს.

– ძალა აქვს მბრძანებელი: ოქრო ჰმორჩილებს, ხოლო მას ჰმონებს ყოველი კაცი.

– ბედიც ჰმსახურებს: შეხედე მის მაგნოლიას! დიდებული დედოფალია; უსიტყვოდ დაიმონებს თვით ბუმბერაზსა, უბრძანებლოდ მოიმსახურებს.

– ვაჭარის ცოლი და დედოფალი!

– მშვენიერთა ხელმწიფე, ყოველ გარემოებაში დედოფალი! სიტურფე მიმზიდველად მბრძანებლობს ქვეყანაზედ, ანდამატის ძალა დაუტანებია მისთვის შემოქმედს.

– მაგნოლიაც, ალბათ, მიტომ იზიდავს ამდენ ახალგაზრდობას. შეხე! გარემოცულია რაინდებით, როგორც ვარდი უმანკო მცველ ეკლებითა.

– ანდამატი დაახლოვებია რკინის ნამტვრევებს და გაუმაგრებდნენ ისინი ძალას იდუმალს, ნუ წაესწრაფებიან მისკენ მორჩილად!

გათქმული სახელი ჰქონდა სიმშვენიერისა; ღირსიც იყო იმ სახელისა. ბეჟანს სილამაზით მოსჭრა თვალი მაშინ ანაზდად.

– შეხედე, შეხედე ქალსა მშვენიერს! ვარსკვლავი არის შუქთა მფენელი...

## 5

გამოეფინა ეზოდან სტუმარ-მასპინძელი. ცხენებზედ ისხდნენ: ნაწვიმ ნიადაგზედ ფეხით სიარული არ იყო კარგი; მაინც ცხენდაცხენ ეჯობინებოდა ამოდენა ხალხში თამაშ-გართობისა თუ გაცვლა-გაყიდვის თვალიერება; უფრო ეშხიანიც იყო გემოვნებით შეკაზმული ცხენით რონინი, თავმოყვარეობის მაამებელი. ფეხით, არღნებით, თუ სავაჭროთი ხელში, უბრალო ხალხი დიოდა ბაზრობა-დღესასწაულში. დარახტულ ტაიჭებზედ ყელმოღერებით მჯდომი მაგნოლია ირჩეოდა სხვა ქალთა შორის. ხელთ მაგნოლიის ტოტი ეჭირა ყვავილებშლილი.

– მათრახის ბადლად, შხეპლის მაგივრად?

– რად უნდოდა თეთრ ჰუნეს შხეპლა?! თვალებს აფეთებდა გიჟი; ფართოდ დაებერნა შეწითლებული ნესტოები; ბრდღვინავდა, ცეცხლსა ფშვინავდა; ცეკვით მიდიოდა გასაფრენად მომზადებული. მტკიცედ ეჭირა ქალს რაში კისერრკალული: ორმაგი ლაგამი მძლავრად იმორჩილებდა გალაღებულ ცხოველს; ძალჭარბი პერი თეთრად მოსდებოდა ლაგამზედ, პეროოდა ლაშზედ. ფხიზლად ადევნებდნენ მას

თვალს მახლობლად მყოფნი, რომ ძალა არ მიეტანა ძლიერს სუსტ მარცხენაზედ და თავი არ წაერთმია, მორჩილებიდან არ გამოსულიყო. ადვილად შეეძლო; რა იცოდა შეუგნებელმა, რა ძვირფასი ტვირთის მზიდველი იყო იგი, ნაზნარნარისა, ყვავილთ ფურცლიდან თხზილ არსებისა, თავმომწონე ბუნებას რომ წარმოეშვა ნივთთა შორის სიმშვენიერის სახატავადა. დავარცხნილ ფაფარზედ ალერსით გადაუსვა მხედარმა ხელი პაწაწა.

– ეგ ტურფა ნებიმც დაგიმართია ჩემთვის ქოჩორზედ, – შეჰნატრა ერგასლანმა

და გაისწორა ფაფანაკის ქვეშ ქოჩორი, ძნად ავარდნილი. გზას აძლევდნენ მშვენიერთა ხელმწიფეს და მის ამალას, ზრდილობიანად ებყრობოდნენ: იცოდნენ თუ, რომ დღეს შეძლებული ოჯახი პატივცემული თავს იწონებდა არე-მარეში და მოქნილი ქცევა მოითხოვდა, ხელი შეეწყოთ მის კეთილად გამოჩენისთვის. უნებლიეთაც იზიდავდა ყველას პატივისცემას ქალი მაგნოლია, გულს გასანათად ჩაშვებული სხივის ნაკვეთი.

– მიმოსვლის წინამძღვარი, თუ მოთავე თითონ ქალო იყო. მისი რაში ფრთხილად იკვლევდა გზას იქითკენ, სად ქალის თვალი სიამოვნებდა უფრო მეტადა, ან სურვილები კმაყოფილდებოდნენ, დიდნი, თუ მცირე მისნი ნდომანი.

– ჩემო დაია, საყვარელო! შორიდანვე შევნიშნე შენი წითელი ცხენი, მოხდენილად რომ მოეღერებინა კისერი.

– ეს არის, გიახელით მე და ჩემი მაზლი.

– კიდეც მიტომ ვერ ვისიამოვნე თქვენის ნახვით ჩემსას საუზმოზედ. სადილად თქვენი ადგილი ჩემს გვერდით არის, თქვენი და თქვენი მაზლის ადგილი.

გმადლობთ დიდად...

– ათვალიერებთ აქაურობას, ყმაწვილო?

– დიახ, ბატონო ჩემო!

– აბა, რომ მოგეწყინოსთ, აგერ მობრძანდით ჩვენსა.

– დიდათ გმადლობთ!

– ნუ კი გვალოდინებთ.

– რა ბრძანებაა?!

ნახეს სხვებიც. ზოგი აბედნიერა გამოხმაურებით: ეფიქრებოდა, ვაითუ არ მოვიდნენო და უმეორებდა წვევას, ან ეხლა ეპატიჟებოდა, ვისიც მიწვევა ვერ მოესწრო, თუ ვერ მოეხერხებინა. თავსაც იქცევდა, გულღია დიასახლისის უნარსაც იჩენდა.

ყველა ეს მისი მოძრაობა მაინც შემთხვევითი იყო; მიზანში ამოღებული განზრახვა სხვა ჰქონდა; თანისთან უახლოვდებოდა გლეხთა ჯგუფს, რომელთ შორის ჩამდგარიყო დარისპან უკარები და ახმაურებოდა. იქ სანახავი არაფერი იყო, არც ცეკვა, არც ჯირითი, ტალავართა თუ ტაიჭთა უხმო შეჯიბრება, ქალ-ვაჟთა თაიგულისებური გადაშლა. ვაჭრობდნენ იქ: ქვისა თუ თიხის კეცები, ჯამ-ჭურჭელი, ხის იარაღი, ხის იარაღი, საციქველი, საქალმანეები, თასმა-თოკები...

– რას აკეთებს მშვენიერი ჭაბუკი მწვირიან გლეხებში, რა სიამესა ჰყნოსავს, რომ აღარ შორდება?! არ ჰსურს სადარ ხალხში გაერიოს, სადარბაზოდაც არ ინება შემოსვლა, – ფიქრობდა გულნაკლული ქალი.

ჯავრი მოსდიოდა, რომ იგი განადირებული ვაჟკაცი არ ახლდა მას სხვებთან ერთად, მისი ეშხით მოკატუნებულ ლომ-ვეფხთა შორის და ეს წყრომა წუთიერი ელვასებურად ეხატებოდა თვალთა გზნებაში, სახის იერზედ, ფაქიზ ნესტოთა მეტყველებაში?!

– ნესტოთა მეტყველებაში?

– იცი შენ: არა მხოლოდ სასუნთქავი მილია ცხვირი, საბერველი რამ ღოროტოტო; სახის მახასიათებელიც არის იგი, მისი მშვენება, მისივ ნაღველი... არის უტყვი ცხვირი ხორცჭარბი, უშნოდ წადებული; არის ცხვირი მელანქოლიურად ჩაფიქრებული; არის ცხვ... მაგნოლიას სურათი ცხვირი ედგა, ვარდის ფურცელთაგან თხზილი, შნოსრული სამკაული მისის სახისა, კოხტა დარაჯი სიმშვენიერისა...

დიდხანს ვერ დაიმჩნევდა ქალი ჯავრს თავის მხიარულობის ჟამს; აჩრდილივით მიმოუქროდა ნასახი კაეშანისა. წარსდგა თეთრი ამორძალი იმ პატარა ჯგუფისაკენ და გადასძახა გამყიდველ ქალს:

– მომაწოდე, გოგო, თავსაფარი!

მოართვეს ქსოვილი – ქალმა აათვალიერა ხელსაქმე და ისევ გადასცა.

– მე მომეც, ქალო, შენი ქსოვილი! – უთხრა ერგასლანმა

– და გადასცა გოგოს ნათხოვნი ფასი.

– თქვენ რაღად გნებავთ, ყმაწვილო, თავსაფარი?!

– თქვენგან თვალდაკრულს, თქვენს ხელში ნაჭერს ვერვის დავუთმობ!

იძროდა თეთრი ტაიჭი. წინ მიდიოდა. წაადგა დარისპანს.

– რა არის, ყმაწვილო, საუზმედ ვერა გნახე ჩემსას.

– შემიგვიანდა და...

– აბა სადილად აღარ ინებოთ დაგვიანება; უთქვენოდ არ შემოუსხდებით სუფრას, – უთხრა ქალმა

და გაუწოდა ვაჟს ყვავილი მაგნოლია.

– ნიშნად იქონიეთ, არ დაგავიწყდეთ!

გასცდა ქალი ჯგუფს. შერჩა ვაჟს ხელში ტურფა ყვავილი.

## 6

ლამაზი მაგნოლია იყო თეთრი; ძირს, ფიალას გარშემო, ალიონის ფერი დაჰკრავდა ნაზი. იღიმებოდა, ოდნავ გაეხლიჩნა ბაგე შაქრისა; ჯერ არ იცინოდა, არ კასკასებდა; ზროთა ბუნჯგალი არ მოსჩანდა პირის ნაყოფში, დასუნა, ჩაავლო თვალი. მოუნდა წასვლა სადარბაზოდ, საზეიმოდ. უხერხულობასა გრძნობდა: არ იყო ნაჩვევი სტუმრად სიარულს. ლამაზი ყვავილი მოღიმარე იწვევდა, ეპატიჟებოდა, ძლიერად იზიდავდა მშვენიერისკენ: სუნნელს უკმევდა, უალერსებდა, ეტყოდა ტკბილად. ეჭირა ხელში ყვავილი და ...

ნელ-ნელა უახლოვდებოდა ბეჟანის სასახლეს. შედგა ფეხი ჭიშკარში; გაერია სტუმართა რიცხვში. გადატყდა მისი უაზრო ჯიუტობა.

– რას უარობდა დალოცვილი, როცა ცხოვრება კეთილისკენ უალერსებდა? რად არ უნდოდა ესარგებლნა თვის ჭაბუკობით, როცა შეეძლო დაემშვენებინა ყოფა, ესიამოვნა, ესიამოვნებინა?!

ჩაიხვია შეყრილმა ხალხმა, როგორც მორევმა მოტივტივე ტოტი რამ ხისა; შეატრიალა ტალღათა ფრთებზედ. მხიარულად იყვნენ სტუმრები სადილის მოლოდინში. მიდმოდიოდნენ, ირეოდნენ ერთმანეთში, სიტყვებს თუ ფრაზებს აფრიალებენ.

– თამადა მარჯვე უნდა იყოს, სიტყვა წყლიანი, პირმოღიმარი.

– და თვალხმიერი, რომ სუფრაზედ არაფერი გამოეპაროს.

– რაჟდენი ავირჩიოთ: გამოცდილია.

– გობრონი აჯობებს: უფრო გამძლეა, არ ეკიდება...

– აკი, ქალო, დარისპანი არ მოვაო?..

– მხიარულად არის. ყვავილით დაუმშვენებია ხელი.

– დიასახლისმა უძღვნა; მოიზიდა უკარებელი.

– თილისმაა ჩვენი მაგნოლია; ღვედივით იხვევს ვაჟკაცს მაჯაზედ.

ჭაბუკი სავარძელში იჯდა, მიძღვნილი ყვავილი ეჭირა, ათამაშებდა. გამოჩნდა მაგნოლია: დაუარა სტუმრებს; მოუალერსა; სიამეთა შუქი ამრავლა ღიმილ-სიცილით, სიტყვით, თვალთ დახრით, მწყობრმოძრაობით მოქნილის ტანის.

– მობრძანდით, მობრძანდით!

– ხომ არ შეგიგვიანეთ სადილი?

– რა ბრძანებაა?!

– აბა რაინდულად, ყმაწვილებო!

დასხდნენ; მიჩემებული ადგილი დაიჭირეს ქალ-ვაჟთ წყვილ-წყვილად. დარისპანს საუკეთესო მეინახე შეჰხვდა. მასპინძლებმა მოხერხებული ადგილი დაიჭირეს, რომ ყველასათვის ადვილად ედევნებინათ თვალი, ყველაფრისათვის. ყოჩაღი თამადა გამოდგა. შეხურდა სმა. უკვამლო ალად ავარდა სიმხიარულე. გალაღდა დარისპანიც; დაკარგა მოკრთალება: არშიყი ქალი შეჰხვდა გვერდზედ და გაიტაცა, ააჭიკჭიკა. ისე დაღამდა დღე, როგორც რომ წამი.

ნასვამი დაბრუნდა დარისპან; ეჭარბებინა. იცი: თუ მოკრთალებული გაიტეხინებს, ზღვარს გადაჰლახავს. აღფრთოვანებული იყო, აღტაცებული. უღელავდა გული: დუღდნენ, ქაფქაფებდნენ ჭრელი გრძნობები; დიოდნენ ზვირთად მის გულის თქმანი, შხეფებს ისროდნენ აღქაფებულნი. სანდომი სურათები. ეშხით მთვრალი სახეები. ტკბილნი განცდანი მურაზით სავსე. დასიცხული წარმოდგენანი სისხლხორცით სრულნი, სილაღეს რომ მიუბყრობდნენ, სიცილს, სიხარულს. და მათ გვირგვინად ის მაგნოლია, სიცოცხლით სავსე ქანდაკება დრუნგილისაი. რა თვალებია! რა მალებია! მოლურჯო ცეცხლით გულთა მწველები.

– დაშტერებით მიყურებდა. მეშინოდა, ავი ყურადღება არ მიექცია აღტაცებული მზერით თუ ქცევით. მაინც შენიშნეს, ალერსი განსხვავებული, თავს რომ შემომავლო ლამაზმა. ეხლაც ვხედავ შურიან თვალებს, მესმის ბოროტი თქმა ორაზროვანი. მაშ რა ეგონათ?! – ამბობდა დარისპან

და იხდიდა ტანისამოსს. ხელი აღარ ემორჩილებოდა. ცეცხლნარევი სასმელი თანდათან იჩენდა ძალას.

– სულ მე მიყურებდა, თვალი ვეღარ მოსწყვიტა ჩემს გულისპირსა. ბეჩავ, ბიჭო! გორაკივით აგბექებია ძლიერი მკერდი, ქალთ თვალთ საჭრელად, – წარსთქვა და საალერსოდ ხელი გადიკრა მარცხენა ძუძუზედ. ყვავილს მოჰხვდა თათი, ფურცლები შეჰბეგვ-შესთელა ლამაზ მაგნოლიას.

– ჰე, ჰე! რა გულმავიწყი ხარ, ჩემო დარისპან! თითონ გაგიკეთა ყვავილი მშვენიერმა, დაგავალა, გაუფრთხილდიო ჩემეულს; შენ კი სთელავ უხეშად.

აიხსნა ყვავილი, აკოცა; მოიტანა ჭიქით წყალი, ჩარგო ნავნები. ძილისაკენ წასულს იგივ თვალები ელანდებოდა, მაგნოლიას ლურჯი თვალები. ძილშიაც აღარ მოჰშორდნენ განცდილი სურათები; მისი მოუსვენარი სიზმრები ისევ ხორცთა ზეიმის განგრძობა იყო, მხოლოდ ფურტკნილი, ჰაზრთა კვალის გარე მსვლელი, სიტკბოების, თუ სიამის ბრმად მიმპყრობი. მაინც სიზმრებშიაც მისი საკუთარი პიროვნება მიმზიდველ ძალად ესახებოდა შეუმართებლად; იგი მისი პიროვნება უფლობდა ყოველ გარემოებაზედ, მეთაურობდა ყველგან, ყველასთან. ძლიერ უალერსა ბედნიერმა დღემ ჭაბუკს, ზვიადი წარმოდგენა განავითარა მის გონებაში მისსავე თავზედ; ზეკაცის უნარი თუ აგრძნობინა თავის არსებაში. რა ექმნა?! გარემოებები უკარნახებდნენ ესეთ წარმოდგენას, დაკმაყოფილებული თვითმოყვარეობა კვერს

უკრავდა მათ; ხოლო ფხიზელი ჰაზრი მოდარაჯე მოეღვარსლა ღვინის ბუღს, მიეძინებინა. დაზეზებულიყო თვითმოყვარეობა და უკმევდა თავისსავე თავს, შესწირავდა, თაყვანსა სცემდა.

გვიან გაიღვიძა; მზე საშუადღეოს მიახლოებოდა. უგემურობასა გრძნობდა: თავი სტკიოდა; ყელი ამოჰხახოდა; პირი გაქლერტილი ჰქონდა; თხლის სუნი მოსდევდა სუნთქვას. ქეიფის ნაჟური უამური, გემო წამხდარი. მოჰკრა თავის თავს სარკეში თვალი, სახე შეჰშლოდა: ჩახლეჩილ-ჩაწითლებული თვალები, მიქელილ-მითელილი კანი, აჩეჩილი წვერ-ულვაში.

– როგორ მოშლილხარ, მთლად აწეწილხარ!

დახვლანჯული გრძნობები; აბლაბუდა მოდებული ჰაზრი ბინდული; სურვილთა ნალეწი არეული; ნანჯღრევი სული განაწამები. მოსჩანდა მთლიანი სურათიც: მაგნოლია! მოციმციმე ნათელი; სიცოცხლე კრებულისა; ლამაზი ღიმი მიმომავალი.

– როგორ ხშირად იყო ჩემს ახლო! თვალებში ჩამხედავდა, მზერის ისარს მკერდზედ გადაიტანდა, თავისეული ყვავილისაკენ. ჩამჭკნარი საწყალი მაგნოლია, დაფურცლილა, თუმცა წყალში ჩადგმა მომიხერხებია მისი, და...

– ბიჭო, ბიჭო, ბარათი! ეტრატის ალამი! – წამოიძახა ჭაბუკმა და თვალები მოიფშვნიტა, სიზმარი ხომ არ არისო. არ იყო ზმანება: მის მაგიდაზე მაგნოლიის თეთრ ფურცლებთან ეგდო მტკიცედ ნაკეცი თეთრი ქაღალდი.

– ჰა, წერილი, ქალის გრძნობათა მომტანი პაწა უსტარი, მნიშვნელოვანი?!

...მოდით დღეს! დაუყოვნებლივ იარეთ ჩვენსკენ: უთქვენობა ისე დამაღონებს, როგორც უნამობა მაგ მაგნოლიას.

გადააბრუნა ქაღალდი, გადმოაბრუნა, მზეზედ გახედა: არაფერი ეწერა სხვა, მხოლოდ თარიღი ეჯდა გუშინდელი. რაღა უნდა წერებულიყო ამაზედ ცხადი, გულის სატოკი?!

– ჩემო მშვენიერო! – მიუალერსა კმაყოფილმა და დაკოცნა უსტარი.

## 7

მაგნოლია ისე არ იყო შებორკილი ჭაბუკის ეშხით, როგორც ეგონა დარისპანს, როგორც აუცილებელი იყო დაესკვნა მას იმ ბარათის გამო. აჩქარებით გადადგა ქალმა იგი სახიფათო ნაბიჯი, დაუფიქრებლად; გაუზომლად გადაკვეთა ძნელი საჭრელი.

სულ იმას ამბობდნენ, ვერავინ მოინადირა დარისპან უკარებელი, არ შეიძლება მისი მოშინაურება, ნაკვალ სადენზედ მის ჩაყენებაო. მშვენიერს თვითმოყვარება ელახებოდა, რომ ჯიუტობდა იგი ვაჟკაცი, არ ემორჩილებოდა მის მიმზიდველ სახეს, მის კერის გათქმულ პურადობასა. მოსწონდა კიდეც ქოჩორა ვაჟი. რად არ მოეწონებოდა?! ჟამითი ჟამად უნდოდა იგი მღვრეული ნდომით. რატომაო?! საუკეთესო ყვავილის ყნოსვა ლაღად მოცქრიალე ლამაზისათვის არც მთლად შეუნდობელ გრძნობად მოსჩანდა. ღალატი არ იქნებოდა გვირგვინისა: მხოლოდ ალერსი, მარტოღა ყნოსვა, კრძალული ხილის ახლოდან ტრფობა.

– მოწყვეტა, ჭამა?

– როგორ გეკადრება?! არც გემოდ ღება!

– უთუოდ უნდა მოვიყვანო ჩვენ ხატობის დღეს სათაყვანებლად! ჩემს სუფრას უნდა ამშვენებდეს ისიც სხვებთან ერთად. მაშინ უფრო განსხვავდება ჩემი იერის მიმზიდველობა სხვათა ოჯახის ძლიერებიდან.

ამგვარ თვითმოყვარეობისაგან და მსუბუქად მოტივტივე სურვილთაგან გატაცებულ ქალს იმანაც შეუსხა ფრთები, რომ თვისებური ჰაზრი მოუვიდა მაცთური. თავისი ხელით გადაეცა ვაჟისათვის წვევის ბარათი საიშვიათო, საჯაროდ გადაეწოდებინა, ყველა მის მოთაყვანის თვალთ წინ, და თანაც საიდუმლოდ, ისე რომ არავის დაენახა, ვერვინ მიმხვდარიყო. რა სასაცილო იქნებოდა მათი გაცრუება, მის გარემო მარად მყოფ მთელი ჯგუფისა!

– წერილი? შენი საკუთარი ბარათი?

– რა უშავს! მხოლოდ მოწვევა, გულით პატიჟი... ცოტა ნაჭარბი, მაგრამ არ იქნება იმოდენად კადნიერი, სხვებთან ამჟღავნოს ბარათი ჩუმი! დამალავს უსტარს, გულთან ატარებს, როგორც ავგაროზს და ჯადო იგი მოჰქნის მას ტყავივით, მკლავზედ დამახვევს უდრეკ-უტეხსა, ამ ლბილ მაჯაზედ! – სთქვა ქალმა და ალერსით დახედა ბამბის ქულა მკლავს ნასუქებს, რომელიც კაბის სახელოდან მაცთურად აჩენილიყო და ხარბად იზიდავდა თივისკენ თვალსა.

ტანჯვა განაცდევინა ლამაზს ცელქმა ნაბიჯმა უფიქრომ, დიდი მღელვარება. ადვილი ასასრულებელი იყო მისი განზრახვა: ყვავილის გადაცემა თუნდ ქალისაგან ჭაბუკისადმი მოხდენილია, დიდმნიშვნელოვანი კი მაინც არ არის, არც საძრახისი. არც ვინ მიაქცია მაშინ ამას მაგდენი ყურადღება; მაგრამ იმ წუთსვე დაიწყო ქალის შიში: ვაჟი ვერაფერს მიჰხვდა, რას მიჰხვდებოდა?! და მოწიწებით ვერ მოეპყრა ნაზღვნევს: ხელში ათამაშებდა, სუნავდა, იქნევდა, აპირქვავებდა. ადვილად შეიძლებოდა ბარათი ჩამოვარდნილიყო ყვავილიდან და...

ჭირის ოფლს ასხამდა ქალს ამის ლოდინზედ, კრთებოდა იგი, ფერი მისდ-მოსდიოდა. რა პასუხს გასცემდა ვეშაპივით ვაჟკაც ქმარს, ან სტუმრებს, თავის მოკეთეს თუ მოშურნესა? საშინელი გაწბილება იყო წუთსა და წუთს მოსალოდნელი.

– უჰ, უშნო, უგრძნობელი, შეუგნებელი! ალღოთი უნდა მიმხვდარიყო მიზღვნილი ყვავილის დიდ მნიშვნელობას, საიდუმლო ჰაზრს. ეს კი... დახე, დასდო ყვავილი, ხელი უშვა... სხვა აიღებს ვინმე...

აღარ შეიძლებოდა მოცდა: უსათუოდ ხიფათს შეამთხვევდა იგი საიდუმლოებით დატვირთული ყვავილი. კიდეც მიიზიდა მან სხვისი თვალი.

– ცხვირი იბრუნა სტეფანემ ყვავილისაკენ, ბუკივით გრძელი სასუნთქი. აგერ დასწვდება...

უნებლიეთ წამოაყენა ქალი განწირულმა ყოფამ. მიუახლოვდა იგი სუფრაზედ ერთს, მეორეს, სხვას, უთხრა შეაპატიჟა. მივიდა ჭაბუკთან.

– ნება მომეცით, ყმაწვილო, გულის პირში გაგიმაგროთ ეს ყვავილი: ხელს გიშლისთ პურის მირთმევის დროს, – უთხრა მან და გაუბნია ყვავილი მკერდში, ქინძისთავით მაგრა დაუბა. ისე მოხერხებულად იყო მაგნოლია მიბმული, რომ მერცხლის ბოლოსავით შავი წვერი ოდნავ ეხებოდა ყვავილის ბაგეს, როცა ვაჟი თავს დაჰხრიდა ლაპარაკში, მოძრაობაში.

– ბედნიერი! შესძღვნა ყვავილი, თითონვე გაუბნია გულისპირში.

– მალე დაჭკნება!

– გარდიფურჩქნება, გაღაღანდება!

– ვინ იცის, ვინა?!

ამ მოძრაობამ მიახედა ქალისაკენ გამკილავი ზოგი თვალები, მეტადრე ქალები, რომელთ ეკლად ესობოდათ, რომ დიასახლისი უმშვენიერესი იყო მათ შორის. ამავე მოქმედებამ შხამი ჩააწვეთა ბეჟანს, საზარლად ააღელვა. არ შეიძლებოდა შეემჩნევინებინა თავისი ზავთი სტუმრებისათვის: მხიარული მასპინძელი იყო გულღია და ბოლომდის უნდა დამრჩალიყო პირმოღიმარედ. იხმარა დიდი სიმტკიცე;

არ დაიმჩნია ბოროტი; კიდეც მიეშველა მეუღლეს: თითონაც მიუახლოვდა რჩეულს, მოუალერსა, გადუღო კერძი.

– იშვიათი სტუმარი ბრძანდები სანუკვარი და დიდად მოხარული ვართ, რომ დღეს ჩვენ სუფრაზედ გხედავთ ამ ჩემ საყვარელ სტუმრებში, – სთქვა მასპინძელმა

და მთელ სუფრას მოავლო ხელი ჰაერში. ძალიან დაუმადლა მაგნოლიამ ქმარს ესეთი ქცევა თუ თქმა: მთლად გააქარწყლა ვაჟკაცის მოძრაობამ უფერო შთაბეჭდილება მისის ქცევისა.

– შეეჩვევა ჩვენს ცხოვრებას ჩვეულებრივს, დაგვიახლოვდება: სხვებიც გვინახავს განდეგილები; ცხოვრებას მოუქნია იგინიც, გაუთანასწორებია...

– ბეჟან ჩემო, შენ რომ გულთმისანი იყო და იცოდე, რა ცეცხლმა მიმიყვანა დარისპანთან და საჯაროდ მომაალერსებინა მისთვის, მაშინ ვნახავდი შენს აღგზნებასა, ვეღარ შესძლებდი რისხვის დაფარვას, – ამბობდა გულში მაგნოლია

და ახლა სხვებს ევლებოდა თავს, კაცსა თუ ქალს, რომ გული არ შეეკლო არავისთვის, ავად არ გამოერჩია არც ერთი მათგანი სხვათაგან.

## 8

მხიარულად ჩაიარა დღესასწაულმა. სტუმრები გულწრფელად მადლობელნი დაბრუნდნენ. ავ ენებსაც დაეკარგათ მადა ძრახვისა, სცხვენოდათ ეთქვათ კილვა რამ უნრიან მასპინძლებზედ: კარგს მიიტყოდნენ მადლიერები:

– იგი სასახლე და ეზო-ყურე, იქ გადაშლილი ყველა მცენარე, სულდგმული ყველა იქვე მცხოვრები, თვით ნაკადული მღერით მავალი ერთ ლამაზ ღიმილად მომეჩვენა დღეს. დიდი ხანია ესე გულიანად არ მილხენია.

– ერთი ყვავილის სახე ჰქონდა იქ ყველაფერსა. ჩემო ბერდიავ, უშურველი სიმდიდრე და სიტურფით გარდაშლილი მაგნოლიის ხატება.

– მართალია! ათრობს იგი თვის სურნელებით ყველაფერს.

– კარგ ვარსკვლავზედ არის ბეჟანი დაბადებული. დღეს მისი კეთილად ჩენის დღე იყო და თავიც ისახელა.

– გულღია რომ არის, აზრიანიც არის, დამკვირებელი; გონებას უწყნარდება და მისთვის იშვიათად მოსდის შეცთომა, მიტომ უმარჯვდება ხშირად.

– ნახვამდის! მალე შეგვახვედროს ერთმანეთს ამისთანა სუფრაზედ.

– გისმინოს! მოდი, გაკოცო: ხვევნის ეშხზედ დამაყენა თეთრმა სვირულმა, შაქრისაგან ნაქადაკებ დიასახლისმა.

– აჰა, პირი ჩაიტკბარუნე!

– კარგი მოგივა!

მართალს ამბობდნენ შეზარხოშებულნი: დაკვირვებული კაცი იყო ბეჟანი, საქმეში აუჩქარებელი; იცოდა სოფლის რჩევა. მით მოახერხა საუკეთესო მეუღლის პოვნა. შენახვაც კარგად იცოდა ძვირფასეულობისა; მისთვის არა ჩქარობდა სავაჭროს გასაღებას, როცა მის საწყობში თუ კერაზედ არა გაფუჭდებოდა რა: თვალმხმიერი ყურადღება უკლებლივ სდევდა შეტანილ კეთილს, შეუფერხებლივ. მით უფრო არა ჰშორდებოდა იმის მკვლევარი თვალი მის უძვირფასეს სიმდიდრეს, ყოვლად სათუთ საქონელს, რომლის სუნი ეკრა მგელ-კაცს მტაცებელს, რომლის კბილთაკენ თითონ მიილტოდა კრავი უბრყვილო. როგორ შეიძლებოდა ასცდენოდა ვაჟკაცის ყურადღებას ყველა ის, რაც თავს დასტრიალებდა მის საუკეთესო საუნჯეს, ავი თუ კარგი?

– მშვენიერი იყავ, ჩემო ძვირფასო, დღეს, ჩემ მანათობლად აღმომხდარი ცისკარი თეთრი; შენმა ეშხიანმა ქცევამ დაათრო ყველა, ვაჟნი თუ ქალნი.

– კახური თუ ოჯალიშიც ძალიან გვეშველებოდა იმ დათრობაში, ჩემო კარგო!

– დამჟავდებოდნენ თვით ღვინოებიც, თუ არ დაეტკბო შენს ლამაზ ღიმილს, არ ეათკეცებინა მათი ძალა მაღელვებელი! მაგრამ...

ძალიან ეფიქრებოდა ქალს ამ პირაღმა სიტყვისა; არ მოელოდა მას ქმრისაგან: იცოდა, არც ერთს წვრილმანს არ დასტოვებდა იგი შეუნიშნავად მის ქცევაში, თქმაში, თვით მის აუსახველ გრძნობა-ფიქრებში; მის შესახებ გულთმისანი თუ იყო შეყვარებული. გრძნობდა ამას მაგნოლია და ეხლა სმენად გარდაიქცა, უსიამოვნო რამ იგრძნო. ბოროტის აჩრდილმა შეკუმშა ქალი, ჩაამუქა მისი სინათლე. შენიშნა ეს ვაჟკაცმა და შეენანა.

– რა არის, ბეჟან ჩემო, ეგრე უწყვეტი შური სიყვარულისა?! გააწამებ საწყალს! ნუთუ ნება არ აქვს თუნდ წამიერად გარდასცდეს სამზღვარს ქცევა-ყოფისა, უტეხი კედლით მოზღუდვილისა?

– მაგრამ... ეჰ, მაინც არ ღირს გახსენება უშნო ჩრდილისა, როდესაც ესე ბრწყინვალედ ჩაიარა დღემ. ჰო, ის უნდა მეთქვა, რომ დარისპანის შესახებ ცოტა გადაჭარბებული მოგივიდა: არ იყო საჭირო შენის ხელით გამაგრება ყვავილისა მის გულის პირში, შენისვე ქინძისთავით მკერდზე მისი მიბმა.

– მაშინვე შევნიშნე ნამეტნობა ჩემი მოძრაობისა, მაგრამ გვიანღა იყო: ვეღარ შევსდექი. იმან ქმნა ეს, რომ მიუკარებლად ითვლება იგი განადირებული.

– მაინც მარჯვედ გამოსწორდა საქმე, როდესაც სხვებსაც თანაბრად მიუალერსე შენ, ჩვენის სუფრის ყველა სტუმარსა.

– გული გამეღო, როცა შენც მაშინვე იგრძენ და მომეშველე.

– მაშ ვისღა მივეშველები, ვის შეუმსუბუქებ გაჭირვებულ ყოფას უხერხულს?! – მიუგო კაცმა და მიიზიდა ქალი.

– რად იცი, ბეჩა, ზედ ცხვირზედ კოცნა?!

– მიყვარს! შუაზედ ოდნავ ახრილი, აი აქ. მწყაზარ მეტყველებას გაძლევს ამპარტავნულს; სტუმრებს რომ უალერსებდი, მაინც უკადრებელი მოსჩანდი, უკარებელი.

გულწრფელი არ იყო ბეჟანის ალერსი, გათვლილი იყო იგი, გაანგარიშებული. რომ ნამეტნავად მოუვიდა ქალს მოძრაობა უფერი, ეს ცხადი იყო. მხოლოდ ჯერ არ იცოდა, მეტმა თანაგრძნობამ გადაადგმევინა მოუზომელი ბიჯი, თუ სხვა რამ გრძნობად ან უფიქრებლობამ. ქალის პასუხმა ვერ გაარკვია მისი ჰაზრი და ის, იმ გზას დაადგა, რომ ქალი იმ წუთს გატაცებული იყო ჭაბუკის ნდომით.

იქნება ისე სურვილით არ არის პყრობილი, როგორც თვითმოყვარეობისაგან შებორკილი: განზრახ თუ ჰსურს დაიმონოს. ჩემთვის მაინც ორივ ერთია: ბოლო ამ თამაშს სამძიმო ექნება; საშინელი წანაგები, აუტანელი.

ნაჩვევი იყო ბეჟან, სოვდის საქმეში უფრო წაგებისაკენ დაეხარნა ანგარიში; რომ თუნდაც შემთხვევითი ზარალი ულოდნელი არ ყოფილიყო მისთვის და მზად დახვედროდა მოვლენილ ბოროტს.

ქალიც გრძნობდა, რომ ქმარი თუმცა ეფერებოდა მას, მხიარულ სახეს უჩვენებდა კმაყოფილს, გულში მაინც ღარღლი ჰქონდა მას ჩარჩენილი; იცოდა, შურით ავსებდა ვაჟკაცს ყოველივე მისი მოძრაობა, თუ იგი სხვისკენ იყო ალერსით მიქცეული, სხვა ვაჟკაცისკენ. მაშ რა ექნა, თუ არ გაუფრთხილდებოდა უძვირფასეს თვალს თავის სალაროში, როგორც საკუთარ ორივ თვალებსა?!

მაინც მადლობელი იყო ქალი საქმის ესეთი მიმოხვრით: მისი ქილიკობა შეიძლებოდა უბედურებით დათავებულიყო; შესაძლო იყო საჯაროდ თავი მოსჭროდა, საგმობ-საკიცხავად შექმნილიყო, იგავად დადებულიყო მთელ მის არეში. უთუოდ ესე

მოხდებოდა, თუ იგი ბარათი შემთხვევით წამოვარდნილიყო ყვავილიდან. არ მოხდა ეს, ამითი იყო ქალი კმაყოფილი, მიტომ ესაყვარლებოდა ქმარს ბედისაგან შეწყნარებული.

გადარჩა! ნეტავ რამ აფიქრებინა მაშინ ისეთი გაბედული ბიჯის გადადგმა, თავხედური იგი მოქმედება?! ნუთუ გულთმისანი ეგონა ვაჟი და დარწმუნებული იყო, ყველაფერს მაშინვე მიხვდებოდა, მყისვე განსჭვრეტდა მაგნოლიის გულს, მის ლამაზ ფურცლებს და ამოიკითხავდა ქალის გულის თქმას. არც ისეთი მკვირცხლად მოაზრე იყო დარისპან. თუ მთლად უშნოდ არ შერჩა ქალისაგან მისკენ გადადგმულ ნაბიჯს, შემთხვევას უნდა უმადლოდეს და ქალისავე მოხერხებულ მოქმედებას...

– მაინც არა მიშავს რა: დავიბან პირს, მოვლამაზდები, ჩავიცვ-დავიხურავ, ვიბკურებ სურნელს და... ისევ ის! „კოხტა კვირაცხოველი“ ვიქნები, – ინუგეშა თავის თავის სარკეში ხილვით უკმაყოფილო დარისპანმა და იქვე იგრძნო წყენა, რომ შეედარა ხალხისაგან ყბად აღებულსა? რა მისი საკადრისი იყო ნაძრახის ხსენება თავის სახელთან?

– ხომ იცი კოხტა კვირაცხოველის ამბავი საიგავო? არა როდესმე გიამბობ.

## 9

საგონებელში ჩავარდა დარისპანი. იმაზედა ღონობდა, როგორ მიეცა პასუხი ეპისტოლეზედ, პასუხი სატრფიალოვე და თან ისე მოხერხებით, რომ თუნდაც ყველას თვალწინა ყოფილიყო, მაინც საიდუმლოდ დამრჩალიყო, როგორც ქალმა მოახერხა ეს. ბევრი იფიქრა, ვერ მოიფიქრა: დაჰკარგოდა უნარი მოგვარებისა.

– მეუბნებიან, შემოქმედების უნარიცა გაქვსო. როგორ არა, მეცა ვგრძნობ ჩემში ამ სახის ძალას, მაგრამ... ახ, რამ წამომიცალიერა საწყალი თავი ეხლა, როცა...

ვერა მოიგონა რა. აგრე შუადღე გადავიდა, სადილობამ მოატანა, მას ჯერ ვერაფერი მოეგვარებინა სურვილის ასასრულებლად. პასუხი კი უსათუოდ საჭირო იყო. რას იტყოდა ქალი, რას იფიქრებდა?! ეგონებოდა, წერილს ვერ მიაგნო, დაკარგაო; იქნება ბეჩავ კაცადაც დაესახნა იგი, მოუხერხებლად.

– უნდა ვუპასუხოთ!.. ეს მისგან მოძღვნილი მაგნოლია... ჩაშლილა საწყალი, გახრწნილია. უნდა დამეკრძალა, წიგნში შემენახა მის მოსაგონად, ლამაზ წუთების გასახსენებლად.

გავიდა ბაზარში, აირჩია საუკეთესო მაშრაფა, იშოვა სხვა მაგნოლია მოზღვნილის მსგავსი. უალერსებდა, თავს ევლებოდა და, ყურძნის მაგივრად ღობეს ჰკოცნიდა.

– ეჰ, თავის მოტყუებაა: ის ვერა ჰნახავს ამ ყვავილს, ვერ მიჰხვდება, როგორ ვაფასებ მისგან შემოძღვნილ ნიშანს გრძნობისას.

ვერ მოიგონა ვერც ერთი ჰაზრიანი მოძრაობა სურვილის განსასახებლად, აუცილებელი პასუხის კოხტად მისაცემად. ისადილა. ნაბახურევმა ღვინითვე გამოიბრუნა ღვინის ოშხივარით მიბუჟებული ბუნება. მათრობელ ბუღით მიბინდული ჰაზრთა მანქანა. მოისვენა. გამოცოცხლებულს გამოეღვიძა მზის დახრისას. გონება მაინც არ ამუშავებულიყო სათანადოდ: სასურველი გეგმის ადგილი ტვინის ფიცარზედ ისევ ცალიერი იყო, არაფერი სამოქმედო სახე არ ახატულიყო.

– მაინც პასუხი უნდა მივცე. ფოშტით გავუგზავნი!

– სხვას რომ ჩაუვარდეს ხელში? შეიძლება მარტო არ იყოს, როცა მიუტანენ; შეიძლება სხვამ გახსნას წერილი, მისმა მეუღლემ.

– ვაჰ, უბედურო, მთლად უხერხულო! – შეუტია თავისთავს გაფიცხებულმა.

ისევ მაგნოლიამ უშველა. თითონ რომ ვერა მოიგონა რა, ქალსვე მიჰბაძა, მისგან ნაკვალ ბილიკზედ შედგა: დაწერა პასუხი, შეკეცა იმავე სახით და ჩადო მაგნოლიაში.

– გავალ სასეირნოდ. შევხვდები, მივართმევ საბადლო ყვავილს. იგრძნობს, მიხვდება. სხვა რას გაიგებს?!

იწყო მზადება წასასვლელად. ფანჯარაზედ ედგა ყვავილი. კაცის სიმაღლეზედ იყო მისი სარკმელი ქუჩიდან, გავიდა სხვა ოთახში: ულვაშებს იგრეხ-იხუჭუჭებდა, თმას იგრუზავდა; გაიპეწკა; ჩაიცვა თათმანი; აიღო არგანი; ერთი კიდევ გადაავლო თვალი თავის თავს სარკეში და გამოვიდა ყვავილის ასაღებად. ელდა ეცა: გამქრალიყო მაგნოლია, გაფრენილიყო. დახედა იატაკს, გადიხედა ქუჩაში; მიათვალიერ-მოათვალიერა. ვეღარ იპოვნა. გულს შემოეყარა.

– ალბათ უხეიროდ ჩავრგი და გადავარდა. ვინ იცის, ვინ აიღო! იპოვიან, წაიკითხავენ, ქვეყანას შეგვიყრიან. შე უხერხულო, მთლად უშიქილო!

მაინც წივიდა შეშფოთებული. ტყუილად შეკრთა, ამაოდ ღელავდა! ისე მოეწყო მისი წიგნის ბედი, როგორც ჭახრაკი თავის საბრუნში, როგორც სარქველი თვის ქოთანზედა:

მაგნოლია გააწამა ბარათის ბედმა, რომელი ხელთა ჰქონდა შეუგნებელ თუ უგრძნობ კაცს; ვეღარ ჰპოვა მოსვენება.

– რა ჭაბუკი ყოფილა?! იგი საქები რამ ყოფილა ნამდვილი საქები. ჰკლებია ძალა უნაზესი: მანძილისა და დროის გარეშე მავალ ჰაზრთა შეგნება ელვასებური, მსუბუქფრთიან გრძნობათა უშუალო ათვისება ელდასებური.

ჭეშმარიტს იტყოდა ქალი: ვაჟის ბუნებამ ალღო ვერ მიიტანა მშვენიერის შორეულ მისწრაფებაზედ; მისი მოძრაობის აზრიც ვერ შეიგნო, უკვე ასახულის მოქმედებისა. ეთეროვნება ჰკლებოდა მის სულს, ნივთთა გადაღმა ჰაზრთა შეცნობა.

– ჰაზრმძიმე ყოფილა, გრძნობა ბუნდვილი! ჭაბუკი განათლებული ესე უგრძნობი?! უფრო ჰაეროვანი ეგონა საბრალო ჩემს გულს...

– რად ჰყვედრი, ქალო ან რად ჰგმობ მძიმედ? კარგია დარისპან; მე ძლიერ მომწონს. მეტად მოულოდნელი იყო მისთვის საკვირველი შენი მოქმედება, წარმოუდგენელი და მიტომ დაებნა ჰაზრი გამჭვრეტი, – ჩასჩურჩულა ქალს მკერდიდან ეშხისა ბირთვმა ჩვილმგრძნობიარემ.

გულთან ახლო იყო იგი და წუთზე გაიგო, როგორ ეწყინა მას ქალის ფიქრი მკვახედ სახული.

– ერთობ აჩქარდი, გენაცვალე, და მიტომ დაიბნა ჭაბუკი ფიქრიანი. ეხლაცა სჩქარობ: მიჰხვდება, ჰნახავს, კარგად მოზომავს და მოაგვარებს ყველაფერს, არაფერ ხიფათს შეამთხვევს შენს უსტარს საარშიყოს, ხმა მისცა მარჯვენამ.

იგი გულიდან უფრო მოშორებით ამობუშტულიყო ბროლის კვარცხლბეკზედ და მიტომ უფრო დინჯად სჩვეოდა მსჯელობა კოკობს.

არც ერთს არ უსმინა გაგულისებულმა: უსუსურები ეგონა, განუსჯელები, მხოლოდ გრძნობათა სარაჯებად მოვლინებულნი.

საღამოზედ ადრე გავიდა სასეირნოდ, ეგებ შემთხვევამ თითონ მიჩვენოსო ხსნის გზა. გამოიშლებოდნენ ამ დროს მცხოვრებნი პატარა ქალაქისა, სადგურისაკენ თუ ქალაქის ბაღისკენ იზავდნენ პირსა. რომელი ქუჩით უნდა გაევლო ქალს, მოზომილი ჰქონდა: დარისპანის ბინას არ ასცდებოდა დღეს; უნდა დაენახა უშნო ჭაბუკი მშვენიერი, შემთხვევით მაინც გამოერკვია იღბალი იმ მაგნოლიისა.

– სადგურზედ წავიდეთ; ცოტაღა აკლია მატარებლის მოსვლას.

– კარგი, გენაცვალე! იქიდან ბაღში შემოვიაროთ.

– სიამოვნებით!

– თუ გინდა, მერმე მელანოს ვეწვიოთ, ლოტო მოვაწყოთ.

– ვნახოთ! ალბათ ისიც აქ სადმე შეგვხვდება.

სადგურზედ ორ ქუჩას მიჰყვანდა. ერთზედ უფრო შორეულზედ, დარისპან ცხოვრობდა. მაგნოლიამ იქით შეუხვია. მისი ამხანაგი აზრს ვერ მოვიდა, უთქმელად გაჰყვა. დაუპირდაპირდნენ ვაჟის ბინას. ქალმა დაჰკრა თვალი მაგნოლიას.

– ის არის, ჩემი ყვავილი! გაჰფთხილებია, წყალში ჩაუდგამს, – გაიფიქრა ქალმა და აზრმა უელვა, თავხედმა ფიქრმა.

– მაცა, მაროჯან! – უთხრა თანამგზავრს და წაესწრაფა ფანჯრისაკენ, ასწვდა ყვავილს, ამოიღო; გამოტრიალდა.

– რა ჰქმენ ეგ, ქალო?!

– რას მიგვიხდება. ეძებოს!

– როგორ შევკრთი! ერთიც ვნახოთ, გადმოეხედნა.

– ახლა მეც მიკვირს, როგორ გავბედე.

გადირბინა ხუმრობამ. სხვა საგნებმა მიიპყრეს ყურადღება! სხვა საუბარს შეექცეოდნენ. არა, ორივენი კი არა, მხოლოდ მაროი. მაგნოლია პასუხს აძლევდა, ნაწყვეტს ეტყოდა: მისი გონება ყვავილისაკენ იყო მიქცეული, რომლის ფსკერზედ მოსჩანდა ბარათი, მისივე ნაწერი, ისევ შეკეცილი.

– დახე იმ უშნოს! ვერ მიუგვნია უსტარისათვის. მთელი დღე-ღამე ხელთა ჰქონდა მას ჩემი გული, ვერ კი მოხელა; ვერ ისმინა სათავისო სიმღერა მისი. უჰ! მადლობა ღმერთს, მოისპო იგი საშიში მოქმედება ჩემი, გათავდა სახიფათო ხუმრობა.

შვება იგრძნო ქალმა, მოეხსნა ტვირთი მძიმე მღალავ-მავნები. გალაღდა, ხუმრობის გუნებაზედ დადგა, მარილიანი ღიმილით თუ სიტყვით აამღერა თავის გარშემო შემოკრებულნი. მხოლოდ ერთი ხინჯი ჰქონდა მის გულსავსეობას: ვერ მოეხერხებინა წამოეცალიერებინა ყვავილის გული, ამოეღო იგი ბარათი. რა უშავდა?! შინ მივიდოდა, იქა ჰნახავდა. მაგრა ეჭირა ყვავილი, არვის მიუძღვნიდა იგი მას, ვერვის დაანებებდა.

## 10

დიდ მოუსვენრობას გრძნობდა დარისპანი; არ იცოდა, რა ეფიქრა დაკარგულ ყვავილ-ბარათის შესახებ. რას მიჰხვდებოდა, რომ მისი წიგნი ისე საგანგებოდ მოეწყო: ფრთები შეისხა, გაფრინდა იქით, სად მნათობდა ის საოცნებო. ღელავდა, იძროდა დაუდგრომელად: უჩქროლავდა გული უსვენი; კლდოვან კიდეებს აწყდებოდა სადენს ცდენილი. ლოდიან ხევში დაქანებული.

– რა დაჰმართია ამ ჩვენ დარისპანს, რომ თავის ქერქში აღარ ეტევა?! ირწევ-ირყევა, გადასც-გადმოსცემს.

– მაგარი ღვინო იყო გუშინ და ისევ მთვრალი ბუღი თუ ატანს ძალას.

– ეშხითაც მთვრალივე იქნება, ლამაზ მაგნოლიას ფრთიანი ტრფობით.

– აგერ მაგნოლიაც თავის ამალით.

გაემართნენ მისკენ; ხელი დაუკოცნეს; მიეტოლნენ. დარისპანი ჯერ ხასად იქცეოდა: გამარჯვების გზაზე ეგონა თავის თავი დამდგარი. ქალი თავდაჭერით შეჰხვდა; აღარ არჩევდა იგი მას სხვათაგან, მრავალ თავის ნაცნობებთან.

– ესე უნდა! თუ ამისთანა უგრძნობელია, რომ ჩემმა წერილმა მის სახლში ათია ღამე და მან მაინც ვერ შეიგნო ეს, ღირსი არა ყოფილა ყურადღებისა. სწყინს, რომ ცივად ვეპყრობი. არც ისე ძლიერი ყოფილა: მოტეხილია ჩემის ეშხით. ჯერ ცოტაა შენთვის! – იმუქრებოდა ქალი

და ცდილობდა თვისი ცივი ქცევა არ შეეთბო არც თუ შემთხვევით. უძნელდებოდა: უნივთო ალერსი მკვეთრად სახულ გრძნობად ჰქცეოდა. მეტადრე ძუძუ იწვევდა ჭაბუკისაკენ, მარცხენა ბირთვი გულის გუშაგი; თბილ სიტყვას ეტყოდა ჩაგრულის ფარად. ეჰ, ვერ ახერხებდა მკაფიოდ ეთქვა: ოქრო-ცურვილ ბუდეში ჩაესვათ ნაზი, პირი დაეხშოთ ლამაზისათვის.

მალე დაბრუნდა ქალი; არვის ეწვია; გული ვეღარ უძლებდა, ჩქარობდა, ამოეღო თავისი უსტარი ყვავილის უბიდან და... დაეწვა, ფერფლად ექცია. რამდენი ტანჯვა აგრძნობინა, მღელვარება განაცდევინა! შევიდა გალიაკში, ჩაიკეტა; ამოგლიჯა ბარათი, გადააგდო ყვავილი. ჩაიკითხა; კვლავ გადიკითხა განცვიფრებულმა.

– დარისპანის პასუხი, იმ სამაგლისა, იმ სასურვისა! შორიდან თუ იგრძნო ჩემი მისკენ სვლა და შეამზადა მაგნოლია, ეს პასუხიცა. ჭკვიანი თუა, რომ გამოთვალა ჩემი ფიქრ-გონება და მოძრაობა. მომწონს! ვერ კი მივუხვდი; გული ვატკინე. ნუ, გენაცვალე! თითონ გამოასწორებს თავის შეცდომას შენი მაგნოლია.

იტყოდა ქალი: შენი მაგნოლია. მაინც ნივთიერი ერთობა არ ჰქონდა მიზნად: ქმარი ჰყვანდა, ვაჟკაცი ედგა თავს და... მხოლოდ ალერსი უნივთო, არშიყობა ჰაეროვანი; მსხვერპლგაუღებლად დამონება უკარებლისა. რა საძრახისი იქნებოდა!? ყველასა ჰყვანდა გრძნობათა საგანი ამგვარი, ქალწულს თუ ქმარიანს. ფაქიზი წაწლობა; შორით ბნედა, შორით ალვა; მხოლოდ სახე სრულის შეტკბობის, მოციაგე მის ანარეკლი. ავიწყდებოდა უბრყვილოს, რომ ცეცხლს ეთამაშებოდა მგზნებარ გრძნობათა მავლინებელსა. ალად ავარდებოდა იგი სახმილი და... გადასწვავდა, გადაევლებოდა გადუვალ სამზღვარს. ვერა ჰხედავდა ამ საშიშროებას გრძნობა-ჭარბობით თვალმიბინდული.

გაება ქალ-ყრმის შორის საარშიყო მიწერ-მოწერა. მაგნოლია იყო მათ შორის შუამავალი, გრძნობის ნაჟურთა მატარებელი. დახელოვნებული მოციქული გამოდგა უმანკო. ისე მეამიტად გამოიყურებოდა, თითქო არაფერს საგრძნობს არ აკეთებსო: არ წითლდებოდა უებრო თეთრი; მხოლოდ მაცთურად იღიმებოდა.

მომცრო წერილებს იტევდა ყვავილი, საალერსო თქმებს; კდემის მზღვრებს არ სცილდებოდა ბარათთა შინაარსი. სცდილობდნენ არშიყნი, უბიწოთა ალერსისათვის დაემზგავსებინათ ნათქვამი. იციან ქალ-ყრმათა ეთეროვან სიმების ერთურთში გაბმა: ჯერ მათი გრძნობა ვერ შეუმღვრევია ვნების სიმძიმეს მიწიერისა; ნათელ არსებად აღმოსჩენიათ ერთმანეთი უსამზღვრო უკუნში სამყაროისა და ამღერებენ სიამეს ნათელი სიტყვით, ტურფა შეხედვით, მონარნარე მოძრაობითა. მათა ჰბაძავდნენ გამოცდილები!

მალე გაძლიერდა ერთმანეთისადმი მილტოლვა, შენივთდა, ხორცი შეისხა ნდომით აღსავსე; სიძვის გზა დაიკვლია მოლიჭყული, დაქანებული. მათმა უსტარმაც შეცვალა ხმები აღმაფრენისა, ქვე-ქვე დაეშვა, ჩახშა ციაგი სპეტაკ გრძნობისა; ნდომა ამრავლა აღტკინებული. იმ ხნის წერილებში არის, რომ ერთი ეტყვის: უცხოს უცხო, მიკვირს, ეგრე რად გეკეთეო; მეორე წერს: ღმერთმა ნუ ქმნას, დღეის იქითაც უცხონი დავრჩეთ ერთმანეთისათვისო. მაშ რა უნდა ეთქვათ ან ექმნათ, როცა ნაპატიებელმა ხორცმა გამთქვინებულმა აღარ მოასვენა მოარშიყენი, მედგრად თხოულობდა დაგუბებულ ნივთიერ ძალთა ახალსა სადენს უფრო სანუკვარს?!

ოცნებათა სამფლობელოში ეხლა ერთმანეთს ეკუთვნოდნენ მოტრფიალენი, უკვე დარღვეული იყო ქალის მხრივ სიწმინდე გვირგვინისა. ვაჟი ხომ წინადაც ხსნილ იყო ზნეობრივ საკვირველთაგან, არა გრძნობდა ამ ახალი კავშირით რაიმე ვალდებულობის შებღალვას. ნაჩვევი თუ იყო მოვალეობათაგან ახსნილ სიამეს.

მიჯნურობას ეფიცებოდა სხვის მეუღლეს, საუკუნო სიყვარულს. ტყუოდა შეგნებულად!. ეჰ, ან კი სად არის იმდენი ჭეშმარიტება, სულ მართალი იუბნოს კაცმა...

სირინოზი მოსდებოდა მის ანკესს მსხვერპლად, გამოწევაღა იყო საჭირო, ნაპირს მოტანა, მისი მოხელვა. რა ადვილი მოსჩანდა! თითონვე იწევდა მსხვერპლი მებადურისაკენ. ახალი სიძნელე შეაჩნდა დაახლოვებას, ნივთიერი საბრკომი ძნელად საბიჯი: შეუძლებელი შეიქმნა მარჯვე დროის და ადგილის პოვნა. ეხლა გაუცხოვლდა მაგნოლიას მუოს რძლისადმი სიყვარული; აღარ შორდებოდა, თავს ევლებოდა, თვალ-წარბში უყურებდა. რა უამებაო; სად გაუშვებდა ლამაზს, არა ჰხლებოდა?! ახლა დედამთილი! ფუსფუსებდა, დაგოგმანობდა, ყველა ოთახს თუ კედელ-კუთხეს დასტრიალებდა. იმთავითვე კი ესე იცოდა; შეგნებული არა ჰქონდა, რომ ოჯახის წევრს შეეძლო ჰსურებოდა განმარტოება და მისი სავანე შეუვალი უნდა ყოფილიყო მაშინ.

– სახლში მცხოვრები ჩემიანი ყველა შვილია; რა უნდა ჰქონდეს ჩემგან დასამალავ-დასაჩქმალავი?! მარტო-ტუჩაობა უნებლიეთ შეიძლება უნდობლობად ჩაითვალოს.

– თითონ ბეჟანსაც რომ ეხლა აუდუღდა სიყვარულის კოჭობი! თითქო ახლად ვიყოთო ჯვარდაწერილნი, ისე მევლება თავს; მუხლთან მიზის, აღარ მშორდება. იცოდა თავის საქმეზედ დიდიხნობით წასვლა; ფეხს აღარა სდგამს! – წყრებოდა ქალი.

ჰქონდა საჯავრი: ტკბილი მოსჩანდა ხილი კრძალული, თვალთა წარმტაცი. ვაჟკაცსაც ვეღარ იმაგრებდა, იბრძოდა იგი თავხედობამდინ, ლამის ღობე გადაემტვრია: ყორუღში გადარეულიყო. გაჰმწვავებოდათ ყოფა ჟინაშლილებს; საფარველსა ჰნატრობდნენ, თუნდ რამე ხვრელსა.

## 11

ბუნებრივი იყო განსაკუთრებული ყურადღება ქალისადმი სახლის წევრთაგან, მეტი თვალის მიბყრობა. ქალი რომ ძვირფასი იყო აღნაგობით, ხორცთა სიკეთით, სულიც კარგი ედგა, უზაკველი. მხოლოდ მეტი თვითმოყვარება ჰტანჯავდა მის კარგ ბუნებას, უზომოდ მგრძნობი თავმოყვარება. გალაღებული ოჯახის შვილი იყო, პატარაობიდანვე მშვენივრად თქმული, ნებივრებული და ძლიერ მაღლა შეაფასა თავისი თავი, ღირებულებაზედ აღმატებითა. ქმარიც ვარგისი შეჰხვდა, ყოველმხრივ კარგი და ბუნებრივი შეიქმნა ქალისათვის თვითშეფასებაში წაჭარბება. ქცევაშიაც თამამობდა გალაღებული. უხდებოდა ჭარბი მოძრაობა, ეშხსა ჰმატებდა, სანდომობას უძლიერებდა. ჰხედავდნენ ამას შინაურები; არ უშლიდნენ სახლის თაიგულს, არ ავიწროვებდნენ. თვალი მაინც მზირად ეჭირათ: ნაწრთობი არ იყო ცხოვრებისაგან, აკლდა გამოცდილება; ვერ არჩევდა მგელს ცხვრის ტყავში, თუ ცხვარს მგლის ქურქში, ვერც კანჯარს შინაურს ლომის საბურში და შესაძლებელი იყო, შეცთომა მოსვლოდა, ჭკვა წაეგო, მოეყივნებინა ლამაზი თავი. ახლაც ჯერ ცოდვათა გალავანზედ არ გადაებიჯებინა, მაგრამ ახლო ტრიალებდა; ამასა ჰხედავდნენ მისნი კეთილნი და...

იცოდნენ გამოცდილებმა, რომ ადამიანში ჯერ კიდევ ბევრია მგელკაცური. რა ქნას საბრალომ?! ჯერ ისევ ცხოვრობს მასში ნადირი კბილთა მღრჭენავი, პირსისხლიანი. საშიში იყო მგელ-ადევნებული კრავის ყოფა: ვაჰ თუ კბილი გაეკრა მოსისხლეს. ესეც არა, ავ თვალს ააყოლებდნენ ქალს, ავ ყიას აამეტყველებდნენ და ცოდვა იქნებოდა საპატიო ჯერის გარშემო ევლო-ეფრინა უსახო ჭორსა ბნელით ნაშობს... ერთმანეთისათვის არა უთქვამთ რა ოჯახის წევრებს, არ გაუნდვიათ გულის ნადები, შეთანხმებით კი მოქმედობდნენ ყველანი მერყევი ქალის გარშემო,

დასტრიალებდნენ, რომ ვნებათაგან ალავარდნილი მტაცებელი ისეთს დროს არ დასტანებოდა მსხვერპლს და ისეთს ადგილს, სადაც იგი მხოლოდ თავის ანაბრად იქნებოდა უმწეოდ დარჩენილი.

– ქალი გატაცებულსა ჰგავს ეშმაკეულისაგან და ვერ გაუწევს წინააღმდეგობას, ვერ შეებრძოლება მას, ვის გაჰლომებია ნდომა მდაბალი, დაუწყვეტია ლაგამ-ავშარა და...

დაკვართულიყვნენ მომავალ ბოროტთა საბრძოლველად? მზირ თვალს ადევნებდნენ ფარულს მათ ყოველსავე მოძრაობას. სიძვის სადინელზედ ჩამდგარმა ქალ-ყრმამ, ვერ იქნა, ვერ ჩაითავხელა ჟამი საფერი; ვერ გაითავისწინეს თავი ცოდვისათვის მზაქმნილთ. იცი: დიდი მნიშვნელობა აქვს ნივთიერ დაბრკოლებას ამგვარ შემთხევევებში, საბრკომ ზღვარს თუ კედელს, ახლო სხვის ტრიალს, თუნდ შორით ნაგრძნობ დამკვირვებელ თვალს. ევა ვერ გაბედავდა კრძალული ნაყოფის შეხებას, თუ განმარტოებული არ შეჰხვედროდა აზრიან გველს მისით ღელვილსა, ფართო ფოთლებით დატვირთულ რტოების ქვეშა. ღვთის მზირი თვალიც თუ ვეღარ აპობდა იმ მწვანე ბინდ-ბანდს, მთლად განუჭვრეტელს.

ძალიან დაღონებული იყო ბეჟან. ჰხედავდა, ბოროტი ლირწებისა დასტრიალებდა თავს ავის მომვლენი, მარჯვენა კი არა ჰქონდა ხსნილი, ცეცხლის მახვილით გადაჰღობებოდა მას წინ: არ იყო უტყუარი საბუთი ქალის მიხვრისა რაინდისადმი ბიწიერისა. ყოველდღე შეხვედრა, ხშირად სიარული სახლში ქალისათვის წიგნებით ხელში, სტუმრობის დროს ახლო დასხდომა თუ თვალით ალერსი, ქალის სიარული იმ ქუჩით, სადაც ცხოვრობდა დარისპან, საკმაო მასალად მოსჩანდა ქალ-ვაჟის წინააღმდეგ, ცალცალკე კი არც ერთს მათგანს ძალა არა ჰქონდა სიყვარულის შურით პყრობილ ქმრის წინაშეც კი. უბრალო ალერსი იყო ზრდილობიანი მეგობართ შორის, წაწლობის ბჭემდინაც ვერ მიტანილი. ამის გულისათვის ქალის შევიწროება, მისი გზის ზვერა, მისი ჯალათობა!.. ველური ქცევა დაუნდობელი, დინჯის ცხოვრების ამამღვრეველი.

– იძახი, მიყვარსო; იმოდენა პატივისცემა კი არა გაქვს, ბნელი ეჭვი არ მოარტყა გარს უნდობელი.

– ეჭვს ემონება სული ტანჯული!

– შენი თავი ჩააყენე იმის ადგილას: მთელი თვეობით რომ აღარსად სჩანხარ, ქალმა უნდა იფიქროს, მის ღალატში ატარებ დროსა?

– ღალატში?! ვუმუხთლო მე ჩემს მაგნოლიას?!

– შენსავე დარად შეაფასე ის! რამდენი ქალი გიახლოვდება, გეალერსება, მდიდარ ვაჟკაცს ჯერ ეშხით სავსეს და მაშ ქალი ეჭვით უნდა იტანჯებოდეს; უკანა გდევდეს ყველა სავალში.

– რას ამბობ, კაცო? გამიგონია ეგეთი ცოლი, ადევნებული, მაგრამ... სასაცილო იქნება ეგეთი ქალიც, იგი ვაჟკაციც.

– ოღონდაც! მაშ შენი ქცევა...

აწყნარებდა ღელვილს მსჯელობა, სხვა გზა აძლევდა მის გულისთქმასა, მაგრამ სამოქმედო ძალას ვერა პოულობდა კეთილად მიმართული: ვერ ერეოდა ნებისყოფას, ვერ აყოვნებდა შურისაგან ნაკვეთს გზაზედ. ორ წყალშუა ვაჟკაცი: ვერ ამოეფხვრა ეჭვი გულბნელი, ვერც ჰმორჩილებდა შავ გრძნობას ეგზომ, მის შთაგონებით განევითარნა სასტიკი ქცევა. მაინც ბნელისკენ უფრო იხრებოდა ბუნება მისი.

– თუ საბუთი არა რა ჰქონდა?

– ნივთიერი დამტკიცება ჯერ არაფერი! მაგრამ გულთმისნობისაგან ნაჟური გრძნობა... სიყვარული თუ სიძულვილი, ცნობიერების სხივით განათებულ

ბურჯებზედ რომ არის დანდობილი, გონებისაგან ჯერეთ ურკვეველ შეცნობასაც ემყარება, რომელი ნათელი მსჯელობის სახით კი არა მოქმედობს, უშუალოდა ჰბადებს რწმენას; ბევრჯერ ეს შეუგნებელი შეგნება უფრო ადრე მართლდება, სანამ მსჯელობის ქანდაკებულ სვეტებზედ დაყრდნობილი მოსაზრება გათვლილ-გაანგარიშებული. იმ ბუნდ გრძნობას, ურკვევ შეცნობას დაემონებინა კაცი, ცოლის კვალისთვის აედევნებინა. თვალს ვეღარ აშორებდა ქალს, სახიფათო წარსადენზედ მდგარს; გარს ევლებოდა, იდუმალ ჰზვერავდა, თითქო შემთხვევით.

– ეს წიგნიც წავიკითხე. მშვენიერია! ახლა სხვას მომიტანს ბატონი დარისპანი.

– მითხარი და გიყიდი, რომელიც გინდა.

– რა საჭიროა ყველა წიგნის ყიდვა? წავიკითხავ მოტანილს და დავუბრუნებ.

– დარჩეს სახლში: საკითხავი წიგნები შეგიგროვდება.

ჩაფიქრდა ქალი.

– კარგი! შევადგინოთ კარგი ბიბლიოთეკა. დარისპანსა ვსთხოვ და ჩამოსწერს სიას; თითონვე გაისჯება, მოგვიწყობს ყველაფერს: ძალიან იცის წიგნის არჩევა, ერთობ ნაკითხია. ლამაზ ყდებში ჩავსხათ წიგნები.

– ბიჭო! მე მინდოდა თავიდან ამეცილებინა იმ კაცის სახე, ჩემი რჩევა კი უფრო აახლოებს მას ჩემს კერასთან. სრულებით არ მომწონს, – გაიფიქრა ბეჟანმა და გაჩუმდა, ხმა აღარ ამოიღო ამ საქმეზედ. რაღას იტყოდა?! ისღა აკლდა, ეტლი გაეგზავნა ცოლის მიჯნურისათვის, მოებრძანებინა ბატონკაცურად. უფრო გაძლიერდა უხილავი სირა, ბეჟანის მბმელი, უწყვეტი გახდა. და გარს უვლიდა შურით აღსავსე იმ არემარეს, სად ეხვეოდა მის საუნჯეს ბოროტი ბნელი.

## 12

მოახლოებული იყო შემოდგომა. მსხალ-ვაშლი მოწეულიყო კარის ვენახში. ფოთოლი ჯერ არ ჩაშლოდა არც შეყვითლებულ-შეწითლებულიყო, ხასხასი მწვანე კი ვეღარ იყო; ჟამთა სვლას დაეპურებინა, სილბო წაერთმია, ეშერკებინა. ბეჟან ბაზარში იყო გასული: ადრე იცოდა ადგომა, დილიდანვე დაიკვართებოდა სამუშაოდ. დღესაც დახედა საკეთებელს, მოისაზრა, უთხრა სათქმელი, თუ ვისთან საქმე ჰქონდა და შუადღის ხანს შინისაკენ ქნა პირი. გვარიან გუნებაზედ იყო: მის დაწყებულობებს სარჩოსაკენ ექმნათ პირი, შეძენის გეზზედ შემდგარიყვნენ; ის ახალისებდა.

ზევიდან გადმოუარა თავის სახლ-კარს, გორაკის მხრიდან. გახსოვს: იქიდან ჩამორბოდა ცელქი ნაკადი, იქით ასდევდა მის კარის ვენახს ხშირით ხეხილი. ვენახი იქაც იყო, მაგრამ მაღლარი; ხეებს აჰყოლოდა ვაზი, ჭდეებად აღენიშნა თავის სახვევი, გველის ნაცურავივით ფხვიერ მიწაზედ. ერთ ადგილას გრძელი სკამი იდგა, ლაღად გადაშლილ ბერ პანტის ქვეშა. მიდიოდა ბეჟან, მიიმღეროდა.

ჩემო შავტარა დანაო,
მარცხენა ძუძუსთანაო...

– გახსოვს ეს ხალხური ლექსი ძლიერი? არა? გეტყვი, კარგო, ყველას გიამბობ, თუ დრო მომეცა.

შვინდაწალა შეჰხვდა ლელწამივით ზრდილი, საარგნედ საუცხოვო. მოსჭრა ხანჯლით. მიდიოდა. ხანჯლის შვილით სხეპდა, სთლიდა, ასწორებდა.

რა ურსა იყო! ბეჭის სათლელად ბადალი არ მოიძებნებოდა. განა რკინა იყო ხელკურთხეულის ნაჭედი, ალმასი იყო! იგი ფოლადი ფხასხმული. იცოდნენ, ბეჟანს

მიართმევდნენ ბეჭს: დანა, სიმარჯვე, თვით ხელოვნობა! ოშხივარი ასდიოდა სუნნელოვანსა. პატივი სიყმილს! ქარვანარევ ვარდის ფურცლებად ითვლებოდა მადის მაღვიძი.

ნათელი იყო ბეჟანის ცნობიერების ცა და ვერ გაეგო, რად არ მღეროდა მისი გული სასიხარულოს, რად აცეკვებდა სევდიან ხმებსა.

– რად რა მაწუხებს, რა მხდის უგემოდ?! ახ, სევდა უხსნელი, თან უჩინარი! ამედევნა ის კაცი ბოროტ სულივით; აღარ ისვენებს, აღარ მასვენებს. რა ცუდია ესეთი მტერი! შებრძოლების მიზეზი არ სჩანს; თვალის მოშორება და დაწყნარება შეუძლებელია. ბოროტი ურკვევი...

ჩამოჯდა ხის ქვეშ. შეუგნებლად განაგრძობდა ჯოხის კეთებას. მარჯვე არგანი გამოვიდა, მაღალი, სწორე. დაუკვერცხა თავ-ბოლო. დაიქნია. მძიმედ მოხვდა ხელში.

– გახმება, მაინც საკმაო სიმძიმე შერჩება; შნო ხომ აქვს და აქვს. შვინდაწალა არ ჩამოუვარდება სიმკვრივით შვინდსა, ყლორტი კი უფრო სწორე იცის იმაზედ.

ჩემო შავტარა დანაო,
მარცხენა ძუძუსთანაო...

გადიბერტყა კალთები. უნდა ამდგარიყო, რომ ფოთლებ შუა თვალი მოჰკრა თეთრ კაბას თავის ცოლისას.

დარისპანი ასდევნებოდა. უღიმოდა; ერთობ რკალდებოდა თავდახრილ ქალისკენ. გამოიარეს მსხალთან. ვაჟმა მოწყვიტა ნაყოფი, მიართვა. ქალმა იგემა. რაინდმა ჩამოართვა ხილი და მის ნაპირზედ მოავლო ბაგე.

– ეჰე, კარგი ნიშანია! სიყვარულის მამტკიცი მოძრაობა...

მიდგა პანტის ძირს, მიიმალა. ბოროტად აღგზნებული თვალებიღა გამოსჩანდნენ ცეცხლის მფრქვეველნი. ბნელა ყოფილიყო, ალად ავარდებოდნენ ხედვის ისარნი, როგორც მგლის თვალი, ვით დევის ჭვრეტა.

– გამოჩნდი, ბეჟან, გახმაურდი: ძირშივ მოჰკვეთე ნერგი ბიწისა, დასაწყისშივე, – უთხრა კეთილმა.

– მიიმალე! შენ თითონ ჰნახავ და დარწმუნდები! – უბრძანა ავმა.

სძლია ბოროტმა; მთლად მიიმალა მზირი, უჩინარ იქმნა. ვაჟმა მკლავი გაუწოდა. დაენდო ქალი, ხელი-ხელს გაყრილნი დაუპირდაპირდნენ დიდ პანტას. ქალი ნელა იძროდა: მუხლი თუ ეკვეთებოდა. შემოვიდნენ ხშირ ფოთლიანში. ვაჟმა მიიზიდა მშვენიერი და...

მათი კოცნა და ბეჟანის მათ წინ გაჩენა ერთს წუთს მოხდა. შეითამაშა შვინდაწალამ, თავს გადაეწნა თავხედ ჭაბუკსა. წითლად შეიღება ქოჩორი, სახე: კანი თუ დასკდა არგნის ალერსზე. გასტყორცნა ჯოხი; შეიმაღლა დანა. ქალის სახე დაუხვდა წინ შეძრწუნებული, გაფითრებული, თვალდაკარგული. ელდისაგან მიმშრალ სახეზედ ცხვირიღა იდგა ისევ ამაყად, ლამაზი მილი ეშხით ნაგები. შემაღლებულმა დანამ ასწერა ჰაერში მოკლე წრე და...

მოედო სამკაულს ქალის სახისას, ზედ შემაღლებულ ადგილას მოჰხვდა, მსწრაფლ ჩამობალთა ნესტოთა ფსკერიც. გადაწვა ცხვირი. დახედა კაცმა იავარქმნილსა თვისსა საუნჯეს და...

გაცოცხლდა დანა ბეჟანის ხელში; უძლეველად გაიწია ავად ასულდგმულებულმა მისსავ მკერდისკენ; ტარამდის დაესვა ძუძუს მარცხენას.

# ხაზართა სასძლო

## 1

იორის შემდინარე აძეძის სათავეში, სადაც იგი ჰსერავს კუხეთის მთას თვით თხემამდისინ და უახლოვდება ნოკორნის ხევსა, მიმართულს უკვე არაგვისაკენ, უღრან ტყეში სდგას მონასტერი გუმბათიანი, კეთილშენი, წმიდა სიონი. აშენებულია ტაძარი არჩილისაგან. იქვე განისვენებს წამებული: თავი წაჰკვეთა მეფეს არაბთა ემირმა ასიმმა.

მშვენიერი ვაჟკაცი იყო არჩილ. პირველში დაინდო იგი თვით კაცთმოძულემ, რომელსაც თვალი მოსჭრა ვაჟკაცის აღნაგობამ.

აქო მან სიკეთე მისი, სისრულე ჰასაკისა მისისა, უმეტესად მშვენიერებაი პირისა მისისა.

...თვალთ გახვენ შენ ქმნილკეთილობისა შენისათვის, რამეთუ ფრიად ქმნილკეთილ ხარ! ეტყოდა მეფეს ასიმ განცვიფრებული.

ქართველ სასანიანთ გვარად მოსდგამდათ მშვენიერება.

ამ ტაძარში, მარცხენა კედელზედ, დახატული იყო დიდი სურათი არჩილის ოჯახობისა, თითონ იგი და მისი ცოლ-შვილი. განაპირას ეხატა ქალი მთლად ნორჩი. ძლიერ მიზიდავდა ბალღს ეს ქალწული. მისი დიდრონი თვალნი ოდნავ დახრილნი, წამწამთ ტევრებით მთლად დაჩრდილულნი, დღესაც წინ მიდგანან. სულ მე მიყურებდა ხატი, თვალს არ მაშორებდა. რა დაღონებული სახე ჰქონდა მშვენიერს! მეტყოდნენ მისი თვალები; ქალს უნდოდა ებრძანებინა ჩემთვის, კიდეც მიბრძანებდა. ვერ გაეგონებინა! რომ ვუყურებდი დაჟინებით, ცოცხლდებოდა იგი სურათი. უთუოთ ხმას ამოიღებდა, გამაგონებდა თავის წადილს, თავის სურვილს ძლიერს, თუ მარტო დავრჩებოდი მასთან საყდარში. არ შეიძლებოდა: ნებას არ მაძლევდნენ.

გავიდა ჟამი მრავალი. არ განქრა ჩემში ეს სურათი მეტყველი, არ მიეფარა ჩემის გონების თვალთაგან იგი. ვიცოდი, ბალღური რამ შეგრძნობა იყო ეს, ძველი სიზმარი საკვირველი, წყალწასაღები; მაინც ვერ ვივიწყებდი: უბრუნდებოდა გონება სურათს.

ვნახე წიგნებში; შევისწავლე, რაც ეწერა იმაზედ. გავიგე, რომ ეს უმცროსი ქალი არჩილისა ჰგვანდა მამას სახეთაც, აღნაგობითაც; მხოლოდ უფრო ნაზი იყო, ჰაეროვანი. ვერ დავკმაყოფილდი: არსად ეწერა, რას მეტყოდა მისი ხატება, რას მიბრძანებდა. მაინც ვიგრძენი სულ ბოლო დროს იგი სათქმელი, ამოვიკითხე ყოველივე მის თვალებიდან და ავნუსხე სივრცე-სიღრმე ქალის გრძნობათა, ჩემთა განცდათა.

## 2

მეფე არჩილის კეთილად მიღებამ აგარიანთა ემირის მიერ და მისდამი მეფური პატივის მიბყრობამ იმედები ჩაუსახა ქართველებს გულში: ეგონათ, არაბთა ხალიფა იკმარებდა საქართველოს მოხარჯეთა რიცხვში მოქცევას, იგულვებდა მას თავის მომხრე ქვეყანად და კეთილად შეიწყნარებდა; ეგონათ, არაბნი არ შეეხებოდნენ საქართველოს თავისუფლებას, ქართველთა ხალხის თვითმყოფობას. საკმაო იქნებოდა ესეთი დამოკიდებულობა არაბთათვის, თუ მათ შორს გამჭვრეტელობის უნარი ჰქონოდათ: საქართველო ვეღარ შესძლებდა, აღარც ინებებდა, დიდი რამ საქვეყნო

საქმე დაეწყო აგარიანთა დაუკითხავად, მათის ნების წინააღმდეგ, და მოისპობოდა საქართველოში ბიზანტიის გავლენა, რომლის უძინებელი მტერი იყო არაბისტანი.

ამით დაკმაყოფილდებოდა საქართველოც: არჩილის თვისი ნებით მისვლა ემირთან ამ სურვილებზედ იყო დამყარებული, ამგვარ იმედზედ. აღარ შეეძლო საქართველოს კვლავ განეგრძო უსწორო ბრძოლა, დაშვრა იგი გადიბზარა; უკაცური შეიქნებოდა ქართველთ ქვეყანა მშვენიერი; უდაბნოდ გარდაიქმნებოდა ქართველთა სისხლით მორწყული მათი სამკვიდრებელი ედემის სახე, უშენ ადგილად გარდაიქცეოდა. ამის გამო შიშითა და იმედით შეჰყურებდა ქართველი ხალხი არჩილის გზას სახიფათოს, ფრიად საძნელოს, მანამ გაიგებდა, როგორ მიიღო იგი ემირმა.

გავრცელდა ხმა, ემირმა კეთილად მიიღოო; ბრძანა, მეფური პატივი მიებყრათ მისთვის. გაიხარა ქართველმა: ეგონა, დადგა დრო წყნარად ყოფნისა, თავისუფლად მუშაობისა.

მტრებს არ უამათ ეს ამბავი, ბევრეულ დუშმანს, რომელი ჰყვანდა საქართველოს შიგნით თუ გარეთ და კერძოდ ქართველ სასანიდთა გვარეულობას. გარდაბანელი მთავარი ფეროზ იყო ერთი ამისთანა მტერთაგანი; იგი ელოდდა მარჯვე დროს, რომ სისხლი აეღო სასანიანთაგან. იპოვა ჟამი! დაასმინა რჯულდაკარგულმა არჩილი და განაახლა ემირის რისხვა. ასიმს ვერ აეღო ისტორიული სიმართლის ალღო; პირფერობა ყოფილიყო მისი ლმობიერება, უსაფუძვლო მისი შორს ჭვრეტა: უარჰყო არჩილ ქართველთა მეფედ, არ აღიარა საქართველო თავისუფალ სახელმწიფოდ თვითმბრძანებელად, მოისურვა მისი შედუღება ხალიფის თვალუწვდენელ სამფლობელოსთან. არ დასჯერდა იგი იმ მსხვერპლს, რომელიც მზად იყო საქართველოს გაეღო და...

და აწამა მეფე-ვაჟკაცი, მამულისათვის, სჯულისათვის თავდადებული გმირი უტეხი.

ამ ამბის გაგონებაზედ ბოროტმა ღელვამ აიტანა ქართველნი. გაიხიზნა, მიუვალ ადგილებს შეეფარა ყველა, ვისაც არ შეეძლო პირად მიეღო მონაწილეობა ატეხილ ბრძოლაში. დამალეს ყოველივე ქონება თვისი. დაირაზმა მტერთან საბრძოლვად უკანასკნელი ძალა მებრძოლი. მეფის დაობლებულ ოჯახის წევრნიც შეიხიზნენ კახეთის ხევში, შეაფარეს თავი კასრისა ლაკვასტის ციხეებს.

ეს ადგილები მიუვალი იყო თვით გამარჯვებულ მტრისათვის აზავთებულისა, თუნდაც ეს ეხლავე წამოსულიყო სამეფო ოჯახის ასაკლებად და მოსასპობლად. ძლიერ შესაძლო იყო სარკინოზთ ესარგებლნათ ქართველთა დროებითი შეკრთომით და გამოსულიყვნენ გამარჯვებულნი ციხე-ქალაქებიდან, მოსდებოდნენ მთელ საქართველოს, მოესპოთ ქართველთა თავისუფლებაც, მეფის გვარეულობაც.

სიფრთხილეს ნაჩვევი ქართველები მაინც ესე ფიქრობდნენ, ესე ზომავდნენ საქმეს და ამიტომ ქართველთა დიდებულნი რკალივით შემოერტყნენ მეფის დაობლებულ ოჯახს, მეტადრე არჩილის სიძე-ერისთავები, მისი ძმის მირის ასულთა მეუღლეები. ამ შვიდ წარჩინებულ ერისთავთა შორის მეფის ოჯახობის მცველად იდგნენ ქართლს ერისთავი ნასრე, ვარაზმან კოტმანელი და ხერთვისის ერისთავი ჯუანშერ, რომელთ ჯარები უკვე დარაზმული ჰყვანდათ და საომარ ფეხზედ დაყენებული. სხვა სარდლები გასულიყვნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და იქ აგროვებდნენ ჯარებს მკვიდრთაგან თუ დაქირავებულ უცხო ტომთაგან, რომ მძლავრად შეჰბმოდნენ გალაღებულ მტერს.

არჩილის დაკრძალვის შემდეგ ქვეყნის მმართველად აღიარეს მისი უფროსი შვილი იოანე. მეფედ ვერ აკურთხეს: დრო არ უთხრობდა, შემდეგისათვის გადადეს ეს

საზეიმო საქმე, როცა ცოტათი მაინც მომაგრდებოდა ერი და დამშვიდდებოდა. ესე განბჭეს და დაასკვნეს: თითონ იოანე უნდა გადასულიყო დასავლეთ საქართველოში, ეგრისში უნდა დაედვა ბინა, როგორც უშიშ ადგილას, სადაც უფრო ადვილად შეიძლებოდა ახალი ჯარების შეკრება და დარაზმვა; თანაც ეს მხარე უფრო ახლო იყო ბიზანტიასთან: იგი ელინთა ახალშენებს ესამზღვრებოდა შავი ზღვის პირას, და ადვილი იყო საქართველოს მეფეს მიეწვდინა ხმა კონსტანტინოპოლში, რომ მიეღო იქიდან რაიმე დახმარება ათავხედებულ მტრის წინააღმდეგ. უმცროსი ძმა ჯუანშერი უნდა დაბინავებულიყო კახეთს, რომ მეთაური არ მოჰკლებოდა არც აღმოსავლეთ საქართველოს, რომელიც მაშინ უფრო დიდს განსაცდელში იყო. ბატონიშვილ ჯუანშერის გარშემო უნდა მომხდარიყო აღმოსავლეთ საქართველოს ძალთა შეჯგუფება თუ შენივთება. იოანე რომ გაემართა დასავლეთ საქართველოში, თან წაიყვანა თავისი დედა და დები. უმცროსი დაი შუშანი დარჩა ჯუანშერთან. ესენი გამაგრდნენ კახეთის ხევში. აქედან უნდა ეწყო ბატონიშვილს მართვა ქვეყნისა: აქ უნდა მოეგროვებინათ ქართველი ლაშქარი და დაემზადებინათ საბრძოლველად. ესე ფიქრობდნებ საქართველოს გამგებელნი თუ მათნი მრჩეველ-მშველელნი.

**3**

არაბნი ძლიერ წახალისებულნი იყვნენ თავისი გამარჯვებით, ცხებულის სისხლით დამთვრალნი შესდგომოდნენ ხოსროიანთ ამოფხვრას საქართველოში. მწე და მშველელნი არსაიდან ასჩენოდა განწირულ დინასტიას; სპარსეთი მძლავრი ლომი მთელის ირანისა, სასიკვდილოდ დაჭრილი განთხმული ეგდო უძლეველი ხალიფის ფერხთ ქვეშ; უკვე მოსპობილი იყო ეს ბუნებრივი მოკავშირე საქართველოსი და მშველელი ქართველ მეფეთა. ბიზანტია იმავე თავით ეჭვის თვალით უმზერდა ქართველ ხოსროიანთ და ეს უნდობლობა მტრობად შეიცვალა, როცა არჩილი ეახლა ჭიჭუმს: ბიზანტიამ დაასკვნა აქედან, რომ ქართველნი მტკიცე ზავს აპირობდნენ არაბებთან. მართალია არჩილის წამების შემდეგ დარწუნდა საბერძნეთი, რომ ასიმის ამისთანა ისტორიული შეცდომის გამო საქართველო გასწყვეტდა კავშირს აგარიანებთან და ისევ ელინებისკენ იბრუნებდა პირს, მაგრამ არჩილის მიხვრა არაბთაკენ, ასიმისაგან ვერ შეგნებული მისი ცდა, მაინც იარად ეტყობოდა მას გულზედ. ბიზანტია ეხლა ფიქრს მისცემოდა იმის შესახებ, რომ საქართველო უფრო მჭიდროდ შეეკავშირებინა თავისთან. ამ აზრის გასახორციელებლად აუცილებელი იყო სასანიდთა დინასტია ისევ ჩამოსცლოდა საქართველოს ტახტს, მთლადაც მოსპობილიყო ეს აზიისაკენ სურვილით მომზირალი გვარეულობა, ხოლო ტახტი დაეჭირა სხვა შთამომავლობას. მჭიდროდ დაკავშირებულს საბერძნეთთან და რჯულთან ქრისტესი, თუნდაც ისევ იმავე ბაგრატიონთა გვარს, რომელს ნათესაური კავშირი ჰქონდა ბიზანტიის იმპერატორთან. მაინც ხომ ამ მიზნით იყო ეს გვარეულობა დაწინაურებული და თუ სკიპტრა ისევ სასანიდთ ჩაუვარდათ ხელში, ეს სტეფანოზ პირველის ბრალი იყო, რომელმაც არ ინება თავის მოხრა დიდ ბიზანტიის წინაშე. ელინთა ესეთი გულისთქმა კარგად ესმოდათ სასანიანთ და იოანეს დიდი იმედი არა ჰქონია ბიზანტიისა ამ მისთვის ძლიერ გაჭირვებულ ბრძოლაში. მაინც იქით იწევდა წყალწაღებული, არა საიმედო საბერძნეთისკენ.

იყო მესამე ძალა ძლიერი კავკასიონის მთათა გადაღმა, ხაზართა სამფლობელო უძლიერესი. ხაზარეთი ამ დროს საშინელ ომს აწარმოებდა არაბებთან. ეს დიდი სახელმწიფო ჩრდილოეთისა ჩამოშვებულიყო გურგანის ზღვის და კავკასიონის შუა თვით არეზამდინ, აქ შეჰხეთქებოდა სამხრეთიდან მომავალ უძლიერეს ტალღას

აგარიანთა და დაწყებულიყო ბრძოლა ბუმბერაზული. ეხლაც სარკინოზთ მძლედ მოუძღოდა ხაზარეთისკენ დიდი სარდალი მასლამა, თვით ხალიფის ძმა, მმართველი ჩრდილოეთ ირანისა; დარუბანდს მისწდომოდა მისი ლაშქარი. ამ გარემოებებში საქართველოსთვის ხელსაყრელი იქნებოდა ხაზარეთთან თანამშრომლობა არაბთა წინააღმდეგ. ხაზართა ძლიერი ძალით და სიმრავლით შეიძლებოდა ესარგებლნა ქართველთ სამეფო სახლს ამ უკიდურეს განსაცდელის ჟამს: გახსნიდა დარიალს, გადმოიყვანდა იქიდან დაქირავებულ მეომრებს და მათით გააძლიერებდა თავის ლაშქარსა. ნაცადი გზა იყო ეს, ბევრჯელ მიემართათ წინათ ამ ხერხისათვის ნებროთიანთ გვარის მეფეებსაც, სასანიანთაც, მაგრამ ხოსროიანთათვის ეს გზა მაშინ მთლად დახშილი იყო: ხაზართა საკანი მათგან ფრიად ნაწყენი იყო, გარისხებული, და ეს პირადი განცდა ბოროტი ისეთი ძლიერი იყო, რომ ხაზართა კეისრისათვის უდრიდა უდიდეს სახელმწიფო საქმეს. ეს პირადი სიმწარე გარდუვალ ზღუდედ იყო აღმართული და ქართველთა მპყრობელნი ვეღარ გაიხედავდნენ ჩრდილოეთისაკენ იმედის თვალით. ეს მტრობა ხაზართა მეფისა იმისაგან იყო გამოწვეული, რომ მან მოყვრობა სთხოვა ქართველთა მმართველს, ამან უარჰყო იგი კავშირი; ქალი სთხოვა სასანიანებს, არჩილის ქალი უმრწემესი, მათ არ მიიღეს ხაკანის თხოვნა. დაჰგმეს იგი მისი სურვილი. ხაკანს კი აღარ შეეძლო დაჰხსნოდა თვის სურვილს ვნებად გარდაქმნილს, ვერ ჩაექრო მას თვის მისწრაფება ძლიერი, ვერც ჩაენელებინა. დროს ეძებდა, მარჯვე შემთხვევას გულის წადილის ასასრულებლად. იპოვა კიდეც ისეთი დრო მოხერხებული, გარემოებებმა შეუწყეს მის სურვილს ხელი.

არჩილის ოჯახი ჯერ ისევ სიონში იყო, მეფისაგან იქ ნაშენ პალატებში, თავს ვერ ანებებდნენ წამებულის ადგილს განსასვენებელს: მეფე იმედს აძლევდა დაობლებულ ოჯახს თვით საფლავიდან. მისი აჩრდილი ჯერ ისევ მიმოვიდოდა ჭირისუფალთ და მათ გარშემო შეჯგუფებულ თავდადებულთა შორის. აღარ კი შეიძლებოდა მეტი ხანი უმოქმედოდ ყოფნა და გლოვა; წამებულ არჩილსაც შეამძიმებდა მის მახლობელთ ნებისყოფის მშლელი ნაღველი. ბჭობდნენ ხალხის ჭირისუფალნი, აზრობდნენ, რომ მოზომილად ემოქმედათ ქვეყნის სახსნელად.

– მაინც სად წავიდეს ეხლა მეფის სახლობა, რომელ სიმაგრეს მიენდოს იგი, რომელ ბურჯს დაეყრდნოს ამ საერთო რყევის ჟამს?! მე ეს პატარა სიმაგრეც ისევე მისანდობელად მიმაჩნია დღეს, როგორც სხვა ციხე-ქალაქები: ვიცით მაინც, რომ აქ მეფის სახლობას ნამდვილთ ერთგულნი ახვევიან გარს, – ამბობდა გულგატეხილი ერისთავი ნასრე.

– ვერ გეთანხმები! შეუვალი ადგილები, მტერთაგან შეულახავი, კიდევა გვაქვს საქართველოში; მხოლოდ ძნელია და საშიში მეფის სახლობის იქ გადაყვანა: მტერი თვალს გვადევნებს; შეიძლება გაბედოს, თავს დაგვესხას და განსაცდელში ჩაგვყაროს ყველა, – შეუბრუნა სიტყვა ვარაზმან კოტმანელმა.

– აქაც საშიშია: ციხე პატარა არის, მთლად გაუმაგრებელი; უბრალო გალავანია, – შენიშნა ხერთვისელმა.

– არც თუ ძალიან საშიშია, ოღონდ კი უგრძნობლად არ დაგვესხას მტერი თავს: ახლო გვახლავს მთა შეუვალი, – დასძინა ლეონ აფხაზმა, რომელიც მოსულიყო არჩილის საფლავის პატივსაცემად, ჭირისუფალთ სანუგეშებლად.

– ჩემო მოჭირნახულენო! დრო აღარ არის მხოლოდ ჩვენზედ ზრუნვისა, მიუვალ ადგილის ჩვენთვის ძებნისა. დაუყოვნებლივ უნდა დავადგეთ ფართო მოქმედების გზას.

– ბრძანე, დედოფალო!

– მემკვიდრე იოანე ეხლავე უნდა გამოცხადდეს მეფედ საქართველოსი! ისეთ ადგილას უნდა დავამკვიდროთ იგი, რომ მოშორებით იყოს მტრისაგან, თანაც შესაძლებელი შეიქმნას მისთვის ლაშქრის შეკრება თვისის მეფობის განსამტკიცებლად, – ბრძანა არჩილის მეუღლემ, დიდ უბედურობაში გაკაჟებულმა.

– ჭეშმარიტსა ბრძანებ, დედოფალო! ან ჩვენი ძალების განმტკიცება და სისხლის აღება, წმიდა სისხლის ანაზღაურება, ან სიკვდილი ბრძოლის ველზედა! – წარმოსთქვა ამირსპასალარმა აღსართან, რომელიც ძლიერ ეწინააღმდეგებოდა არჩილს სარკინოზთა ურდოში წასულიყო. იგი დღესაც ვერ შერიგებოდა იმ უბედურ ნაბიჯს, როდესაც მეფემ თავისი ხელით გადასცა იარაღი მტერს უძინებელს, სამოწყალოდ მიაბარა თავისი თავი აფთარს ჯაგარშლილს.

– ერთადერთი გზა არის ხსნისა; დასავლეთ საქართველოში უნდა წაბრძანდეთ; ეგრისია ეხლა მხოლოდ ის მხარე, სადაც საშიში არ არის თქვენი ყოფნა და სადაც შეიძლება საკმაო ჯარი შემოკრიბოს ბატონმა მეფემ, – ბრძანა სახლთუხუცესმა როსტომ.

– ეგრისს ამბობ და კარგად აზრობ! მაგრამ არ შეიძლება მთლად თავი დავანებოთ ქართლ-კახეთს, უმწეოდ დავსტოვოთ, ფხიზელ დარაჯად არ ვედგეთ მთელ აღმოსავლეთ საქართველოს და დიდებულ სავაჭრო გზებს, რომლებით დასერილია ეს ქვეყანა გარდიგარდმო თუ აღმა-დაღმა.

– ჭკვას ახლოა! რახან მეთაურებს გაიგულებს მტერი, უფრო გამძლავრდება და ხელში დაიჭერს მთელ პირაქეთ ქვეყნებს; შავა შეუვალ ადგილებშიც ჩვენის მთებისა, სად ჯერ ვერ დაუდგამს მას თავისი ბილწი ფეხი.

– შეუძლებელია მთელი აღმოსავლეთ ქვეყანის უპატრონოდ დატოვება: იმედს დაჰკარგავს ხალხი, იფიქრებს: ჭირისუფალნი ილტვიან, ეტყობა შესაძლო აღარ არისო გავუმკლავდეთ მტერს და...

– და გაკადნიერდება მტერი, შეაგინებს ხალხის სიწმინდეთა, მოსპობს ნათელს ქრისტიანობისა და მის წილ განამრავლებს ბნელ სჯულს ცრუ წინასწარმეტყველისას, – დაურთო სიტყვა დოსითეოს ტფილელმა.

– გაუტყდება ხალხს გული, რა განშორდებიან მას მესვეურნი: ვერ დარწმუნდება, რომ ბატონი მეფე სწორედ იმისთვის უნდა წაბრძანდეს აქედან, რომ დასავლეთიდან განამტკიცოს თვისი სამეფო ტახტი, იხსნას ხალხი სხვის მონობისაგან.

– მაშ, რა უნდა ვქმნათ?! აქ დარჩენა ჩვენი სახიფათოა, არც სასარგებლო, ამბობთ თქვენ; ჩვენი წასვლაც საზიანოაო. სთქვი შენი სიტყვა, – მიჰმართა იოანემ ვაზირს.

– ჩემის ჰაზრით, ბატონო მეფე, ესე უნდა მოვიქცეთ: შენ ეხლავე განცხადებულ უნდა იქმნა მეუფედ საქართველოსი, როგორც წესია ჩვენი და კანონი. მეფედ კურთხევა შემდეგ მოეწყოს. მყისვე უნდა წარემართო ზღვის პირისაკენ. ბატონიშვილი ჯუანშერ აქ უნდა დარჩეს, ქართლ-კახეთში, რომ ხალხმა არ იგრძნოს თავისი თავი მიტოვებულად. მაშინ ჩვენც უკეთ შევსძლებთ ბატონიშვილის წინამძღვრობით ვიმოქმედოთ აქ. მის გარშემო შემოვკრიბოთ ხალხი და ლაშქარი.

– მოსაწონია! უბრალო რამ ბრძანებისათვის აღარ დაგვჭირდება კაცების გზავნა და პასუხის ცდა. გამოცხადდეს ჯუანშერ გამგედ ქართლ-კახეთისა, მეფის ხელქვეით მთავრად აღმოსავლეთში.

– ბატონიშვილი ჯუანშერის მარტო დატოვება არ შეიძლება: გამოუცდელია, მთლად ახალგაზრდა. არც მთავარსარდალი იქნება აქ და...

– ეგ არაფერი! ჩვენი გამოცდილება გვერდით ახლდება მას, – დასძინა თავმომწონედ ხუნძთა და წუქეთის ერისთავმა აბუხვასრომ, რომელს მირის უმცროსი ქალი ჰყვანდა მეუღლედ და განაგებდა მთელს კუხეთსა და მთას.

– ემჯობინება, სამეფო ოჯახი ორად გავანაწილოთ. შენ, დედოფალო დიდებულო, ბატონ მეფეს უნდა გაჰყვე თან: უფრო ძლიერი იქნება მისი მოქმედება და გავლენა, როდესაც გვერდს ეყოლება თვით დედოფალი, მეუღლე სჯულისთვის ქვეყნისათვის წამებულისა, – დასძინა ვაზირმა დაბეჯითებით.

– თანახმა ვარ. ორს ჩემს დასაც მე წავიყვან თან: დიდი განსაცდელი გვიძევს წინ და თუ ერთნი ჩვენთაგანნი დავიღუპებით, მეორენი ეგებ გადავრჩეთ ღვთის განგებითა, – ბრძანა იოანემ.

– გვეყო, ბატონო მეფე, განსაცდელი და ჭირი დიდი: არჩილის წმინდა სული მეოხ გვეყოფის წინაშე მეუფისა ყოვლად მოწყალისა, – წარმოსთქვა კათალიკოზმა და გადასახა ჯვარი.

## 4

დასთანხმდნენ ბჭენი; გარკვეულ ჰაზრს დაადგნენ იგინი. მცირე საუბარი გამოიწვია კიდევ იმან, რომ ზოგნი მაინც მოითხოვდნენ, იოანე მაშინვე კურთხებულიყო მეფედ. ვერ გაიმარჯვა ამ ჰაზრმა: ძნელი იყო იმ გარემოებებში საქართველოს წარმომადგენელნი უკლებლივ შეეყარნათ, რომ ჩვეულებისამებრ ყველა თემს და ყოველ კუთხიდან მიეღო მონაწილეობა ამ ზეიმში, მით მთელი ხალხის ნებისყოფა დაჰმჩნეოდა იმ დიდებულ მოქმედებას.

– ხალხის მოწვევა და სათანადო დიდებით გარდახდა დღესასწაულისა შეუძლებელია ეხლა; ძლიერ საფრთხილოც არის ამ ნაბიჯის წადგმა. ბიზანტია არ დაადასტურებს ამ დასკვნას: იგი ცდილობს, საქართველოს ტახტზედ აიყვანოს თავისიანი.

– აღარ გვენდობა ბიზანტია: ცხად იქმნა მისთვის ჩვენი სურვილი ხალიფთან შეთანხმებისა, ეს არაბთათვისაც და ჩვენთვისაც ხელსაყრელი ჰაზრი, შეუგნებლად ჩაშლილი ასიმისაგან.

– თითონ საქართველოშიც ბევრი ჰყავთ ელინთ თანამოაზრე და თანამგრძნობი; ისინი ისარგებლებენ ამ ძნელი დროთი და აღრევას შეიტანენ ერში.

– კარგი! და მით უფრო სწრაფად უნდა მოხდეს ბატონი იოანეს გამგზავრება, თორემ შესაძლოა ბიზანტიელებმა ეხლავე გამოიყვანონ მეფის მეტოქედ სხვა, ამბოხება შემოიტანონ დასავლეთიდან.

დაასკვნეს, დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყვნენ იოანე, ქვრივი დედოფალი, მისი ქალები გურანდუხტ და მარიამი; ხოლო ბატონიშვილი ჯუანშერ და მისი დები მირანდუხტ და შუშანი დარჩენილიყვნენ აღმოსავლეთ საქართველოშივე.

– ბოროტს ბოროტი მოსდევს მუხთალ წუთისოფელში და ეს მაფიქრებს, სად უნდა დაივანოს ჯუანშერმა? ისეთი ადგილი უნდა ამოვირჩიოთ, ვერ მისწვდეს მას ვერსაით სამტროდ, მოწვდილი ჰოროლი, – ბრძანა დედოფალმა.

ბევრი მსჯელობის შემდეგ შეთანხმდნენ ბატონიშვილები დაებინავებინათ კახეთის ხეობაში, ლაკვასტის ციხეში. აქედან უნდა ემოქმედათ მათ აღმოსავლეთ საქართველოს შესაკრებლად და მტრის საწინააღმდეგოდ დასარაზმად.

დაიშალა საბჭო. დედოფალმა ვახშმად იწვია თავის მჭიდრო მახლობელნი, მთლად მისანდონი. ვახშამი მხოლოდ საბაბი იყო, ნამდვილ კი ძნელ საგანზედ ჰსურდათ მოლაპარაკება, სახელმწიფო საქმეზედ დაფარულზედ, მამა-პაპათაგან საიდუმლოდ გადმოცემულზედ.

ამ გაჭირვების ჟამს დიდი ფული უნდოდა სახელმწიფო საქმეების კეთილად მოსაწყობად, დიდი ხაზინა; სალაროში კი განცხადებით არ იყო შესაფერი სიმდიდრე,

თითქმის დაცალიერებული იყო იგი ოქრო-ვერცხლიდან. მაგრამ სასანიანთ ფარულად ჰქონდათ სიმდიდრე აუარებელი. ზინეთი ფასდაუდები და ამაზედ იყო საუბარი საიდუმლო კრებაზედ.

– იგი სიმდიდრე გეყოფათ ხარჯათ, ფართოდ მოეწყობა მით მართვა-გამგეობის საქმეც, ლაშქრის შეიარაღებაც; შეიძლება კიდეც დაიქირაოთ მშველელი ლაშქარი.

– ეყოფა! დიდი ხაზინა არის გადაზიდული დასავლეთისკენ მურვან ყრუის შემოსევის დროს; ფასდაუდებ გვირგვინებისა და სამეფო სამკაულების გარდა ოქრო-ვერცხლია გატანილი იმდენი, რომ ძლივსა ზიდავდა სატვირთავი ხუთასი და მკვირცხლი – ორიათასი. ეს სიმდიდრე არის დაფლული ქუთაისს და ციხე გოჯს, – სთქვა ხაზინადარმა თევდორე მარუშიძემ.

– და ეტრატზედ არის ყოველივე დაწვრილებით ანუსხული. აგრეთვე დაჭეშმარიტებით არის ნაჩვენები და გამოზომილი ის ადგილები, სადაც დაფლულია იგი სიმდიდრე. ჩემს ტაგრუცში ინახება იგი ეტრატი, – ბრძანა დედოფალმა.

– თუ იგი საკმარისი არ შეიქმნება, მაშინ აქედან გამოგიგზავნით: ამოვიღებთ იმ განძს, რომელიც დაფლულია უჯარმოს, შორის ორთა მათ კოშკთა უმცველოთა.

– ფული და ზინეთი არ შემოგვაკლდება: ტონთიოს სანახებშიც ხომ გვაქვს დაფლული უთვალავი განძი ქართლისა და ჯავახეთისა, აგრეთვე აურაცხავი ხაზინა ირაკლი კეისრისა, რომელი დაფლა მან, ოდეს გაემართა ბრძოლად სპარსთა წინააღმდეგ. თუ გაჭირდა, ყველა ამას მოვიხმარებთ: სიმდიდრე ხალხის ხსნისათვის და არა ერის წარწყმედა სიმდიდრისათვის.

– ოღონდაც! თუ განრისხდა უფალი და ვიძლიენით, ვაკურთხებ მეფეს მოიხმაროს ხალხის ხსნისათვის თვით საგანძურნი ყოველნი საქართველოს ეკლესიისანი, რომელნი დაფლულია აჩრდილსა დიდისა სიონისა მცხეთისასა: თუ წარწყმდეს ერი, არღა იყოს ეკლესიაც ხილული – ბრძანა კათალიკოზმა.

– გმადლობ, ღირსო მამაო სულიერო; ვხედავ, ერთგულებასა შენსა არა აქვს სამზღვარი; გარნა არ გაგვწირავს სახიერი იქამდისინ, რომ ხელი შევახოთ სიწმინდეთა ეკლესიისათა, – მიუგო იოანემ.

მართალია ახალ მეფეს ჰქონდა საგანძური დასავლეთ საქართველოში საიდუმლოდ შენახული და ეხლა მის ხელში იყო იგი დაფარული სიმდიდრე, მაგრამ ის ქონება შორს იყო; მანამდის იქ მიაღწევდა და ისარგებლებდა დაცული განძით, საჭირო იყო მისთვის ოქრო: იქვე სიონში დაფლულ განძისთვის უნდა შეეხოთ ხელი.

– აქაც იმდენი ხაზინაა დაფლული, რომ ჯერ საკმარისი იქნება მისი ნაწილიც, – ბრძანა დედოფალმა და გახსნა ეტრატი, სადაც აღენიშნათ, რომელ ადგილას იყო ეს განძი დაკრძალული, როგორ უნდა ეპოვნათ იგი.

## 5

სამძიმო იყო ოჯახის გაყრა-გამოთხოვება, ძალიან ძნელი. დამდაბლებულ-დაკნინებული სამეფო სახლი ორად იყოფოდა. სხვადასხვა გზით წამდინარე ცხოვრება, საშიშ სავალით სახიფათოთი. დედოფალს გული სწყდებოდა, რომ თვის სამს შვილს ცალკე სტოვებდა გალაღებული მტრის ბუნაგის ახლო; მარადის მებრძოლ მთიელთ მახლობლადაც, რომელთ შეეძლოთ ამ სისუსტის დროს თავისუფლად ეგრძნოთ თავი და სამტროდ დარაზმულიყვნენ მათივე მწე საქართველოს წინააღმდეგ, შეეძლოთ მეგობრობა შეეცვალათ მეკობრობად ჩრდილოეთის კეისრის შთაგონებით, მძლეთა მძლე ხაზართა ხაკანისა, რომელი შეურაცხყოფილადა სთვლიდა თავს ქართველთაგან, მათ სამეფო გვარეულობისაგან.

ქართველთ ხაკანის სისხლი ემართათ, თვით მისი გულიდან ნაკადად გადმონადენი სისხლი წითელი: დაეკოდათ მათ მისთვის გრძნობათა იგი შესაკრებელი, ლახვარი ეგმირნათ შხამში წრთობილი, ტკბილ გესლში უკურნებელში. სევდანაჭარბ განსაცდელთა აჩრდილნი დასტრიალებდნენ არჩილის ცოლ-შვილს დაღონებულს, მეტადრე მის უმცროს ქალს შუშან მშვენიერს. ქალწულის ბნელი თვალები, უფსკრულის განუჭვრეტლობის მსახველნი ტბანი მელნისა, უფრო ფართოდ გაშლილიყვნენ ეხლა და ამრავლებდნენ საიდუმლო აჩრდილებს გარესკნელისა თავის უსამზღვრო სიღრმეში. იქნება მის თვალებს უფრო აუფსკრულებდა ის, რომ მისი სევდა გამოუთქმელადა რჩებოდა: ქალი სდუმდა მძიმე დუმილით; იქნება ისიც მეტად აბნელებდა მის უკუნ თვალებს, რომ თითონ იყო მიზეზი ჩრდილოეთის დევის განძვინებისა, მისი ცეცხლებრივ აღტკინებისა, მიზეზი უნებლიეთი და მით უფრო ძლიერი, უნელებელი.

დედის თვალები ჰხედავდნენ ქალწულის სევდას უშუქარს, ხშირად შესდგებოდნენ მის ხედვის ისარნი მის უმრწემესზედ, გარნა ვერ ეტყოდი ქალს სასალბუნებელს, ვერრით უშუშავდა იგი წყლულებს შუშანს სევდიანს: ძლიერ პირადი იყო ქალწულის განცდა, ნაზი, სათუთი და შეამძიმებდა მას ყოველი სიტყვა, ბგერაც ყოველი; თვალი უცხოსი, თუნდაც დედისა, ჩააჭკნობდა მას, მთლადაც ჩასთუთქავდა. ეჰ, გრძნობათა აყოლის დრო არ იყო მეფის სახლობისათვის დაჩაგრულისა.

მოქმედი ხელი დაუშრობელი, ნება უტეხი, სვლა შეურყევი!

ის განძი, რომლითაც ხელი უნდა მოენაცვლებინა სამოქმედო გზაზედ დამდგარ მეფის ოჯახს, მარანში იყო დაფლული, ღრმად დამარხული. მარჯვნივ კუთხეში ქვევრი იდგა ჩაკირული. ჭური ჩაკირული სჩანდა, ნამდვილ კი უბრალოდ იყო ჩამაგრებული, ადვილად ამოიღებოდა იგი ბუდიდან. ამოიღებდი, მიწას ამოსთხრიდი და ამოჩნდებოდა სიპი, რომელზედაც გვირგვინი იყო ამოკვეთილი. იგი ჰფარავდა მღვიმეში ჩასავალს, სადაც დაცული იყო სამეფო განძი. ესე ეწერა ერთ-ერთ ეტრატში, რომელიც დედოფალმა ამოიღო ტაგრუციდან. მხოლოდ ერთი სკივრი ამოიტანეს. დანარჩენი ისევ დახშეს და დაკრძალეს.

ახადეს ყუთი. გახსნეს მეშის პარკები. აღმოჩნდა ოქრო, ვერცხლი, თვალნი პატიოსანნი, სამკაული სხვადასხვა გვარი. ეტრატში ანუსხული იყო ყოველი წვრილის შენახულის სიმდიდრისა. გაჰყვეს. ჩაიბარა იოანემ. ჩააბარეს ჯუანშერს.

– შვილო შუშანი! აბა ეს ბეჭედი გაიკეთე ხელზე; ნახე გამოგადგება თუ არა. – უთხრა დედოფალმა თავის ქალს

და მიაწოდა ლალის ბეჭედი, მდიდარი თვალი იჯდა. ჯავარსრული, გუმბათიანი. ისე მოადგა ქალს სამკაული, თითქო განზრახ მისთვის ეყალიბებინათ. გაუსინჯა დედამ შუშანს ბეჭედი, დაუკოცნა შუშა თითები. შეიშრო ცრემლი ხელმანდილით.

– დადგა ჟამი, გითხრა, შვილო, მაგ ბეჭდის საიდუმლო. მხოლოდ უკანასკნელ წუთს მიჰმართავ მაგ ბეჭდის ძალას, როს გაჭირდება. აღარ გექმნება სხვა ხსნა, სხვა ფონი. საფიცარი უნდა დასდო!

გადმოიღო პაწაწინა ოთხთავი და იმ სახარებაზედ ჩამოართვა ქალს ფიცი, რომ იგი არ გასტეხდა დედის ანდერძს და მიმართავდა ბეჭედს მხოლოდ განწირულების ჟამს. მოატრიალა დედოფალმა ბეჭედის თვალი, ამოიღო იგი ბუდიდან თვალქვეშ ფიალა რამ ადგილი აღმოჩნდა და შიგ მინანქარი მწვანედ ყინული.

– აი, შვილო, დახედე იმ გამჭვირვალე ყინვარს. საშინელი შხამია ეს! რომ დაასველოს ენის წვერი და შეისუტოს ადამიანმა, მყის გააქრობს, წამს გაათავებს. შეუძლებელი შეიქმნება ხსნა. ასპიტის გესლზე უძნელესია.

– გამოუცდელ ქალს ამისთანა საშინელი თილისმა, დედოფალო?!

– ეს ჯადო ჩვენს გვარში უმშვენიერესისადმი გადადის მემკვიდრეობით. იმედი მაქვს, არ დასჭირდება მისი გახსნა, როგორც არც სხვას დასჭირდა აქამდის, თუმცა ბედმა ძნელმა სიმწარე ბევრი განგვაცდევინა.

– თავის მოკვლა, დედოფალო, საშინელი ცოდვაა, უპატიებელი! – წარმოსთქვა კათალიკოსმა.

– ჭეშმარიტს იტყვი, სჯულის დარაჯო! გარნა შეუნდობს ყოვლადსახიერი შემცოდეს, უკიდურეს განსაცდელისაგან იძულებულს: შეგინებას, ზნეობრივ სიკვდილს ხორციელად სიკვდილი ემჯობინება, – მიუგო დედოფალმა და მიუბრუნდა ქალს:

– კვლავ გეტყვი, საყვარელო: ხელი უნდა ჰყო ბეჭედს უკიდურეს შემთხვევაში, როცა ყოველივე სხვა გზა ხსნისა აღარ იქნება. ვსასოებ, არ გაგვწირავს ყოვლადმოწყალე და შენც ამგვარივე დარიგებით ოდესმე გადასცემ მაგ თილისმას სხვა მშვენიერსა, დამამშვენებელს ჩვენის გვარისა.

– შესხენი თვალი! ისევ გაუკეთე!

ქალი დამორჩილდა.

– გქონდეს ეს ბეჭედი. ჯვართან ერთად ატარე გულზედ, წმინდა ნაწილთან. ხელზედ საფრთხილოა: ძვირფასი ნახჩისაა, ჯავარსრული ქვა უძევს პატიოსანი და ადვილად მიიზიდავს ავ თვალს, – უბრძანა ქალს

და მიჰმართა მეინახეთა:

– შუშანს ვაძლევ ამ ძვირფას სამკაულს საბედისწეროს, რადგან მზეთუნახავი რომ არის, ყველაზე მეტი საფრთხეც ამას მოელის.

ცრემლი მოერია დედოფალს, ხმა აუთრთოლდა. შუშანმა კოცნით შეუშრო მას დარდის ნამები.

დედოფალმა უძღვნა გახსნილ საუნჯიდან ყველა თვის ქალს შესაფერი სამკაული. უბოძა სახსოვარი სხვა იქ დამსწრეებსაც, ყველას. გადასცა ზინეთი თვის ვაჟებს იოანეს და ჯუანშერს. დალოცა გულამომჯდარმა შვილები და ისინიც, ვინც მათთან ერთად მიდიოდნენ დასავლეთისაკენ, ისინიც, რომელნიც რჩებოდნენ აქვე, აღმოსავლეთში.

– მე აქვე დავრჩები; ამ სავანეში, მამის წმიდა საფლავის მახლობლად: ჯერ მისი სული ისევ თავს დასტრიალებს აქაურობას, – სთხოვა დედას მირანდუხტმა.

– მაგრამ, ბატონიშვილო, წამებულის აჩრდილი ხომ თავს დასტრიალებს მთელ საქართველოს, – უთხრა ვეზირმა.

– და სამუდამოდ თავს შემოევლება თვის წმიდა ქვეყანას, ჟამთა დასასრულამდე, – დასძინა პატრიარქმა.

ჯუანშერიც მალე უნდა გამგზავრებულიყო, დამკვიდრებულიყო ლაკვასტის ციხეში და იქიდან ეწარმოებინა ქვეყნის მართვა თუ ლაშქრის შეკრება.

– თვალხმიერად უნდა იყვეთ. გახსოვდეთ, ამ მთების იქითაც დაუძინებელი მტერი გვყავს ეხლა, ოდესმე ჩვენგან უარყოფილი მოყვრობის მსურველი, – სთქვა ამირსპასალარმა დაბეჯითებით.

– სიფრთხილეს თავი არ ასტკივა, მაგრამ არა მგონია ხაზართა ხაკანი კიდევ ჟინიანობდეს და მრისხანებდეს: ჩვენი მზეთამზე უფლისწული ხომ ჯერ არ უნახავს მას, რომ გამიჯნურებულიყოს, აუხსნელად დაბმულიყოს ამის ბადეში, – დაამთავრა საუბარი სახლთხუცესმა

და მამობრივი სიყვარულით გარდაჰხედა ამ სიტყვებზედ შეწითლებულს მშვენიერებას. ამ ბჭობისა და მსჯელობის დროს, როდესაც უდიდესი ყურადღება

ჰქონდათ მიქცეული მძიმე სახელმწიფო საქმეებისადმი, დიდ მზრუნველობას იჩენდნენ ბატონიშვილ შუშანის შესახებაც, რადგან იგიც განძი იყო ფასდაუდები, საუნჯე უძვირფასესი, აღბეჭდილი დიდის სურვილით უძლიერესის კეისრისა და მისი დაფარვა უფრო ძნელიც იყო, სანამ ყოველი სხვა საუნჯისა.

## 6

ამაოდ ნუგეშობდნენ, ხაზართა ხაკანი გადაივიწყებდაო უძლიერეს მისწრაფებას თვისის გულისას, დაივიწყებდაო შუშანს მშვენიერს. არც გაჰქარვებოდა ხაკანს იგი გულისთქმა, არც დასცხრომოდა; აღტკინებულ ცეცხლად გარდაჰქმნოდა იგი მას უნელებლად, რომელი ისე ძლიერდებოდა წინ დახვედრილ დაბრკოლებათაგან, ვით ნიაღვარი მის წინ აღმართულ საბრკომისაგან, სად აღქაფებული ზვირთები მოზღვავებულის ღვარისა დუღან ბოროტად, რომ საზარლად აქოჩრილნი ეკვეთნონ ნაპირს, წალექონ იგი, მოფხვრან საძირკვლიანად და წაესწრაფონ წინ. მძლავრად აბორგებდა კეისარს იგი ვნება, საშინლად აღელვებდა სურვილთა აღსრულებას ნაჩვევს და მმუსრავ ძალად ამოქმედებდა ბოროტად. თრთოდა მთელი მისი საბრძანებელი მის მრისხანების წინაშე, უნელებელ ბოღმისაგან ნაწვევ მრისხანებისა.

ხაზართა ხაკანის ტანჯვა დაიწყო კარგა ხნის წინად. ძლიერდებოდა იგი ტანჯვა თანდისთან და აწ აუტანლად შეიქმნა პირად მისთვის, უფრო მძიმედ მის გარემო მყოფ დიდებულებისთვის, მთელი მისი საბრძანებლისთვის. უზომოდ განდიდებული ყეინისთვის ხაზარეთისა ერთ-ერთ საგანს თვითმოყვარებისას შეადგენდა მის ცოლთა კრებული და მათი სავანე. ჰსურდა, მის მეუღლეთა სახე და მათი სასახლე სიმშვენივრით, თუ სიდიდით საარაკო შექმნილიყო, იგავად დასადები მთელ ქვეყანაზედ.

– ზღაპრული ბაღ-პალატები სადგომად მნათობთა ჩემთა! მეუღლეთა სიმრავლე გარდარეული! სიმშვენიერე მათი გარდამეტებული! ხოლო მათ შორის უდარებელი ქალი შუშანი, ქართველთა გვარი... ეტყვის იგი ჩემს გარემო შემოკრებულ ასულთ მშვენიერთ ყველა ქვეყნისა: ეჰა, იხილეთ სიტურფე ჩემი, კეთილქმნილებო! მეფე თქვენი შებყრობილ არს ჩემის მზეობით. დამეძებს იგი ბინდ საღამოს ვარსკვლავთა შორის ახლად ჩენილთა, ხოლო განთიადს შუქთა შორის მღიმარე მზისა; ახალ გაზაფხულს ყვავილთა შორის სუნნელოვანთა, ხოლო მწიფობას ნაყოფთ შორის ტკბილგემოვანთა. დამეძებს მე თქვენი მეუფე! ნიავსა სთხოვს ასმინოს მას ჩემი ხმა ტკბილი. ნუ განრისხდებით, ლამაზნო, ჩემზედ, ნუ აღბორგდებით შურისძიებით: თვითონ დამეძებს მე! მიყვარხართ მე თქვენ, დებად გიგულებთ...

– მსწრაფლ აღშენდეს იგი სასახლე არეს მშვენება! მყის დაივანოს ბროლის კოშკში მნათობმა ჩემმა!..

და ეს ციხე-დარბაზი სწრაფად შენდება ითილში, ხაკანის სატახტო ქალაქში. ბიზანტიის კეისარმა აახლა მას საუკეთესო ხუროთმოძღვრები და მათ ხელქვეით მუშაობდა აუარებელი რიცხვი მონათა. იპნეოდა ურიცხვი ოქრო, ხალხის სიმდიდრე. დასრულდებოდა და შეიმკობოდა ციხე-დარბაზი. ხოლო ჯერ არ იყო მის ცოლთა შორის უბინდო იგი ვარსკვლავი უდარებელი. ჯერ არ აღმობრწყინებულიყო ხაზარეთის ცაზე ტაგრუცი იგი სრულის სიმშვენიერისა, მცხინვარე ასული ნათელის სამხრეთისა, მალე იქნება! დაბრუნდებიან ჩემგან ელჩებად გაგზავნილები, თან მოიყვანენ ჩემს ახალს სულსა, ჩემის არსების დამატკბობელსა.

– ღვთის შვილი ხარ, კაცთა შორის რჩეული და შეგშვენის ნეტარება უჩრდილო, საზღაპროდ შექმნა შენის დიდების.

– მაინც ჯერ არა ჰყვავის ჩემს სავარდეში კოლხიდის ყვავილი უდარებელი.

– მალე მოაწევს შენს ქვეყანას იგი ქართველთა მეფის ასული, მძლეთა მძლეველო!

– მალე?!

– სწრაფად! და თუ არა ბრძანე, გადივლის მთებს შენი ლაშქარი უამრავი და მოგართმევს არჩილის ქალს შუშანს თუნდაც ოქროს გალიით...

– ძალით?! გგონია, ნებით არ მეახლება!

– თავის სურვილით მოგვევლინება იგი ასული დიდ დედოფლად. გაანათებს შენს გულს მზესავით.

– ოქროს გალიით?! ჰფიქრობ, ხადუმო, დამიწუნებს? თუ დავძაბუნდი ბუმბერაზთ შორის, ისე დავკნინდი გმირად ნაქები, რომ შევიქმენი ქალთაგანაც კი დასაწუნი?! – წარმოსთქვა კეისარმა.

და მკაცრი რამ ბგერა ააჩნდა ხმაში. იცოდა საჭურისთ უხუცესმა, რა მედგარი რისხვა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ ატკრეცილ ხმას, მყისვე მის დამღუპველი აღტკინება საშინელის მბრძანებლისა, და მიწას განერთხა შეძრწუნებული.

– შენდობა, ღვთის შვილო! ვით გაჰბედავს ხორციელი შენს უარყოფას?! ვინ არ ეახლოს სიხარულით შენს ბრწყინვალებას?! უაღრესი ბედნიერებაა ასულთათვის მეფეთა სურვილი შენი.

დაშოშმინდა ხაკანი. მცირედ დაეშვა მისი აღბორგება; მთლად კი ვერ დაწყნარდა. ვერც დამშვიდდებოდა: მას დასკვნილი ჰქონდა ცოლად მოყვანება არჩილის ქალის შუშანისა, კაცებიც უკვე გაეგზავნა საქართველოში საიშვიათო მოსაკითხებით, შერჩეული ელჩები.

წინადვე ზეიმობდა ხაკანი ბედნიერი. გადახალისებულიყო, გაჭაბუკებულიყო წელთა სიმრავლით თითქმის დახრილი, ფრთები შესხმოდა მის ნივთიერ არსებას უკვე შემძიმებულს, ოცნების ფრთები ზე აღმტაცველნი, მაგრამ...

მაგრამ დაიგვიანა პასუხმა, ძლიერ დააყოვნა, აღარ ეღირსათ ელჩებს დაბრუნება, აღარც ამბავი რამ აცნობეს მბრძანებელს. მარცხი თუ მოუვიდათ, ავი თუ წაეკიდათ რამ და იმან მოსჭრა მათ მუხლი, შეუმძიმა სული; იმიტომ ვერ თუ ბედავდნენ ამბის გამოგზავნასაც.

გავრცელდა ხმა ხაზართა შორის, არ გაუმარჯვდათო ხაკანის კაცებს, უარი მიიღესო ქართველთ მეფისაგან. თქმამ ხაკანის ყურამდისაც მიაღწია. კაცების დაგვიანება თითქო ადასტურებდა ამ მძიმე ამბავს მოულოდნელს. ეს იყო, რომ ეჭვებით ავსებდა ეხლა ხაკანის გულსა, ამის გამო დაჰკარგოდა მას მოსვენება. ამისთვის იყო, რომ ცეცხლი მოუდო მას ხადუმის სიტყვამ მოუზომელმა.

გამართლდა ხმები. თურმე სწორედ იქ მოელოდდა მძლეთამძლეს დამარცხება, სადაც იგი არ მოელოდდა, აზრათაც არ მოსდიოდა პირველში: ხელცარიელნი დაბრუნდნენ ხაკანისაგან საქართველოში წარგზავნილნი დიდებულები. არა ხელცარიელები არ იყვნენ: დიდებული ზღვენიც მოართვეს ელჩებმა ხაკანს ქართველთ მეფისაგან, არა ნაკლები იმ მოსაკითხისა, რაც გაეგზავნა თვით ხაზართ მეფეს, მაგრამ მეფისათვის კი მაინც მთლად ხელცარიელები იყვნენ: ვერ მოიყვანეს ქალი შუშანი! სიტყვაც ვერ მოუტანეს რაიმე იმედის მფენი.

უარეყო ქალს ხაკანის სურვილი მკაცრის უარით, დაეგმო იგი.

– სასტიკადაც დაგზრახა ქალმა, მკაცრად მოგიხსენია, – მოახსენა ელჩების მეთაურმა.

– როგორ თუ მაგინა?! სთქვი ყოველივე!

– სულის საქმეს უნდა ემსახურებოდესო უკვე მიწისკენ მომზირალი; არა ვარდთა ჭვრეტად თვალთ აშეთებდესო, ებრძანა მზეთუნახავსა.

– მზეთუნახავს?

– საკვირველ ვარსკვლავს ძალზედ მიმზიდველს: ჩვენის თვალებით ვიხილეთ იგი მშვენიერება.

– თვალები უნდა დამეთხარა თქვენთვის, რომ ვერ შესძელით ჩემის ნების აღსრულება!

– აღარ შეიძლება: მაგ თვალებში ასახულია მისი ხატება.

– საპყრობილეში ყველა ესენი, ძნელ საბნელეთში! – ბრძანა განრისხებულმა.

ქართველთა მეფის წერილიც ადასტურებდა ამ უარს: ქალი ჯერ პატარა არისო, სჯულის შეცვლა არ შეიძლებისო, სამშობლოდან შორს ვერ გასძლებსო. ბევრი რამ მიზეზი იყო ჩამოთვლილი, მაგრამ წიგნის კილოს ეტყობოდა, უარი თვით ქალს გაებედნა, თითონ შუშანსა. ამის შემდეგ იყო, რომ იწყო ბრდღვინვა ხაზართ კეისარმა ვიწროებში შემწყვდეული ლომივით; საშინელმა მძვინვარებამ აიტაცა იგი. სისხლი სწყუროდა, სისხლის ღვარები.

ვეღარაფერი ეშველა მეფეთ მეფესა! აღარ მოეკიდა მას აღარც ღვინო, აღარც გართობა. შეიძულა თავისი ცოცხალი სავარდე. მტრად მოეკიდა ცოლთა სიმრავლეს. ვერ გაიტაცა ვერც იმ ბრძოლის მძვინვარებამ, რომელსაც აწარმოებდნენ მაშინ ხაზარნი გურგანის ზღვის ნაპირებით ძლევამოსილ არაბებთან, რომელნიც მიიწევდნენ წინ ჩრდილოეთისაკენ. დაღონდა ხაზარეთი, დიდ საგონებელში ჩავარდა იგი. ერთსა ნატრობდა მეფე მარად ჟამს, მრისხანების დროსაც აღტყინებულისა, სასოწარკვეთილების დროსაც მომდუნებელისა:

– ვნახო მისი სახე, თუნდ სიზმრად ვნახო!

როგორ აუსრულდებოდა მძლეთამძლეს ეს ნატვრა, მისთვის ყოვლად შეუძლებელი?!

– ვერც როგორ! ვერც როდის!

## 7

ქართველთ სოვდაგართა უხუცესი ჯორჯიკ ოდიშარი შემთხვევით მცხეთაში იყო არჩილის წამების დროს და დაესწრო წმინდანის დასაფლავებას, შემთხვევით, რადგან ეს სოვდაგარი უმეტეს ნაწილად გზაზედ იმყოფებოდა: საქართველოდან ხაზარეთში, სკვითეთიდან ბიზანტიაში, სპარსეთიდან ბაღდადში; თურანსა და ინდოეთსაცა სწვდებოდა მისი ხელი. ყველა მხრის საქონელი ტრიალებდა მისის გამჭრიახი გონების უნარით საქართველოში, ყველა ხალხის ნაწარმოები. დასაფლავების დროს მოჰკრა მან თვალი არჩილის ოჯახობის ხატს ნადკორის სიონში და უნებლიეთ შეაყენა თვალთა ისარი შუშანის სურათზე. როდესაც შემდეგში ხაზართა მეფის კარს მოჰყვა იგი და თავისი თვალითა ნახა, რა წამებას განიცდიდა იგი გვიან გამიჯნურებული კეისარი, როგორ ნატრობდა იგი მარად ჟამს, ნეტავ ერთხელ მაინც დამანახა სახე ქალთამზე შუშანისაო, დიდებული აზრი აესახა შორსმჭვრეტელს გონების სარკეში: განიზრახა დაეხატვინებინა ქალის სურათი და მიერთმია იგი მრავალტანჯულ კეისრისათვის. იგი ხომ ხშირად დაიარებოდა საქართველოდან ხაზარეთში, საიდანაც გამოჰქონდა ძვირფასი ბეწვეულობა მთელ წინა აზიაში მოსაფენად.

– ბედნიერი აზრი! სოვდაშიაც ესე ვიცი: დავკრავ თვალს საქონელს და უკვე ვხედავ მის ღირებულებას, ხვავიანსა თუ უშედეგო მის ბოლოს. ჩემი ეს განზრახვა?! რა

უხვია ჩემთვის, რა დიდ შედეგიანი, ღმერთო ჩემო! და არა მხოლოდ ჩემთვის, ხაზართათვისაც, ვგონებ ქართველთათვისაც: იქნებ დაწყნარდეს იგი ყეინი!

გამოიკითხა ვაჭარმა, ვინ იყო იმ ხატის დამწერი ხელოვანი და მივიდა მასთან. მხატვარს კალაში ჰქონდა სახლი, ზედ მტკვრის პირას. მოკეცილი იჯდა. დაზგაზედ თუ დაბად მაგიდაზედ გაშლილ ნახატსა სინჯავდა ჩაკვირვებით.

– შენ ხარ გაიოზ ოსტატი?

– მე გახლავარ! რა გნებავს?

– ჯორჯიკი ვარ ოდიშარი, სოვდაგართ უხუცესი. გაგეგონება ჩემი სახელი.

– დიდი ვაჭარი ოდიშარი? ბედნიერი ვარ, რომ გხედავ ჩემს ჭერ ქვეშ. დაბრძანდი!

სოვდაგარი ჩამოჯდა ტახტზედ და თავის ჩვეულებისამებრ პირდაპირ მიჰმართა საგანს:

– გინდა იმდენი ოქრო, რომ შენი მადლიანი მარჯვენა შენვე დაიკოცნო?

– ოქრო ვის არ უნდა, შე დალოცვილო, და მეტადრე მე ეხლა.

– მისმინე! მე ვნახე შენგან დახატული სურათი არჩილ მეფის და მისი ოჯახისა ნადკორის სიონში. მშვენიერია! მომეც იმ სურათიდან მხოლოდ ერთი სახე, შუშანის ხატი და მიიღე ჩემგან ოქრო, რამდენიც ღირდეს.

– ძნელი იქნება: აღარ გადამაღებინებენ სურათს.

– რაც უფრო მძიმეა საქმე, იმდენი მეტს ოქროს იწონს.

დაფიქრდა ოსტატი. ბევრი ყოყმანისათვის აღარ ეცალა: ლითონის ბჭყვრიალმა შორიდანვე მოსტაცა თვალი. სდუმდა სოვდაგარი, დაკვირვებით დაჰმზეროდა მხატვარს.

– როდისთვის გნებავს სურათი?

– როდისთვის გინდა ოქრო?

– კარგი! აგისრულებ, მაგრამ...

– რამდენს ითხოვ?

ხელოვანმა დაუსახელა თანხა. სოვდაგარს კიდეც ეცოტავა იგი, მაგრამ მაინც შეჩერდა რამდენსამე წუთს, თითქო ვარაუდობსო. შეიხსნა ქისა, მიუთვალა.

– ეს საწინდარად. როცა შეასრულებ სამუშაოს და ჩამაბარებ, დანარჩენი მაშინ. მხოლოდ მე და შენ ვიცით ეს, სხვამ არავინ იცის, არც უნდა იცოდეს!

– კეთილი! რადა გნებავსთ ქალის სურათი?

– რად გინდა ოქრო?

ორივე კითხვა უპასუხოდ დარჩა. მაინც ვაჭარი უფრო მოგებაში იყო: ოქრო ვის რად უნდოდა, ყველამ იცოდა; ქალის სურათი რად დასჭირებოდა სოვდაგარს, ეს ისევ საიდუმლოდა რჩებოდა.

უნაკლულოდ შეასრულა მხატვარმა დავალება, თანაც საიდუმლოდ: ვერც ქალმა, ვერც სასახლემ ვერ გაიგეს, რომ შუშანის სურათი ცალკე გადაიღო მხატვარმა. ხატის შექმნის დროს ოსტატმა ისარგებლა თავისაგანვე დახატული სურათით, რომელიც გულდასმით გასინჯა მან ეკლესიაში; კიდევ იმითი, რომ მოახერხა თითონ ქალის ნახვა და ჩაკვირვებით დათვალიერება; უფრო კი თავის ძლიერი ამხატველობითი ნიჭით, რომელმაც ცოცხლად წარმოუდგინა მას ქალი გონების სარკეში. ახალ სურათს ბევრი ხანი არ მოუნდა გამოცდილი ხელოვანი.

საუცხოვო ხატი დადგა; გაცოცხლებულიყო ტილოზედ ქალი შუშანი. ახალი იერიც დასდებოდა მის მანგ სახეს: სევდის ფრთა შეჰხებოდა მის მტკიცე შუბლს და ჩაეფიქრებინა ქალი, დაღონებულ თვალთათვის მეტყველება მიეცა ძლიერი, შორს გამყურავი, უსაზღვრო სივრცისკენ მძლედ მიქცეული, თანაც ამკრეფი აწმყოს

დენისაც. დაუსრულებელ ჟამთა დენას თუ განიცდიდა იგი გრძნეული, დროთა სვლას აწინდელს თუ შორ მომავალსა.

– საკვირველია ხელოვნების საქმე! ლამისა ვსთქვა: ოსტატისაგან უნებლიეთი, შეუგნებელი. მაშინ ძალიან გამიძნელდა იმ ხატის ასახვა: ვცდილობდი, ვესწრაფებოდი, მაგრამ ყალამი ვერ მემორჩილებოდა. სწორედ ვერა ვხედავდი შუშანის სახეს მეტყველს; ეხლა კი ერთის დაკვრით ამოვხაზე ქალი და ყალამმა ჩემ უნებლიეთ მისცა მას იგი მეტყველობა, რომელს მაშინ ისე ძლიერ ვეტანებოდი, ვერ-კი მომეხერხებინა მთლიანად გადმოტანა ფერადთა საშუალებით.

– რა მეტყველებას?

– უშრეტ რამ სევდის სახვა სულ ახალგაზრდა ბედნიერ ასულში მაშინ, მამის სიკვდილის წინად. ეხლა იგი ანარეკლი უძირო სევდისა ცხადად აჰსახია თვალებში და საკვირველი მჭვრეტელობით შეუმკია მთლად გამოუცდელი მშვენიერი, – ეტყოდა ოსტატი სოვდაგარს.

დიდვაჭარი ჩაჰკვირებოდა სურათს, თვალს ვეღარ აშორებდა მას. ცხადად ედგა მას თვალთ წინ ბატონიშვილი შუშანი, მთლად გაცოცხლებული ქალწული მადლიანი ყალამის წვერით, საიდუმლო შვენების მსახი არსება, რომლის გიშრის ტბებად შეგუბებულა თვალები მძლავრად მიმზიდველ საშიშრობას ეტყოდნენ თვის მჭვრეტელს ყველას. მოსწყვიტა თვალი სურათს, დიდის სიფრთხილით შეახვია ფარჩაში და ისე სათუთად შეინახა, თითქო უკვდავების წამალი ჩავარდნიაო ხელში.

– ფასდაუდებია ეს შენი ყალამის ნაწარმოები. საკმაო ოქრო მოგეცი, მაინც არაფერია იგი ამ განძის შედარებით. მე ვაჭარი ვარ და ჩემი საქმეა პირნათლად შევასრულო დაპირება. მეტს არც ერთს ქრთილს არ მოგცემ ეხლა, მაგრამ იცოდე: ეს სურათი გაგაბედნიერებს შენც, თუ მიაღწია თვის დანიშნულებას; თუ არა... ჩვენ ეხლა მაინც მთლად გასწორებულნი ვართ.

– ოღონდაც რომ გასწორებულნი ვართ, აღარა გვმართებს რა ერთმანეთისა, – მიუგო გაიოზმა და დაფიქრდა. იმაზედ ფიქრობდა იგი, რად მითხრა ისეთი საიდუმლო სიტყვები სოვდაგარმაო. ვერ გაეგო ვერც რა. ის კი ნამდვილ იცოდა, რომ ოდიშარი უბრალოდ არას იტყოდა, უზომელ-უწონელი სიტყვა არ უყვარდა მას, როგორც არც მეტის მიცემა სავაჭროში, პირობით დადებულ ფასზედ რამ მეტის.

## 8

დიდებული ხაკანი ღრმად დაფიქრებული იჯდა ოქროს სავარძელში, სახე ჭმუნვილი. კარგა ხანი იყო, მისი შუბლი არ გახსნილიყო თუნდა წუთიერის სიმშვიდით; არც მკაცრად აღტკინებულიყო მისი გული, რომ ჩაექრო სისხლის გუბეში თვისი ბოროტება, თუნდა უდანაშაულო ადამიანთა სისხლის ღვარებში: აღარც უეცრად მოელხინა თავაშვებით, რომ აღტაცების ერთის დაბერვით გადასწმედოდა ჟანგი ჭმუნვისა. მახლობელთ ერჩივნა, რამე ცვალება დასტყობოდა კეისარს გამორკვეული: ზე აღტაცება ხელური, თუ ბოროტება მკაცრი, დაუნდობელი, როგორც ეს იყო იმის შემდეგ, როცა უარი მიიღო ქართველთ მეფისაგან შუშანის შესახებ. ავად თუ კარგად განცხადდებოდა მაშინ მისი გულის ნადები აწ საიდუმლო და განსაზღვრული სახე მიეცემოდა მის ხვაშიადსა. ეხლა კი თრთოდნენ: თქმას ვერ ბედავდნენ ვერაფრისას, ართქმისაც ეშინოდათ უარესად.

– გადიყრის ფიქრთა ღრუბლებს, გამოფხიზლდება და მოგვთხოვს პასუხს ყოველ საქმეში, სახელმწიფო საზრუნველის გამო ყოველგვარისა. რა პასუხს გავცემთ, როცა არ ვიცით, როგორ ვიმოქმედოთ?! გაფუჭდება რამე თუ გაკეთდება, მაინც

დამნაშავენი ვიქმნებით: თუ მის დაუკითხავად ვიზრუნებთ თუნდა სასიკეთოდ, იწყენს, არ დაგიცდიათ ბრძანებისთვისაო, არ ვიმოქმედებთ და ეს ხომ დანაშაული იქნება ჩვენის მხრივ, სამართლიანად ჩაგვეთვლება ცოდვად, – ფიქრობდნენ შეწუხებულნი კარისკაცნი

და არ იცოდნენ, რა ხერხისათვის მიემართათ, რომ გამოერკვივნათ მბრძანებელი ფიქრთა ესე ხანგრძლივი ბურუსისაგან. მიგზავნეს მისი საყვარელი ხუმარა, რომ სხვა რაზედმე მიექცია მისი ყურადღება; ვერ გასჭრა ხერხმა: კეისარმა ანიშნა მასხარას, გაჰრიდებოდა. მიჰმართეს ღრმად მოხუცს დემურჩს დაბრძნობილს, ოდესმე თურანელთა მეფეს, ხოლო აწ მუხთალი ბედის გამო ხაკანის კარს მყოფს, მის პატივსადებ მრჩეველს, რომ მას გამოეკითხა გზაგაუგნებელი სიმძიმილის მიზეზი. ვერც ამ საშუალებამ იმოქმედა: ხაკანმა აგრძნობინა მას, რომ უდროვო იყო მასთან სადარბაზოდ შესვლა. მიჰმართეს მის ცოცხალ სავარდეს, მშვენიერთა კრებულს, რომ მისი საყვარელი მეუღლეების შემწეობით გაერკვიათ სავალი ბნელით მოცულ არეში: აქედანაც უიმედონი შეიქმნენ: ეშხი დახშოდა ვაჟკაცს, არ ინება საუკეთესო ვარდთა ყნოსვა; ისე მკაცრად გადახედა სხეულთა სიმშვენიერეს, ნაზი ფურცლები შეაჭკნო ზედა.

– ეს იმ დღიდან მოხდა, რაც კოლხიდელი სოვდაგარი იყო მბრძანებელთან. არ უნდა შაგეშო იგი მარტო, უნდა გედარიალებინა, – უსაყვედურა ვეზირს მთავარსარდალმა ბდუჩანმა.

– ვეცადე! თითონ კეისარმა ბრძანა მასთან განცალკევება, – მიუგო ვეზირმა.

– აუცილებლად საჭიროა მეფის გამორკვევა შავ ფიქრებიდან: დროა გასცეს სამხედრო ბრძანება. უკვე გაზაფხულდა, გზები მალე გაიხსნება და შესაძლო შეიქმნება ფართო სამხედრო მოქმედების დაწყება აგარიანთა წინააღმდეგ; ძალიან მოიწევენ წინ.

– ძნელი ის არის, რომ ორი მხრიდან მოდიან: თურანით და კავკასიონით, გურგანის ზღვის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაპირებით.

– სამი მხრით! საქართველოსაც მისთვის ებრძვიან, რომ იქიდანაც დაუახლოვდნენ ჩვენს საზღვრებს.

– მით უფრო ძნელი.

– არ იცი, ვეზირო ბრძენო! სწორედ ეგ არის ხელსაყრელი: ცალ-ცალკე დავამარცხებ დაყოფილ ძალებს.

– შესაძლოა! ეგ შენი საქმეა, ბრძოლაში დახელოვნებულო. მაინც არ იქნა, ისე ვერ დავძლიეთ აგარიანნი, მთლად მოსპობოდათ ხაზარეთისაკენ მზერის სურვილი.

– არც თუ წავახალისეთ იგინი ჩვენთან ბრძოლაში. მთლადაც ჩქარა მოვსპობთ მათ.

– სრული იმედი მაქვს, ბუმბერაზო ხაზარეთისა!..

– უნდა გამოვარკვიოთ მბრძანებელი ამ საკვირველ მდგომარეობისაგან საშიშისა! შენ უნდა სცადო, ხადუმთ უხუცესო: გაგზავნე მასთან ყველზედ მშვენიერი მისი ცოლი; მოუალერსებს, ეშხზედ მოიყვანს ვაჟკაცს და სხვა მიმართულებას მისცემს მის ფიქრთა დენას.

– ვცადე, ჩურჩერახთ უხუცესო! რომელი შეედრება მის მრავალ მეუღლეთა შორის გალთა მეფის ქალს. მისი მოქნილი ტანი გამშრალ გულშიაც სისხლს ააჩქეფებს.

– გაგზავნე?

– მე მივაცილე დარბაზამდინა; ორხო მე თითონ აუწიე? გავაბედინე ფეხი შეედგა. არ მიიღო!

– ხომ არ განრისხდა?

– არც გაუწყრა. დაითხოვა, მყუდროობას ნუ დამირღვევო. თვალცრემლიანი გამოვიდა ის მშვენიერი. დაღონებულია მთელი მისი ჯალაბი. ნეტა შენც გეცადნა გაგერთო მეფე.

– მე რაღა შემიძლიან?! აგერ ერთი კვირაა, ნადიმი აღარ გაუმართავს. ლამის ჩახავსდეს ოქრო-ვერცხლის ჯამ-ჭურჭელი თუ სასმისები.

– საკვირველია! რა აქვს ეგეთი სადარდელი, საფიქრებელი?! დიდი ომის წინაც არ იცის ხანგრძლივი ფიქრი: მარდია მისი შორსმჭვრეტელი გონება; სწრაფადა საზრავს ყოველსავე, – იტყოდა ნაზირი.

– ის უფრო მაფიქრებს, რომ მთლად განმარტოვებული ბრძანდება; არავის არ უზიარებს თავის ჭმუნვას, ახლოს არავის იკარებს; ჰსურს მარტო გაირკვიოს გზა რაღაცა დიდ საფიქრებელში.

– რაც ის კოლხიდელი სოვდაგარი ეახლა, მას აქეთ არის, რომ აღარც ნადიმი დაიდვა, ნადირობა უარჰყო, აღარც წალკოტში შეისეირნა თავის ცოცხალ ყვავილთა საყნოსველად; აღარც სახელმწიფო საქმეებზედა ზრუნავს: აღარ დაბძანდა ქვეშევრდომთ განსჯად, აღარ გამართა ბჭობა მაღალი, რომ ემცნო ბჭეთათვის თავისი ნება ზეშთაგონებული.

– ვფიქრობ, ნაზირო, აუცილებელი იქნება, მოვნახოთ ის სოვდაგარი და იქიდან ვიღონოთ ღონე: ძალით თუ ნებით გამოვკითხოთ ამ საიდუმლო საქმის ვითარება, – მიუგო მანდატურთ უხუცესმა.

შეუძლებელია! გახსოვს რა გვიბრძანა? არავითარი შეიწროება იმ კაცს ჩემს საბძანებელში, არაფერი დაბრკოლება! მოსპობილ იქმნეს მისი შემწუხებელი! შენ კარგად იცი, რასაც ჰნიშნავს მისი სიტყვა.

უძლურნი იყვნენ კარისკაცნი საიდუმლოს ამოცნობაში, ერთი გზაღა ჩანდა: მოთმინებით და ძრწოლით ელოდნათ, მანამ დროთა დენა გამოარკვევდა ყოველსავე.

მთლად განმარტოებული მეფე აღარავის იკარებდა. არავის ნახვა არ ესიამოვნებოდა; მის მახლობლად ვისიმე ყოფა აღელვებდა მას ბოროტად, აზავთებდა, სისხლის გუნებაზედ აყენებდა. მისი პირველი ცოლი, უკვე ხანში შესული დიასახლისი, რომელიც დედასავით დასდგომოდა მის სხვა მეუღლეების დასებს და რომელიც დღესაც დიდად პატივცემული იყო ყეენისაგან, კინაღამ მსხვერპლი შეიქმნა თავის გამბედაობისა.

– რა გინდა აქა! დაუკითხავად შემოხვედი ჩემს სავანეში!.. შეუტია ქალს.

რა ხელი წაატანა კვერთხს, წვერგამახულ ოქროს ყავარჯენს, ბევრჯელ რომ შეღებილიყო კადნიერთ სისხლით.

მოვედ შენ სანახავად; დარბაზის დასახედავად.

– სიცოცხლე მოგჭარბებია! ნაბრძანები მაქვს, არავინ შემოჰბედოს, როცა სხვა მყავს აქ!

ერთს წამს შესდგა დედოფალი. თვალი მოავლო იქაურობას. სხვა არავინა სჩანდა მეფის სავანეში, კეისრის გვერდზედ და ვერ გაეგო, რად წარმოსთქვა ესეთი სიტყვა. მხოლოდ რაღაცა ეტრატი ეჭირა მეფეს მის შესვლისას და მას ჩაჰკვირვებოდა. ქალმა კარგად ვერ გაარჩია იგი ეტრატი: მეფის მკაცრმა შეხედვამ ადგილობრივ გააქვავა იგი ჯერ ისევ მოშორებით. გონება თუ აჰხდაო ვაჟკაცს, გაიფიქრა. გამოვიდა შეძრწუნებული. გაანდო ვეზირს თვისი შემთხვევა.

წიგნი თუ რამე მოუვიდა სხვა ხელმწიფისაგან დასაფიქრებელი, იმას თუ ითვალისწინებს განმარტოებული, – გაიფიქრა ვეზირმა.

მაინც ვერ მიმხვდარიყო, ისეთი რა საქმე იქნებოდა, რომ ხელმწიფეს საიდუმლო შეენახა იგი მათგან, მისგან და ყველა მახლობელთაგან.

– ვერც ერთი ჩვენი მოსაზრება ვერ არის მართალი – ცხადია ერთი: საიდუმლო სევდა შემოჰყრია კეისარს; ეს დიდად დასაფიქრებელია ჩვენთვის, ძლიერ საფრთხილოც, – დაასკვნეს დიდის ცნობისმოყვარეობით და შიშით შეპყრობილმა კარისკაცებმა.

## 9

უმძლავრესი მფლობელი კი დიდის ხაზარეთისა უილაჯოდ იტანჯებოდა, სულ მთლად უღონოდ; წამებიდან გამოსასვლელ გზას ვეღარ ხედავდა; გადაკვეთილი იყო მისთვის ყოველივე სახსარი სასომიხდილი სურვილის აღსრულებისა, საშინელის მისწრაფებისა, ალავარდნილ ვნებისა მცხინვარისა. ხელთა ჰქონდა მას ბატონიშვილის შუშანის სურათი მადლიანი ყალმით ამოხატული. იმ ხატს დაეტყვევებინა უძლეველი იგი მბრძანებელი, სასტიკად შეებორკა; საძრაობა მთლად მოსპობოდა მას, წინ სავალი გზა აღარა ჰქონდა, აღარც უკუსაქცევი. აქამდისინ თუ მხოლოდ ქება გაეგონა იმ შორეულის მზეთუნახავისა და მნახველთაგან მისი სახის სიტყვით აღწერა. ეხლა მისი აჩრდილი მოფრენილიყო ვაჟკაცთან, ეხლა მისი უფსკრული თვალები საიდუმლო მეტყველობით ჩაჰმზეროდენ მას და უმრავალკეცებდნენ იმ საშინელ სურვილს გაცრუებულს, ქალისაგან შემოთვლილ მტკიცე უარით მთლად ავარვარებულს.

– აჩრდილი მიჭირავს ხელში იმ ჯადოსნისა, ჩემთან მოფრენილი მისი ლანდი რამ და...

– და მას ვუჭერივარ ამ პაწია ხელით, როგორც უხსნელი მარწუხით ფოლადისა. ხელმწიფეთა ხელმწიფე მონათ მონად შევქმნილვარ მის წინაშე. ტანჯვა ჩემი...

– ტანჯვა ჩემი მაინც შეუგნებელია მის გრძნეულ გულისათვის, აი ამ მკერდქვეშ რომ სძგერს იმ გრძნობათა შესაკრებელისათვის...

– რა საკვირვლად მიყურებს! ეს ნაკვერჩხლები რომ ღვივიან გიშრის ტბათა ფსკერზედ, ჩემად საწვავად გზნებულან ის მცხინვარენი...

– ვაჰ, რა ვყო, რა შევძლო, როგორ ვასმინო წამება ჩემი აუტანელი?! რით დავიყუჩო გულის ტკივილი, რით განვინელო ეს ცეცხლი მწველი?..

ეს განძი ფასდაუდები, თილისმა საკვირველი, საქართველოდან რომ მოართო ხაკანს დიდებულს უბრალო რამ ტილო იყო, რომელზედაც ამოეხატნათ ქალის სახე, მაგრამ მის სადარ საგანძურს იგი დიდი ვაჭარი ვერაფერს მოართმევდა მეფეს ინდოეთიდან, სინდეთიდან, თვით ქვეყნის გულიდან. სამეფო ტახტის ფასი იყო დღეს კეისრისთვის იგი ეტრატი: თუ იმ ქაღალდზედ ახატულ სახეს სინამდვილეში ვერ ეწეოდა, გვირგვინიც შესძულდებოდა ზე ამაღლებულს, ნიშანი მეუფობისა.

– აი, უსწორო მფარველო ჩემო, ის განძი, რომლის მორთმევა გავბედე შენდა, როცა წამოველ საქართველოდან, – ეტყოდა მეორედ დაბრუნებული ჯორჯიკი ხაკანს და ნელ-ნელა აღებდა ხელის ყუთს.

– მაინც ყოველთვის რასმე საიასაღოს მომიტან შენ სამშობლოდან. ის თვალი პატიოსანი, შენ რომ მომართვი მაშინ, სწორედ კეისრის საფერი ზღვენია.

– კეისართ კეისარს მოგართვი ეხლა ეს საკვირველი საუნჯე ივერიისა! – იტყოდა ჯორჯიკ და დინჯადა ხსნიდა ფარჩის რამ ბოხჩას. გამოხსნა აბრეშუმის სახვევლიდან სახე ხატული, სათუთად გადახადა ხატს ლბილი ქსოვილი, შეუბერა ფერფლის გადასაცლელად და გადუშალა წინ ცნობისმოყვარეობით აღგზნებულ ხელმწიფეს.

– მისი სურათი, ჩვენის ბატონიშვილის შუშანისა.

– შუშანისა?!

– ჰნატრობდი, მეფეთ მეფეო!

გაფითრდა ხაკანი. მწყურვალივით დაეწაფა სურათს, ჩააშტერდა, თითქო გაქვავდა ფერმიღებული. სდუმდა სოვდაგარი; სუნთქვა ჩაინელა, რომ არ შეერხია მომჯადოებელი ძალის ნაკადი; იგი ძალთა ნაკადი ძლიერის დენით გადმოსჩქეფდა სურათიდან და მსწრაფლ ჰნსთქავდა კეისრის გრძნობებს, მის გონებას, მის ნებისყოფას; მთლად მის არსებას სულიერს თუ ნივთიერს მის პიროვნებას.

– ამაოდ ეკრძალები, ჯორჯიკ ჩემო, ტყუილად ფრთხილობ! შეგიძლიან თავისუფლად იმოძრავო, თუნდ სიტყვა წარმოსთქვა თავის წინ, თუნდ საგალობელი შეახმატკბილო, სამადლობელი შენთვის მოღიმარის ბედისა. შენი ხმაური ან მოქმედება ვერ შეარყევს, ვერც თუ შეარხევს ვაჟკაცის აღტაცებას: მისი ყურადღება მთლად ჩაუნთქავს სურათს საკვირველს; მშვენიერი ასული ივერიისა სიცოცხლით შემოსილა უსულ-გულო ეტრატზედ, უცნაურად ჩაჰკვირვებია გამოცდილ ვაჟკაცს ბნელ ცასავით უფსკრულ თვალებით, ხოლო მის ბაგეზედ ასახული საიდუმლო ღიმილი უსხნელ ამოცანად დაჰსახვია მეუფის გონებას აწ მთლად დამონებულს.

შეჰყურებდა ხაკანს უძრავქმნილი ოდიშარი და თან დიდ კმაყოფილებასა გრძნობდა თავის თავისადმი: ანგარიშში არ მოსტყუვდა, ქალის სურათმა უფრო მეტი შთაბეჭდილება მოახდინა ყეინზედ, სინამ იგი მოელოდდა მას.

შეკრთა ვაჭარი, როცა კეისრის განცვიფრებამ მეტი ხანი გასტანა, თითქო კიდეც გადააჭარბა შესაძლებლობას, საზღვარს გადასცდა; შიშმა აიტანა გაურკვეველმა: ერთობ განეგრძო ვაჟკაცის რინდი. გონება კი, ცივი გონება, სიყვარულით უალერსებდა სოვდაგარს, უკვე ხელში უთვლიდა იმ დიდ მოგებას, რომელსაც უსათუოდ მოიმკიდა ამ სოვდის გაკეთებით.

ეს ბედნიერი ჰაზრი მაშინ მოუვიდა დიდ ვაჭარს, როდესაც საქართველოში გაგზავნილი ხაკანის ელჩები ხელცარიელნი დაბრუნდნენ იქიდან და როდესაც ამის გამო ფრიად შეწუხებული ხელმწიფე სულ იმას ნატრობდა, ერთხელ მაინც ვნახო იგი ჩემი უარისმყოფელი მზეთუნახავი, თუნდ შორიდან განვიცადო მისი სახეო, მაშინ არ უამა ჯორჯიკს ისეთი დაბოლოვება დაწყობილი საქმისა: დარწმუნებული იყო, ხაკანის სურვილს აღასრულებდნენ ქართველთ მეფის კარს და ეს ყოველ მხრივ სასარგებლო იქმნებოდა მათთვის. ამით მთლად გაიკვალავდა ქართული ვაჭრობაც სასოვდაგრო გზას ხაზარეთისკენ, საიდანაც მოდიოდა ძვირფასი ბეწვეულობა და ქვა პატიოსანი. თითონ ჯორჯიკსაც უმთავრესად ეს საქონელი გაჰქონდა ამ ქვეყნიდან საქართველოში, რომ იქიდან მოეფინა მთელ წინააზიაში. იმას წინ ვეღარ წარუდგებოდნენ მაშინ ბაღდადისა ან კონსტანტინოპოლის სოვდაგრებიც კი. ეს პირადი მოსაზრება იყო მისი და სარგებელი. თითონაც ოდიშარი გულითადი მოყვარული იყო თავისი ქვეყნისა, მისთვის მუდამ წარმატების მსურველი, როგორც თვის საკუთარ დიდი ოჯახისა. მიხვედრილი კაცი იყო დიდვაჭარი, გამჭრიახი გონებისა, მრავალ ქვეყანაში ნავალი, სხვათა ცხოვრებისაც მცოდნე. სახელმწიფო დიდ საქმეების განხილვის დროს საბჭოშიც იწვევდნენ მას, მეტადრე თუ აღებმიცემობას შეეხებოდა საკითხი; რჩევას ჰკითხავდნენ. კარგათა ჰხედავდა გამოცდილი, როგორი განსაცდელის წინ იდგა მაშინ საქართველო და მისი სამეფო გვარეულობა. იმასაც წინადვე გრძნობდა, რომ არჩილისაგან გადადგმული ნაბიჯი ვერ იყო მიზანშეწონილი.

– ერჩივნა არჩილს, წინანდელ მეფეთა კვალზედ ევლო; გაეხსნა კავკასიონის გზა და იქ დაქირავებული ჯარით გაემრავლებინა საკუთარ მებრძოლთა რიცხვი. მტრისადმი მინდობა, ისეთ მტრისადმი, რომელს განუზრახავს მთელი წინააზიის შეერთება ერთ დიდ სახელმწიფოდ?! შესცდა ვაჟკაცი! ეხლა მთლად უწყალოა მეფის ოჯახი დაობლებული, უმწეოა საქართველო; ისევ მოსიყვარულე ხაკანის კალთა უნდა

დაიჭიროს ქართველთა მეფის გვარეულობამ, სარკინოზებთან მედგრად მებრძოლ ხაკანის კალთა, – ფიქრობდა სოვდაგარი.

ამ ფიქრს არავითარი ხინჯი არ აჩნდა ცივად განმსჭვრეტ გონების თვალთ წინ. ეხლა უფრო შესაძლო იყო ეს ცხადი ჰაზრი მკაფიოდ აჰსახოდა ქართველთ მეფის ოჯახს და მიეღო ხაკანის წინადადება.

– ოღონდ კი არ გაგრილებულიყოს ხაკანი, ან ფრიად ნაწყენს მოყვრობის სურვილი მტრობაზედ არ შეეცვალნოს, – ფიქრობდა ჯორჯიკი.

მაგრამ როდესაც დაბრუნდა იგი ხაზარეთს, ნახა, მეფე არამც თუ არ გაგრილებულიყო უარის გამო, არამედ უფროც განცხოველებულიყო მისი მისწრაფება იმ უცნობ ქალწულისადმი, საკვირველი რამ ქალისადმი, რომელმაც ბედნიერებად არ ჩასთვალა მისი მეუღლობა, პირველი დედოფლობა ხაზარეთისა, არამედ უარი შეჰბედა მას მკაცრი.

– ახ, ერთი დამანახვა მისი სახე, განმაცდევინა მისი იერი! – იტყოდა კეისარი დაჟინებით და ეს ნატვრა ცეცხლის მახვილით ჰლახვრავდა მის გულს. იხილა ეს ყოველივე და ისმინა ოდიშარმა, იმედი მიეცა საქმე ისევ სასურველად დაბრუნდებოდა, ნატვრა აუსრულდებოდა მას საქართველოსი და ხაზარეთის შეკავშირების შესახებ.

ადვილად იტყოდა ენა, თვალი მოვკრაო შუშანს მშვენიერს! როგორ შეეძლებოდა ხაზართა ხაკანს თვალი მოეკრა შუშანისათვის?! იმისა და ქართველთ მეფის ოჯახის შუა სამზღვარი იდვა გარდუვალი და ყოვლად შეუძლებელი იყო შემთხვევითი მათი შეხვედრა. დაფიქრდა ოდიშარი და დაასკვნა, მიერთმია ყეინისთვის ქალის სურათი: გამოუთქმელად აამებდა მეფეს, თანაც აღაგზნებდა მის გულში მიჯნურობას უძლეველს, შეუმართებელს.

– გამიგონია, სურათითაც შესაძლებელია ნამდვილი ტრფობის წარმოშობა, აღორძინება. უფლისწულის სახე, შუშანის სურათი მზეთუნახავისა, სწორედ გაამიჯნურებს ხაკანს; დასწვავს მის გულს ისეც გზნებულს, მთლადაც დაჰბუგავს და...

– ის სურათი, ნადკორის სიონში რომ ვნახე მაშინ! იქ ხომ ცოცხალია შუშან ლამაზი, ხორცშესხმულია, სულით ცხოველით ამოძრავებული. ოღონდ კი ვპოვო იგი მხატვარი, კვლავ გადაიღოს სახე იმგვარი.

უკლებლივ შეესრულებინა ჯორჯიკს თვისი განზრახვა: მოერთმია ხაკანისათვის ქალის სურათი ასულდგმულებული.

კიდეც ნახა დიდვაჭარმა მძლეთამძლე მეფე საბოლოვოდ დამონებული. ვაჟკაცს აწ შეუყვარდა იგი ქალწული არა მხოლოდ ჰაზრთა არეში, აშლილ გრძნობათა ჟინიანობაში, არამედ ეტრფიალა იგი მას მთელის თვისის არსებით, გაუმიჯნურდა. ეხლა ცხადად იყო ხაკანის სასახლეში შუშან ლამაზი; ეხლა მის საკვირველ ღიმილს ამოუცნობს მთლად მოეჯადოვებინა ნებისყოფა უძლიერესის ხელმწიფისა; ეხლა ქალის თვალთა ფსკერზედ რომ ცეცხლი ღვიოდა, იმ ცეცხლს გენია დაენთო უშრეტი ვაჟკაცის არსებაში უკვე ბრძნობილში.

– როგორ მიზიდავს ეს სახე, ნაქვთი, როგორ მიმონებს!

## 10

განცალკევდა ხაზართა ხაკანი დიდებული! თავი გაითავისწინა. კაცთა ნახვა შესძულდებოდა; სახელმწიფოზედ ზრუნვა დაჰვიწყებოდა; ფუფუნებას ნაჩვევ ხორცთა დასაამებელი რამ აღარ არსებობდა მისთვის. გარინდებულიყო ვაჟკაცი. მიებყრო მოჯადოვებულს გონების თვალი მბრწყინვალე მნათობისათვის შორეულისა;

მას, იმ სამხრეთის ვარსკვლავს, თავს შემოჰვლებოდნენ მისი ფიქრები, გრძნობები, სურვილ-მისწრაფებები, მთელი მისი პიროვნება.

– იგი ვარსკვლავი აღმომხდარი ცის კიდურზედა!.. ნახევარი ჩემი სახელმწიფო მას, ვინც მომგვრის აქ იმ ჯადოსას სიმშვენიერესა!.. ლაშქარი ჩემი უძლეველი, ჩემი ზინეთი უთვალავი, მბრძანებლობა ჩემი უტეხი, – ყოველივე იმ საუნჯის მოსაპოებლად! – დაასკვნა ხაკანმა და თითქოს მიეცა მას სასოება, იმედის სხივი გულს ჩაესახა.

– ხაზართა ხაკანი უძლიერესი კეისარია ქვეყანაზედ და როგორ უნდა წინააღუდგეს მას, არ დაჰმორჩილდეს მის ნებისყოფას, ძალას უძლეველს, ვინმე ქალწული, უფლისწული პატარა ქვეყნის? თუ ნებით არ ასრულდება მეფის სურვილი, ძალით უნდა ასრულდეს იგი!

– ლაშქრობა უძლიერესი საქართველოს წინააღმდეგ და... და დავლათ მხოლოდ მზეთუნახავი ქართველთ ოჯახში აღმოჩენილი! თუ არა, ძლეულია ხაზარეთი საქართველოსაგან, დამდაბლებულა ხაზართ ხაკანი ვინმე ქალისგან... არ ეგების ეს! ხმალი! მახვილი სწრაფად! დაიშრიტა მოთმინების ზღვა, არ შემიძლიან უმისოდ ყოფნა!

მაინც ამ გადამწყვეტ ნაბიჯის წინ ხაკანმა კიდევ უბრძანა მიეყვანათ მასთან ისეთი, ვინც მაშინ, პირველად, გაგზავნილ იყვნენ საქართველოში ბატონიშვილის შუშანის სათხოვნელად და რომელნიც ისე გაწბილებულნი დაბრუნდნენ უკან, ისეთი საწყენი პასუხის მოტანაც გაბედეს. მოაგონდა, როგორ საშინლად გაცეცხლდა მაშინ და ბრძანა, დაეკარგნათ იგინი მის თვალთაგან, ნათელი დღე აღარ ეჩვენებინათ მათთვის. ასრულდა ყეინის ნება: ხაროში ჩაყარეს შემცოდენი; არ კი მოუსპეს მათ სიცოცხლე: ეშინოდათ, ვაითუ კვლავ მოისურვოსო განწირულთა ნახვა და გამოკითხვაო. გამოადგათ წინდახედულობა: ხელბორკილიანი წააყენეს კეისრის წინაშე ოდესმე დიდებულნი და განთქმულნი. ორი წელიწადი სრულდებოდა. სამართებელი არ მიჰკარებოდა მათ თმაწვერს. დახავსებულიყვნენ, გატეხილიყვნენ, ვაჟკაცობის იერი მთლად დაჰკარგოდათ. აღარ კი ძრწოდნენ ხაკანის წინა: მკვდარნი იყვნენ, ცხოვრებიდან უკვე გასულნი და მათ მოდუნებულ სულისათვის ალბათ ერთი იყო ბატონის რისხვა ან შეწყალება. რაღა იყო სიცოცხლე თუ სიკვდილი მათთვის, უკვე მიცვალებულთათვის, სურვილებ ჩამქრალ-ჩანელებულთათვის, გრძნობა დახშულთათვის, ჰაზრ დაბნელებულთათვის?! იქნება სიკვდილი უმჯობესიც იყო მათთვის. ესეც კი აღარ იცოდნენ ბედშავთ: გონების ძალა აღარ შესწევდათ სააზრებლად.

– ვერ შესძელით ასრულება ჩემის ბრძანების და ცოცხალნი ხართ?!

– შენს ხელში არის ჩვენი სიცოცხლე. სიკვდილიც ჩვენი უკვე მკვდრებისა.

– სიკვდილის ღირსნო, ჩემის წყალობით ისევ ცოცხალნო!

სდუმდნენ პატიმარნი. მდაბლად მოხრილნი იდგნენ მბძანებლის წინაშე, მიწად მმზერელნი.

– შესხენით ჯაჭვნი!

შეხსნეს. მიჰხვდნენ კარისკაცნი, დასჯილების ოდესმე თანამშრომელნი და მათი პატივისმცემელნი, რომ საშიში არ იყო რისხვადაცემულებთან გამოლაპარაკება. მათთან მიახლოვება. მიულოცეს ბეჩავებს მეფის წყალობა. შესძღვნეს კეისარს ქებათა ქება. თვით დასჯილები კი, აწ რისხვა მოსხნილნი, მაინც სასომიხდილნი იდგნენ; ჯერ ვერ შეეგნოთ, რომ მკვდრეთით აღდგნენ, ჰაერზედ ამოვიდნენ ბნელ აკლდამიდან; ვერ გაესწორებინათ თვალი ვერც დარბაზში მოცეკვავე მზის სხივებისთვის, ვერც ფერად-ფერადად შემკულ მახლობელთათვის ზე ამაღლებულისა.

– თქვენ იყავით მაშინ საქართველოში ელჩებად გაგზავნილნი, როდესაც იმ შორ ქვეყანაში დამცირდა ხაზართა სახელი; ვერ აუსრულეთ მეფეთა მეფეს ის, რაც ბევრჯერ აუსრულდება უბრალო მომაკვდავს; გაჰბედეთ უარის მოტანა და ჩემს თვალთ წინ წარმოდგომა! ნახეთ მაინც მაშინ ის საკვირველი ქალი, განიცადეთ მისი სახე?

ორი მათგანი ისე იყო დამდაბლებული და სიცოცხლის უნარს მოკლებული, რომ სიტყვა ვერა სთქვეს; მხოლოდ თრთოლამ აიტანა ისინი და მიწას განართხო. მესამეს უფრო შერჩენოდა ძალა ცხოველი: თვალებში ნაბერწკალი დაურბოდა მოუსვენარი, ნაკვეს-ნაშალი ბოროტი ცეცხლის. ეს უფრო ახალგაზრდა იყო. აწ წელში მოხრილს და მოდუნებულს  კი ეტყობოდა, რომ ის შემმართებელ გმირთაგანი იყო ამ უბედურობამდინ, ამაყად ყოფნას ნაჩვევი კაცი.

– ვნახე იგი მზეთუნახავი და განვიცადე სახე საოცი.

– იცნობ, რომ შეგხვდეს?

– თვით მის აჩრდილსაც!

– ვინ ჰხატია აქ?

გადააწოდეს ეტრატი. დახედა მან სურათს და აღელდა, სისხლი მოაწვა სახეზედ, თვალები აენთო.

– ეს არის ჩვენი დამღუპველი! ეს ბნელი თვალები უძირო, ცეცხლით შემწველით გაღვიებული!

– პირდაპირ გინახავთ ღმერთქალი ხორცსხმული და მომინიჭებია სიცოცხლე თქვენთვის!

– იგი დიდებული დედოფალი დიდის ხაზარეთისა უგუნებოდ შეიქმნებოდა, როცა გაიგებდა ამათ  მოსპობას, რომელნიც ღირსნი შეიქმნენ პირისპირ ენახათ მისი საკვირველი მშვენება.

– დიდებული დედოფალი ხაზარეთისა, გულთმისანო?!

– პირველი დედოფალი ჩვენი, ცათა სწორო! რამლი ვყარე იმ ქალწულზედ. მის ცხოვრების ვარსკვლავს მხოლოდ ერთი გზა აღმოაჩნდა: ჩრდილოეთისკენ, დიდ ბრწყინვალე ვარსკვლავისაკენ ჩრდილოეთისა.

– მერმე, მეცანო?

– ღვთის შვილი ხარ, მიჰხვდები მის განგებას განუჭვრეტელს. ჩემმა ხელოვნებამ მეტი ვეღარაფერი გაიკვალა წყვდიადში მომავალისა: ჩრდილოეთისკენ მავალ მნათობს ბნელი გადაეფარა გზაზედ, გაუჩინარდა.

– ვერ გამოერჩა იგი ბნელიდან? ვერ გამოაპო გზა ჩვენ ცისკენა?

– აღარ რა სჩანდა! სხივიღა იხილვებოდა მისი მიმქრალად გამოტყორცნილი.

– მაინც იმედია, მნათობმა პირი ქმნას ჩვენკენ?

– ეგ ცხადია! აქათ იზამს პირს, წამოესწრაფება. თითონ შენ კი უნდა იზრუნო ჯერ: ჩრდილოეთის დიდი ვარსკვლავი თითონ ამოძრავდა მისკენ და თავისი ძალით მიიზიდა იგი მნათობი მოციმციმე.

## 11

რამლი ამ ჟამად მართალს ამბობდა, გაეკვლია მას გზა მომავლისა, თუმცა ოდნავ, ძალიან ბუნდად. ვერ გაეგო რამლის მშლელ მეცანს, რა ბნელი ჰფარავდა ჩრდილოეთისაკენ უნებლიეთ მიქცეულს სამხრეთის მნათობს, რა აბრკოლებდა მის სვლას ამ გზაზედ, რად ბნელდებოდა იგი ამ არეს.

ჩრდილოეთისაკენ მიმავალი გზა იმ ვარსკვლავისა ჩახერგილი იყო ძლიერად. გაუვალი დაბრკოლებით სავსე, რომლის გადალახვა არ შეეძლო არც უძლეველ ძალას ხაზართა კეისრისა. პირველად რომ მოვიდნენ ხაკანის დესპანები საქართველოში ბატონიშვილის შუშანის სათხოვნელად, ერთი ძლიერი საბრკმელი აღუდგა წინ ხაზართა სურვილს: სჯულის სხვადასხვაობა აშორებდა მათ, ქართველთა და ხაზართა სარწმუნოების შეურიგებლობა. იმ ძნელ დროს, როდესაც საქართველოზედ ძალა მოჰქონდა აგარიანთა ახალ სჯულს, რომელიც იქამდინ გაძლიერებულიყო, რომ ჰნთქამდა ყველა სხვა სარწმუნოებას მოწინააღმდეგეს, თვით ხალხსაც სხვა სჯულის მატარებელს; ქართველებმა მთელის სიდიადით იგრძნეს მოსპობის საშიშროება და თავიანთი ხალხოსნობა უხსნელად შეუერთეს სჯულს: მთელ კავკასიონში მართლმადიდებელი და ქართველი ერთ და იმავე ცნებად გარდაიქცა მტრისა და მოკეთის თვალში; ქართველნი ისევე უფრთხილდებოდნენ სჯულს, როგორც თავიანთ თავს, როგორც თვის ხალხოსნობას. და ეს მით უფრო, რომ იმ განწირულ მდგომარეობაში, როდესაც ქართველთ სხვა ხელის აღმბყრობელი აღარ უვიოდათ, მათ მთელი თვისი სასოება დაამყარეს საკუთარ ძალაზედ და ღვთის შეწევნაზედ, რასაც უნდა გაემტკიცებინა იგი ძალა საკუთარი: დიდად მორწმუნე იყო მაშინ ხალხი და სრული იმედი ჰქონდა თვის საფარველის ქვეშ დაიფარავდა ღვთის მშობელი ქრისტიანობას, ხოლო წმიდა გიორგი, მძლეთა მძლედ წარუძღვებოდა მებრძოლ ქართველთა, განმახულის ჰოროლით გულს გაუგმირავდა ვეშაპს უწმიდურს.

სამეფო ოჯახში უფრო ძლიერ გაღვივდა სარწმუნოებრივი გრძნობა, ისეც მძლავრად აღმოჩინებული ამ გვარეულობაში, ძლიერ დაეყრდნო ამ მათთვის საიმედო ძალას დედოფალი და მის გავლენით მისი შვილები. ეს იყო უმთავრესი მიზეზი, რომ მეფის ოჯახმა შორს დაიჭირა ხაზართა ხაკანის შემოთვლილობა: მიეღოთ იგი სიძედ, მიეცათ მისთვის მეუღლედ ქალი შუშანი. უსჯულოსთან ნათესაური კავშირი ეწინააღმდეგებოდა მათ რწმენას; ეგონათ, ამ კავშირით სჯულს შებღალავდნენ, ღმერთს განარისხებდნენ. იგი ამ განსაცდელში პირს იბრუნებსო ჩვენგან, უარს ჰყოფსო ჩვენს ხელმწიფობას, ფიქრობდნენ.

– მხოლოდ ღმერთიღა არის ჩვენი სასოება: ყოველი ძალა ნივთიერი უკვე ჩაშლილია ჩვენთვის და ჩალეწილი. ვისღა დავენდოთ, თუ განვარისხოთ იესო ტკბილი?! უსჯულოსთან ჩვენი ქალის კავშირი შეაგინებს სჯულის სიწმიდეს, – ბრძანა დედოფალმა.

– ბიზანტიას აღარა სთნავს ჩვენ გვარეულობასთან ერთობა, აღარა ზრუნავს ჩვენი სამეფო სახლის განმტკიცებაზედ; ვისღა დავენდოთ ამ განსაცდელში, თუ განვარისხოთ ღმერთი-უფალი?! – სთქვა იოანემ.

– განა ჩვენი დაკნინება იგივე დამცირება არ არის საქართველოსი?! – გაიკვირვა ბატონიშვილმა ჯუანშერ.

– აღარ გვენდობიან: გრძნობენ, რომ ჩვენს გვარს არ უყვარს ბიზანტია. შორეულია იგი; თანაც ყოველთვის მხოლოდ თავისზედ ფიქრობს, ეხლაც, უწინაც. ემჯობინებოდა სხვა მოსამზღვრე სახელმწიფოსთანა გვქონოდა კავშირი: წინად სპარსეთთან, ეხლა ხალიფთან; ერთად უფრო ადვილად გაუმკლავდებოდით ჩრდილოეთსაც, რომელიც ყოველთვის ჩვენკენ იწევს, სამხრეთისაკენ, და თითონ ბიზანტიასაც, რომელსაც ვერ დაუთმია პონტის ძვირფასი ნაპირები. ბიზანტიის იმპერატორი ცდილობს დასვას ჩვენ ტახტზედ ისევ თავისი მონათესავე და მომხრე; ერთხელ ხომ სცადა, კიდევაც ცდილობს, – მოახსენა ვეზირმა.

– მაშ ჩრდილოეთს მაინც ვერ მივენდობით, თუნდაც დავმოყვრდეთ, თუ ის მარად მოილტვის ჩვენ ქვეყნისაკენ.

– არც როდის არ შეიძლება მინდობა! შესაძლოა მხოლოდ განსაზღვრილი ჯარის დაქირავება და გადმოყვანა იქიდან.

– მაშ, უარი უნდა ეთქვას ხაკანს: სჯული ეწინააღმდეგება ამ კავშირს; თვით სახელმწიფოს სარგებელიც ამასვე მოითხოვს, რომ ჩრდილოეთის სამზღვრები მტკიცედა გვქონდეს დაცული, – დასძინა კათალიკოზმა.

– შენ რაღას იტყვი, შვილო შუშან? შენ შეგეხება ეს მძიმე საქმე, შენი ბედ-იღბალი სწყდება აქ, – მიუბრუნდა დედოფალი ქალს.

ჯერ სდუმდა შუშან, მერმე მიუგო:

– მეზიზღება იგი ხაკანი: ჯერ არს, უკვე საიქიოზედ ზრუნავდეს იგი, თვის სულის საქმეს განაგებდეს შემძიმებულისა.

წავიდა ქალი დარბაზიდან თავის გალიაკში.

სჯული რომ უშლიდა მორწმუნე შუშანს უსჯულოსთან შეკავშირებას, მისი გულიც უარჰყოფდა მისთვის შეუფერებელ კაცს, თუნდ მეფედ მეფეს: ჰაზრთა სამფლობელოში სხვა რაინდი ჰყვანდა მას სათავისოდ დასახული; მას ევლებოდნენ თავს მისი ფიქრები, მისი გრძნობები, ლამაზ-ლამაზი მისწრაფებანი. ამისთვის ეზიზღებოდა ქალწულს სხვასთან კავშირი.

ამ საოჯახო მსჯელობას მხოლოდ ორიოდე გარეშე დაესწრო და მათ შორის ჭაბუკი მანგიური, ქართლის ერისთავის ძმისწული. ეს ყმაწვილი ობოლი იყო, არჩილის სახლში აზრდილი მის შვილებთან ერთად. უკვე ოჯახის წევრადა სთვლიდნენ მას და არავითარი საოჯახო საქმე საიდუმლოს არ შეადგენდა მისთვის. მეფე რომ არ არჩევდა მას თავის შვილებიდან, თითონ ჭაბუკსაც საბოლოვოდ დაჰვიწყებოდა, რომ ის არ იყო წევრი იმ სახლობისა. ძალიან მშვენიერი ახალგაზრდა დადგა მანგიური თვალად და ტანად, მაგრამ მისი მშვენება უფრო ქალური იყო: სუფთად დანაკვთილი სახე, ნაზი აგებულობა; მსწრაფლ მგრძნობარე ბუნება; ცვილივით ლბილი ხასიათი მარად დამთმობი ვერ შეეფერებოდა ვაჟკაცის სახეს, მეტადრე იმ დროს, როდესაც კარგს ჭაბუკს სიმტკიცე უფრო ამშვენებდა და მკლავის ძალა, სინამ სათნოება და სახიერება. დიდის გონების ახალგაზრდა იყო, მწიგნობრობის მოყვარული, გალობა-სიმღერის მოტრფიალე გატაცებული.

ესეთი ერთგული ეხლა დიდად სანატრელი არ იყო ქართველ სასანიანთათვის; ემჯობინებოდა მათთვის ვაჟკაცი უტეხი, შემმართებელი, მედგრად მებრძოლი, რომელი შესძლებდა და გაჭირვების ჟამს ცეცხლს მოიდებდა, მსხვერპლად დასწვავდა თავის თავს დიდებული რამ განზრახვის შესასრულებლად, ღიმილით დაანთქრევდა მისთვის სისხლის ღვარებსა. სისხლი... ჰზარავდა მანგიურს სისხლის მეწამულობა, შადედებული სისხლი წიდად მოდებული აჟრჟოლებდა მას, განზე აყენებდა: გული ბალღივით ჩვილი ჰქონდა, კაცის შემბრალო, ყველა სულდგმულის მშველელად ქმნილი. სულ ოთხი-ხუთი წლით იყო იგი შუშანზედ დიდი.

თუმცა ვაჟი უფროსი იყო, მაგრამ ბალღობიდანვე შუშანი პირველობდა და წინამძღვრობდა: ის უფრო გამჭრიახი იყო, ფიცხი და გამბედავი; მის მოქმედებას ჰაზრი უძღოდა წინ, შემმართებლობა თანა ჰყვებოდა. ერთი თვისება კი უცვალებლადა ჰქონდა დატანებული მანგიურის ხასიათს: თუ თვალსაჩენ რასმე განიზრახავდა, აღარ მოსცილდებოდა. ეს იცოდა ქალმა, ამისთანა შემთხვევებში უთმობდა მას და მით უფრო ადვილად, რომ მიზანი ამგვარ მის მისწრაფებისა უთუოდ კარგი იყო, მარად კეთილი.

იყო ერთი სავალი, რომელზედაც ამ სხვადასხვა გვარი პიროვნობების გზა ერთდებოდა, ერთს სადინელზედ მიმდინარეობდა; ეს იყო ეკლესიაში მიმყვანებელი ბილიკი. ორი ღრმად მორწმუნე ახალგაზრდა, გულუბრყვილოდ ღვთის მოსავი, სჯულის დებულებათა მასრულებელი.

– ჩემს გულს მალამოდ ედება მსალმუნებლად, როდესაც ვხედავ ამ ორ ტოლს ერთად. მათი სასოებით ლოცვა მეც მიცხოველებს ვედრების სურვილს, ღაღადებაში ნაწრთობ-გამოცდილს! – იტყოდა მეფის მოძღვარი

და სიყვარულით გარდაჰხედავდა მორწმუნე ჭაბუკთ.

– ეჰ, თანასწორნი უნდა იყვნენ ეგენი, შემდეგში ერთობის მომლოდნელნი, რომ აკურთხოს გამჩენელმა მათი ერთად ყოფნა, დააგვირგვინოს მათი შეტკბობა. გავა კიდევ ცოტა დრო და დააშორებს მათ ცხოვრების კანონი ულმობელი: მეფის შვილს თავისი გზა აქვს ცხოვრების მწვერვალისაკენ მიმავალი, ქვეშევრდომს თვისი სავალი შესაფერი. მოსწყდებიან ერთმანეთს, არსებობაც კი დაავიწყდებათ ერთმანეთისა, – იტყოდა შუშანის გამზრდელი.

ახალგაზრდების საბოლოოდ განშორება აუცილებელი იყო; ქალი თავის განდიდებულ მდგომარეობას ექვემდებარებოდა; ხელმწიფის ასული უნდა გაჰყოლოდა ხელმწიფეს თუ ბატონიშვილს, თუნდ უარყოფით შეხვედროდა მას მისი გულისთქმა. ქალმა იცოდა ეს. თუმცა მისი ბუნება ვერ შეჰრიგებოდა ამას და თავისებურად წარმოიდგენდა განგებისაგან მისთვის აღნიშნულ სანატრელ რაინდს, თვის გულის ვარდს. ჯერ ისევ ახალ ნორჩობაში მყოფ ქალწულს ცხადად ვერა ჰფარავდა ასახული იგი ჭაბუკი, ჰაზრთა არეში ბურუსი ჰფარავდა მას. თანდათან კი ჰქრებოდა იგი ბურუსი და მკაფიოდ ისახებოდა შუშანის თვალთ წინ იგი სანატრი მზეჭაბუკი.

იმ ჰასაკში იყო ქალი, როდესაც აღმოჩნდება ადამიანის ცის კამარზედ სამიჯნურო სურათი ნათელი, მაგრამ მისი სახე ისევ ბუნდოვანია, დაუსრულებელი, შორეული, პიროვნების გარეშე მდგარი. მაინც ცხადი იყო ქალისთვის, რომ იგი ჯერეთ გამოურკვეველი მზეჭაბუკი საესავო არ იყო მანგიური, არაფრითა ჰგვანდა მას, ვერც დაემსგავსებოდა.

მანგიურსაც ესმოდა ეს ყველაფერი, არამც თუ გონების თვალით ჰხედავდა ამას, გრძნობათა ფარგალშიაც ცხადად განიცდიდა და... და დაჰმორჩილებოდა იგი თავის ბედს; კიდეც ჰმადლობდა თავის იღბალს, რომ ღირს მაინც იქმნა შეხვედროდა სათაყვანებელ არსებას, მისთვის ერთადერთს ქალთა შორის.

ჩვეულებრივი ცხოვრებისათვის არ ამზადებდა მანგიური თავის თავს. მისი სარბიელი იყო სარწმუნოება და მეცნიერება, მისი გულის და გონების მასაზრდოებელი საგნები. იმის ნებისყოფას უნდა შესძლებოდა მათთვის ემსახურნა, მათის განვითარების და აღყვავების გზაზედ ერონინებინა ჭაბუკი. მაგრამ ეს განყენებულ ცნებათა რაინდი მაინც ხორცსხმული იყო, სიტურფისაგან ხელდასხმული და თუ ნივთიერ სინამდვილეში ვერ ემსახურებოდა სიმშვენივრეს, ოცნების კოშკში მაინც უნდა ჰყოლიყო თაყვანსაცემი მზეთუნახავი, რომ წაექეზებინა მას არჩეულ ეკლიან გზაზედ მიმავალი მებრძოლი, გაემხნევებინა იგი თავისი ღიმილით, როდესაც სიძნელე საღვაწისა დაჰხრიდა შემძიმებულს და დააღონებდა. შუშან ლამაზი ესეთი არსება იყო მისთვის. ისე ეტრფოდა მას მანგიური, როგორც განდეგილი ქალწულ მარიამს. თავს უნდა შემოვლებოდა ჭაბუკი შუშანს; ქალს უნდა მიეღო მისგან ეს

მსხვერპლი; უამისოდ ვერ იშრომებდა მანგიური, როგორც ვერ შეუძლიან მეზღვაურს სვლა უკუნ ღამეში, თუ არ უნათებს კანდელის შუქი.

მეფის კარის ეკლესია მუდამ ღია იყო სალოცავად; მბრძანებლის განკარგულება იყო ეს. ხშირად განცალკევდებოდა იგი ამ სავანეში; ეტყოდა ღმერთს თავის გასაჭირს, თავის ხვაშიადს. სჭვრეტდა ცხებული თავის სამეფოზედ ბნელად მომავალ ბოროტს და ეჭირვებოდა ნუგეში სულიერი. ბევრჯელ გამოვიდოდა წმიდა სავანიდან ნუგეშინის ცემული, გრძნობა გამტკიცებულ-გაღრმავებული.

– იყოს ეკლესიის კარი მხოლოდ რაზული: ადამიანი ვერ იტყვის წინადვე, რა წუთს მიიწვევს მას მისი გული ღმერთთან სასაუბროდ, – იტყოდა მეფე

და სავსებით ესმოდათ მისი თქმა მის შვილებს. იდგა ქალი ღვთის მშობლის წინ ხელებგადაჭდომილი და ეტყოდა მარად ქალწულსა, გულის ნადებს უზიარებდა:

– არა მსურს უფლობა მხოლოდ ნაბოძები, ჩემის მშვენების ფასად ნაყიდი: იგი ცივი იქნება ჩემთვის, მამცირებელი; მომმადლე ძალა ჩემის გულისაგანაც გაზიარებული, სამხიარულო! ძლიერი ვიქმნები ხაზართა დედოფალი, შეუზღუდავი ძალის მექონი; მაგრამ გული უარჰყოფს მას, მისგან მოცემულ სიდიადესაც.

– ხაკანი უსჯულო, ცხოვრების გზაზედ მეტად ნავალი, ჩემდამი მხოლოდ უმზეო სურვილით გამსჭვალული, ჟინიან ლტოლვით აღელვებული, არ სანდომ ხელში გასართობ საგნად! არა, შემაგინებს მე მის სიახლოვე, შემილახავს ყოველ სიწმიდეს!

– მანგიური... რა თვალთ წარმტაცია! თან ლმობიერი, თვით სათნოება ნივთში სახული. გული მიშუქს, როცა ის ჩემთან არის: მიყვარს... მემღვრევა გული მის დანახვაზედ, ვღელავ ბოროტად: მძულს... ვაჟკაცი ისე ღვთისნიერი?! მორწმუნე და ყოველივეს ისე დამთმობი, თვით სჯულის წესთა?! არა, მანგიურ!.. გამბედაობა, შემმართებლობა; ცეცხლი დამწველი, მცხინვარე ალზედ მთლად დამბუგავი, მედგარივით ძალა მოქმედი!..

ქალმა მიმზიდველი ძალა იგრძნო მისკენ მიმართული და თვალი მოავლო იქაურობას. კარებთან მუხლი მოედრიკა მანგიურს, თვალი მიებყრო შუშანისაკენ. სათაყვანოდ აღგზნებული თვალები.

– შენც შემოსულხარ ეკლესიაში? ვერ შეგნიშნე.

– უძლეველმა სურვილმა შენის ნახვისამ დამაყენა შენს კვალზედ. ვნახე, ლოცვად იდექი და...

– და შენც ლოცვად დადექ.

– ღვთისა და ჩემის ხატისა! – სთქვა მანგიურმა

და ემთხვია ქალს სარტყლის ფოჩზედ. მოხდენილი ჭაბუკი. ცის ფერი თვალები ფართოდ მოხაზული, ნამნაბკურები. ნაქვთიანი ბაგის ნაყოფი ღია, თითქო მღიმარი: შორეულ რამ სევდას თუ გაეღიმებინა იგი ნაღვლიანად. მტკიცე შუბლი: ფიქრთა დენა ძლიერი ადვილი იყო მისთვის და მეტ კვალს არ ავლებდა მის შუბლის ნაზ კანს. თმა თაფლის ფერი, ლბილი, მორჩილად გადმოფენილი. ნაქვთი სახე წყნარად მოზომილ-მოხაზული. არავითარი ტეხილი ხაზი გასწორგასწორა. უჩქარო მოქმედება რკალური, გარნა ურყევად მიმავალი ნათლად ჩენილ სავალისკენ.

მანგიურის სახემ, მისმა მოძრაობამ ნარნარმა, მისმა აღტაცებულმა მთხვევამ სიამე აგრძნობინა ქალს; მაგრამ ამ სიამეს უარყოფითი გრძნობა აედევნა თან, რომელი მსწრაფლ გაძლიერდა და ავად ააღელვა შუშანი, გამოაშრო მისი გონება და გამოფიტა. უარჰყო ვაჟი ქალწულის გულმა: აკლდა ჭაბუკს მკვეთრი სიმამაცე, შემმართებლობა უტეხი, რომ ხმალმოწვდილი წასწრაფებულიყო საძებრისაკენ, თუნდაც ალმასის კლდე დაჰხვედროდა წინ ზღუდედ ან დასნი მრავალნი წინააღმდეგთ ძალთანი. ზღვის

გულიდან გამოიყვანდა თეთრ რაშზედ მჯდომი თვის სათაყვანებელს; ქაჯთა და დევთა მიერ შეკრულ გზას ხმლით გადაჰლახავდა და მოიყვანდა ახალს სულს თვის ბროლის კოშკში ოქროს ჯინჯილით ცაზედ კიდულში.

ჰსურდა ქალს, მის რაინდს მიჯნურობა სჭირებოდა ხელი, მებრძოლი; არა მხოლოდ ლმობიერად თაყვანისმცემი. მის ბუმბერაზი იძულებული ჰყოფდა ყველას, თვით სათაყვანებელ სატრფოსაც თვისსა, აესრულებინა მისი მილტოლვა მზიური, მისწრაფება ზეამაღლებული.

იმაში კი დარწმუნებული იყო შუშანი, რომ ყოველ ჟამს, ყველა გარემოებაში ეს მისი მონა მანგიური მასთან იქმნებოდა, როგორც რამ ჩრდილი საგნის მახლობლად; რაც უნდა ცვალებადი ყოფილიყო მისი ბედი. იგი არ დასტოვებდა მას. განგებას დაეწერა ჭაბუკისათვის:

– ამ ცხოვრებაში შენ დაინახავ სიყვარულს, მიუახლოვდები სავედრებელად, გარნა ვერ შეაღებ მის გულს, სად არა მხოლოდ იხილვების შენი ღვთაება, არამედ საყნოსელ-შესახებიც იქმნების იგი!

ეს უკვე ემცნო ქალისათვის ვაჟის იღბალს და ებრალებოდა იგი მას. სიბრალული ვერ წაადგმევინებდა მისკენ ვერც ერთ ნაბიჯს, ქალი თითონაც ემორჩილებოდა ამ ბედისწერას, მძიმე მოვლენას ურყევ-უცვლელსა. მანგიურიც გრძნობდა ამას, ჰხედავდა ზენაის განგებას თავის შესახებ და ემორჩილებოდა მას სავსებით, მთლად უიმედოდ. მის გულის ტკივილს თუ განაქარვებდა მისივე რწმენა: ყოველივე ზეცას რიგდება ისევ მაშინ, როდესაც სულნი ჯერ არ არიან წარმოგზავნილნი განსახორციელებლად, ნივთიერ სახეში გამოსაკრთომად. ეჰ, მაინც ვერ ჰფხვრიდა იგი რწმენა მის საწყალ გრძნობას, ვერც აქარვებდა.

## 13

შემძიმებული ხაზართა ხაკანი კი წაეღო იმ ფიქრს, როგორ გამოეყვანა ის უჯიათი მზეთუნახავი საქართველოდან. ძნელი იყო კეისრის ყოფა: უზომოდ შეჰლახოდა თვითმოყვარება განდიდებულს, რაკი ქალი არ გამოჰყოლოდა მას; ნაჩვევი არ იყო, ვისმე უარი ეკადრებინა მისთვის, გაებედნა. მერმე ეს დამარცხება საქვეყნოდ მოხდა, ყველამ იცოდა, რა მარცხი მოუვიდა მას, ყველა ხელმწიფე ბოროტად იღიმებოდა მის გაცრუებულ იმედების გამო.

– დასძლია პატარა საქართველომ თვალუწვდენელი ხაზარეთი, უარი შემოუთვალა მას, დიდად შეურაცხჰყო იგი.

– მთელ საქართველოსაც არ დასჭირდა იმასთან ბრძოლა, ერთმა ქალწულმა სძლია კეისართ კეისარი.

ეს დამარცხება უზომოდა სტანჯავდა ხაკანს, სისხლის გუნებაზედ აყენებდა მას. რა შეეძლო?! უღონო შექმნილიყო ამ თითქო უბრალო საქმის წინაშე მძლეთამძლე მეფე.

ეხლა, როდესაც ხაკანმა ნახა შუშანის სახე, როცა იმ ლამაზ სურათზედ ცოცხლივ წარმოუდგა იგი მას, უნებლიეთ ეტრფიალა თვალთა ძალას, გაუმიჯნურდა და უწინდელ სურვილს უბრალოს სიყვარული დაერთო გზნებული. ხანში შესულ ვაჟკაცს ჯერ მაინც არ განეცადა ნათელი სიყვარული მცხინვარე, შეუმართებელი. ახალ ჭაბუკობიდანვე ფერად-ფერად ყვავილთ თავს ევლებოდა ვაჟკაცი, მაგრამ ეს მხოლოდ უბრალო საქმე იყო, ზოგჯერ გატაცებაც, მაგრამ წუთიერი. მისი მეუღლენი თუ ხარაჭანი მხოლოდ ლამაზ-ლამაზი სულდგმულნი იყვნენ მისთვის ჩენილნი, თითქო ნივთები ხელისხელ საგოგმანები, იგინი აკმაყოფილებდნენ მას, ნივთიერ გრძნობებს

განაცდევინებდნენ ეშხიანს, ხორცთა ალს ტკბილად ჩაუნელებდნენ; მაგრამ ვერ იტაცებდნენ დავიწყებამდინ, ვერ ავსებდნენ მის არსებას ტანჯული სურვილებით მოუთმენელ-დაუქრობელით. ეხლა ეს ქალი...

– ქალი კი არ არის ეს, ადამიანისაგან ნაშობი ხორცსხმული, სხვა რამ ქმნილებაა ზე ამაღლებული, უხსნელი ჯაჭვით კაცის დამბმელი. ეს მისნი თვალნი ჩემთვის ამოცანად აღმოჩენილნი, ძველ საიდუმლოდ. თმათა ტევრები გიშრის ტალღებად, ნაწნავთ სიმრავლე, ბაგის ნაპობი ბევრის მეტყველი.. არა, აღარ შემიძლიან! მთელი ჩემი სამეფო, ოღონდ სურვილი ჩემი შესრულებული...

მაგრამ როგორ ან რა გზით შეიძლებოდა შესრულებულიყო კეისრის სურვილი, თითქო პატარა ნდომა პირადი, გარნა მისთვის სიცოცხლის ფასი?! დიდი ლაშქრობა ამ საქმის გამო ძალიან ძნელი იყო, თითქმის შეუძლებელი და დიდად სახიფათო. ციხესავით მაგარი საქართველო არც ისე ადვილად ასაღები იყო თუნდაც ხაზართა უთვალავი ლაშქრისათვის. ეს იცოდნენ ხაზართ, გამოეცადნათ. გარდა ამისა ჩრდილოეთიდან შეიწროებული ქართველნი პირს იზამდნენ დასავლეთისკენ, თუნდ სამხრეთისკენ და ადვილადაც იპოვნიდნენ იქ სამეგობროდ გაწვდილ მარჯვენას: ბიზანტიელთაც, სარკინოზთაც კარგად იცოდნენ ეხლა საქართველოს ფასი, ცხადადა ჰხედავდნენ, თუ საქართველოში გამტკიცდებოდა მათი ძალა, უზრუნველყოფილნი შეიქმნებოდნენ ჩრდილოეთის მხრიდან და ხელგახსნილნი იმოქმედებდნენ მთელ წინააზიაში. უაზროც იქნებოდა ხაზართა ხაკანისათვის ესეთი ომი, მიზანუფერი: თუნდაც დაებყროთ საქართველო, ქალის ხელში ჩაგდება მაინც შეუძლებელი შეიქნებოდა, მისი ტყვედ წამოყვანა, რადგან განსაცდელის დროს ადვილად შეიძლებოდა ქალის გახიზვნა სხვა ქვეყანაში. პირდაპირი ძალა აქ არ გამოდგებოდა, ხერხი უნდოდა უნაკლულოდ მოგვარებული, რომ შესრულებულიყო ხაკანის სურვილი, მისი მისწრაფება შეუკავებელი. ამ საფიქრებელს წაეღო ხაკანის ვეზირი მანგუ-ხალილი.

იცოდა გამოცდილმა ხალილმა, რომ ადრე თუ გვიან ეს საკითხი დაუდგებოდა მას წინ, ადრევე გრძნობდა ამას, ხოლო ეხლა ცხადად დაინახა: გამოფხიზლდებოდა თუ არა ყეინი, მაშინვე დაჟინებით მოითხოვდა თვისის სურვილის აღსრულებას, დაუყოვნებლივ. სახიფათო შეიქმნებოდა ესეთი მიმართვა ყეინისა ჯერ თითონ ვეზირისათვის: თუ ვერ მისცემდა მარჯვე რჩევას, ვერ აუსრულებდა საწადელს, სიცოცხლის ფასად დაუჯდებოდა ცუდი მოფიქრება. ბევრი იფიქრა გამოცდილმა, ბევრი მოხერხებული გეგმა შეადგინა ცბიერმა, მაგრამ ვერც ერთი ვერ მოეწონა საბოლოოდ, ვერ დაადგა ცხადად გზას გადაჭრილს.

– დაყოვნება კი აღარ შეიძლება: მალე მიხმობს ხელმწიფე და მიბრძანებს, გამოვძებნო სავალი მის უთმენ სურვილის ასასრულებლად. ნუთუ დაძაბუნდა ჰაზრთა ძალა ჩემი?! ხალილის გონების თვალთ წინაშე მხოლოდ სიბნელე!

ფიქრს ნაჩვევმა ვეზირმა ბოლოს მაინც გაიკვლია სავალი ჰაზრთა არეში და დაადგა ლამაზ სადინელს. ახლო ყოფილიყო ეს საშუალება მისგან, იქვე მის წინ. ხომ ეგრე იცის: ვინ იცის, სად ეძებს გონება სამძიმო საქმის გამორკვევას, ბოლოს მიაგნობს ტანჯვის შემდგომ და მთლად მარტივ ხერხს უბრალოს. ჭეშმარიტება მარტივია და ადვილად შესაგნობი, როცა უკვე ნაპოვნია.

შემთხვევით მიაგნო ვეზირმა ამ სიძნელიდან გამოსავალ ერთადერთ კვალს. ლეკეთის მფლობელს დესპანები გამოეგზავნა დიდის ხაზართა ხაკანის კარს; თხოულობდა მეფისაგან დახმარებას სარკინოზთა წინააღმდეგ ოქროთი, იარაღით, კაცით. სწერდა ლეკთა ბატონი: „სარკინოზნი საქართველოს საზღვრებიდან, ჰერეთის სანახებიდან, მოადგნენ ჩვენს ქვეყანას; ჩვენის ძალით ვერ შევაყენებთ მათ ლაშქარს

მოზღვავებულს. დამკვიდრდნენ იგინი მთაში და დაიჭირეს გადმოსავალი გზები, ზედ მოვლენ შენს საბრძანებელზეც და მოსვენებას არ მისცემენ შენს სანაპიროებს. უნდა შესდგეს აგარიანთა წინსვლა. ომი გვაქვს მათთან; დაგვეხმარე. რომ შევსძლოთ მათთან ბრძოლა განწირული“.

ჯერ პასუხი არ გაეცათ ხაზართ ამ დასაფიქრებელ წინადადებაზედ; ჯერ ისევ ნადიმები გრძელდებოდა ხაკანის კარს დესპანთა პატივსაცემლად; ფიქრობდნენ ხაზარნი, პასუხს ეძებდნენ. საბჭოს წევრები დაფიქრებულნი იყვნენ იმ ამბის გამო. სახუმარო საქმე არ იყო სარკინოზთა ისეთი დაახლოვება: თუ ისინი კავკასიონით გაიკვლევდნენ გზას ხაზარეთისაკენ, უფრო ძნელი შეიქმნებოდა მათთან ისეც გასაჭირი ბრძოლა. მაგრამ როგორ უნდა ეშველნათ ხაზართ ლეკებისათვის? დიდი ლაშქარის დატრიალება იმ ქვეყანაში არ შეიძლებოდა: მოუხერხებელი იყო მისი შენახვა მწირ ქვეყანაში, მისი თავისუფლად მოქმედება უგზო არეში. მთებიდან ჩაშვებულ ხაზართა ლაშქარს ქართველებიც მტრად მოეკიდებოდნენ: თუმცა იგინიც ებრძოდნენ აგარიანთ, მაგრამ არც ხაზარებთან იყვნენ მეგობრად და ხაზარებისაგან მთების დაჭერას ისინიც ვერ მოითმენდნენ. ამ საგონებელს წაეღო ხაზართა დიდებულნი და ეს იყო მიზეზი, რომ აგრძელებდნენ და ამრავლებდნენ ნადიმობას და ნადირობას, გადაჭრილ პასუხს არ აძლევდნენ ლეკთა დესპანებს.

ესევე საფიქრებელი ჰქონდა გამოცდილ ვეზირს, როდესაც ხაკანის პირადი გრძნობა აღიგზნო სახმილად და ახლა იმაზედ დასჭირდა მას ფიქრი. ორივე ამ საგონებელს ერთი გზა კი ჰქონდათ: ჰაზრები ორივე შემთხვევაში იმ მთიან მხარისაკენ მიფრინავდნენ საკვირველისა, სადაც სცხოვრობდა ხალხი ერთი მუჭა, გარნა ისე ძლიერი, რომ აგარიანთა უთვალავი ლაშქარი უძლეველი ვერ იმორჩილებდა, თუმცა ტალღა ტალღაზედ აწყდებოდა მას. იმ ლამაზი ქვეყნის ალმასის კლდეებზედ თუ იმსხვრეოდა აგარიანთა ზვირთები აღქაფებული, სალივით მტკიცე ქართველთ გულმკერდზედ.

– ლეკთა ქვეყანა ხომ უფრო მთიანია. მიუვალი და რად არის ესეთი დიდი განსხვავება მათ შუა? ერთს დიდ გაჭირვებაშიაც ამაყად უჭირავს თავი, გაუტეხად, მეორე უკვე შემკრთალია სარკინოზთა შორიდან დანახვით,. მაშველს დაეძებს; საქართველო თითონ უარჰყოფს ჩვენგან გაწვდილ ხელს დამხმარეს, ქალსაც კი არ აძლევს ჩვენს ხელმწიფეს უძლეველს, უარჰყოფს ჩვენგან შეძლეულ ყოველსავე დახმარებას, ლეკეთი კი იხვეწება, ჩვენგან ელის ლმობიერ სიტყვას, რომ სიხარულით მიიღოს იგი და აასრულოს დაუყოვნებლივ.

ამ საფიქრებელმა უეცრად გაუნათა გზა მარჯვედ მოაზრე ვეზირს და ისეთი გეგმა მისცა მას მოქმედებისა, რომ ორივე საკითხი ერთად იჭრებოდა, ერთის დაკვრით, სწყდებოდა ხაზართა სასარგებლოდ, მათ  სასახელოდ და... თითონ ისეც ზეამაღლებული ვეზირისაც უფრო ასამაღლებლად, განსაბრწყინებლად.

## 14

– ვეზირი! – ბრძანა ხაკანმა.

მსწრაფლ ეახლა ხალილი.

– მე ვიტანჯები სასტიკად, თქვენ იშვებთ ყველანი. არც შენა ჰფიქრობ რასმე, ვეზირო ხალილ!

– ვფიქრობ ძნელ საფიქრს, მაინც შესაძლოს, მეფეთა მეფევ!

– შესაძლოსა?!

– შენთვის შესაძლოს, მძლეთა მძლეველო!

– ჩემთვის?

– დიაღ! დავაკმაყოფილოთ ლეკთა სურვილი.

– ლეკთა სახვეწნი? მე სხვას გიბრძანებ!

– შენს საწადელზედ მოგახსენებ, ხაზარეთის მძიმე სევდაზედ, აუსრულე ლეკთ სახვეწარი, მხოლოდ პირობით: საქართველოსთან ეგენი ზავით არიან შეკრულნი; ჩვენთან საქართველო მტრულად არის განწყობილი; უნდა უარჰყონ კავშირი ქართველებთან.

– მტრადაც ჩაუდგნენ, თუ ჩვენი მფარველობა ჰსურთ; ჩვენ შეურაცხმყოფელთ ხელი არ უნდა მისცენ.

– უნდა დაგვთანხმდნენ ამაზედ. საწინდარიც უნდა მოგვცენ და დაგვარწმუნონ, რომ მათი თანხმობა გულწრფელი იქნება.

– დიაღაც! მაგრამ რა საწინდარი უნდა მოვსთხოვოთ ამათ, ან როგორ ვადევნოთ თვალი მათ ერთგულობას?

– შენმა სიძლიერემ და ბრძანებამ ეხლავე უნდა განართხოს ეგენი შენს ფეხთ ქვეშ, ლეკნი მთლად, თვით ქართველებიც.

– ვაჰ, თუ ვერ მივსწვდეთ, ვერ ვიმორჩილოთ: ჩემმა დიდმა სურვილმა და ძლიერებამ სამეგობროდაც ვერ დაგვიახლოვა საქართველო: სამოყვროდ ხელის გამოწვდა არ ინება მათმა ამაყმა მეფემ, – სთქვა ხაკანმა

და ჯერ დაღონდა, თავი ჩაჰკიდა; მერმე მრისხანება აეხატა სახეზედ. ვეზირი სდუმდა, ულვაშქვეშ ოდნავ იღიმებოდა. მეფემ თვალი მოჰკრა ამ ღიმილს თითქო დამცინავს და აენთო, თვალის იერი დაჰკარგა; ხელი წაატანა მძიმე კვერთხს, რომელიც მის სავარძელთან ეყუდა. ამ საშიშ მოძრაობამ არ შეაკრთო ვეზირი. მის ბაგეზედ ღიმილი უფრო მკაფიოდ აიბეჭდა, თვალებმა გაუღიმეს ჭკვიანს. ხაკანი ჩააკვირდა ვეზირს ბოროტად აღგზნებულ თვალებით, ხოლო მისმა მარჯვენამ უკვე ასწია კვერთხი, იატაკს ააცილა მისი წვერი განმახული.

– მოიღე წყალობა, ღვთისა დარო, მიბრძანე მოგახსენო.

– სთქვი!

– ხელში გვყავ ლეკთა საწინდარი თუ ამანათი.

– ხელში გვყავს?!

– შენ ხელთ არიან. თანაც ისეთ პირობას დაუდებ, მთლად გამოირკვევა მაგათი გულის ნადები და გულწრფელობაც.

– მაგათი ხვაშიადიც?!

– გულწრფელობა მაგათ თხოვნისა, ან გულჩახვეული მათი ჰაზრი ჩაბნელებული. თუ აგვისრულებენ, მისანდონი იქნებიან; არ აგვისრულებენ და თავიანთ თხოვნაზედ თითონვე იტყვიან პასუხს უარყოფითს.

– რა პირობაა, სთქვი ჩქარა!

ლეკებსა და ქართველებს ზავი აქვთ შეკრული: ერთად ომობენ მტერთან, ერთად მეგობრობენ კეთილისმყოფელთან. ერთმანეთის უკითხავად ლაშქარს არ გადაუშვებენ თავიანთ ქვეყანაზედ. სოვდის მოძრაობასაც აუცილებლივ აცნობებენ ერთმანეთს, რომ ვინმე სოვდაგარს არაფერი გაუჭირდეს მათ ქვეყანაში, ორივე სახელმწიფოში ერთნაირ მფარველობასა გრძნობდეს. ისეთი მჭიდრო კავშირი აქვთ, თითქო ერთი საბრძანებელი არისო.

მერმე?

– ქართველნი კი ჩვენი მტრები არიან, შენი სურვილის უარმყოფელნი: ლეკებმა ან ისინი უნდა ირჩიონ, ან ჩვენ.

– უსათუოდ!

– უნდა დაგვიმტკიცონ მეგობრობა: უვნებლად უნდა გაატარონ თავიანთ ქვეყანაზედ ჩვენი ჯარი, მცირე რამ ლაშქარი, გზები უჩვენონ, შემწეობა აღმოუჩინონ.

– ჩვენი ლაშქარი თითონ გაიკაფავს გზას. როცა ომს დავიწყებთ!

– ჩვენი მცირე ლაშქარი ეხლავე უნდა გაატარონ თავიანთ ქვეყანაზედ.

– პატარა ჯარი? რა საქმე უნდა გააკეთოს იმან მტრულად განწყობილ ქართველთა და უთვალავ სარკინოზთ წინააღმდეგ?!

– ძლიერ დიდი საქმე: უნდა დააკმაყოფილოს შენი სურვილი; დასაჯოს საქართველო თავხედობისათვის; უგმიროს ჰოროლი თვით დიდ ხალიფსაც.

– იგავებითა ჰბედავ ლაპარაკს ჩემ წინაშე, ბუნდოვანად...

– მომეცი ნება, მზისა დარო, მოგახსენო ბოლომდისინ.

– სწრაფად!

– საქართველომ არ შეასრულა ბრძანება შენი: მყისვე არ წამოგზავნა იგი ქალწული დედოფლად ხაზარეთისა. შენ დასთმე ეს შენის სულგრძელობით მეფურით; ხალხი ვერ დასთმობს, ვერ მოისვენებს, სინამ არ ეწევა თავის სურვილს, თავის დიდებულ მეფის მისწრაფებას. მე, შენმა ფერხთა მტვერმა, ვეძიე მას აქეთ, ჩვენი დამდაბლების შემდეგ, გზა შენის სურვილის აღსრულებისა, ვიდევნე თვალი მეფის არჩილის სახლობას და იმის მზეთუნახავ ქალს.

– მზეთუნახავ შუშანს?!

– ცის მნათობს ქვეყნად შენთვის წარმოგზავნილს. ვიცი ყველა მათი ამბავი. ქალსაც ისე ვიცნობ მნახველთა აღწერით, თითქო მენახოს იგი ჩვენი დედოფალი უმშვენიერესი. შენ რომ სახე მოგართვეს...

– აი ის სახე, ვეზირო ჩემო უერთგულესო!

– შენთვის თავდადებული ფეხთამტვერი შენი... ეხლა ის ქალი და მისი უმცროსი ძმა ჯუანშერ კახეთის ხევს არიან მიუვალ სიმაგრეში; უფროსი ძმა იოანე ეგრისში არის, ევქსინის პონტის პირას; კახეთის ველი ზედ აკრავს ლეკეთს, ის ციხე, ქალის სავანე, ზედა სდგას მთის ძირზედ; ლეკეთზედ გადადის ვიწრო გზები კახეთისაკენ; დიდ ლაშქარს არ შეუძლიან იქ სვლა, პატარა ლაშქარი ადვილად ჩაეპარება აქედან ქართველთ და...

– ჩაეპარება და...

– შემოერტყმის ლაკვასტის ციხეს, ბედნიერო. გამოიყვანს ქალთა მზეს.

ხაკანს განცვიფრება აღებეჭდა სახეზედ. აღტაცებით შეჰყურებდა ჭკვიან მრჩეველს.

– ჩვენი რჩეული ჯარი იქიდანვე დასწვდება თბილისს და მსწრაფლ იავარ ჰქმნის: აგარიანნი არ ელიან ეხლა მტერს და საზაფხულოდ გასულნი არიან მთიან ადგილებში. გრიგალივით შემობრუნდება უკან ლაშქარი ძლევამოსილი და სანამ გონს მოვა მტერი, იგი უკვე გადმოევლება მთებს დიდის სახელით, დავლით და საუკეთესო მარგალიტით მთელი საქართველოსი: მოგგვრის, უბედნიერესო, იმ მზეთუნახავს.

– ქალის გამოტაცება დიდებულად მოფიქრებული!

– ისე უნდა გადაიპაროს ჩვენი ჯარი, არავინ იგრძნოს, შორეული გუმანიც ვერავინ მიიტანოს, თორემ ქართველნი გადაჰმალავენ ქალს, ხოლო ჩვენ ლაშქარს გასწყვეტენ მთების ვიწროებში. შენსა და ჩემს გარდა კიდევ ერთმა უნდა იცოდეს ეს, – იმან, ვინც სარდლად ჩაუდგება ჩვენ რჩეულ ჯარს.

– ვინ უნდა ჩაუყენოთ ჩვენს ჯარს სათავეში, ჩემო ჭკვიანო გამომრჩეველო?

– კაცი მებრძოლი, მთლად უშიშარი; გამოცდილი, დაკვირვებული; გასაჭირში მარჯვედ მოაზრე; მთლად სანდო შენი.

– მერმე ვინ არს ეგრე შემკული?

– ერთადერთი: მთავარსარდალი ბდუჩანი.

– და შენ აქებ შენ მოძულესა?!

– ვაქებ სახელმწიფოსათვის ფრიად გამოსადეგ კაცს, რომელსაც ბადალი არა ჰყავს ამისთანა საძნელო საქმეში. ჩვენი მდურება... ეს პირადი საქმეა ჩვენი. შენ სამსახურში ორნივენი შენი მონები ვართ, შენისა და ხაზარეთისათვის თავგანწირულნი.

– გაქებ, ვეზირო!

– თაყვანსა გცემ, მეფევ ცათასწორო!

## 15

დიდებულ ხაკანს ძალიან მოეწონა თავისი ვეზირის რჩევა და მოსაზრება; დაუმადლა, ხალათი უწყალობა. დაიბარა თავისთან მთავარსარდალი ბდუჩანი და გაანდო მას ეს საიდუმლო. ბდუჩანს გაუკვირდა იმ ძნელი საქმის ესე მარჯვედ მოხაზვა და მოფიქრება. თითონაც ჩაუფიქრდა გამოცდილი ამ სამხედრო მიმართვას საფრთხილოს და ვერა სცნო შეუძლებლად მისი ასრულება. ვეზირი რომ ჭკვიანი კაცი იყო, ეს ბდუჩანმა წინადაც კარგად იცოდა; ეხლა მთლად დარწმუნდა მის შორმჭვრეტელობაში.

ეჭვი დაუბადა ბდუჩანს მხოლოდ იმან, რომ თვით ვეზირს ექო ბდუჩანი მეფისათვის და რჩევა მიეცა, მისი ხელმძღვანელობით გაეგზავნა იგი ჯარი: ვეზირი მოშურნე იყო ბდუჩანისა, მტერი იდუმალი, იცოდა ეს იმან; თითონაც არ უყვარდა ვეზირი და იმანაც ეს კარგად იცოდა. ეხლა იმ ჰაზრს დაადგა მთავარსარდალი, რომ ვეზირი ალბად მაინც დიდად აფასებდა მას, მის უნარს თუ გამჭრიახობას და გულწრფელად უჩვენა მეფეს საუკეთესო კაცი ამისთანა სამძიმო შემთხვევისათვის...

– უსათუოდ შევასრულებ მეფის ამ გულითად სურვილს და მადლობელი კეისარი ვეღარ დაივიწყებს ამნაირ ჩემ ამაგს! – ოცნებობდა იგი.

ამ ჰაზრში კიდევ იმან დაარწმუნა ბდუჩანი, რომ ვეზირმა იქვე, მეფის წინ, მოიხადა მასთან ბოდიში, თუ აქამდინ რამე ეწყენინებინა მისთვის, და სთხოვა, ამ დიდებული განზრახვის წინაშე ბდუჩანსაც დაევიწყნა ყოველივე, თუ რამე ავი მიუძღოდა მას მის წინაშე და ძმად მიეღო იგი.

– დიდებულს ჩვენს მეფეს, მთელ ჩვენს ქვეყანას, ისეთი რამე საქმე უძევთ წინ, რომ ეხლა დრო აღარ არის პირადი მტრობისა თუ სიძულვილისა. ყველა ხაზართ ერთი და იგივე მტერი ჰყავთ – ძლიერი აგარიანნი და ერთადერთი შეურაცხმყოფელი – პატარა საქართველო. ამ საფრთხეთა წინაშე უნდა მოისპოს ყოველივე შინაური უკმაყოფილება და საომარ ფეხზედ დადგეს მთელი ხაზარეთი! – სთქვა ვეზირმა.

ბდუჩანს თითონაც ჭკვაში დაუჯდა ეს დავალება: უნარის გამოჩენის გარდა მეფისათვის დაუვიწყარ სამსახურის გაწევისა, საკუთარი მოვალეობის გზასაც იკვლევდა იგი: ბდუჩანი ამირსპასალარი იყო მთელის ხაზარეთის ლაშქრებისა, ხაზარეთს კი ბრძოლა ჰქონდა გამართული აგარიანებთან; იმ ბრძოლას აქამდისინ რომ უფრო შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა, ეხლა დიდი ომები იყო მოსალოდნელი სამხრეთიდან მოზღვავებულ მტერთან. ეს საიდუმლოდ მოწყობილი თავდასხმა ქალის მოსატაცებლად თანაც მტრის დაზვერვა შეიქმნებოდა, მის ძალებისა და სავალ გზების ახლო გაცნობა.

ლეკთა დესპანებს განუცხადეს ხაკანის ეს სურვილი. დასთანხმდნენ ისინი, მიიღეს წინადადება: ეხლა ხაზარნი უფრო საჭირონი იყვნენ მათთვის, სინამ ქართველნი; ხაზართა ჯარის გატარებისათვის თავიანთ ქვეყანაზედ შეიძლებოდა

ისეთი ხასიათი მიეცათ, მითომ ლეკებმა ვერ შესძლეს მათი შეჩერება; ეს მცირედ მაინც გაამართლებდა მათ ქართველთა თვალში. მთიელთა ელჩები მეტი მსხვერპლის შესაწირადაც მზად იყვნენ ამისთანა გაჭირების ჟამს.

მოეწყო ლეკთა თანხმობით და წინამძღვრობით ეს პატარა, გარნა ძლიერი თარეში მოულოდნელი. საუკეთესო მებრძოლნი დაარჩიეს ხაზართ, მათ ლაშქრის თვალს შეადგენდა მოთარეშე ჯარი. სათავეში ჩაუდგა მას თვით ბდუჩანი, საუკეთესო რაინდი მთელის ხაზარეთისა, მებრძოლთა წინამძღვარი დიდად გამოცდილი.

უკლებლივ ასრულდა ვეზირის განზრახვა. ყველაფერში დაეთანხმნენ მას მეფეც, მისი დიდებულნიც. მანამ ეს განზრახული თავდასხმა შესრულდებოდა, ლეკთა დესპანები ხაზარეთშივე უნდა შეეჩერებინათ სხვადასხვა მითომ საპატიო მიზეზების გამო.

– უფრო გულდაწყნარებული იქნები, როდესაც ლეკთა წარჩინებულნი ამანათებივით გეყოლებიან ხელში, – მოახსენა ვეზირმა ხაკანს

და მის ჰაზრს მიემხრო მთელი საბჭო. როდესაც დესპანებმა იგრძნეს ეს გადაწყვეტილება, ძალიან შეფიქრიანდნენ. სთხოვეს ხაკანს, ერთი მათგანი ეხლავე თან გაჰყოლოდა სათარეშოდ გაგზავნილ ლაშქარს, რომ თვით ლეკეთში წინამძღვრობა გაეწივნა მათთვის და თავიანთ მეფისათვის განმარტება მიეცა ხაზართა ამგვარ მოძრაობის შესახებ. ლეკის ელჩებმა იცოდნენ, თუ ხაზარნი რამე ზიანსა ჰნახავდნენ ლეკთა საბრძანებელში, თუნდაც შემთხვევით ზარალს, პირველი მსხვერპლი ხაკანის მრისხანებისა ისინი შეიქმნებოდნენ. ამიტომ უნდოდათ ერთი მათგანი გაჰყოლოდა ჯარს და ადგილობრივ ცდილიყო, უხინჯოდ ჩაეტარებინა ეს მძიმე საქმე.

რამდენსამე დღის განმავლობაში შეგროვდა და შეიკაზმა ჯარი. გაავრცელეს ხმა, გურგანის ზღვის სანაპიროებს უნდა ჩაუაროსო ლაშქარმა. სწრაფად დაადგა ბდუჩანი გზას. თარეში ყოველ მხრივ მშვენივრად იყო მოწყობილი და უთუოდ გაუმარჯვდებოდა, თუ ლეკნი არ გასცემდნენ მათ და არ აცნობებდნენ ქართველებს ხაზართა მიახლოვებას.

ქართველნი აქადან ხაზართა თავდასხმას არ მოელოდნენ; ვერც შესაძლო იყო მოჰლოდებოდნენ. ეს აზრი ცხადად ჰქონდა გარკვეული ხაზართა მთავარსარდალს და ისე ფრთხილობდა გამოცდილი, რომ არამც თუ გარეშე სხვებმა, თითონ ჯარშიაც არავინ იცოდა მიზანი და მიზეზი ამ მოძრაობისა, საბოლოვო მისი მიმართულება. ცოტას რამ მიხვედრილი იყო მხოლოდ ის ლეკთა დესპანი, რომელიც ყოლაოზათ მიჰყვებოდა ეხლა მათ.

ძლიერ სწრაფად განვლეს გრძელი გზა: მეფის ბრძანებით ჯარს მანძილ-მანძილ მზა ცხენები ხვდებოდა შელახულ ჰუნეთა შესაცვლელად, საჭირო საგძალიც. შევიდნენ ხაზარნი მთებში. ლეკებმა გზა მისცეს ხაზართა რაზმებს. ცდილობდნენ კიდეც მალე და მშვიდობით გაეცილებინათ იგინი თავიანთ ქვეყნიდან: მწირ მხარეს არ შეეძლო ხანგრძლივად ესაზრდოებინა იგი უცხო რაზმები, მტაცებლობაში თუ ძალადობაში დაგეშილ მეკობრეთა საშინელი გუნდები.

განვლეს ლეკეთი, ეწივნენ საქართველოს სამზღვრებს. გადახედეს მწვერვალებიდან ალაზნის ველს ფართეს, თვალწარმტაცს, დიდ დოვლათიანს. ჩაეშვნენ დაბლა მთის ბილიკებით.

სამეკობროდ დარაზმულ ხაზართა გუნდებს გზადაგზა შეუერთდნენ ლეკთა მოხალისე ჯგუფები: იგრძნეს მტაცებლებმა სისხლის სუნი და გაეშურნენ დავლის შესაკრებად.

უბედურ ვარსკვლავზედ თუ იყო გაჩენილი ქალო შუშანი, ბოროტ ვარსკვლავზედ სისხლმორეულზედ: ქართველებს ვერვინ შეატყობინა მტრის მოახლოვება; თითონაც ვერ უგრძნეს მტაცებლებს ვერაგული მოძრაობა ბოროტი.

## 16

ბატონიშვილები შუშან და ჯუანშერ ლაკვასტის ციხეში ჩაკეტილიყვნენ კახეთში გახიზნულნი, მტრისაგან მიუგნობელ და მიუვალ ციხე-სიმაგრეში; მაინც შიშობდნენ, ფიქრიანობდნენ.

– ჯუანშერ, ძმაო! ვგონებ, არა გძინავს.

– მინდა დავიძინო, ვერ დამიძინია ხეირიანად: რაღაცა მაწუხებს, სუნთქვა მეხუთება; ბურანს ვერ გამოვრკვევივარ.

შუშანი მიუახლოვდა ძმას, ჩამოჯდა სკამ-სავარძელზედ და ხელი დაადო შუბლზედ.

– სიცხე აღარ გეტყობა, გამოგნელებია; მალე მთლადაც განთავისუფლდები ავადმყოფობისაგან.

– ჯერ ისევ სუსტადა ვარ. რა ცუდ დროს გავხდი შეუძლოდ! სანადიროდ ვეღარ გავყევი ჩვენებს. დიდი ნადირობა გაიმართება: რაზმიც გავატანე, რომ დიდს არეს დაუარონ გარს და კარგად შეკრან წრე.

– ნეტა მეციხოვნეები არ გაგეტანებინა! როგორღაც შიშმა ამიტანა უსაგნომ. იმიტომ ჯერ მეც არ დავწოლილვარ; ძილის დრო კი არის.

– არც ისე ძალიან იქნება დაგვიანებული, ხშირი ვახშმობის დრომც იყოს ეხლა.

– ჯერ არ არის ღამე გატეხილი, ვარსკვლავები დავათვალიერე, – ჩაურთო სიტყვა გამდელმა.

– ივახშმეთ?

– წინადვე. შენ კი ვერას მოგიტან: ექიმი ბრძანებს, სუბუქად აჭამეთ, ვახშამი ჯერ არ არისო საჭირო.

– არცა მშიან: მადა არა მაქვს.

– კარგად არის ციხე დაცული? საშიშარი ხომ არა მოგველის რა?

– რა უნდა, ქალო, აქ საშიშს?! ციხე ძალიან კარგად არის გამაგრებული: მიუვალ ადგილას სდგას, ზურგი ლაშქრისათვის გადმოუვალ კლდისათვის მოუბჯენია, თითონაც მტკიცეა! რისა გეფიქრება, გენაცვალე?

– ძმა იოანე აქ აღარა გვყავს. უმთავრესი ლაშქარი თან ახლავს მას და მეფიქრება, ხაზართ არ შემოლახონ ჩვენი ქვეყანა: იმ ეშმაკის კერძ ხაკანს ებრძანებინა მაშინ, ქართველთა სისხლით მოვბან ხაზარეთს ამ შეურაცხყოფასო. მეც დამმუქრებოდა.

– ნურაფრისა გედარდება! შორს არის დარიალი ჩვენი სავანიდან, თუნდაც ომი გამოგვიცხადოს ახლა იმ მტერმა; სხვა გზა არა აქვს ხაზართა ლაშქარს საქართველოსაკენ: გურგანის ზღვის კარი უკვე სარკინოზთ უჭირავთ; იქიდან სავალი აღარა აქვს ხაზართა ლაშქარს.

– ვიცი! აკი დაგვარწმუნა კიდეც ჩვენმა ციხისთავმა, შეუვალიაო ჩვენი სიმაგრე. მაინც დიდი სიფრთხილე გვმართებს.

– დიახაცა გვმართებს სიფრთხილე!

– განა ხაზარეთიდან სხვა გზა სრულებით არ არის ამ ციხისაკენ, თუნდაც ლეკეთზედ? იმ მკითხავმა მითხრა, სხვა მხრივ მოდისო შენზედ განსაცდელი, მოულოდნელი გზით. ხაზართა ხაკანს უთუოდ ეცოდინება ჩვენი ბინა, ალბათ თვალს გვადევნებს მთხრობელთა შემწეობოთ.

– შეიძლება თვალს გვადევნებდეს და ყველაფერი იცოდეს, რა ხდება ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ვერ ეწევა წადილს: ლაშქარი ვერ გადმოვა ამ მთის ბილიკით, მცირე გუნდები კი ვერ შემოგვბედავენ, ვერც რას დაგვაკლებენ. ლეკები არც გამოატარებენ ჩვენს მტერს თავიანთ ქვეყანაზედ: კავშირი აქვთ ჩვენთან შეკრული.

– მესმის, მაგრამ შენ, ჩემო კარგო, ჯერ გამოცდილი არა ხარ. დედა და იოანე რომ ბრძანდებოდნენ, მაშინ საბჭოში სთქვეს, სარკინოზნი აპირებენ ლეკეთს მოადგნენო საბრძოლველად, იქიდან უნდათო გზა გაიკვლიონ ხაზარეთისკენ; შეიძლება, ლეკებმა მთების იქით ეძიონო შემწე, ხაზარეთს მიაბრყონო თვალი.

– შენ ხომ ძალიანა ხარ გამოცდილი! ეგ იქნება შემდეგ როდისმე მოხდეს, მანამდისინ კი იოანე მეფედ ეკურთხება, ჯარს გააძლიერებს და შეჰკრავს ყველა გადმოსავალ გზებს, ხომ იცი, როგორი ჭკვიანია ჩვენი ძმა და მხნეობით სავსე. ტყუილად გეშინიან. ღმერთი დაგვიფარავს.

– იმ ლეკის დედაკაცმა ჩამიგდო გულში შიში, იმდღეს რომ მიმკითხავა. ისეთი დაჭეშმარიტებით მეუბნებოდა, თითქო მართალი რამ იცისო ჩემს შესახებ სახიფათო; თან თვალებში მიყურებდა ჩაშტერებით. საზარელი თვალები ჰქონდა, თითქო ცეცხლს აკვესებსო.

– მეც შემაკრთო მაშინ იმ მარჩიელის ნათქვამმა. ისე დაბეჯითებით ამბობდა, თითქო ყველაფერს მართლა ჰხედავს, ყველაფერი დაჭეშმარიტებით იცისო, – დასძინა ძიძამ.

– იქნება მთხრობელიც იყო ვისგანმე მოგზავნილი, ჩვენის კეთილის მოსურნისაგან. ნეტა აღარ გაგვეშვა ის დედაბერი და ნამდვილ გამოგვეკითხა ყოველივე, – სთქვა თითქო უნებლიეთ შემკრთალმა ჯუანშერმა

და მიჰმართა მონას:

– მიხმე ციხისთავი!

– ამ წამსვე, ბატონიშვილო!..

– აქა მშვიდობა! გებრძანებინათ, ბატონიშვილო, – მიჰმართა გურგენმა ჯუანშერს.

– იმისთვის  გაგსარჯე, ციხისთავო, დაარწმუნო ეს ქალები რომ მათ არავითარი შიში არ მოელის ამ დაცულ ადგილას: რაღაც ავ წინადგრძნობას აუტანია ბატონიშვილი შუშანი და მისი ძიძაც.

– ბოროტ წინაგრძნობას, ბატონიშვილო? – შეეკითხა ციხისთავი და ფერმა გადაჰკრა.

– ციხე კი ძალიან მაგარი გვაქვს, მაგრამ...

– მაგრამ?

– ნეტა არსად გაგვეგზავნა ციხის მცველები. ან თქვენ გასცლოდით ცოტახნობით აქაურობას, თუნდაც კასრის ციხეში გადაბრძანებულიყავით.

– განა რა მოხდა ისეთი? – ჰკითხა ჯუანშერმა.

– რამე საშიში ხომ არაფერია? – შეეკითხა შუშანი.

– ჯერ ისეთი არაფერი სჩანს, ბატონიშვილებო, მაგრამ მაინც დიდი სიფრთხილე გვმართებს.

– რა ამბავია? რატომ აქამდისინ არ შემატყობინე თუ...

– ის იყო მინდოდა გხლებიყავით და თქვენც გებრძანებინათ. მინდოდა მომეხერხებინა, რომ ეს არის ამბავი მომიტანეს, ხაზართა ჯარი იკვლევს გზას ლეკეთზედ სპასალარის ბდუჩანის წინამძღვრობით.

– ლეკეთზედ გზას იკვლევსო ხაზართა ჯარი?! ეგ ხომ ღალატია: ლეკნი პირობით არიან ჩვენთან შეკრულნი... დარაჯნი დავაყენოთ გადმოსავალ გზებზედ.

მსწრაფლ დაბრუნდეს სანადიროდ წასული რაზმი. ქალები ხვალვე გადავიყვანოთ კასრის ციხეში! – ბრძანა აღელვებულმა ჯუანშერმა.

– ღმერთმა ქმნას მშვიდობით გაგვითენდეს! ბნელი ღამეა, შეიძლება მტერი ქურდულად შემოგვეპაროს...

– როგორ თუ შემოგვეპაროს?! რამე ნიშნებია მტრის შემოსევისა?

– მაგდენი არაფერი! ხევის თავში, მთის ბილიკის დასწვრივ, ყმუილი რამ მოისმის ხამუშ-ხამუშ, თითქო მგლები ხმას აძლევენო ერთმანეთს.

– ჯერ ისევ ზაფხულია, მგლის ხროვობის დრო არ არის.

– მეც მაგან შემაფიქრიანა. მტერი არ აძლევდეს ნიშანს თავისიანებს. მშვილდოსნები გავგზავნე საუკეთესონი. აეპარებიან, ჩამოათრევენ ნადირს ან მის მსგავს მტერს.

– კარგი გინებებია, გურგენ ჩემო!

– იმედია, სახიფათო არა იქნება რა.

– ვინ იცის?! ჩვენ მტერი არ დაგველევა. განსაცდელი მოსდევს განსაცდელს ჩვენზედ მოწევნილი... ვიცი, მესმის, რად აგვემტერა დიდი ხაკანი: გულს დაღად აზის ჩვენი უარი. გაგონილა ძალით მოყვრობა ან სიყვარული?!

– თურმე ბატონიშვილს შუშანს დიდ დედოფლად იხსენებენ ხაზარეთისა: ესეთი ბრძანება გამოუცია მათ ყეინს. სურათს არ იშორებსო გულიდან.

– ჩემს სურათს?! ვინ მიართვა ხაკანს ჩემი სურათი, იმ ღვთისა მტერმა?!

– აკი უარი შეუთვალა ჩემმა შუშანმა, აგერ სამი წელიწადია, – ჩაურთო სიტყვა ამზრდელმა.

– ვერ შეჰრიგებია უარს დიდი მბრძანებელი ხაზარეთისა და საფრთხეს უმზადებს ჩვენს ქვეყანას ეს მისი ჟინი, – წარმოსთქვა ჯუანშერმა.

– ვერ მნახოს წარმართმა დედოფლად ხაზარეთისა! უმჯობეს არს ჩემთვის სიკვდილი, ვიდრე შეგინება წარმართისაგან! – წარმოსთქვა შუშანმა მკაცრად.

და აათამაშა ლალის ბეჭედი. სასტიკი გამომეტველება აღებეჭდა ძვირფას სახეზედ. ძლიერ შემაკრთო მის სახის მეტყველებამ, არ მეჩემა საბედისწერო ბეჭდის ათამაშებაც. ვიცნობდი იმ განძს ნახჩიანს: თვალს ამოიღებდი, შხამს ჰნახავდი შიგ გამჭვირვალეს, სწრაფის სიკვდილის მოციქულს.

საშიში დრო იყო მაშინ საქართველოში, მეტადრე იმისთანა მშვენიერისათვის, როგორიც იყო ბატონიშვილი შუშანი. ის ბეჭედიც მისთვის  მისცა მას დედამ. შესაძლო იყო, შუშან ვარსკვლავსაც დასდგომოდა ისეთი წუთი, როდესაც უმჯობესი შეიქმნებოდა მისთვის  სიკვდილი, ვიდრე სიცოცხლე. დამცირებულ ქართველთა ვაჟთა თუ ქალთათვის ძნელ ყოფაში სიტყვისა და საქმის შორის მზღვარი არ იდო...

ნეტავ გამომერთმია მზე ქალისათვის იგი ბეჭედი საბედისწერო! ვერ მოვახერხე: არ შევკადრე, ვერ გავუბედე...

## 17

ბატონიშვილი იოანე დიდის პატივით მიიღეს დასავლეთ საქართველოში, იქაური ერისთავები სიამოვნებით შეხვდნენ სჯულისათვის და ქვეყნისათვის წამებულ არჩილის შვილს. ქველი და შემმართებელი ბატონიშვილი თითონაც დიდად პატივსადები იყო. მაინც იქაც ვერა ჰპოვა ტახტის მემკვიდრემ ისეთი ძალები, რომლებზედაც შესაძლო ყოფილიყო სამეფო ტახტის დამყარება. შინაური ძალა უკვე შერყეული იყო აგარიანთაგან; გარეშე ძალაც, რომელიც მაშველ ხელს უწვდიდა მაშინ საქართველოს, უკვე დაკნინებულიყო: დაეტოვებინათ ბიზანტიელებს ყველა თვისი

ქალაქები  თუ ახალშენები ევქსინის პონტის აღმოსავლეთით, ჯარები გაეყვანათ აქედან და მთელი თვისი ძალები შეეკრიბნათ კონსტანტინეპოლის დასაცავად, რადგან ხალიფი უახლოვდებოდა მას. ეს ქალაქი ნამდვილი გული იყო მთელის სახელმწიფოსი და მის მტრისაგან დაჭერა უდრიდა მთელი სახელმწიფოს დაბყრობას. რა იმედების დამყარება შეიძლებოდა ამისთანა შემკრთალ მოკავშირეზედ, თუნდაც ბიზანტიას გულწრფელადა სდომებოდა, რომ იოანეს დაეჭირა საქართველოს სატახტო ქალაქი.

ბიზანტიის შედრკომით გათამაშებული არაბები დიდის ძლიერებით ეკვეთებოდნენ ქართველებს, რომელთაც ამ დროს ხელიდან გამოსცლოდათ გამოცდილი მეფე თავდადებული და მით მოჰშლოდათ უმთავრესო ბურჯი სახელმწიფო ცხოვრებისა. ჯერეთ გამოუცდელ იოანეს მთელი თავისი ძალა და გამჭრიახობა უნდა მოეხერხებინა, რომ გაემაგრებინა სახელმწიფოს სამზღვრები, რომელიც ხან სად ინგრეოდა ძალანაჭარბებ მტრის ხელით, ხან სად.

ამ გაჭირვებულ ყოფას დაერთო სხვა განსაცდელიც: ქართველთაგან უნებლიეთ შეურაცხყოფილნი და მის გამო მტრად გადაკიდებულნი ხაზარნი თვალს არ აშორებდნენ საქართველოს სამზღვრებს: აღმოსავლეთისაკენ რომ ლეკებს ეზავებოდნენ იგინი, დასავლეთისაკენ აფხაზებს აღელვებდნენ და აქეზებდნენ, რომ გასდგომოდნენ იგინი ქართველებს და დაეარსებინათ ცალკე სახელმწიფო თვით ხაზართა მფარველობის ქვეშ. ძალიანა სცდილობდნენ ხაზარნი ამ საშუალებებით მაინც დაეჭირნათ კავკასიონის კარებები, რადგან იცოდნენ, ვის ხელშიც იქნებოდა იგი გადმოსავალნი, იმისი შეიქმნებოდა გამარჯვება იმ სასტიკ და შეურიგებელ ბრძოლაში, რომელიც უკვე დაწყობილი იყო ჩრდილოეთის მბრძანებელ ხაზართა და სამხრეთის მფლობელ აგარიანთა შოროს.

ხაზართა შთაგონებით ლეონ აფხაზი აღარ დაემორჩილა იოანეს, არ აღიარა იგი მეფედ მთელის საქართველოსი და ისე ეჭირა თავი, როგორც მფლობელს ვისმე დამოუკიდებელს. იოანეს არ ძალედვა განემტკიცებინა ამ კუთხეშიც ხელმწიფობა საქართველოსი: ხაზართა ხაკანი ზურგს უმაგრებდა აფხაზს, მარად მზად იყო, შესაფერ დროს ჯარით დაჰხმარებოდა განდგომილს, იოანე ყოველ წუთს ელოდდა ამ მხრიდან ღალატს. შემდეგში აკი კიდეც აისრულეს ხაზართ წადილი: ლეონ მეორემ, ძმისწულმა ამ პირველი ლეონისა, ხაზართა მეფის ასულის ძემ, დაიპყრო ხაკანის დახმარებით მთელი აფხაზეთი და ეგრისი, უარჰყო ქვეშევრდომობა საქართველოს მფლობელისა და გამოაცხადა თავისი თავი მეფედ აფხაზეთისა.

ამ გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო იოანე, როცა მოუვიდა ამბავი საზარელი: ლეკებს უღალატნიათო, გადმოუშვიათ ხაზარნი თავიანთ ქვეყანაზედ; მათ ამოუწყვეტიათ ჯუანშერის ლაშქარი, ხოლო თვით ჯუანშერი და ქალი შუშანი ტყვედ წაუყვანიათო. მსწრაფლმსრბოლელმა შეატყობინა იოანეს ეს. ქართლის ერისთავს გაეგზავნა იგი შიკრიკი: სთხოვდა დაუყოვნებელ დახმარებას.

– მე მზადა ვარ ჩემი ჯარით, მუხრანის სანახებში ვსდგევარ; ქართლში არ შემოუშვებ ხაზართ, მაგრამ შეუძლებელი იქნება მარტო ჩემგან მათი გამკლავება და ძვირფასი ტყვეების განთავისუფლება. ეხლა ტფილისზე მიდიან ისინი. ვგონებ, იქიდან პირდაპირ გადასჭრიან არაგვის ხეობას და გადაეველებიან მთას დარიალის ხეობით, – სწერდა იგი.

ამ მოულოდნელმა ამბავმა თავზარი დასცა იოანეს. მაშინვე ბრძანა ჯარის შეგროვება; დაგზავნა გამრეკელნი ოთხსავ კუთხივ. მაინც იცოდნენ მეფემაც, სარდლებმაც, რომ ეს ზომები სავსებით ვერ გამოდგებოდნენ ეხლა, მიზანს ვერ მისწვდებოდნენ: ერთობ სწრაფად უნდოდა მიშველება. ხაზართა თავდასხმას თარეშის

სახე ჰქონდა, ისინი დიდს ხანს ვერ დაზმიდნენ საქართველოს სამზღვრებში და მით უფრო, რომ უკვე სწეოდნენ უმთავრეს თვის გულის წადილს: ხელში ჩაეგდოთ ბატონიშვილი შუშანი.

ბჭობაში დედოფალიც დაესწრო. გამწარებული დედა იმასღა გაიძახოდა, დაუყოვნებლად მიჰშველებოდნენ ტყვედ წაყვანილებს თუნდაც მხოლოდ იმ მცირე გუნდით, რომელიც ხელთა ჰყვანდათ მათ იმ ჟამს, მეფის პიროვნების მცველი რაზმით. ესე დაადგინეს: მაშინვე უნდა გაეგზავნათ ქართლის ერისთავთან მსწრაფლი მსრბოლელები და შაეთვალნათ, რომ მას გზები შეეკრა მტრისათვის, ცოტახნობით მაინც შეეფერხებინა იგი საქართველოშივე, არ გადაეშვა მთის იქით, სანამ მიასწრობდა მას მშველელი ლაშქარი.

– ეხლა შენი უპირველესი საქმე ის არის, მტერი არ გაუშვა, არ გაატაცებინო ბატონიშვილები; მტრის არც ერთი რაზმი არ გადაუშვა სამზღვარზედ! უნდა ასრულდეს ეს ჩემი ბრძანება, რაც უნდა დიდი მსხვერპლი მოუნდეს ამას, – სწერდა მეფე ქართლის ერისთავს.

შიკრიკებს ფეხდაფეხ უნდა მიჰყოლოდა ის მცირე რაზმი, რომელიც მაშინ ხელთა ჰყვანდა მეფეს. მსჯელობა გამოიწვია იმან, ვინ უნდა ჰყოლოდა მოთავედ ამ რაზმს, სარდალი ზურაბ ეგრისელი თუ სხვა ვინმე. დაასკვნეს ეგრისელი მეორე დასს წასძღოლოდა წინ, უფრო დიდ ლაშქარს; ამ ერთ მუჭა ხალხს კი ეხლა სხვა ვინმე ჩასდგომოდა სათავეში, ეს მით უფრო, რომ დიდი ჯარის შედგენაში თუ საბრძოლველად შემზადებაში ზურაბს ძნელად თუ ვინმე დაენაცვლებოდა იმ ჟამად.

როდესაც ამ პატარა მფრინავი რაზმის მოთავეს ირჩევდნენ, წარმოდგა ფარსმან გოდერძიანი და სთხოვა კრებულს, ისიც ჩაერიცხათ მიმავალ მებრძოლთა შორის, როგორც უბრალო ჯარისკაცთაგანი.

– როგორც უბრალო მებრძოლთაგანი..., – წარსთქვა მეფემ

და გადახედა სარდალს. მაშინ წამოდგა ზურაბი და მოახსენა.

– სწორედ ესეთი ახალგაზრდა წინამძღვარი უნდა გატაცებული ამ პაწაწა გუნდს! ნაცადი მყავს ფარსმან ბრძოლაში: თავს არა ზოგავს, დაუფიქრებლად გადადის შიგ შუა ცეცხლში შენივთებულის ომისა.

– მეც ვიცი ამის გმირული ხასიათი შემმართებელი, მაგრამ მთლად ახალგაზრდაა, გამოუცდელი! – სთქვა სხვამ.

– ეგეთი გვირჩევნია: იქ ფართოდ მოსააზრებელი გეგმა არ იქნება ისე საჭირო, როგორც განწირული კვეთება. ხომ გვიჩვენა, დაგვიმტკიცა შავ-ბნელ წუთს თავისი უნარი.

– კარგი! შენისთანა დაბრძნობილს სიტყვა ყოველთვის დაეჯერება, – უბრძანა მეფემ

და მიჰმართა ფარსმანს:

– მაგრამ იცი, ჭაბუკო, რომ მთელი ეს შენი რაზმი და თითონ შენც, მათი მოთავე, განწირულნი ხართ? მხოლოდ სიცოცხლის ფასით შეიძლება მტაცებელ მგელსავით მილტოლვილ ხაზართა ურდოს მცირე ხნით მაინც შეჩერება, თქვენი სიცოცხლის ფასით.

– ვიცი, ბატონო მეფევ, და დიდად გმადლობ წყალობისათვის! როცა ძვირფასი კრავი მგლის ხელთ არის, მწყემსს ურჩევნია თითონ მიეცეს ნადირს პირში, თორემ სიცოცხლე ჩაუმწარდება სირცხვილეულს.

სულ რამდენსამე საათში უკვე მზად იყო გუნდი და დაადგა თვის გზას სახიფათოს.

ეს ფარსმან გოდერძიანი კარის აზნაურთაგანი იყო. მამამისს დიდად დაემსახურნა სტეფანოზ მეორის კარს. ახალგაზრდა თითონ განაგებდა თავის მამულს: მამა აღარა ჰყვანდა, ძმებიც ბრძოლაში დაჰხოცოდა. სიმცროდანვე შრომას შეჩვეული და სამხედრო ხელოვნებაში გაწაფული, მშვენიერი ვაჟკაცი დადგა. ბევრ დიდებულ ასულს ეჭირა მასზედ თვალი, მაგრამ სიყვარულში უბედო იყო ეს სიცოცხლით სავსე რაინდი მშვენი: განგებას მისთვის მიუწთომელი სიტურფე მოეჩვენებინა და იმ მნათობისათვის შემოეხვივნა მის გულს ყოველი თვისი ძალა თუ მისწრაფება: ახლად აკოკრებულ ბატონიშვილს სტრფიალებოდა უბედო ბედნიერი, შორიდან გაჰმიჯნურებოდა ქალს მისი გული. მელნის მორევთა მსგავს თვალებს ჩაეხვივნათ ჭაბუკი უფსკრულ სიღრმეში მიუწთომელის სიტკბოებისა; შუშანის გიშრის თმათა ჭავლებში გაბმულს მძლედ დაჰხვევოდნენ გარს უკუნისაგან თხზილნი ნაწნავნი და უძრავ ექმნათ ნორჩი რაინდი; ქალის ღაწვებზედ აღყვავებულ ღაჟღაჟთ მათრობელი სუნნელება ეყნოსებინათ მისთვის და მძიმედ დაეთროთ იგი, სამუდამოდ აეხადნათ მისთვის ცნობა მთავარი, ხელ ექმნათ იგი ბუნებით ჭკვიანი ბრძნულად მრჩეველი.

პირველი არ იყო იგი ფარსმანი ამ ტკბილად მათრობელ უცხო ყვავილისაგან ხელქმნილი სული, არც ერთადერთი: მრავალი იყო შუშანის გარემო მისი მშვენებით გონახდილი, გრძნობააშლილი, გარნა ყველაზედ ძნელი მაინც ფარსმანი იყო. უხვად თუ დასწაფებოდა მიუწთომელ სიშორიდან ნექტარს ამ იშვიათის ყვავილისას, შიგ თუ ჩამკვდარიყო ყვავილის გულში მისი არსება, ვით რაიმ მწერი სიმთვრალით მკვდარი. სიტკბოით სავსე ყვავილთ ფიალში.

იცოდა ჭაბუკმა, ჰაი, ჰაი იცოდა, რომ მისგან შეუძლებელი იყო იმ მარჯნის ტუჩთაგან აღმოწოვა ნეტარებისა; მისგან მზის სხივთა ისრების შებყრობა უფრო ადვილი იყო, სინამ შუშანის კენარ წელზედ ეშხით მოჭდობა; მისთვის სავსე მთვარის დაკოცნა უფრო შესაძლებელი იყო, მინამ ქალწულ მკერდზედ აზეულ გრძნობათა საკრებ ბორცვთა შეხება; წამწამთა ტევრნი... ინდოთა ჯარის გაპობა მღერად მიაჩნდა ხმალმოწვდილ მებრძოლს, ამ წამწამთა ტევრებში კი გზა ჩაჰხლართოდა, ვით უღრან ტყეში ჩაბნელებულში. ჰაი, ჰაი იცოდა ეს ყოველივე, მაგრამ...

მაგრამ ჭაბუკი იყო უტეხი ნების მექონი, ოცნების ფრთებზედ თამამად მფრენი და მისთვის მთლად შეუძლებელი ჯერ არა მოსჩანდა რა ცხოვრების სივრცეში, მთელს დუნიაზედ. და მართლაც რად არ შეეძლო ბუმბერაზ ჭაბუკს ხმლით გაეკაფნა ეკლიანი გზა დიდებისაკენ. თუნდაც ბატონიშვილისაკენ საოცნებოსი?! ეხლაც ხომ ერთ უკეთეს რაინდთაგანი იყო მეფის კარს, უკვე მიჩნეული, დამსახურებული.

– დავიმორჩილებ ჩემს ბედს უღიმარს, მოვხიბლავ იმ სხივის ნატეხს ჩემის ხმლის მკვეთრი ელვარებით და მოვაქცევ მას უწყვეტ ბადეში სპეტაკ მიჯნურობისა; მოვკვეთავ თავს ავ წერად გადმობნელებულ ვეშაპს მოსისხლეს, ფერხთ ქვეშ დაუგდებ იმ ჩემს ღვთაებას და მაშინ მომცემს ნებას ვეამბორო მის კაბის კალთას...

– თავს არა ზოგავს; სად ომი შენივთდება, იქ გაჩნდება ფარსმან უშიშიო, – ბრძანა სარდალმა. – მაშ, სად უნდა ვიყო, თუ არა შუაგულ ბრძოლაში: იქ უნდა გადაწყდეს ბედი ჩემის ცხოვრებისა, სიცოცხლისა, დასტური ჩემის არსებობისა. უძლეველიც ვარ, სანამ მანათებს შუშანი ჩემი, სანამ შორიდან მაინც ვხედავ მის სახეს ლამაზს.

მთავარსარდალი რომ აქებდა ფარსმანის ვაჟკაცობას, მის ლაღ რაინდობას უშიშარს, ეს სულ შუშანის უნარი იყო, მისი გავლენა შორეული: ჭაბუკს მისგან ნაზღვნევი ბეჭედი ჰქონდა ბეგთარზედ გამაგრებული, მკერდის ჯაჭვში

ჩარგოლებული და ეს თილისმა იყო, რომ აბედინებდა მას დამცინავი ღიმილით შეეხედნა წითელ თვალებში თვით სიკვდილისთვის სისხლიანისა.

მიდიოდა აწ ფარსმან სახსნელად თვისის მზეთა მზისა. წარეტაცა იგი ქალთა მზე გველეშაპს ჩრდილოეთისას; მისცურავდა ბნელი იგი, მიიგრაგნებოდა, მიათრევდა თვის უწმიდურს ტანს ქართველთა წმიდა სისხლით ნაბკურებ არაგვის ხეობაზედ. მისდევდა მის კვალს ფარსმან ჭაბუკი, მიისწრაფოდა, მიიმღეროდა: იცოდა, რომ ან აასრულებდა განზრახულს, ან...

– ან სულს განვუტევებ შუშანის თვალთ წინ სახით მღიმარით. და თუ შევსძელი, თუ ვიხსენ იგი ტყვეობისაგან...

ოცნებობდა გატაცებული ჭაბუკი და თავის ნატვრათა ჭრელ ფრთებზედ მფრენი ედემის არეს უკვე ჰხედავდა, ყვავილოვან სანახებს მზიურს. ისმენდა ციურს ჰანგს შეხმატკბილებულს, განიცდიდა ლამაზ შეხედვას მწველ თვალებისა.

– კაცო, ეს ჩვენი ახალი სარდალი ახალგაზრდა ომში მიეჩქარება თუ ქორწილში მიისწრაფის?!

– და ჩვენ, მისნი თანამგზავრნი, მაყრები ვართ მასთან ერთად თუ თანამებრძოლი ამხანაგები?!

– რა ვიცი! ისეთი ღიმილ-სიცილით მივდივართ და ღიღინ-სიმღერით, თითქო სალხინოდ მივემგზავრებოდეთ ან ხატობაში.

– მთლად ახალგაზრდაა და ჯერ არა აქვს შეგნებული ბრძოლის სიძნელე, ჭირი მრავალი.

– ნუ მეტყვი, შენი კვნესამე! მინახავს ეს ყმაწვილი განმარტოებული ბრძოლის დროსაც, ხელჩართულ ომშიაც შენივთებულში და ყოველთვის ისეთი ხალისით ირჯება, თითქო მომკალი შესულაო სიმწიფისაგან დახრილ ყანაში.

– ისე სცელავს მტრის რაზმს მებრძოლსა, როგორც მთიბავი ლბილ ბალახს ნორჩსა, ეს მარჯვენაკურთხეული.

– ბუნებით თუ დაჰყოლია იმის შეგნება, რომ ერთ დღეს გაჩნდება კაცი, ერთ დღეს უნდა მოკვდეს და სიკვდილი ბრძოლაში სჯობია, შემბედავ ომში, სინამ ლაჩრად აღსრულება ცრემლმორეული.

– მივწვდებით კი მტერს?

– უთუოდ მივწვდებით: ჰხედავ, როგორ სწრაფად ილევა ჩვენ ფერხთ ქვეშ სავალი გრძელი.

– ძალიან გამოცდილი ყოლაოზი გვყავს, ერთიორად ამოკლებს გაჭიმულ შარას.

– მოვასწრობთ მტერს, თუ ქართლის ერისთავმა მოახერხა იმდენი ჯარის შეკრება მაინც, რომ მცირედ ჟამს დააბრკოლოს მტრის წინსვლა.

– ქართლის ერისთავთან ერთად შევსძლებთ შევაკავოთ მიმავალი ურდოები ჩვენის ჯარის მოშველებამდინ; ოღონდ კი მარჯვედ ავირჩიოთ ჩასასაფრებელი ადგილი.

– მეც ეგრე მგონია: ნავალი ვარ არაგვისა და თერგის ხეობებით; ისეთი ადგილებია ამ გზებზედ, ათი ასს შეაფერხებს, ნაბიჯს არ წაადგმევინებს წინ.

– ამბობენ, არც თუ ძალიან დიდი ლაშქარი არისო შემოსეული.

– მაშ, როგორ აუღიათ ციხე, ან როგორ მოუხერხებიათ ბატონიშვილების დატყვევება?

– ალბათ უზრუნველად იდგნენ თვალხმიერობამივიწყებულნი და ჩაეპარათ მტერი.

– მტრის ლაშქარი მაინც ბევრი არ იქნებოდა: ლეკეთის ვიწრო ბილიკებით ვერ ივლიდა დიდი ჯარი, ვერც ჩაეშვებოდა კახეთის სანახებში.

– რა გენაღვლება, თუნდ ბევრნი იყვნენ, ოღონდ კი მივსწვდეთ. ჩვენი სარდალი ანუგეშებდა დედოფალს: ოღონდ ვეწიო და სრული იმედი მაქვსო გამარჯვებისაო.

– ნეტავ კი მივსწვდეთ და გადუჭრათ გზა; მერმე ადვილი იქნება ყველაფერი, – ჩაერია საუბარში ფარსმანი, რომელსაც ცხენი შეეყენებინა, რომ მისწვდენოდა მას ჩამომრჩალი რაზმი.

– ვაითუ ძნელი იქმნას მათი მოწევნა: ალბათ ისე გარბის ხაზარი, როგორც რომ მგელი კრავის მომტაცი.

– აბა ვეჩქაროთ!

## 19

ფარსმანმა ისეც სრულებით არ იცოდა შეკრთომა თუ დაღონება, თუნდ დიდად სახიფათო ბრძოლის დროს ჭმუნვა, და ეხლა, როდესაც კვალდაკვალ მისდევდა იგი მყინვარეთის ვეშაპს, რომელსაც მოეტაცნა მისგან სათაყვანებლად სახული მზეთამზე, მისგან შორიდან სალოცავი შუშანი, – ეხლა რა შეაკრთობდა მას, რა შეარყევდა მის გულადობას?! განა შეაფიქრებდა მამაც ჭაბუკს ის, რომ ძნელ ომში იბრძოლებდა ნანატრ ქალწულის თვალ წინ, თვით მის სახსნელად?!

– ვეწევი, მივალ, ვეკვეთები! გავაპობ რაზმებს. მივიჭრები თვით მის ეტლამდინ. დავლეწ, დავანგრევ, გავანადგურებ...

– ხმალი! სხივის სახსნელად ბნელთა ხელიდან! ხმალი! – შესძახა ოცნება ავარდნილმა ფარსმანმა

და წაესწრაფა ხმალამოწვდილი: მის წინ უკვე იდგა მტერი საზიზღი, იგი უკვე ჰკაფავდა ბოროტის ძალებს. გაჰყვნენ მას უკან მის თანამებრძოლნი. მუზარადები მსწრაფლ დაეხურნათ, ხმალთ აელვებდნენ, მშვილდნი ემარჯვათ. წარვლო მცირედი. გამოფხიზლდა. მიიხედ-მოიხედა. საბრძოლველ ფეხზედ მდგარი ჭაბუკნი იღიმებოდნენ; ქარქაშშივე მიაქცევდნენ მახვილთ; მუზარადის ისრებს ზევე ასწევდნენ.

– ფარსმან ჩემო, ზეშთაგონებით ჰმოქმედობ შენა! შახე ყმაწვილებს: თითქო ბედნიერი ომი გადაუხდიათო, ისეთ ეშხზედ არიან. შენ რომ ხმალამოწვდილი წაესწრაფე, მეგონა, ჭალის პირში უკვე შენიშნა შენმა არწივისებურმა თვალმა მტრის გუნდი ჩასაფრებული, – მიჰმართა მას ასფაგურმა, რომელიც იყო მისი სამხედრო ხელოვნებაში მწვრთნელი და აწ მისი თანამებრძოლი.

– ჩვენც ეგრე გვეგონა, ძმობამ!

– არც კი დავფიქრდით, ისე დავიხურეთ ჩაბალახები, ვიწვადეთ ხმლები.

– უეცრად ვერ მოვიფიქრეთ, რომ ჯერ შორსა ვართ: ლიახვის შესართავს ჯერ ეხლახან გავცდით და იქ აბა რა უნდა მტერს?!

– მოწაფემ მაჯობა ოსტატს: მე ვერ მოვახერხებდი ესე გამომეცადნა რაზმი და გამეგო, რამდენად სწრაფად შეუძლიან მას ბრძოლაში შესასვლელად მომზადება, ცხენთა გაქუსვლა.

ფარსმანს უნდოდა პასუხი მიეცა მათთვის, განემარტა, რომ იგი მისი ხმაური, ვითომ ბრძანება, სრულებითაც  არ იყო მისგან წინად განზრახული, იგი ნაყოფი იყო მხოლოდ მის ცხადი ოცნებისა, მისის უზომო გატაცებისა, მაგრამ სდუმდა. საიდუმლო იყო იგი მიზეზი მისის აღტაცებისა, მისი საკუთარი ხვაშიადი, აღსარებაშიაც სათქმელად ძნელი, ამ მიზეზის გაუმხილებლად კი ეს მოქმედება გაუგებარი იქნებოდა სხვისთვის, მთლადაც წარმოუდგენელი; უსიტყვოდ დათანხმდა ამხანაგთა დასკვნაზედ. მხოლოდ მის თვალთა იერში კიდევ კიაფობდა იმ ცხადი სიზმარის ნაშთი რამ ბუნდი, ისევ გატაცებულ მის თვალთა ხედვაში.

მიილტოდა წინ მფრინავი რაზმი მოკლე გზებით. გამოცდილი ყოლაოზი მტკვარს არ დაჰყვა, შორს უვლის ეს გზაო; მთის ბილიკებით პირდაპირ გადასჭრა სავალი არაგვის ხეობისაკენ. ძნელი გზა იყო, ბევრგან ცხენდაცხენ ვერ ივლიდა მხედარი, უნდა ჩამომხდარიყო, ხელით გაეყოლებინა ჰუნე; მაგრამ კარგი იმითი იყო ეს სადენი, რომ ერთი სამად ამოკლებდა სავალ მანძილსა.

გადახედეს არაგვს; თვალი დაავლეს მის პირდაპირ ჩრდილოეთისაკენ ამავალ გზას. დაბრუნდნენ წინად გაგზავნილი მსწრაფლმსრბოლნი: საზვერ ადგილებზედ ყოფილიყვნენ ისინი, დაეთვალიერებინათ, ბევრიც გაეგოთ; მათი ნაამბობიდან ცხადადა სჩანდა საქმის მდგომარეობა. კაცებიც მოიყვანეს თან, ქართლის ერისთავის მოლაშქრეთაგანნი: გზაზედ შეჰხვედროდნენ ისინი მზვერავებს. ქართლის ერისთავს მცხეთის ზევით შეეკრა მტრისათვის გზა, მაგრამ ვერ უკუეგდო იგი, ვერც შეეყენებინა; სასტიკი ბრძოლით გაეკაფნა მტერს გზა, თუმცა დიდი ზარალი მოსვლოდა.

– მათი მკვდრები და დაჭრილები ჯერეც დაუმარხავნი და მოუვლელნი ჰყრიან გზაზედ; – მოახსენეს სარდალს ერისთავის კაცებმა. წარუდგინეს სარდალს უპატრონოდ მავალი ცხენები, რომლებიც შეებყროთ მათ ნაომარ ადგილზედ და აგრეთვე აკრეფილი იარაღი, რომელიც გზადაგზა ეფანტნა ბრძოლით მიმავალ ლაშქარს გაჩქარებულს.

– ბატონიშვილები? – შეეკითხა ფარსმან.

– არა სჩანდნენ იგინი იმ ურდოში, რომელსაც ჩვენ გადაუჭერით გზა; არც თითონ ბდუჩანი იღებდა მონაწილეობას ბრძოლაში, ხაზართა მთავარსარდალი.

– მაშ?

– ხმა გამოვრცელდა, ბდუჩანი დაწინაურებული მიდის და თან მიჰყავს ძვირფასი ტყვეებიო; რკინის სალტასავით ახვევია მათ საუკეთესო მებრძოლნი, ხაზართა ბუმბერაზნიო.

– თითონ ერისთავი ზურაბი? – ჰკითხა მოამბეს მანუჩარმა.

– კვალდაკვალ მისდევს მტერს ნაშთი ჯარით. დიდძალ დავლასა სტოვებს ხაზარი გზაზედ, რადგან ძლიერ ისწრაფვის. ხმა იყო, თითონ ერისთავიც დაიჭრაო, თუმცა იგი დაჭრილთა და ჩამორჩენილთა შორის არ არის: მსუბუქად თუ არის დაჭრილი, – განაგრძობდა მოამბე.

მაგრამ ფარსმანი აღარ უსმენდა მთხრობელს. აღარც თავის მრჩეველთა სიტყვა ესმოდა მას, ყურს აღარ უგდებდა მათ სხვადასხვა გვარ მოსაზრებას: მისი ფიქრი გაფრენილიყო იქით, გატაცებულ ქალთამზისაკენ. აგერ მიცურავს აღმააღმა გველეშაპი, ისწრაფის მთას გადააცილოს მისი საუნჯე საყვარელი, გადაატაროს მთა ღრუბლიანი, რომ მის იქით ჩაახვიოს ბნელის შვილს იგი სხივის ნაკვეთი ფარსმანის ცაზედ გამოტყორცნილი.

– ჩქარათ! პირისპირ ბრძოლა! სწრაფად! მხოლოდ სისწრაფეშიღაა დახსნის იმედი, – დასძახა სასოწარკვეთილმა

და წაესწრაფა, თითქოს გაფრინდა: მისდევდა მას ფრთაშესხმული მისი მხედრობა.

ძნელი იყო მტრის მაშინვე მიწევნა: აღარ იყო აქ მოკლედ სავალი ფარსაგი ბილიკები, რომ მალე ეყელნათ ლტოლვილი მტრისათვის.

ეს ის ფარსმანი იყო გოდერძიანი, რომელი თან ახლდა არჩილ წამებულს, როდესაც მან თავი დასდო თავის ქვეყნისათვის. შეუძლებელი შეიქმნა სარკინოზთა გამკლავება: ასიმის უთვალავ ლაშქარს დიდი წინააღმდეგობა გაუწია არჩილმა, არც ერთი ნაბიჯი მიწა არ დაუთმო მას უბრძოლველად, მტერთა და ქართველთა სისხლით შეღება ველნი, უღელტეხილნი, მდინარეთ ფონნი; ჩახოცილ ხალხთა გვამებით ამოავსო ხევღრანტეები; ნადირი თუ ფრინველი ზეიმობდა თავდადებულთ წმიდა გვამებზედ, იკვებებოდა მტერთა ლეშითა. მაინც მძლედ მოდიოდა ბოროტი უამრავი. რას დააკლებდა გმირთა ქველობა მოზღვავებულ უსჯულოებას?! ჰკვეთდა მათ ქართველი, გარნა განკვეთილთა ნაცვლად ახალ-ახალი ტალღა მოისწრაფოდა ბოროტად აღქაფებული. სარკინოზთა ლაშქარი იმ ბილწ დევთა ჯარი იყო, ძაღლპირა დევთა, რომელთ მოკვეთილი თავის მაგივრად ახალი ორი ამოსდიოდათ, დაიღალა არჩილის მარჯვენა ბნელეთის შვილთა კაფით, დაჩლუნგდა მისი ხმალი ფხაასხმული. დაფიქრდა მეფე, მიმოიხედა ჭმუნვარემ. რას დაინახავდა სანუგეშოს თავის გარშემო, ან თუნდაც შორად? გახედა დასავლეთს, – იქ ბიზანტიას თავი გასჭირვებოდა, თვით იგი აყოლებდა თვალს მიდამო არეს, რომ ეპოვნა ვინმე მწე შემმართებელი ჭირთა შინა; აღმოსავლეთით და სამხრეთით უკვე აგარიანთა საბრძანებელი მოსჯროდა საქართველოს. ჩრდილოეთით... იქ ბატონობდა ხაზართ ხაკანი, მტრად აჩენილი. ძნელი იყო ხაზართ სურვილი, ქართველთათვის მიუღებელი: იგინი თხოულობდნენ საქართველოს სამუდამოდ გაეღო მათთვის მთის კარებები... ვერ ინებებდა ამას ქართველი: ეს უდრიდა მის დამონებას, ქართველთა დამონებას... აღარ იყო სხვა ხსნა და სცადა მეფემ თავისი სიცოცხლის შეწირვით გადაერჩინა თვისი სამეფო. მისი გამოთხოვება ასაცრემლებელი. მისი ანდერძი დიდებული!

მარტო არ წაბრძანდა მეფე ასიმის კარს: გაჰყვნენ მას ამაყნი, გამტკიცებულნი, რომელნი ჩვეულ იყვნენ შეუპოვარი ღიმილით გაესწორებინათ თვალი პირსისხლიანი სიკვდილისათვის ბოროტისა. მათ შორის იყო ჭაბუკი ფარსმან. არჩილი პირადად იცნობდა ამ ჯერეთ ნორჩ მებრძოლს.

– ნუ, ფარსმან! ვიცი, მღერად გიჩნს სიკვდილი, გარნა ცოდვაა იმ განსაცდელში შენი სინორჩე, იმ ვეშაპის ხელში ძალა შენი მჩქეფარე. აქ დასჭირდები ჩემს ხალხს. წადი!

– იქა ვსჭირივარ საქართველოს ეხლა, თვის მეფის გვერდით, იქ... აქ აღმოჩნდებიან გაჭირვებაში ჭირისუფალნი, აღმოცენდებიან: ნაყოფიერია საქართველოს ნიადაგი.

ურჩევდა მეფე, არ გაჰყოლიყო მას ამირის კარს, კიდეც უბრძანა. ფარსმანი ღიმილით ეურჩებოდა მეფე მბრძანებელს. მაშინ, იმ უკანასკნელი ბჭობის დროს რომ შეკრებილიყვნენ მსხვერპლად გამზადებულნი სამეფო დარბაზში, მაშინ შეიბორკა ფარსმანი უხსნელად შუშანის ეშხით: მისმა შავმა ნაწნავებმა, რვად ჩახლართულმა გიშრის ტევრებმა შეკონ-შებოჭეს ყმაწვილი კაცი.

ძლიერ ღელავდა ქალი: მამის უბედო ბედი იღელვებდა მოუსვენრად მას, მეფის მთელ ოჯახსაც, მთელ საქართველოსაც; ახლად შემაღლებული ქალწული მკერდი ტალღად იძროდა ლბილ ფარჩის ქვეშა. ჭაბუკს დაეკრა თვალი ამ ლამაზ სანახებისთვის, ეგრძნო უძლევი ძალა მუნ შეგუბებულის ნეტარებისა.

მაგრამ ეს გრძნობა მკვეთრი მაინც წუთიერი იყო და შეუცნობელი იმ დიდ განსაცდელის დროს: ქალს არ შეეძლო შეგნებულად ასთვისებოდა ამ გრძნობათა ელვას წამიერს მის სულში განვლილს, რადგან მთელი მისი არსება სხვა გზისაკენ იყო

მაშინ მიქცეული, იმ გოლგოთის გზისაკენ, რომელსაც დასდგომოდა ჯვარის მტვირთველი მამამისი იცნობდა შუშანი ფარსმანს, ენახა ის თავის მამის პირად მცველთა შორის; კარგი ჰსმენოდა მასზედ ქალს; განსაკუთრებული ყურადღება მაინც არ მიექცია მისთვის: ბევრი იყო მეფის კარს თავდადებული მებრძოლი, ფარსმანი მხოლოდ ერთი მათგანი იყო ქალწულისათვის. ეხლა მარტო იმითი გაირჩეოდა ბევრ სხვისაგან, რომ იმას თავისი ნებით, ურყევი თვისი სურვილით, ეტვირთნა, გაეზიარებინა ცხებულის ბედი უბედო. ეს მსხვერპლი ასხვავებდა მას ბევრ რჩეულთაგან და მადლობის გრძნობას აღძრავდა ქალწულის გულში. ჭაბუკის გონებაც ძხოლოდ ერთის წამით შესდგა ამ გრძნობის კვალზედ. მხოლოდ წუთიერად გაანათა ამ გრძნობის არე: მარტო ფრთა გაჰკრა ბედნიერების ყვავილს, წამიერად იყნოსა მისი სუნნელი სუნი: განსაცდელის გზაზედ იდგნენ ყველანი და ჭაბუკის გონებაც მყისვე მიიქცა იმ დიად საზრუნველისკენ, რომელსაც გაემსჭვალა მაშინ იქ მყოფთა სული. ერთი წარსთქვა ღელვილმა გულში:

– შენთვის ვსდებ თავსა, ჩემო სიცოცხლე!

ქალწულის გულშიც მხოლოდ წუთიერი იყო ის განცალკევებული ჭაბუკისადმი ყურადღება: მეფე-მამას ისტუმრებდა მსხვერპლად, წმიდა ტარიგად და ჟამი არ იყო გონების თვალი ედევნებინა გრძნობათა ღივისათვის, რომელმაც მოულოდნელად იჩინა თავი ამ განსაცდელის დროს; მხოლოდ წარსთქვა სიტყვა ლამაზი:

– ღირსი ჭაბუკი!

დაუბრუნდა ქალის გონებაც ოჯახის უბედობას, რომელიც შავ ლანდად დასწოლოდა არჩილის კერას.

გრძნობათა ნაკვესი კი მაინც არ ჩამქრალიყო მას აქათ. თავისი საკუთარი გზა თუ აქვს გრძნობათა განვითარებას, რომელიც ალმასის ფხასავით აპობს ცხოვრების ტალღებს ყოველგვარს და შეუდრკომლად მიემართება განგებისაგან მისთვის აღნიშნულ გზით უცვლელი.

ეს ელვასავით მსწრაფლ აღგზნებული და მყისვე მიმქრალი გრძნობა შენიშნა მაშინ ჟამთა დენით გამოცდილ-დაბრძნობილმა სახლთხუცესმა და წარსთქვა გუნებაში:

– დაიმსახურებ. ნათელის შვილო, შენის მარჯვენით შენს ბედის ვარსკვლავს; ან... ან გადაჰყვები შენს მძლავრს გულისთქმას!

## 21

ამის შემდეგ არა ერთხელ ჩამოვარდნილიყო საუბარი არჩილის ოჯახში ფარსმანზედაც: პატიმრად მყოფ მეფეზედ მარად ჟამს იყო სამეფო პალატებში საუბარი და მასთან ერთად იხსენებდნენ იმ ორიოდე თავდადებულთაც, რომლებმაც არ ინებეს განშორებოდნენ მეფეს, თუმცა კი თითქო ლმობიერად განწყობილმა სარკინოზმა მეფე პატივსადებ სტუმრად დაიჭირა პირველში, ხოლო სხვებს ნება დართო დაბრუნებულიყვნენ; ხალათებიც უძღვნა მათ სიუხვისაგან თვისისა. ისე ებყრობოდა ასიმი მეფეს, როგორც თვის მეგობარს და თანამზრახველს, რომელს მაინც შეჰშვენოდა მეფური პატივი. ქართველთ იმედი მიეცათ, მალე განთავისუფლდებოდა მეფე, დაუბრუნდებოდა თვის სამფლობელოს. თითონ არჩილსაც თითქმის ეგონა, მტერი გულწრფელად მიალერსებსო. უბრძანა მეფემ მახლობლებს, წასულიყვნენ, თავიანთ ოჯახებს მიჰშველებოდნენ. ფარსმანი და ორი სამი სხვა არ დაჰმორჩილდნენ. სთხოვეს, ნება მიეცა მათთვის, ბოლომდისინ დარჩენილიყვნენ მასთან. მანამ თვით მეფეს არ გაანთავისუფლებდა მტარვალი: არ ენდობოდნენ მამულის მტერსა.

კარგადა შვრებოდნენ! ასიმი მხოლოდ ცდილობდა, მიეძინებინა ქართველთა ყურადღება, მოედუნებინა მათი ნებისყოფა თუ გამჭრიახობა, მოქარგული ენით დაერთო იგინი, ტკბილი გესლით მოეშხამა მსხვერპლის სხეული, რომ უბრძოლველად მიჰყოლოდა იგი მას ჩასანთქმელად.

– შენც წადი, ჭაბუკო! მამულს იქ ეჭირება ეხლა შენისთანა ძლიერი მოქმედი: ცვალებადია გუნება გამარჯვებულისა და ვინ იცის, რა მოელის ჩვენს ხალხს საბრალოს.

– ხალხის თავი აქ არის დღეს და მისი გულიც აქა სცემს ამ ჟამად. დამტოვე, მბრძანებელო! რომ მკითხოს ერმა, შენ უვნებელი გამოხველი ვეშაპის პირიდან, რა უყავ მეფეო, მე პასუხს ვერ შევსძლებ.

– მაშ იყავ, ჭაბუკო! ძალიან ფრთხილად კი: თავი არ წააგო.

ფარსმანის აზრით ერი მბრძანებელი იყო, ხოლო ის პასუხისმგებელი ხალხის წინაშე; მაგრამ ჭაბუკს კიდევ სხვა ჰყვანდა პასუხის მომთხოვნელი ძლიერი: ეს შუშანი იყო მზეთუნახავი; იგი ადევნებდა შორიდან თვალს, მორევივით ღრმა თვალს უკანა, და განა რაინდს შეეძლო დაეთმო ქალწულის მამა?! ვერ აიტანდა ის, მის მოქმედებაში დაენახათ რამე საპირადო, თავის თავზე ზრუნვის ნასახი; ესეთი მისი მოძრაობა ცუდად აისახებოდა შუშანის გულზედ.

– იმას ეგვანება, ბრძოლაში ვნახო მეფე მტერთაგან გარშემორტყმული და გავრიდო, მივაქციო ხმალი ქარქაშში. არა, აქა ვარ, ჩვენ მეფესთან, ჩვენ საყვარელ ვაჟკაცთან მშვენიერთან, შუშან შორეულო და ჩემს სულში მძლედ ჩასახულო! ქალო ზე ამაღლებულო და ჩემ საწყალ გულამდინ აჩრდილად დახრილო! ჩემთან დროთა სრბოლაში შეუერთებელო და განუყრელად ჩემთანა მყოფო, ჩემის არსების მანათობელო!

მთელი საქართველოც შუშანის სახით ევლინებოდა ეხლა ფარსმანს და მით უფრო საყვარელი იყო იგი მისთვის, მით უფრო მშვენი ედემის კუთხედ მოსჩანდა იგი, შუშანისავით მძლედ მიმზიდველ სამოთხის არედ.

როდესაც მძვინვარე ვეფხვმა სისხლისა მსმელმა მძლავრად გაძაგრა ბასრი ჭანგები თვის მსხვერპლის გასაწურად, ჭაბუკი ფარსმან და ის ორი-სამი რაინდი, რომლებიც ბოლომდინ შერჩნენ მეფეს ტყვეობაში, უშიშრად უმზერდნენ შიგ თვალებში ბოროტ სიკვდილსა, რომელს აელესნა მათთვისაც მახვილი. გადარჩა ფარსმან, გადარჩნენ იგი სხვა რაინდებიც: ემირს მიზეზი ჰქონდა, არ მოესპო წამებულთან მყოფნი ქართველნი. ამ თავდადებულთ გამოიტაცეს იმ ღამეს გვამი წმიდანისა და მათ შორის პირველობდა იგი ფარსმანი.

როდესაც ჰკრძალავდნენ მეფეს ნადკორის სიონში, განწირულებაში იმყოფებოდა მთელი სამეფო ოჯახი. განხორციელებული მწუხარება – შუშანი იმდუღრებოდა საბრალოდ, მკვეთრ ბოროტისაგან მიწად დახრილი დაეყრდნო იგი მისდამი მარჯვედ მიწოდებულ მარჯვენას რაინდისას. ეპკურა ცრემლი მწუხარებისა რვალის მკლავს ახალის ბუმბერაზისა. ვაჟკაცს ამოსწვეს გული ღელვილი მდნარ ტყვიის ცრემლთა ნაზის, ყვავილის.

– ვიშ, ნეტარებავ გლოვის წუთებში! შეგაშრო თვალნი მხურვალე კოცნით? არა! ვერა! ერთად ვიგლოვოთ ძვირფასი ნაშთი: შენ, ქვეყნის მზემან, მე – შენმა მონამ! ღირს მყავ ვიტირო, შენთან ვიდინო ცრემლი წამების!

და ტიროდა ვაჟკაცი გულამოსკვნილი ჭირისაგან გულშემოყრილ ქალთამზესთან ერთად და უხდებოდა უტეხ რაინდს ცრემლთა ნაკადი: იგი ჰმოწმობდა მის გრძნობის სილბოს, ლმობიერ შუქებს რვალის გულისა.

ამის შემდგომ აღარ ენახა ჭაბუკ ფარსმანს ქალი შუშანი: თავის მოვალეობას მიეწვივნა ის საბრძოლველად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

ერთხელ კიდევ შეხვდნენ ქალ-ყრმა ერთმანეთს, ეს მაშინ, როდესაც იოანე გაემართა დასავლეთ საქართველოში: მეფის, ამალაში მოჰყვა ის, მის მახლობელ დამცველებში. დიდის სიამოვნებით დარჩებოდა ფარსმან ჯუანშერისა და შუშანის მახლობლად, მაგრამ ეს ვერ მოეწყო: იოანეს სავალი უფრო ძნელი მოსჩანდა და სახიფათო.

– ესე სჯობია! ახლო მყოფს დამწვავდა მზე ჩემი მცხინვარე და ვერც კი იგრძნობდა, რომ დაინავლა მისგან სიცოცხლე, მის მოთაყვანე ერთი არსება, – ინუგეშებდა თავს ჭაბუკი გზაზედ მდგარი.

თანაც ნატრობდა, კიდევ მოეკრა თვალი იმ საკვირველ არსებისათვის, რომელს ესე ძლიერად დაემონებინა, ესე ტკბილად შეებორკა იგი და თან ისე უნებლიეთ, თითქო ვერ გრძობდა იმ თავის ძალას მძლავრად შემბოჭველს, ვერც კი ჰხედავდა იმ სხვა არსებას თვისგან მონად ქმნილს.

ეხლა უსრულდებოდა ჭაბუკს თავისი ნატვრა: კვლავ პირისპირ იხილავდა თვის მზეთა მზეს, ჩახედავდა მას თილისმა თვალებში, რომელთ უფსკრულ ფსკერზედ ცეცხლის ასოებით ეწერა მისი იღბალი, მისთვის უცნობი ასოებით გაურკვეველით.

– იქნება ისიც ამისრულდეს მე ბედნიერსა, ჩემი ნანატრი, ჩემი ლამაზი ოცნება მზიური! – იტყოდა უიმედოთ გამიჯნურებული.

– დავიხსნი, გამოვიყვან რაიმე განსაცდელიდან საკვირველ მნათობს, საიდუმლო შუქებით რომ ციაგობს ცის კიდურზედ. მიევლინებინა მას ბოროტისგან ვეშაპი ბნელი, შეიბყრობს, თან წარიტაცებს...

– მიშველე, ფარსმან!

მკრთოლარე სხივები მიმოაბნევდა იმ ხმას საშინელს. ვისმენ. გავფრინდები: ჩემი რაში ფრთას შეისხამს. დავსცემ კინენსა უწმინდურს გულში. წარმოვიტაცებ ქვეყნისა მნათობს... – ოცნებობდა ოდესმე ჭაბუკი.

დახე ბედის სვლას! იგი ოცნება თითქო ბალღური აწ განხორციელებულიყო მისთვის: მიდიოდა ფარსმანი ხსნად შუქურისა. ჩრდილოეთის დევს წარეტაცნა იგი მნათობი, მიჰყვანდა აღმა.

– მიშველეთ! – ესმოდა ხმა განწირული.

– მოვალ, ლამაზო. მოვისწრაფები!

შეუმაღლა მათრახი ტაიჭს წვივმაგარს; აიმაღლა ხმა:

– ჩქარათ ვაჟებო! სწრაფად: წუთი დღედ ფასობს!..

– ნურას ინაღვლი: ვერ გაგვასწრობენ!

და მიეჩქარებოდა პაწაწა რაზმი, ილეოდა ჰუნეთ ფერხთქვეშ გზა ძნელსავალი, დნებოდა მანძილი.

ძლიერ საჭიროც იყო მშველელთ სიჩქარე: დიდს განსაცდელში იყვნენ ბატონიშვილნი, ბეწვზედ ეკიდა მათი იღბალი.

## 22

ლაკვასტის ციხის თავმა რომ შენიშნა საეჭვო ხმაურობა თუ გაძახილი სიმაგრის ზევით, ლეკეთიდინ გადმომავალ ბილიკებზედ, და გაგზავნა თავს დასავლელად მარჯვე მებრძოლნი, ეხლა ამბავს ელოდნენ იმათგან თითონაც, ბატონიშვილებიც. გავიდა ხანი, გაგზავნილები არსად სჩანდნენ. გაუმრავლდა ციხის თავს ეჭვი. დახშეს

სიმაგრის ყველა კარები. მსწრაფლ შეაიარაღეს ის ცოტა ხალხი, რომელიც შერჩენოდათ მათ ხელში; დააყენეს საძნელო ადგილებში.

გვიანღა იყო: მტრის ურდოები შემოეხვივნენ ციხე-სიმაგრეს. შეიქნა ზახილი, ბრძოლა, ყიჟინა. შეიჭრა მტერი ციხის გალავანში. ავარდა ალი: მტერმა ცეცხლი მისცა შენობებს. გრგვინვად ისმოდა ცეცხლის გუგუნი. სჭექავდა ლახტი ფოლადის ფარზედ. მჭახედ ილეწებოდა ჰაერში მებრძოლთ კივილი, მათი შეტევა. ზე აწეულს ალს წითლად გაენათებინა მიდამო. მძიმე ბოლს ჩაებნელებინა  ცა უსინათლო. ბრძოლა უახლოვდებოდა თვით კოშკის კარებს: უკუ იწევდა ქართველთა გუნდი. რას გააწყობდა ერთი მუჭა ხალხი მტაცებელთა სიმრავლის წინააღმდეგ?!

ბლომად ჩამოფენილიყო მტერი მთის ბილიკებით. ურდო ურდოზედ ემატებოდა ხაზართ სიმრავლეს. იმდენი თვით ხაზარი არ იყო რამდენიც ლეკი: ეგრძნოთ მწირი ქვეყნის შვილთ, რომ ეს უეცარი თავდასხმა კარგ დავლას ჰპირდებოდა მათ, რომ ბევრ ძვირფას ტყვეს, დიდ დოვლათს იშოვნიდნენ ისინი მდიდარ ქვეყანაში, და მრავალი გამოჰყოლოდა ბდუჩანის ლაშქარს მეკობრად ამ მათ მითომ მეგობარ ხალხისაკენ.

უსწორო ბრძოლამ მაინც კარგა ხანს გასტანა. მოეშველნენ მეციხოვნეებს სასწრაფოდ შეიარაღებულნი ვაჟკაცები გარედანაც, ახლო სოფლებიდან. ამაო ცდა! ჩაიხოცნენ მტერთა სიმრავლისაგან მოსულნიც, შიგნით მებრძოლნიც.

ომის დაწყებისასვე ფეხზედ დადგნენ ბატონიშვილი შუშანი, მისი ძიძა, მისი შიმუნვარნი, შეჯგუფდნენ დიდ დარბაზში; ურდულით ჩაკეტეს კარები. შიშითა თრთოდნენ ფერმიხდილნი. ბრძოლის ხმა უახლოვდებოდა ჩაკეტილ კარებს. მუხლი მოეჭრათ შუშანის მხლებლებს, ადგილობრივ ჩაიკეცეს შიშით. შუშანი ერთს წამს სასოწარკვეთილებას მიეცა: ხელი წაატანა საბედისწერო ბეჭედს გაფითრებულმა. შენიშნა ეს მოძრაობა გამდელმა, უბყრა მარჯვენა.

– ნუ, გენაცვალე, ნუ! შახე, ჯერ კიდევ იბრძვის ჯუანშერ. ეგებ მოგვეშველნონ სხვა მებრძოლნი. ნუ, საყვარელო!

გაისმა ჯუანშერის ზახილი, კარის ბჭის ახლო გაძლიერდა ჟღერა აბჯრისა. მებრძოლთა ხმა გამყივარი. გმინვა დაჭრილთა. ამ უკიდურეს განცდის წამს მსწრაფლ გააშუქა ქალწულის გონი მკვეთრმა რამ ჰაზრმა, საკვირველმა რაღაც განზრახვამ. წარსდგა ქალი ელვის სისწრაფით. უკუაგდო ურდული. გააღო კარი. გასცდა, გავიდა. გადგა ხელგაწვდილ მეომართ შუა.

– შესდეგით!!

განრისხებული მშვენიერება წითელი ცეცხლით ელვარებული. მკვეთრმა ხმამ მბრძანებელმა გასჭრა ყიჟინა. წამს შეარყია წინამებრძოლნი. ერთს წუთს შეჩერდა ზეაღმართული იარაღი. თვალნი მიაპყრეს მრისხანე ჩვენებას.

– ხაზართა წინამძღვარო ბდუჩან! – გაისმა მკაფიოდ.

თითონ ბდუჩანი უძღოდა წინამბრძოლთ, იგი მიისწრაფოდა ქალის სავანისკენ: ძლიერ შიშობდა ბრძოლაში ქალისათვის არა ევნოთ რა, ბოროტად არ მოჰპყრობოდნენ, ან თითონ არაფერი აეტეხნა გაჭირვებაში თავის თავისთვის. ეხლა რომ შეხედა მან მრისხანე მნათობს, როცა ისმინა მის ბაგეთაგან თვისი სახელი, მიჰხვდა, რომ წინ ედგა თვისი საძებარი და თანაც მისი ბედის მჭედავი. წარსდგა ხმალამოწვდილი. შეჰმართა ქალწულს:

– შენ ხარ უფლისწული შუშანი?

– ხაზართა დედოფალი, მონავ მოსისხლე!

ამის გაგონებაზედ დაუშვა ბდუჩანმა იარაღი, მდაბლად დახარა თავი ქალწულის წინაშე.

– შესწყვიტეთ ბრძოლა!

შესდგა ბრძოლა. დროც იყო: ქართველთაგან ათიოდეღა იყო მრთელი; უკანასკნელი ჟამი დამდგარიყო მათის ყოფნისა. თუ ეს ბრძანება არ გახმაურებულიყო, ციხის მცველთაგან არც ერთი არ გადარჩებოდა ცოცხალი, ვერც ჯუანშერი, რომელიც იბრძოდა, როგორც ერთი მხედართაგანი და რომლის გარჩევა შეუძლებელი იყო ამ დიდ არეულობაში.

საქმის ამისთანა მოულოდნელმა მიმართვამ განაცვიფრა ჯუანშერი. ვერ წარმოიდგენდა იგი ვერაფერს ამ გვარს; ჰაზრადაც არ მოუვიდოდა, რომ შუშანი თავის ნებით მიიღებდა ხაზართა კეისრის წინადადებას; გაჰყვებოდა მეუღლედ იმ კაცს, რომელიც ერთხელ უარჰყო მკაცრად, დაჰგმო, აგინა. ეხლა შუშანი თითონვე უწოდებდა თავის თავს ხაზართა დედოფლად.

ხაზართა ხაკანი ხომ წინადაც დედოფლადა ჰხდიდა შუშანს, დიდ დედოფლად მთელის ხაზარეთისა; სასტიკად ებრძანებინა, ესე ეხსენებინათ შუშან მშვენიერი. ეს კარგად იცოდა მთავარსარდალმა ბდუჩანმა.

– რამ შეუცვალა გუნება ესე სწრაფად, რამ დააყენა სიკეთის გზაზედ?! – ჰკვირობდა ჯუანშერი

და მისი გაკვირვება მით უფრო დიდი იყო, რომ ახლო იცნობდა შუშანის ხასიათს გაუტეხელს, მის გრძნობას შეურყეველს.

განცვიფრებული იყო თითონ ბდუჩანიც: საბრძოლველად მოსულიყო ის საქართველოში, ძალით წასაყვანად იმ ქალისა, რომელმაც გაჰბედა და უარჰყო თვით ხაზართა ხელმწიფე დიდი; უარჰყვეს ხაკანის თხოვნა ქალთან ერთად სამეფო სახლმაც, თვით ქართველებმაც; უნდა შეენანებინა ქართველთათვის ის უარი, ძალით შეესრულებინა  მეფის სურვილი. სულ სხვა აღმოჩნდა: ქალმა ნებით აღიარა თავისი თავი დედოფლად ხაზარეთისა; წარსდგა გამარჯვებულთ წინაშე, ვით მბრძანებელი, არა როგორც ტყვე.

– ნუთუ შიშისაგან შთაგონებული მორჩილებაა სიმშვენიერისა, ქართველებისა?! იქნება დიდებული კეისრის კარს ყალბი ცნობა მოსლოდა ნასხვაფერევი?! მტერი თუ მუშაობდა ჩვენსა და მათ შორის, რომ ხელი შეეშალნა ჩვენ კავშირისათვის: არც აგარიანთ, არც ბიზანტიას არ გაახარებს ჩვენი მოყვრობა, ხაზართა და ქართველების დამეგობრება.

ქალს მტკიცედ დაეხშო მარჯნის ბაგენი: არას უზიარებდა ძმას, არც სხვას; მხოლოდ იტყოდა მოკლედ, მოწყვეტით. ბრძანა, შეწყვეტილიყო ომი ქართველთა მხრივ.

– არ გშვენით ბრძოლა ჩემს მონებთანა!

უბრძანა ბდუჩანს შეეწყვიტა ბრძოლა.

– არ ჰშვენის ხაზართ მოყვრებთან ომი!

დამორჩილდა მთავარსარდალი. მსწრაფლ გავრცელდა ხმა, ბატონიშვილმა შუშანმა თავისი თავი ხაზართა დედოფლად აღიარა და ისე ებყრობა შემოსულ მტერს, როგორც ნამდვილი მათი მბრძანებელიო.

– მართალი იქნება! სისხლის ღვრა ასტყდა საშინელი, როცა გატყდა გალავანიც; გვეგონა, დაიღუპა ჯუანშერ. მსწრაფლ კი სხვა მოხდა: შეჩერდა ბრძოლა, შესწყდა ციხეში სისხლის დინება.

– ღმერთმა უშველოს შუშან მშვენიერს, თორემ აღარც ერთი ჩვენთაგანი ცოცხალი არ გადარჩებოდა ამ ავაზაკებს.

მართლა და მტერი მსწრაფლ მოსპობდა ყველას, თუ უკიდურეს განსაცდელის დროს არ გაეღვიძნა შუშან ქალში სასანიდთ შემმართებელ სულს და მოქნილ გონებას

მოხერხებულს. როცა ბრძოლის ყიჟინამ მიატანა თვით კოშკის კარებს, ქალი ერთს წამს შეძრწუნდა და დაიბნა, მაგრამ მსწრაფლ მოეგო თავს და წარსდგა უშიშრად მახვილმოწვდილთ წინ.

მრისხანე  მშვენიერება თვალებ გზნებული. ვინ გაჰბედავს არ უსმინოს ხაზართ დედოფალს, შეურაცხჰყოს მისი სურვილი?!

პირგამეხებული სიმშვენივრის ხილვაზედ, რომელი იტყოდა თავის თავს ხაზართ დედოფლად, ბდუჩანს ხელშესახები სიცხადით დაესახა გონების თვალთ წინ ბრძანება დიდის ხაკანისა, ოქროს ზონრით. და ბეჭედით შემკული რაყამი მისი, რომელი ამცნებდა ყველა ქვეშევრდომს:

– „ვინ მოწიწებით არ დახაროს თავი წინაშე ხაზართა დიდის დედოფლის შუშანისა, წარეკვეთოს მას იგი თავი თავხედი!“

ნახა ბდუჩანმა, რა ახლო ახლდნენ მას ან ცამდინ ამაღლება, ან მიწასთან გასწორება და აღარც კი დაფიქრებულა: დაიხარა ქალთა მზის წინ გამოცდილი კარისკაცი, შეეხო ბაგით მის კაბის კალთას. ქალს ზიზღის ღიმილმა გაუპო ერთს წამს მარჯნის ტუჩები.

გაოცებული შეჰყურებდა ახალ დედოფალს ციხისთავი გურგენ: ვერ გაეგო მიზეზი უეცარის ცვლილებისა უცნაურისა.

– ნუთუ ეს ის შუშანი არის, ჩვენი ქალთამზე?! მისი სინაზე და ესეთი რიხი! მისგან მთლად უარყოფა ხაზართა მეფისა და აწ მისი თვის მეუღლედ გამოცხადება! მისი მტკიცე ხასიათი უცვლელი და ანაზდად ფიქრთა ცვალება! – იტყოდა შემკრთალი მანგიური

და განცვიფრებული უმზერდა დიდ დედოფალს ჩრდილოეთისას.

– შენ ტყუილად შეუთვალე უარი დიდს მეფეს ხაზარეთისას, ჩემო ჭკვიანო: შენს აჩრდილს მოუხიბლავს მეფეთა მეფე. უხსნელად დაბმულა იგი შენის ეშხით; რაღა იქნება, პირისპირ რომ გიხილოს იმ ბედნიერმა თვითმბყრობელმა, შენგან მაინც გაუბედურებულმა?! სალოცავ ხატად დაჰსახავდა შენს ლამაზ სახეს! აი, გენაცვა, იმ ნაწნავებით არის იგი მძლეთა მძლე ყეინი უძრავად შებორკილი, ამ გიშრის ჯაჭვებით, – ეტყოდა გამზრდელი ქალს საყვედურის კილოთი

და ჩაუხლართავდა მრავალ ნაწნავებს. შუშანის თმას იგი სხვას არვის მიაკარებდა: თმა იხამებს სხვის ხელს და დაიძრებაო ბუდიდან!

ეხლა მოხუცი გადია თავს იქნევდა განცვიფრებული და ჰმადლობდა ღმერთს, რომ მის გაზრდილს შთააგონა კეთილი ჰაზრი და სწორედ იმ წუთს, როცა ეგონა დაიღუპაო მისი აზრდილიც ჯუანშერ და სხვანიც ყველა.

– ჩემო ლამაზო, დედოფალო ჩემო ზეამაღლებულო, – შეჰღაღადა მან ქალს და მოეხვია მუხლებზედ.

ბდუჩანმა ააყენა იგი და გადაჰკოცნა ისე ტკბილად, როგორც მშობელი, რომელიც ისე შორს იყო მისგან იმ წუთში.

სიხარულით და შიშით მისჩერებოდა ამ ნორჩ ქმნილებას ჭირთა და ლხინთა შიგან ნაწრთობი ბდუჩან. აღტაცებაში მოდიოდა ის როგორც დიდებულის ხილვით მშვენიერის მბრძანებელისა, ისე საკუთარის ბედით განათებულით: იცოდა, რა უზომო დიდება ელოდდა მას იქ, ხაზართა ურდოში, კეისართა კეისრისგან მის გულის წადილის ესე მარჯვედ შესრულებისთვის. ხაზარეთშიც ვერა სჯეროდა მას, რომ უარი ქალისაგან იყო შეთვლილი: რომელი ქალი იტყოდა უარს ხაზართა დედოფლობაზედ?! ეხლა დარწმუდა ამაში, დაუმადლა ქალს, რომ თავისი ნებით დაჰყვა მეფის სურვილს და მით გაუადვილა ბდუჩანს ნაბრძანების ასრულება.

ძრწოდა ბდუჩანი, რომ ქართველ ხალხს ან სხვა რამე ბოროტ შემთხვევას არ გამოეტაცნა მისთვის ხელიდან ეს ადვილი გამარჯვება ბრწყინვალე: იცოდა, ან ქალი უვნებლად უნდა ჩაეყვანა თავის მბრძანებელთან, ან სიცოცხლეს გამოსალმებოდა მბრძანებლისაგან.

## 23

ბატონიშვილ შუშანის ნებით შენელდა ბრძოლა და შესწყდა იგი ციხის გალავანში, მაგრამ დედოფლის სურვილი და ბდუჩანის ბრძანება ვეღარ გავრცელდა ციხის გარეთ, ვერ გაიკვალა გზა შესაფერი: ჩამოზღვავებული მტერი შეჰსეოდა უმწეო სოფლებს, იონავრებდა ქვეყანას, ამდაბლებდა ხალხს, ანადგურებდა ქონებას.

ბდუჩანი უსმენდა ხაზართა დედოფალს; მაინც ძალიანა ფრთხილობდა გამოცდილი და განუწვეტლად თვალს ადევნებდა ყველას, ყველაფერს. ფასდაუდები განძი ჰქონდა ხელთ ხაზართა სარდალს, თვით დიდი ხაკანის სული ებარა მას, და კარგად იცოდა, ეს ნატვრის თვალი ზეცამდინ აამაღლებდა მას, თუ სათუთად დაცულს მიჰგვრიდა თვის კეისარსა, ან ბოროტი სიკვდილით მოსპობდა მას, თუ ვერ მოახერხებდა ისეთს გაფრთხილებას, რომ ბეწვი არ აშლოდა ტევრად გადაყრილ ნაწნავებზედ; ისიც კარგადა ჰქონდა ბდუჩანს შეგნებული, რომ ამ ომიანობის უძვირფასესი საგანი უკვე ხელთა ჰყვანდა, მიხწეული იყო ერთადერთი მიზანი უდიდესი ამ თავდასხმისა, და ძალიანა ჩქარობდა უკუქცევასა.

– არ შემარჩენენ ქართველები ამ გამარჯვებას შემთხვევითს, თუ დროზედ არ გავეცალე; ყველა ღონისძიებას იხმარებენ, ხელიდან გამომაცალონ ძვირფასი ტყვეები. ქალი, მართალია, თანახმა არის და უკვე უწოდებს თავის თავს ხაზართა დედოფლად, მაგრამ ქართველთა თვალში იგი მაინც მოტაცებულია ჩემ მიერ და უთუოდ ეცდებიან მის დახსნას, სისხლის აღებას. მალე უნდა შეუდგე გზასა! – დაასკვნა ბდუჩანმა.

მაგრამ საძნელო შეიქმნა გალაღებულ მებრძოლთა შეყენება, მათი ხელშივე დაჭერა. უკან დასაბრუნებლად გზის არჩევაც ადვილი არ იყო. ლეკეთზედვე დაბრუნება შეუძლებელი სჩანდა. ბდუჩანმა გაიცნო იქაური ხალხი, ქვეყანა, საცალფეხო მთის ბილიკები და ვეღარ ენდობოდა ლეკებს, შესაძლო იყო ეღალატნათ მისთვისაც, როგორც უღალატეს თავიანთ მოკავშირე ქართველებს, დაეყრევინებინათ მთელი დავლა და თითონ ბატონიშვილებიც, რომელთ გამოსასყიდლად დიდ ზინეთს გაიღებდნენ ქართველები. წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა მათ ბდუჩანი: ხევ-ღრანტეებით სავსე ქვეყანაში მთის ბილიკებით მიმავალი უცხო ლაშქარი ძალას ვერ გამოიჩენდა, ვერც მარჯვედ შეჯგუფდებოდა, ვერც თავისუფლად გაიშლებოდა და ადგილმდებარეობის მცოდნე ერთი მუჭა მეომრებიც კი ადვილად დაამარცხებდნენ მთიან არეში მოძრაობის უჩვევს ხალხს, მთლადაც მოსპობდნენ; სადმე ხევში შეაგუბებდნენ მიმავალ ლაშქარს და შიმშილით ამოსწყვეტდნენ.

თუნდაც ესეთი საშიში არა ყოფილიყო ბდუჩანისათვის ლეკეთის გზითვე გადავლა, მაინც ვერ შესძლებდა ის მაშინვე, კახეთიდანვე, ლეკეთზე გაბრუნებას: ლაშქარი არ გაჰყვებოდა მას. მძარცველი ბრბოები სადავლოდ გამოჰყოლოდნენ მას, მხოლოდ მდიდარი საშოვრის გულისათვის და აღარ იბრუნებდნენ იგინი პირს, მანამ გულს არ იჯერებდნენ უმწეო ხალხის დარბევით, მანამ ყელთამდინ არ მოიყრებოდნენ საშოვრით. თვით ხაზართა ჯარსაც იგივე ნადავლის იმედი ასულდგმულებდა და აღფრთოვანებდა. ადვილად მოიპოვეს მათ გამარჯვება, მხოლოდ მცირედის მსხვერპლის შეწირვით და რაღად გაუშვებდნენ ხელიდან იმ ურიცხვ სარჩოს, რომელიც მათ ფერხთ ქვეშ იყო გაშლილი!? აკი აღარც უფონეს ხალხსა! შეჰსეოდნენ

ურდოები მდიდარ ქვეყანას, არბევდნენ მას საშინელის სიმკაცრით; მძვინვარებდნენ მხეცქნილნი დაბა-სოფლებში თუ ქალაქებში როგორც მგლის ხროვა პირ-სისხლიანი. ამაო იქნებოდა ეხლა ბდუჩანის ძახილი, მისი ბრძანება: სისხლით მთვრალი ბრბო თითონ მთავარსარდლისათვისაც საშიში შეიქმნებოდა, თუ წინ გადაეღობებოდა იგი მღვრიე ღვარივით მიმდინარ მტაცებელთ ბრბოებს.

დაფიქრდა ბდუჩან და დაასკვნა სხვა გზით დაბრუნებულიყო ხაზარეთს, არაგვისა და დარიალის ხეობებითა. გადავლო ალაზნის ველი, გახდა მდინარეს, გადალახა გომბორის ბოლო და შეჰყვა აღმა ივრის ხეობას. მტაცებელთ კვალს ცამდინ აწეული კვამლიღა აჩვენებდა შავად მოდებული. ბდუჩანს ჰაზრადა ჰქონდა, გვერდი აექცია თბილისისათვის და სწრაფად გადასულიყო არაგვის ხეობაში, რომ დასდგომოდა ერთადერთ ფართო გზას, რომელიც ასდევდა მდინარეს ჩრდილოეთისკენ. ვერც ის მოუხერხდა მთავარსარდალს. მიმავალი ლაშქარი დაუახლოვდა თბილისს და შეუკავებლად გაიწია მდიდარ ქალაქისაკენ; იქ დიდი დავლა ეგულებოდათ გამარჯვებულებს და მათი შეჩერება შეუძლებელი შეიქმნა, როგორც მთიდან დაშვებული რამ ნიაღვრისა. ხაზართ ეს ბრძოლაც აუცილებლად სწრაფის გამარჯვებით უნდა დაეთავებინათ, თორემ დაიღუპებოდნენ. ბდუჩანი თითონ წაუძღვა თბილისისაკენ დაშვებულ ურდოებს და მით უფრო დიდის იმედით, რომ ამბავი მოართვეს, ქალაქში სულ მცირე ჯარი სდგას: აგარიანნი თრიალეთისკენ დაძრულან საგრილებლად და თან დაბყრობილი ადგილების გასაფართოვებლადაო. ხაზართა დედოფალმა მოუწონა ბდუჩანს ეს გალაშქრება.

– უნდა იგრძნონ სარკინოზთ, რომ ქართველებთან ერთად ამიერიდგან მათ ებრძვიან ხაზარნიც, მათი ახალი მოკავშირენი, – ბრძანა შუშანმა.

როდესაც ბდუჩანმა უთხრა ბატონიშვილებს, რომ მან განიზრახა თბილისზე უეცარი თავდასხმა, ჯუანშერს იმედი ჩაესახა, ამ თარეშის დროს ხაზარნი დაზარალდებიან, კიდეც შებრკოლდებიანო.

– ეგებ იოანემ მოასწროს მათ ამ ხნის განმავლობაში და შესძლოს ჩვენი დახსნა ტყვეობიდან, – გაიფიქრა იმან.

ვერ კი გაბედა ეს იმედი გაეზიარებინა თავისი დისთვის, რომელიც ეხლა ისე ზრუნავდა ხაზართა სახელის განდიდებაზედ, მათი ხელით აგარიანთა დამარცხებაზედ.

– ეგებ დაკმაყოფილდეს გათავხედებული ლაშქარი თბილისის აალაფებით, აღარ აიკლოს სავანები ჩვენის ხალხისა. აღარ უამება ქართველთ აოხრება ხაზართა ხაკანს.

– კიდეც ეწყინება ეხლა ქართველთ აკლება, დიდებულო დედოფალო, მაგრამ შეუძლებელია ლაშქრის შეკავება.

ვერ გამართლდა ჯუანშერის მოსაზრება და იმედები: ბდუჩანმა ერთი დაკვრით აიღო მცველებს მოკლებული თბილისი, მტრის თავდასხმას არ მომლოდნელი. სწრაფად გაძარცვეს ქალაქი შესეულმა ბრბოებმა, გაიტაცეს ყოველივე, რის გატაცებაც კი შეიძლებოდა, და უკუიქცნენ. გადასცდნენ მცხეთას. აჰყვნენ არაგვსა.

გზადაგზა მაინც აოხრებდნენ სოფლებს და დიდ დავლას ეზიდებოდნენ, ტყვეები მოჰყვანდათ: ხალხი არ მოელოდა ასეთს უეცარ თავდასხმას და ვერც სარჩოს დამალვა მოასწრო, ვერც გახიზვნა მიუვალ ადგილებში.

ბდუჩანი ძალიანა შიშობდა, ქართველები თავს არ მოჰგებოდნენ და არ გადაეჭრათ მისთვის გზა; ამისათვის სწრაფად გაიყვანა ჯარი თბილისიდან. ამავე მიზეზის გამო ცდილობდა იგი, ღრმად არ შეეშვა ლაშქარი ქართლის სანახებში. მაინც დრო წაართვა ხაზართ ამ ომმა, მოგზაურობამ და ალაფობამ; შეუგვიანდათ გზაზედ. ეს

ძლიერ აწუხებდა და აღელვებდა გამოცდილ ამირსპასალარს. ძლიერ ცდილობდა თვისი ბრბოები თუ ურდოები ისევ შეეგროვებინა, წესი რამ დაემყარებინა იმათში, სწრაფად დაეყენებინა ყველანი გზაზედ: ისწრაფიდა ქართველთა ჯარის მოწევამდის გასცდენოდა სახიფათო ადგილებს. მისმა გამჭრიახობამ, მისმა გამოცდილებამ და ნიჭმა შესძლეს ეს ძნელი საქმე: ხაზართა ლაშქარი გასცდა მცხეთას, შევიდა არაგვის ხეობაში და უკვე მიიგრაგნებოდა ჩრდილოეთისაკენ დავლამრავალი, თვის საოცნებო სურვილებს მთლად მიწევნილი.

## 24

მიიწევდა ბდუჩანი წინ და თანდათან მეტ აღტაცებაში მოდიოდა თავისი დიდებული გამარჯვებით; თავის თავს უალერსებდა. როდესაც საქართველოში მოდიოდა ის, დარწმუნებული იყო, დიდი ბრძოლა მოუნდებოდა თავის მიზნის მისაღწევად. საკმაო ჯარი კი არ ჰყვანდა თან. ჰხედავდა, რა განსაცდელის ბჭესთან დაახლოვებულიყო იგი: მისი გამარჯვება მთლად დამყარებული იყო მის მარჯვე რამ მოხერხებაზე ან მისთვის სასარგებლოდ მოწყობილ შემთხვევით გარემოებაზედ.

– ამ დიდებული საქმის შესრულება ესე მცირე ჯარით და ლეკთა ბრბოებით, რომელნიც ამდევნებიან მხოლოდ მეკობრული მისწრაფებით ამოძრავებულნი?! თუ მცირედ მაინც შეირყა ჩემი სვლა, თუ სადმე შეკრთა ჩემი მარჯვენა თუნდ ერთის წამით, ხაფანგში მოვყვები, როგორც მგელი ჩუმად დამცემი. სასწაული თუ რამ გადაგვარჩენს მეც, ჩემ ჯარსაც ამ საშინელ განსაცდელისაგან.

– და თუნდ დაგიხსნას ღვთისა განგებამ გასაჭირისაგან, ბდუჩან ნაცადო, მაინც წაწყმდები, თუ ის ქალთამზე არ შეიბყარ, ხელთ არ მოიგდე: მისთვის გიბრძანა ამ შორს მხარეს შენმა მეუფემ. ეს კი ძნელია, შეუძლებელი: პირველსავე ხმაურობაზედ გადამალავენ ქალს და მაშინ თუნდ მოგებული ბრძოლა შენთვის მაინც წაგებული იქმნება: შენც, მთელი შენი ჯარიც მხოლოდ იმ ქალისათვისა ხართ განწირული; უიმისოდ დაბრუნება სიკვდილს გიქადით, ბოროტ მოსპობას.

ეს სახიფათო მდგომარეობა იძულებულს ჰყოფდა ბდუჩანს მთელი თვისი ნიჭი და გამჭრიახობა, მთელი თვისი გამოცდილება ზედ შეელივნა ამ მძიმე საქმისათვის, რომ როგორმე სამშვიდობოდ დაესრულებინა იგი.

აკი ჰაზრიანადაც მოაწყო ყოველივე, დიდის წინდახედულობით, მეტისმეტი სიფრთხილით.

ეხლა ეს შიში თითქმის უკუგდებული იყო: მისთვის ბედნიერად მოწყობილმა გარემოებებმა ძლიერ უშველეს; ქართველნი მთლად მოუმზადებელნი დაჰხვდნენ, ხოლო ქალი შუშანი...

– ვინ მოიფიქრებდა?! თვისი ნებით მიიღო მან ყეინის წინადადება; შეიგნო თვისი ბედი და მაშინვე დაეყრდნო ჩვენს ძალას, გაბედულად აღიარა თავისი თავი დედოფლად დიდი ხაზარეთისა, – იტყოდა ბდუჩანი და გასდევდა თავის ჰაზრს:

– ალბათ მაშინ, პირველად უარის თქმის დროს, ქალი არ იყო ბრალი; მისმა მშობლებმა თუ ათქმევინეს; ჩვენ კი გვაცნობეს, თითონ ქალი შესდგა დიდ უარზედაო, დაჰგმო და გაკიცხა დიდი ხაკანიო.

და აათკეცებდა ბდუჩანი ქალისადმი პატივცემას, მოკრძალებას თუ მოწიწებას. თანაც ძალიან ფრთხილობდა, სულ გარს დასტრიალებდა ქალს, რომ სამშვიდობოს გაეყვანა იგი და თავისუფლად ამოესუნთქა. ამის გამო ააჩქარა დაბყრობილი ქვეყნიდან ჯარის გამოყვანა; ეს იყო მიზეზი, რომ თბილისს მხოლოდ ტოტი დაჰკრა, როგორც ვეფხვმა მსხვერპლისაკენ გადაფრენილმა, და მსწრაფლ დასტოვა

ალავარდნილი. გაემართა ჩრდილოეთისკენ მტაცებელი იგი ნადირი, რომელს მსხვერპლი პირში ეჭირა.

ძლიერ ჩქარობდა: მაინც კიდევა გრძნობდა მომავალ განსაცდელს. საკმაოდ შეაგვიანა ეს მისი სწრაფვა თბილისზედ თავდასხმამ, აოხრებული ქალაქიდან ჯარის გამოკრებამ და გზაზედვე დაყენებამ. ამ დაყოვნებამ მისცა ქართლის ერისთავს შეძლება, შეეკრიფა თავისი ლაშქარი და გზიდან შორს აღარ გადაეშვა მიმავალი მტრის ურდოები; გადაერჩინა შიდა ქართლი აოხრებას. აგრეთვე მოასწრო და აცნობა იოანეს, რა უბედურება დაატყდა თავს კახეთს და იქ მყოფ ბატონიშვილებს.

იქნება მაინც ვერ გაჰმაგრებოდა ქართლის ერისთავი გალაღებულ მტერს მოზღვავებულს, მაგრამ თითონ ბდუჩანიც ძალიან ცდილობდა, შორს არ გაეშვა თავისი ჯარი, არ აძლევდა ნებას ღრმად შეჭრილიყო ქართლში. შესძლო მან, დროზედ შეეკრიბნა თავისი ჯარიც, ლეკთა ბრბოებიც, დაეყენებინა იგინი გზაზედ: სასტიკ ბრძანებას სასტიკი მოქმედება დაადევნა და მით შესძლო ხალხის დამორჩილება, წესში მოყვანა.

როდესაც ერისთავი დარწმუნდა, რომ მტერი გასცდა ქართლის სანახებს და საბოლოოდ დაადგა ჩრდილოეთის გზას, გაბედა, სცადა გზა გადაეჭრა მტრისათვის, ზარალი მიეყენებინა მისთვის, იქნება ის ძვირფასი ტყვეებიც დაეყრევინებინა. მოკლე გზებით გადაიარა მთა ადგილები და წინ დაუხვდა ხაზართ არაგვის ვიწროებში.

ვერ გაუმარჯვდათ ქართველებს: გაუსხლტა მათ ნადირი და გაიტაცა თვისი ნადავლი – ქალი შუშანი, ჯუანშერ ბატონიშვილი. ბევრი გალაღებული მტერი დაეცა იმ ბრძოლის ველზედ, დიდი დოვლათი დააყრევინეს იქ მეკობრებსა, მაგრამ ყველა ეს ჩალად ღირდა: მოიტაცა ვეფხვმა კრავი ოქროს საწმისიანი, ხტომით მიაქანებდა მას ბუნაგისკენ. ქართველთ სარდალმა ვერ გაუგო მტერს სამხედრო გეგმა და იგი გამარჯვებული მისთვის დარჩა ხელცარიელი.

ლახვარს ასობდა ქართველთა საერთო ოჯახის მცველებს, საქართველოს დარაჯებს თუ მის ჭირისუფლებს, რომ უარით შეურაცხყოფილმა მძლავრმა სასიძომ ქალი მოსტაცა მათ და მით სირცხვილეულ ჰყო იგინი: ეს ხაზართა თარეში ხომ ქალის გატაცება იყო ფართოდ და მარჯვედ მოწყობილ-მოსაზრებული.

– ომში, ბრძოლაში ვაჟკაცი ან სძლევს, ან დაიძლევის, წესია ეს და არც სირცხვილსა აქვს აქ ადგილი, მაგრამ უფლისწულის გატაცება სახელმწიფო ოჯახიდან... ეს სირცხვილეულ ჰყოფს ქართველთა სახელს, ეს საარაკო სახელს შესძენს ხაზართა მფლობელს! – იტყოდა ერისთავი და ჯავრზედ მოსული თვის წვერს ეზიდებოდა მარცხენით, კბილებს აღრჭენდა გაცოფებული. ისიც ახელებდა მას, რომ ვერ უგრძნო ბდუჩანს განზრახვა და მისთვის იძლია; ხაზარმა აჯობა სამხედრო ხერხში და მით შელახა მისი თავმოყვარეობა.

ბდუჩანმა ხომ მოახერხა თავისი ჯარის სწრაფად გზაზედ დაყენება, მისმა სიჩქარემ და მკაცრმა განკარგულებებმა უკმაყოფილება დაბადეს ლეკთა ბრბოებში. მთიულებს არ მოსწონდათ მთავარსარდლის ქცევა. ისინი გადმოვიდნენ საქართველოში ტყვეებისა და დოვლათის საშოვნელად, ქვეყნის ასაოხრებლად? ეგონათ, ხაზართა წინამძღვარსაც სწორედ ეს განზრახვა ასულდგმულებდა. ბატონიშვილის შუშანის გატაცებას დიდ მნიშვნელობას არ აძლევდნენ, მხოლოდ ერთი ტყვეთაგანი მიაჩნდათ ის; თუ ბდუჩანმა იშოვნა ძვირფასი მხევალი, ლეკთა ბელადები რადღა უნდა დაბრუნებულიყვნენ ხელცარიელნი?! არც დარიალის გზით უხაროდათ ლეკებს: მათთვის უფრო ხელსაყრელი იყო კახეთის გზითვე გადაევლოთ და შეჰფარებოდნენ თავიანთ მიუვალ მთებს. განცალკევდა მთიულთა სურვილი ხაზართა მთავარსარდალის მისწრაფებისაგან. აღარა ჰმალავდნენ იგინი

უკმაყოფილებას, აშკარად ეუბნებოდნენ ბდუჩანს; უნდოდ მიჰყვებოდნენ იგინი მას, მთლად უნებლიეთ.

– ვშიშობ, სპასალარო, ეს ჩვენი მომხრე ლეკები საშიშ მტრებად არ დაგვადგნენ ეხლა, ჩვენვე არ მოგვმართონ თვისი მახვილი, – ეტყოდა მრჩეველი.

– შესაძლებელია! სოფლების აკლებაში ჰლევენ ეგენი დროს, ჩვენ კი უნდა ვისწრაფოდეთ წინ; თუ ჩამოგვრჩებიან, გაჟლეტავენ მათ ქართველები

– დეე, ჩამოგვრჩნენ, რახან ურჩობენ.

– მაინც სჯობია, ჩვენს ახლო იყვნენ.

– როგორ?!

– მოგვწვდებიან ქართველნი, გაგვიძნელდება ყოფა და მაშინ მომხმარეებად მოგვევლინებიან: მეტი გზა აღარ ექნებათ, როდესაც მტერი თავს დაგვესხმება ჩვენც და მაგათაც.

– სიბრძნეს ამბობ, დიდად გამოცდილო!

უფრო მოუწონებდა ჰაზრს თანამზრახველი, თუ ბდუჩანს გაენდო მისთვის მთელი თვისი განზრახვა და იმედები. იმან იცოდა, ქართველები ისე არ გაუშვებდენ მას თავიანთ ქვეყნიდან, რომ არა ცდილიყვნენ, გზა გადაეჭრათ მტაცებელთათვის; რაკი გასცდნენ მცხეთის სანახებს, ბდუჩანმა იწყო შესაფერი ზომების მიღება: ერთად შეაჯგუფა ხაზართა ჯარი და მოწინავე ლაშქრად ჩააყენა. მიმავალ ჯარს სათავეში ედგნენ საუკეთესოდ შეიარაღებულნი და ბრძოლაში ნაწრთობნი; შუაში მოთავსებული იყო ის ეტლი, რომლითაც მიჰყვანდათ ქალი შუშანი; აქ ტყვეების გარშემო შეჯგუფებულ-შენივთებული იყო ძლიერი დასტა რიცხვმრავალი; უკან მისდევდა ისევ მშვენივრად შეიარაღებული რჩეული გუნდი. ჯარს უძღოდნენ და ასდევდნენ მახლობელ ფერდობებით კვალის დამკვლევნი, მეისრენი, შურდულოსანნი.

მთიულები უწესოდ მოსდევდნენ მათ, არეულები; მოერეკებოდნენ ნადავლ საქონელს, ტყვეებს; მოჰქონდათ ბარგი. დიდ მანძილზედ გაფანტულიყვნენ. გზა-გზა ემატებოდა მათ ახალახალი გუნდები, მოთარეშე მათი ამხანაგები. დაჭრილებიც მოჰყვანდათ მთიულებს, ქართველთა ხელით დაზარალებულნი: ძვირად თუ უჯდებოდათ სოფლების აკლება.

– სჯობია, ბატონო ბდუჩან, რიგზედ დავაწყოთ ეს უკან მომავალი ბრბოები, თორემ ხელს გვიშლიან წინსვლაში.

– ამაო ცდა იქნება და დროს დაკარგვა: ჩვეულნი არ არიან არავითარ წესს. ვერც შეიძლება რაიმე რიგი დავიცვათ; ტყვეები, ნადავლი ქონება, ურმები, საქონელი... მაგათ ეხლა წესიერი ბრძოლა აღარ შეუძლიანთ, მხოლოდ საკაფ მასალადღა გამოდგებიან.

– კიდევ კარგი, რომ მტერი არსადა სჩანს ძლიერი: ჩვენმა მოულოდნელმა თავდასხმამ ცნობა ჩაუბნელა ქართველებს.

– მართალია! მაგრამ მოეგებიან თავს, შეგვებრძოლებიან.

– ვეღარ მოგვწვდებიან, ვეღარც რას დაგვაკლებენ, სამშვიდობო გზას უკვე ვადგივართ.

– მოგვწვდებიან! ერთადერთი ხსნა იმაშია, სწრაფად ვიაროთ, გავსცდეთ ვიწროებს, გადავლახოთ მთა.

– მაშ საშიშია?

– არც ისე ძლიერ! გადახედე: დიდ ლაშქრად მოსჩანან, გაშლით მოდიან; ტყვეებიც ამრავლებენ მათ რიცხვს. თუ მოგვწვდა მდევარი, მათ დაეცემა პირველად:

უმთავრესი ჩვენი ლაშქარი ეგ ეგონება. შესუსტდებიან ბრძოლაში, დროსაც დაჰკარგავენ. ჩვენ ვისარგებლებთ, დავწინაურდებით.

– ამოჟლეტენ მათ ქართველები.

– ამოსწყვეტენ ამოსაჟლეტებს! ჩვენც მოგვწვდებიან: მთელი ჩვენი იმედი ამ ჯარზედ არის დამყარებული, ჩვენ ხაზართა ლაშქარზედ.

დააფიქრა ბდუჩანის თანამებრძოლნი და თანამშრომელნი ამ მისმა დაჭეშმარიტებითმა თქმამ. ერთხელ კიდევ დაუარეს ხაზართა რაზმებს, გააფრთხილეს, სომარ წესზედ დააყენეს; ფეხიც უფრო ააჩქარებინეს. აღარ დასდიეს იმას, მთიულთა ურდოები ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ მათ, თუ ჩამორჩებოდნენ.

## 25

– დიდს განსაცდელში ჩამაგდო ვეზირმა. საშინელი გამოცდაა ეს ჩემის მარჯვენისა, ჩემის უნარისა. ან სიკვდილი უწყალო, ან ცამდინ ამაღლება საარაკო. ჯერაც ვერ გამიგია, გულწრფელად შემირიგდა მე იგი ვეზირი და მისთვის შემაქო ისე ყეენთან, მოისურვა მე ჩავეყენებინე ამ დიდი დაწყებულობის სათავეში, თუ ღრმად მოფიქრებული მახე დამირწყო სახიფათო და საშინელი. მაგრამ მაინც ხომ სასიკეთოდ წარემართა ჩემი სვლა, საცაა კეთილიდ დავამთავრებ ამ საარაკო საქმეს საგმიროს და მაშინ სადაც გაიხსენებენ მეფეთა მეფეს, აღარც მე დავავიწყდები ვისმე მის გვერდზედ.

მაგრამ ბდუჩანი მაინც ჯერ არ გასცდენოდა საქართველოს სამზღვრებს, არ დალეულიყო მის წინ სახიფათო გზა და ისევ შიშით მოელოდდა ის ქართველთა ლაშქარს, ჰნატრობდა მის შეგვიანებას. ბატონიშვილი შუშანი კი სასოებით მოელოდდა ქართველთა ჯარს და სურვილითა ჰსურდა, სწრაფად გამოჩენილიყო იგი მათ სახსნელადა, ვერაგ მტაცებელთ დასასჯელადა, საქართქველოს დროშის ასამაღლებლად. ბდუჩანი აჩქარებდა თავის ჯარს, რომ გაესწრო ქართველებისთვის, დროზედ გასცლოდა მათ და მშვიდობით; ბატონიშვილი შუშანი თვის ნატვრათა არეში აჩქარებდა ქართველთა ლაშქარს, რომ დროზედ გადაეჭრა მას მეკობრეთათვის გზა და შეენანებინა მათთვის საქართველოს სანახების შელახვა. რაც დრო გადიოდა და მანძილი ილეოდა მიმლტოლველ მტერთა ფერხთ ქვეშ, იმდენად იზრდებოდა და ძლიერდებოდა ბდუჩანის იმედი, რომ იგი მშვიდობით მიაღწევდა თავის ქვეყანას, გაივაკებდა, ძლევამოსილი დაადგებოდა ხაზართათვის ფართო სავალს უშიშარს, განზედ გაშლიდა გამარჯვებულ თვის ლაშქარს ხაზარეთის ტრიალ კალთებზედ; რაც უფრო მეტი დრო გადიოდა და მოკლდებოდა მანძილი საქართველოს სამზღვრებამდინ, იმდენად ილეოდა და სუსტდებოდა იმედი მშვენიერის შუშანისა, იმდენად უთქმელის ჯავრით ივსებოდა მისი გული საწყალობელი: დნებოდა მუნ ყანდი სასოებისა და იგი მდნარი იმედი გესლის შავ გუბედ ტრიალდებოდა მის ნათელ არსებაში. ბადრს სახე ეღრუბლებოდა, თვალთა იერი უღრმავდებოდა. მძლეველს კი პირს ღიმი ეფინებოდა, თვალთა ბაია უბრწყინდებოდა.

– მივდივარ გამარჯვებული, ვუახლოვდები სამზღვარს ხაზარეთისას, ვლევ და ვამოკლებ განსაცდელთაგან აღსავსე სავალს! კიდევ ცოტა, მწყალობელო ბედო ჩემო, და გადავალ მთას, დავეშვები თავთავქვე; იქ მიიშრიტება განსაცდელთა იგი სადინელი, მალე მთლად ამოშრება იგი. ბედნიერება! მხოლოდ მე, ბდუჩანს, თუ შემეძლო მარჯვედ მომეწყო საარაკო საქმე ესე ბუმბერაზული! ლომთ ბუნაგიდან გამოტაცნა ლომთა ლეკვისა მთლად უვნებელად! მთლად უზარალოდ?!

– იყუჩე, ბდუჩან! ფრთხილად იყავი, ძალიან ფრთხილად: ომში ბოლომდინ თვალხმიერობა, არც ერთი მოუზომელი ნაბიჯი, მაინც სიფრთხილე, თუნდ წინაწარიქციო მტერი, თუნდ მთლად განფანტო და აღარ სჩანდეს იგი ტატნობზედ!..

– კიდევ სიფრთხილე, მეტი სიფხიზლე?!

– ოღონდაც რომ თვალხმიერობა, ბდუჩან მძლეველო! გახსოვდეს: დიდის ხაკანის სურვილი მიგყავს განხორციელებული, მის სწრაფვათაგან უძლიერესი და... და თუ მიიყვან ფერშეუშლელად, ზე ამაღლდები; თუ დაგეკარგა იგი საუნჯე ან ევნო რამე, ქვე ჩაითხევი, ბოროტ იგავად დაიდები მთელ ხაზარეთში, ბნელ რამ არაყად ძნელ მოსასმენად.

– და ჩემი ღვაწლი, წინანდელი ჩემი მხნეობა?

– გამარჯვებები შენის მარჯვენის, შენი მხნეობა ფრიად ნაქები, მთლად შენი ღვაწლი ფასდაუდები უდიდეს ბოროტებად მოეჩვენება განძვინებულს შენს კეისარსა და..... და მოგსპობს იგი ბოროტ სიკვდილით. ფრთხილად, ბდუჩან.

მართლა ავი რამ ჟამი დამდგარიყო ბდუჩანის ლაშქრისათვის; საშიშროების ნიშანნი აჩნდნენ ხაზართ სავალზედ: გზის მიმყოლ მთათა ფერდობებზედ და გორაკთა თხემებზედ შენიშნეს ვაჟკაცები; ხან გამოჩნდებოდნენ და ასდევდნენ მიმავალ ბრბოებს, ხან მიეფარებოდნენ, გაუჩინარდებოდნენ. ახლო არ უდგებოდნენ, რომ ისარი მისწდომოდა მათ ან შურდულის ქვა: არც ჰშორდებოდნენ. ვერც ერთი მათგანი ვერ იგდო ხაზარმა ხელთ, რომ გამოეკითხა ამბავი, დანა დაებჯინა ყელზედ და ისე გამოეწვლილა ყოველივე. ძნელი შეიქმნა მათ სადევნელად თუ შესაპყრობლად კაცთა გაგზავნა: აღარ ბრუნდებოდნენ წარგზავნილნი, მარჯვედ თუ სპობდნენ მათ საიდუმლო იგი დარაჯნი.

შეფიქრებულმა ბდუჩანმა გასცა საიდუმლო ბრძანება, მთიელთა ბრბოებში მყოფი ხაზარნი დაეწინაურებინათ, შეეერთებინათ ბდუჩანის ჯარისათვის. თუ რამე ისეთი დავლი მოჰქონდათ ხაზართ, რომელიც სვლას აბრკოლებდა თუნდაც ცოტად ან ბრძოლის დროს მოძრაობას გააძნელებდა, გზაზედ დაატოვებინა მთავარსარდალმა. დაასალთავა ლაშქარი, საომრად გამოაწყო ყველა მებრძოლი. მჭიდროდ შეკრიბა საუკეთესო ვაჟკაცნი ტყვედ წაყვანილ ბატონიშვილების გარშემო.

უკან ჩამორჩენილი მთიულთა ბრბოები კი ვერას ატყობდნენ, არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ შემთხვევით ისრით განგმირულ თუ შურდულის ქვით თავგაპობილ ამხანაგს: დავლის სიმრავლეს და სიკეთეს გაეტაცნა იგინი, თვალები აება; დაჰვიწყებოდათ გალაღებულთ, რომ ჯერ ისევ მტრის სანახებში იმყოფებოდნენ. არეულად მიდიოდნენ მთიულნი, გაშანშლულები. შიგადაშიგ ერთმანეთს ებრძოდნენ საფასი დავლისა თუ ლამაზი მხევლის გულისთვის. სიხარბედარეულნი კიდევ ეტანებოდნენ გზის მახლობლად მდებარე სოფლებს. სვლა უბრკოლდებოდათ. თანდათან დაჰშორდნენ უმთავრეს ძალას სწრაფად მიმავალს.

შორიდან რომ დაჰხედავდი, გეგონებოდა, ეს ბრბოთა ჯგუფები იყო ხაზართა ნამდვილი ლაშქარი: მისი სიმრავლე, დავლაუხვობა. კვლავ სამეკობროდ მახლობელ სოფლებზედ თარეში მოგაჩვენებდა, რომ სწორედ ეს იყო ის საშინელი გველეშაპი ცეცხლის მფრქვეველი, რომელი გადმოეშვა კავკასიონიდან, წალექა კახეთი, იავარჰყო თბილისი, ანადგურა ქართლის სანახები და აწ სისხლით მთვრალი მიიგრაგნებოდა არაგვის ხევით, რომ გადაჰვლებოდა მთას და გადაცურებულიყო ჩრდილოეთის მინდვრებისაკენ, სადაც მხოლოდ შეეძლო გაშლილიყო მთელის თვისის მზარავი ტანით ქართველთა სისხლით განპოხებულით.

ამისთვის იყო, რომ მოსტყუვდა ქართლის ერისთავი.

– ეს არის ხაზართა ლაშქარი. აქ არის ნადავლი ქონება და ტყვეთა სიმრავლე. აქვე იქნებიან გატაცებული ბატონიშვილნი.

– ეტყობა!

– დაწინაურებულთ არც ბარგი მისდევთ, ჯარის მთელი საგზალ-საკვები არა სჩანს, ამ უმთავრეს ლაშქარში.

– მაინც საეჭვოა რად წასულან ისინი წინ?

– ალბათ გზის გასაკაფად და გასაწმედად შემთხვევითი დაბრკოლებათაგან. უკან მომდევარი გუნდიც ეყოლებათ მაგათ.

– სჯობს წინ წავიწიოთ; იქ დავიწყოთ ბრძოლა, სადაც არის მტრის ლაშქრის თავი.

– არა! აქ გადაუჭრათ გზა უმთავრეს ლაშქარს. მოვსპობთ მათ და უმწეოდ დარჩებიან წინანი. ადვილად მივწვდებით მათაც გამარჯვებულნი.

– ოღონდ კი მოვსპოთ ეს უმთავრესი ლაშქარი, ტყვეები დავანთავისუფლოთ, დავლა დავაყრევინოთ და წინანი დეე წავიდნენ, მიუთხრან ყველას, რომ საქართველოდან დაუსჯელად ვერ გავა ვერც ვინ მტრად შემოსული.

– მაგრამ თუ ბრძოლის ჟამს იგი წინანი უკან შემოიქცნენ ხმალმოწვდილნი?

– დავახვედროთ მათაც მახვილი! ჩაუსაფროთ სამარქაფო ჯარის ნაწილი.

– უკვე დრო არის! მოცდა აღარ ეგების. როდამდინღა ვუცადოთ იოანეს ჯარს?! ცოტაც და დაუახლოვდებიან ესენი მთის მწვერვალებსა; მაშინ უფრო გაძნელდება მათი შეგუბება. სხვა მთიელნიც მიეშველებიან იქ მათ: ოსები, დურძუკნი, ღლიღვნი.

– მტერი ხელთა გვყავს, ვახსენოთ ღმერთი!

ჩაეშვა მთის კალთებიდან ქართველთა ჯარი, გზა გადაუჭრა მიმავალ მტერსა. გალაღებულნი არ მოელოდნენ ამ განსაცდელსა და დაიბნენ ერთს ხანს. განმრავლდა ფრთოსან ისართ მოციქულობა. აზუზუნდა შურდულის გულა; ქართველთ ყიჟინი გრგვინვად გაისმა ღრმა ხეობაში; იგი საომარი ხმიანობა აათკეცდა მთათა სალ მკერდზედ. ნახეს მტრებმა, დამდგარიყო მათი აღსასრულის დღე და შემოიკრიბეს ძალა უკანასკნელი; შეაგებეს ხმალი ხმალს ბრძოლაში ნაწრთობებმა; მფრინავ ჯირითებს წვერგამახულებს მფრინავივე ხელშუბები წინ წაუყენეს. გაჩნდნენ მტერთ შორისაც დინჯად შემმართებელნი მებრძოლნი: დააწყეს რაზმები, შეიტანეს მცირე რამ წესი აბნეულ მებრძოლთ სიმრავლეში და შესძლეს ერთს ხანს გაჰმაგრებოდნენ ქართველებს. უიმედო ბრძოლა იყო ეს მტრებისთვის, საბედისწერო. მით უფრო მეტ მძვინვარებას იწვევდა მათში ეს ომი. გადიხარა მზე. ქართველთაკენ იბრუნა პირი ბრძოლის ხატმა თვალაღგზნებულმა. მოწინავე ლაშქარი მტრისა ამ ბრძოლის ხმაზედ არ დაბრუნდა მოძმეთ საშველად; უფროც ააჩქარა ფეხი. ნახეს ეს ჩასაფრებულებმა და ყიჟინით გადმოერივნენ შენივთებულ ბრძოლაში. წალექა მტერი ამ ახალ ტალღამ. მოდუნდა მარჯვენა მეკობრების, მოისპო მტერი. ზოგიღა გასცდა სისხლიან ველსა და შეუერთდა ხაზართა ლაშქარს.

გაანთავისუფლეს ტყვეები. დააყრევინეს სულ მთელი დავლა. ულოცავდნენ გმირნი ერთმანეთს დიდ გამარჯვებას. სრული სიხარული მაინც ვერ ნახეს: ტყვეთა შორის არ აღმოჩნდნენ ბატონიშვილნი. ცხადი შეიქმნა, ისინი მოწინავე გუნდს მიჰყვანდა თან. შეუძლებელი იყო, მაშინვე დასდევნებოდა ლტოლვილ მტერს ქართველთა ჯარი: არც ისეთი ადვილი გამოდგა ომი, რომ არ შერყეულიყო გამარჯვებული ლაშქარი; დასვენება სჭიროდათ მეომრებს, ახლად დაწყობა. დაჭრილ-დახოცილნიც საკმაოდ იყვნენ; მოვლა უნდოდა იმათ, მიწას მიბარება თუ დაბინავება. ღამემაც უსწრო და მხოლოდ დილაზედღა შეიძლებოდა ხაზართა დანარჩენ ჯარზედ

მისვლა. ისიც აფიქრებდა ქართლელებს, რომ თითონ ხაზარნი თითქმის არ იყვნენ დაჭრილ-დახოცილთა შორის.

– ალბათ მთელი ხაზართა ჯარი იყო დაწინაურებული და ტყვედ ჩაცვივნული ბატონიშვილები იმათ მიჰყვანდათ წინ, – მიჰხვდა ქართლის ერისთავი.

ამის შეგნებამ მეტად დააღონა გივი: მისი უმთავრესი საზრუნველი იყო ბატონიშვილების დახსნა განსაცდელისაგან; ვერ ეწია ამას იგი; დაინახა, რომ ბდუჩანმა აჯობა მას სამხედრო სიძნელის მოგვარებაში. გული ეტკინა ამაყ მეომარს, შეელახა თავმოყვარეობა. გამარჯვება აღარად მიაჩნდა: დამარცხების რამ იერი ასდევდა ამ გამარჯვებას. გვიანღა იყო.

## 26

მიეჩქარებოდა ბდუჩანი უვნებლად გადარჩენილ ხაზართა ჯარით და ყოველი წინწადგმული ნაბიჯი სიხარულით ავსებდა მასაც, მის ლაშქარსაც; უმრავლებდა იმედთა სხივებს: თავიანთ მამულისაკენ მიიწევდნენ გამარჯვებულნი, თავიანთ შვების მხარისკენ, ის აღიმებდათ. ტყვეების გული კი იმავ საზომით ივსებოდა მწარე ნაღველით, პატიმართ სულს კი თანისთან ახშობდა შავი ბურუსი. ჩქარა მთლადაც დაეხშობოდათ ნათელთა სხივი: სიბნელისაკენ მიეზიდებოდა მათ ულმობელი ბედი უბედო, ბოროტისაკენ უნათებლისა.

ქალი შუშანი ჰღონობდა გულში, სხვას არ ეტყოდა. შეჰშინებოდათ გული ჯუანშერსაც, სხვა ტყვეებსაც მაინც ზოგნი კვლავ სასოებდნენ.

– ჯერ არაფერია მთლად დასაღონებელი: შეიგვიანა მსხნელმა ლაშქარმა; ეს მოსალოდნელია და ბუნებრივი: თავდასხმა უეცარი იყო და სწარმოებდა ისეთი მხრიდგან, საიდანაც ჩვენები სრულებით არ მოელოდნენ განსაცდელს.

– ეგეც არ იყოს, საქართველოს მთელი ყურადღება მიქცეულია სამხრეთისაკენ, საიდან ულეველად მოდის მძლავრი სიბოროტე თვალცეცხლიანი. რა საკვირველია, რომ ქართველნი მზად ვერ დავხვდით მოზღვავებულ მტერს სრულებით ახალს?!

– არა უშავს რა! მცხეთასთან მაინც მოგვასწრობს მშველელი ჯარი: მოახერხებენ ჩვენები შეკრებას და შეიარაღებას, არ მისცემენ წმიდა ადგილს შესაგინებლად.

– ძალიან მიკვირს, რომ აქამდინაც არ შეუკრა გზა ამ ბრბოს ჩვენმა ლაშქარმა. არც თუ ძალიან ბევრნი სჩანან, არც წესი აქვთ სათანადოდ დაცული მათ დასტებს. სირცხვილია მივსცეთ ამათ ჩვენი ქვეყანა ასაოხრებლად.

– მეტად ჩაფიქრებული და დაღონებული იყო ჯუანშერ ამ ბოლოს დროს. ის აღონებდა მას, რომ ვერ გამოიჩინა შესაფერი მოსაზრება და გამჭრიახობა, როდესაც თითონ დარჩა მმართველად აღმოსავლეთ საქართველოში; ჰყვედრიდა თავის თავს, რომ ერთობ მიენდო ციხისთავს თუ სხვა სარდლების და გამგეების სარისტიანობასა; ვერ მოიფიქრა, რა საშიში იყო თითონ მთაც, რომელს მიჰყუდა მან ზურგი. თავის დის ქცევამაც ატკინა მას გული.

– თუ თანახმა იყო გაჰყოლოდა მეუღლედ ხაზართა ხაკანს, რაღას აყოვნებდა?! მაშინ რომ გამოეცხადებინა თანხმობა, როცა პირველად ითხოვა იგი ხელმწიფემ, ეხლა ხაზარნი მოყვრად გვეყოლებოდნენ და არა მტრად, მოსისხლედ! – ფიქრობდა ახალგაზრდა და განცვიფრებით შეჰყურებდა თავის დას, რომელსაც თავისი თავი უკვე ხაზართა დედოფლად გამოეცხადებინა და დამმონებელი თითქო თითონვე დაემორჩილებინა, თავის ბრძანებას ასრულებინებდა. ვერ გაეგო ამგვარი შეცვლა ქალის ჰაზრებისა, ვერც ქცევა მისი. ეგონა ქალი თითონ განუმარტებდა ძმას თავისს ესეთ გარდაქმნის მიზეზს, ჩაახედებდა იგი მას თავის გულში, მაგრამ სდუმდა შუშანი

და მედიდურად განაგრძობდა მოგზაურობას, თითქო ნებით სვლას მტრის სავალზედა.

აკვირვებდა ქალის ქცევა ტყვედ ჩავარდნილ სხვა ქართველებსაც, მეტადრე მანგიურს, რომლის უნივთო თაყვანისცემას ქალისადმი აწ განცვიფრება დართოდა საიდუმლო სულისკვეთების წინაშე ამ ქალწულისა. შუშანი რომ მბრძანებლობდა, გამარჯვებული ბდუჩანი რომ თავს იდრეკდა მის წინ მორჩილად, ეს უმეტეს ამაღლებდა ქალს ამ უანგარო მოტრფიალეს თვალში და იმ რწმენას განუმტკიცებდა, რომ შუშანს ნებით თუ უნებლიეთ თაყვანი უნდა სცეს ყველამ, ვინც კი მიეახლება მას, მტერმა თუ მოყვარემ: არავის ძალუძს არ ემონოს მას.

თბილისის აოხრების ამბავი რომ მოესმათ ტყვეებს, განცვიფრდნენ იგინი: არ ეგონათ, ამას შესძლებდა ხაზართა ჯარი ესე ანაზდად. ეწყინათ ქალაქის დანგრევა, გარნა აგარიანთა მარცხმა სიხარული მოჰგვარა მათ. შუშანის სახეზედ კი არ ათრთოლდა არც ერთი ნაკვთი, ლითონიდან ჩამოსხმულ იმის სახეზედ; მხოლოდ უფრო ჩაუშავდა შავი თვალები, უკუნი რამ ბნელი ჩაწვა გიშრის საგუბრებში; ხოლო მათ უძირო ძირში ცეცხლი ჰკვესდებოდა, ჯოჯოხეთით ამოსული ცეცხლის ნაბუქი. სიტყვა შეამცირა ისეც უსიტვომ, მეტადრე მტერთა წინაშე. ისეთ მიუწდომელ ხატად აისახა, ისეთ ზეამაღლებულ მბრძანებელადა, რომ შეაკრთო თითონ ბდუჩანი მისმა მკვეთრმა გამომეტყველებამ, დახარა იგი სათაყვანებლად, თითქო თვით მრისხანე ხაკანის წინა სდგასო მის ბაგეთაგან მეფური ბრძანების მოსასმენლადა. მტკვარს რომ გასცდნენ და შეუდგნენ არაგვის ხეობას, იქ კი თითქო გადატყდა ქალის ნებისყოფა: დაემხო იგი პირქვე, სასტიკად ათრთოლებდა შეკავებული ქვითინი ლამაზს. მხოლოდ ერთს წამს: ზე წამოიჭრა, წელში გასწორდა, საშინელი სისასტიკე აღებეჭდა სახეზედ. უმოძრავოდ გამჭვრეტელნი მისნი თვალნი ფოლადის მახვილივითა ჰმჭვალავდნენ, ვისაც უმზერდნენ; ვერ კი ჰხედავდნენ ვერავის: სხვა სურათს ჰყურობდნენ მომავლისაკენ მიქცეულნი, საშინელ რამ ხატებას, რომელი სისხლის ფერადებით იქარგებოდა მისის გონების თვალთა წინაშე.

ძრწოდა ლმობიერი მანგიური ამ სანახაობის წინ და მით უფრო ღრმავდებოდა მისი თაყვანისცემა. გაფითრებული იდგა იგი მრისხანე სიმშვენივრის წინ, რომლის თვალთ ერთს მოძრაობასაც თითქო ძალედვა არარად ექცია თვით ბუმბერაზი უძლეველი.

– ახ, ნეტა რა სურათი ეხატება ბატონიშვილს გონების თვალთა წინ, რა სასტიკი ჰაზრი ამოიტივტივა შავ უფსკრულიდან მის ღრმა გონებამ, რა უცნაური კვალი აუჩნდა მის უტეხ ნებისყოფას ურყევლად მიმავალს, – იტყოდა გულში მანგიური.

ვერ მისწვდომოდა მისი გონება ვერცა თუ აჩრდილს ქალის ფიქრისას და იტანჯებოდა გამოუთქმელად. საიდუმლოობის წინ იდგა მიჯნური იმედმიხდილი. მის გონებისათვის მიუწდომელ ხვაშიადის წინ და ესა სტანჯავდა. რას უშველიდა?! ვერაფრით ვერ შეუმსუბუქებდა იგი ქალს მის ღრმა სევდას ბოროტის მოქმედს.

უფრო მკაფიოდ აღებეჭდა შუშანს სახეზედ ეს სასტიკი ფიქრი ქართლის ჯარის გამარჯვებულ დამარცხების შემდეგ. გივმა გაუჟლიტა ბდუჩანს მტაცებელთა ურდოები, ხაზართ კა თითონ ვერარა ავნო; დააყრევინა მთიელთ დავლა-ნაძარცვი, საუკეთესო გოჰარი კი ხელშივე შერჩა მტერს: ტყვედვე ჰყვანდა მას ბატონიშვილნი. ამაოდ დაშვრა ქართლის ერისთავი.

ბდუჩანი კი ვეღარ აქცევდა ეხლა დიდ ყურადღებას იმას, რა გუნებაზედ იყვნენ მისი ტყვეები, თუნდ დიდი დედოფალი ხაზარეთისა; ვერც იზრუნებდა იმაზედ, რასა ფიქრობდნენ იგინი ან რასა გრძნობდნენ: ჯერ სამშვიდობოს არ იყო გასული. ამ მაღალ მთების ღრმა ვიწროებში შესაძლო იყო კიდევ წამოსწეოდნენ მას ქართველთა

მხედარნი, გზები შეეკრათ, ამოეწყვიტნათ; განმეორებულიყო მათზედ, რაც თავს დაატყდათ მთიელთა ბრბოებს. სადღა არიან ლეკთ ურდოები? აღარსად! ისე ჩაირეცხა მათი ხსენება, როგორც რომ ხსოვნა ხევზედ ნადენ ნიაღვარისა. ნამუსრავიღა შერჩა ბდუჩანს მრავალრიცხვოვან მათ ბრბოებისა, გაძრცვილი ნაშთი შეძრწუნებული: ქართველთ დალიეს იგინი, თავს გადაამტვრიეს მათ მათი ხმალი.

მოტყუვდა მაშინ სარდალი გივი! ერთი ნაბიჯით წინ და განსაცდელში ჩავცვივდებოდით. ვაჯობე ჩემის გამორჩევითა. მაგრამ მეორედ? შემდეგ? რა იცი, ბდუჩან, რომ ამ წუთს თავს არ უვლის ქართველი მიმავალ რაზმებს შენის ჯარისა. რა იცი, საიდან რა ბილიკი გადმოდის ან როგორ უხვევს თუ ევლება ამ გაუვალ მთებს საცალფეხო რომელიმე გზა. თუ წინ გადაშლილი მქონდეს ხაზარეთის ვაკე მინდვრები, მტერი ვერ შემაფიქრებდა; მაგრამ აქ, ამ უცნაურად ნაგებ მხარეს საკვირველს... წინ! მხოლოდ სისწრაფე გვიხსნის ჭირისგან. წინ! მხოლოდ გალტოლვა!

და აჩქარებდა იგი ხაზარი თავის რაზმებსა, დასვენების დროს აღარ აძლევდა. მაინც მარდად ვერა ჰნსთქამდა მისი სიჩქარე ძნელი გზის სიგრძეს, მარჯვედ ვერა ჰკეცავდა შორს გაწვდილ შარას. ძნელი სავალები იყო: ქვა-ღორღი, აღმართ-დაღმართი, ფრიალოები დაქანებული, ზე ამაღლებული ციცაბოები, გიჟი მძინარე ქაფად ქცეული. ყოველ ნაბიჯზედ ახალახალი დაბრკოლება ჰხვდებოდა ჯარის წინსვლას; მაგრამ ერთადერთი ხსნა სისწრაფეში იყო და მიილტოდნენ. სრულებით აღარ ინდობდნენ ცხენს, საქონელს, ბარგს; აღარავითარ ყურადღებას აღარ აქცევდნენ ჩამორჩენილს თუ დაავადებულ ხალხს. ეშურებოდნენ, ისწრაფიდნენ, ივლტოდნენ, ვით სხივთ კრთომისგან დევნილი ბნელი.

## 27

კარგადა შვრებოდა ბდუჩანი, რომ მეტად ჩქარობდა: ქართველნი კიდევ ფეხდაფეხ მისდევდნენ მას; მცირედი დაყოვნება, ერთის წამით შეფერხება და აუცილებლად დაიღუპებოდა ხაზართა ჯარი იმ გარდუვალ მთებში, გაუვალ ხნარცვებში, ხევ-ღრანტეებში. იოანე იძროდა მისკენ თავისი ლაშქრით, ხოლო მისგან მოწინავედ გაგზავნილი პაწაწა რაზმი კიდეც დასწევნოდა მტერს და უჩინარის გზით აჰყოლოდა მის სვლას სასწრაფოს. არ უმტყუნა გამოცდილ ხაზარს თვის წინათგრძნობამ: საზვერად გაგზავნილი ხაზართაგანი გადმოიჩეხა კლდეზედ ისრით განგმირული; მოჰყვნენ მას სხვებიც ისრითა თუ შურდულის ქვით დაკოდილნი. ბდუჩანმა ქართველთა თავდასხმის შემდეგ ფეხმარდი მებრძოლნი დაგზავნა, მთებზედ სვლას ნაჩვევნი; ჯარის გასწვრივ უნდა ევლოთ მათ აქეთ-იქით მთის კალთებით, რომ მტერი შეუმჩნევლად არ დასცემოდა მომავალ ხაზართ, ან წინ არ გადასდგომოდა და არ ჩაეხერგა იქ ვიწროები. ამ დამკვლევთაგანნი იყვნენ იგი გადმოჩეხილნი.

– საკვირველია! მებრძოლი არსადა სჩანს, ჩვენი კაცები და დაჭრილ-დახოცილნი ცვივიან ფრიალოებიდან. ქაჯნი თუ აგვდევნებიან ქართველებთან ერთად, ეშმანი თუ თანამბრძოლობენ მათთან ჩვენ წინააღმდეგ, უჩინარი რამ არსებანი ბნელისა, – ჰკვირობდა ბდუჩანი.

გასაკვირველი კი არა იყო რა: ფარსმანი წამოსწეოდა მიმავალ ხაზართ თავისი პატარა რაზმით, მოსისხლედ ასდევნებოდა მათ და ათვალიერებდა მარჯვე ადგილს, რომ ჩაჰხდომოდა ძირს თავხედ მეკობრეს და მათი სისხლი მიმოეთხია სალ კლდეებზედ წმიდა არაგვისა.

ქართლის ერისთავი გივი რომ შეება ხაზართ, ფარსმანი ჯერ არ იყო მასთან მისული; ბრძოლა უკვე დათავებული იყო, როდესაც მოსწვდა ქართველებს ეს ახალგაზრდა ბუმბერაზი. რა გაიგო ამბავი და იწვლილა გარემოებები, მიხვდა სიმართლეს: განმახულმა გრძნობამ უკარნახა მას ჭეშმარიტება.

– სწრაფად? აღარ შეიძლება დაყოვნება: გადიტაცებენ ბატონიშვილებს, გადაევლებიან მთას, დაითავქვევებენ და მერმე შეუძლებელი შეიქმნება მათი შეჩერება. ეხლავ მივდივარ!

– შეიფერხე მცირედ ჟამს, ჭაბუკო, შეაქაქანე დაქანცული ხალხი. იქნება ის ემჯობინებოდეს, რომ ვიყოვნოთ, მოუცადოთ იოანეს ლაშქარს მომავალს: რას გაჰხდები მაგ ერთი მუჭა ხალხით?!

– ვიყოვნოთ?! შეუსვენებლად მიაქანებს მტაცებელი მსხვერპლს თვის ბუნაგისკენ და ყოველი წუთი, თვითეული წამი მოეზიდება ჩვენსკენ სირცხვილს ურეცხელს.

– ცოტა მაინც დაიცა, რომ შევაქუჩო და შევამზადო ჯარის ნაშთები. მარტო შენ ვერ....

– შეამზადეთ, ბატონო, წამოესწრაფენით; მოგვეწევით თქვენც და...

აღარ შეიცადა გატაცებულმა. მყისვე ამხედრდა თავისი რაზმით. ელდასავით სწრაფად ვიდოდნენ ელდის დამცემნი. გივის დაშლილ ლაშქრიდან ზოგიერთ მებრძოლს გული მოსცემოდა ამ შევარდენთა გუნდის ხილვით და გაჰყოლოდნენ მათ ძნელი ბედის გასაზიარებლად. დაჰნანებოდათ თუ, მარტონი გაეშვათ თავდადებულნი ბნელის შვილებთან საბრძოლველადა, შავ კვალს რომ მიათრევდა ეხლა სამშობლოს ნათელ ნიადაგზედ; მხარში თუ უნდოდათ ამოსდგომოდნენ კისკას მეომრებს ამ უსწორო ბრძოლის საწარმოებლად.

ბდუჩანი კი თანდათან აშურებდა თავის ლაშქარს. მათი სწრაფი სვლა ლტოლვად გარდაიქმნა. ვეღარ მისდევდა მათ მძიმე საბარგი, ვერც მუხლად სუსტი თანამავალი. ლაშქრის გავლილი გზა აღნიშნული იყო დატოვებულ ბარგით თუ კაცით. ჩამორჩენილებსაც კი შეეძლოთ ნელ-ნელა წინსვლა: ქართველნი არა სდევნიდნენ მათ, არც მათ მოსპობას ისწრაფოდნენ. მათ მიზანში ამოღებული ჰქონდათ ბდუჩანის უმთავრესი ურდო და ცდილობდნენ გზა გადაეჭრათ მისთვის მოხერხებულ ადგილას, შეეგუბებინათ.

გრძნობდნენ გატაცებული ბატონიშვილები და სხვა ბყრობილნიც, რომ ხაზართ კიდევ რაღაცა საფრთხე დასტრიალებდათ თავს.

– ბატონიშვილო! ისეთი სისწრაფით მიილტვის ბდუჩანი, რომ გზადაგზა სტოვებს ბარგს და დასუსტებულ კაცებს, ვისაც სიარული ვეღარ შეუძლიან, – მოახსენა შუშანს მანგიურმა, როდესაც მოართვა მას წყალით სავსე ჩოღრათო: ხაზართა დედოფალმა გზის პირას შენიშნა გადმომჩქეფარე წყარო და მოთხოვა, ჭაბუკს აევსო სასმისი თავისი ხელით.

– განზრახ ნელ-ნელა მივდიოდი, ფეხი დავაწყე, რომ მეთვალიერებინა გზა და რაც იქა ხდება.

– კარგი გიქმნია! ამ ეტლიდან აღარაფერი სჩანს: ცხენოსანთა ჯგუფი მჭიდროდ გვარტყია მას აქეთ, რაც ჩვენები დაეცნენ ამათ და მოუსპეს ლეკთა ბრბოები, – სთქვა ჯუანშერმა, რომელიც ეხლა შიგადაშიგ ისევ უძლებობდა, სიცხეს აძლევდა: ჰერეთის ჩოლ ჰავას თუ დაემზნია მისი აგებულობა.

– იქნება გვეშველოს რამე; შეიძლება, ჩვენები კიდეც წამოეწივნენ ამათ და იმან ააჩქარა ესენი, – დასძინა სხვამ.

– ეტყობა, ეგრეა: რამდენიმე ამათი მზვერავი მოუკლავთ ჩვენებს, კლდეზედ გადმოუმზღვრევიათ, – სთქვა მანგიურმა.

– ნეტა შეიძლებოდეს, ვინმე ჩვენგანი დაჰხწეოდა ამათ ხელიდან და ნამდვილ ეცნობებინა ჩვენებისათვის ყველაფერი. ვაითუ კიდევ მოტყუვდნენ და ვერ მოაღწიონ ჩვენამდისინ, – წარსთქვა ჯუანშერმა და ზრუნვით მოავლო თვალი გარშემო. შეწითლდა მანგიური ბატონიშვილის ამ ნატვრაზედ. ეხლა ის მთელი თავის მეცნიერებას, მთელ თვის სიკეთეს მისცემდა იმაში, რომ ჰქონოდა გამჭრიახობა, შესძლებოდა მოეხერხებინა გაქცევა! ამბის გატანა და მით გაეადვილებინა ბატონიშვილების ხსნა. თუ გერგილი ჰქონოდა და შნო, კიდეც მოახერხებდა ამას: ხაზარნი დიდებულ ტყვეებთან ერთად მასაც მეტ თავისუფლებას აძლევდნენ; არც ბორკილი ედვა, არცა სტუქსავდნენ, ეტლიდან გამოსვლისა და ფეხით სიარულის ნებასაც აძლევდნენ. ქალმა შუშანმა ამოიკითხა ჭაბუკის გულისთქმა მის დარცხვენილ სახეზედ და ორაზროვანმა ღიმილმა გაუპო მჭიდროდ შეკუმშული ბაგე. მაინც ანუგეშა:

– შენ სხვა მიზნით მოუვლენიხარ განგებას, სულ სხვა საქმე გევალება შენ!

– მაგის საქმე წიგნი და კალამია; მაგრამ საქართველოს მარჯვე დრო არ უდგა ეხლა მაგისთანა მყუდრო მოღვაწეობისათვის, – დასძინა სხვამ.

– მართალს ამბობ! ეხლა, ამ წუთს, ჩვენთვის საჭირო არის ჭაბუკი ომში წრთობილი, ძნელ გაჭირვებას ნაჩვევ-გამოვლილი, ხმლით ხელში განსაცდელის მაძიებელი, – ჩამოართვა სიტყვა მეორემ.

უიმედობა აღებეჭდა სახეზე ჯუანშერს.

– ეგეთი კი აღარავინ სჩანს ჩვენს გაჭირვების ჟამს: თუ დაელივნენ საქართველოს უშიში შვილნი შემმართებელნი, – ამოიოხრა ბატონიშვილმა.

ძმის ამ სიტყვებზედ მკვეთრად გაეღიმა შუშან მშვენიერს და მისმა თვალებმა საიდუმლო გამომეტყველება მიიღეს, მელნის მორევში მბრუნავი რამ ცეცხლის რკლები დაჩნდენ; თვალთა ისარნი მიიმართნენ სხვისკენ, შორეულ არსებისაკენ, რომელი მოვლინებულ იყო ხმლით ასაჭრელად ესეთის მძიმე მდგომარეობისა. შუშანი ვერ ეთანხმებოდა ჯუანშერს: კიდევ იყვნენ ქართველთ შორის შემმართებელნი. ქალწულს გონების თვალთ წინ წარმოუდგა ფარსმან რაინდი, მტრის რისხვის მცემი, რომლისათვის სიცოცხლე თითქო ჩალადა ჰღირდა, რომელი შიგ შუაგულ ბრძოლაში თურმე პირზედ ღიმილით გადეშვებოდა.

– როგორი თავხედური გაბედულობით გამოეტაცნა მაშინ საბრალო მამას გვამი მოსისხელთა ბუნაგიდან! ჩემს ბეჭედს თურმე ატარებს მკერდზედ, ბეგთარზედ უმაგრია, სად პოლეტიკნი კინენი ასხედსო წვრილთვალს. ეხლა მხოლოდ ის შესწირავდა თავს ჩვენს ძნელ ყოფასა, სულ გასწირავდა მთლად უანგაროდ: იცის ჭაბუკმა მისთვის არა ვარ წარმოშობილი ამქვეყნად, მაინც სიხარულად მიიჩნევდა, სიკვდილსაც ჩემთვის. არ მახლავს იგი!..

– იქნებ გაიგო! თუ გულმა უგრძნო...

მართალს ამბობდა შუშანი: ფარსმანისთვის არ იყო იგი ჯერ გაჩენილი. სასტიკ ბედს ესე დაეწერნა მისთვის: შეჰხვდები მზე ქალს, ეტრფიალები მას უნუგეშოდ; ამქვეყნად თვალი ვეღარ მოაშორო, მასზედ მიმსჭვალული თვალი შენი; მხოლოდ ერთს წამს მიეახლო სურვილ მიუწთომელი; იქნება მიჰხვდე ოდესმე, შემდეგ, დაუსრულებელ დროთა დენაში!

– იმქვეყნად, ბედო ჩემო ულმობელო?! ოდესმე, ულეველ საუკუნოთა სვლაში. სასტიკო მცოდნევ თვალუწვდენელის მომვლისა?

სდუმდა ბედი სახე უძრავი; შეუცნობელი მეტყველებით შეჰმზეროდა იგი ტყვექმნილ ჭაბუკსა; მაინც ვერა ჰბზარავდა ფარსმანის უტეხ გულს მისი უსიტყვო მეტყველება სასტიკი: შეუდრკომლად მიდიოდა იგი წინ არჩეული კვალით. შუშანის თვალებს მიექციათ თავისკენ მისი სული, იმ უძირო თვალთაგან გადმომდინარე ცეცხლის რამ ნაკადს. შეიძლებოდა, სხვისა შექმნილიყო შუშანი, მაგრამ ის თვალთა სხივი, ჭაბუკის შემჯაჭველი, მაინც უწყვეტად დარჩებოდა ჭაბუკისათვის; შეიძლებოდა დროთა მსვლელობას ჩაეჭკნო შუშანი, როგორც აჭკნობს იგი უამრავ ქმნილებას ბუნების წიაღიდან წარმოშობილს, ის თვალთა ნაკვესი მომჯადოებელი მაინც უცვლელი დარჩებოდა რაინდისათვის; შეიძლებოდა მთლადაც მოესპო გულცივ ბუნებას თვისგანვე წარმოშობილი მკვეთრი მშვენება, მის თვალთაგან გამოწვდილი ელვის მახვილი მაინც გულში დარჩებოდა სვებნელ ბუმბერაზს მაინც ბედნიერს: საიდუმლოობით მოცული ხატება ქალისა მარად ცოცხალი იქნებოდა მისთვის, ხორცსხმული, მიმზიდველი, სევდიანი სიამის მიმნიჭებელი. ადვილად შესაძლო იყო მოსპობილიყო თითონ ფარსმანი, თვალებში უმზერდა იგი სიკვდილს დამცინავი ღიმილით, გარნა სიკვდილიც ვერ მოსპობდა მის გულში ასახულ ტურფა ხატებას მის შუშანისა: იგი სახე გაჰყვებოდა მის სულს, განუყრელად თანა ჰყვებოდა დროთა ულეველ ბრუნვაში, როგორც ციაგი შორეული უკუნ წყვდიადში.

მიდიოდა აწ ფარსმან ხსნად შუშანისა, მიისწრაფოდა: ჯიხვივით ხლტებოდა კლდიდან კლდეზედა; მიფრინავდა ვით შევარდენი, რომ მისწევნოდა, წინ ესწრო მილტოლვილ მტრისთვის.

## 28

აუსრულდა ფარსმანს სურვილი: ჯერ ისევ პირაქათ იყო მტერი, გუდამაყრის გასწვრივ, როდესაც მისწვდა იგი მას. ერთხანს იარა მტერის გზის გასწვრივ; მერმე გადუჭრა მას სავალი. იმ ხევიდან, რომელიც ჩასდევდა მთას და სჭრიდა გზას მცირე ნაკადით. მარცხენა მხრიდან ჩამოდიოდა ეს ღელე. ვიწრო ხევი გვირაბივით მისდგომოდა გზას. გზის მარჯვნივ აყუდებულიყო სალი კლდე!

– შევსდგეთ! აქ, ან სხვაგან ვერსად!

მარჯვე ადგილია; ვერსად წაგვივა მტერი, ვერც ძლიერ გაიშლება. თუ მივატანეთ ბატონიშვილების ეტლამდინ, მათი გამოტაცება ადვილი იქნება. ამ ხევს შემოვაფარებთ და...

– თუ მოვაღწიეთ ხევის პირამდინ, ველარ შესძლებენ ჩვენს გამკლავებას: ნამდვილი გვირაბია ეს წყალისაგან გაჭრილი ხევი. ისე გაუმაგრდებით, როგორც ციხის კარებში.

– გზა მაინც ფართო არის აქ, კარგა მანძილი სჩანს იქით კლდემდინ; თუ თავს მოეგო მტერი, გარს შემოგვეხვევა, სალტად შემოგვწვდება! ცოტანი ვართ.

– ცოტანი ვართ და კარგნი! იცოდეთ: მხოლოდ ამ ხევისაკენ უნდა ვიწევდეთ ყველანი, აქათ ვესწრაფოდეთ; თუმცა გარს შემოგვეხვივნენ, შევსძლებთ აქათ გამოვარღვიოთ რკალი.

– შევსძლებთ! მაინც სიფრთხილეს თავი არა სტკივა: ხევის პირში ჩავასაფროთ რამდენიმე კაცი, რომ მოგვეშველნენ დაბრუნებისას.

– კარგი იქნება! თუმცა მენანება მებრძოლთ უქმად დაყენება: ერთი მოქმედი ხმალი ოცად გვიღირს ეხლა.

სულ ათიოდე ჭაბუკი ჩააყენეს ხევის გამოსავალში. დაავალეს, მტერი არამც და არამც არ გამოეშვათ იმ ვიწროებში და თვალხმიერად ყოფილიყვნენ, რომ მარჯვე

დროს მიჰშველებოდნენ უკან დაბრუნებულებს. გაეადვილებინათ იმათთვის გვირაბში შეხწევნა.

ბდუჩანის ტყვეებს კი იმედი ელეოდათ, მოთმინება ეკარგებოდათ.

– როგორა გგონია, ბატონიშვილო, ის ჯარი. გზაზედ რომ ლეკთა ურდოები მოსპო, უმთავრესი ლაშქარი იქნებოდა ჩვენი? ნუთუ მეფე მეთაურობდა მათ?

– არა მგონია! მაშინ ჩვენები მეტნი იქნებოდნენ, აღარ მიანებებდნენ ამათაც თავს, დაედევნებოდნენ. შემთხვევით რამ ჯარი თუ იყო, რომელსაც შეეხეჩა მტერი, – სთქვა ჯუანშერმა.

– არა, ბატონიშვილო, მეფე არ ყოფილა იქ, ქართლის ერისთავი გივი იყოვო; ჩვენ საკმაოდ დაუხოცეთო, – იკვეხოდნენ გამოქცეულნი.

– მაშ, კიდევ არის იოანეს იმედი. მაგრამ კარგა დრო მოუნდება, მინამ გადმოვა დასავლეთიდან; გზა კი ილევა.

გზა დაილია! ეხლა თუ არ შეტბორდა ამ მტაცებელთა გუნდები, ამ ვიწროებში თუ არ დაჰხვდათ ამათ დაბრკოლება, მერმე ძალიან ძნელი იქნება: საცაა ავალთ მთაზედ და დავეშვებით.

სდუმდა ბატონიშვილი შუშანი. დაჟინებით გასცქეროდა სივრცეს. მზე იწვერებოდა. კლდეთ ფერდობებზედ სრეებად დაჩენილიყო ჩაწვდილი ხევები: დაბლა დაწეული მზის სხივი ჯურღმულებს ვეღარ სწვდებოდა, იქ უკვე გაშლილიყო ხშირ-ბინდი, ზევით კი ისევა კრთოდა მნათობის სხივი; ამის გამო იყო, რომ ხევები მუქად დაშვებულიყვნენ ჯერ ისევ განათებულ მთათა კალთებზედ. მთების მწვერვალები მკაფიოდ იყო თეთრ არშიად ჩავლებული ლაჟვარდ სივრცეში.

შუშანის თვალნი იქით იყო მიქცეულნი, ბუნების უძრავ შვილთაკენ დიდებულთა; გარნა თვალთა იერი ცხადად იტყოდა, რომ ქალი ვერა ჰხედავდა ბუნების სახეს: შიგნითვე მიქცეულიყვნენ მის ხედვათა ისარნი; მის თვალთა ფსკერებზედ აღგზნებული ცეცხლი მცხინვარე ნაკვერცხლად აშუქებდა მელნის მორევებს გიშრის ტევრებით გარმოდებულებს. სმენაც გაემახვა ქალს, მახვილად ეჭირა ყური, ყურჭ დალალებიდან გამომზირალი პატარა ყური. რაღაც ესმოდა მას, რაღასაც ხედავდა. მისი განმახული გრძნობა თუ ამჩნევდა იმ რხევას დედამიწისას, რომელი სხვისთვის არ არსებობდა; თუ ესმოდა მას ჰაერში იგი ბგერანი, რომელნი შეუმჩნეველ იყვნენ ყველა სხვისათვის; ჰხედავდა თუ იგი იმ აჩრდილებს, რომელსაც სხვანი სულ ვერ ამჩნევდნენ.

– მოდიან, ჯუანშერ; მხსნელნი მოდიან, მოისწრაფიან.

– შენ გეჩვენება. აბა ვინ მოდის?! ესენი მიისწრაფიან, ჩვენი მშველელნი არსადა სჩანან, სირცხვილს გვაჭმევენ ეს უსჯულონი. დაუსჯელად გადავლა შუა საქართველოზედ?! ბატონიშვილთ გატაცება ესე ადვილად?!

– უთუოდ მოვლენ ჩვენ სახსნელადა! გაიგებდნენ ბუმბერაზნი უბედურებას, წამოვიდოდნენ – სთქვა მანგიურმა.

– კარგი თუ დროზედ მიუტანეს ამბავი ჩემს ძმას.

მზირად იდგა ფარსმან ჭაბუკი. სულგანაბულნი ელოდნენ მავალ მტარვალებს შევარდენნი ჭვანგებ ლესილნი. მოისმა ჩქამი. გამოჩნდნენ მოწინავენი. ჭაბუკნი არ დაიძრნენ ადგილებიდან. გაუშვეს წინ პირველი წყობა. გამოსცდა კლდის ქიმს მთავარი ჯგუფი. შენივთებულნი მოდიოდნენ; შუაზედ ცხენები და ეტლები სჩანდნენ მომწყვდეულნი. იქ უნდა ყოფილიყვნენ დატყვევებულნი ბატონიშვილები.

დადგა მუხლზედ ფარსმანი, გადიწერა პირჯვარი, ემთხვია ნიადაგს, შეავედრა თავისი თავი მშობელ მიწის ხატს. ყველამ ახსენა ღმერთი. დაიძრნენ. გაისმა ყიჟინა; დაფრინდნენ მიმავლებისკენ სხარტი ისრები; ამოციქულდნენ ხელშუბები

წვერგამახულნი; აზუზუნდა შურდულის გულა, იელვეს ხმლებმა: გადაუხტა მტერის ურდოებს ქართველთა ჯგუფი.

მარჯვედ დახვდა თავდადებულებს სარდალი ბდუჩან: მზადა ყოფილიყო. მოაშურა ბევრეულმა იმ ადგილას, სად ასტყდა ბრძოლა. მედგრად ჰკაფავდნენ ქართველები გზას ეტლებისკენ. მიაღწიეს სასურველ ადგილს. ერთი გაბრძოლებაც, ერთი ნაბიჯიც! წამიც და ხელთ ეყოლებათ ბატონიშვილნი. ძნელი აღარ იქნება გზის გამოკაფვა გვირაბისაკენ: იქვე ახლოა საფარი ხევი.

– მომყევით! ერთი ნაბიჯიც!

– ჩვენია გამარჯვება!

– ფრთხილად, ფარსმან!

– ჰარიქათ!

– დაგვიჭრეს ფარსმან!

წინ, იქვე ეტლებთან, შეჯგუფდა ხალხი. ქანაობდა მებრძოლთა ტალღა. წამოვიდა ზვირთი ხევისკენ, შევლო გვირაბი. მოსწყდა ზახილი. შეჩუმდა იარაღის ჟღერა. დაბორიალდა მტერი ბრძოლის ადგილას, დატრიალდა მბრუნავ მორევად. რასმე ღრეობდნენ. გასცდნენ ადგილსა განსაცდელისას. გრძლადვე წავიდნენ გრაგნილ შარაზედ.

ნაბრძოლ ადგილას შავი რამ ზოლები დააჩნდა ქვიშრობს. მებრძოლთ სისხლი თუ იყო უხვად ნანთქრევი. გმინვა გაისმა, კვნესა საზარი; დაჭრილნი თუ ეყარნენ უპატრონოდ ხრიოკ მიწაზედ. ადგილ-ადგილ მუქი რამ გუბე ლაპლაპებდა მთვარის შუქზედა; ტბორად დამდგარი თუ იყო სისხლი ბეჩავ მებრძოლთა. ქართველთ წმიდა სისხლი თუ შეჰრეოდა უწმინდურ სისხლსა იმათ მტრებისას. ზვინზვინად იდგა მკვდართა გროვები; მტერთა ლეშნი თუ გადასჭდობოდნენ მებრძოლ ქართველთა სპეტაკ გვამებსა...

– ნუ გეფიქრებათ, დედის გაზრდილნო: თქვენი ხმლის ელვარება ბნელეთშიც განგინათებსთ წყვდიად სავალსა; მსახურნიც ბევრნი მიგყვებიან თან, თქვენნი მონანი: თითომ ათ-ათი წაიმძღვარეთ წინ შავეთისკენ.

– ფარსმანი დასჭრეს!

ამ ხმამ ლახვარივით გაიარა ქალის გულში. მსწრაფლ შესწყდა ომი. გაიბრძოლა შუშანმა დაჭრილებისკენ. არ უშვებდა ბდუჩანი, ეღობებოდა, მაგრამ ქალმა ისეთის სიმკაცრით უბრძანა, რომ შეკრთა გამოცდილი ვაჟკაცი, გზა მისცა. გულგაპობილ გოლიათს ვისმე დაჰკვდომოდა ფარსმან ჭაბუკი. მაგრამ არა! ისევ ცოცხალი სჩანდა.

– წყალი! – ბრძანა დედოფალმა.

მოართვეს. ასხურა. ჩასძახა. თვალნი გააღო მომაკვდავმა.

– მაინც სიცოცხლე შემომწირე, გაუტეხელო!

– ვერ დაგიხსენი, მაგრამ...

ვეღარ განაგრძო: ამოჩუხჩუხებულმა სისხლმა შეაწყვეტინა სიტყვა. სისხლი მოსწმინდა შუშან-ქალმა ხელმანდილითა. კვლავ გახსნა თვალნი სულთმობრძავმა, დააშტერდა ქალს; მის მზერაში შეუჩერდა მას თვალთა ხედვა, შეეყინა ნორჩი სიცოცხლე. ფარსმანის თვალთ უკანასკნელ სურათად თუ შერჩა შუშანის სახე. დაუხუჭა ქალმა თვალები. ცრემლად დააფრქვია მარგალიტები.

– უნდა დაიმარხოს! ისე არ ეგების წასვლა ჩემი.

ბდუჩანი შეყოყმანდა: ვერ ეწინააღმდეგა დედოფლის ბრძანებას: ფრთხილობდა, ეშინოდა გაემწარებინა ქალი. მსწრაფლ გაუთხარეს სამარე, გზის პირას დაფლეს ფარსმან-რაინდი. უთლელი ლოდი მიაგორეს უზარმაზარი.

ამ ამბის შემდეგ უფრო შეკუმშა ბდუჩანმა ჯარი და ააჩქარა. გადევლო მთას, დაეშვა თერგის ხეობით. ისწრაფოდა: თუ ერთხელ კიდევ წამოსწეოდნენ მას ქართველები, ვეღარ შესძლებდა მათთან ბრძოლასა; დაატოვებინებდნენ ძვირფას დავლას, გაანთავისუფლებდნენ ბატონიშვილებს.

საკმაო ლაშქარი დაკარგა ბდუჩანმა საქართველოზედ გადავლით; დავლა დიდი იშოვა, მაგრამ გზაზედვე დააბნია იგი: გაფანტული ზინეთი. ჩამომრჩალი საქონელი, გაქცეული ტყვე. დაჭრილ-დახოცილი ჯარისკაცები... თუ იმ განძსაც წაართმევდნენ მას, რომლისთვისაც გამოგზავნა დიდმა მეფემ ის, რა პირითღა წარსდგებოდა მის ბრწყინვალე თვალთა წინაშე?!

– ჭეშმარიტად, რომ ღრმად მოფიქრებულ ჩემდამი მტრობას შთაუგონებია ვეზირისათვის მთელი ეს საქმე. შორიდან უფრო ადვილი მოსჩანდა ამ დავალების ასრულება: ბატონიშვილ შუშანზედ შეკრებილი იყო ყველა ცნობები, ხოლო მოულოდნელად დაცემა, ციხის გატეხა და იმავე გზით მსწრაფლ დაბრუნება არც თუ ისე სახიფათოდ მოსჩანდა, მით უფრო, რომ ჩემს ხელთ იყო საუკეთესო ჯარი, ხოლო ქართველნი იმ მხრით თავდასხმას არ მოელოდნენ. ლეკნი იძულებულნი იყვნენ უსათუოდ დამხმარებოდნენ: სათხოვარი ჰქონდათ ჩვენთან დიდი და მათი ამანათებიც ხელთა გვყავდა ჩვენ. ესე მოსჩანდა შორიდან. ახლო სხვა გამოდგა: იმავე გზით დაბრუნება შეუძლებელი შეიქმნა, ხოლო ეს სხვა გზა განსაცდელთაგან სავსებით სავსე, – ფიქრობდა ხაზართ სარდალი.

იცოდა ბდუჩანმა, რომ ეხლა უმთავრეს განსაცდელთ უკვე ასცდა ის, თითქმის გავიდა უვნებლად ფონს; გარნა ისიც კარგად ახსოვდა, რომ მაინც დიდი სიფრთხილე ჰმართებდა: საშიში იყო, ესე დიდებულად მისგან მოგვარებული საქმე რამე შემთხვევით არ შერყეულიყო, არ ჩაშლილიყო ნაღვაწ-ნაშრომი. ამისთვის იყო, რომ ბდუჩანმა სრულებით არ შეამცირა ზრუნვა თუ სიფრთხილე. განსაცვიფრებელი შეიქმნა მისი მხნეობა, მისი სიფხიზლე, სანამ გასცდებოდნენ დარიალის ბჭეს და მთლად გააბიჯებდნენ საქართველოს საზღვრებიდან.

აწ თანდათან ფართოდ იშლებოდა ბდუჩანის წინ უსამზღვრო სივრცე ჩრდილოეთის ტაშირისა, დიდის ხაზარის სამფლობელოი; თანდათან ნათდებოდა ხაზართა სახელი, ბრწყინდებოდა შარავანდედი მძლეთამძლე მეფის. აღარ ჩქარობდა მთავარსარდალი: საშიში სრულებით აღარა მოელოდდარა მის ნაღვაწს. გზადაგზა მას ეგებებოდნენ ხაზართ მორჩილი ერნი: პურ-მარილს მიართმევდნენ, ქებას შესძღვნიდნენ.

შესცვალა ბდუჩანმა სახეც თვისი ქცევისა. ის ეხლა მხოლოდ სარდალი კი აღარ იყო შეუდრკომლად მიქცეული თავის მიზნისადმი, ის ეხლა დიდებული კარისკაცი იყო უძლეველის ხაკანისა, პირველი უპირველეს ჩინებულთაგან, რომელს სასწაულებრივ დაეძლია საარაკო რამ განსაცდელნი. და აწ გამარჯვებულს მოჰყვანდა ხაზარეთს სამხრეთიდან გამოყვანილი მზეთუნახავი, ერთადერთი ფასდაუდებელი ქალი მთელ დუნიაზედ ღირსი მეფისა. მოჰყვანდა მას შორის ქვეყნიდან შუშან-ამაყი, რომელს უნდა ებრწყინა მთელ ხაზარეთში, ვით რამ მნათობს დაუჩრდილავ-შეუბინდებელს.

– თაყვანისცემა ხაზართ დედოფალს უმშვენიერესს!

– პატივისცემა დიდის დედოფლის გამომყვანელს ბდუჩან ბედნიერს!

ხაზართა ლაშქარიც ეხლა აღარ იყო მხოლოდ მებრძოლთა სიმრავლე, იგი იყო თან საპატიო ხალხი, რომელთ თანაჰყვებოდა გულის ვარდს ბრწყინვალე კეისრისას,

მის ახალ სულს შვენებით მოელვარეს. მას, ხაზართა ლაშქარს, გარდაეხადნა. საარაკო რამ ბრძოლები, ესახელებინა ხაზართა სახელი შორეულ ქვეყნებში და აწ მიაცილებდა კეისართ კეისართან მის უდიდეს წადილს გულისას. ომგარდახდილს, ბრწყინვალედ გამარჯვებულს შეჰშვენოდა დიდი პატივი, მოღიმარე შეგებება, აღტაცებული.

– გზა ფართო ხაზართა ლაშქარს, მტერთ რისხვის დამცემს!

– მასპინძლობა ხაზართ რაინდებს უხვი, გულსავსე!

– ყვავილთა ფენა მათ სავალზედა და სიხარული!

გულღია იყო ბდუჩან სპასპეტი, თავის თავს უღიმოდა მთლად კმაყოფილი.

– კეთილად განვვლე განსაცდელი მრავალ გვარი. გამოვიყვანე მზეთუნახავი. იმას უდრის ეს, ლომთ ბუნაგს შევლო მარტოდ მარტომა და გამოსტაცო იმათ ბოკვერი... რასღა იტყვი აწ, ვეზირო ბადუ? შენგან დარწყულმა მახემ ცამდინ აღმამაღლა, გარნა ადვილად შესაძლო იყო ქვესკნელ ჩავეთხივე მას. მეგობარი ხარ აწ ჩემი საუკეთესო და გარდაგიხდი მეგობრულადა, სიკეთისათვის სიკეთეს გიზღვნი: დავასახელებ ჩვენ მეუფესთან შენს განსაცდელად იმ ამოცანას, ან გაგანათოს მთელ ხაზარეთში, ზე აგამაღლოს უმეტესადა, ან მიწად  დასცეს შენი ხსენება! – იტყოდა გულში ბდუჩან.

და დაფიქრებულიყო იმაზედ, როგორ მოერთო და დაეფერნა იგი ამოცანა ისეთი ძნელი: დაიღუპებოდა მის გზაზედ ვეზირი ბადუ, თუ ვერ შესძლებდა მის შესრულებას რამე თილისმით; და თუ შესძლებდა, უფრორე ამაღლდებოდა მაშინ, თვით ბდუჩანს დაედარებოდა, ვით რომ ვარსკვლავი სხვა მნათობს ცისას.

დიდებული ხაკანი და მთელი მისი საბრძანებელი მალე გაიგებდნენ საზეიმო ამბავს ამ დიდის გამარჯვებისას: რაკი შემოდგა ბდუჩანმა ფეხი ხაზარეთის საბრძანებელში, მაშინვე აფრინა მახარობელი თვის ხელმწიფესთან. ესე შესთვალა:

– მომყავს ქალი-მზე! შენი ბედი ბედნიერი უსწორო თილისმად გამყვა თან და მატარა გამარჯვებული თვით საშინელებათა შორის, საკვირველ გზაზედ განსაცდელებით მთლად მოფენილზედ; მომყავს დიდებული დედოფალი ხაზარეთისა!

ჯერ ნაადრევები ხომ არ იყო ბდუჩანის მხრივ ზეიმი გამარჯვებისა? შეეძლოთ პირყვითელ დევებს თვალცეცხლიანებს შეებყროთ მზეთუნახავი პირმანგი; მისი საბოლოოდ დამონება და დამდაბლება მაინც შეუძლებელი იქმნებოდა მათთვის. ნათელის შვილს აღარ ახლდნენ თან უცვლელ კეთილისაგან წარმოშობილნი ბუმბერაზნი კეთილთა მქმედნი, მაგრამ თავისი თავი ჯერ თან ახლდა მას და ხელთ ჰქონდა იგი ძალა, რომლის წინ უძლური იყვნენ შვილნი ბნელისა; მას შეეძლო დახსნილიყო ხორცთა სირადან, შეერთებოდა ნათელს შემოქმედს, ვით მისივ სხივი ქვეყნად რებული.

ბნელის შვილნი მარად ძრწიან ამ შესაძლებლობის წინ; მათ იმქვეყნად ბოროტი დასაბამი მიელის ჩაბნელებულიყო; ნათელის შვილნი ღიმილით გადაჰკვეთენ ხორცთა საკვრელებს, ვერ კი დეემორჩილებიან ბნელსა ბოროტსა: მათ იმქვეყნად კეთილი დასაბამი მიელისთ პირშუქებული.

ვერ შეეთვისებოდა შუშანი ხაკანს! რა იყო საერთო ბნელისა და ნათელის შუა, ბოროტისა და კეთილის შუა მარად მნათისა?! არაფერი, სრულებით არაფერი!

ეს არ იცოდა ბდუჩან განლაღებულმა და ზეიმობდა სრულ გამარჯვებას. ვერ იცნობდა ბნელის ნაშობი ქართველთ ნათელ სულს ჭირშიაც უტეხს!

ფარსმანის სიკვდილის შემდეგ მთლად შეიცვალა შუშანის ბუნება: აქამდისინ რომ ყველაფერს ფხიზლად ადევნებდა იგი თვალს და ცდილობდა, მხნეობას არ ემტყუნა მისთვის, აქამდინ რომ სხვებსაც ამხნევებდა და თავის მაგალითით თუ სიტყვით იმედს უნერგავდა ტყვედ ჩავარდნილებს, ეხლა აღარ ეტყოდა მათ სანუგეშებელს, ეხლა სდუმდა იგი მარად დაფიქრებული. სხვა რამ საგანს მიეპყრო მთელი მისი ყურადღება. იმ საიდუმლო საგანს ევლებოდა ეხლა თავს მისი ჰაზრები; იმის განცდასა ცდილობდა აწ გრძნობათა მისი შესაკრებელი; მისი ნებისყოფა ჯერ თითქო ისევ ირყეოდა, მკვეთრად ვერ დასდგომოდა იმ ახალ სავალს ძნელს, გარნა უცნაურად მიმზიდველს.

ქალის გონების თვალი რომ დაჟინებით მიჰპყრობოდა იმ ახალ საგონებელს ჯერ ისევ შორეულს და თან მის წინ მყოფს, ხელით მისაწდომს, მისი ნივთიერი თვალნიც შიგნით შებრუნებულიყვნენ და უმზერდნენ იმ მომავალს, ჯერ ისევ ბურუსში მყოფს, უძლიერესი ძალით მიმზიდველს. თითქო ვეღარა ჰხედავდა ქალი შუშანი ვეღარაფერს, რაც მის გარემო ხდებოდა წამდინარე ყოფის ჩვეულებრივ დენაში: თითქო ვეღარ ამჩნევდა იმ სახეთა სიმრავლეს, რომელიც ახალი იყო მისის თვალისათვის, ჯერ უნახავი; ვეღარ ისმენდა იმ უცნაურ ხმათა სიმრავლეს, რომელნი მიმოფრინავდნენ მის გარშემო, მის ყურისთვის უჩვევ ბგერათა მრავალგვარობას. თუ გამოფხიზლდებოდა ქალი, გამოირკვეოდა ბურანიდან და მოეგებოდა გონებას, თუ მოიცლიდა იმ საიდუმლო საგნის ჭვრეტისაგან, ისიც მხოლოდ იმისთვის, რომ შეეყენებინა სევდისაგან ჩაბნელებული თვალები თვის ძმა ჯუანშერზედ, რომელიც იტანჯებოდა ტყვეობაში და მით უფრო სასტიკად, რადგან თავის თავსა სთვლიდა უბედურების მთავარ მიზეზად, თავის უსარისტობას; ან მანგიურზედ, ბუნებისაგან მის უანგარო მონად გაჩენილ ახალგაზრდაზედ, რომელიც უსიტყვოდ ეთაყვანებოდა მას, ვით განსახებას მნათობ ხატისას. ათასში ერთხელ გამოარკვევდა ქალს შეუცნობელ ყოფიდან ბდუჩანის აწ თავგასული ქცევა, რომ სამზღვარი დაედვა გალაღებულის მძლავრობისათვის და დაეფარა მისგან მის ხელქვეითნი. ბატონიშვილის ესეთმა ბნელმა ცვალებამ დიდ საგონებელში ჩააგდო მისი მახლობელნი.

– დაო შუშან! მძიმე ფიქრს მისცემიხარ შენთვისაც ურკვეველს, შავ გრძნობას მოუცავს შენი გული უშუქოდ ჩაბნელებული; ბოროტ რასმე გიკარნახებს ნებისყოფა შენი ავად მღელვარე.

– მაქვს საფიქრებელი და... სადარდელი, თქვენც ჰხედავთ საგანს ძნელ საფიქრებელს: მძიმე ხვედრი გვარგუნა სასტიკ განგებამ.

– აქამდინაც მაგ ბედის ხელში ვიყავით ჩაბნელებულში; გარნა დედოფალო ხაზარეთისა, ეხლადა გხედავ შენ ეგზომ ჩაფიქრებულ ყოფაში.

– აქამდისინ... ჯერ საქართველოში ვიყავით აქამდისინ, ისევ თავს დაგვნათოდა იმედთა სხივი; მთლად არ გავეწირნეთ საქართველოს ხატს, მის მფარველ ძალას ჯერ არ მოეშორებინა ჩვენთვის თვისი ფრთა. დედოფალი ხაზარეთისა... მხოლოდ დედოფალს ძალედვა ოდნავ მაინც შეეზღუდნა ბოროტის ძალა.

– ნუ ინაღვლი, გენაცვალე! ადამიანის ბედი ზეცას იჭედება. ხანდახან საბედნიეროდაც მიიმართება წუთიერი უბედობა, ხანდაუზმელი.

– ადამიანს მაინც შერჩენია ძალა შეებრძოლოს თვით ულმობელ ბედს შეუმართებელს და შეარყიოს იგი, კიდეცა სძლიოს.

– ებრძოლოს იგი უცვლელ განგებას, ბედი ამარცხოს?! ვერ მესმის ეგ თქმა.

ვერ ესმოდა ქალის სიტყვა ჯუანშერს; ვერ მისწვდებოდა იმის სიღრმესა. ქალს იმედები და ოცნებები კავკასიონის იქით დარჩა; მთების აქათ უსასოების წყვდიადმა ჩაიხვია მისი გული და იგი უკუნი თანდათან ძლიერდებოდა, შეუმართებელ-განუჭვრეტელი ხდებოდა. ქალის არსება კი არ ემორჩილებოდა თავის ულმობელ ბედს: მას არ შეეძლო თავის ნებით შესულიყო ბნელეთის სამფლობელოში. თავისი სურვილით ჩაჰხვეოდა ბოროტის შვილს, თუნდაც იმისთვის მიებყრათ მისთვის ყოველი დიდება ქვეყნიური, მთელი სიმდიდრე თვალთა მომჭრელი. ხაზარეთი ბნელეთი იყო მისთვის ყოველგვარ საიმედო სხივს მოკლებული, ხოლო დიდი ხაკანი ხაზარეთისა ის უზარმაზარი გველეშაპი, რომელთანაც მიჰყავდათ იგი, მსხვერპლი განწირული. გველი იგი გვირგვინოსანი ჩაეხვეოდა მას იქ მთელის თვისის გესლიანი ტანით საზიზღით, ჩაანათებდა ბინძური გრძნობით აღგზნებულ თვალებს, დაეწაფებოდა მას შხამით სავსე თვისის ბაგითა და... წვეთწვეთად გამოსწოვდა მას ლამაზ სიცოცხლეს, თანისთანობით ჩააქრობდა მის არსებაში აღგზნებულ ლამპარს ნათელის არსებობისა...

– არა, ვერ შევეთვისები უსჯულო ხაკანს ძალით ჩახვევნილს! მისი ღიმილი – გველის სიამე; მისი მკლავები – გველის ხლართები; მისი კოცნა – გველის ბაგენი. არ შეიძლების!.. უჰ, ისევ ბნელა... როდის ინათებს?!

– ძმაო, ჯუანშერ! ვგონებ, რომ გძინავს.

– ჰო, გამომეღვიძა... მოახლოვებულა კიდეც აისი: აღმოსავლეთისკენ მკრთალი ზოლებით დასერილა ბნელი უკუნი. არ დაგიძინია ჯერ? თუ შენც ეხლა გამოგეღვიძა?

– არა მძინებია. ვიტანჯები. სწუხს სული ჩემი შემძიმებული. განსაცდელისაკენ მიმაქანებს ყოველი წუთი...

– ვხედავ და ვღონობ. მაგრამ ეცადე, დარიე ხელი შენს გულს მღელვარეს: არა გაქვს არავითარი სხვა გზა.

– არის კიდევ გზა, ძნელი სავალი; იმაზედ ვფიქრობ, იმ ჩემს საფიქრზე.

– და რა სავალია იგი მხოლოდ შენი გზა?!

– მარტოოდენ ჩემი! შენ სხვა გიძს ვალი: უნდა დაიცვა შენ შენი თავი, თვალხმიერად იყო, ათვალიერო შენი მტერი, დღეს შენი მოყვარე, რომ შემდეგში, როცა დიდებით დაბრუნდები ხაზარეთიდან საყვარელს ჩვენს ქვეყანაში, სავსებით გამოიყენო შენი ცოდნა დაკვირვება.

– ჩემი მტერი, ჩემივ მოყვარე!

– შენი მოყვარე კეთილის მყოფი. განვსჭვრეტ მომავალს წყვდიადით მოსილს: დიდი ხაკანი დიდებით მოგიღებს შენ, ზეამაღლებულად დაგსვავს თვის გვერდით; დაგაბრუნებს სამშობლოშივე ძალით ძლიერით, რომ მტკიცე ხელით ეპატრონო შენს ქვეყანასა.

– ჭეშმარიტს იტყვი: დიდი ხაკანი მფარველი შეიქმნება ჩემი და შემითვისებს, რადგან შენ იქმნები საყვარელი მისი მეუღლე, სრული მფლობელი მისის სულისა.

– თვით მეუფე მეფეთ მეფისა! გარნა არა მე, არჩრდილი ჩემი, მხოლოდ ლანდი ქალის შუშანის თუ მოჩვენება.

– ვერ მესმის სიტყვა, ვერ შემიგნია ძალა შენის თქმისა; ვერც სევდა შენი გამიჭვრეტია...

– შენ რას იტყვი, მანგიურო ჩემო? მიუხვდი შუშანს?

მანგიური შეჰყურებდა ბატონიშვილს შუშანს. ჩათხრობილმა მისმა თვალებმა, საიდუმლო მეტყველობამ მისის სახისა, ორაზროვანმა მისმა სიტყვებმა ეჭვებით აავსეს მოთაყვანე კაცის არსება, ცხადის წინათგრძნობით ბოროტი მომავლისა;

შეძრწუნებულიყო იგი, ენა აღქმოდა სასაზედ; შეუგნებელად მისჩერებოდა თავის სალოცავს. ძლივსღა მოეგო გონებას.

– აღარ მცალს სიტყვად, ბატონიშვილო! არ მემორჩილება ენა გამოსათქმელად იმისი, რასაც მეტყვის გული ჩემი ვაგლახად კრული. ბნელსა ვგრძნობ. ბნელს მეტყვის სული ჩემი შემძიმებული, – მიუგო მანგიურმა ჯუანშერს.

– უფრთხილდი. ბატონიშვილო, შენს თავს, დაიმორჩილე გული შენი შავად მღელვარე! ძლიერი ხარ, შენ ბელსაც კი დაიმონებ გულცივად შემმართებელს, – მიჰმართა შუშანს

და მოწიწებით შეახო ბაგე მის სარტყლის ალამს.

– დარწმუნებული ხარ, რომ შევძლებ ძლიერად შევებრძოლო თვით ჩემს ბედს სასტიკს? მაშ ავისრულებ სურვილს: დავსთრგუნავ იღბალს უგრძნობლად მავალს!

– ეგრე კი მომწონს! ჩვენვე ვართ ეხლა ჩვენის ბედის გამომჭედელნი. შევსძლებთ შევსცვალოთ უბედობა ბედნიერებად, დაუნაცვლოთ ბნელს გზას ჩვენის ტყვეობისას ნათელი შარა სამხიარულო, – სთქვა ჯუანშერმა.

– შევსცვალო მე ბნელი ყოფა ნათელ ცხოვრებად, მაღონებელი ძნელი წამები შვების წუთებად! – წარმოსთქვა ქალმა

და საიდუმლო რამ მეტყველება აეხატა ბნელად მანათობელ უფსკრულ თვალებში.

## 31

მოატანა განთიადმა. ტყვეები ისევ საუბრობდნენ. ხაზართა ჯარს ისევ! ეძინა; ხალხი კარვებში თუ კარვებს გარეთ ეყარა. შიგადაშიგ ამდგარიყვნენ ზოგნი; ბნელ რიჟრაჟზედ აჩრდილებივით მიმოვიდოდნენ. ჯერ ისევ სდუმდა ბუნება. ღამის მყუდროებას არღვევდა ბდუჩანის კარვიდან მონაფენი ღრეობის ხმა: ნადიმი დაედვა ამირსპასალარს, ლხენა ჰქონდა მას მთელი ღამე. ლაღად იქცეოდა ბდუჩანი და შვებით, რაც სამშვიდობოს გამოვიდა. ძლიერ შემაღლდა ხმაურობა, მკაცრ კამათად გარდაიქცა იგი; ასტყდა ჩხუბი. მოისმა იარაღის ჟღერა. ბორგვნილი ხმები დაუახლოვდნენ ტყვეების კარავს. ვიღაც იწევდა წინ, სხვები აყენებდნენ. წამოხტა ჯუანშერ ხანჯალმოწვდილი მიჰყვა მას გაფითრებული შუშანი. ქალს აეფარა წინ მთრთოლარე მანგიური. ხმლები აელვარდნენ ალიონის ციაგზედ.

– ჰკლავენ ვეღასაც!

განვლო შუშანმა კარვის კარი, წარსდგა უშიშრად, გადააფრიალა მოჩხუბართ შუა თვისი მანდილი.

– შესდექით!

ქალის ზახილი დაიკარგა ატეხილ ხმაში, მისი მრისხანე სურათი კი მკაფიოდ აიხატა მებრძოლთ წინ ახალ სინათლეში ლამაზის განთიადისა. ხელგაწვდილმა მრისხანე მშვენიერებამ უნებლიეთ მიიქცია თავისკენ მებრძოლთ ყურადღება. დაეშვა ხმა. შეიძლებოდა სმენა.

– გიბრძანებთ დედოფალი ხაზარეთისა დიდის ხაკანის სახელით: შესდექით! მიაქციეთ მახვილი ქარქაშს!

განცვიფრებულნი შეჰყურებდნენ მებრძოლნი ქალსა, უძრავად მდგომნი.

– ბდუჩან!

მსწრაფლ გამოფხიზლდა ბდუჩან, წარსდგა დედოფლის წინ.

– შენი ფერხთა მტვერი, დიდებულო დედოფალო!

– არ დაიღვაროს სისხლი ხაზართა, არც ერთ მათგანის!

– მანგუ-ხაზარი ღირსია სიკვდილისა: მაგინა მე, დაჰგმო ხაკანი, მეფეთა მეფე!

– მიესაჯოს მას ბოროტი თვით ხაკანისგან!

– აღსრულდეს ბრძანება დიდის დედოფლის! – წარმოსთქვა ბდუჩანმა და მიაქცია იარაღი ქარქაშში. კბილთა ღრჭენით გადაჰხედა მანგუ-ხაზარსა. გაისმა ხმები:

– მშვენიერი დედოფალი!

– თითონ ცისკარი ქვეყნად მოსული!

– კეთილი სული ჩვენთვის ხორცსხმული!

– განათდეს ხაზარეთი აქ მობრძანებით მშვენიერისა!

– ვეღარ შესძლოს ვერც ერთ ზვიადმა მოსპოს სიცოცხლე თვის ბოროტ ჟინით!

ძალიან უმადლიდნენ დედოფალს: იმან გადაარჩინა უცილებელ სიკვდილს ლაშქრის საყვარელი გმირი მანგუ. ამ ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა დაჰბადა ხალხში. ქალის გულკეთილობაზედ და მის საკვირველ ძლიერებაზედ, მის სულის ძალაზედ. თვალსაჩინო საბუთები ჰქონდათ ესეთის თქმისა: ბდუჩან ზვიადი, უძლიერესი მთავარსარდალი ბდუჩან, ისე ჰმორჩილებდა ქალს, როგორც მბრძანებელს, ძრწოდა იგი ტყვედ წამოყვანილი ქალის წინაშე, როგორც თვით ხაკანის წინ.

– ღვთის შვილიაო საკვირველთ მოქმედი: მეფეც კი შორიდანვე დაუმორჩილებია, უნახავად; სურათი თურმე აახლა და ისე დაიმონა.

შემკრთალიყო ბდუჩან უშიში, მეორე დღეს, როცა მთლად გამოფხიზლდა იგი, ეახლა დედოფალ შუშანს, მეფური პატივი სცა მას და თავის მართლება სცადა:

– ღირსია იგი მონა სიკვდილისა: ხაკანის სადღეგრძელოს დროს შესაფერი პატივი არა სცა მის დიდებულ სახელს; მეც დამგმო საჯაროდ, მე, ამირსპასალარი ხაზართა უძლეველის ლაშქრისა, მარჯვენა ხელი მეფეთ მეფისა!

– დიდმა მეფემ თითონ მიაგოს მისაგებელი! ხოლო მანამდის სვლა საზეიმო, სამხიარულო!

– მართალსა ჰბრძანებ, მნათობო ხაზარეთისა! დიდის ხაკანის გული მხიარულობს და ნურვინ ატირდება მის ქვეშევრდომი, ნურც დაღონდება, თუნდაც შემცოდე. კეისარმა უკვე იცის ჩვენი მშვიდობით გადმოსვლის ამბავი, შენი მიახლოვება, მზის შუქო უბინდო!

მართლა და უკვე იცოდა ხაკანმა, რომ შუქთა ნაკვეთს შეენათებინა მის სამეფოში, სამხრეთის მზის მცხინვარე სხივსა, და აღტაცებაში მოსულიყო სინათლის მბყრობელი მყინვარეთისა. ბრძანა მან, საუკეთესოდ მოერთოთ განცალკევებული სასახლე შუშანის მისაღებად; იქ მხოლოდ ეს ახალი სული უნდა ყოფილიყო დავანებული, იგი ბედნიერი დარბაზები მხოლოდ მის ერთის მბრძანებლობაში უნდა ყოფილიყვნენ. ხაკანის სხვა ცოლები, მისი უფროსი მეუღლეც, ვერ მიეკარებოდნენ იმ სავარდეს. საგანგებოდ იქმნენ შერჩეულნი ამ სასახლის მსახურნი, მონანი და მხევალნი თუ შიმუნვარნი. ავეჯი, ჭურჭელი, ქსოვილები, ბეწვეულობა და ყოველი მორთულობა საარაკო, ფასდაუდები. სარდაფები, საკუჭნაონი სავსებით სავსე რჩეული ნუზლით, სასმელ-საჭმელით. საუკეთესო სეფე-ქალნი მის მხლებლებად. სწრაფად მოეწყო ეს ყველაფერი: ესეთი იყო ბრძანება მეფეთ-მეფისა!

ქალის შესახვედრად გაიგზავნა რაზმი განსაკუთრებითი. ოქროს ეტლები ნათელი ფარჩით, სიასამურით მორთულ-ფენილნი. გახალისდა წელთა სიმრავლით შემძიმებული ხაკანი; ამ მისთვის ფრიად სასიამოვნო ამბავმა გააჭაბუკა, ახალ კაცობის გენებაზედ დააყენა: მოისურვა, თითონ შეჰგებებოდა ამომავალ მზეს. ვერ მოხერხდა მაშინვე მისი გამგზავრება: დაასკვნეს, ეს შეგებება უფრო ახლო მომხდარიყო, სატახტო ქალაქის მახლობლად.

– ესე სჯობია: დღესასწაული თანისთან უნდა ძლიერდებოდეს, ზეამაღლებული უნდა ხდებოდეს და საარაკო ზეიმით დამთავრდეს შენს სატახტო ქალაქში, თვით გულში ხაზარეთისა, დიდის ქორწილით, – შეჰბედა ვეზირმა.

ხაკანი ერთს ხანს დაფიქრდა, მერმე დაჰყვა, თუმცა ძლიერ ეძნელებოდა დაყოვნება. ჯერ ხომ მაინც შორს იყო მომავალი მზეთუნახავი: ის იყო გადმოსულიყვნენ სახელმწიფოს სამხრეთ სამზღვრებზედ.

გაითქვა ეს საზეიმო ამბავი მთელ ხაზარეთში; გაითქვა მასთან საარაკო მოხერხება და მოქმედება მთავარსარდლისა. შეუდარებელის მოსაზრებით მოეწყო ბდუჩანს ეს საოცარი თავდასხმა შორეულ სახელმწიფოზედ, ევლო გაუვალი გზებით და გამოეტაცნა იქიდან მთელ დუნიაზედ გათქმული სიმშვენიერე.

– ბდუჩანს თილისმა წაუღია თან, გრძნეულისაგან ნახლართი ძლიერი ჯადო. გულთმისანი თურმე ხდება იმის მექონი და ყოველთვის ისე ჰხედავს, როგორც სარკეში. ამისათვის მარჯვედ მოუხერხებია საქმე შეუძლებელი.

– ეხლა ჩვენს ხაკანს შეუძლიან უკუაგდოს არამც თუ არაბთა ხალიფი, თვით ბიზანტიაც შეუძლიან დაიმონოს: ბდუჩანი გაუძღვება ჩვენს ლაშქარს და ვინღა რას შესძლებს მის წინააღმდეგ?!

– ამბობენ: ბდუჩანი უბრძანებდა და მტრის ლაშქარს ბნელი დაეცემოდა, თვალთ უბრმავებდა; ხაზარნი კი თურმე სინათლეში იყვნენ, ყველაფერს ხედავდნენ და იმარჯვებდნენ.

– თილისმაში თურმე დაინახა, სად იყო ქალი დამალული და პირდაპირ მიატანა იმ ციხეს; გამოიყვანა მზეთუნახავი.

– ჩვენ ჯართან მავალი ლეკის ურდოები მთლად მოსპეს ქართველებმა: მაშინ იმათში არ იყოვო ბდუჩანი და ვერ დაუბრმავაო მებრძოლ მტერს თვალები თვის მანქანებით.

იზრდებოდა მითქმა-მოთქმა, ხვავდებოდა საკვირველი ამბების სიმრავლე. ამ საარაკო საქმეთა მოქმედი თვით ბდუჩანი იყო ზეამაღლებული, ხოლო საგანი, რომელს აელაპარაკებინა ხალხი, სამხრეთის საკვირველება ქალი შუშანი.

– ძალიან კეთილიაო: მანგუ-ხაზარი გადაურჩენიაო სიკვდილისაგან.

– ბევრი სხვაც თურმე გადაარჩინა. უბრძანებია, ხაზარეთში ადამიანის სისხლი არ დაიღვაროსო უბრალოდ.

– თავისი თავი მაშინვე გამოეცხადებია  ხაზარეთის დედოფლად. ბდუჩანს თურმე უბრძანებდა, დარიგებას აძლევდა. ძალიან ჭკვიანიაო.

– ეგებ მფარველ სულად მოევლინოს იგი მნათობი ჩვენს ქვეყანასა და უფრო კეთილ გზაზედ დააყენოს ჩვენი ისეც კეთილი მეფე, ეს ღვთის შვილი ყოვლად ბედნიერი.

– ტყუილი გამოდგა ის ხმები, ქალმა დაიწუნაო ჩვენი ხელმწიფე, კიდეც დაჰგმოვო მისი სურვილი.

– რასაკვირველია, ტყუილი იქნებოდა! როგორ შეიძლება ვინმემ თავისი თავი ბედნიერად არ ჩასთვალოს, თუ მეფედ მეფე მოისურვებს მის მიახლოვებას?!

ამ საკითხს დაეფიქრებინა დიდი ვეზირიც. ნამდვილ იცოდა, ქალი უარზედ იდგა მაშინ და ზიზღს უცხადებდა ხაკანს.

ამ ამბავზედ უფრო ამყარებდა იგი თვის იმედს, როცა მეფეს თვისი მტერი ბდუჩანი გააგზავნინა ქალის გამოსაყვანად.

– თუ დასძლია ბდუჩანმა სხვა ყველა დაბრკოლებები, ქალის გულს ხომ ვეღარ შესცვლის და მაინც ვერ მიაღწევს იგი მიზანს: ქალი თავისი ცოცხალი თავით არ წამოჰყვება მას; ამბობენ, ძალიან ძლიერი ხასიათისა არისო, – ფიქრობდა მაშინ ვეზირი

და ძლიერ უკვირდა ეხლა, რომ მოახერხა ბდუჩანმა უძლეველი დაბრკოლებების გადალახვა და თითონ ქალის სურვილთა შეცვლაც. ვეღარაფერს მიმხვდარიყო ჭკვიანი ბადუ და უსაყვედურებდა თავის თავს, რომ თვისი პირადი მტრის მოსასპობლად ისეთი საქმე მოაწყო, თითქო ღრმად მოფიქრებული საქმე შეუძლებელი, რომელიც ბდუჩანმა მაინც შესძლო და თავის სასიკეთოდ გამოიყენა, თავის საბედნიეროდ დაათავა ისეც ბედნიერმა, სვეამაღლებულმა.

ფიქრით ვეღარას უშველიდა ვეზირი; უნდა დაჰმორჩილებოდა გარემოებებს და თავი მოეხარნა: ნამდვილ მეგობრად მოსჩვენებოდა ბდუჩანს დიდებულს; უნდა ისევ დაედასტურებინა, რომ ეს მძიმე საღვაწი მაშინ სწორედ ბდუჩანის ასამაღლებლად მოაწყო და დიდის ხელმწიფის სასალმუნებლად.

## 32

რაც წინ მიდიოდა თავის საბრძანებელში ქალი შუშანი, ჯერ ისევ უგვირგვინო დიდი დედოფალი ხაზარეთისა, უფრო და უფრო გული ეხურებოდა, შიგნით უბრუნდებოდა, ჰაზრი გამჭვრეტი, უფსკრულისაკენ  თავისის სულისა; იქ ღივდებოდა, იზრდებოდა აწ კიდეც იფურჩქნებოდა მათრობელი შავი ყვავილი მძიმე სევდისა, უსასოებამდინ მიმტან მწუხარებისა. ეს ყვავილი, ბოროტად თვისკენ მიმზიდველი ბნელი ყვავილი, მაშინ აღვივდა შუშანის გულში, როდესაც ტყვედ მოჰყვა იგი, ხოლო თესლი ამ გესლიანი მცენარისა ადრევე ჩავარდა ქალის ნორჩ გულში, მაშინ როდესაც ხაზართა ხაკანმა სთხოვა მისი გული მის მშობლებს.

სახელმწიფოსათვის ხელსაყრელი იყო იმ მდგომარეობაში კეისრის დასიძევება. სჯულის სხვადასხვაობა იდგა მათ შუა და ეს დიდ სიძნელეს წარმოადგენდა მაშინ, მაგრამ პირველი არ იყო, როცა სხვა სჯულს გაჰყვანდა ქართველთა ქალი, ან სხვა სჯული მოეყვანა ჩვენს ვაჟს მეუღლედ. ამ შემთხვევაში ქალი თუ ვაჟი არ მიიქცეოდნენ უცხო რწმენისკენ, სჯულის ფარგალში თავისებურნივე რჩებოდნენ, თავისუფალნი. ეხლაც შეიძლებოდა ამავე გზით ევლოთ და არ შეემწიკვლათ ქალის რწმენა შეურყეველი. ქალის ხელთ იყო ხაკანის ნება მოჯადოებულისა და ისე მიჰხრიდა მას, როგორც მოისურვებდა. ქალმა ვერ შესძლო მაშინ გაჰყოლოდა ამ ბედნიერ ბედს: გულმა არ უთხრა.

ჰაზრთა სამფლობელოში დაეხატნა ქალს მზის შვილი ახალი სიცოცხლით სავსებით სავსე, ბუმბერაზი უებრო, სამარადისო თანამგზავრი თვისი; გულს გრძნობათა ლამაზ ყვავილებით მოექარგა იგი საოცნებო გმირი; სურვილთა ნაკადულს აეელვარებინა სანატრ რაინდის გარემო თვისი მოცეკვავე ჭავლები. ამიტომ იყო, რომ ხაზართა მეფის სურვილმა აატირა ქალწულის სული უარმყოფელი. არ მიიღო ქალმა საქმრო დიდ დიდებული, მთელი თვისი ლაღი არსებით გარეშეიქცა მისგან. რა საფერი იყო ჯერ გარდუფურჩქნავ ქალთა მზისათვის წელთა დენით შემძიმებული, ცხოვრებისაგან გამოჟურული, ქვენა რამ ჟინით შებყრობილი ვიღაც უცხო, თუნდაც დიდებული მეფე დიდის ხაზარეთისა?! ვერ მიიღო იგი ქალმა, ვერ დასთმო გონების თვალთ წინ ნათლად ასახული რაინდი ძლიერი, მოღიმარე სიცოცხლით სავსე იგი მზეჭაბუკი.

– რა ვუყოთ, ქალო, რომ ჯერ არ აღმოჩენილა შენის ცის კაბადონზედ ის მცხინვარე არსი, შენს ეტლზედ წარმოშობილი! უსათუოდ აღმოჩნდება: არის იგი, არსებობს და გეძიებს შენ; ჟამთა მსვლელობაში იგი მარად შენთან ერთად ხორციელდება, შენი მეორე ნახევარი უძლიერესი; მარად ჟამს შენთანვე ერთად ჰქრება იგი, უჭკნობო ვარდო. არსებობის უფსკრულიდან იზიდავ შენ მას უტეხის ძალით

ნებისყოფისა და კვლავ მიაქცევს მას შენთან ერთად უფსკრულისადმი! მოვა იგი შენთან! რა დააბრკოლებს უძლეველი ძალით შენკენ მოქცეულს, ბედისწერისგან უცვალებლისა შენთვის აღნიშნულს?!

– არაფერი! სრულებით არაფერი!

– და თუ ჯერ ვერ მოსულა შენამდინ, მშვენიერო, ვერ განგცხადებია; შენც ხომ ნორჩი ხარ მთლად, ყვავილი ტურფა ჯერეთ უფრჩქვნელი, მხოლოდ ოდნავ მოღიმარე, ჯერ სულ ახლად ბაგეპობილი!

და უარჰყო ქალმა ხაზართა მეფე დიდის უარით.

როდესაც უკუღმართმა ბედმა ბატონიშვილი შუშანი ტყვედ ჩაუგდო ხელში ხაზართ სპასალარს, ქალს არ დაეკარგა იმედი ხსნისა: შუაგულ საქართველოში იმყოფებოდნენ მისი მომტაცებელნი და სანამ ისინი გასცდებოდნენ სამზღვრებს, ქართველთა ლაშქარი უსათუოდ მოსწვდებოდა მათ, გასტეხდა. დაატოვებინებდა ტყვეებსა და დავლას.

– სისხლსაც აიღებს იგი ლაშქარი! თავებს დააყრევინებენ ქურდულად შემოპარულთ, რომ მეორედ აღარვინ გაჰბედოს ამისთანა თავხედობა საარაკო, – ფიქრობდა ქალი და მხოლოდ იმას ცდილობდა, რაც შეიძლებოდა ნაკლები ვნება მოსვლოდათ თითონ მათაც, მთელ ქართველებსაც შემოსეულთაგან, ნაკლები მსხვერპლი გაღებულიყო ამ უბედობის ჟამს. მისთვის  იყო, რომ ქალმა თავისი თავი ხაზართა დედოფლად გამოაცხადა, თითქო თავისივე ნებით გაიზიარა ხაზართა ხაკანის სურვილი, დაემორჩილა მის ბრძანებას თავის შესახებ. სხვანაირად ვერ მოჰხრიდა იგი გამარჯვებულ ბდუჩანს და მის ლაშქარს გალაღებულს, ზღუდეს ვერ დაუდებდა მათ ლაგამწაყრილ სიბოროტესა. აკი ბევრი სიკეთე დათესა ამ თავის ელვასებურ ნათელ და სწრაფ მოსაზრებით, ბევრჯერ შეუბორკა ხელი თვისის მბრძანებელი სიტყვით გალაღებულ ბდუჩანს სისხლით მთვრალს. ბოლოს ხომ მარტო მან გადაარჩინა რაინდი მანგუ-ხაზარი განძვინებულის ბდუჩანის ხელიდან.

ამ შემთხვევის შემდეგ თითქო ჩანელდა, მთლადაც ჩაქრა მოქმედი ძალა შუშან ქალისა: იგი ვეღარავითარ ყურადღებას ვეღარ აქცევდა იმას, რაცა ხდებოდა მის გარშემო. სინამდვილემ თითქო დაკარგა მის თვალში ღირებულობა; აღარ თუ არსებობდა მისთვის სიცხადე. თვით მისი ძმა ჯუანშერიც ნისლმა მოიცვა ძნელ განსაჭვრეტმა; მისი ხმა შორეულ ძახილადღა მოესმოდა მინელებულად. ქალის სული მხოლოდ ერთ საგანს ევლებოდა თავს, მარტო მასღა განსჭვრეტდა და განიცდიდა: უნდა ეხსნა თვისი თავი მის ჩასანთქმელად განმზადებულ ვეშაპისაგან პირაშკმულისა.

ეს სურვილი თანა სდევდა მას პირველ ჟამიდგანვე ტყვეობისა, მაგრამ მაშინ იმედის სხივი უციაგებდა გონების თვალთ წინ; იგი იმედი დამყარებული იყო ქართველთა ძალაზედ. ნელ-ნელა გაცრიატდა იმედი; მთლადაც გაცრუვდა და მოისპო, რაკი გასცდა ქალი თავის ქვეყანას. აწ თითონ შუშანიღა იყო მხსნელი თავის თავისა და მას ერთადერთი საშუალება დარჩენოდა ამისათვის: მოესპო  თავისი თავი.

მისი სულის ეს უმძიმესი მოძრაობა იყო ქალის საფიქრი: ცხოვრებიდან განსვლა სამარადისო, მთლად გაბიჯება წუთისოფლიდან. ამ ძნელ საიდუმლოს მიეპყრო თვისზედ მთელი ყურადღება განაწამების ქალისა. საშინელი იყო ეს დასკვნა მისთვის, მთლად ნორჩისათვის ჯერ უფრჩქვნელისა: ჯერ ხომ არ დასწაფებოდა იგი ცხოვრების ნექტარს, ჯერ არ შეესვა სიტკბო-სიმწარე სრულ არსებობისა. მდნარი ტყვიასავით მძიმე იყო ეს მისთვის და მწვავე, გარნა აუცილებელი; რაღა საჭირო იქნებოდა მისთვის ყოფნა ამქვეყნად, თუ ჩაუბნელდებოდა სიცოცხლის ჰაზრი, ჩაშავდებოდა გრძნობათა მისი შესაკრებელი, თუ ლაღად მოძრავ მის ნებისყოფას სხვა დაიბყრობდა მისთვის

მთლად უნდო, სხვა ჩაიხვევდა?! ხომ მთლად ჩაქრებოდა მაშინ მის ცნობიერების არეში იგი სურათიც თვალთ წარმტაცი ტურფა რაინდის, რომელი წარმოშობილიყო მის სულის სიღრმიდან, რომელი უსათუოდ ცხად უნდა ქმნილიყო და შექმნილიყო ერთადერთი მისი თანამგზავრი ამ ცხოვრებაში, სამარადისო არსებობაშიც.

– მოსვლა შენდამი მზეჭაბუკისა, მისი შეხვედრა ნეტარება იქნება თქვენის არსების, ხორციელის და სულიერის თქვენის ბუნების, ზე აგამაღლებთ იგი სიახლე, არემდისინ უქრობის სიხარულისა; განგაცდევინებთ სამარადისო ღიმილს ვარდისფერს!...

აწ კი ულმობელის თანისთანაობით უახლოვდებოდა შუშანს იმ რაინდის წილ იმ შვილი ბნელისა, ბოროტად მსურველი მის ქალწულების შეგინებისა.

– იმ ბოროტის ძეს თვისი ძლიერებითა ჰსურს ეზიაროს ნათელ არსებას მზის ასულისას; ჰსურს შეუერთოს ნათელთა სხივი წყვდიად სიბნელეს და ჩააშავოს, დაამძიმოს, დახაროს იგი შავ მიწამდინა...

– ჩანთქას ვეშაპმა მზე მოკაშკაშე?! არ ეგების ეს! ვერ შეიძლების!

– შეილახება ჩემი სიამაყე უსჯულოს გვერდით; შეირყევიან საფუძვლიანი ჩემის რწმენისა; მთლად შეიმღვრევა სული ჩემი შეუმწიკვლელი...

ღრმად ჩაფიქრდა ქალი. მის შავ თვალებში ცეცხლის რკალებმა იწყეს ტრიალი. შემმართებელი იერი დაედვა მის ლამაზ სახეს უსასტიკესი.

– ვერ მოასწარ, ჩემო სამშობლოვ, მძლედ ბრძოლებოდი ვერაგს შენს მტერს ფარულად მოსულს და დაიძლიე. აწ შენი ქალი შეებრძოლოს მას და დასცეს მიწად; განაქარვოს მის ბნელი ძალა!...

## 33

ბნელი ღამე იყო უმთვარო. ვარსკვლავები დაეფარნათ მძიმედ ჩამოწოლილ ღრუბელთა ტალღებს, უღონო ქარის ფრთებზედ ტლანქად მომოდიოდნენ უსახონი, სიბნელის მფენი, გულის მზარავნი. არა წვიმდა, არცა ჟინჟლავდა.

– ახ, ნეტა კიდევ დამანახა ბედის ვარსკვლავი ჩემი საწყალი! აქაც გამომყვა ის მადლიანი, ამ უცხო ცაზედ; აქაც მინათებს ლამაზი სხივით. მხოლოდ დღეს...

– რად მიეფარე ეგრე ჩემგან, ჩემო ვარსკვლავო? კიდევ მეჩვენე, ჩამოაშუქე სხივი შენი ჩაბინდულ სულში, ჩაბნელებულში: მსურს გეალერსო უკანასკნელად, მსურს შეგევედრო:

– გადამიგზავნე საწყალს სალამი ჩემს ქვეყანაში შენის სხივებით, ჩემი სალამი ბედშავ დედასთან, ჩემს ძმასთან, დებთან! ვეღარ მნახავენ... ვეღარ მნახავენ ვერც მეგობარნი, ჩემი ტოლ-სწორნი. ვერღა იხილვენ თვალნი ჩემნი მათ სანდომ სახეს, ვერ დასტკბებიან. მსურს დაგაბარო სიტყვა ჩემი უკანასკნელი: უთხარ, უამბე, როგორ ვწუხვარ, როგორ ვიტანჯვი.

– უჰ, რა მძიმენი ხართ, ღრუბლებო, ჩაშავებულნი! დაგიბნელებიათ, მიწად დაგიხრიათ ცისა კამარა... არა ჰგევხარ, ცაო სხვა ქვეყნის, ჩვენს ლაჟვარდ სივრცეს კარვად გარდართხმულს, ნათელს, უძიროს. მჭიდროდ მოოჭვილია იგი ვარსკვლავებითა, შემოქმედისა მრავალი თვალით გაბრწყინებული...

ძლიერდება ქარი, წყდება შიგადაშიგ ღრუბელი, ჩნდება აქა-იქ ცის ნაგლეჯები.

– მისმინე, ქარო, გსურს გადაფანტო მძიმე ღრუბლები, კიდევ მიჩვენო ჩემი ვარსკვლავი? განა შენ იცი ტანჯულ სულის აქ შებრალება?! შეგიძლიან მიუბყრო ყური ტყვეის გულისთქმას?!...

– მხოლოდ კაცნი არიან მკაცრნი, ბუნება აქაც დედაა თვის შვილებისთვის!

– ჩემი ვარსკვლავი! თანა მდევს ბედშავი. მალე გაქრები ლაჟვარდ ცაზედ შენც, მშვენიერო; ჩემთან ჩაჰქრები! ხომ არ დამტოვებ? თან წამომყვები? რა კარგი რამ ხარ! მაშ სწრაფად მიაწოდე ჩემი სალამი იქ, შორს, ჩემებსა. ერთი სხივიც იქ გაგზავნე, ჩემის ქვეყნის დიად მთებ შუა: ობოლი სამარეა იქ და იმას დაჰნათე. ფარსმანის საფლავს. უთხარი ბედკრულს, ჩემთვის ბედჩაშავებულს: ვერ დამიხსნა შენმა სისხლმა განწირული თქო; ისიც მიუთხარ, რა ძლიერ ვმადლობ დიდი მსხვერპლისთვის. ეტყვი? ეხლავე? გმადლობ, ლამაზო!

– ჯუანშერ!.. სძინავს ჯუანშერს. ჯერ ისევ ახალგაზრდაა: ვერ შეუგნია მთელი სიღრმე უბედობისა. იგრძნობს, შეიგნებს...

– ჯუანშერ, ძმაო!... ტკბილად სძინავს. იძინე მოსვენებით: შენ კიდევ ბევრი დრო გაქვს ამქვეყნად. კიდევ გაიხარებ. დაჰბრუნდები დიდებით. აქათ გამოივლი გალაღებული... ჩემი საფლავი... მიწას ემთხვევი, შავს მიწას ჩემის სამარისას. წახვალ, დამტოვებ სამუდამოდა...

– დამტოვა ყველამ... არა! ეს ვინ დამრჩალა ჩემ სამარესთან?! მანგიური.... საწყალი მცველი ჩემის საფლავის... ნაზი რამ სულო ფრიად მგრძნობარე მკაცრ ბრძოლისათვის უძლურ სხეულში...

– ძნელი ყოფილა თავის განწირვა, საშინლად ძნელი! მაგრამ აუცილებელია, ვით ბედისწერა... მიიღე სული ჩემი მკაცრად ტანჯული...

– ცოდვააო თავის მოსპობა... შეუძლებელია სახიერო, მივსცე თავი ჩემი შესაგინებლად ბნელის შვილს, წარმართს: ესეც ცოდვაა!

გარინდდა ქალი. მთლად გაქვავდა. უძრავად მიაბყრო თვალნი თვის წინ ახატულ სურათს.

– შენ ხარ, უძღებო მტარვალო ჩემო? შენ უნდა მოგცე გული უმანკო?! უკვე ზეიმობ... ამაოდ გიქრის უგვან ბაგეზედ ღიმი სიამის. არჩილის ქალი შენ სამღერელად?! ქართველთა ქალი შენ ჟინთა საგნად?! არ ეგების ეს! არ შეიძლების!

დასჯდა ქალი თავის სარეცელზედ, ჩაფიქრდა. წაიხსნა სამკაულები, აათამაშა მოელვარენი.

– მშვენიერებო, საყვარლებო, ყვავილებივით ჩემნო მკობელნო!

გადააწყო სამკაული. აიღო იაგუნდის ბეჭედი.

– რა ლამაზი ხარ! სისხლის ფერი ხარ, ნაკვერცხალად აელვარებულის სისხლისა! აწ მხოლოდ შენ შეგიძლიან, თილისმიანო, ჩემი გამოხსნა: სიკვდილი გიბყრია შენ, მოსპობა ანაზდეული...

ახსნა ძვირფასი თვალი. გამოჩნდა შხამი მინანქარივით შეყინული.

– დედი, დედილო!

– გეშინიან?! ჰყოვნი?!

– არა, მამილო, შენი ასული... წამიყვან?.. როგორ მიყვარხარ!

თვალთა ხედვის ისარი სივრცისკენ ჰქონდა მიქცეული, ცხად ხილვისაკენ: მამის აჩრდილს თუ ჰხედავდა წამებულისა. დაეწაფა ბეჭედს; შეწოვა, შეისუნთქა.

– ტკბილია?! ვაიმე!..

– გადაესვენა ქალი. თვალები დაკარგა. მკლავნი ჩამოყარა, უკვე მოსხლილნი ტოტნი საროსი. ქალის ამოკვნესაზედ გამოეღვიძა ჯუანშერს.

– რა იყო, ქალო, ავად ხომ არ ხარ?

ხმა არსით იყო. დახედა, – თვალები მიქცეული ჰქონდა, ძლივსღა სუნთქავდა. ძმის ჩაძახილზედ თითქო ცნობა მიეცა, თვალებში ჰაზრის რამ ნასახი დააჩნდა; ბაგე აამოძრავა. ხმა ვერ ამოჰხდა. შეაჟრჟოლა. გარდაიქმნა ქანდაკებად მარმარილოსი. გაისმა ვაჟკაცის კივილი. გაჩნდა კარავში მანგიური; მუხლი მოეკვეთა, ჩაიკეცა.

დაიძახეს კარვის მცველებმა. ასინათდა მაშხალა აქა-იქ. კარვისაკენ მოანათებდნენ. შეჯგუფდა ხალხი.

– მოკვდა დედოფალი შუშან!

– მოუკლავთ ქალი შუშანი!

– ვის მოუკლავს დედოფალი ხაზარეთისა?!

აცეცხლებული შანთისათვის დაესვა ბდუჩანის ყურთა სმენას თქმა საშინელი, გონება აურია. ფიქრთ სახეები ნავლად უქცია.

– მოკვდა დედოფალი?! მოუკლავთ ქალი?! შეუძლებელია! – მოიძახებდა ბდუჩან და მორბოდა ხანჯალმოწვდილი.

– მოსცილდით!

ჩამოდგნენ. მანგიური შერჩა იქ მუხლებზედ მდგარი, მწარედ მთრთოლარი.

– ექიმბაშო?

– უკვე გარდაიცვალა! ჯერ ისევ თბილია. საშინელი შხამი, აი ბეჭედი!

– საწამლავი?! ბეჭედში შხამი?!

– შენ იცოდი, მონავ ბოროტო, და არ მითხარი, – დაიღრიალა გონებამახვილმა ბდუჩანმა და შეიმაღლა ხანჯალი, ჰაერში შეათამაშა იგი მანგიურის გასაგმირად. მანგუ-ხაზარის ძლიერ მარჯვენამ შესტაცა მაჯა.

– შესდექ, ბდუჩან! პასუხს აგებ დიდის მეფის წინ.

ხაკანის ხსენებაზედ დაუშვა ბდუჩანმა ხანჯალი; მკლავები ჩამოყარა; მოიღვედა უძლურად. ცხადად წარმოუდგა საშინელი პასუხის გება. მეფემ გამოგზავნა იგი თვის გულის ვარდის მოსაყვანად, მხოლოდ შუშანის გასატაცებლად. ეს იყო ჰაზრი ამ თარეშისა. სხვა ყოველივე ამაო იყო ამის გარეშე, უმნიშვნელო, უბრალო რამ აჩრდილი ღირებულობას მთლად მოკლებული. და სწორედ იგი ქალთამზე განქრა მის თვალწინ. მოისპო მიზანიც მისის ღვაწლისა. სიბოროტედაც აისახა მისი ნაშრომი: მის ხელში განქრა დიდის ხელმწიფის ბედის ვარსკვლავი, ვისითც ცხოვრობდა ხაკანის გული; ვერ გაუფრთხილდა იგი ძვირფას ქალს, ვით თვალის გუგას; იქნებ თავისი უხეში ქცევით კიდეც ატკინა აზიზი გული?! საშინელი უფსკრული გაპობილიყო ბდუჩანის ფერხთ ქვეშ, შესაზარავი.

– აღბორგდება კეისარი ბოროტად განრისხებული. ვინ შეჰმართოს განძვინებულ ლომს ფაფარაშლილს, თვალებ ცეცხლიანს?!

– დავიღუპე!.. ჩემი თავგანწირული ბრძოლა, დიდად მოფიქრებული სვლა საშიშროებით სავსე სავალზედ, გამარჯვება ჩემი საარაკო და... დამარცხება საარაკო ერთი ქალისაგან! არა! სიზმარია ეს, ბოროტი ზმანება ჯოჯოხეთური...

სიზმარი არ იყო ეს საშინელი სინამდვილე. ბდუჩანს დაჰკრა ჰაზრმა, გადახვეწილიყო, დაკარგულიყო ხაკანის თვალთაგან. ვერ შეასრულა განზრახვა თვისი: ალღოთი იგრძნო, რომ მას უკვე ფხიზლადა სცვიდა მისი მოსისხლე მანგუ-ხაზარი.

მახლობელ სოფლის თავში დაასაფლავეს შუშანი. ბორცვად ააგეს საფლავზედ მიწა. თითქმის რომ გორად.

– იარე, მანგიურ: მივემგზავრებით.

– შუშანიც მიგყავთ. ბატონიშვილო?

– ბატონიშვილი შუშანი?! აკი მიწას მივაბარეთ საბრალო.

– შუშანი მიწას?! როგორ შეიძლება?! არა! აგერ შუშანი. დამტოვეთ აქ: მარტო დარჩება. შეეშინდება.

დასტოვეს იქ მანგიური. სადღა წაიყვანდნენ?! რაღად უნდოდათ?!

– ხომ ყოველივე ისე მოაწყე, ვეზირო, როგორც შეჰფერის ჩვენს დიდებას, როგორც შეჰშვენის ჩემს მზეთა მზეს?

– ყოველივე დიდებულად, ხელმწიფევ ზეამაღლებულო.

– მსურს ჩქარა შევეგებო, ეხლავე ვეახლო: ვერ ითმენს გული.

– ასრულდეს ნება შენი! გვიბრძანებ?

– არა, ადრეა. კიდევ ორიოდე დღე და... ვეღარ გამიძლია... ნადირობად გავალ, დროს დავლევ. გრძელდება დღე: შესდგა თუ ჟამთა დენა?!

ძალიანა ჩქარობდა, ენახა ქალთა მზე, იგი ჯადოსანი, გული რომ მოსტაცა შორიდან, რომლის მხოლოდ აჩრდილმაც კი სული წაართვა. ახ, არ შეიძლებოდა სურვილის მაშინვე ასრულება: შეუფერებელი იქნებოდა დიდის ყეინისთვის ესეთი ქცევა, უნდა ძალა დაეტანებინა თავის თავისთვის და მოეთმინა, მანამ დაახლოვდებოდნენ მომავალნი სატახტო ქალაქს.

– ვეზირო!

– ბრძანე, მძლეთა მძლევ!

– შეუწყვეტლადა ჰგზავნიდე მოსაკითხს მოსაკითხზედ მომავალ მზისაკენ: ხაზართა დიდი დედოფალი ყოველ ჟამს უნდა იღებდეს ჩემს აღტაცებულ სალამს, ქვეშევრდომთა თაყვანისცემას.

– უკვე სრულდება სურვილი მეფეთ მეფისა: ზედიზედა ვგზავნი საფერ მოსაკითხს, ვაახლებ დიდებულთ.

– ჩემს გულში კითხულობ! კიდევ მოვიდა რამე ამბავი?

– მინდოდა მომეხსენებინა, ვერ გავბედე: აქამდინ უნდა მოსულიყვნენ სხვა კაცნიც, შემდეგ რომ გავგზავნე, ისინი; არსადა სჩანან.

– ჯერ არსადა სჩანან?! მსწრაფლ გაგზავნე მგებარნი: ააჩქარონ დაბრუნებულნი, მსწრაფლ მაახლონ!

– ამ წამს, ღვთის შვილო!..

– საკვირვლად ვღელავ. ესე დაუდგრომლად მხოლოდ ჩემს სიჭაბუკეში მახსოვს ჩემი თავი, პირველ ცოლზედ რომ ვიჭრიდი ქებინს, სკვითთა ხელმწიფის ქალზედ. რა მშვენიერი ვიყავ! ყველა შემომნატრიდა. დროთა სვლამ ამაცალა ღაწვებზედ ვარდი, ჩამანაოჭა... ნახევარი სახელმწიფო მას, ვინც დამიბრუნებს ჩემს სიჭაბუკეს თუნდ ცოტა ხნობით! იქნება არსებობს იმისთანა გრძნეული, ამგვარი ჯადო?

ამოიღო ჯიბიდან შუშანის სურათი, ბაგეს დაიდვა.

– მზეო ჩემო თაყვანსაცემო! მოვედ ჩემდა, მოისწრაფე, მფლობელო ჩემის სულისა!.. რამ შემაყვარა შენი თავი, ჯერ უნახავო, განუშორებლივ ჩემთანა მყოფო? რა ჯადომ მიმჯაჭვა შენს კაბის კალთას?.. ვიცი, ვიცი! ამ თვალთა სხივმა! შენის აჩრდილის თვალთა სხივი მხიბლავს ტყვექმნილსა, მბუგავს, მანავლებს...

– არა, ლამაზო, ვეღარ გავსძლებ მე უშენოდ ვეღარც ერთს წუთსა; აღარ შემიძლიან! მოვდივარ, მოვდივარ! ვაჰ, აქამდისცა რად არ ვეახელ ჩემდა მომავალს?!

შემოჰკრა ტაში. მსწრაფლ წარსდგა მის წინ მონა უსიტყვო.

– ვეზირი!..

– გაგზავნე მსრბოლნი, ვეზირო ჩემო?

– წეღანვე, იმ წამსვე, მბრძანებელო!

– მსურს თვით ვიხილო, ეხლავ ვეახლო!

– აღსრულდეს ნება შენი!

– ისწრაფის გული: ვერღ შემიძლიან უმისოდ ყოფნა.

– ყოველივე მყის მზად იქნება.

– ბედნიერია ჩემი მეფობა: მახლავან ელვასავით სწრაფი აღმსრულებელნი ჩემის ნებისა, მეხივით მკვეთრნიც. საარაკო სისწრაფით და მოხერხებით ამისრულა ბდუჩანმა გულის წადილი. ვერც ერთი ვერ ინატრებს უკეთეს სარდალს.

ბდუჩანის ქება გულში ლახვრად დაესვა ვეზირს, მაგრამ არ დაიმჩნია: გამოცდილი იყო, იცოდა გრძნობათა მალვა მბრძანებელთ წინაშე. დარბაზს რომ გამოსცდა, მაშინღა მოზიდა წვერი მარცხენით, კბილნი აღრჭინა ცოფმორეულმა.

– ბედნიერია ბდუჩანი. თილისმა თუ აქვს განსაცდელთაგან მფარველ-შემნახი! ღრმად მოფიქრებული სავალი სახიფათო, უცილებლად დამღუპველი, მთხრებლი უძირო მწვანე მოლით გარდაფენილი, რომელზედაც უსათუოდ უნდა გაევლო მას და ჩათხეულიყო; უვნებლად კი მოდის გამარჯვებული... ეშმანი თუ შესჯდომიან მფარველ-მშველელად. მოვა განდიდებული და... მომსპობს უცილოდ: იცის, მტერი ვარ მისი უძინებელი; ვიცი, მტერია ჩემი დაუნდობელი, – წარსთქვა ვეზირმა

და ჩაფიქრდა ღრმად. ჟამთა დენას ვეღარ ამჩნევდა.

– მოვსტყუვდი! განთქმულმა მისანმა ვერ გაიგო ეს მომავალი. ამოიძახდა მაშინ იგი მეცანი: „გამარჯვების გზა. დიდების სავალი ზე ამყვანელი. ბნელი უკუნი. სისხლის გუბენი. დანთქმული დიდება“... სადღა არის ჩართხევა უფსკრულს ბდუჩანის დიდებისა?! მხოლოდ აღმოჩნდა მთავარსარდლისთვის გზა სვიანობის...

ისე იყო ვეზირი გართული ფიქრებში, რომ ვერ შეამჩნია, რა ხდებოდა მისის სავანის გარშემო: ვერ ესმოდა მღელვარე ხმები და მიმორბენა; ვერ შენიშნა შეძრწუნებული სახეები, რომლები ჰჩნდებოდნენ მოფარდაგულიდან და ისევ იფარებოდნენ. ვერვინ შეჰბედა, დაერღვია ვეზირის ფიქრიანი მდუმარება. საქმე კი ისეთი ძნელი იყო, ყოვნა აღარ შეიძლებოდა: ყოველი წუთი საშიში იყო, უბედურების მამრავლებელი.

– დაფიქრებულხარ, ვეზირო, თუ მყუდროებას მისცემიხარ დიდ შრომის შემდეგ? ამბავი მომდგარა ჩვენს კარს შემზარავი, ასაჩქარები, – დაარღვია ვეზირის მდუმარება მხცოვანმა მრჩეველმა დიდის ხაკანისა, რომელსაც სთხოვეს გაემჟღავნებინა ვეზირისათვის მოტანილი ამბავი საშინელი.

– ჩვენს კარს საფიქრებელი მძიმე ამბავი?!

– საშინელი შემთხვევა მეტად სახიფათო.

– სთქვი!

– მოვიდნენ დედოფლის შესაგებებლად და მოსაკითხად გაგზავნილნი...

– ჩქარა მიჩვენეთ, შემოიყვანეთ, – წარმოსთქვა ვეზირმა და ასწია ფარდა: უნდოდა თითონ გასულიყო, შეჰგებებოდა. მოხუცმა არ მისცა ნება. უბრძანა მსახურთ, შემოეყვანათ ამბის მომტანნი.

– მხოლოდ დაწყნარდი! მოიკრიფე გონება, გამაგრდი; დიდი ფიქრი გმართებს, მეტი სიფრთხილე: საშინელი ამბავი დასტეხია ბდუჩანს!

ვეზირი დიდის ცნობისმოყვარეობით დააკვირდა მოხუცს, თვალებში კი გაუტრიალდა ის შიშის ზარი, რომელიც აღებეჭდა მას პირველად. რომ მოესმა ბდუჩანს დასტეხიაო უბედურება, ამან შეუფერმკრთალა მას შიშის ზარი და დაარწმუნა მცირედ. მხცოვანს კი ეგონა, მისმა დარიგებამ იმოქმედა ღელვილ ვეზირზედ და დააყუჩა.

– რა ამბავი მოიტანე ბდუჩანისაგან? – მიჰმართა ვეზირმა მოსულ კაცს, რომელიც წარსდგა მის წინ.

– ბდუჩანისაგან აღარაფერი: სიტყვა აღარ აქვს მას პირში! გარდაიცვალა ცისკარი ამომავალი, დედოფალი ხაზარეთისა შუშან...

– გარდაიცვალა?! დედოფალი შუშანი გარდაიცვალა?!

– დასასაფლავებლად ამზადებდნენ, რომ წამოვედით.

– ასაფლავებდნენ?!

– აპირობდნენ, მიწისთვის მიებარებინათ.

– რა მოსვლია ესე ანაზდათ?

– ამბობდნენ მოწამლულიაო.

– დედოფალი მოუწამლიათ? სად იყო ბდუჩან, ყური არ უგდო?!

– თავი მოუწამლიაო; ბეჭედში ჰქონია შხამი.

ამ ამბის მსმენელნი ერთს ხანს გაჩუმდნენ, გაშეშდნენ, ფიქრთა სიღრმეში შეცურდნენ უფსკრულ-უნაპიროში. ვეზირის კატარღა უფრო მარჯვედ იკვლევდა გზას აბობოქრებულ ტალღებში ფიქრთა, სხვა მსმენელთა ნავი უგეზოდ დატრიალებდა აღქაფებულში: ვერ ეპოვნა სავალი სწორი, ვერც გზა საზღვრილი. იმის კვლევისაკენ მიიქცა კარისკაცთა ჰაზრი, რამ მიიყვანა ქალი იმ საშინელ დასკვნამდინ. არა სჩანდა ეს. ცხადი იყო მხოლოდ, რომ დიდი უბედურება მოსვლოდა ბდუჩანს, გაუვალი, უქარვებელი; დაღუპულიყო დიდი სარდალი სასტიკის დაღუპით.

ამ ჭეშმარიტებამ მთლად დაუმშვიდა გრძნობათა ღელვა გამოცდილ ვეზირს, შეაძლებინა საშიშ საქმეში დაჰყრდნობოდა ნათელ გონებას. დაითხოვა ყველანი. დარჩა პირისპირ მოხუც მრჩეველთან. გამართეს ბჭობა; ყოველ მხრიდან დაუარეს ძნელ საფიქრებელს. დაასკვნეს: ეხლავე, ხანდაუზმელად, მიეღოთ ზომა, ბდუჩანი არ დაჰღწეოდა მათ ხელიდან.

– ჯერ ძლიერ აღელვებული იქნება და ვერ ჩასწვდება მთელს სიღრმეს თავისის უბედურობისა, ვერ გაზომავს მას გონების თვალით; მოეგება გონებას, დაინახავს თვის ფერხთ ქვეშ გარღვეულ უფსკრულს და...

– და ეცდება განეროს განსაცდელს, გადიკარგოს; მიეფარება თვალთაგან განრისხებულის კეისრისა.

– შესძლებს კიდეც: ჯერ შორს არის, ისევ ბრძანებლობს, უამრავი ოქრო აქვს ხელში.

– მაშინ, ვეზირო ბრძენო, ყოველგვარი პასუხის გება შენ დაგატყდება: განრისხებული მეფეთა მეფე შენზე დაანთხევს სიბოროტის გესლს.

– ჩემი საწყალი თავი მსხვერპლად დიდის მბრძანებელისა: ღვთის შვილია იგი და ყოველივე მისი მოქმედება ნებაა განგებისა: ვერვინ ასცდება თავის ბედის წერას.

მყისვე გაგზავნეს რაზმი: სანდო სარდალი უთავეს; გაატანეს ბრძანება. დაავალეს, საიდუმლოდ გადაეცა მანგუ-ხაზარისათვის, თვალხმიერად ეყარაულებინა ბდუჩანისათვის და, თუ საჭირო იქნებოდა, თვითონ ეტვირთნა წინამძღვრობა მომავლის ლაშქრისა.

ბჭენი ეხლა იმ ძნელ ფიქრს იკვლევდნენ, როგორ გაემჟღავნებინათ ეს საშინელი უბედურობა ხაკანისათვის. ძნელი იყო ეს, ფრიად საშიში: შეიძლებოდა მფლობელის რისხვას იქვე გაექრო პირველი მთქმელი. აუცილებელი კი იყო, მაშინვე გაემჟღავნებინათ. დიდის კრძალვით შევიდნენ მეფის სავანეში ვეზირი და იგი მრჩეველი. მეფე დააკვირდა მათ, ამოიკითხა მათ სახეზედ დიდი შიში და სიმძიმილი. ბოროტად აუელდა თვალები. ელოდდა სიტყვას.

– მომკალ, ღვთის შვილო, ნუ მაცოცხლებ, რომ ვბედავ ვასმინო შენს ყურს ამბავი საზარელი!

მეფე შეიძრა; წინ წამოიხარა; კვერთხზედ დაეყრდნო: ელოდდა სიტყვას.

– დავკარგეთ სიხარული: ჩაქრა მნათობი ჩვენი აღმომავალი.

– მნათობი ჩაქრა?!

– აღარ გვყავს დედოფალი ხაზარეთისა, ქალი შუშანი, გარდაიცვალა იგი, მოუწამლიათ.

– გარდაიცვალა დედოფალი?! შეუძლებელია! ვის მოუკლავს? მაჩვენეთ მკვდარი!

– დაუმარხიათ!

– ვეღარ ვნახავ მას, მკვდარსაც კი ვეღარ?!

მეფე მიესვენა სავარძელს. ნაცრის ფერი დაედვა. ჩაუცვივდა თვალები. შემწველ ცეცხლად ანათებდნენ იგინი ბნელ სიღრმიდან. შეჰზარა კარისკაცნი საშინელმა სანახაობამ. ნელ-ნელა დაიხარნენ იგინი მფლობელის წინაშე, მიწას განერთხნენ.

– ბდუჩანი მომგვარეთ სწრაფად!

– უკვე მივეცით განკარგულება.

## 35

შეიძრა ხაზარეთის სატახტო ქალაქი ითილი: ბრძანა ხაკანმა დიდი ზეიმი საჯარო, ასპარეზობა. ყაბახი გარეშემოზღუდული იყო ჯაჭვ-ჯინჯილითა. დარაჯნი იდგნენ ახლო-ახლო მშვილდებით ხელში, ფრიანი ისრებით სავსე კაპარჭებით მხართ უკან. ასპარეზის ოთხსავ კუთხეში თითო გუნდი იარაღში მსხდარ ცხენოსნებისა. ყაბახი ქვიშით მოფენილი. მოედანს გადმოჰყურებდა ვრცელი ბაქანი მოფარდაგული. ზედ მეფის ტახტი, სავარძელნი მეინახეთა. ცისფერი ფარჩა გუმბათად მეფის საყდარზედ, ოქროს ვარსკვლავებით ნაჭედ-ნაქარგი. მეფის მარჯვნივ ბატონიშვილი ჯუანშერ, მარცხნივ ყიფჩაყი თემური, მძევლად მყოფი ხაკანის კარსა. დიდებულნი ხარისხ-ხარისხად. მეფის ტახტი ამაღლებული მიჰყრდნობოდა დიდებულ გოდოლს ქონგურებით გარემოცულსა. სხვების ადგილი თანისთან დაბლა. გოდოლის თხემზედ სამეფო დროშა. მთელი ქალაქი გამოსულიყო სეირად. უამრავი ხალხი, უთვლელი: მეფის მეუღლენი და სეფე-ქალნი კოშკს გადმოსდგომოდნენ გაზაფხულის ყვავილებივით ფერად-ფერადად მორთულ-მოკაზმულნი.

ნადიმი დაედვა დიდებულ ხაკანს დიდ-დიდებული. ეს დღე რისხვის დღე იყო გულგამეხებით გარდარეულის ყეინისა, დიდი განსჯის დღე: უნდა ენახა ერს, რომ იგი ღვთის შვილი მიუწთომლად ზეამაღლებული, ქვეყნად მოადგილე ზესთა მბყრობელისა, მიაგებდა ბოროტმოქმედს საქმესაებრ მისისა, ყველა შემცოდეს, დიდსა თუ მცირეს; დიდს უფრო მეტად: ვისც ბევრი მიჰნიჭებოდა, უმეტესი მოეთხოვება.

და იგი რისხვა მისი, მსგავსი მეხისტეხისა, ვერ შეარყევდა მის ნეტარებას ვერც ერთის წუთით, მისსა განცხრომას ნამდვილ ღვთაებურს. მრისხანე ხაკანი მედგრად მოქმედი და იმავე ჟამს ყოვლად ნეტარი, კეთილებისთვის კეთილისმყოფი, საშინელია იგი: მას ხელთ უბყრია სიცოცხლე მზიანი, სიკვდილიც ბნელი.

– ბდუჩან შეუნდობლად შემცოდე ხაკანის წინაშე; მისგან ზეამაღლებული მთელ ხაზარეთში, აწ მისგანვე ქვეჩათხეული ამირსპასალარი ბდუჩან!

და რა შესცოდა ისე საშინელი მთავარსარდალმა ხაზართა მეუფეს?

– თვისი გული ჩააბარა მას კეისარმა; ვერ შეინახა იგი გული მან, ვერ გაუფრთხილდა, როგორც თვალის ჩინს: მის ხელში მოკვდა ქალი შუშანი, გული მეფისა...

გააპო ჰაერი გამყივარმა ხმამ საყვირისა. შეინძრა ზღვა ხალხი, გასწორდა სამზერლად, მოემზადა. აივსო მეფის ნადიმზედ ოქროს თასები იაგუნდის ნექტარით. წარმოითქვა დიდება ღვთივ ამაღლებულის მეფეთ მეფისა. ხმაშეწყობილად ზე ამაღლდა, საკრავთ ზახილი.

დაჰკრეს ნაღარა, გაიხსნა რკალი ზღუდედ მომდგარის ხალხისა. მტკიცის ნაბიჯით შემოვიდა ასპარეზზედ ბდუჩან შემცოდე, ბორკილი აღარ ედვა, მხოლოდ ხელები ჰქონდა უკან გაკრული. შეაყენეს მეიდნის შუა. კვლავ გაირღვა მოჯრილ ხალხის წრე აქათიქიდან და გამოვიდა ორი მხედარი. წითელ ტაიჭებზედ ისხდნენ წითლით მოსილნი; ხელთ გასანთლული საგდებლები ეჭირათ წითლად ნაღები. ესენი დიდად დახელოვნებულნი იყვნენ საბელო სროლაში: ველურ ცხენებსაც იჭერდნენ იგინი საგდებელით. ამგვარი სასჯელიც არა ერთხელ აესრულებინათ მოხერხებულად. დაკვართულები იყვნენ: ტალავრის სახელოები მხოლოდ იდაყვამდი სწვდებოდათ. გამოაფრიალეს შავი ხელმანდილი: ამით სასჯელის წინ თვალებს უკრავდნენ განწირულს.

– ერთი წყალობა გარდასრულის ჩემის ღვაწლისთვის! – გაისმა ბდუჩანის მტკიცე ძახილი.

იგი ნაჩვევი იყო ლაშქრობის დროს ბრძანებას და მისი გამჭექავი ხმის ბგერანი სათითაოდ დაირკვა ჰაერში. ყველამ თვალი მიაპყრო ხაკანის საყდარს. ასწია მან კვერთხი ნიშნად დასტურის.

– თვალთ ნუ ამიკრავთ: ბევრჯერ ჩამიხედნია სიკვდილისათვის თვალებში ქვეყნის სამსახურის ჟამს!

ერთს წუთს შეყოყმანდა ხაკანი. სხვა რამ სათხოვარს თუ მოელოდა იგი. ასწია კვერთხი ნიშნად წყალობის. არ აუკრეს თვალნი. კვლავ გაისმა ხმა ნაღარისა. ნავარდი დაჰკრეს მხედართ შემოუარეს. ბდუჩანის ამაყნი თვალნი მიეგყრნენ მეფისკენ, გაისრიალეს ჰაერში ერთსა და იმავე დროს საგდებლებმა ორივე მხრიდან. წითელი გველებივით გაიხლაკნენ საშინელნი. გესლით აღსავსე ზიზღმა საზარელ ღიმილად გაუპო ბაგე განწირულს. დაეშვნენ საგდებელნი, ორივე ერთს დროს ყელს გადაეჭდნენ, გადაეხვივნენ მტკიცედ მდგომ ვაჟკაცს. გაფრინდნენ ჰუნენი სხვადასხვა მხარეს, ხორცს ჩააკვდნენ საბელნი მძლედ განზიდულნი, ძვალ-რბილი აპეს; ბოროტად მოსხლეს თავი უბედურს.

განქრნენ მხედარნი. მსწრაფლ გაიტაცეს გვამი დასჯილის. ქვიშით დაჰფარეს სისხლის ღვარები. ჯერ ისევ გაქვავებული იდგა ზარდაცემული ხალხი, რომ სანიმუშო ბრძოლად გამოვიდნენ ასპარეზზედ ბუმბერაზები. ბრძანა ხაკანმა:

– წვერმახვი შუბნი: ბრძოლა ნამდვილი!

შეუცვალეს ჰოროლები. იწყო ბრძოლა საშინელი, თავგანწირული. სხვაც ბევრი ბრძანა შეჯიბრება საზარელი, სიკვდილის ფერი. შიშითა ძრწოდნენ მეინახენი: დღეს ყეინის ყურადღება სწრაფის სიკვდილის მომასწავებელი იყო მათთვის. გადიადდა რისხვა ხაკანის. მაინც ვერ დასცხრა ღვინით და სისხლით დამთვრალი სული მეფეთ მეფისა: ჯოჯოხეთის ცეცხლი ენთებოდა მას გულში და სისხლი არ აქრობდა მას, უფრო აგზნებდა. ბდუჩანის ღიმი არ სცილდებოდა მეფეს თვალთაგან, მისი შეხედვა უკანასკნელი. ვეღარც მოსცილდა მის დაავადებულ სულს შუშანის სახე, ბდუჩანის ღიმი.

**1922 წ.**

## თეთრი გვირგვინი

სულთმოფენობა იყო, ჯერ ისევ დილა, წირვების ჟამი. ანჩისხატის დიაკვანი ყურს უგდებდა სამრეკვლოდან სიონის ზარს, რომ მისთვის აეყოლებინა თითონაც

რეკვა; არა ჰსურდა თვით დაესწრო ზართა ხმაური, უმთავრეს ტაძარს ეკუთვნისო წინამძღოლობა.

– ნუ გიყვარს, კაცო. სხვის დასწრობა, წინასწარობა! შენც უნდა იცნო უფროს-უმცროსი, იმავე წესზე დააყენო შენი სამრეკვლო.

– მაჩქარებს მღვდელი, რაღას ელიო.

– ალბათ, ჰშივდება და ვეღარ ითმენს. მთელ ქალაქში ერთად უნდა ახმაურდეს სამრეკლოები, რომ ერთდროსვე გადისახოს მოსავმა ჯვარი.

– მერე რა უშავს?

– ამ წესზე იციან ზარის რეკვა დიდ ქალაქებში: იერუსალიმს, ანტიოქიას, თითონ მოსკოვში; ბიზანტიაშიც ყველა სამრეკლო წმინდა სოფიოს უცდიდა თურმე უწ...

– ჯან! – წარსთქვა ალერსით ზარის გუგუნზე

და გადიწერა წყნარად პირჯვარი. მოზიდა თოკსა. დიაკვნობაში დაბერებულიყო ვანო, აწ იოანე. შავი კაბა გრძელ ახალუხზე. ღვედის სარტყელი განიერი. უკრეჭი თმა ზედ შუაზედ გადაყოფილი. ხატის სახე დასდებოდა ხატების მსახურს. მკაფიო კითხვა რიხიანი. ზეპირ იტყოდა. ლოცვათა წესი მტკიცედ იცოდა. თვით დეკანოზი მიჰმართავდა ძნელ შემთხვევებში. მოძღვარი იქნებოდა სახიერი, თუ მეუღლე არ გადასცვლოდა. მღვდელობა...

– ადრე ამდგარხარ! სად ეშურები, მიემზადები? – ჰკითხა მამამ იასეს, რომელიც კედლის სარკის წინ იდგა და ულვაშებს ისწორებდა, ბოლო შეხრილ შავ-შავ ქილვაშებს. უხდებოდა ხუჭუჭთმიანს წვერის მოპარსვა. ერთს ალაგას ლოყაზე რამდენიმე ბეწვი, ხალზე აღმოცენებული პატარა ბუნჯგალი. დაჰნანებოდა პეტრე დალაქს იმისიც მოსთვლა. ერთი კიდევ შემოტრიალდა ჭაბუკი სარკის წინ, გაავლო თავის აჩრდილს თვალი, გაისწორა წერწეტ წელზე ქამარ-ხანჯალი, მოიდო თავზე ბუხრის ქუდი, ოდნავ ტეხილი, ამოიღო მაშრაფიდან თაიგული, კოხტად კონილი, და.. მამამ თვალი გაადევნა მიმავალ ჭაბუკს.

– ვიცი სად მიხვალ, რად ირთვები, ვის დასტრიალებ. შეჰყვარებია! ჯიშად მოგვიდის ტრფობით განმსჭვალვა, ღმერთო ძლიერო, გაუმარჯვე მურაზით სავსეს!

## 2

ანჩხატის უბნელი იყო იასე, იქაური მკვიდრი მოსახლე. ტაძრის არედან გზა მისდევს სამებისაკენ. იმ ვიწრო ქუჩაში ჰქონდა სახლი იასეს მამას. ორსართულიანი შენობა; ქუჩაში გადმოკიდებული აივანი ჩუქურთმიანი სვეტებით, სურათებით; მიწური ბანი, ლაბიერით გარშემორტყმული. ხნიერობა დასტყობოდა შენობას: შეხუნებული საღებავი, დაჭაჭული ბათქაში, შიგადაშიგ ჩამონგრეული. არც საწვიმე ღარები ახალ-ახლობდნენ. მაინც მაგარი სახლი იყო, მკვიდრად ნაშენი. მარტო იასესი არ იყო სამკვიდრო: დები ჰყვანდა და ძმები გამთავნებულ ოჯახის შვილსა. მის დედ-მამას თავი მოსწონდა კერის სიმრავლით. მეტ გაფურჩქვნასაც ნატრობდა დედა: ძალას ატანდა თავის უფროს შვილს, ცოლი შაერთო.

– ამდენი ქალი გეძლევა, შვილო, რაღას უყურებ? ხანი მიდის; გარდასული დღე დაკარგული მძივია სიცოცხლის კრიალოსნიდან. მინდა მეც ვნახო შენი მეუღლე და გავიხარო.

უარს არ ამბობდა ჯანსაღი ვაჟი, ჰასაკს მოსული. თვითაც ნატრობდა ბედნიერებას. კიდევაც მიეგნო თავისის ცალისთვის, აღმოეჩინა ის ლამაზ მნათობებად აშუქებულ ქალწულთა შორის. თვალს ადევნებდა, მანძილიდან უალერსებდა, გარს

ევლებოდა. თავსაც ფაქიზად ინახავდა, შეუბღალავად: ჰსურდა პირნათლად წარსდგომოდა მომავალ იღბალს, მაგრამ...

– წირვაზე, შვილო? ჯერ ხომ ადრეა, – შეეკითხა დედა მიმავალს.

– წავალ! ჯერ კოტესთან მინდა შევიდე, ცოტი საქმე მაქვს.

– ვიცი! ძალიან კი ნუ უხშირებ ლელვარიანთ წინ ავლა-ჩავლასა: გაამაყდებიან, მზეთუნახავი ეგონებათ თავიანთ ქალი. იქნება ისიცა სთქვან, უსაქმოდ არის, ქუჩაში დადისო, – წარსთქვა ოთახში შემავალმა დედამ.

ახალგაზრდა ვეღარ უსმენდა მას: კიბეზე ჩარბოდა იგი.

– ახლა ეგა თქვი! გაანებე მაგ კაცს თავი! როგორც გულმა უთხრას და გონებამ გაუჭრას, ისე მოიქცეს. ან ვის შეუძლიან უსაქმურად დასთქვას იასე: კაცი მიჩნეული მოხელეა, კარგი მშრომელი, – გამოეხმაურა ქმარი.

დედაკაცმა პასუხი არ გასცა მეუღლეს. მივიდა, მუთაქა მისდო ზემო ტახტზე, ფანჯრისაკენ; გააღო კედლის განჯინა, გამოიღო ყალამქრის ბოხჩა, ხელის ყუთი; დადგა ფანჯარაზე საკეცი სარკე, დაჯდა და დაიწყო თავის დახურვა. დინჯად ირთვებოდა და მოაზრებით. არა სტოვებდა არც რამ წვრიმანსა. მოვარაყებული სადაფი მოლესილი უმარულით; ალმასის ქინძისთავი შუბლისა თუ გულისპირისა; ზარის საყურე; ბევრი ბეჭედი ნაირ-ნაირი. მოიხვია ბაღდადი. აუჩქარებლივ ჩაალაგა ყოველივე, დაკეც-დაკეცა.

– შენ რაღას უცდი ჩაფიქრებული, არ ემზადები წამოსასვლელად?

– მოვასწრობ! რა დიდი მზადება მე მინდა: გადავიცვამ კაბასა და...

– ახლები ჩაიცვი, სუფთად გამოეწყე: დიდი დღესასწაულია. საჭიროც არის მეტი ყურადღება მივაქციოთ ჩვენს თავს: დღეს თუ ხვალ დედამთილ-მამამთილი შევიქნებით, დარბაისლობა გვმართებს, მეტი სიფრთხილე თუ სიფაქიზე.

– შენ დარწმუნებული ამბობ, მე კი ვგონებ, ეგრე მალე ვერ ასრულდება ჩვენი ფიქრები: ქალი თითქო გულგრილად ეკიდება ჩვენს ვაჟს, ჩვენს სურვილს.

– რითი სწუნობს ჩვენს შვილს, ჩვენს ოჯახს? ყელგადაგდებული თუ ვგონივართ, რადგანაც ჩვენ შევენუკვენით; შეძლეული პური ძაღლმა არ შეჭამაო.

– შენსას არ იშლი! რა გაჯავრებს და ავად იხსენიებ. ქალს?! მთხოვნელები ვართ, არც ხვეწნა მიმაჩნია სათაკილოდ: სამძივარისთანა ქალი ორი არ მოიძებნება მთელ ქალაქში. ჯერ იმისი თმა რადა ღირს, კოჭებამდის რომ სწვდება ნაწნავები!

– ლამაზი დალალო აყრია, უხშირესი, თითონაც კარგია, მაგრამ არც ჩვენი ბიჭია მასზე ნაკლები. ჩვენი მზეჭაბუკი რითი ვერ უდრის ლელვარიანთ მზექალს?

– ვინ ამბობს?! არაფრით! მაინც...

– კარგი! ჩაიცვ-დაიხურე, წავიდეთ! აგერ ზარიც, – სთქვა დედაკაცმა

და პირჯვარი გადაისახა ანჩხატის ზარის ძახილზე, რომელმაც სახლი აავსო მბდღვინავი ხმებით, ფანჯრებიც შეიხმაურა. ადგა ვაჟკაცი, მსწრაფლ შეემზადა. გაემართნენ. ქმარი ცოტა წინ უძღოდა მანდილოსანს, ნახევარი ნაბიჯით.

– რა იქნებოდა, დედაკაცო, ერთი კონჩხა არაყი დამელივნა, ორიოდე ლეღვის ჩირი მეგემნა: ვინ უნდი გასძლოს ესე უზმოდ დიდი წირვის გამოსვლამდის?!

– მოითმინე! რაღა  მადლი ექმნება შენთვის წირვას ან სეფისკვერსა, თუ დაიმჩნევ უთმინობას და შეღონდები. ცოდვა არის მუცელ-ღმერთობა!

**3**

იასემ მისთვის შეიარა მეგობართან, რომ აეჩქარებინა წირვაზე წასასვლელად? არა, წირვის დარდი იმდენად არ ჰქონდა, რამდენადაც აღონებდა თავისი საფიქრი:

სატრფოს შეხვედრას მოელოდდა და უნდოდა ამ საშიშ წუთში თანა ჰყოლოდა თავისი ერთგული; ვერა ჰბედავდა ძნელ სავალზე მარტო გამოსვლას.

მშიშარი იყო, გაუბედავი?!

არა, რა არის შიში, არ იცოდა მარჯვე ვაჟკაცმა, თუნდ სიბნელეში ბიამან ადგილს მავნე მხეცებში, ბოროტ სულთ შორის! წელს ერტყა ბასრი.

რაღას უკრთოდა დღისით-მზისით შუაქალაქში?

– მუხლი უთრთოდა ვაჟკაცს უშიშარს, ვერა ჰბედავდა მარტო გამოსვლას; მხარის დამჭერი უნდოდა გვერდით, სანდო მრჩეველი; სატრფოს ელოდდა, თავის სამძივარს!

– და სატრფოს ლოდნა...

საფრთხილო განცდა მშვენიერი, მეტად საშიში! იგი...

– რასა ტრიალებთ შუა ქუჩაში ან ვისღა ელით? დროა, წავიდეთ!

– წინ წადი, სოსო! ჩვენც მოგეწევით, ეხლავ წამოვალთ! – მოიცილა იასემ მცნობი.

ჭაბუკთა ხელთ არ იყო წასვლა თუ დაყოვნება: მზის ჩამოვლას მოელოდნენ იგინი, მას უნდა აჰყოლოდნენ აჩრდილებივით, თანა ჰხლებოდნენ ეკლესიამდის, თითონ ტაძარშიც. სამძივარი ჩამოივლიდა იმ გზით; არ მოსცდებოდა იგი წირვას, ოღონდ ავადობას არ დაეშალნა. მაინც უხერხული იყო ქუჩაში ერთსა და იმავე ადგილას ბრუნვა-ტრიალი; ხალხი მიაქცევდა მათ ყურადღებას და დასძრახავდა. შორს წასვლა და მიფარებაც საფიქრად სჩანდა: შესაძლო იყო, სწორედ მაშინ გამოევლო ქალს და ჩასცდენოდა. დაკარგული იქნებოდა კარგი ჟამი ქალის ნახვისა, მთელ კვირაში ერთი დილა მოხერხებული.

– მშვენიერი დღე გათენდა დღეს, უსათუოდ ჩამოივლის მზეთუნახავი.

– არ მოსცდება დღეს იგი წირვას.

– შეიძლება შეუძლებლობს, ტყუილად ველით.

– ღმერთმა დაიხსნას! გუშინ სამსახურიდან რომ ვბრუნდებოდი, თვალი შევასწარ: ფანჯარასთან ჰქსოვდა რაღაცას.

– იცის მაცდურმა, როდის მოსდიხარ, გიდარიელებს, შორით გიელვებს.

– სად არის? თუ ეგეთი გრძნობა ჰქონდეს გულს, ბედნიერად ჩავითვლებოდი. იცის კარგად, მის ხელთ არის ჩემი სიცოცხლე.

მე მონად შევქმნილვარ ერთისა მზისა;
მე მისთვის ვკვდები, იგი...

ჩაიმღერეს ჭაბუკებმა დროს დასალევად, ლოდინით შემდგარ გრძელი წუთების გასაქარებლად.

– ვერ მომწონს, კაცო: თოკი მოგიბავს ყელზე მარყუშად, საბელის წვერი მიგიცია ქალისთვის ხელში. ჟინიანია მათი ბუნება და ცვალებადი. ვინ იცის, როდის მოჰსურდება უფონოს საკვრელს, თუ გაუჭიროს! ძლიერია ლამაზის ხელი: ლომს სწვდება ყელში, აღარ ასუნთქებს.

– ჭეშმარიტს ამბობ! მესმის ეგ ყველა. გონება ცივი ბევრს მამხილებს, სიმართლეს მამცნობს.

– მერე?

– ძალა აღარ მაქვს შევასრულო ფიქრის ბრძანება, გარკვეულ კვალში ჩავაყენო მე ჩემი თავი.

– შეჰკრიბე ძალა, იპოვე ღონე, მხნედ შეებრძოლე შენსავე თავსა!

– ბრძენიაო სხვა სხვის ბრძოლაში. შევმართო ჩემს თავს და გავამხნეო ტრფობასთან ომში?! ჩემსავ სიცოცხლეს ვით შევკადრო ბრძოლა, ურჩობა?!

– არ მესმის ეგ თქმა.

– არ განგიცდია ჯერ სიყვარული, მით ვერ შეიგნებ ჩემსა გულისთქმას... თუ მოგწყინდა ცდა?

– არ განგიცდია ჯერ მეგობრობა, მისთვის თუ მეტყვი მაგ მძიმე სიტყვას. უწყვეტ ჯაჭვით შეუკვრიხარ იმ მშვენიერსა, მთხრებლს ჩაუგდიხარ ამოუსვლელს და მე რომ რამდენიმე წუთი დავკარგო იმ ხნარცვის თავსა, განა სამძიმოდ ჩაითვლება იგი ჩემთვისა?! ვაჰ რომ სხვა გვარ ვერ ძალმიძს შველა შენგნით შებორკილს!

– როგორ სხვა გვარად?

– მითქვამს, კვლავაც გეტყვი: მოვიტაცოთ ის ჯიუტი! მაშინა ნახე შენი კოტე, შენი ძმობილი!

## 4

– გამოვიტაცოთ! ადვილად იტყვი სამძიმო სიტყვას...

იცოდა იასემ, მეგობრები მოხერხებით შეასრულებდნენ საქმეს იშვიათს. სავანეც ჰქონდა გულებული, ფარული ბინა ვერ მისაგნობი: ბოჭორმაში ჰყვანდა დედული და ბევრი დრო არ დასჭირდებოდა, უჩინარ ექნა მოტაცებული, მაგრამ...

– გავიტაცო... არ ეგების ეს! უნდა დავლიო მე იმ ქალთან მთელი სიცოცხლე და დიად საქმეს, ცხოვრებისათვის გათვლილ ქმედობას დაუდვა ბურჯად ძალმომრეობა?! არ ეგების ეს! და თუ გული არ ექნება ჩემსკენ სამძივარს, როგორ შეიძლებს სულისსწორობას?! ძალდატანებით ვერ იფურჩქნება ლამაზი გრძნობა, საესავო მისწრაფება ყვავილოვანი. ცუდი სათავე მომიწამლავს წმინდა ნაკადს სიხარულისა. არა! დავიცდი: იქნებ ღიმილით გარდმომხედოს ჩემმა ყისმათმა, ჩვილად იბრუნოს ჩემსკენ გული ჩემმა ცისკარმა.

– რომ არ გამართლდეს ლოდინი შენი?

– ნუ მეტყვი ბოროტს ჟამს სიხარულის! მთლად დავინთქები სულით ხორცამდის. მწამს, გადმოჰხედავს ჩემს სულს დატანჯულს ქალწულის გული წყალობის თვალით.

მეგობრის რჩევას რომ არ იღებდა, იმას რომ უარს ეუბნებოდა და გადაუშლიდა ამის მიზეზებს, როდი იტყოდა იგი გულახდით: დიდის შიშით ეშინოდა იმას ქალისა, მისთვის ვერ ჰბედდა მის უნებოდ საქმის დაჭერას; საიდუმლო იგი შიში ლესულ ბასრზე მეტად აკრთობდა. იცოდა მკაცრი თვითყვარება სატურფალისა: არ დაუთმობდა ძალადობას, თავს მოიკლავდა! ძმადფიცული მაინც გრძნობდა მეგობრის შიშსა, შეძრწუნებას კითხულობდა მის თვალებშივე; განცვიფრდებოდა თავის გულში ჯერ უწრთობელი:

– ვის გაუგია ვაჟკაცისაგან ასე კრძალვა ქალის წინაშე?! შეჰყურებს შორით, სულ იმას ფიქრობს, რა ვაამო, არ ვაწყენინო. მეტისმეტად ჰქონებია ქალს, ძონძად ქცეულა იგი მის ხელში. მჩვრად ქმნილა კაცი, ქალის პეშვში მოთავსებული!

საძრახისი როდი არის მიჯნურთან კრთომა, დიდ პატივის მმჟღავნებელი ნათელი შიში. დასთმოს შიში მეფეთაგან, მისი ჰქონდეს შიში, კრძალვა. ხათრი თუ კრძალვა საზომია სიყვარულისა. მოკრძალება საცნაურ ჰყოფს ალერსის სიღრმეს.

– ჰსჯობს ქალსა ჰქონდეს შიში თავის ქმრისა: თვით შიში შეიქმს სიყვარულსა.

– გარეგნულს, მონურს, არა გულწრფელსა. თვით სიყვარული შეჰქმნის შიშს ნათელს, ხათრს სათნოიანს, პატივცემაზე დამყარებულსა.

შეგვიანდა. ნელ-ნელა ირჯება მზექალა. კარგად იცოდა: მის გაშუქებას მოთმინებით მოუცდიდა მის მოთაყვანე. მაშ რას იზამდა? სად წავიდოდა მთხრებლს ჩავარდნილი, მის არსებასთან უწყვეტ ჯაჭვით კავშირებული?!

– კაცო, იასე, აგერ მოდიან!

მსწრაფლ მოტრიალდა მოტრფიალე ქალის გზისაკენ: იმ წუთს აეცდინა თავისი ხედვა სამძივარის სავალისათვის, სხვა საგანზე გადაეტანა დაღლილი თვალი.

სხვა საგანზედა?! თუ არსებობდა მის გზის გარეშე კიდევ რაიმე ნივთიერი თუ სულიერი?! ხომ იგი იყო იასესათვის მსოფლიოს გული, გვირგვინება მთელის არსისა. მის გარემო ტრიალებდა ზეცა, ქვე მიწა...

წყვილად იძროდნენ ორნი. ტოლნი, ქვექვე გოგმანით – სამძივარი, მისი დობილი. წირვის წინ თუ შეუარა მას მეგობარმა. ყვრიმალამდისღა წვდებოდა ქალს ამხანაგი, ფარგლით მოხაზულ ბროლ ნიკაპამდის, შუაზე რომ ძლივს სამჩნევი ღარი ასდევდა ბროლ-ლალის კვალი.

– დაინახე ჩანასახი ტურფა ღაბაბის? ეკონე ბაგით, ვაჰ ბედნიერო, ჩვილ ნეტარებას! გადასწი თავი თმათა ტევრით... ფრთხილად, გიჟმაჟო!

თავი ეხურა. ნაკერ ჩიქილას აფრიალებდა. თმათა სიმრავლე ნაწნავებად გადაშოლტილი. გამოჰქცეოდა ჩაქსელილ ხლართებს ურჩი ხუჭუჭი ბუნჯგალ-ბუნჯგალი, შარავანდედად შემორტყმოდა მკრთალ ვარდისფერ ყელს ოქროცურვილი გულისპირი ოქროსვე სიმით ჩაბმულ-ხლართული. ბექად მდგარ მკერდსა ქანდაკებულს, სულდგმულნი ბორცვნი აღელვებულნი.

– გვიფონე, ქალო, პირს გადაგვხადე: გვსურს გავიხედოთ, ვნახოთ სამყარო, მზის ელვარება; გვინდა ვიხაროთ, სხვაც გავახაროთ ჩვენის სიტურფით.

– რას მეტყვით მაგას, გაცელქებულნო? თვალი გეცემათ; ბოროტსაც დასთესთ: გულს დაუსერავთ თქვენთა მჭვრეტელთა; სირცხვი...

– ხომ კარგები ვართ? მშვენიერთ ხილვა სირცხვილი არის?!

– ცხოვრების წყაროთ ხილვა სირცხვილი?!

გულზე ფარღული: ოქროს კაკლები სხვილ-სხვილ მარჯნებით გადაღილული. დედა მოსდევდა, ჯერ ჭარმაგი მანდილოსანი; როდი მოჰშლოდა ძველი მშვენება, კოხტად ეხურა თეთრი ჩადრი, იღლიაში ღრმად აეკეცნა: ძაღარა სჩანდა სინჯაფისა ქათიბს ვლებული. დედასაც, ამხანაგ ქალსაც თაიგულები ეჭირათ ხელში.

– აიღე, ქალო, ეგ თაიგული: ყვავილთა დღესასწაულია დღეს.

სამძივარმა იღო კონა, უსუნა, დადო; არ წამოიღო.

– „უნდა მომართვან თაიგული!“ – გაურბინა ფიქრმა ამაყმა.

თავმოყვარეობა შეელახებოდა მშვენიერს, რომ იმ ბედნიერ დღეს ყვავილები არ შეეზღვნათ მისთვის რაინდებს. იწყენდა ამას, გაიფიქრებდა:

– დაჰვიწყებიათ უეშხოებს ეშხიანი ქცევა ლამაზი!

## 5

აჰყვნენ ჭაბუკნი. დაუახლოვდნენ. მოსწვდნენ. კისკას მიმოხვრით წარსდგა მათ წინ ღელვილი ვაჟი და...

– მიბოძეთ ნება, ქალბატონო, შეგძღვნათ ყვავილი!

– გმადლობთ, ყმაწვილო! რად სწუხდებოდით!

ქალი ერთ წამს შეყოყმანდა. ჩამოართვა ყვავილთა კონა. ტურფა ყვავილნი შერჩეულნი, მურაზათ მხატველნი. დიდი არ იყო თაიგული: ხელს დაუღლიდა პაწაწინას, შეუმძიმებდა ფუნთუშა მაჯას. დაუმადლა იასემ გულში ლმობიერება,

მდაბლად დაუკრა თავი; ჩამოდგა; მიუტოლდა თავის ამხანაგს. სიამაყით გაავლო თვალი მიდამოს. ანათებდა ცეცხლებრ თვალებს, როგორც მწყაზარი მპყრობი კაკაბის. ხუმრობაა თუ! მისგან მიძღვნილი ყვავილთ კონა ებყრობა ხელში წირვაზე, შემდეგ ხანშიაც.

– და მერე შენთვის რა მალამოა?!

– ვერ გაგიგია! ის თაიგული ეტყვის ჩემს სატრფოს საწყალი გულის ხვეწნა-მუდარას, ალერსს ჩააწვეთს, ჩემს ოცნებასა; კეთილი არის იგი ყური ტურფად რკალული.

– ყურია რაღა, ჰაერის ძაბრად შეჭმუჭვნილი თხელი კაკნატი. შენ დაჰკარ თვალი, რა საყურებით ჰქონან მას ყურნი დამშვენებულნი. ერთ ქალადა ღირს ის სამკაული.

– მზექალის დარად რაღაცა ნივთი?!

– ეგ საყურე გვარში გადმოდის: ოჯახის უფროსი ქალი ატარებს გათხოვებამდის, მერმე შემდეგი. საბოლოოდ მემკვიდრის ხელში რჩება ეგ ნივთი.

– რადა?

– ანდერძი დაუტოვებია პირველ პატრონს, ლელვარიანთ ოჯახს ნუ ასცილდებაო. საკვირველი თვისება აქვსო: ქვათა ჯავარი და ელვარება თურმე იცვლება მის პატრონის ნორჩობასთან, სულდგმულივით მიმქრალდება ხანში შესული, ელვარება გაუხუნდება.

– ეგ ზღაპარია!

– ეს მართალია! რა ეშხიანად ციმციმებს, დახე! აფრქვევს სხივებსა თეთრ-ყირმიზ ყელ-ყურს; შეჰფერობს, შესტრფის თავის პატრონს სიცოცხლით სავსეს.

– შენც დაუნთე სანთელი ხატებს, იმავ წმიდანებს; სად იგი ჰკოცნის, იქვე აკოცე.

– მე ვნატრობ მაგას, ეგა მწყურიან!

– და რაღა გიშლის?!

– ნუთუ ვერა გრძნობ, რომ თვალს მადევნებს. მსწრაფლ მიმიხვდება, ძალიან იწყენს: ჩვილი გული აქვს, ამაყად მგრძნობი.

– გაეხარდება, რომ დაინახავს მონობის ნიშანს.

– ისეც კარგად გრძნობს, სამარემდის მონა ვარ მისი; სავალი არ მაქვს მე მაგის იქით.

– ეგრე გგონია ვნებით აღძრულსა!

მოღიმარედ მიდიოდა საზეიმო წირვა-ლოცვა მლოცავით სავსე ეკლესიაში, სმენას ატკბობდა იოანეს რკვეული კითხვა, ტკბილი ქართული. ლოცულობდა სამძივარი დიდ სასოებით.

„რად გინდა ლოცვა, გენაცვალე, რაში გჭირდება?! ისეც მოგისმენს სახიერი და აღგისრულებს. რა ლმობიერად შემოგმზერენ წმინდანნიც კი ლამაზ სანახავს. ანგელოზთ უკვირთ, რომ მათში არ ხარ ერთი მათგანი. რად გინდა ლოცვა, თვით სალოცავო?!“

– როგორა ჩქარობს დღეს დეკანოზი: წირვა მიწურა ამ ერთსა წუთში.

– რას ამბობ, კაცო, წყალი ჩამიდგა დგომით მუხლებში! მეყოფა, წავალ!

– ვერ დავიძვრები მე ადგილიდან! მსურს სულ ვუყურო, არ მოვსცილდე მე მისსა მზერას

და იდგა ჭაბუკი ეკლესიაში ქალის კალთაზე უხილავი ძეწკვით მიბმული. მხოლოდ მაშინღა დაიძროდა ადგილიდან, როცა ქალი ისურვებდა იქიდან წასვლას.

იდგა. უმზერდა. ყველა წამი ცხოვრებიდან ამოშლილი ეჩვენებოდა, თუ ვერ ხედავდა თავის სამძივარს. განა ეხლა მიილტოდა მის მეზობლად აღმოჩენილ მანათობლისკენ? სიმცროდანვე ალაღებდა მასთან სიახლე: მღერა ბავშური, იმის გვერდზე დროს გატარება. იმთავითვე ქალის რაინდი, უფრო შინაყმა იმ აზიზისა.

– ისე შეთვისდნენ ჩვენი ქალ-ვაჟი, რომ შესაძლოა არ განცალკევდნენ, ერთადვე წარვლონ გზა ცხოვრებისა.

– ძნელი სათქმელია: გაიზრდებიან, თავთავადი ხასიათ დაერკვევათ, შეხედულობა; ვინ იცის, საით გასწიოს თვითეული ამათგანი მისმა გონებამ თუ გულისთქმამ.

– ეგ მართალია! უწინდელი დრო აღარ არის, როცა აკვანშივე დაჰნიშნავდნენ ბალღებს და ისინი სრულწლოვანნი ასრულებდნენ დედ-მამის ნებას. თვითნებობამ იჩინა თავი, საკუთარის პიროვნების თაყვანისცემამ, მისმა ალერსმა და ბატონობამ.

– ხეირს გვიქადის ეგ სავალი ახალ თაობის? ყოფა-ცხოვრების ყველა ნაბიჯი გამოცდილებაზე არის დამყარებული, მსხვერპლით და ტანჯვით მიღწეული, დიდ დაკვირვებით ნაპოვნ-დასკვნილი. ახლები კი გამოუცდელნი...

– იგი ცხოვრების მონაპოვარნი როდი არიან უძრავ-ყინული, აუცილებელ სიმართლის დარნი; შესაძლო არის მათი გარდაქმნა, განვითარება. თუნდ უარყოფა. გეტყვი მაგალითს. მითხარ, მაუწყე! განთავისუფლების ხანი დადგა ბატონყმობის ჩაშლის ჟამები, გლეხთ აზატობის.

– აქ ეგ სიტყვა რა სათქმელია?!

– შვილთ მორჩილებაც იქნებ იყოს მონობის სახე, ჩვენი სურვილი, რომ გვმორჩილებდნენ ბოლომდისინა.

– გაუშვათ ბალღნი თავის სურვილზე და ვნახოთ, რა ავს შეეყრებიან იგი უვიცნი, გამოუწვრთნელნი.

– მანამ არიან სულ პატარები და თავისით ყოფნა არ შეუძლიანთ. მერმე.

* * *

დასრულდა წირვა. ჯვარისაკენ დაიძრა ხალხი. წარსდგა, ემთხვია სამძივარის მამაც.

– დღეს ჩვენთანა ბრძანდებით სადილად, მამაო დეკანოზო!

იოანე დიაკვანი წიგნებს ჰკეცავდა; თვალი მაინც მღვდლისაკენ ეჭირა: იცოდა, რომ ლელვარიანთ შეჰფეროდა დღევანდელ დღეს მოძღვრის მიწვევა; ეჭვი ჰქონდა, იქნება მე არ დამპატიჟონო: ზოგ განდიდებულ ოჯახებში არ ნებულობდნენ დიაკვანის წვევას.

– შენც გვეწვიე, დიაკვანო! შენი კითხვა, ქართული სიტყვის ტკბილად გამოთქმა ნელსაცხებლად ეცხობა ჩემს ყურთასმენას.

გაიარა იასესაკენ, მოიკითხა, შესდგა ერთს წამს: ჭაბუკისაც ჰსურდა მიწვევა, ვეღარ გაბედა: არ ანიშნა ქალმა თანხმობა. ვერვინ შენიშნა კაცის ყოყმანი, იასემ კი მკაფიოდ იგრძნო, ცხადად გაიგო. დაღონდა ძლიერ, ჩაუბნელდა მას დღე კაშკაში, ლამაზ მზიანი. ქალმა შენიშნა განწონილი მის გულს ისარი და ანუგეშა: გაუღიმა შორით შორეულს, ყვავილით აფარა ელვა ღიმილი, მიზღვნილ თაიგულს.

წავიდა ქალი. მოსწყდა ჩვენებას იასეს თვალი. არ მოჰშორდა მას თვალთაგან სატრფოს ხატება. მოსცილდა სახე ნივთიერი მის მხედველობას ხორციელსავე; გონების თვალწინ ისევ ედგა მას მისი სატრფო. უმზერს ვაჟი მისთვის ხატად გარდაქმნილ არსსა, სხვისთვის მჭერმეტყველს, მისთვის უტყვსა, უმჟღავნებელს, საიდუმლოსა; არც პირმოღუშულს და არც უკმეხსა, თითქო უძრავად გარინდებულს, ამოუხსნელ ამოცანად მოვლინებულსა; მაინც კი სანდომს, სანეტაროს, მხიბლავ-მიმზიდველს. უცდიდა ვაჟი ერთს წელს, მეორეს, ელოდა მარად.

– გამოგიცდია საყვარლის ცდა, სატრფოს ლოდინი? არა?! ბედნიერო... იზრდება წუთი საათებად, ჟამი დღე-ღამედ, მთლიან კვირად, მრავალ წელიწადად...

არ იცის ჟამმა სვლა თანაბარი; ზოგჯერ რომ მიჰქრის გრიგალივით, მიესწრაფება, ზოგჯერ ძლივს იძვრის ლოფორთქინა ლორწოიანი. დიდხანს ელოდდა თვის ბედისწერას, სად წავიდოდა უფსკრულ მთხრებლში მისგან დახშილი?!!

– ვერც სად, ვერც როდის, თუ რამ სხვა ხსნას არ მოუვლენს ბედი უბედო!

– განა სხვა შესძლებს იმ უფსკრულში დაბმულის ახსნას, რკინის რამ სვეტზე ჯინჯილებით მიჭედილისას?!

– იქნება შესძლოს. ვაჰ თუ ვერ შესძლოს!

## 7

– ლამის მეოთხე წელიწადი გაჰყვეს წარსულსა, ვაჟი კი უცდის... ნეტავ რას ელის? თავმოყვარეობა არ მეტყველობს მძლავრად, უტეხად. მიკვირს ძალიან. არ შეიძლება ქალს ემონოს ნაჭარბევად, ესე უზომოდ!

– შესაძლო არის, თუ შეჰხვდები შენს ოცნებას ნივთთა არეში: მხოლოდ ფიქრთა სამფლობელოს არ ეკუთვნის ნატვრა, ოცნება. შეჰხვდები შენ ცხოვრებაში წარმოდგენილ ქმნილებას ლამაზს და ვეღარ არჩევ აზრთა სამეფოში ქანდაკებულ აღალმას ტურფას და არსს ხორციელს, ლამაზ არსებას. იგია, იგი ხორცშესხმული ჩემი ოცნება!

– რას ამბობ, როგორ?!

– როგორც ვერ არჩევ სიზმარს მკაფიოს მოვლენისაგან ნივთიერისა. სიცხე ნაჭარბი ვერ ასხვავებს აზრთა სარკეში აჩენილ სახეს ხორცმოსილის ნამდვილისაგან. აქაც აგრეა.

– მაშ სიყვარული თავს ევლება თვით ოცნებას განსახებულსა?

– უცვლელ-უნივთო არსთა ბჭემდის მოსულ სახესაც სინამდვილისა. ოცნებას ეძებ სინამდვილეში. სინამდვილე შეიქმს ოცნებას. მაშინ...

– მაშინ მოხიბლული ვეღარ მოსწყვეტს თვალს ხორცშესხმულს ოცნებას, თვისსა ნანატრს.

აკი რომ ვეღარ მოსწყვიტა იასემ თვალი თვის საოცნებოს, თვის სანატრელს. ნელ-ნელა აღმოჩნდა მის ცის ტატნობზე ეს მისი ნატვრა. ბალღობიდან მოსდევდა ეს ახლო მეზობელს. იასე რომ იმთავითვე ესწრაფოდა სამძივართან მჭიდრო ერთობას, უფროსებს არა ჰქონდათ დიდი ერთობა ან მისვლა-მოსვლა. იშვიათად შეივლიდნენ ერთმანეთთან, ჭირში თუ ლხინში. ლელვარიანი უფრო მდიდრები იყვნენ და საჩინარი. დიდებული სახლი-სასახლე ბაღჩა-ბაღით დამშვენებული. დიდი ზინეთი მამაპაპური. სოფლად მამული, საზაფხულოდ კარგი სავანე, ზამთრისათვის ნუზლა-სარჩოს უხვად მომცემი. ამაყობა მოსდგამდათ იმათ, უკადრისობა. თითქოს მაღლიდან დაჰყურებდნენ ქუჩას, უბანსა.

– გაიხედე, დედი! ურემი მოუვიდათ ლელვარიანთ დაჩარდახული.

– მეც ვხედავ, შვილო! სოფლად წავლენ საგრილობლად ეგ ბედნიერნი.

– დიდხანს დარჩებიან იქ, შემოდგომამდის, – დასძენდა ბალღი დაღონებული.

– სუფთა ჰაერზე დაჰლევენ ზაფხულს ლამაზ ბუნების უბე-კალთაში, – იტყოდა დედა

და შური გაურბენდა თვალებში.

– რა გული გაგიტეხია, დედაკაცო! ცხელა ქალაქში ზაფხულობით, მაგრამ ჩვენ შეჩვეულნი ვართ და არ დავდნებით არც წლეულს. თუ ეგენი ეხლა არიან მდიდრები და ამაყობენ, მომავალი უფრო ჩვენია, უკეთესი დარი დაგვიდგება, საბედნიერო.

– მომავალი? კოდელს ნინოს აკითხვინე, თუ...

– რა მკითხავი გინდა და მარჩიელი: იმათ ერთადერთი ბიჭი ჰყავთ, სხვა სულ ქალები; ჩვენი სახლი ვაჟებით არის სავსე: მათგან გავლენ და გაიტანენ, ჩვენთან შემოვლენ, შემოიტანენ.

– მხოლოდ შემდეგში! ეხლა გვჯობიან, სავსე სუფრაზე უფრო თავს სხედან.

– რითი გვჯობიან? მაგათ თუ თავიანთი პური აქვსთ, არც ჩვენ გვაკლია ღვთის მოწყალება: მანათ-ნახევრად კოდი თავთუხი, მზამზარეულად კარს მოტანილი. საკუთარი მარანი აქვთო. არც ჩვენ ვნატრობთ ღვინოს თუ ხილსა: თუნგი აბაზად ღვინო რჩეული ჭაშნიკის ნახვით, ხილი სხვადასხვა სულ ბეყაფულად. არც შრომა, დარდი თუ რამე ზრუნვა. სამი კოპიტის რძე თუ მაწონი მთელ ოჯახს ჰყოფნის. რომელი გინდა სოფლის ნაშრომი, რომ ჩვენ ქალაქ...

– ვიცი და ვხედავ! მაინც ხომ უნდა ნაღდი ყოველდღე.

– ფულშიც ვაჯობებთ: ჩვენი იასე სამსახურშია, წარჩინებაც მოელის. რატომაო?! კეთილშობილი სასწავლებელი მთლად გაათავა, რუსულს აკვესებს. ახლა სხვა ბიჭები წამოგვეს...

– ეჰ, ქალაქელი ხარ და ვერ გაიგებ, რა სიამოვნებასა გრძნობს კაცი სოფლად ბაღჩა-ბაღებში, ჭირნახულით სავსე მინდვრებში, ველსა თუ ტყეში.

– აქ კი ცოტა არის სასეირნო ბაღები და გასართობი ადგილები! შნო ჰქონდეს ადამიანს, თორემ ქალაქში უკეთესად შეიძლება დროს გატარება. ტყუილად კი არ ეტანება მილეთის ხალხი ამ ჩვენ ტფილისსა.

– ენაზე ჭალი არ მოგედება; სიტყვის გუდა ხარ ცალიერი...

ცოლს კიდევ უნდოდა განეგრძო ლაპარაკი, პირზე მოადგა მწარე სიტყვები, ვაჟკაცის გულის დასაბუგი გესლიანი თქმა, მაგრამ აღარ სთქვა. სურდა მიემცნო კაცისათვის, რომ ფონს ვერ გავიდოდა სხვის იმედებით, თუნდაც შვილისა, მეტი მხნეობა უნდა გამოეჩინა და ადვილად წაუსწრობდა ლელვარიანთ ქალაქში, სოფელშიც, მაგრამ დადუმდა.

ვერ იყო ამ მხრივ კმაყოფილი ქალი თავის ქმრის: ბრგე ვაჟკაცი, მოხდენილი თუ ყავლიანი, არ იყო საქმის მოყვარული, მშრომელ-გამრჯელი. აღარრა უთხრა: იმთავითვე გულსავსე იყო თვის ვაჟკაცისაგან და დაენანა; ტყუილად კი არ გამოჰყვა ქმარს თავის ნებით, ოჯახის უფროსთ დაუკითხავად.

## 8

მიიხრება მზე სამხრეთისაკენ, იწყებს ქვეყანა შეღონებას; ნისლი ეხვევა მკერდზე ბურუსად; ეფინება სევდის რიდე ჩამუქებული. შორდება მნათი და მატულობს ჯანღი მისი მწუხარებისა, გულს ეფინება ცივ ცვარებად გარდაქმნილი, გაყინულ ნამად. ბორკვენ მიწას ყინვის საკვრელნი, არინდებენ, გააქვავებენ, მკვდარს ამსგავსებენ სითბო ჩაშრეტილს. ქარბუქად ისმის შემზარავი გმინვა მიწისა; სადღა

არის ეშხიანი მისი ნანა ტკბილი ნაზი, მისი მღერა მოცეკვავე ფოთოლთ შრიალში?! თეთრი ცრემლები!

გადახრილიყო ჭაბუკისაგან იგი მზექალა, შორდებოდა გრძნობანაჭარბს, მიისწრაფოდა; ჩამქრალიყო ვაჟის გულში ნათელის ბრწყინვა მხიარულისა.

ემზადებოდნენ ლელვარიანნი, დასდგომოდნენ სოფლად წასვლის გზას. ხშირდებოდა კაეშნის ჯანღი ტრფობით გამსჭვალულ ვაჟკაცის სულში. ჩააბარგეს, აავსეს ეტლი, შენივთდა ნისლი, გარდაიქმნა უჩინ ნამებად. ჩასხდნენ სხვა ეტლში, გაჰქროლეს, იქნენ უჩინარ; ცვარად შანივთდნენ იგი ნამნი, თვალთა ცვარებად. გაცივდა მისთვის სახლი მეზობლის, მთლად დაიცალა. შეიყინნენ ცრემლის ცვარნი, თრთვილად გარდიქმნენ, გულის ყვავილთ მომაშთობელ თოვლის ფიფქად. თეთრი ცრემლები!

გრძნობდა ამ ცრემლებს სევდით პყრობილი. ხედავდა და... თავს არიდებდა თავისიანებს: აუგი იყო ვაჟკაცისათვის თვალთა ნამვა, ბოღმის დაჩენა.

– რა დაემარმა იმ კაცს? სახლში აღარ შემოდის, ოჯახში გული აღარ უდგება; მხოლოდ ღამ-ღამე გვეჩვენება დაღონებული.

– არც სადილად მოვიდა გუშინ. ღამე გატეხილი იყო, რომ მოაღწია. ნასვამსა ჰგვანდა.

– არ მომწონს მე მისი ქცევა! ვეტყვი, შევრისხავ. ვერ მოუვლის თავის ოჯახს გაქსუებული.

– მისი დაღონება და განზე გასვლა გადაბმულია სამძივარის შინ არყოფნაზე... ჯინჯილით არის გადაჭდობილი.

– მეც შემინიშნავს, თუ ქალი შინ არის, ვაჟიც შინა ზის, ვით პატარძალი; დიდ ერთგულებასაც იჩენს საოჯახო საქმეებისას; მაგის სავალი მაშინ მხოლოდ სამსახურია.

– იასეს გული მას უბყრია ხელთ: ის რომ შორს არის, ესეც შორს არის ჩვენის კერიდან.

– ძნელი არის სიყვარული; ჩემო ლამაზო! მე თუ ესე ძალიან არ მიყვარდე, შინ რა შემომიყვანდა?! მზად არის სადილი? აგერ დაცალეს ზარბაზანი საშუადღეო.

– ჩემი მომზადებული სადილ-ვახშამი უფრო გიზიდავს, როგორც მე ვხედავ.

– ნუ გამაგონებ! გინდა ეხლავ დაგიმტკიცო, როგორ მომწონხარ ახალგაზრდულად.

შინ არა დგებოდა იასე. სად წავიდოდა, საით გაექცეოდა საკუთარს თავსა? სად იპოვიდა იმ ზამთარში სითბო-სინათლეს ზაფხულისებურს? ზამთარი იგი მის სულში იყო, მის საწყალს გულში, თორემ ვინა სთქვა ყინვა გინდ სიბნელე ახალ ზაფხულში?!

ბალღობაშიც ესე იცოდა: რახან შინ არ დაიგულებდა მეზობლის ქალსა, გულს აჰყრიდა სახლსაც, საქმესაც. აჰყვებოდა ქუჩის ბიჭებს და ერიჰა! ფეხქვეშ ედვა სალაყბო, ანჩხატის ქუჩა, ვანქის უბანი, ყოჩაღი იყო ბალღურ თამაშში. ბინდისასღა შემოიქცეოდა სახლში დაქანცულ-გალექებული. აუჩივლდებოდნენ მაშინ მწვრთნელნი თუ მეზობელნი დაუდეგარსა. უეცრად გამოიცვლებოდა, რაკი სახლში იგულებდა ამხანაგ ქალს. იქვე უჩნდებოდა მას მაშინ საქმე: თვალ-წარბში შეჰყურებდა თავის მბრძანებელს, რომ სიხარულით აესრულებინა მისი სურვილი. ეხლა ის დამჯერო იყო სამძივარისა, მის ტოლ-სწორისაც, რომლებიც თავს იყრიდნენ ლელვარიანთ ფართო ეზოში. ზურგს შეაქცევდა ამ დროს იგი თავის სწორ ბიჭებს. ქალაჩუნას უწოდებდნენ ეხლა იასეს, თუ გამოცდილი არ ჰქონდათ მისი მუშტის ძალა, ყველა ვაჟურ გასართობში მისი უნარი.

თვისნება ბიჭი, თვის ქეიფზე თუ სურვილზე მოსიარულე უძლური იყო იმ მეზობლის ქალის წინაშე. ვერ იტყოდი ვაჟური მილტოლვა ბზარავსო მის ნებისყოფას:

ხორციელი მისწრაფება არ იყო ჯერ მკვეთრად სახული, თვის ძლიერებით ჭურვილ-მოსილი, თვის ბუნებრივი ძალით ძლიერით. ალღო თუ რამ ამოქმედებდა ვაჟს ამგვარად, მისწრაფება მშვენებისადმი, რის მსახველიც იყო პატარა.

– რიდი აქვს ჩვენი და დიდი ხათრი, ძლიერ ვუყვარვართ, მაგრამ საკვირველად ემონება ბიჭი სამძივარს.

– ერთი ვინმე სხვისა შვილი მთელ ქვეყანას მირჩევნია...

– ჯერ ადრე არის მაგისი თქმა.

– არა უშავს რა! წინწაგდებული საკეთები ადარეულისგან.

## 9

ადრე იყო იასესთვის ლექსის სიტყვები თუ მისი აზრი: პატარა იყო იმ განცდისათვის; ქალიც პაწაწა, იმ ხნისა იყვნენ, როდესაც ქალ-ვაჟი არც თუ ისე ირჩევა ერთმანეთისაგან, როდესაც ისინი ეთვისებიან ერთმანეთს, როგორც ტოლ-სწორი. ორივეს უხაროდა ერთმანეთის ნახვა, უღიმოდათ ხილვა, შეხვედრა. მაინც ქალის გრძნობა არ იყო ისეთივე უანგარო, როგორც ვაჟისა: ამას უხაროდა ყვავილი სულდგმული, მშვენება იგი მოღიმარე; გულს უხსნიდა მას და შეუგნებელ სურვილს ჰბადებდა, დაჰხმარებოდა კეთილ ბუნებას ლამაზ ყვავილის გასახარებლად, თავისი ძალაც შეეწირნა თუნდაც მცირედი. ამას ესმოდა, პაწაწა ქალს, ვაჟის ესეთი განწყობილება, ალღოთი მიმხვდაროყო ის. ისიც იცოდა, რომ თანაგრძნობა იყო წრფელი, ხანიერი, ამტან-გამტანი, და სარგებლობდა თავის გავლენით: ამაყობდა, მბრძანებლობდა, ჟინის ბჭემდის მიიტანდა თავის სურვილებს. შეეთვისა ბრძანებას თუ განკარგულებას; გაუკვირდებოდა, თუ ოდესმე ხელთ არ ჰყოლოდა შინაყმა თავისი სურვილების ასასრულებლად. მაინც ბიჭი ჯერ არ იყო მთლად მოღვედილი თუ მოქნილი პაწაწას ხელში: იწყენდა მისგან, ყოყმანობდა მის ბრძანებაზე. უებარი წამალი ჰქონდა ქალს გაჯიქებულის მოსარბილებლად; გაუღიმებდა ნუშის გულივით მოგრძო თვალებით, მარწყვის ბაგითა, ნაკალმი სახით, მთელის თვისის ლამაზი არსებით და გადუმტვრევდა მას ნებისყოფას.

სიმცროდგანვე ეტყობოდა ქალს მბრძანებლობის კილო. ქალბატონად თუ გაეჩინა განგებას იგი. რაც იზრდებოდა, უფრო და უფრო სატრფიალო ხდებოდა ბალღი, კარგის თვალით დასანახი, მოსაალერსი. არავინ არ გაივლიდა ლელვარიანთა, მისი დაყვავება სასიამოდ არ დარჩენოდა, მისი ამება თავის საამებლად: სიმშვენიერე მომხიბვლელით თვით გულღრძოსათვის.

– ვისია, ქა, ეს კარგი ბალღი?! – იტყოდა ხშირად უცხო გამვლელიც

და ხელს მოუსვამდა ფუნთუშა ლოყას, ჩახუჭუჭებულ უხშირეს თმაზე.

– რა მშვენიერი ყმაწვილი ჰყავთ ამ ლელვარიანთ: ნაჩხუბები ვართ, უმძრახათ ვსდგევართ, მაინც ვერ გავსძელ: ერთი ჩავკოცნე, ჟინი მოვიკალ.

– კეთილი ზრახვა კარგის გულისა! ბალღი ანგელოსია და უფროსების ზავთი, ბოროტი არ უნდა ეხებოდეს პატარას, იმაზე არ უნდა გადადიოდეს დიდრონთა მტრობა.

თვალი იცოდა პატარამ. საღსალამათს გაიყვანდნენ სასეირნოდ, დაავადებულს შემოიყვანდნენ, ბევრჯერ სიცხიანს.

– ბალღი ავად არის, დედი, ალბათ გაცივდა.

– ესე ანაზდად რამ გახადა ბავშვი შეუძლოდ?! მომგვარეთ აქ უფლისწული, ეგ ნაზმაზუნა!

ჩამოართმევდა, აკოცებდა, ლოყას დაადებდა: სიცხეს უზომავდა.

– არა, შვილო, ავად კი არა, თვალი სცემია.

– სულ იმას ჩაგჩიჩინებ, გოგო, ყველას ნუ მიუყვან ბალღს, უცხოს, გამრიელს! ვინცა არა მგონია ჰკოცნის ჩვილსა, ეალერსება.

– მოსვენებას არ მაძლევენ, ქალბატონო; ყველა თავს ევლება; სწყინთ მოვაშორო, არ დავანებო.

– მომიტანეთ აქ ნახშირი, დანა შავტარა!

მიართმევდნენ. შეულოცავდა. თვალნაკრავი აღმოჩნდებოდა, ბოროტისაგან ავად ხიბლული: მთქნარებით ჰღლიდა შემლოცველ მოხუცს.

ის შეიქმნა საფიქრებელი, რომ პირში ქებამ, მის სილამაზით ყველა კაცის აღტაცებამ ძალიან ადრე მიახედა ბალღი თავის თავზე. ჯერ არ კი უნდა სცოდნოდა, რა იყო სილამაზე, ან რის მაქნისი, როდესაც იმას რჩეულად მიაჩნდა თავის თავი, ასულდგმულებული სხივის ნატეხად. ადრე დაიწყო კეკლუცობა, შეეთვისა სარკე-სავარცხელს. როდესაც მიაბარეს იგი აღსაზრდელად განთქმულ მწიგნობარს და მასწავლებელს, იქაც დაჰხვდა ალერსი და აღტაცება. თითონ დაბრძნობილი ოსტატი ელისაბედ მეტს ყურადღებას აქცევდა ლამაზ მოწაფეს: ბევრს უთმენდა მას, ეშველებოდა.

– რა ვქმნა, გენაცვათ, თვალი სჭამს საჭმელს: ბალღის სახეზე ვასვენებ თვალებს, წიგნებში თუ რვეულებში ჩაწყალებულ თვალს.

შესამჩნევი იყო, რომ ამხანაგებს არა სწყინდათ ოსტატის მიკერძულობა, ბუნებრივადაც მიაჩნდათ იგი: თითონაც ძალიან უალერსებდნენ ტოლს, განაზებული ჰყავდათ იგი. იყო ერთი-ორი მოლამაზო მისი მოქიშპე, მაგრამ იმათ ყურადღებას არავინ აქცევდა.

ჯერ ისევ პატარა ეთქმოდა ქალს, როცა მასთან ურიდებლად ლაპარაკობდნენ, როგორ მრავალი მთხოვნელი ეყოლებოდათ ლელვარიანთ, როცა სამძივარი ქალობაში ჩავარდებოდა.

– ჯერ რა არის! წამოიზრდება, ორივ ხელით დაიბანს პირსა და მაშინ ნახეთ, დაგეხვევიან მაგის მთხოვნელნი; საუკეთესო რაინდები აგიტალახებენ კარ-მიდამოს, აირჩიეთ, რომელიც გნებავთ!

– ქალის ყოლა ხომ სამძიმოა ოჯახისათვის: ცოდვის შვილია იგი და დედ-მამა ცდილობს თავის სიცოცხლეშივე დააბინაოს, საფლავში არ ჩაიტანოს იმისი დარდი. თქვენი სახლისთვის კი ეს ქალი ვაჟის დარია; საუკეთესო ჭაბუკს მოგგვრით ახალ შვილად.

მართალს ამბობდა: ძნელი იყო ოჯახისათვის ქალთა სიმრავლე. შეუძლებელი იყო მაშინ ქალს თავისით ეცხოვრნა; ძნელი იყო სათქმელი რამ განათლება მიეცათ მისთვის: ცოტა იყო ქალთათვის მოწყობილი სასწავლებელი; ერთობ ძნელდებოდა იქ ქალის აღზრდა: მეტად მდიდრებს, დიდკაცებს უწვდებოდათ იქამდის ხელი. განათლებითაც საქმე წაღმა არ ბრუნდებოდა: ქართულ კერისთვის აღარ ვარგოდა სხვა ნიადაგზე აღზრდილ-გაწვრთვნილი, მოძულეთაგან გარდაქმნილი, გარდაბირული. ცხოვრებისთვისაც ვერ იყენებდნენ აღზრდილნი სწავლას. არა ჰქონდათ მათ უფლება მინიჭებული. უკარნახებდა მათთანასაც მკაცრი ცხოვრება.

– ეძიე, ჰპოვე ვაჟკაცი შენი, ფათალოსავით აეხვიე მას: მისი ძლიერებით იარსებებ წუთისოფელში.

ამისათვის მიაჩნდათ ძნელ ტვირთად ოჯახში ქალი და რაკი წამოიზრდებოდა, მაშინვე იწყებდნენ მის იღბალზე სჯას, საუბარსა.

ასცდენოდათ ლელვარიანთ ასეთი დარდი, არ ნაღვლობდნენ სამძივარის გათხოვებაზე, არ ეშინოდათ, რომ მათი ქალი მსწრაფლ იზრდებოდა ყინტორასავით; მოხედვას ვერ მოასწრობდნენ, რომ სასძლოდ შემზადებული თავს წაადგებოდათ იგი.

– ამას მალე დავაბინავებთ; გაადვილდება სხვა ქალების დაბინავებაც: ახალი სიძე, ახალი კერა, ჩვენი სისხლ-ხორცი, დაგვეხმარება ამ საზრუნველში; მებრძოლნი რომ მეტნი ვიქნებით, უფრო ადვილად გავიმარჯვებთ სიძნელეზე, – იტყოდნენ ლაღად.

წრფელად უბნობდნენ ამას, ამგვარებს: მინიჭებოდა მათ ქალს მშვენება. თილისმა ყველას მიმზიდველი, დამმონებელი. თითონ ქალიც ესე ფიქრობდა. იმდენი უთხრეს, ლამაზი ხარო, რომ დაარწმუნეს ამაში იგიც; მხიარულად მოელოდდა ყისმათს სანატრელს.

– მოვა, მოდის! მოილტვის მისთვის საოცნებო იგი იღბალი, თეთრს რაშზე მჯდომი რაინდი მშვენი. თან მოჰყვებიან იმ თვალთ წარმტაცს მხლებლად ჭაბუკნი. მშვენიერი ტალავარნი, პირდაპირადი საჭურველი ოქრო-ვერცხლში მბჭყვინავ-მბზინავი, ფარჩის შრიალი... მოვა მძლავრი მოკრთალებით პირმანგის წინ; შეევედრება, ბედნიერჰყოს იგი ტრფიალი, მოინებოს მისი მეუღლობა, ცხოვრებაში თანამგზავრობა, მასთან ცხოვრება საოცნებო, საზღაპრო ყოფა. მდიდართ შვილია დიდებული. უამრავი მამული სოფლად, ქალაქში; ყმათა სიმრავლე. ოქრო თუ მოსწვიმს მის უხვ ხელიდან.

– სასახლეშიც კარგად არის მიღებული იგი ჭაბუკი: დიდი მმართველი პირადად იცნობს მას, დიდის იმედით შეჰყურებს მის სამხედრო ნიჭს. ჯერ ისევ მთლად ახალგაზრდას უბოძა ჯვარი; სხვა წყალობაც ბევრი აღუთქვა. დიდი ჯამაგირი... სულ არ უნდა სასყიდელი სიმდიდრით სავსეს

და გრძნობდა ქალწული რაინდს მომავალს, მოახლოებულს. კიდეც ხედავდა გონების თვალით მურაზით სავსეს; ხმაც კი ესმოდა რიხიანი, სხვის მბრძანებელი, ქალთამზისათვის რბილებული, ალერსიანი.

– ფრთხილად კი, კარგო! შურით გიმზერენ ნამსახურნი, გამოცდილნი; არ შეგამთხვიონ რამ ბოროტი ბნელის შვილებმა.

– ნუ გეფიქრება! მძლავრი სული განაქარვებს ვერაგობას, შურით ნაქსოვს; ჩემმა ხმალმა მსწრაფლ განკვეთოს ბნელის ხლართები.

სწამდა ტურფას თვის ოცნება, ხორცშესხმულად თუ ჰხედავდა თავის ნატვრებსა. და მითომ რატომ? თუ იგი ჭაბუკი განთქმული იყო საქართველოში სიჩაუქით, თავისის ქველობით; არც სამძივარის სახე იყო ან სახელი მიჩრდილებული. ყველა იცნობდა, ყველას სმენოდა მოსალანდი მისი ხატება.

– სასახლეშიაც ხშირად ვიქნები. დამჭირდება ჩაცმა-დახურვა ახალნაირი, მიხვრა-მოხვრა, ქცევა-ყოფა, მათებური ცეკვა-თამაში, მათი ქვეყნის სიტყვაც უბრკოლველი. მე კი...

და უბრძანებდა ჟინიანი თავის მორჩილ ოჯახს, ეშოვნათ მწვრთნელი, რომ ესწავლა უნაკლულოდ ყველა ახალი. უსრულებდნენ ჟინიან სურვილს: ღონე შესწევდათ. თითონაც გულში იმას ფიქრობდნენ, რომ მათ შვილს ყოველივე დასჭირდებოდა. შეამზადეს. ასწავლეს. გაწვრთნეს. ბედს მოღიმარეს რომ ელოდდნენ, სწრაფად მომავალს ლამაზ მერმისსა, საოჯახო საქმისათვის აღარ გასარჯეს. გასართობი საქმე მსუბუქი, სალამაზო კერვა-ქსოვა საჩვენებელი. ასე იზრდებოდა ის

ქალთამზე მამის ოჯახში, მდიდარ კერაზე, მაინც არც ისე დოვლათიანზე, რომ დაეფარა შემთხვევითი რყევა შემდეგში, თუნდაც აწმყოში, სახიფათო ზრდა სათუთი და დამყოფება. უქმად ტარება დღეთა, თვეთა, სხვის იმედზე დაყრდნობილი ცხოვრების დენა, სწრაფ მომავალ ხვალის იმედზე.

არც თუ ისე ისწრაფოდა იგი რაინდი. განვლეს წელთა ორაზროვნად მოღიმარეთა. ცის ტატნობზე არ მოსჩანდა მოელვარე იგი ჭაბუკი; მისი სწრაფის ხმაც არ ისმოდა, მისი რაშის ჩქამი. უკვირდა ეს ამაყ ქალწულს, კიდეც სწყრებოდა. ქალის დედ-მამასაც შიგადაშიგ აფიქრებდა ეს საოცნებო. მაინც ჯერ არ იყო დაჟინებით თუ დაღონებით ამაზე ფიქრის დრო: ახალნორჩი მათი ქალი ჯერეთ ისევ იფურჩქნებოდა, არ ვსებულიყო სრული მშვენებით იგი პირმანგი, მჯადოებელი ბრწყინვალებით სავსე მთვარისა.

## 11

მიჰქროდა ჟამი უყოვნები, მიისწრაფოდა; არ ბრუნდებოდა; არც გარს უხვევდა. იდგა იასე ერთსავ ადგილს ფეხმოუცვლელი და თუ იძროდა, გარს უვლიდა თვის ძველ ნაცნობ ახალ მნათობსა. წრეს თუ ავლებდა ახლო მანძილზე, შუკის სივრცეზე, ქუჩის სიგრძეზე და ლოცულობდა წრფელის გულით, აღტაცებით ლოცულობდა იგი მოსავი, თაყვანსა სცემდა ახალ ქალწულსა, თავის სამძივარს ევედრებოდა.

– რა კარგი რამ ხარ, დალოცვილო, რა ეშხიანი! თვით მშვენება ხარ მოღიმარე, თითონ ღიმილი დამშვენებული!

და დაჟინებით თავს უვლიდა იგი ტრფიალით იმ არემარეს, არ შორდებოდა, არც გაჰრიდებდა! საით უნდა მიხრილიყო, სად წასულიყო? მისი საძებარი იქ სუფევდა, მარად სანატრი, იქა ბრწყინავდა მანათობლად მის სანუგეშო.

– ეს მანძილიც შემოკლდება. ჩვენი გამყოფი; შემცირდება, განილევა, მთლად განქრება; დამიდგება დრო სანატრი, წუთი ლაჟვარდი და მაშინ...

ეჰა, იასე ეკლესიაში ყელმოღერებით ქალწულის გვერდზე: ასტოლებია თავისსა სატრფოს პირმხიარული. ანთებული კელაპტრები, ბაბთით კაზმული, აგერ შეეხო არჩის ყოში კაბის სახელოს; ხელიც კი მოჰხვდა ქალწულის ნაზ ხელს. როგორ ციაგობს სანთლის შუქი ნათელ სახეზე! რა ძლიერა ჰსურს ახლოს სახე დაბასმულ ლეჩაქს, მისსა არშიას! მოხარა თავი ქალისაკენ; ვერ მისწვდა. ვერა; ეჰ, ვერ შეეხო. ფიანდაზად არ შესდგა ფეხი განზრახ პირველმა. თუმცა ეს იყო უფლება მისი, მომავალი კერის უფროსის.

– შენ იდედოფლე ჩვენს ოჯახში. შენ იმბრძანებლე სულ ბოლომდის, ჩემის სიცოცხლის აღსასრულამდის. მე შენ გემონო ტკბილ მორჩილებით!

რამდენი ხალხი! მთლად ავსებულა დიდი ტაძარი. შეჰყურებენ ჩემს ახალ სულსა, ვერ გამაძღარან იმის მზერითა შემომნატრიან ბედისაგან რჩეულსა და...

– კაცო იასე! რამ გაგაქვავა ამ ერთს ადგილს და აღარ იძვრი? ნუთუ მოგხიბლა ჯადოსანმა, აგართვა ძალა?!

გამოერკვა ვაჟი ოცნებას. ქუჩაში მდგარიყო, სატრფოს სავანის მახლობლად, ბრძოლის კოშკის წინ. მოტყუვდა იგი მეოცნებე. ამოიოხრა. გაჰყვა ამხანაგს. შეუგნებლად, უფიქრებლად მისდევდა სხვასა. რად მივიდოდა, ვის სანახავად, რის საპოვნელად?! ერთადერთი თვის საძებარი იქვე ჰყვანდა, იმ მშვენიერ არემარეში...

სამძივარიც როდი იყო მთლად უგრძნობელი, არც რომ მავნე მისწრაფებით ბოროტ სურვილით შეპყრობილი თვის სიყმაწვილის მეგობრისადმი. კარგად ჰხედავდა მისსა ვედრებას, უსიტყვო ლოცვას მისდა აღმართულს. გაუღიმებდა

შიგადაშიგ ფანჯრიდან, ან კარიდან, აივნიდან. ეშხიანად გაჰხედავდა თვისგან მოხიბლულს. გონების თვალითაც ხშირად უმზერდა ქალი იასეს. ფიქრობდა მასზე. მაინც ცდილობდა არ შეემჩნია მოტრფიალეს ეს მისი გრძნობა. ცდილობდა დაეფარნა ის მცირედი თანაგრძნობაც, რომელიც აღვიებულიყო მის გულში, ნასახიც კი იმ ლბილი გრძნობის.

გულქვაობით არ მოსდიოდა ეს სამძივარსა, არც თუ იმისთვის, რომ ბოროტად ეტანჯნა ვაჟი, ქალს თავისი თავი მეტად უყვარდა. უფრო მეტად, სინამ ჭაბუკი; მისი გული თბილი იყო იასესათვის, არ ხელდებოდა, არ დუღდა, არ ქაფქაფებდა იმ ზომამდის, როცა მოტრფიალეს ავიწყდება თავისი თავი და ლანგარზედ მიართმევს თვის გულს შესაწირად, დასაწველად. სულსაც შესწირავს თვის ბედის ვარსკვლავს, თვის ახალს სულს. კარგი იყო იასე, მაინც არ იყო იგი ჭაბუკი, რომელიც სათავისოდ დაესახნა ქალის ოცნებას აღფრთოვანებულს.

– უძრავადა სდგას და შემომეტრფის უსიტყვოდ, უხმოდ. კარგია, კარგი! ძლიერი გრძნობა მომწონს მე მისი. თვალიც მარჯვე აქვს: მაშინვე შესძლო დაენახა ჩემი მშვენება, ღირსეულად ეფასებინა. ბევრი ჩამივლის ბრმასავით ახლო: არ უსხნენ თვალნი მზერად შუქისა, არც აბადია სარკე გონების მისი სიკეთის შესაფასებლად. მომწონს იასეს ქცევა კრძალული, შორით ღაღადი, თაყვანისცემა, მაგრამ...

– რაღა გაბრკოლებს, ლამაზო ჩვენო, არ ანუგეშებ, არ ინუგეშებ?

– უფრო მდარეა ჩემთან დარებით! ვერ შემომწვდების თვისის სიკვდილით. მე უნდა დავდრკე და... დაუმდაბლდე; მევე ვეურჩო ჩემს მაღალ იღბალს.

– რა ბედს ეურჩო, ქალბატონო?! – განცვიფრდა ბორცვი მემარცხენე.

– იმ ბედს, ლამაზო, რომელსაც ვხედავ, რომელს განვიცდი გონების თვალით, ვგრძნობ, რომ მოილტვის, მოესწრაფება. შენ ვერ განცდი, დახშულში ზრდილო; შენ ვერცა ჰხედავ, კარჩაკეტილო!

– სხვას ვისმე ჰხედავ და გრძნობ სიახლეს!

– აგერ ჭაბუკი, ნაძვი მავალი. როგორ უხდება ჩაცმა სამხედრო! მხრებზე ჯინჯილი, მკერდს სისხლის ჯვარი, წკრიალით მოსდევს გვერდს ბასრი ხმალი; მოაჟღარუნებს ბრჭყვიალა დეზებს!

– ვერა ვხედავთ, გენაცვალეთ, ჩვენ იმ რაინდსა! არსაით მოჩანს...

– რას დაინახავთ, თქვე საწყლებო. ფარჩის უბიდინ, გულისპირიდან?! სასახლეში მიღებულია, დიდ მმართველის მარჯვენაა ჯერ ახალგაზრდა. თვალი რჩება ყველას მასზე. ბევრსაც უბნობენ იმ ბედიანზე.

– არა გვსმენია მასზე ჩვენ სიტყვა!

– ყურთ თუ გაკლიათ, თქვე ბეჩავნო, აღარ თუ გესმით! ის არის ბედი, ჩემი დარი, მე მის სადარი. იასე კი...

– მოგწონს იასე!

– რა ჩვილები ხართ, გამოუცდელნი! იასე მხოლოდ კარგი არის, სხვა არაფერი. არ შესწევს ძალა თუ ღირსება მხარდამხარ მიჰყვეს ბედის რჩეულთა სარბიელშემოფარგლული უბრალო კაცი. როდის და რას ეღირსება მთლად უმანძილო, შეზღუდვილი სავალით მსვლელი?!

– ახალგაზრდაა. ეხლაღა იწყო კაცმა ცხოვრება.

– მაინც ცხადად სჩანს მისი ძალა, მისი უნარი. ვერ ეწიოს აღმატებულს ცხოვრებას იგი. მიკვირს, მოილტვის ჩემსკენ უტეხად; რად არ გაზომავს სივრცეს ჩვენს შორის?!

– მაშ გაუმჟღავნე მოტრფიალეს ბედი უბედო; გადაჭრით უთხარ უარყოფა, მოსპოს იმედი.

– ცოდვაა, ბეჩავ! უიმედო ის იმედი ასულდგმულებს მას. დეე იცოცხლოს ბედის მლოდნემ, იაროს ქვეყნად.

## 12

გულახდილი როდი იყო ქალწულის სიტყვა; თვის საიდუმლო ზრახვაშიაც არ იყო წრფელი: სიბრალულით არ აყოვნებდა, არც იმ სურვილით, არ დაესერნა ვაჟკაცისათვის გული მგრძნობარე. თვისი ალერსი მოქმედებდა ესეთ ძნელ სახით. საუკეთესოს მოელოდდა, იასეზე კარგს. დარწმუნებული, დაჯერებული, რომ შეჰხვდებოდა საიშვიათო. უსათუოდ! ეშხი არ აკლდა. არც ქცევა-ყოფა, განათლება, თუნდაც შეძლება. ყოვლად კარგ სასძლოს ყოვლად კეთილით სავსე საქმროც უნდა ჰხდომოდა. უსათუოდ აუჩნდებოდა!

– მაშინ იასე?

თვისით ისწრაფოდა იგი ქალისაკენ. სრულებითაც არა ცდილობდა სამძივარი იმის მიზიდვას. რა უნდა ექნა ქალს?! ალბათ ამ უნივთო თუ უმიზნო ტრფობა-ღაღადში ვაჟი ჰპოვებდა თავის სიხარულს. სისასტიკე იქნებოდა ქალის მხრივ, მოესპო მისთვის იგი სიამე. ინუგეშოს შორით კდომით. ვის რას დაუშლის?

– საბოლოოდ, ჩემო ქალთამზევ!

– საბოლოოდ... მომავალმა უწყოდეს ბოლო, იმან განსაჯოს. მაინც ბრალი არ მიმიძღვის, არც თუ რამ ცოდვა, თუ ჩემს გზაზე იტანჯება, მარცხი მოუვა: მიზნად დაიდვა შესწვდეს უმაღლესს.

გრძნობდა ამას თითონ იასეც, კიდეც იცოდა, თუმცა ისე ცხადად კი არა, როგორც იტყოდა თვითმოყვარე იგი მზექალა: გადაჭრილი უარი არ მიეღო ვაჟს თვის სატრფოსაგან; არც მის ქცევაში ახატულიყო რამე ისეთი, რომ ჭაბუკი დარწმუნებულიყო თავის მარცხში და იმედი დასწყვეტოდა თვის საძებარში. დაბმული ჰყავდი მტკიცე ლარით ლამაზს ვაჟკაცი. გულის სიღრმეში უსარგებლოდ როდი მიაჩნდა, მოთაყვანე გამობმული მანდილის ყურზე.

– რისთვის უნდოდა?!

– რაიმე უბედო შემთხვევისათვის, ესეც ირ იყოს, უალერსებდა თვითყვარეობას კაცის მონობა: იგი მზე იყო, ქვეყნად მავალი, უნდა ჰყოლოდა გარს მბრუნავი მასაც მნათობი, სივრცეში მასთან თანამავალი. თუნდაც ცთომილი.

აზრიანიც მოსჩანდა უკვე ამგვარი ფიქრი წინდახედული: ისწრაფიდენ სამძივრისკენ მისნი მთხოვნელნი, მაგრამ მდარენი; კაცს უგზავნიდნენ მისთვის ნასნი, შეუფერებნი. იღებდნენ პასუხს თავის საკადრისს: მტკნარი უარი! ბევრს ჩაუხერგა თვისკენ სავალი, სამუდამოდ გადაუჭრა სურვილის გზები.

– რა სათქმელია! იასე განა ორჯერ არ სჯობს მაგისთანებსა?!

– მიკვირს, ზოგი რად ვერ იცნობს თვისსა ტოლსა!

– თვალთ მომჭრელია ჩვენი ქალი. ბევრს უბავს ხედვას.

– ბედსაცა სცდიან: გაუმარჯვდებათ, ხომ რა კარგი, არა და ისიც ეყოფათ სახელად, შემოგვეღირნენ.

– მაინც მიკვირს, რად გვხადიან დაბალნიც კი თვის მისაწვდომად; ძლიერ მაფიქრებს. ნუთუ ვერ სცნობენ ჩვენს ოჯახს ან იქნება ქალის მცირეოდენმა დახანებამ გაათამამა?!

– დახანება რა სათქმელია? ჯერ მაგის ტოლებს ბევრს არ გახსნია თვისი იღბალი.

– მაინც საფიქროა: განვლეს წლებმა...

– ქალი იჯდეს, ბედს ელოდდესო. რა გაღონებს? ისეთი ძვირფასია სამძივარი, რომ მის იღბალზე დიდი ზრუნვა არ არის საჭირო: მისი ყისმათი თითონ მოვა კარს.

– მეც იმედი მაქვს! სწორე გითხრა, მომწონს იასე. წყნარი, საქმიანი, კარგი კერისა, თვალად-ტანადი...

– ჩამოთვალე კიდევ სიკეთე! ვიცით შენი აზრი, გაგვიგია და შეგვიტყვია, საქმე გგონია გათავებული, იმისთვის თუ ხარ ყურწაგდებული.

– დაუდევარი, ოჯახისთვის მე უზრუნველი?!

– არსად მისდგებ-მოსდგები, არ გაიცნობ მდიდარ სახლებს თუ დიდკაცობას; წინანდელი მეგობრებიც ლამის დაჰკარგო. რით არიან შენზე მეტნი ის ბედნიერნი, სასახლეში რომ მისულან, გზა უკვლევიათ?

– ისვე დაიწყე! ჯერაც არ გითქვამს!

– კიდევაც ვიტყვი! რად არ მოგვაწყობ ახალ გემოზე, რომ ხანდისხან დიდკაცობას კარი გაუღოთ, რომ შევსძლებდეთ მეჯლიშს, საღამოს. მაღალ წრეში წესად მოიღეს: იბაასებენ, იცეკვავებენ, შეექცევიან ჭადრაკს თუ ბანქოს; უახლოვდებიან ერთმანეთს. ერთხელ ერთგანს, ბევრჯერ სხვასთან და...

– და ჭკუაში არ მომდის შენი რჩევა. თუ ღირსეულნი აღარ გვენუკებიან, ალბათ ეხლა სხვა ქალთ მისდევენ, უცხო ქცევის თუ განათლების; ვეღარ თუ ფასობს ქართველთ კერა, ჩვენი აღზრდა და ჩვენი ქცევა. თორემ არც ისე მიჩულულნი ვართ, ვერ გვცნობდნენ ან ჩვენ, ან ჩვენ შვილებსა.

არ დაიშალა დედაკაცმა, დაიყოლა ქმარი ჯიუტი: სიპს ქვას გახვრეტს ერთს ადგილზე ნადენი წვეთი. სახლის კარი გააღეს ფართოდ; მიიწვიეს და ეწვივნენ, შეიძინეს ახალნი მცნობნი, ვერ გამოდგა ცდა სახეირო: ვერ შეითვისა ქართულმა კერამ უცხოური ქცევა თამამი, სიხასე თუ ალქატობა წრეგადასული. მხოლოდ ხარჯს სწევდნენ უსაბაბოს, თითქმის უმიზნოს. რა კეთილი მოვიდოდა ნაყიში ცდითა: ახალ გზაზე ვერ დგებოდნენ მსწრაფლ, ვერ შეექვსნენ შემოტანილ ზნეს. მხოლოდ არყევდნენ და ბზარავდნენ ძველ ნაშენ კერას, ამღვრევდნენ სახეს თანისთანად ნაქანდაკევსა, ზნეობრივ სახეს ძველებური ქართულის სახლის. ბევრმა უსაქმოდ გარდალახა ღია კარები. ჰო. რჩეულნიც დადიოდნენ დროს სატარებლად, ამაო ხარჯი! არც ეხლა აჩნდა ქალის ბედი მბზინავ-მბრწყინავი. დაედვას მზღვარი კარის განხმას ფუჭ მავალთათვის: შეილახება კარის სიწმინდე!

## 13

ქალი მაინც ამაყად უსწორებდა თვალს მარცხის ლანდებსა, თუმც კაეშანი შეჰპარვოდა მაღელვებელი, უგულსავსობა ჯერ ურკვევი, ისევ ბინდ-ბანდი. ადრე კი იყო მარცხზე სიტყვა, თუნდაც ფიქრები: სრულ ქალობაში აწ შევიდა აფუებული. აღსავსე მკერდი დასრულებული. მთლად მოიწიფა შესატკბობლად, საფუფუნებლად.

– აი ეხლა დამშვენდება ლამაზს დედობა!

– მართალი თქმაა! შნო როდი აქვს ადრეულად გათხოვებასა, როცა ქალი ბოლო ტიკინს სცვლის პირველ შვილზე: ყადრი არ იცის ქმარ-შვილისა, არც თუ კერისა.

ვერ აწყნარებდა სამძივარ ქალს იგი ნუგეში; სწყინდა მას ბედის შემძიმება, ვერ გათხოვება. მიდის, მიღელავს დრო უხანო, მიეშურება. არ სჩანს რაინდი ქალის ბედზე, მისი სადარი, იყვნენ, იყვნენ მისი მთხოვნელნი! მიდიოდნენ მათ ოჯახში, კაცებს ჰგზავნიდნენ, მაგრამ ახალნი ვერ სჭარბობდნენ უწინდელებს. რად გაჰყვებოდა ეხლა ამათ, გაახარებდა? განა იმისთვის ჰყოვნიდა ქალი, რომ უარესებს გადაჰყოლიყო?!

მისთვის იცდიდა უკეთესი დაეხვივნა ლამაზ მაჯაზე, ვით ოქროს სალტე არ თუ ქარვის კრიალოსანი. მათაც უარჰყოფდა. ხანი ვიდოდა.

– ნუ იტყვი, ქალისთვის ხანდაზმა საშიში არ იყოს! ახლად გაფურჩქნილი ყვავილის მშვენება მაინც სხვა არის და სუნნელება. ახალ სიცოცხლეს, ნორჩ არსებას თვისი ეშხი აქვს, უდარები მიმზიდველობა. ალღოთი გრძნობს ყველა სულდგმული, როცა ბუნება უალერსებს თვის ნორჩ ქმნილებას, შესძღვნის სიკეთეს, დღითი-დღე მატებს სამკაულს ახალს.

– ეგ უკეთესი! კვლავც მომიმატოს სილამაზე ისეც მშვენიერს, შემამკოს ბადრი.

– განსაზღვრულ დრომდის! დასცხრება მანგი, იკლებს თანდისთან, ჟინიანია ბუნება, დაუდგრომელი. მოვა ჟამი, გულს აიცრუებს შემოქმედი თვის ქმნილებაზე, განდრკება მისგან, აჰყრის სიყვარულს; დაუწყობს ძარცვას, რომ სხვას უძღვნას ის სამკაულნი, ახლად მოვლენილ ლამაზ სიცოცხლეს. თმას დაუთრთ...

– რას ამბობ მაგას?! რა დროს თრთვილია! ზაფხული უდგა სატრფიალოს სინათლით სავსე, სითბონაჭარბი არდადეგები.

– მაინც გასულა მის გაზაფხული! იკლებს დღე მალე, შემცირდება, შეიჭმუჭვნება და მოაკლდება ელვარება, სითბო მალხენი. მანგისაგან ისწავლე მცნება, მკაცრად საზღვრილი დრო ავსებისა, ჟამიც ლევისა, დაკნინებისა.

– დროც განახლების, ახლად შობისა!

– დიდ განსხვავებით! მთვარე ახლდების, იგივე მთვარე. აქ კი სხვა არის. ყლორტზე სხმულ ფოთოლს მივამსგავსე სიცოცხლის მქონი: დრო ამწვანების. ჟამიც სიხუნის და დაცვივნისა. ამოვა ყლორტზე გაზაფხულზე მწვანე ფოთოლი, გარნა სულ სხვაა ის ხასხასი, არ შარშანდელი. კაცნიც...

სამძივარის გული კი სდუმდა, უგრძნობი გული! ვერ აიმაღლა თავისი ხმა. ვერ სთქვა ვერც ერთხელ თვის მკვეთრი სიტყვა.

არ ათამაშდა კისკასი ტანით, რომ მოეხიბლა თვისი ცეკვით ცივი გონება, დაეთრგუნა თვითმოყვარება, წაელექნა გოროზი შეხედულება. მაშინ გონება მედიდური ლანგრით შესძღვნიდა იმ ელვარ გრძნობას თვის საგანძურსაც საუკეთესოს. უგრძნობელი როდი იყო ქალის გული მშვენიერისა, მაგრამ რა ექნა?! მძლავრად ეჭირა უხსნელ ჭვანგებში გონებისგან ნაკარნახებ თვმითმოყვარებას, ბალღობიდან შეთვისებულ მედიდურობას და იმ ღრმა რწმენას. ის არ ჰგავს სხვა მშვენივრებს, ბევრ ლამაზსა და მისი იღბალიც უნდა იყოს განსხვავებული, სხვათა ბედზე აღმატებული. მაინც ეგრეა: ადამიანს თავისი თავი ზეამაღლებულ არსებად უჩანს, სასიკეთოდ არჩეულად, საჩვენებელ ბედის საფერად.

ძლიერი იყო ქალის ეს აზრი, ჰბოჭავდა გრძნობას. ფონს არ აძლევდა, უზღუდავდა საფრენ სივრცესა. საწყალი გული გონების კარნახს ემონებოდა, განა კეთილ თქმას, – ავ შთაგონებას, სიყვარულის უარმყოფელსა. გული ქალისა შიგადაშიგ კიდეც იბრძოდა ამ მონობის წინააღმდეგ, ცდილობდა საკუთარს კვალს აჰყოლოდა, თავისივ სახით ეკმაყოფილნა, მაგრამ ვერ შესძლო და დაემონა თავის მბრძანებელ გოროზ გონებას, რომელსაც ეახლოვებინა თვითმოყვარება, ის გაეხადნა თავის ვეზირად ცხოვრების გზაზე და დაეჩრდილა სხვისმოყვარეობა, ლამაზი გრძნობა, როდესაც სული გადასცდება საკუთარ ფარგალს და კეთილით დატვირთული გადავა სხვის მზღვარს იმ სიკეთის მისად საძღვნელად.

– იქნებ არ იცი, რამ დაჩაგრა ქალის გულისთქმა?! ვერ შეხვდა ტურფას საფერი ძალა, რომ შესძლებოდა აეგზნო ცეცხლად ჯერეთ მთლემარე მისი გრძნობები. კი გაადნობდა გონის ნაგებ ყინულის ზღუდეს, თუნდ ლითონისას. ჩაჰნავლავდა იმის კარნახს მოანგარიშეს და ფრთას გაშლიდა, ვით არწივი ლაჟვარდ ცაში.

– იგი იასე მისი მოტრფიალე?

– ბევრს თუ ვერ ეტყვის ქალწულის გულს მისი გრძნობა მკრთალი, მოშიში. ვერ თუ აღტკინდა იგი გრძნობა ალად ცეცხლისა, რომ აეტაცნა დამწველი სუნთქვით ქალი უკადრი, ეცეკვებინა თვის გუგუნზე, ვით ჩანგის ხმაზე. უყვარდა ჭაბუკს მთელის ძალით თვისის ბუნების, მაგრამ მაინც მის არსება ვერ ზვირთდებოდა, რომ გიჟ ტალღებში ცისარტყელის ნატეხებად აღჩენილიყო სიყვარულის სხივთა ნალეწი. ყველას თუ არ შეუძლიან ელვის სახით იწვებოდეს გულისთქმის ძალით.

## 14

ეჰე, დაჰკრა სამძივარისთვისაც აღტაცების წამმა ლამაზმა, სულდგმულისთვის უცილებელ შმაგობის ჟამმა. სტუმრად იყო ახლად გაცნობილ მდიდარ ოჯახში. ზეიმი ჰქონდა წარჩინებულ დიასახლისს: ჩინებულნი, საჩინარნი, სახლისკენ გზაკვლეული დიდებულნი. ფართოდ შლილი ტაბლა უხვი, გულლამაზი, მკერდგადახსნილი. წვეულთ შორის რაინდები, კარგი ვაჟკაცნი. დაკვირვებით ათვალიერებდა შეკრებილ ხალხსა. არც იქ აღმოჩნდა მისი საფერი. ცოლშვილიანნი, დაჟამებულნი, ახალგაზრდანიც. რა უშნონი! მურაზჩამქრალნი. არც ერთი მათგანი არ იყო ისეთი, თვალი შეჰვარდნიყო ქალწულს მათზე, გული კრული ასძგერებოდა. სუფრაზე ყველამ მიაქცია ყურადღება მშვენიერს. ნასროლი სიტყვა საალერსო უთხრეს საამო. ლბილი ლექსი სიტკბოიანი. გულს ვერ უვსებდა ხოტბა თუ თქმა ლამაზ-ლამაზი: ქება თავისი არა ერთხელ ისეც სმენოდა, ყური ჰქონდა შეჩვეული. ბუნებრივად მიაჩნდა იგი. ამოსულ მზეს ბრმაც იხილავს, მიესალმება.

ვალდებული იყო ეთქვა სამძივრისთვის ხოტბა მნახველსა: სიმშვენიერით დატკბობის მიმღებს თითონაც ჰხამს შესძღვნას კეთილი. უმადური არ უმადლის კეთილთა მყოფელს, არ უმღერებს სამადლობელსა. ეხლა ქალისთვის ეს ცოტა იყო ის ეძიებდა არა მხოლოდ თვისსა მეხოტბეს, ლიტონის სიტყვით თვით შემქებელ-მადიდებელსა. არა! ეძიებდა იმ თვის რაინდს, ვინ განიცდიდა მის სილამაზეს, აღარ დასთმობდა ხორცშესხმულ მშვენებას და წარსდგებოდა მოწონებით მის სათაყვანოდ, ჟამთ დალევამდის პირისპირ მზერად. ცისკარსა ჰგვანდა განსახებულსა და შესაძლო იყო, აღარ ჩასვენებულიყო რჩეულისათვის, სამარადისოდ გვერდს ჰყოლოდა გზის მანათობლად. ამგვარ მაქებარს ელოდდა ქალი, ესეთი მთქმელი ენატრებოდა იმის ნატკენ გულს, მოტრფიალის დახანებით სერილ-დაბზარულს.

– ნუ გეფიქრება, მშვენიერო, ნუ შეჰღონდები! ეძებ და ჰპოვებ; ჰრეკავ, გაგეღოს იგი ბჭენი სიხარულისა. ჰპოვებ საძებარს!

შემლიერებული უკვე სადილი. ცა მესამე გარდახსნილი ბედნიერთათვის საზრდოთაგან კეთილქმნილთა, ნექტართაგან ნაპერწკლების შხეფად მსროლელთა. მწყობრხმიანობა. მიხვრა-მოხვრა ზრდილობიანი. სიმღერა ტკბილი. მჭევრი სიტყვა ჰაეროვანი. გაიღო კარი, შემოვიდა როდამ რაინდი, სამხედრო ჩაცმა მზინავ-მბრჭყვინავი. ბოდიში მოიხადა მასპინძლებთან გვიანობისთვის. მიესალმა საერთოდ ყველას და ერთს წამს თვალი შეაყენა სამძივარზედა, ელდასებრ ნანცვიფრებით აღსავსე მზერა. ამტვრევდა ქართულს. შორს ჩრდილოეთში განსწავლული, მყინვარელთ თქმაში ხელოვნებური ვეღარ იგნობდა მშობლიურ სიტყვას ქართულ სუფრაზე. მაღალ წრის კაცი, სად ბატონობდა სხვათა სიტყვა, უცხოდ გულისთქმა დიდ განათლების მანიშნებელი. მდაბიოთათვის ქართული თქმა ჩამორჩენილი! ფარულად მიხვდა, წამწამთ ტევრთა ჭაბუკისაკენ ინდონთ რაზმნი. კვლავ იმისკენ, თვალთ ელვარება. შორით მჭვრეტთ თვალთ ისარნი შეხვდნენ ერთმანეთს, შეელეწნენ

მახვილნი ერთურთს და აციაგებდნენ. ჩამოკვესდა ნაპერწკლობა ბუნჯგალ-ბუნჯგალი.

– ეს თუ არის ბედი ჩემი ძნელად საძებნი... სწორედ ეს არის! რა ლამაზია, რა ძლიერი, როგორ მოქნილი! ღმერთო კეთილო, წარმიმართე გზა სიხარულის.

– იცი, ქალოჯან, ეს ყმაწვილი დიდად მიღებულია სასახლეში. ჯერ ისევ ახალგაზრდა ირიცხება წინამძღვართ ჯგუფში; მაგის ხელთც არის ბედი ჩვენი, ქართველთ იმედი საარაკო ჯამაგირი; დიდი სიმდიდრე, ყელამდის ოქრო.

– მთლად ახალგაზრდა მოჩანს...

– არც ისე ნორჩი. ნაჭარბია ოცდაათ წელსა საკვირველია, აქამდისინ უცოლშვილოა!

აღარ ინება სამძივარმა ამაზე სიტყვა. უსხვაფერა მოსაუბრეს საგანი თქმისა: აღარ სჭიროდა ამ საკითხზე სიტყვის განგრძობა...

– ოცდაათ წელზე უფრო მეტი... არც თუ ისე ნორჩი არისო...

ვერ დაეთანხმა ქალი გვერდით მჯდომს: ნორჩად ეჩვენა იგი ჭაბუკი. მისსა სიკეთეს წელთა რიცხვი კი არ ზომავდა, არც თუ ისე მრავალ წლებისა, სანდომობა ჰნუსხავდა მის ხანს, იგი სიკეთე! რომლით იყო სავსებით სავსე მთლადაც ახალი თუ მოსჩანდა ყველას თვალებში.

– ამას ჰხედავდა თვალი ჩემი, შორს გამჭვრეტელი, ესეთ ვაჟკაცს მოინატრდა გული დახშული. კეთილით სრული ყოველგვარითა! ჰე, ღმერთო, ერთი გულმა უთხრას, ჩემსკენ მოზიდოს და მოვეწონო; შევუყვარდე! გარს შემომევლოს. თავს შემოვევლე!

ესეთი აზრი, თუნდ უეცარი, არ იყო მისთვის რამ ოცნება უსრულებელი, შესაძლებლობის ფარგალთაგან გაბიჯებული. მოსწონდათ ქალი, შორით შესტრფოდნენ, ძლიერ უყვარდით მოჯადოებულთ; მისი ღიმილი თანამგრძნობი ბედნიერ ჰყოფდა თვითეულს მათგანს.

– მაშ ეს რაღაა, ა ეს რაინდი, რომ მათი წყალი არ დაეპკუროს! გამოებმება ჩემს ლეჩაქის ყურს!

– მაგრამ ეს მათზე ტურფა არის, უფრო ძლიერი.

– მაინც მოხდება! განეწონება ამასაც გულში ტრფობის ისარი, ჩემგან ნატყორცნი.

ანაზდად გრძნობდა, ელდასებური იშვიათია და შემთხვევითი. სიფრთხილითა ჰხამს განვითარდეს ეს მიჯნურობა.

ლელვარიანთ ეზო-ყურეს არ უწევდა რაინდის შარა, არც რამ ბილიკი. ცდილობს ლამაზი მოახერხოს ვაჟის კვლავ ნახვა, გაკვალოს მისთვის საცალფეხო თავის კარამდის. მაინც ერთს ხანს ჰქონდა იმედი, ვაჟი იქამდის მოიხიბლებოდა მისის სიტურფით, რომ თვით გაჰკაფავდა გზას ლამაზის სავანემდისინ: ნაჩვევი იყო ჭაბუკთაგან ამგვარ ქცევასა და ეგონა, სხვა ჭაბუკი გაუმკლავდებოდა მძლედ მიმზიდველ იმის ძალასა. ვერ გაუმართლდა მოლოდინი: გავიდა კვირა, სხვაც ბევრი კვირა, ვაჟს კი პირი არ უქნია ქალიანთკენ. ჰგავდა მთლადაც მიივიწყა იმან ლამაზი. უჩქროლავდა სატურფალს გული. საგულეში აღარ სდგებოდა, შეპყრობილ გვრიტივით ფრთხიალებდა აღელვებული, მთლად ელეოდა მოთმინება; აძალებდა თვალებს ცრემლი, უთმინობის ნამი ნაჟური. იგი ცრემლი, აფიცხებდა მის გულს ცეცხლებულს, ნდომის ალზე ასატკრეცად ატრიალებდა.

– ვერა მყოფს უარს, ვერ დამივიწყებს. წამოვა ჩემკერძ ქედმოხრილი შემევედრება! და... მივანიჭებ გულკეთილი მას ნეტარებას. მივიღებ მისგანც სიტკბოებას. ნეტარებას დაუშრეტელსა.

კვლავ მიდის ხანი. არ ეახლა რაინდი ქალსა. იქნება კიდეც დაივიწყა მან მისი სახე. მისი სახელი. ქალს გული აღარ უდგებოდა სახლში: ნახვის სურვილმა მყუდრო კუთხე მოუფურტკნა მშობელ კერაზე. უთმინობის ბჭემდის მივიდა იგი სურვილი დანახვისა, თვალის მოკვრისა. და რადგან კაცი არ მივიდა, თვით ქალს ჰხვდა ზრუნვა მიახლებოდა იმ უჯიათსა. ამ სურვილის ასრულებაც ძნელი იყო სამძივარისთვის. მაინც უნდა მიეღწია სანდომისათვის: უნდა შეჰხვედროდა თავის რჩეულ ვაჟკაცს, გაეხსენებინა იმისთვის თავისი თავი, კვლავ დაეკვესნა ნაპერწკლები ვარსკვლავ თვალთაგან, ეშხის იგი ნაპერწკალნი, შორიდან მწველნი და მაშინ...

– და მაშინ ვნახავ ლაღად მავალს დამონებულად, მოიხრის ჯიქ თავს იგი ჩემს წინა! შემევედრება იმავ მუდარით, როგორის ხვეწნითაც შემომეტრფის თუნდაც იასე, უხმო ღაღადით, დიდად მეტყველით!

## 15

უნდა ენახა, უსათუოდ უნდა შეჰხვედროდა, სად, ღმერთო ჩემო, ნეტა თუ როდის! ეძებდა ქალი გონების თვალით იმ ადგილს, თუ შემთხვევას სადაც, როდისაც შესაძლო იქნებოდა მისი შეხვედრა, თითქო შემთხვევით მის ახლო ყოფნა. ადვილი არ იყო, სხვადასხვა წრისები იყვნენ ქალ-ვაჟი; ჩამომავლობით ისე ძლიერ არ ირჩეოდნენ, წოდებრივი როდი იყო მათი განსხვავება, ცხოვრებისაგან იყო იგი შექმნილ-შეთხზილი, ახალ წყობისაგან ჩამოსხმული, გამოკვეთილი. ძნელი იყო მათ შუა გატანილი მთხრებლის ავსება და ეს მით უფრო, რომ ხნარცვზე სავალ ხიდის შენებას, გადასავლელ ბილიკის შექმნას ერთის ნდომა მხოლოდ უძღვოდა, ქალის ფიქრი, მისი სურვილი. ქალმა ჯერ თითონ სცადა სამძიმო სავალის პოვნა, დედასაც კი არ გაანდო თვისი განზრახვა.

– ზეგ მთაწმინდობაა, დედიჯან. მინდა წავიდე, შეევევედრო წმინდა დავითსა.

– წავიდეთ შვილო! მაინც ყოველ წელიწადს დავდივართ, კარგი დარი როცა ხელს გვიწყობს.

– დარი კარგი დგას. არ მგონია შეიცვალოს, წვიმა მოვიდეს.

– კენჭიც მიაკარ საყდრის კედელსა. უსათუოდ მიეკვრება, თუ ჩავიფიქრებ: სიზმარი ვნახე, რომ ეხლა შენს ბედს განიშნებს წმინდა.

– ქალაქი სულ იქ იქნება, ყვავილივით მოკაზმული ქალი თუ რძალი, მე კი...

– შენ ვიზეღა ნაკლებად იქნები ჩაცმულ-დახურული?! დასტადასტა გილაგია საბურ-საცმელი.

– ვიცი ეგ კარგა, მაგრამ ახალ კაბაზე ვერ მიხდება თავის დახურვა.

– როგორ თუ ვერ გიხდება?!

– ქართულად არ არის შეკერილი, უცხო ნაირია და ლეჩაქ-თავსაკრავთან როდი არის შეხამებული.

– მაშა ქა!

– შაპო დამშვენდა. ანიკოსთან რომ იყავი, გავსინჯე მაშინ და...

– და გინდა ახლა თავზე შაპო წამოიხურო?!

– ძალიან მინდა! ანო აგვირჩევს: იცის იმან, როგორს ხმარობენ; გემოვნება ხომ აქვს და აქვს ძალიან კარგი.

– ვეტყვი მამაშენს და თუ დაგვთანხმდა...

– რა კარგი ხარ დედილოჯან! მოდი გაკოცო.

– ეხლანდელი ჩაცმა-ხურვა, სხვა ქვეყნიდან შემოტანილი, ათასგვარი შეცვლა ტანთსაცმლის, თავსაფარისა. გინდა თუ არა, განსაზღვრილი ნაირქსოვილი. მალე ისევ

სხვა; ახლა კიდევ სულ სხვანაირი. რა ფულმა გასძლოს ან ოჯახმა აიტანოს ცვალებადობა?! აფსუს ქართულო! ერთი ქათიბი მთელ სიცოცხლეში! კაბა ფარჩისა მთელ ათ წელიწადს, ლეჩაქთასაკრავი, სარტყელი თუ გულისპირი... დამშვენებულს რად უნდა შეცვლა დაძველებამდის?! – ფიქრობდა დედაკაცი

და არ მოსწონდა ქალის აზრი, მისი სურვილი. რასღა იზამდა: ის თავისას არ დაიშლიდა; შერჩებოდა მთლად უბრალოდ სიტყვა უკმეხი, უარისყოფა. ხუთშაბათ დილით ისე იყო ქალი მორთული, ჰგვანდა პატარძლად გამოწყობილს ახალახლებში.

– შემომხედე, დედილოჯან. როგორ მიხდება!

– გიხდება, კარგო, ყველაფერი. ტანთსაცმელი რომ მოგერგო, თითონ შენ უფრო დაამშვენე ეგ ტალავარი. თვალი არა გკრან. ხომ შეიბი სათვალღვრინჭილა?

თათმანს იცვავდნენ, რომ გამოვიდა მათი კაცი, სამძივრის მამა. ყურთმაჯ გადაგდებული, კალმუხის ქუდით. უხდებოდა მოსულ ვაჟკაცს შევერცხლილი ქამარ-ხანჯალი. პირი ახლად მოეპარსნა. დინჯი ულვაში, ბარაქიანი.

– ია, წავიდეთ!

– აგერ მოვდივართ! მოდი, ეტლი დაგვიჭირე; გავემგზავროთ ბატონკაცურად.

– მე მეგონა ხატის ლოცვად ფეხშიშველი წამოხვიდოდით, თქვენ კი...

– რა უშავს, მამი! ჩვენდარი ხალხი ფეხით არ დადის ამ სიშორეზე.

– ცხელა კიდეცა.

– კარგით, გეყოფათ! დედაკაცი მოინდომებს, ვინღა რას შესძლებს მის წინააღმდეგ?!. და მერმე ორი.

აჰხვეოდა ხალხი აღმართს, ფერად ხალიჩად აყვავებული. შიგადაშიგ ეტლებითაც ხვეულ შარამდის. აგური ეწყო ამ ადგილას გროვა-გროვად. ეკლესიის აშენება ეპირებინათ. ურმებს მხოლოდ აქამდისინ ეზიდნათ ბარგი. ზევით-ზევით მლოცავს მიჰქონდა. სამძივარმა არ წაიღო, მისი ტვირთი მის მამამ ზიდა.

– ბიჭო, კაკული! თაბახი რომ აგივსია აგურით, როგორ უნდა აიტანო ამ აღმართზედა?!

– მამა დავითში და ვერ ავიტანო? იმის წვერების ჭირიმე, დალოცვილისა! ისე გავყიდე მთელი ბალი, ერთ შაურზე ათი ავიღე. კენჭსაც მივაკრავ. ალბათ მიიკრავს, დამილოცავს ჩემს საბედოსა.

– ჩაიფიქრე?

– და რა ქალი! ბალის კუნწულაა რაღა, მშობელ ლოცული!

თეთრო ბალის კუნწულავ,
შავ-შავ თვალებიანო...

მამა დავითი! სიცოცხლეში მცოდნე ეშხისა; ციდან მეშველი სურვილაშლილ მოტრფიალეთა. შად-გადიოდა ხალხი საყდარში; ტევა არ იყო. ჩირაღდნებად ანთებული შანდალ-კანდელი, კედლებიც კი შიგნით თუ გარეთ. მოილოცეს, ააშუქეს წმინდა სანთელი. სცადა ქალმა კედელს კენჭი, ის ჩაიფიქრა, საოცნებო თავისი ნაცნობი. მიეკრა სიპი! გახდა, გახდა მისი ბედი იგი რაინდი! ათვალიერებს სანატრელ ვაჟს მიმსვლელ-მომსვლელში. დახე, ამაოდ!

– რა საჭიროა დიდი ძებნა?! ისეც ვიგრძნობდი, თუ მოსულიყო.

დაღონდა ქალი. ჩამუქდა დღე ბედნიერი. დაირ-ნაღარა აქით-იქით, ცეკვა შუშპარი. შესთამაშებდნენ სხივებს მზისა ეშხით სავსენი. ვერც ერთ ჯგუფთან ვერ გაჩერდა. ჩქროლავდა გული, იქ არ იყო მისი საძებარი. შორს თუ იყო ხალხის ბრბოდან იგი რჩეული.

– რად არ ვიფიქრე, მოწინავე ჯგუფშია განათლებული; რად იკადრებდა აქ ამოსვლას, მდაბიოთა დღესასწაულში?!

– რა კრივი არის! მოდით, ქალო, გადაჰხედეთ. რა ყიჟინა დგას!

დიდი ხმაური მოისმოდა ქვევიდან. გზის მარჯვნივ რომ გაშლილი ადგილი იყო, იქ გაემართათ ძალთ შეჯიბრება. მთაწმინდელნი სჯობდნენ, ერეკებოდნენ. თავსისხლიანი კოპრუა უძღოდა იმათ. ტკივილს არ გრძნობდა გალომებული. ზურგს უმაგრებდნენ მარჯვე ბიჭები.

– გაირეკეს! გაირეკეს!

– შედგნენ, გამაგრდნენ!

– წინ მოიწევენ!

– გიჟმიხაკა ჩაეშველა სოლოლაკელებს, აღარ რა უშავთ.

– წავიდეთ დედი! რა სამზერია ეს ცემა-ტყეპა?!

– იარე, შვილო! თუ დაიღალე, უგემობა მისთვის დაგეტყო.

– წადით! მეც მოვალ, – უთხრა მათ მამამ

და წინ წავიდა, კრივს უახლოვდა. რას წავიდოდა კრივის მუსუსი! იქ იქნებოდა ქვით კრივამდის საშინელისა.

## 16

არ დაიღალა ქალი ჯანსაღი; გული ეტკინა, მისთვის შეიქნა უგუნებოდა. ემზადებოდა დარწმუნებული, რომ შეჰხვდებოდა იმ ვაჟს ობაში, მოახერხებდა განმარტოვებით იმასთან გავლას, კარგ საუბარსა, საარშიყო სიტყვით თამაშსა. ვერ აუსრულდა იგი სურვილი და გაუცუდდა მოსაზრებანი. ეს სწყინდა ლამაზს. თავს ჰყვედრიდა, მოწყობილად ვერ იფიქრეო. ეტლიც მისთვის აქირავებინა თავის მამას, სჯეროდა ეტლით წავიდოდა რაინდი როდამ, იქნება ცხენით. არ უნდოდა ფეხით მავალი სჩვენებოდა მლოცავთა ბრბოში. ეხლა წყრებოდა.

– იქ რად ვეძებდი ჩემს საძებარს, სად ვერ ვპოვებდი? რადა ვფიქრობდი მთაწმინდაზე იმის ამოსვლას? ან საყდარში, ან სახალხო ხატობაში მისი ადგილი?! მისი ადგილი მხოლოდ იქ არის, სადაც დიდკაცნი სწევენ ზეიმსა: დიდი სასახლე; წარჩინებულ ოჯახებში დროს სატარი საღამოები; ტურფად რახტულ რაშთა ქროლა განათლებულ ქალებთან ერთად; იმ საოცნებო ადგილებში, სადამდის ხელი ჩვენ არ გვიწვდება. სად შევხვდი, სადა. გზააქცეული, მის სავალიდან დაშორებული! – ღონობდა ქალი.

შემდეგც დარდობდა. აღარ მოსწონდა მამის კერა, იგი ოჯახი, თვისი ცხოვრება. შეძლებულნი იყვნენ, მაინც ჯავრობდა, რომ საუნჯით ვერ ედრებოდნენ განთქმულ მდიდრებსა, რომელთათვის გზა გაეხსნა ოქროს თუ ვერცხლს უმაღლეს წრეში; კეთილშობილთა გვარიდან იყო, ყმა-მამულების მეპატრონესი, სახლები ჰქონდა ქალაქს სამკვიდრო, მაინც სწყრებოდა, რომ მათი ბინა ვერ ედრებოდა მმართველთ სასახლეს; უვიც ოჯახის ქალი არ იყო, წიგნი თუ სწავლა როდი იყო განდევნილი იმათ სახლიდან, მაინც სწყინდა, რომ ახალ სწავლით ვერა ბრწყინავდნენ.

– გამოდგებოდა ეხლა ჩემთვის პანსიონის ზრდა! ვიცი ქართული, ნაკითხი ვარ, მაგრამ მაინც რა? რუსულს ვერ ვიტყვი უნაკლულოდ, მთლად თავისუფლად, ეს რა სწავლაა, რა განათლებაა?! ყავლიანი იქნებოდა მშვენება ჩემი, ვით იაგუნდი ჯავარსრული ოქროს ბუდეში, თუ...

უკმაყოფილო იყო ქალი და გულის ხინჯი გამოსჭვივდა მის არსებაში: იტკრიცებოდა ლამაზი სახე, თვალნი ჰკარგავდნენ ლმობიერებას; ყოველივე მას აზრზენდა, სწუხდა მარადა.

– დროც აღარ გადის! როდემდის შევსძლო ესე ყოფა, ესე ცხოვრება?! – დრტვინავდა ქალი და მოსვენებას ვერ ჰპოვებდა მძაფრად ღელვილი, ვერცხლისწყალივით აცხროებულ-ათრთოლებული.

– რა დაემართა ჩვენს სამძივარს ამ ბოლოს დროსა? მოსვენებას ვეღარსად ჰპოვებს. სახე ეშლება მეტი მღელვარებით; ნაღარი აჰყვა იმის მტკიცე შუბლს; ხმა გაუმკვახდა, მთლად გაუქრა ლბილი ბგერები.

– რა კითხვა გინდა?! ჰასაკს გარდასცდა. საფერი კი ვერავინ შეჰხვდა; ღელავს, იტანჯვის; სწყინს ჩამორჩენა თუ დაჟამება ლამაზ ქალს, შემკულს.

– მაგას მე ვხედავ, მეც მაფიქრებს ეგ ჩვენი მარცხი, მაღონებს ძლიერ: მეტადრე ეხლა, რაკი სძლია მუქმა გრძნობამა და ბოროტად აღელვებს ქალსა.

– უფრო დაეტყო ეს ცვლილება, რაც როდამს შეჰხვდა.

– რაინდ როდამსა?! მაღალსა ფიქრობს, უწთომელი განუზრახია, ძლიერ მდიდარი და მიჩნეული. ჩვენ ვერ შევსწვდებით და თითონ ის რად დაიხრება?!

– ვხედავ მეც მაგას! მაგრამ რა ვუყო, რით ვასმინო გამოუცდელს ქალს?

– თვით უნდა მიჰხვდეს უნდა განსაჯოს! არც საფერია: ჩვენი ქალი ვერ შეიმშვნევს ახალს ყოფას გაღნიოშებულს, უანგარიშოდ დროს ტარებას, სიცოცხლის დაწვას. აი იასე, ის სულ სხვა არის.

– ვიცით და ვიცნობთ!

– ჩაუკვირდით და შეაფასეთ! მარტო ის რად ღირს, რომ ჩვენი შვილი გულწრფელად უყვარს. ბალღობიდან ამას შემოსტრფის.

– და რა საკვირველია, მშვენიერი მოსწონდეს ჭაბუკს?

– მოსწონს და უყვარს! რად დავიწუნებ?! ოჯახისშვილი, ნასწავლი, ზრდილი. უნარიცა აქვს კარგი ცხოვრების. ხომ გული აქვს გაბზარული უიმედო სიყვარულისგან, მაინც ახერხებს დინჯ მუშაობას.

– რომ გულს არ ჰხვდება მისი ტრფობა ქალის გრძნობასა.

– ეგრე რომ იყოს, დავჩუმდებოდი. მოსწონს ამასაც! არ აჰვსებია ჭაბუკით გული, არ აღგზნებია ცეცხლად გრძნობები, მაგრამ რა ვუყოთ; დადგება ის დროც თავს შეაყვარებს კარგი ვაჟკაცი.

– მეც მენანება, გეტყვი გულწრფელად: საფასურია. ამდენს ხანს ელის, გულს არ უტეხავს ქალისაგან სიტყვის ყოვნება.

– მაშ მოდი ვცადოთ; გავუზიაროთ ქალს ჩვენი აზრი. ნუ ჰკარგავს ბედსა, დაჰყვეს მუდარას.

ამაოდ სცადეს. ვერ შეურჩიეს თავის სათქმელს დრო მოწყობილი. არ მიიხედა კეთილის გულით. სხვისკენ ეჭირა ლამაზს თვალები.

– მგლის ქონი თუ მოსცხეს საწყალ ვაჟკაცს, რომ ცუდი თვალით ეჩვენება იგი სამძივარს.

– იქნება ჯადო გაუკეთეს გრძნობის შემკვრელი.

მართალს ამბობდნენ ქალის მშობლები: თილისმა ჰქონდა მას მოდებული. განა სხვისაგან, დუშმანისაგან; თავის თავისგან, უფერად გამსჯელ თვის ფიქრებისგან: დაეჩრდილა ცივ ანგარიშს მისი გულისთქმა; ვერ მოქმედებდა გული კრული, ვერას იტყოდა.

იქნებ იასე კიდეც იყო მისი იღბალი, მის სასიკეთოდ ყისმათისგან მოვლინებული; იქნებ მიეღო ქალწულის გულს იგი ჭაბუკი; მაგრამ ქალი არ ჰკითხავდა თვის გრძნობათ კრებულს და... სდუმდა გული დაჩაგრული, მონებული თვითყვარებისგან.

– არა! თუ იასე ყოფილიყო მისთვის რჩეული, მძლავრად შეირხეოდა მისი გული, გადალახავდა ყველა საბრკმელს, გონებისაგან მისთვის დაგებულს, თვით გონებასაც წაჰლეკავდა, გადაუვლიდა. ძლიერია გულისთქმა წრფელი; გაჰკვეთს, გააპობს ალმასის ეშვით.

– გონებაც რომ სასტიკია, ცივად მიმთვლელი. დასძლევს გულისთქმას და მოაშთობს გრძნობათა ყვავილს, რომელს შეჰფერის ნელ-ნელ ზრდა, სათუთად პყრობა.

მაინც მთლად ჩუმად არ იყო გული ქალისა; მოკრძალებით ეტყოდა მას კეთილ განზრახვას. ძუძუც ჰბედავდა ხმის ამოღებას, მარცხენა ბუშტი მარგალიტისა. უფრო მაშინ სთქვა მკაფიოდ გულის გუშაგმა, როცა მივიდა შუამავლად მამიდა მართა და გადუშალა ქალიაანთ იასეს ხვეწნა. უხერხულად იგრძნო თავი ქალის დედ-მამამ. არ შეიძლებოდა გრილად მიეღოთ პატივცემული და ცივი უარით გაესტუმრებინათ, თუნდაც თითონაც წინააღმდეგნი ყოფილიყვნენ ამ კავშირისა.

– ჩვენ, მე და ჩემს მაკრინეს, არაფერი საწინააღმდეგო არა გვაქვს იასეს შესახებ. ბალღობიდან ვიცნობთ აზრიან ახალგაზრდას და ვერ დავიწუნებთ.

– მართალს ამბობს იოთამე. ჩვენ თითონ იმის დამწუნებელი არა ვართ და ეს მით უფრო, რომ ძლიერ უყვარს მას ჩვენი ქალი, მაგრამ...

– რასაკვირველია, გეცოდინებათ, რომ უყვარს: იგი ამას სრულებითაც არა ჰმალავს არც სად, არც როდის.

– აქ გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის თვითონ ქალსავე.

– დიახ! შვილია ჩვენი და კეთილს ვურჩევთ; ძალის დატანება კი, თუნდაც მეტი გავლენის ხდენა, არ შეიძლება. არც საჭიროა. კარგად იცნობს იგი იასეს, თითონ გადასწყვეტს თავისსა ბედსა.

– მეც აგრე ვფიქრობ! ვაცნობოთ, ვუთხრათ; თითონ იცოდეს თავისმა გულმა. სასიხარულო იქნება ჰოს თქმა ვაჟისთვის, ჩვენთვის. პირში თქმა მიჯობს: ბევრი ვერ დაიკვეხებს მაგისთანა რძალს, უარს იტყვის და აბედნიეროს ღმერთმა თვის გზაზე.

– კეთილი! ვეტყვით.

– მხოლოდ გახსოვდეთ: ამ ორი ოჯახის საკუთარი საქმეა ესა. არ გასცილდება ჩვენს კარის ბჭეს სხვის ახალ ამბად თუ საკიცხველად. ამისათვის ვიტვირთე თვით მე შუამდგომლობა. იასესაგან, მის დედ-მამისაგან, ვარ მე დღეს თქვენს კარს გამოგზავნილი. თორემ ვინ მე, მოიფიქრეთ, ვინ მაჭანკლობა!

– ძალიან კარგად გინებებიათ, მობრძანებულხართ. ამგვარი საქმის შარაზე ფენა ზიანს მოუტანს ორივე მხარეს.

ქალი მორიდებით იჯდა მეორე ოთახში, კარი ღია იყო და ესმოდა ყველაფერი. ღელავდა ქალი, კიდეც ჯავრობდა, ურისხდებოდა თავის ყმას იასეს.

– ვეღარ თუ ითმენს! რაკი ვუყვარვარ, მოიცადოს სულ ბოლომდისინ, სანამ ვანიშნებ, თუ მომესურვა. ღირს დიდი ჯილდო იმ მოთმინებად. დადგება ჟამი, მივითვისებ ან მთლად აღმოვფხვრი ჩემის გულიდან.

– გიცადოს, ქალო, და როდემდისინ? გელის ვაჟკაცი, მოწიფული, თავის ბედს ელის, ხელთ რომ გიპყრია, იმ თავის იღბალს. ვაჟი იჯდეს, ბერდებოდეს! – ჰყვედრიდა ქალწულს ძუძუ მარცხენა.

– თუ კი მე ვიცდი!

– შენ იცდი, ელი მოთმინებითა. მაინც უთმინოდ! დარწმუნებულხარ, უფლისწული მოგევლინება, მის სწორი მაინც. შენ უცდი უცნობს, შორით მომავალს. იასე კი... იმან იცის უკვე თვის ბედი, – ეტყოდა ურჩსა დაბრძნობილი ძუძუ მარჯვენა.

– უცნობს კი არა, უსუსურო, ძვირფას ნაცნობსა, ჩემთვის მოვლენილს განგებისაგან ჩემთვის შობილ რაინდ როდამსა!

– როდამს მოელი?! ხელთ რაღად იხვევ საწყალ ჭაბუკს, შენს მოტრფიალეს?

– კმარა!.. მიბრძანდეს! ვინ უჭერს ხელსა?!

ჩაჩუმდნენ ჩვილნი, ტურფა წყვილნი, მთლად ჩაიმალნენ, თეთრი ცრემლი დააფრქვიეს ფარჩის საბუდეს.

სტუმართ-მასპინძელთ სხვა საგანზე დაიწყეს სიტყვა. სთქვეს ამ მთისა, იმ ველისა თუ წალკოტისა. შეჰპატიჟეს ხილი რჩეული. ტკბილეული ვერცხლის ლანრგით ქალმა მოართვა. ისე მოეწყო, სამძივარი მარტო შერჩა ვაჟის მამიდას. დრო იხელთა მართა მამიდამ, მარჯვედ გადასცა დაბარებული. ისიც შესთხოვა, დაედასტურნა მეტად ხანდაზმით ნაგრძელები ლამაზი საქმე.

დაფიქრდა ქალი. წეღან ჯავრობით რომ ეტყოდა იგი თავის გულს, მოფიქრებულ-მოზომილი ეგონა კითხვა: დასკვნილ უარს აპირებდა ვაჟზე გამწყრალი. აწ ვეღარ შესძლო თვის განზრახვის მსწრაფლ ასრულება და მოახსენა:

– ვიცი, ბატონო, მისი სურვილი, მისი გრძნობა, მაგრამ...

– რაღა მაგრამ, შვილო ტკბილო, ჩვენო ლამაზო: შეზრდილხართ ერთად ერთურთისთვის გაჩენილები.

– მაინც ვერ შევსძლებ მოგახსენოთ სიტყვა დასტური, საბოლოოდ გადაწყვეტილი. დროთა მსვლელობას სჯობს მიენდოს საქმის წარმართვა.

– შენი კეთილი სურვილია, ძვირფასო ჩვენო! მხოლოდ ერთს გირჩევთ: ნუღარ ენდობით უჟამო ჟამს ნურც შენ, ნურც ვაჟი. მიჰქრის დროება და თან მიაქვს ჩვენი სიცოცხლე; დაკარგულია ყოველი წამი, თუ შენს ხელთ არის რამ სიკეთე და კიდევ ჰყოვნი.

სდუმდა ქალწული. ზრდილად უხვია ამ საგანს გზა მანდილოსანმა, სხვა კვალს დაადგა. ნაწყენი იყო ქალის პასუხით. მისი სიტყვა უარისაკენ იყო დახრილი, თვით უარს ჰგვანდა. არ შეიმჩნია იგი წყენა. უფროც უმატა ლბილ საუბარს ალერსიანსა. ქალს არ ეგონა, ესე სწრაფად გათავდებოდა საუბარი მძიმე საკითხზე.

– შემთხოვს მუდარით, შემევედრება! – ფიქრობდა იგი.

– ვერ აუსრულდა მოლოდინი და გულნაკლული შეიქნა იგი, თითქმის ნაწყენი. სტუმრისაკენ არ მომართა მან თავისი წყენა, ჭაბუკზედვე გადაიტანა თავისი რისხვა.

– ვერა გქონია, ჩემო კარგო, თბილი გული, ნაზად მგრძნობარე, თორემ ჩემ პასუხს უმეშველოდ დაინახავდი. ვერ თუ მატყობდი, არ ვარ ეხლა შენი მომყოლი... მოიცდი, ვაჟო! სად წამიხვალ ხრამს ჩავარდნილი, უძირო ხაროს სიყვარულისა?! – იტყოდა ქალი განრისხებული.

რით ვერ შეიგნო, რომ ძნელია მოცდა, ყოვნება?! ძნელ განცდაზე უფრო მწვავე ლოდნა, მოცდა სიყვარულისა. სიკვდილს ვადარო სისასტიკითა! ილევა გული, იტანჯვის სული, დრო იყინება. რომ აღარ იძვრის?! ვეღარსად ვჰპოვებ სავანე ადგილს. შავ ფიქრების წარმომშობი სასტიკი მოცდა. ნუ დასტანჯავ, საყვარელო, მეტ ხანდაზმით შენსა მიჯნურსა!

– ვერ აჰყვება თვის ბნელ გრძნობებს, ცდისგან ნაკარნახს: გაუშუქებ, მყის გავკურნავ მისსა იარას, მოვფენ სხივებსა, ნათელს მხიარულს!

სიმართლეს იტყვი, სათქმელს ლმობიერს! მალეც გახსოვდეს: ყველა საგანი ან ქმედობა თვის სახეს ამჩნევს გარემო არსსა, თუნდაც ძლიერ მკრთალს, ბრგვილის თვალით უჩინარს ხატსა. ყოველი გრძნობაც თვის კვალს სტოვებს კაცის სულშია. ბოროტი უფერს, კარგი სასურველს. ნუ გაამრავლებ მოყვრის სულში და ნურც შენს გულში მახინჯ ლანდებსა! შეერთდებიან მუქი აჩრდილნი, შენივთდებიან; განათლებულ სულშიაც კი მწუხრს წარმოშობენ.

ვის ეტყვი, ვისა? სამძივარის კოხტა ყური, სპეტაკ ნიჟარის სასმენელი შევარდისფრული, დახშული იყო ამგვარ წრთვნისთვის თვისის მფარველი ანგელოსისა. ბოროტის მთესველს უცინოდა იგი ქალწული, მისდა მიჩენილს სულს ეშმაკეულს. მასთან ერთად ეხლა მასზე იღიმებოდა, ბოროტი რომ გაამრავლა თუნდ ერთის ქრთილით. გული დაუჭირა მოყვარულ კაცს, გული კრული, ტრფობით მსჭვალული.

## 18

ღელვილი კაცი მოსვენებას ვეღარ ჰპოვებდა, ვეღარსად ვერ შემდგარიყო ვერც ერთის წამით. უთმინობა აჰყოლოდა ისე ძლიერი, რომ ეგონა ვერ შესძლებდა ყოფას, სიცოცხლეს. ჩქროლავდა გული ვაჰ, თუ ვეღარ დაიტიოს იგი ზვირთები! გაიპოს, გასკდეს! ხომ გასწყდება სიცოცხლის სირა ჯერეთ ისევ ახალ არსების. ღელავდა კაცი და მთლად ფხიზელს, მთვრალსავით გონი ებინდებოდა, თვითონ გაგზავნა შუამავლად თავისი მამიდა: დასტური დასცა, უხმოდ დათანხმდა. სახლმა დაასკვნა, რომ მეტი ცდა აღარ ვარგოდა და ისიც დაჰყვა. როდი ეურჩა.

– ამაოდღა აყოვნებ, კარგო, პირდაპირ უთხრათ შენი სათქმელი.

– ვეღარ გავუძლებ, მამიდავ, უარს; ძნელ გასაჭირად შემექმნება იმედის მოშლა. მეშინის მისგან.

– გეშინის ვაჟკაცს?! შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა. უფერია დიდ ბრძოლაში შიში და ძრწოლა. შენ ომში ხარ, ქალ-ვაჟთ ბრძოლაში, უსრულებელ შეჯიბრებაში. უნდა შეჰმართო მამაცურად, ბუმბერაზულად! ანუ მოგცეს განკურნება, ანუ...

– მიწისგან ღმერთი იხსნის ჩვენს ჭარუმადათს! შემართვა კი უსათუოდ ჰმართებს მზეჭაბუკს.

– თუ ვერ მიაღწევ, შენის იღბლისგან იქნება იგი გაჭირვება შენდა მიზღვნილი. ბედს სად წაუხვალ?! ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვიტკირსა. წავალ, გავიგებ. წესი ესეა: ქალიანი მიილტვიან ვაჟიანთკენ, ჩვენ კი...

– წავიდეს, შვილო, მამიდაშენი. მეტის მოცდა არ შეიძლება. დამცირება შეიქმნება შენიც, ჩვენიცა. რძალი დროზე შემოვიდეს, რომ გაიწვრთნას, შეეჩვიოს სახლის წეს-რიგსა. მხოლოდ მაშინ გაახარებს კერის ანგელოსს. უნდა ვიცოდეთ, ვინ შეგვცვლის ჩვენ ცხოვრების გზაზე. გვინდა ვხედავდეთ! რომ ჩვენს შემდეგ ჩვენი სახლი არ დაინგრევა. მაშინ სიკვდილიც საზარელი აღარ იქნება. დროა, გენაცვალე!

– დიაღაც დროა! ის არ იქნება, იმფერი სხვა მოგვევლინება. რამდენი გიმზერს, ბედნიერო, მუშტრის თვალითა, ნორჩი ქალები ლამაზ-ლამაზი!

– ვერვის ჰხედვენ, ჩემო მართავ, ამის თვალები... ხედვა თუ მოსჭრა სიყვარულმა, სხვის დანახვის უნარ-მურაზი.

– სიყვარულმა... სხვებს შენ უყვარხარ! ეტრფიალები, თუ შეგხვდება ქალი რჩეული. ჭკვიანის რჩევით?! არაფერი! სულ არაფერი!

რა ეთქმოდა საუარი და გაბედა. როდი უთხრა ქალებს უარი. უთრთოდა მუხლი, მაინც გადადგა საშიში ბიჯი საბედისწერო.

– ერთხელ გამოსაშვები სისხლი გამოშვებულ უნდა იქნას, თუნდაც სისხლი საწყალი გულისა, მაგრამ...

რა ძნელი იყო ეს დასკვნა მისთვის!

შემოგითვლის უარს მზექალა... რა გეშველება, ან როგორ ივლი ქვეყანაზედა?.. არ დაგთანხმდება.. მითხარ რას იზამ? სხვა გზით თუ შესძლებ წასვლას, წარმართვას, სხვა რამ ბილიკის დაკვლევას, დაქვნას?

– მაშოროს ღმერთმა ეგ განსაცდელი! მაგრამ... თავს ვერ მოვიკლავ... არც ბერად წავალ... ღმერთო და ჩემო სალოცავებო, მიჰმადლეთ სატრფოს ლმობიერება! – შეევედრა შეღონებული

და თვალთ წინ წირმოუდგა სიონთა ღვთისმშობელი. ისე არ ჩაუვლიდა, სანთელი არ დაენთო იმ ხატისათვის. შესწირავდა კოპიტიანსა, იქით დაეშვა. მიდიოდა. დედა ღვთისა ესახებოდა ცნობიერების ნათელ არეზე, ხან სამძივარი. ერთმანეთს არ სცვლიდა ეს ორი ხატი. ცდილობდა ორივ ერთად შეეჩერებინა საცნაურის წინ: ეგონა მძლედ შეხედავდა ლმობიერი ახალ სალოცავს. კეთილ გრძნობას აანთებდა ჯიუტის გულში. ვერ ახერხებდა: ვერ ეტეოდა ერთად ორი მშუქარ ფარგალში. მიართვა ფარა. გაეღიმა. მას ღინკილო მოაგონდა უცაბედად. ის კაცი ისე არ ჩაივლიდა ხატის წინ, არა ჰმთხვეოდა. ამბორის შემდეგ უსათუოდ შემცირდებოდა ხატის წინ შანა. დედა ღვთისა მოწყალებას თუ აძლევდა თაყვანისმცემელს. მოდის მოსავი. კოპიტიანთ დადეს ხატის წინ გახუნებული. დასწვდა მთხვევის დროს გავარვარებულს და...

გაახსენდა ეს იასეს და გაეცინა. თავს შეუტია, რას იცინიო. მარცხნივ, მარჯვნივ დახურული დიდი ბაზარი. ვერ შესძლო გზის გაგრძელება, სახლისაკენ შემოტრიალდა. ეგონა, დღე დაღამდა. მამიდა მართა არ დაჰხვდა შინა. არ დაბრუნებულიყო. ცოტა დროს გაევლო. ლელვარიანთ მაშინვე არ გამოუშვეს მანდილოსანი. შეიქციეს საუბრით, ხილით. თითონაც არ წამოვიდოდა შუამავალი ისე მალე; წყენას არ დაიმჩნევდა. აკი გრილად მოუსმინა ქალს, თითქო უბრალო საქმე იყო იასესათვის, ადვილსასმენი, გადასატანი. ისევ გავიდა კაცი სახლიდან. შორს ვერ წავიდა; მანძილისა თუ ეშინოდა. იქვე ახლო დატრიალებდა.

მოუტანეს ქალის ფიქრი, შემოთვლილი მისი პასუხი. გული ეტკინა, ძლიერ ეწყინა. გადაკვეთილ თქმას მოელოდა, ბნელ შემოთვლას ან ნათელ სიტყვას, სიცოცხლეს მზიურს ან სიკვდილს ძნელსა. უკვე მზად იყო დაჰხვედროდა მასაც, ამასაც. მან შემოთვალა ძველივე თქმა, სიტყვა უსიტყვო, არარის მთქმელი. მოიცვა იგი უზომო სევდამ, გამოუსვლელმა. შემძიმდა გონი, დახშო გრძნობა, ჩაუტყდა მბრძოლი ნებისყოფა და...

ნამად გარდიქმნა მის თვალებში დარდის ბურუსი; გადმოდგა ცვარად მთრთოლავ ცვარად მისსა წამწამზე, მოსწყდა, აგორდა იგი წვეთი; ჰე, ჩაიშალა წვერის ხუჭუჭში. როდი შერცხვა ობოლი ცრემლის. არც მის მახლობელთ გაუოცდათ თვალთა ნაჟური; ჭეშმარიტ გრძნობას ადასტურებს ის მოციმციმე, ფაქიზ გულიდან წარმოშობილს ლამაზ სიყვარულს. ახ, პარტახებულს, მიზანართმეულს, მთლადც გაცრუებულს. რა ბედნიერი იქნებოდა იგი იასე, თვით სამძივარიც, თუ იმ გრძნობათა ამსახველ ცრემლს მიეღწია ქალის გულამდის, შეელბო ოდნავ იგი განხმელი, ნაზ გრძნობათაგან მთლად გაძრცვილი და გახვეწილი; ქვიშრობ უდაბნოდ გადამწვარი,

ვერანებული. იქ ეკალი წვერგანხმელი მხოლოდღა ხარობს, საკუთარი არსებობის მარტო ტრფიალი.

– შენა გგონია, ვაჟკაცის ცრემლი, ლამაზ გრძნობათა იგი ნაჟური, არ იკარგება გაფიცხებულ ქვიშრობში გრძნობის?

– არ იკარგება! თუ დაიკარგა, უკაცური გული იქნება, არც გამოდგება ცხოვრებისთვის, კაცურ ყოფისთვის. ვერ შეჰქმნის კერას სანდომიანს, ვერც დარგავს მრავალრტოან ხეს სიყვარულის.

არა! ქალი როდი იყო მთლად გულცივი და უგრძნობელი: თითონაც დაღონდა, რომ ვერ შესძლო გადაჭრილი სიტყვის გაგზავნა, თუმც კაეშანმა ვერ დააყენა ყვავილებით გარემოცულ დაქნილ ბილიკზე. გასწირა კაცი.

– გული როდა აქვს, ჩემო კარგო, შენით აღსავსე და მისთვის ფიქრობს ესე ცივად, ესე ხანდაზმით. თავს თუ შეიქცევს. ისევ ლოდინი ძველებური... არ მოგეწყინა?! – კითხავდა მართა.

– ნუთუ, შვილო, მაგდენი ცდა არ მოგბეზრდა?! ეგ ლოდინი ლოდივით მძიმე, უწინ კიდევ ასატანი იყო, რადგან არ იყო იმედსპობილი; აწ მთლად დამძიმდა. გაცრიატდა ის იმედი, მთლადაც გახუნდა.

– ჩემის აზრით, მოშლილია იგი იმედი. იმისთვის არ შემოთვალა მტკნარი უარი, რომ უხერხულად მიიჩნია პირში ეთქვა მკაცრი სათქმელი.

– მოვძებნოთ კვალი ამ უმიზნო ყოფისაგან გამოსასვლელი. ამაო ცდა მამცირებელი!

– უეცარი მოქმედება, გასარღვევად ამ ჯადო წრისა. გაბედული რამ ნაბიჯი გადამკვეთელი!

ისმენს იასე საუბარს, რჩევას. სიმართლესა ჰგავს თავისების სიტყვა მსჯელობა. მის იმედის კოშკს ჩაჰშლია ბურჯი, თავს ვერ დაიჭერს, ვერ შემაგრდება. სხვა გზა უნდა აერჩია, სულ სხვა სავალი.

– მტკიცე ქმედება უეცარი! მბრძანებლობა თავისი თავის! მე შინ მივდივარ, – დაასკვნა მართამ.

## 19

ვაჟის მახლობელთ ეგონათ, ამ ზრდილობიანი უარის შემდეგ მიჰხვდებოდა იასე, რომ ცდა, ლოდინი შეუძლებელიღა იყო და მაშინვე დაუბრუნდებოდა ჭკვათამყოფელთ შარას ვაკებულს. თავს მიანებებდა ამ თვისაგან მიუწვდომელ სურვილს, სხვას მონახავდა თავის ბედისწერას, თავის ცხოვრების თანამგზავრს თუ ამხანაგს. ის ვერ შეეგნოთ სხვის ომში მბრძენთ, რომ იასესათვის ძნელიღა იყო კვალურ გზაზე სვლა. ჯერ ვერ იყო ამისათვის მაინც მარჯვე დრო.

იგი ვაჟკაცი ლამაზი გრძნობის მწვერვალამდის იყო ასული, იქ მოთმინებით მოელოდა სიმშვენიერის ღმერთს, და განიცადა მხოლოდ ყინვა მძაფრი, სასტიკი. დიდი ღვაწლის ბოლოს არსიხარული, განპატიჟება .. ეს ხომ გზა არის სასტიკი ტინჯვის, თვით არყოფაზე უფრო ძლიერის. წუთი იგი საბედისწერო! შესაძლებლად სცნობს პიროვნება მოუსპოს თვის თავს ცნობიერება, ბუნების ნიჭი უძვირფასესი. დარია ხელი იასესაც თვის უარყოფის მძაფრმა სურვილმა, მაგრამ უნარი ვეღარ დაჰყვა შესაფერი ამ მღელვარებას; შემოთვლილმა რყეულმა უარმა, მზისგან ნატყორცნმა უმზეო სხივმა აართვა მის ნებისყოფას ქმედობის ძალა. და გარინდდა თვისი გრძნობის ვეღარ დამკვლევი, თვისის აზრისა. ვერ აესახა მკაფიო ნდომა. უსიტყვოდღა მიმოვიდოდა, თითქო უაზროდ.

– ქალო, ამ კაცმა არაფერი კი არ აუტეხოს თავის თავს, ან უგვანი რამ საქმე არ ჩაიდინოს, აზრუქონელი. ჩაუვარდა ენა მეტყველი, გული ჩაეთხრო, მთავარცნობა თითქო ჩაუქრა.

– მეც ეგ მაფიქრებს. ვუალერსებ, ვანუგეშებ, მაგრამ ამაოდ. ისე მიმზერს, თითქოს ესმის, მაინც კი ვერ შეუგნია ჩემი ნათქვამი.

რამდენიმე დღეს გასტანა ურკვეველმა ყოფამ, ბინდბანდმა. ერთი რამ ცვალება კი დაეტყო ვაჟკაცის ქცევას: აერიდა ქალის სახლს თუ კვალს. აქამდის რომ ყოველ ღონესა ხმარობდა ენახა ქალი, შორიდან მაინც გაეგზავნა უსალმოსთვის თვისი სალამი, ახლა ცდილობდა არ შეხვედროდა თუნდაც არ შემთხვევით, არ დაეკრა ქალისათვის თვალი მსურველი. მათ კარებზე აღარ დადიოდა მიმომავალი. თუმცა ის იყო მისთვის გზა მარჯვე; ქვეით-ქვეით ეშვებოდა უხერხული ქუჩით. შენიშნეს ეს თავისიანებმა, ნუგეში იცეს, ეგონათ, იმისმა თავმოყვარებამ აიმაღლაო ხმა, შეიკრიბა ძალა სამოქმედო და შესძლო ნებით დაშორებოდა თვის მისწრაფებას, უკვე უწდომელს.

– ღმერთო, შენით, ჩვენი იასე იკურნება შეუძლებელ თვის სურვილისგან. კარგი სიკეთე გვიყო მამიდამ: საშალი დაჰკრა მის გულის მუწუკს, პირი უჩვენა; დაიცლება მშხამელი ლორწოდან, განიკურნება.

– შენ გგონია?

– ცხადადა ვხედავ! უკვე შესძლო უმისსახოდ ყოფა, გაძლება; არ იხედება ლელვარიანთკენ.

– ვაითუ სასომიხდილის მოძრაობა იყოს ეს და დათავდეს რამ უგვანობით. მე ეს მაწუხებს.

– მაშ ისა სჯობდა, რომ უაზროდ, უშედეგოდ თავს ევლებოდა?

– თითქმის მერჩივნა! ძლიერა ვშიშობ, არ დაენაცვლოს გარინდებას, უსიტყვოდ ყოფას ბოროტი საქმე, შავი ქმედობა.

– გადაკვრით ამბობ! რა ბნელი ფიქრი?

– აბა რა ვიცი! უნდა კი მოჰყვეს ესეთს ყოფას რამ ქმედობა ცხადაზრიანი: ან საქციელი უგვან-უფერი, ან მოქმედება საღფიქრიანი. ვერ შესძლებს დიდხანს ამგვარ ცხოვრებას. გრძნობა, აზრებ და სურვილებ ჩადუნებულ არსებობასა. დადგება ჟამი ქმედობისა ავის თუ კარგის. სიფრთხილე გვმართებს ყურმახვილობა!

– დაარიგე, უთხარი რამე.

– თქმა, დარიგება არავითარი! მითომ ვერც ვამჩნევთ სახიფათო მდგომარეობას. მხოლოდ შორიდან ყურისგდება, ხელის შეწყობა.

მაინც არავითარი დარიგება თუ გზის ჩვენება არ გასჭრიდა ეხლა, ვერაფერ გავლენას ვერ იქონიებდა მასზე, ვერც სამოქმედოდ დაჰკვართავდა მას ჩვეულებრივ ცხოვრების გზაზე. ეხლა, ჯერხნობით. მერმე კი... რახან გადაიარა მძაფრი გულისთქმის პირველმა წუთმა და ელდისებურ მოქმედებაში არ აისახა, სხვა რამ სადენი აუჩნდებოდა თვის ცის ტატნობზედ, სხვა სავალი საარსებო მთელ ცხოვრებაში. კიდეც მოსჩანდა შორს მქრქალ ხაზად ახალი შარა. გავიდა დრო, დაახლოვდა ეს მომავალი. ყური მიუპყრო უსასოქმნილმა იმ მოძრაობას თავის სულისა, რომელიც დარხეულიყო მის არსებაში და ნელ-ნელა მიიწევდა ცნობიერებით განათებულ მიდამოსაკენ. მოდიოდა და მოჰქონდა ახალ ცნებას თვისი სახე განსხვავებული. არ უდრიდა მომავალი განცდილ გულისთქმას. ეს ცხადი იყო, ის კი არ სჩანდა, რა სახე ჰქონდა ან რა ნაკვთი, არ იყო ჯერ მის აღალმა ქანდაკებული.

იცის, ბინდბანდით მოცულ სალაროში კაცის სულისა დიდ ზინეთად ახვავია ცნება, გრძნობა შეუცნობელ-შეუგრძნობელი, ბუნდად სახული. ჯერ მკაფიოდ არახატული და მის გამო ქმედობის ეშხს აცილებული.

შეჩვეულ გზას გადამცდარი, ახალ საგანის ჯერ უქონელი. იასე რინდებულ ყოფის შემდეგ დიდმა მოუსვენრობამ შეიპყრო. აღარ იცოდა როგორ ეცოცხლა, სად ეცხოვრა, რით აევსო მიზანშლილი თვის არსებობა. და აგორდა ბურჯგამოცლილი: ასცდა ოჯახს, შუკას, უბანს. ასცდა ადგილებს, სად მეფობდა ზრუნვა თუ შრომა და ეახლა უქმთ სავანეებს, სალხენ ედემებს. აქა სწვავდნენ თვის ცხოვრებას უზრუნველები, ანიავებდნენ უსაქმონი ხვავებულ ზინეთს. აქ სიამეთა ყვითელს ტახტზედ ჰპოვა ტოლ-სწორი, შესაბამი თვის ყოფაში და შესაფერი. ასცდენოდნენ მყუდრო კერას მოქეიფენი, ოჯახის ტვირთს, მოქალაქის მოვალეობას.

ვერის ბაღნარი, ორთაჭალა, კრწანისის, ვაკის სალხინოები, მტკვრის პირას წალკოტნი საგრილობელნი. ძმური შექცევა, ცივი ღვინო – ლალი გამდნარი, მწვადი ცვრიანი, ქალი თმიანი, ტკბილი დუდუკი, აშუღების აღმტაცი მღერა. აუშვა წყნარმა იალქნები. ააფრიალა. აუშვა სადავე თავის რაშსა ფრთოსანს. სურვილით ჰსურდა მიეცა თავი დავიწყებისთვის, ჩაეღრჩო დარდი სიმთ ჟრიალში, წითელ ღვინოში, შიქასტის ხმაში.

ივლტოდა კაცი თავის თავისგან; ჰსურდა დაეთრო, მოეშხამა ცნობიერება, შავ სურათთა მშენებელი თვისი გონება, ავ ტალღებად აქოჩრილი გრძნობათა თვისი შესაკრებელი. ცდილობდა ძლიერ, ძალა მიჰქონდა. ერთ ჟამს კიდეც მოახერხა ტლანქთა სიამით მორევში ცურვა, მხოლოდ ერთს წამს! ვერ განეშორა საკუთარს თავს, თვის ბუნებრივ მისწრაფებათა დარდი ვერ ჩაჰკლა ვერც ერთის წამით. უსახო სახე ბნელის სევდისა. გამდნარი ტყვია იძვრის, ქანაობს გულის ფსკერზედა. უქარვებელი კაეშანი ულეწდა ფრთებსა ყოველ სიამეს, თავდავიწყების ძალას უსპობდა.

– მაშ აგრე, ჩემო სიცოცხლე?! შემთხვევისთვის ჰყევხარო შენ ჯადოქარს ბმული, უილაჯობის წამისთვის, იმ მძიმე დროისთვის, თუ სხვა ყველა მისწრაფება მოუცდებაო. მაშ არ გიყვარვარ? რომ არცა გძულვარ! – იტყოდა ვაჟი

და ფიქრობდა, ნუთუ მართლა მთლად არ უყვარდა იგი სამძივარს. ვერაფერი ვერ დაესკვნა დადასტურებით. ირყეოდნენ სურათები მოგონებაში; ჰაზრის მაძიებელს ვერ ეპოვნა მკვიდრი ბურჯები.

– ალბათ, ეხლა გონის სარკეშიც კი ვერა მხედავს; თუნდ დამინახოს, ჩემი მზერა გულს შეუბინდებს; აღარა აქვს მის მახლობლად ჩემს ყოფას ჰაზრი. ეხლა ჩემთვის ის სიახლე უფერულია; სამძიმოა თვით სამძივრისთვის. მოჰშორდი ქალსა ლამაზ თვალთაგან, სასტიკ თვალთაგან. ჩემთვის მშრალთაგან!

> რა მშვენივრად გიხდება ეგ ჟუჟუნა თვალები,
> დახუჭულნიც მენახოს, თუ არ შეგებრალები!..

– არა, გენაცვა, შენ იხარე, იბედნიერე! დე, დაიხუჭოს ჩემი თვალები!
– მაგრამ, ბიჭო, დღეს საით გინდა? კრწანისისაკენ? წოწოქას ბაღში?

## 20

წინანაური. მცირე შეღმართი შეფენილი. რა ბოსტანია, რა ხილეული! ვაზის თალრები. ყვავილნარი, ტურფა წალკოტი. ადგილის ეშხი უხვი წყარო, მის სილამაზე. ზედ წყაროს თავზედ ვაზთ გუმბათი, ტურფა თალარი, გადმოჰყურებდა აღმა-დაღმა

დაქსელილ გზასა. ცივ-ცივი ღვინო. ახალი თევზი ვაზი ფოთლებზედ. ეს მოთალია, ღმერთო ჩემო, თუ კარაქია?! რა მწვადებია! იხარე, სულო!

– არ მოდიოდი, შორიაო, მეუბნებოდი.

– შორეული და რა ლამაზი! ქალაქის ჰაერს, მის ჟრიამულს მორიდებული. სოფლის ნატეხი ისევ ქალაქში.

– მაინც შორს არის იასესათვის.

– რა წააგო, რომ გაბედა ფეხის გადმოდგმა?

– კაცო, იასე, ვეღარ მიცვნიხარ: აქამდის, მანძილი შენი სიონიდან გარეთუბნამდის, ქაშვეთის ბაღიდინ მტკვრამდის, ეხლა კი...

– ეხლა კი ძმაო, იცვალნენ დრონი.

– თუ გაიძაბა ის საბელი, მოკლედ რომ ჰყვანდი ადგილს მიბმული.

– მაშ ჰფონებია.

– მომილოცავს ყალთაღად ყოფნა!

– აწ კი იგემებ ტკბილსა ნექტარს თავისუფლების. რა სჯობია იმ დალოცვილს წუთისოფელში?!

– ტყვეობაც რომ მშვენიერია...

– სასურველი პატიმრობა, კარგი ტყვეობა!

– სიყვარულის ჯინჯილებით შეჭედ-შებორკვა...

– კარგია ერთი!

შეუბერეს. ააჩქამეს დუდუკ-დაფდაფი ბგერათ დასების ეშხიანი იწყო შუშპარი.

ამოდუღდი, მარგალიტო, ნაგუბარში ჩადეგ, წყალო,
არც ისეთი ლამაზი ხარ, რა თავს იმადლები ქალო!

ააყოლეს ძმაბიჭებმა ხმა მომღერალთა, შესაქცევად გამოსულმა მურაზსრულებმა. შესვეს, ჩაღლიეს წითელ-წითელი! შეზარხოშდნენ, აელვარდნენ, აალისფერდნენ. მოქეიფენი როდი იყვნენ თავაშვებულნი სულ ყველანი. ლოთიფოთები. ერივნენ მათში ოჯახისშვილნი, უნარის მქონენი ვარგი შრომისა, მომლოდნელი საკუთარის ლამაზ კერისა, უცილებელ მომავლამდის ლაღ-ცხოვრების მატარებელნი. ჩაებმებიან უზრუნველნიც მძიმე უღელში, ჩადგებიან წინათაგან ნაანდერძებ ცხოვრების კვალში და აამებენ საგვარეულო კერის ანგელოსს. ეს იცოდნენ მათ, ხედავდნენ ამას. იასეც ხომ ერთი მათგანია.

– დღესაც რომ არ შემოვიდა სახლში ის კაცი! გადაჰყვა ლოთებს, მათთან ერთად დროს გატარებას...

– რა უშავს, ქალო?! დე, მიდგეს-მოდგეს, გაინავარდოს, დრო გაატაროს თავის ტოლ-სწორში. გადეწმინდება მღვრიე გრძნობები და შეჰხედავს საღის თვალით თავის ყოფასა. აზრიანად შეაფასებს თავის ქცევასა და...

– შეიძლება მართალსაც ამბობ! სულ ამ ქალის მზერაში იყო, ეგონა მთელ დუნიაზედ სამძივარი მხოლოდ არსებობს.

– მე, დედაკაცო, ყოველთვისინ სიმართლეს ვამბობ, იმიტომ გირჩევ, რომ დამიჯერო...

– ჰა, იასე, არ წაიქცე! როგორ ტორტმანობ?!

– არა, ჭვინტი მომედო, დავაბიჯე და...

– კიდევ კარგი, ხშირბინდია და შენი სატრფო ვერ დაგინახავს, თორემ...

– ეჰ, დამინახოს! სულ ის არის მის მიზეზი, სახლზედ გული რომ ავიცრუე, მუშაობაზედ. ჩემი საქმეა ორთაჭალა, ყანწებით ღვინო, დუდუკი, ცეკვა?!

არც ისეთი ლამაზი ხარ, რა თავს იმადლები ქალო!

– მართლა და თავი შენ მზექალად დაგისახია!.. ჩემთვის...

ჰო, ჩემთვის ლამაზი ხარ, სხივის ნატეხი! ვისაც ვინ უყვ... მაგრამ რომ ვსინჯოთ განა აღარ იპოვება ტურფა ქალი შენი სადარი? მოიპოვება!.. აგებულობა ცოტა მძიმე, ნორჩობაშივ ფუებული, დამსხვილ...

– ხანსაც გასცილდა, შენ იძახი ნორჩობაშიო?!

– შენი ჭირიმე, ჩემთვის ჩვილო. ნორჩო, ახალო!

– რომ დადიხარ, ცოტად სტკეპნი. ფეხს ვერ აშუშპრ... ვაჰ, საყვარელო! მკერდს მიტკეპნიდეს ფეხი ფუნთუშა.

– არც რომ ცეკვა გეხერხება, რხევა კისკასი... ნუ, გეთაყვანე! შენი რხევა მზის სხივების ჩემთვის დავლური...

– მაგრამ როცა ზის ყელღერებით... უჰ, ნეტა ერთი მაკოცნინა შიგ ყელში შენთვის!..

– ცოტა მოხრილ... ერთი მითხარ, რაში მწუნობ? უშნო ვინმე ვარ, უგერგილო ან უმურაზო! განა შენ კი...

არც ისეთი ლამაზი ხარ, რა თავს იმადლები ქალო!

– ჩუმად, იასე! ცხრა-ცხრა ადლია? დაჰკარგე ლალი, უცხო თვალი და აწ წუნსა სდებ ტურფას უხინჯოს?!

ვაი, რა დავკარგე: ძვირფასი ლალი!
ცხარი ცრემლი მდის, არ შრება თვალი...

– ეჰე! ეხლა მივხვდი, განზრახ ჩამიმღერა დავრიშ-გიგუამ. ალბათ, იცის ჩემი ამბავი, გაუგია, ქალმა დაიწუნაო და ის მასმინა. აი, თუ მაშინვე მივხვდარ...

– ბიჭო იასე! რატომ ეგრე დასწყვიტე თოკი და მთლად დაზეზდი? განა გშვენის ეგ გაქსუება, ჩვენს კარგს ოჯახს შეეფერება?

– მერმე რა მოხდა, მამაჩემო, რომ ეგრე სჯავრობ? ამხანაგებთან გავიარე, კარგ მეგობრებთან...

– იცი, შვილო, მართა მოვიდა, მამიდა მართა. შენ გკითხულობდა, სად არისო ჩემი იასე.

– ასდუღებია ქოთან-კოჭობი სიყვარულისა. შენ ხომ შინ იყავ, რაღად ვუნდოდი?

– ძლიერ მინდაო მისი ნახვა. იცი, უყვარხარ. საქმეცა ჰქონდა რაღაცა შენთან: დედულ-მამულის ქაღალდები ამოეტანა.

– ეგ სხვა სიტყვაა! ხვალ მობრძანდეს ჩემს სამდივნოში და...

– რა გელაპარაკო ნასვამ ვაჟკაცს, რა გაგაგონო?! მამიდა მართა სამდივნოში?! შენთან აქვს საქმე, პირად შენთანა!

– ნასვამ კაცს! განა მთვრალი ვარ?! არა, ისე დროს ვატარებდით: ცოტა ღვინო, სამხარი მცირე, ტკბილი დუდუკი... საქმე მამიდას? რა საქმე ჰქონდა?..

არც ისეთი ლამაზ...

– ჩუმად! ნუ ჰკივი! ბარემ მეზობლებს გააგებინე გაქსუება, სახლის გარედ შენი ქეიფი.

– აჰა, დავჩუმდი...

დაყუჩდა ვაჟი, არას იტყოდა, აღარც მღეროდა. არას ამბობდა, გასძახოდა მხოლოდ უხმოდა. არ ჰშორდებოდა უბგერო ფრასა ადევნებული. ვერც იმ ფიქრს გადუხვია, ერთხელ აღებულ ხაზს აზრისასა. სამძივარის ხინჯს ეძებდა, მის ნაკლულებას. ჟინი ააჩნდა აწ მის მსჯელობას, თორემ გული არ სჩრდილავდა სატრფოს აღალმას. უკვირდა ძლიერ, რომ ჰბედავდა თუნდ უთქმელ სიტყვით სამძივარზე მუქ მსჯელობასა.

– ჩუმადა ხარ, იასე ჩემო, მაინც დადუმდი! აუსახელ სიტყვის სახეც უნდა ჩაიკლა. იგი ქალი არ შეგინდობს უფერ ჰაზრებსა. ნაზი არის მისი გული და მგრძნობიარე; მეცანია იგი ქალი, მანძილზედაც დაინახავს უფერ შენ ფიქრებს...

– რად იქნებოდა ჩემთან მამიდა? რა საქმეები პირად ჩემთანა? ეჰე, იასე! იქნებ სხვა ბედი აგიჩინა, მნათი ახალი მიბნედილ ცაზედ. როს ჩაგისვენდა მთვარე შენი. იგი ვარსკვლავი აღმოგიბრწყინდა... არა! მთვარესა მცხრალსა ვარსკვლავმან ვითამცა ჰკადრა მტერობა?!

ღვინისაგან დანისლულმა იასეს გონმა მაინც შესძლო მამიდაის განზრახვამდის კვალის მიტანა. ალღომ თუ ამცნო სავალი სწორე. ახალ რჩევით მისულიყო მანდილოსანი, დამაფიქრებელი სიტყვა ახალი. კარგი ჰქმნა დედამ, არ გაუმხილა ის განზრახვა ნასვამ ვაჟკაცს, გრძნობა არეულს. მას დაკვირვება ეჭირვებოდა, ცხრაჯერ გაზომვა და ერთხელ მოჭრა.

– ერთის ფეხით გაასწრო მართამ.

– კარგი, ვერ შეჰხვდნენ ერთმანეთსა. ხელსაყრელია მისი რჩევა ჩვენი შვილისთვის, ჩვენ ოჯახისთვის, მაგრამ ადრეა. შეუხორცდეს გულის ჭრილობა, შესძლოს თვის ყოფის შეფასება ღირსეულადა და მაშინ...

## 21

იასეს რომ აჰფურტკნოდა ცხოვრების შარა სასურველი, ჩაჰხერგოდა და შეჰქმნოდა მთლადაც უვალი; მის მახლობელნიც რომ ჰღონობდნენ სურვილის ჩაშლას, უარყოფას თვისის აზრისა და ცდილობდნენ წარემართათ სხვა გზით თვის საქმე, არც სამძივარი გულსავსეობდა სახემღიმარე. მის მახლობელნიც ვერა გრძნობდნენ გამარჯვებას განდიდებულად და ისწრაფოდნენ დაეკვლიათ ქალის ბედი ახალ სავალით. შეუთვალა ქალმა ტრფიალს თქმა ბუნდოვანი, უფრო უარი, არ იმედის მასწავებელი, მაგრად მერე დაენანა იგი თვისი თქმა.

– რასღა ელი, ნეტა ვის უცდი? გაგიღიმებდა თუ შენ ბედი, კარგი იღბალი, აქამდისიც შეგკონავდა ის შენ ალერსით. მოვიდა შენს კარს მხოლოდ ეს ვარგი, ეს ერთადერთი, მასაც უარჰყოფ, რის იმედი გაქვს?

– რადაო, ქალო, ის ერთადერთი: ბევრი მენუკვა იასეს გარდაც.

– რაღას ჰყოვნიდი?!

– ჰა, ჰა, ჰა! გარნა სხვა ჩემი მთხოვნელები ღირსნი არიან თუნდაც პასუხის? ტოლი მონახონ, თვისი საფერი! იასესაც ვერ შესწვდებიან.

– მაშ?

ეჰ, იასე მხრებამდინაც ვერ ასწვდება ჩემთვის აღნიშნულს... აჰ, ცხადად ვხედავ მე იმ ჭაბუკს ყოვლადშემკულსა! მის შედარებით როდამიც კი...

– თითონ როდამი?

– არა, არა! ისეთია როდამი ჩემი. ნამდვილ ის არი ყისმათისგან ჩემთვის ჩენილი. მის გვერდზე მნახველი იტყვიან ერთხმად: ერთურთისათვის მოვლენილნი წყვილი ლამაზი. შემოგვნატრებენ, ჩვენი ბედი შეეხარბებათ.

და იბრძოდა ქალი, აჩქარებით, ყოველ ღონესა ხმარობდა დაახლოვებოდა იმ რჩეულ ვაჟკაცს, მიექცია მისი ყურადღება.

– ოღონდ კი ერთი დააკვირდეს იგი ჩემს სურათს და მოეჭრება უთუოდ თვალი, მოიხიბლება.

იმის ცდაში იყო. როგორმე შეჰხვედროდა როდამს ვითომ შემთხვევით. ათვალიერებდა, სწავლობდა მის გზას, იმის ცხოვრებას, რომ შესაფერად მიემართნა თვისი ზრუნვა, თვის სავალი. და მოახერხა: მის მეგობრებში აჩნდნენ ისეთნი, რომლებიც იცნობდნენ იმ ვაჟს, სცოდნოდათ კიდეც მისი ცხოვრება. ჰკითხავდა იმათ სამძივარი, მითომ შემთხვევით. ბევრი მაინც ვერ იწვრილა. ცოტა გაეგოთ; არ ყოფილიყვნენ ვაჟის წრისა, მისი მიმყოლნი. მაინც მიაგნო მაახლოვებელ ბილიკს პირდაპირს; და კიდეც შესძლო მასთან ერთად ზეიმში ყოფა.

– დედი! დედიჯან, დღეს ბაზარში ფარჩა ვნახე, თვალი ზედ დამრჩა.

– როგორი იყო?

– დაფოთლილი მწვანე ხასხასი.

– როგორი მწვანე, ღია თუ ყინჩი?

– გიყიდი, კარგო. მაინც მინდოდა საკაბის ყიდვა ქორწინების მეორე დღისთვის. დამშვენდება, სარტყელი და გულისპირი თუ შეუხამეთ; უნდა ფრთხილად ავარჩიოთ ფერი და ნაირი, ზონარიც კი ჩასახლართავი.

– ცოდვა არის ძველებურად მისი შეკერვა, ისევ ქართულად.

– მაშ როგორ, ქალო? ფარჩის კაბა და...

– კრინოლინზე სახმარებლად. ახალნაირად: ჩაქ-ჩაქსულებით ნაოჭად სხმულ ქოქობოებით, ფოლაქებით, ფანცა-ფარჩის მარყუშებით ლამაზ-ლამაზით. კოხტად იქნება ჩემს შაპოსთან შეხამებული.

– კრინოლინზედა?! სად გამოდგება, გენაცვალე, ეგრე ნაკერი? მაგგვარ სახით ირთვებიან გარემავალნი, თავის სახლის ზღურბლს გადასულნი, გაცილებულნი, დარბაზების, მეჯლიშების მუდმივი სტუმარნი. თეათრ-ყაბახი, ქუჩა-ბაზარი, ხელჯაგიანი რაინდები გალაღებულნი! ლიფრი წაწლობა, თავწასული ურცხვად, საჯაროდ. შენი საქმეა? ჩვენი ოჯახის საფერია ეს?

– კარგი, კარგი! არა მინდა რა! ოღონდ არ ხარჯოთ და თქვენს შვილებს ამოაღრჩობთ ოთხს კედელშუა, მზეს ჩაუბნელებთ.

გაფიცხდა, გაწყრა. ხმა აღარ გასცა არც დედას, არც სხვას, აღარ მიხედა აღარც სახლს, არც კარს, წამსვლელ-მომსვლელსა. შეუკერეს, გამოაწყეს ახალ გემოზედ. სურათს ემსგავსა სანიმუშოს, უცხოეთით მიღებულ ხატს გაცოცხლებულსა. მოუწონა შინაობამ ახალი გემო. გულსავსე კი როდი იყო ეს მოწონება, საგრძნობლად ეხებოდა ოჯახის დოვლათს. ჯერ რა უშავდა! მაგრამ ქალი დასდგომოდა მოლიჭყულ სავალს, სად ნაცურ ნაბიჯს უცილებლივ მოსდევს მეორე, სხვაც მრავალი შეუკავებია. რად უნდოდა უცხოური მორთვა-მოკაზმვა, თუ ვერავინ იხილავდა ახალ კანიანს? მეზობლებში, მახლობელთან სასიარულოდ ან საყდარში წასასვლელადა? რა საჭიროა?! და ნელ-ნელა მიიხარა იმ თვის აზრისკენ, აბეზარად აყოლებულ მისწრაფებისკენ, რომელიც მუდმივ თავს ევლებოდა და მიუთხრობდა:

„კარგი, გეყოფა! გასცდი სახლის წრეს მოჯადოებულს; გაიტანე საქვეყნოდ შენი მშვენება! გნახონ. გაფასონ, დასტკბენ, დაგატკბონ. ჰპოვო საფერი! არ ამოსცილდეს ბრწყინვალე მზე ზეგანს, მთა-გორებს, როგორ მოჰფინოს თვის სხივები და მოსჭრას თვალი ყოველ სულდგმულსა, დაბლა დახაროს სათაყვანებლად“.

აიდგა ფეხი, გარეგარე იწყო რონინი. რამდენჯერ მოჰყვა დიდკაცობაში, დიდ-დიდ ოჯახის წვეულთა შორის! რა ხმაურობა, ღიმილ-სიცილი, ცქრიალი, ფრენა!

მოხდენილი არშიყობა გამოწრთობილი. საუბარი, ჭიკჭიკი, მღერა. უცხო საკრავთა ხმატკბილი ჟღერა. პირდაპირადი სიმშვენიერე მოძრავ-მთრთოლარე. ელვის ბუნჯგალთა ანარეკლი?! დავლურს უვლიან საკრავის თვლებზე ცელქი თითები, შირმაიიდან ურჩეველი მოცეკვავე შაქრის თითები. ტაში, შექება, კვლავ თხოვნა, ხვეწნა. ნაზებული ჯიუტობა ბედნიერისა.

– მე კი... სად შევედრები!? როგორ შევსძლებ ავყვე ამგვარ ახალგაზრდობას?! აი რჩეულნი, განათლებულნი! ჩვენნიც იტყვიან, შვილებსა ვზრდითო...

ჩამორჩენილად დაისახა თავი თავის ტოლ-სწორთან შედარებითა: აგრძნობინა ამის განცდამ უხერხულობა. ძნელი მორცხვობა! წარხდა უნარი მიხვრა-მოხვრისა, მსუბუქ-რონინის მოხდენილის მოძრაობისა. საუბრის შნოც კი აერთვა ჭკვიანს ქალს შემკრთალს; მისი სიტყვა ამოიწურა. გრძნობდა ამას გულშემღვრეული, კიდეც ჰხედავდა. ვერ მოჰრეოდა თავისვე თავს, ვერ ახერხებდა შეეცვალნა გარემოება და... დაჰკროდა თვის სკამს ქანდაკებად გაქვავებული. ბოლოს მაინც შეჰმართა თავს, მოავლო თვალი არემარეს; ჰსურდა ეპოვნა თავისავით გირიყულები: იმათ ჯგუფში ჩასადგომად ემზადებოდა. იპოვნა კიდეც!

კედლებთან ისხდნენ ჩაყოლებით უფრო ხნიერნი, მანდილოსნები. გზა დაელოცნათ ახლებისათვის. შეექცეოდნენ კრიალოსანს, ჭორებს, ძველს, ახალს, წარსულს აქებდნენ აწმყოსაგან გულნატკენები, შავი მომავლის მოშიშარნი, მისგან შემკრთალნი. მიმოავლო ლამაზმა თვალნი. შეკრთა. იწყინა.

– მეც ხნიერებში, ცხოვრებისგან გაბიჯებულთ რიცხვში თუ ჯგუფში?

მსწრაფლ აიტკრიცა. ბოღმის ბუშტი ყელს მიეტანა. ცრემლებამდის მიიწურა მიტოვებული და...

– ქალბატონო სამძივარ! თქვენთან ცეკვის ნება მიბოძეთ, – მიეხმატკბილა რაინდი როდამ და მოხდენილად დახარა თავი ქალწულის წინა.

შეაკრთო ქალი დამხსნელმა ხმამ მოულოდნელმა. მარჯვედ დაიძრა. გაჰყვა ხალისით. მაგრამ... როგორ დაფრინავს, ღმერთო ჩემო, იგი ვაჟკაცი! თვალუსწრები მოძრაობა, ელვის სისწრაფე. საუბარსაც რომ ახერხებს ბზრიალ-ტრიალში! ჯადოსანია... ესმოდა ქალს მისი სიტყვა. პასუხს ვეღარ ახერხებდა, ვერ ესროდა სიტყვათა ყვავილს, სამაგიეროს. როდი ეცალა! მისი მთელი ყურადღება – ფერხთა ხმარებას, ტანის მწყობრად მოძრაობასა. ახალ როკვაში როდი იყო ხელოვნებული, ვერც გაწაფული; შუშპარ-თამაში ჩვეულებად ვერ გარდაჰქმნოდა. მაშინ კარგია! თავისთავადღა სწარმოებს რხევა თუ ფრენა, ადუღებს გრძნობას, ზე აღავლენს, სასიამო გრძნობას ჰკვესავს აღმატყინებელს. ვაჟი კი... თავის ქარგაშია, დალივლივებს შეწყობილ ხმებში. ჭრელი კალმახი მფრინავ-მხლტომი წყალთა ჩანჩქერში! მაგრამ... გრიგალივით ბზრიალ-ტრიალში მომძიმო ნალოდ აჰყოლოდა მას სამძივარი; დაღმავე სწევდა აღმაფრენილს, ეზიდებოდა. სად წავიდოდა კეთილზრდილი?! თავის ზნეობრივ ვალს ასრულებდა, გულდადებით თავის ხვედრს საშრომს.

– ლამაზი ქალია, უხდება ჯდომა, მაგრამ შეხედე, როგორ მძიმე მიხვრა-მოხვრა აქვს.

– ვადევნებ თვალსა, ტლანქია თითქმის.

– სრულიად არა აქვს ჰაეროვნება.

– ვერ უჭირავს შესაფერად ტანი ლამაზი: მოკრძალებულა თავჩაღუნული.

– მოქნევით უვლის, დიდ წრეს აკეთებს.

– იმიტომ ჭარბად უფრიალებს კალთა კაბისა, გვაბერტყავს მტვერსა; ფეხსაც უშიშვლებს.

– ყველამ არ იცის ეს ხელოვნება; ზოგი ვერც შესძლებს უშნოდ ნაშენი.

– აბა რა ვუთხრა წელთა სიმძიმეს... კი გიჩვენებდით როკვის მუსიკას!

– სწორედ მუსიკას! თამაშობა შუშპარია; ბრაციბრუცი თხამაც კი იცის...

მართალს იტყოდნენ გამკილავნი, ავნი ენანი. თითქოს ზედმეტი ხორციელი დანაქვთილობა ხელში საგრძნობლად მოსახვეჭი, თუ მოსაწური. განა ცუდია: ეშხში მოიყვანს, მურაზსა სწევს ნივთის მოყვარულს. ვერ ვარგოდა ჰაეროვნად მეტყველებულ შუშპარის დროსა ეთეროვან მიმოხლტომის დღესასწაულში. გათავდა ჰანგი, მისსივე ადგილს მიაქროლა ვაჟმა თვის ცალი.

– დიდადა გმადლობთ ქალბატონო, ჩემთან ცეკვისთვის.

– მაგას რას ბრძანებთ?! მეც გმ...

დროზედ შედგა: იგრძნო, იმას არ ამბობდა, რაც უნდა ეთქვა ზრდილობიან სიტყვის პასუხად, ალღოთი მიჰხვდა. არა ჰქონდა მოსწრებული საპასუხო ნაზეპირები, აღარც უეცრად მოადგა ენას. უკუდგა ვაჟი, გადადგა ბიჯი და უმჩნევლად ხელმანდილით დასწვდა ფეხთსაცმელს. უცაბედად თუ დაჰკრა ფეხი სამძივარმა იმის მაშიას. შენიშნა ქალმა ეს მოძრაობა და აილეწა; თითონაც იგრძნო, რომ ცეკვის დროს ფეხი შეახო.

## 22

ერთხელ შემკრთალმა, შეკუმშულმა ვერ გაისწორა ქცევა თუ სიტყვა. მოუზომელად მოსდიოდა მოძრაობები; დაკუთხულიყო მის ქმედობა, რკალულ წრის ნაკვთი ასცილებოდა. უგემურმა ქცევამ, სიტყვამ უკვე დაბინდეს მისი სიტურფე, მზექალა კი აღარ იყო, სილამაზე მინიჭებული, ქალი იყო სულ უბრალო, უბირად ზრდილი. შემთხვევით თუ მოჰყოლოდა დიდთა კრებულში და არ იცოდა თვისი გეზი გაწვრთნილთა შორის.

კარგი ვახშამი გემოგაწრთვნილთ საალერსოდ შემზადებული. ქალს აქაც დაჰყვა უშნო გრძნობა უვარგისობის და გაახევა, მთლად წაართვა მოქნილობა, ქცევის უნარი. მხოლოდ ერთისკენ მიიქცა სამძივარის ცდა; არ ჩაედინა უფერი რამ და უნებლიედ არ მიეპყრო ყურადღება მეზობლებისა. მორჩა ვახშამიც. იწყეს სტუმრებმა დამშვიდობება. ქალმაც ჩაიცვა სათბილობელი და გამოვიდა. კარგა შორს იყო იმისი ბინა. გატეხილიყო ღამე უმთვარო. ქუჩის ლიფლიფა ძლივსა ბჟუტავდა. საშიში იყო ქალისათვის მარტოკა წასვლა. ვერ შეაყენა ფიქრმა თუ შიშმა, ოღონდ გამოსლოდა სამძიმო ყოფას.

თუ მასპინძელი ძლიერ გართული არ ყოფილიყო წვეულების გასტუმრებაში, მოიფიქრებდა, როგორ უნდა წასულიყო ქალი უმხლებლოდ; მაგრამ საფიქრად არ ეცალა. ხელი მისცა, დაემშვიდობა. სამძივარმა დაინახა ქალის თვალებში, რომ იგი იმ წამს ვერც არჩევდა, ვის ისტუმრებდა; შეუგნებლად წარიტყოდა დასწავლულ ფრაზებს.

„ჰა,ჰა, ჰა! გვერდს მოგდევს ტურფავ, როდამ რაინდი. რა გიალერსებს!“

– ძალიან ბნელა, მშვენიერო! ნება მიბოძეთ, რო შეგთხოვოთ: დაეყრდნოთ ჩემს მარჯვენასა.

– გმადლობთ, ყმაწვილო! რადა სწუხდებით.

რა მტკიცე მკლავი! რვალისა არის ეს დალოცვილი. ეჰა, ვიპოვე სანატრი ჩემი! სურვილით დამმზერს, ასცეცხლებია ვაჟკაცს თვალები. როგორ სწყურიან მომეახლოს, სახით შეეხოს ხუჭუჭ კულულებს! მოიცა, შმაგო! როგორ დაგყვები ესე სწრაფად?! ვერ განგიცხადებ, რომ დაბმული ვარ სურვილით შენით, შენის ეშხითა. ვერც გაგრძნობინებ! კვლავ ცოტა ტანჯვა, გენაცვალე, ერთის წამითღა და...

– რა მალე მივედით! ათი ბიჯი არ ყოფილა თქვენ სახლამდინა.

– რასა ბრძანებ მაგას. ყმაწვილო?! მეხუთე ქუჩას შემოუხვიეთ. აი კარებიც!

– ეჰ..! მომეცით ნება თქვენს ხელს შევახო ბაგე მთრთოლარე, თუნდაც თათმანში შეხვეულს თითებს!..

– ახ!..

– სამძივარ. შენა? – მოისმა მამის ხმა.

წამოსულიყო წასაყვანად. ქუჩაში იდგა მიფარებით, რომ ნაცნობებს არ შეჰხეჩოდა. არ უშვებდნენ, ვინმე გამოაცილებსო. არ დაიჯერა. ძლიერ კარგად ქმნა: გაუძნელდებოდა სიბნელეში მარტოდ მოსვლა.

– მამი?! – გაეხარდა ქალს მფარველის ხმა.

ჯავრმა ისვე ჩაუბნელა გული ნაწყენი, ბაგე დაუხშო. აჩრდილივით მოსდევდა მამას უხმოდ, უსიტყვოდ.

აბა სად არის, შე ბედშავო, შენი რაინდი? ბნელმა ჩაგინთქა ოცნებები, ყველა იმედი. ან რად გეგონა, მოჰხიბლავდი ერთის შეხედვით, მონად შეჰქმნიდი?! მხოლოდ შენს წრეში მძლავრი ქმედობა. შენთ სწორთ ფარგალში! უმწეოდ დარჩი გარიყული... თუ სცოდნოდა საწყალს იასეს, თუ მეთქვა მისთვის მთელი ღამე კარზედ მითევდა, იქვე ქუჩაში, – ეტყოდა თავს უსიტყვო ფრაზით, უცხო სიტყვებით.

მიჰხვდა, რომ მის ქალს იმ კრებულში ვერ გაემარჯვნა, იავარჰქმნოდა იმედები; სხვა საჯავროც რამ შეჰმთხვეოდა, თითონ კაცი სიკეთეს არ მოელოდა იმ ჟინიან გატაცებიდან. ეხლა დარწმუნდა, რომ მისი აზრი თვის ქალისათვის ბედზედ სჯობდა მეორეს: როდი მოსწონდა ნატვრა ოცნება სულ უფლისწულზედ თუ მზეჭაბუკზედ. მისი აზრი დაუბრუნდა დაბალ ფარგლებში მყოფ ვაჟკაცებსა და აეხატა იასეს სახე, სულ უბრალოდ უარყოფილ მახვეწარისა.

– იყო იასე წვეულებაში?

– ვინ იასე?

– მეზობელი...

– რა იმისი სწორნი იყვნენ, რომ ყოფილიყო!! – უპასუხა ქალმა უკმეხად

და კვლავ დადუმდა. არრას იტყოდა იმისი ენა ცივადმეტყველი. გონება კი გრილად არ შეჰხვდა იასეს სახელს, არც გულმა დახშო გრძნობის კარი მის აღალმის წინ. მამის მაგივრად ის ვაჟკაცი რომ დახვედროდა, გათბებოდა, მოლხვებოდა ლამაზის სული და გზას მისცემდა მყინვარ სიპებით გზაჩახერგილ იმის ნებასა.

იასემ არ იცოდა ეს! როდი იყო გულთმისანი, წინამხედველი, თბილელთაგანი, რომელმაც იცის თვის გრძნობის პატივისცემა, კარგი მოვლა თავისის გულისთქმის; სასიკეთოდ განგძობა კერის, გონიერების კატარღით სვლა ცხოვრების ზღვაზედ თვის მოვალეობის ეშხიანად ასასრულებლად. ჰაი, ჰაი მოვიდოდა მის წასაყვანად, უთევდა ღამეს, თუნდ სცოდნოდა, რომ სამძივარი მისკენ  მიხრილ გრძნობით თუ აზრით გამოვიდოდა იმ სახლიდან; გაჩნდებოდა ქალის წინაშე. აჩრდილივით აჰყვებოდა ატოლებული. ეხლი კი...

რა იცოდა ეხლა ვაჟმა, რომ მზეს ეშუქნა იმისათვის, ნათელს, მხიარულს?! ეს არ იცოდა! ჩაჰღობებოდა სურვილის გზაზედ უიმედობის აჩრდილი შავი. სულ სხვა სავალს გარდუშლიდა არსებობისას, სახილველად კარგს, ნამდვილადაც კარგს; გესლიან ვერ მიღებულს, იდუმალად მწამებელს, მარად უშრეტ სევდის წყაროსა

და თვის მარცხისგან ნებისყოფა-გადამტვრეულმა, საქმისა თუ შრომისათვის გულგატეხილმა, კარგად მსჯელი სიწყნარისგან განზედ გამდგარმა, ისევ განაგრძო თვის ცხოვრება უფერებელი: კვლავ ბაღები, სალხინონი, თოკახსნილი, ძმა-ბიჭები თუ მეგობრები; თვის კაეშანის სიმღერებში ჩაქსოვ-ჩადნობა, თითონაც შესძლო ამ ყოფაში

ლექსთ გამდოღება. მოსთქვამდა ქალის გულქვაობას, თავის სევდისა, ლამაზ ყოფის გამცუდებელ შავ-ბნელ დარდებსა.

სწყინდა დედ-მამას მის გარეწრობა. გვარად არ მოუდიოდათ ოჯახზედ ზრუნვის უარყოფა, კერის დანგრევა, დიღონება სახლის მფარველ კეთილსულისა. გაბჭეს, დაასკვნეს პირდაპირ მოეთხოვნათ შვილისათვის, რომ ხელი ეშვა უფერებელ ცხოვრებისათვის. ვერ გაეგოთ მანძილი გავლილებს, რა ცეცხლი ეგზნო ვაჟკაცის გულში.

– რა გაუხდა ეს სამძივარი, რომ იმის იქით ვერვის ჰხედავს. მისმა შემყურემ შეირყიოს სიცოცხლის დენა და გაამრუდოს გზა ცხოვრებისა გავაკებული... ცოდვა არ არის თითონ ვაჟკაცი?! ჩვენც ცოდვანი ვართ, ლამაზი კერაც მამაპაპური.

– ოღონდაც რომ მის შემხედვარმა! რამ მოხიბლა, ღმერთო ჩემო? დამცირებასაც ვეღარა გრძნობს; იმ ქალისკენვე უქრის გონება: ეს როგორი ჩვენი შვილია, შენი და ჩემი, ამაყებისა?!

– ეგ მართალია! არ მოგვიხრია არასოდეს თავი არვის წინაშე. რად ავიტანდით დამცირებას, პატივის აყრას?! არც მიჯნურისგან! შენგანაც არა, ჩემო კარგო, ჩემო ლამაზო!

ბევრს ამბობდა დედ-მამა. შვილსაც ეტყოდნენ. თქმა, ჩაგონება ისევ სხლტებოდა იასეს სულზედ, საკუთარი წრთვა და აზრებიც. ემონებოდა ჯერეთ თავის გულს, ტკბილ გრძნობათაგანს ისევ მოხიბლულს; ლოცულობდა თვის ვარსკვლავს ეხლაც, როდესაც უარყოფის ღრუბელი შეჰმოსოდა მას და მოაყრიდა ბუნჯგალ-ბუნჯგალ იმედების ჩამწველ ნაპერწკალთ.

იასეზედვე ფიქრობდა მამიდა მართა, მხოლოდ ვაჟზედ კი არა, ოჯახზედაც. თავის თავსაც არ ივიწყებდა, დაფარულ აზრებს! სხვისა შვილი აკნინებდა იმის მახლობელთ და თანაც ისე, რომ მათ ღონე ართმეოდა მის შესაბრძოლად. ვერა ჰბედავდნენ ეთქვათ მისთვის გადაკვეთილად.

– უშენოდაც კარგად ვიცხოვრებთ! შენს იქითაც ვიპოვით სავალს. შევსძლებთ, გადავჭრით ჯადოსნურად შემოხაზულ გზას.

ვეღარ დაჰვიწყებოდა მანდილოსანს, რომ დაიმსხვრა თვით მისი ცდა სამძივარის გულგრილობაზედ. არც დაივიწყებს! ხელსაყრელია იმისათვის ამ ამბის ხსოვნა.

– როგორა, ქალო?თითონ გეახელ, მართა მამიდა, მოვიხარე შენს წინ მე თავი და... ცალიერ გამომისტუმრე!..

უდუღდა გული, შელახული თვითყვარება არ აწყნარებდა.

– რახან ეგრეა, მაშ არ ვყოფილვარ მამიდა მართა, თუ ახალი გზა არ ვუპოვნე შენგნით მონებულს, არ ავყარო გული შენზედა. ისე დაგივიწყოს, როგორც...

მაინც იცოდა გამოცდილმა, რომ ეს საქმე არც ისე ადვილი იყო და ფიქრობდა, როგორ მოეწყო ყოველივე, რომ ვაჟკაცი თავის შეუმჩნევლად მოჰშორებოდა უარისმყოფელს სამუდამოდა; ვეღარ ხლებოდა იმ თავის სატრფოს, ფიქრიც ვეღარ შესძლებოდა ახლოებაზედ. იცოდა მართამ, ეს დიდი წყენა, ქალისაგან უარყოფა და დამდაბლება, მაინც ვერ იყო იასესთვის ისე მძლავრი, ისე მღელვარე, რომ წაელექა გონება მისი და აემღვრია მისი გული ბნელად, ბოროტად. სწყინდა ვაჟკაცს ცუდი განცდა, წყლულად სტკიოდა, მაგრამ...

– ამასაც დავითმენდი ეხლაც, შემდეგაც; განპატივებას შემაძლებინებდა შენი ხატება ჩემთვის გებული. შენ მეუფე ხარ ჩემის არსების, უწყალო მეფე ჩემის სულისა. მაგრამ აწ რა ვქნა, რომ მომესპო შენგან იმედი?! – იტყოდა ვაჟი სასომიხდილი.

მამიდას აზრი თავისუფლად მოქმედობდა მიზანაღებით და მისთვის იყო ისე მკვეთრი და მოზიდული. განა მარტო შელახული თავმოყვარება ჰკვართავდა მის ნებისყოფას სამოქმედოდა, მას ექნებოდა საიდუმლო თვისი სურვილი, აწ ოცნებად მისთვის ქცეული.

– ყველას თავისი უზომ-უფერო ჰაზრი თუ ქცევა წინვე დაჰხვდება, ან მოეწევა ადრე თუ გვიან და დაანახებს, რომ ბოროტის ქმნა არც ავის მოქმედს მოუტანს კარგსა. იმ ქალის ქცევა როდი არის ნათლად ზომილი და...

– მეც კარგად ვხედავ და მისთვის მინდა შევეშველო იმ საწყალ ვაჟკაცს. სწორედ დაღუპავს! კარგად მიქცევა იმის საქმისა, მისი წაღმა შეტრიალება ვეღარ ხერხდება; ვერც მოხერხდება! უნდა ვითავო მისი დახსნა ალქის ხელიდან და მოვახერხო! ავასრულებ უსათუოდა!

ამ სამოქმედო ჰაზრს განამტკიცებდა დიდი ბურჯი, უფრო წინად ნაფიქრ-ნაშენი; უმემკვიდრო ადამიანს, ქონების პატრონს, ადრევე ჰქონდა ნასურვები, რომ იასეს დარჩენოდა მისი ქონება. უყვარდა თვისი შვილობილი ობოლი ქალი. ანდერძიც ჰქონდა ცხონებულს დატოვებული, რომ თეონასთვის გადაეცა მთელი მამული. მართას კი თვალი იასესკენ უფრო ეჭირა. ის იყო მისი მახლობელი, გვარის განმგრძობი. ეს მოსაზრება ჰქონდა ფუძედ მანდილოსანსა, როცა შეუდგა იასესთვის ზრუნვა-ქმედობას.

– თუ შეიძლება შეერთება ამ ქალ-ვაჟისა?! – ოცნებობდა ეს შორსმჭვრეტელი.

ეს განზრახვა დაეფარნა მას ყველასაგან. თავის თავსაც კი განცხადებით არ ეტყოდა იმ გულისნადებს. როცა იმდენად ემონებოდა თავის სამძივარს, არც შეიძლებოდა ამაზედ ფიქრი. სარისტიანი დედაკაცი მხოლოდ გულდასმით ათვალიერებდა იმის ქცევასა, სატრფოსთან კავშირს. ნახა, დრო მიდიოდა უაზროდ და უმნიშვნელოდ; ქალ-ვაჟი საბოლოვოდ ვერ ახლოვდებოდა; ამან აამოქმედა დედაკაცი, ათქმევინა გადაწყვეტილი.

– ბევრი ცდა თუ აზომ-დაზომა ამაოდღა იქმნება ეხლა და ნაჭარბები. წავალ, გავიგებ დანამდვილებით, რა აზრი აქვს ქალს; ჩემის თვალით ვნახავ ყველაფერს და... – გაიფიქრა

და გადადგა ის ნაბიჯი, რომელმაც იასესათვის ახალი არა გამოარკვია რა, თითონ მისთვის კი, მართასათვისა, ცხადყო ჰაზრი შემდეგის თვისის მოქმედებისა. ამის მერმე იყო, რომ უფრო დაუახლოვდა თავის ძმა-რძალსა, ხშირად იწყო მათთან სტუმრობა; მათაც იწვევდა თვისთან მალ-მალ. მარტოდ-მარტო არ დადიოდა იმათთან მართა, თეონა დაჰყვანდა თან კოხტად ჩაცმული. კარგად მსჯელობდა: შნოიანი ქალი, ჯანსაღი, სუფთა ქცევისა. კდემამოსილი; ნამდვილი სასძლო იმედიანი.

– დალოცვილი ისეთი ფრთხილია და მოკრთალებული, თითქო რჩეულთა შვილიაო, კარგის ჩამომავლობისა.

– იქნება ეგრეც არის: დაჭეშმარიტებით ვერ გაიგეს, ვინ მიუგდო მაგათ ეგ ბალღი.

– შენ ისა სთქვი, დედაკაცო, რომ ერთგული მშრომელიც არის ჰაზრიანი, თანაც მარჯვეა: ყველაფერი ეხერხება, ხელსაქმე თუ სახლში ტრიალი.

– ბედნიერი იქმნება სახლი, სადაც ეგ შევა; ხუთი თითი სანთელი შეანათებს იქ ანთებული.

– არც ზვიადობს ზოგიერთივით, თუმცა კი იცის, მართას დოვლათი მაგაზედ არის დამტკიცებული. სხვა უმაგისო დაიწყებდა უფლისწულის ძებნას ან განთქმულს რაინდს დიდდიდებულსა, – უბნობდნენ ესე ვაჟის მშობლები. და ძლიერ სწყინდათ, რომ მათ შვილისგან შეყვარებული არ იყო შემკული იმისთანავ კარგ თვისებებით.

თითონ იასე შინ არ დგებოდა: ან სამსახურში დადიოდა, ან საქეიფოდ. გული უჩქაროდა გულგატეხილს, თავგზააბნეულს, ვერ ასვენებდა. იშვიათად შეჰხვდებოდა სტუმრად მოსულებს. ეს სულაც არ აწუხებდა მამიდა მართას; კიდეც მოსწონდა, თავის განზრახვისთვის ხელსაყრელად მიაჩნდა ესა. კარგად იცოდა, სად მიდიოდა, აუჩქარებლივ მით ვიდოდა თავის სავალზედ.

– გაიცნონ ახლო ჩემი ქალი, შეაფასონ მის სიკეთე ყოველი მხრიდან; იწვრილონ ჩემი მოსაზრებაც ამის შესახებ. ჯერ ამათ შეითვისონ ჩემი თეონა, ჩემმა ძმა-რძალმა და მერმე...

იმის იმედი ჰქონდა მამიდა მართას, რისაც ეშინოდა იასეს მშობლებს, რაზედაც ისინი მეტად დარდობდნენ. ვაჟკაცის გაქსუებაზედ ამყარებდა გამოცდილი თავის იმედებს. არა, თითონ ეს გარეგარე სიარული კი არ მოსწონდა, ეს საძრახისი სახლზედ გულაყრა. ის უამებდა, რომ ჭაბუკმა შესძლო შემართვა იმ თილისმისა, ჯადოს გამოხსნა, რომელსაც მიება იგი სამძივარის კარს და სულ მას თვალ-წარბში ამზერინებდა, რომ მის გარეშე არსის სიცოცხლე აღარ ენახა, არც შეენიშნა.

– რახან პირი ქმნა იმ ჯადო-ხლართმა, მთლადაც თანისთან გამოეხსნება და მოისპობა სანცვიფრები იგი ტყვეობა, მიჯნურისგან საოცნებო მონობა ტკბილი. თუ ამ მხრივ ერთხელ ეფონება ვაჟს, მაშინ შესაძლო შეიქმნება ეს ჩემი ნატვრა: შევაერთო უფრო საფერი ეს ორი სული ახალ კერისთვის. ნორჩის სიცოცხლის გარდასაფურჩქვნად.

შეიქმნებიან ძმა-რძალიც მაშინ იმის მომხრენი: თვალს მოსჭრის იმათ ქალიც, მზითევიც. მამიდა ხომ ხელს შეუწყობს ახალ სულთკეთილს: რადღა დაზოგავს თვის ქონებას, გამოცდილებას?!

– ჩემთან ვაცხოვრებ ჩემს მემკვიდრეებს, ჩემსავე სახლში, მშვიდად მოვკვდები: მეცოდინება: ჩემი კერა არ გაცივდება, არ დარჩებიან უპატრონოდ ჩემი მამული, ეს სახლ-კარი ჩემი ნამზითვი, სად ლანდებად მიმოვლიან წარსულთ აჩრდილნი, სევდით სავსე მოჩვენება იმ ცხონებულის... გამეხარდება შავეთიდან აჩრდილად მოსულს, რომ დავინახავ ამ ჩემების ბედნიერებას... იმ საცოდავის სურვილია ეს, მისი ნატვრა ჩვენის ბიჭუნის დაღუპვის შემდეგ.

## 24

სინამ შორიდან დაწყებილი საქმე იქამდინ მოგვარდებოდა, რომ შესაძლებელი შეიქმნებოდა მისთვის ხელის ჩაკიდება, მამიდა მართას ნააზრევი თანისთანობით გზას იკვლევდა იასეანთკენ; შინაური თუ ხდებოდა ქალი თეონა მათ ოჯახისთვის; თავს აწონებდა კერის პატრონებს. ძლიერ მოსწონდათ მის წყნარი ქცევა თავაზიანი, კითხვა-პასუხი ჩაფიქრებული, მშვიდად მსვლელი გარჯილობა იმედიანი.

– ვგონებ, ამ ქალმა არც კი იცის ღელვა, ჯავრობა; წყნარის ბუნების ახალგაზრდაა თავდაჭერილი.

– ოსტატმა იცის და მისმა ხელმა! მამიდაც ხომ წყნარი არის, დინჯად მფიქვრელი; ისე მოზომავს, უსათუოდ აისრულებს გულის წადილსა. თეონასაც იმის ზნე დასჩემებია.

ალბათ თითონაც კარგი ბუნებისაა, ჯილაგიანი. ზოგი ისეთი დაიბადება, სწავლა-წვრთნა არ ეკარება, ვით კედელს ცერცვი.

– თითონ ქალსაც აბა რა უჭირს?! ეშხიცა აქვს, მიმზიდველობა. ძლიერ უხდება ღიმი კეთილი.

– ჯანსაღი ქალი მარჯვედ მომქმედი. შინაური პურის არის გამწევ-ამტანი.

შესწყვიტა საუბარი ცოლ-ქმარმა. ხმამაღლა აღარას ამბობდა, თუმცა თავთავისთვის ორნივენი განაგრძობდნენ ამ საგანზედ ფიქრს, მოსაზრებას. მიმხვდარიყვნენ მამიდა მართას მისწრაფებასა, მოსწონებოდათ მისი სურვილი, თუმცა ჯერ არ გაემხილათ ერთმანეთისთვის, გულახდით არ ელაპარაკნათ ამაზედ. მაინც იცოდა მამიდა მართამ ეს ყველაფერი, გულთმისნურად კითხულობდა უთქმელ სიტყვებსა, თვის მომხრეებად სთვლიდა იმათ, დამხმარებლებად.

თეონაც გრძნობდა უფროსების მოწონებასა. მაინც ის იმდენ ყურადღებას არ აქცევდა იასეს დედ-მამას და იმათ სურვილსა თუ სიყვარულს; ნატრობდა, თითონ ვაჟკაცს მიექცია ნდომის თვალი იმისკენა; თვალში ძლიერ მოსდიოდა ჭაბუკი ქალწულს. ბალღობიდანვე იცნობდა იგი იასეს; ჯერ ძმასავით უყურებდა თავის ბიძაშვილს; ეგონა მართლა შვილი იყო ამზრდელებისა. მაინც მაშინაც მოსწონდა ვაჟი, გული ეღებოდა მის დანახვაზე სასიხარულოდ, მის ლბილ ხმაზედა. ამ ნოყიერი ხმის გამომღების გულიც სახიერადა ჰქონდა წარმოდგენილი, კეთილით სავსედ. კარგი შეხედულების იყო იასე, მეტადრე მის თვალში.

– ნეტავი იმას, ვინც დაგეყრდნობა ვაჟკაცურ მკერდზედ, გადაგიკოცნის თეთრ-ყირმიზ ყელ-ყურს! – გაიფიქრებდა.

ქალს შეეძლო მაშინვე აესრულებინა ეს თავისი ნატვრა, შემოჰხვეოდა თავის ბიძაშვილს. ვერა ჰბედავდა: ნათესაური ვერ იყო ის გრძნობა, რომელიც იწვევდა მას ამისთანა მოძრაობისთვის; შემღვრეული განცდა იყო ის და ამისთანა არაწმინდა გულით ვერ შეეხებოდა თვის ნათესავს. როგორ შეიძლებოდა?! აღარც ისე პატარა იყო, ვერ გაერჩია უბრყვილო სიამე თვისტომური და ხორცთა სწრაფვა შეუღლებისკენ გაქანებული. ჰაზრით დარწმუნებული იყო, რომ მახლობელს უალერსებდა, თავისიანსა; ბუნება კი საიდუმლოდ ჩასჩურჩულებდა ნივთიერ გრძნობას, ხორცთა სიამეს. მისთვის უფრთხოდა კოცნას თუ ხვევნას შეღერებული. დედობილი შორიდან ადევნებდა დამკვირვებელ თვალს და შენიშნული ჰქონდა გამოწრთობილს ის მძიმე შეხედვა, რომელიც გამოკრთოდა თეონას დაშტერებულ მხედველობიდან, ვაჟის სახეზედ შეუგნებლად შემდგარ მის მზერაში.

სინამ თეონა არ იყო სრულ ქალობაში ჩავარდნილი, მამიდა მართა შეუმჩნევლად ცდილობდა დაერიდებინა სულ ახალნორჩი ქალ-ვაჟი ერთმანეთისათვის; ამჩნევდა ქალის გრძნობას ბუნდოვანს და ეშინოდა რაიმ ხენეში ნაყოფი არ გამოეღო იმ შეუგნებელ მის მისწრაფებას. როცა ქალი მოიწიფა, მართამ შვილობილის ამ მისწრაფებაზე დაამყარა თავის სურვილი. თავისუფლება აგრძნობინა ქალს. შეძლება მისცა აჰყოლოდა თავის გულისთქმას. ქალმა ეხლა უკვე იცოდა თვის ვინაობა; ისიც გაეგო, რომ მართასათვის სანდომი იყო იგი კავშირი, რომლისათვის უთქმიდა გული თითონ თეონას.

ამ გრძნობის ცხადად ასახვას ქალის მხრივ ჯერ ისევ დიდი სიფრთხილე უნდოდა: ვაჟკაცი სხვა ხატით იყო მიტაცებული, სხვა სახეს მიეზიდნა იგი თვისკენ ძლიერის ძალითა. ფრთხილობდა ქალი, თუმც ძნელი იყო იგი თმენა ეშხის სიმღერით აღსავსესათვის. ამაო იყო ესეთი ცდა; შეუძლებელია ძალამოსილ გრძნობის დაფარვა; მკაფიოდ იხატება ის ხორცთა სახეში; გამოსჭვირს ისე, ვით სანთელი შუშის რამ ბუშტში ქალის თვალები, მის მთრთოლარე ხმა. მის მოძრაობა ყოველივე თუ მიხვრა-მოხვრა ცხადჰყოფდნენ იმის გულისნადებსა.

– თუ შესძლო თეონამ და მცირედ მაინც მიჰხარა თვისკენ შმაგქმნილის თვალი, ეს დასაწყისი შეიქმნება თილისმის ხსნისა; რა იწყობს დაშლას ჯადო ნახლართი, მთლადც დაიშლება და განქარდება, – ფიქრობდა მართა.

იასე გრძნობდა თავის გავლენას თეონა ქალზედ! მაგრამ ჯერ აზრს ვერ მოსულიყო, ვერ აჰსახვიყო გონების თვალთ წინ იგი მისადმი სხვის მისწრაფება. ხედავდა იგი, მაინც ვერ სჭვრეტდა გრძნობათა დუღილს არშიყის ქალის; გრძნობდა მის ტანჯვას, მის გულისტკივილს, ვერ კი შეეგრძნო განცხადებულად.

– დაიწვი ცეცხლით უქრობ-უშრეტით, როგორც მე დამწვი, ალქო გულქვაო! – ეტყვის იასე თავის სამძივარს.

– იტანჯე, ბიჭო, როგორც მე მტანჯავ, ჩემის მოლტოლვის ვერ დამნახველო! – ეტყვის თეონა თვისსა რჩეულს.

ვაჟკაცის თვალნი მოღიმარნი, თვის კაეშნისაც ღიმით მსახვევნი, უსინათლონი თეონასათვის! სხვისი აღალმა იდგა მათ შორის; დაუნდობლად იმსხვრეოდნენ მათ თვალთ ისარნი იმ ხატობაზედ. მაგრამ იასეს გატაცება ვეღარ იყო ქაფქაფებული...

– დაშვებული! გაგრილებული?!

– დამდორებული, ფერფლმოდებული, მაგრამ გარედან, მხოლოდ ზევიდან, ქვეშ ისევ მდნარი, მძიმე, ძლიერი. ვერ ჩაქრებოდა მთელს მანძილზედ მისი სიცოცხლის უჩინარ ქმნილი გრძნობა ძლიერი.

– ნუ თუ დახსნოდნენ მათ შემკონელნი იგი სირანი?!

– დახსნილად ჰგონეს მოდუნებულნი.

## 25

საღამო იყო, ბადრი მთვარის ამოსვლის ხანი. მიწურული ზაფხულის სიო; არდადეგების სიცხე-ბუღი დაშვებულიყო. კარგი საღამო იწვევდა გარეთ სუფთა ჰაერზედ. აივანზედ იდგნენ იასენი წასასვლელად მომზადებულნი. აივნის სვეტს მიჰყრდნობოდა ვაჟი, ფეხი გადაეჯვარიდებინა, მარცხნით ხანჯლის ტარს დაჰბჯენოდა. გამოვიდა მამაც. სადილთუკან წასძინებოდა: ამდგარიყო, პირი დაებანა, წვერს ივარცხნიდა.

– თქვენ კიდეც მომზადებულხართ.

– დროა. ადრე მონათლავენ, რომ დროზედ გაშალონ სუფრა; შუაღამემდინ ხომ არ დაიჭერენ სტუმრებს.

– წავიდეთ! აი კაბას გადავიცვამ და...

– ემჯობინება ნათლობაზედ დავესწროთ. პირდაპირ ვახშამზედ ხომ არ მივალთ.

– თეონასაც იქიდან გადვიყვან: მაინც წაყვანა მინდოდა და მკერვალიანნი ხომ იქვე არიან, ჩვენ სახლთან.

– რა გვეჩქარება ქალის შინ წაყვანა: თავის სახლშია, თავის ბიძასთან, თვალში მაკლია, როცა აქ არ მყავს.

– შინ დავრჩები, დედი: გული არ მომწევს, – წართქვა იასემ.

– რათა, შვილო? შენც ხომ დაგპატიჟეს, უსათუოდ მოვიდესო. შინ რას გააკეთებ სხვაგან თუ გინდა წასვლა...

– წამოდი, ყმაწვილო! ეწყინებათ, რომ არ ეწვიო, – ჩაურთო მართამ.

დაჰყვა იასე. გული მაინც არ უდგებოდა შინ. წინად რომ სამძივარის ტრფიალებას მიება იგი სახლისა თუ კარ-მიდამოსთვის, ეხლა ეს ძალა მოჰფონებოდა: ქალის უარშიობას ჩაედუნებინა ის. თავის ტოლ-სწორშიც ვეღარა ჰპოვებდა თავდავიწყებას: მისმა ბუნებამ ვერ ითვისა იმგვარი ყოფა. დიდ მოწყენილობასა გრძნობდა. არ იცოდა, რა ექმნა თავის თავისთვის. ეს შემთხვევა მცირედ მაინც გაართობდა მას, დროს გაატარებინებდა.

გაემართნენ. უფროსები უკან ვიდოდნენ; უნცროსები წინ უძღოდნენ დაწყვილებულნი.

– მშვენიერი საღამოა, ყმაწვილო, გრილი.

– გუნებაზედ დააყენებს კაცს დარი ამგვარი.

– ძალიანა ცხელოდა ზაფხულში, მეტადრე ჩვენსას: მთელ დღეობით მზე დაჰყურებს მისკენ მიქცეულ ფანჯრებიდან.

– არც ჩვენსასა ცხელოდა ნაკლებ: ზაფხულობით სული ეხუთება ადამიანს ქალაქში; ტყუილად კი არა ჰქვიან თბილისი.

– იცი, ყმაწვილო, ამოვიკითხე, ტბილისიაო ან ტობელისი ძველი ტობელის საუფლისწულო...

– არა, თბილი წყალი სდის, იმისთვის ჰქვიან თურმე თბილისი: თბილის მაგივრად ტბილი ითქმოდა უწინდელს დროში.

– ნეტავი იმას, ვისაც შეუძლიან, სოფლად გაატაროს მთელი ზაფხული! ვენახი, ტყე, მონდორ-ველი ყვავილით სავსე...

– თუ ეგრე გიყვარს, ზაფხულობით რად არ მიჰყევხარ მამიდა მართას? სახლი, კარი ნარგიზებში, კარგი მამულით... თითონ ხომ დადის.

– საქმისთვის დადის, მოსავლის შემოსაკრებად: ზვარი მამას შემდეგ იჯარით მიუცია, უკაცოდ რომ დაიგულეს, არაფერს მასარგებლებდენო; სხვა მამულის მისახედად ცოტახნობით მიდის; აქაც სახლი ვერ გაუშვია უპატრონოდ. ამდღეებში წავა და მეც წამიყვანს.

– ჭკვიანი ადამიანია მამიდა. უვაჟკაცოდ მართლა ძნელია მამულის მოვლა, მერმე ზვარისა. გამასინჯა ქაღალდები; ხელსაყრელ პირობებში აქვს გაცემული, – მიუგო იასემ და გადახედა ქალს.

თეონას ნატვრა თუ იხრებოდა ასრულების კვალისაკენა: მუშტრის თვალით უყურებდა ბოლოს ხანს ვაჟი.

– უხდება კარგი მიხვრა-მოხვრა; ტანი ლატანი კი არ ტყდება მოძრაობაში, არც იკუთხება; რკალდება იგი წრეშემოვლებით. ადვილად ჰყვება თვალი მის რხევას, თითქო ამდება. დინჯი მსჯელობა. ზრუნვა აწმყოზედ თუ მომავალზედ.

ნაღარს მიადგნენ სხვა ქუჩისკენ გადასავალში: ზოგი ქუჩა ჯერ არ იყო ქვით მოფენილი და ნიაღვარს დაეხრამა ადგილ-ადგილა. ფრთხილად უნდოდა გადასვლა არხივით თხრილზედ. წადგა ნაბიჯი და გაჩერდა ოდნავ წახრილი, ფრთებგაშლილი გასაფრენად. გადახტა ვაჟი, გაუწოდა ქალს მარჯვენა, თხრილს გადაავლო. ნაზი ღიმილი სამადლობელი. რა თბილი ხელი! მკერდით მკერდს შეხვდა გადაფრენილს და იგრძნო სილბო ჩვილის ბირთვების.

– უბრალოდ მექცევა. როგორ მენდობა! მოვწონვარ; განა ეხლა, დიდი ხანია. კიდეც ვუყვარვარ, მეტრფის იდუმალ. მამიდაშვ...

– რას ამბობ, კაცო?! რის ნათესავი?! სულ უცხო შვილი, მამიდასგან თვისებული, მისგან აზრდილი. არა გაქვს რა დასაწუნი, მისთვის მოსწონხარ, მოწიფული, სატრფიალოდ შემზადებული და... შეჰყვარებიხარ.

– ისიც კია მოწიფული, ჩემი მტანჯველი. რაზედ მყოფს უარს?!

– მოწიფული? მეტიც მოსვლია: ბევრით დიდია ის თეონაზედ. დაბმული ჰყევხარ გრძნობის ჯინჯილით. ეძებს უკეთესს. იპოვის, კარგი; თუ არა და...

– იმედმიხდილი მომცემს ნებას მივუახლოვდე, მოიღებს ჩემზედ მოწყალებასა.

– მთელს სიცოცხლეში შებრალებულ საბრალოდ ჩაგთვლის, როგორც კნინს ვისმე, არა ტოლსა, არა მეუღლეს.

– განკითხულ გლახაკს, გრძნობათ ნაფშხვენით კმაყოფილებულს?!

– უნდოდ განკითხულს. უნებლიეთ შეწყალებულსა.

ამგვარმა ფიქრმა თუ გრძნობებმა ვაჟს გაუღვიძეს თვითყვარება, თავისი თავი შელახულად მიაჩნევინეს. გული აემღვრა თვის სამძივარზედ. პირი იბრუნა იმ ზვიადი მშვენებისაგან და... შემობრუნებულს დაჰხვდა თეონა თბილ გრძნობით სავსე, მისკენ მიხრილი ობოლი ქალი, სიმცროდანვე იღბლიანი, მშობელთ მპოვნელი.

– ჰე, ბედნიერი! იპოვის დღეს, ხვალ თავის შესაფერს. მართა უპოვის, გაატარებენ წყვილად, ტკბილად წუთის ცხოვრებას; ღვთის საამოდ, მოყვასთათვისც გასახარებლად.

რატომ არ უნდა ყოფილიყო თითონ იასე განგებისაგან არჩეული თეონას ცალად?! გზას მისცემდა, აკურთხებდა ზეცა მათს კავშირს, თუ არ შეჰყროდა ცხოვრებაში მას ის სასტიკი, არ წარეტაცნა იმის გული, მის მისწრაფება. თურმე შეჰხვდება ვაჟკაცს ალქი, ლამაზ ღიმილით ამოსწოვს სისხლსა, გაუშრობს მურაზს და განუტევებს მკვეთრ გრძნობათაგან უკვე გაძრცვილს, ეშხიან სწრაფვა ჩანელებულსა და... დადის ქვეყნად ხისგან ქმნილი ადამიანი.

– კიდევ იტყვიან: ეპატრონება იგი ალქი ადამიანსა და ტვინს ამოსწოვს, ამოუშრობს ჰაზრს მაძიებელს, ჩაუშავბნელებს ფრთაჭრელ ფიქრებსა და... დადის კაცი, სახე ღვთისა, ვით მანქანა, შემოქმედების ნასახიდანც უარყოფილი.

– წარსტაცებს ზოგჯერ ორივე ნიჭს: გრძნობას მდუღარეს, ზე ამყვანებ ჰაზრსაც ნათელსა.

შეაკრთო ვაჟი ამისთანა თვისმა ფიქრებმა. თითქო ენიშნა: გრძელმა ლოდინმა, გრძნობათ დუღილმა ამოაშრო კარგს ჭაბუკში მძლავრი სწრაფვა, მურაზ-უნარი. მისი ნათელი სიყვარული ყოვლადკეთილი შიგშიგ არ წყდებოდა ბნელი სურვილებით: სისხლის აღებას თუ ფიქრობდა ბეზარმოსული. ესეც კი ჩაქრა. უგრძნობლობამ მოიცვა კაცი: მკვეთრ სურვილთა უარყოფა, ხალისთ ჩაქრობა...

## 26

– როგორ უხდებათ დაწყვილება ჩვენს ახალგაზრდებს!

– საბედნიერო დრო სიცოცხლისა! მაგათი ყოფის მაისია, თვე ვარდობისა.

– თითონაც ყვავილნი. ჯერ უშლელი ვარდის ბუტკო ახლად პობილი.

– თუ დრო დაუდგათ დარიანი და მოწყალებით გარდმოჰხედა დამბადებელმა, გარდიშლებიან თვალწარმტაცად სურნელოვანნი.

– კეთილმა სულმა უწინამძღვროს საყვარელ შვილებს, სვესრულობა უწყალობოს თვით სახიერმა!

– ღირსნი არიან ვარდის ბედისა იასე, ჩემი თეონა, ნამდვილი შვილი და მემკვიდრე ჩემის ქონების. თურმე, გენაცვალეთ, შესაძლო არის სხვის ნაშენიც შეიყვარო, როგორც რომ შვილი.

– თუ ხორციელად სხვის ნაშენია, სულიერად შენ გიშობნია: შენი აღზრდილი, შენგნივ გაწვრთნილი, გალაღებული

– ხორციელად შენი ნაშობი. უშენოდ დაიღუპებოდა კარგი სიცოცხლე.

წყნარად ვიდოდნენ თანამგრძნობი ნათესავები. იმათს სიყვარულს მეტის ზრდის დრო მოჰვლინებოდა მიდიოდნენ და მიუბნობდნენ. იმედთა კოშკებს თუ აგებდნენ ოცნებათა სამფლობელოში. არც უსაფუძვლოდ თუ უბურჯოდა? მოხდება ზოგჯერ: ეთეროვან სამყაროის და ხმელთა შუა ანაგები ბროლის კოშკები რომელიმე მანქანებით ძირს ეშვებიან, მყარ ნიადაგს დაეყრდნობიან, მარმარილოს დარბაზებად გარდიქმნებიან ბედნიერთათვის. ცხოვრების სული ჰკერავდა სავალს ახალ

სიცოცხლის სამრავლებელად, თუმც მის ქმედება ჯერეც ისევ იდუმალ იყო, ნისლით მოცული. უწყინარი ახალგაზრდები არსებობის განსაგრძობად მოწოდებულნი. თეონას გული ითხოვდა კეთილს მის მწყალობელი სიცოცხლისაგან; დაკვართულიყო, რომ თვისი ღვაწლით ხელი შეეწყო კეთილთ მფენისთვის; არ დაესახნა თავის თვისთვის ნაჭარბი რაიმ ბედნიერება, ბრწყინვალ-მცხინვარე შუქთა მკრთომელი, ფრთების დამწველი ხან ელვარება. იასე... თვის მნათობისგან ფრთებამწვარი კარგი ვაჟკაცი. აწ შეესამზღვრა თვის ნატვრათ არე. უკვე მზა იყო ქედდახრილი ყოფის უღელი შესაბმელად. თუმცა... ეჰ, ვერ დაევიწყნა თვისი მნათობი, ვერც წინადგრძნობა ნეტარებისა, რომელს შესძღვნიდა იგი ჩვენება თუნდ წამიერად სამძივარი – იასეს ხატი ყოვლად ძლიერი. ვინც ღირს იქმნების თვის ხატის ხილვის თუნდ ზურგით კერძო, მთელ სიცოცხლეში თანა ჰყვება მას თვალთშეუდგამ ბრწყინვალების რამ ანარეკლი...

იგი ხატება კი ნათელი, იასეს სატრფო, მზის ნიშანით აღბეჭდილი სამძივარ ქალი ცუდად ღელავდა, დუხჭირ აზრებს დასდგომოდა ბნელის ნაშობებს, უეშხობას განაგრძობდა ეშხით აღსავსე, მძიმე სწრაფვას აჰყოლოდა ეთეროვანი: პირბნელი მავნე შესჩენოდა მზექალას სპეტაკს, კვამლის სვეტად ჩაჰშვებოდა მას ბროლის მკერდში ბოროტი გრძნობა, ცუდი ფიქრი იასესაკენ... ბობოქრობდა, უწყრებოდა, ემუქრებოდა, ყურმოჭრილ მონამ ააღელვა იგი პირიმზე, მთლად განარისხა, ჯავრის გრიგალს ატანინა, რომ არ მიიღო მახვეწარმა მისგან დასტური და განზედ გადგა სასომიხდილი, ისა სწყენოდა.

– როგორ! ჩემ მოშორებით მაინც შესძლო მან არსებობა?! თუნდ უარყოფილს დაჰყვა განა ამდენი ძალა?! მაშ...

თუნდ აი ეხლაც: გზას რომ დაადგნენ წასასვლელად, სამძივარი აივანზედ იმყოფებოდა. ლამაზ საღამოს გაეყვანა კარზედ ლამაზი. სხვა გრძნობასაც ეკარნახა ეს მოძრაობა: უარყოფილის დანახვის სურვილს!

– იასეს ნახვის?!

დიდი ხანი იყო ვაჟი აღარ ევლებოდა თავის მკაცრ მიჯნურს; რაც არ მიიღო მამიდა მართას შუამდგომლობა, მას აქეთ მოსპო იმ კარებთან ბრუნვა, ტრიალი; მახლობლად ყოფნა მხოლოდ იმისთვის, რომ დაენახა თუნდ ლეჩაქი ნაფრიალები. ეფონებოდა გულს შეჭირვებულს. ეხლა სხვა სჩანდა: ალბათ, ჩაისხნენ უხილავნი იგი საკვრელნი, მას რომ ჰკონავდნენ სამუდამოდ ქალის სახესთან; ამის სიპ გულმა თუ აისხლიტა ვაჟის სულიდან განაწოდი ნაზი ყლორტები, რომელთა სწადდათ გარს დაჰხვევოდნენ ტურფის გრძნობათა შესაკრებელსა, სათავისოდ დაებყროთ იგი თვის არსებობის განმამტკიცებლად. არ მიიკარა ქალის გულმა იგი ყლორტები, არ ჩაიხვია, არ მისცა ნება მას ჩასწმახნოდნენ და... დაიხარნენ საპოვნელად სხვა მიმზიდველის, არ სანატრელის უცილებლის მათ ყოფისათვის.

სამძივარი კი ნაჩვევი იყო, სულ მის გარშემო ეტრიალნა ვაჟს, თავს მოჰვლებოდა, მისგან ჰქონოდა გაბყრობილი სურვილთ მკლავები. და ძალიან ეუცხოვა, როცა ვერ ნახა მისკენ იგი კვლავ მოქცეული, მისად ვედრებად მიბყრობილი მისი თვალები.

– ნუთუღა შესძლებს ჩემით ხიბლული მიდრკეს სხვისაკენ, სხვას დაჰკრას თვალი სათავისოდ ცის კაბადონზედ, არა ვარსკვლავსა, ძლივსღა მბჟუტავ ციცინათელას?!

გამოვიდნენ წასასვლელად იასენი. ქალ-ვაჟი უძღვის შეტოლებითა. მიაბყრო თვალი სამძივარმა, სცადა თვის ძალა. არ მოიხედა. წარსდგა წინ ქალი, გადაეყრდნო

სვეტთან მოაჯირს. ვერ აგრძნობინა. გატრიალდა გველნაკბენი, კარს შეეფარა. მეტად გაფიცხდა: შეიკრა შუბლი, მთლად აიტკრიცა.

– მაშ თუ ეგრეა და ჰბედავ ღალატს, ვნახოთ ვინ უფრო დაზიანდება, დაგწვავ უცეცხლოდ, დაგანავლებ, შეუგნებელო! – წარსთქვა სასტიკმა

და იგრძნო ნდომა, ეჩვენებინა ვაჟკაცისათვის, რომ ამორეცხა თავის გულიდან იმისი სახე; თუ აქამდისინ მცირედ მაინც თანაუგრძნობდა, – სრულებითაც აღარ ამჩნევს მის არსებობას.

– შენი არსება აწ უკვე ჩემთვის შეუმჩნეველ-შეუფერები. მალე გიჩვენო, რა ბედი მელის, ვინ არის ჩემი დარი-სადარი. შენ იმის გვერდზედ!.. ის ეკადრება?! უნდა მოსძებნო შენი საფერი. კიდეც გინახავს! ყოველ ჩლაში გამოვლილი მამიდაშენი მოგიხერხებს შესაფერ საქმეს...

– კიდეც უხერხებს! ვიღაც უცხოა იგი ქალი, მთლად გამრიელი. უშვილოთაგან მიღებული სახელით შვილი, მხოლოდ სახელით, რად არ ისურვებს თვის ძმისწულსა თავის მემკვიდრე ქალის საქმროდა?! ზედსიძედ შევა და...

აღარ შესწევდა ქალს ხასიათი, ისევ განეგრძო თვისი მსჯელობა. გული ეტყოდა:

– ეხლავ იპოვნე შენი საფერი და გაჰყევ იმას! მალე გათხოვდი ისე ბრწყინვალედ, რომ თვალი მოსჭრა შენ ეტლის ელვით გამდგარ იასეს, ტოლ-ამხანაგს, ნაცნობ-უცნობსა!

## 27

ქალი ჩქარობდა, ეშურებოდა, ცხოვრება კი არ ისწრაფოდა; არხეინად მიდიოდა, ვითარდებოდა. სურვილთ მსახველი თუ მტვირთელი სამძივარისა ჯერ არვინ სჩანდა მის არსებობის არემარეში. მერმეც; შემდეგაც! მიდიოდა მდორის ღელვით ჟამი უყოვნი; თვე თვეს უხმობდა, ძველი წელი უთხრობდა წელსა ახალსა. ქალის ყოფაში ცვალება რამ როდი ხდებოდა. იგი ჭაბუკი, რომლისათვის გული უთქმიდა, ოცნებამ რომ თვის სანდომად მას დაუსახა, შემოყრილი მგზავრი იყო ცხოვრების გზაზედ; თავის კვალს აჰყვა, სიცოცხლისაგან მისთვის სერილს ბრჭყვიალა სავალს. აღარ თუ ახსოვს მას სამძივარი, მისთვის მხოლოდ მთლად უცნობი ნაცნობთაგანი. ამაოდ ჩაუარა ქალს ყოველმა ცდამ, რომ გაება თვის ბადეში იგი კანჯარი, მარყუში რამ საგდებელი გარდაეგდო ქედმაღლისათვის უდრეკ კისერზედ. ამ დამარცხებამ, ამგვარმა ჯავრმა დააზიანა მის შუქურობა: უგულსავსობის კვალი ასერა მის წარბთ საშუალ; არა ნაოჭი, სიმკაცრის ხაზი თვალთუჩინარი, სწრაფად საგრძნობი.

საგანი თუ ქმედობა თავის კვალს ამჩნევს არსებობის დენის სავალზედ, კეთილი ნათელს, ბოროტი ბნელსა. ვისაც მანძილი დიდი უვლია ცხოვრების ზღვაზედ, ბევრი მისთანა ნახაზ-ნაკვალი აჰყოლებია, კვალი უჩინო, მგრძნობიარე თვალებისთვის ფრიად საჩენი და...

ეფინება ყოფის დაისში კაცის ხატებას თუნდაც ეშხიანს უარსაყოფელ კვალთა ნაქარგი, ბნელი სრეების ჩაბეჭდილი იგი ქსოვილი. სახე ბოროტი, ანარეკლი ბნელთა მეუფის.

უსახური მხცოვანება დაღდასმული უკუნის მიერ.

ეფინება ყოფის დაისში კაცის ხატებას თუნდაც უეშხოს კვალთა ნაქარგი მიმზიდველი ნათელ სრეების ჩაბეჭდილი იგი ქსოვილი; სახე კეთილი, ანარეკლი ნათელი მეუფის. სახიერი მხცოვანება აღბეჭდილი ნათელისაგან უბინდოისა.

გულხმიერად, ფრიხილად იყავი.

გულხმიერად როდი იყო ქალი ლამაზი: ცხოვრების სვლაში იმის სახეს ხშირად გადურბენდა ბნელის აჩრდილი და სტოვებდა კვალს ამოუშლელს, თუმცა კი მქრალსა, ცალკე უმჩნეველს. არც ეთანხმებოდა მისი აწინდელი ქცევა უკმეხი იმ ნაზ მის გრძნობას, რომლის წყარო მაინც დიოდა იმის გულშია, ერთ-ერთ კუნჭულში მის გრძნობათა შესაკრებელის. გონება რომ ზვიადობას უკარნახებდა, ქალი რომ იტყოდა:

– რჩეულ-შერჩეულს სანეტარო ბედიც მეკუთვნის, ყოვლის კეთილით მოფენილი ცხოვრების სუფრა!

და მაღლა-მაღლა შეჰყურებდა მნათობთა არეს, სადაც უნდა აღმოჩენილიყო მისი ცხოვრების თანამგზავრი; მის ნაზი გრძნობა, მშრალ გონებისგან დაჩაგრული მისი შეგრძნობა, დაღონებით უყურებდა სასტიკ სამძივარს. ნატრობდა იგი:

– მოიხედე, ახ, ჩემსკენაცა, მომაბყარ ყური: მეც მინდა გამცნო, გითხრა სათქმელი, ჩაგძახო უხმოდ.

– რა გაქვს სათქმელი იდუმალი, შე სახიერო?

– მომსწონს იასე, გულისწმიდით მოყვარული ჭაბუკი კარგი, თბილ-ლბილ გრძნობით შენთვის სავსე. თაყვანისმცემი. ამ გრძნობაზედ დამყარდება ურყევი ბურჯი კეთილდღეობის, შენის ოჯახის, შთამომავალი კარგის ყოფისა.

– ჰაი, ჰაი, შესაძლო არის!

– არ იქმნება იგი ეტლი მქუხარ-ელვარე, თვალთ მომჭრელი, გარედან ჭრელი; ტკბილი იქნება, ნოყიერი ქადა გულსავსე; მხიარულიც იქმნება იგი, უჩუმარი სიამით სავსე. ის არ არის ჩირაღდანი, რომელი სდგას მაღალ მაშხალას, რომ გაანათოს შორიდან შორს, განფანტოს ბნელი; არც თუ მაინც უჩინარი მცხოვრებელია. შესწევს მას ძალა პატიოსნად გაიაროს ცხოვრების შარა, ლამაზ გრძნობათა ყვავილებით მოქარგოს იგი და სთქვას ბოლოს ჟამს:

– არ ვამრავლე მე ბოროტი არც ერთის ქრთილით, კეთილთა ყვავილს არ დავუჭკნე ერთიც ფურცელი. კიდეც ვიმრავლე! აწ მეც ღირსი ვარ მყონ თანაზიარ ჩემთა წინაპართ კეთილ ხსენებას!

– ეს შეუძლიან ჩვენს იასეს თავისთავადაც, ნიჭით თუ ძალით თავის ბუნებას. და თუ ამას შეუერთდა სხვა კარგი ძალა, თანამგზავრის მისწრაფება კეთილ-ნათელით.

– რა გინდა მითხრა?

– უარ ნუღარ ჰყოფ იმ საწყალ ვაჟკაცს, ნუ განიშორებ, ნუცა განაძებ!

ესე ურჩევდა ქალს თვისი გული და შეჰყურებდა ნაღვლიანი მას მშრალ თვალებში; ევედრებოდა. იყო წამები, როცა ქალი უსმენდა გრძნობას და მზად იყო კეთილ კვალში ჩაედგა ფეხი, მაგრამ...

ეჰ, რა იცოდა გულ-დალახვრულ მისგან იასემ, რომ ქალის სულში კვესდებოდა თანაგრძნობა მისკენ მაშუქი, თორემ... მთას გადივლიდა ერთის ასმით ხშირ ჯანღდახვეულს, გადაუსვლელსა და გაჩნდებოდა სატრფოს თვალთ წინა. როდი იცოდა უარყოფილმა და შორს უვლიდა, რომ არ ენახა უკმეხ ქალთამზეს, აღარც კი ეგრძნო მის არსებობა.

– თუ არ მოვშორდი, სიძულილად გარდიქმნება მის უარყოფა; მობეზრებულს თვალის ეკლად მოვეჩვენები. ძალად ხომ ვერ შეაყვარებ თავს!

ნამდვილად იცი! რომ მართალს ამბობ?

– თუ ვაჟკაცი ხარ, დაიწვი უხმოდ მგზნებარ კოცონზედ, მხოლოდ შენ ჰმზერდე საიდუმლო სახმილს საშინელს, შენ მხოლოდ გრძნობდე, განიცდიდე ტანჯვის სიმძაფრეს.

და გაუჩინარდა ყველასათვის ვაჟკაცის ტანჯვა, მახლობელთათვისც საიდუმლო შეიქმნა იგი. პირზედ ჯავრი გადეწმინდა ვაჟის დედ-მამას, კაეშანი

მამდაბლებელი. საჯავროც იყო: სასიყვარულოდ მიდიოდა მათ კარგი შვილი; ტრფობა მიჰქონდა ოქროს სინით, თვით მიჯნურობა, მათ კი...

– ღმერთსა მადლობა! ჩვენი იასე იკურნება იმ თვის სენიდგან, რომელმაც ასე დააღონა თითონაც, ჩვენცა; თავისუფლება იმ უხილავ ბორკილებიდან.

– სიყვარულის ხუნდებისგანა? ეხლა მეც ვატყობ, მოადნება მძიმე ჯაჭვი ცალმხრივ ტრფობისა. მამიდა მართამ ჩააყენა ჩვენი ვაჟი ისეთს ადგილას, სადაცა სწვდება სხვა მნათობის მათბობი სხივი. პირი იბრუნა თეონასკენ ჩვენმა იასემ. ეს შეასუსტებს წინანდელ სწრაფვას.

– თეონას სახე ებრძვის სამძივარს. ეს იმოქმედებს: ან ჩამოიყვანს ღრუბელთა მხრიდან იმ მზეთუნახავს, ან ძალას დასცემს ვაჟს, ჩააქროს გრძნობა უსასო. უფერო იყო იგი მონობა; როდი შეჰშვენის ვაჟკაცს მონობა თუნდ ლამაზ ხელში.

– ალბათ არ მოგწონს ტარიელი ნესტანის ხელში ძონძ...

– როდის იყო მჩვრად გარდაქმნილი?! როგორ რიხით უკუჰყივლა განრისხებულმა: ქალი ომსა როგორ მაწვ...

– კარგი, გენაცვა! შოთასთან მიხვედ, ვინ მოგიჭრის ეხლა სიტყვასა?

– თორემ ისე კი ჯიბეებში ვეძებ პასუხსა.

– ოღონდაც! მარჯვედ აკვესებ, სულ ბუნჯგალ-ბუნჯგალ ნაპერწ...

## 28

მართალს იტყოდნენ, მოარბილაო ამპარტავანი მისმა მეტოქემ. ჩააფიქრა სამძივარი ამგვარ ცვლილებამ. მიჰხვდა, იასეს დაშორება თეონას სიახლოვეზედაც იყო დამყარებული. სცხვენოდა ვაჟკაცს და ჰმალავდა სხვა ქალისაგან თავის მონობას უკვე უმიზნოს. მის შევედრებამ ფასი ვერ ჰპოვა, ეს დიდი მსხვერპლი როდი იყო მიღებული სამძივრისაგან. ესე მოსჩანდა, სხვაგვარი რამ მოძრაობა არ დააჩნდა ქალის ქცევასა. მთლად მართალი კი არ იყო ესეთი დასკვნა: ქალის გულზედ მოქმედება იქონია იასეს მისგან განზედ გადგომამ; სწყინდა ეს ნაზსა, ემუქროდა თავის ნების მპოველ ვაჟკაცსა. ეჭვიც ეპარებოდა თავის მძლეობაზედ:

– ნუთუ დაჰკარგა ჩემ ხატებამ ძალა უძლევი?! იქნება გადრკეს ჩემგან იასე, მიიხაროს და... დამივიწყოს.

ეს შიში და უფლისწულის მისდა მისვლის შეგვიანება ისეთ გუნებაზედ აყენებდა ქალს, რომ ხანდისხან მზადაც იყო ეფონებინა, განეცხადა ტანჯულისათვის თვის თანაგრძნობა.

– ვიცი, რა მახეს უგებთ იასეს! თქვენებურად გინდათ იგი აბედნიეროთ ახალ ოჯახის ბურჯად სახოთ თქვენსავე ახლო. ამას ოცნებობს მამიდა მართა. არ დაივიწყებს ის მოქნილი თვის დამცირებას, მე რომ თხოვნა არ შეუსრულე და გაუცრუვე შუამდგომლობა. ყველამ გაიგო, რომ გაუცუდდა იმას ნათქვამი და ჩაეშალა თვისი ნაფიქრი ჩემ შესახება. არც თუ უაზროდ აგებს იგი თვის იმედის კოშკს. მაგრამ... ერთი ღიმილი სანუგეშო, თუნდ თვალთა ღიმი და მყის ჩაწყდება იმ მეცანის ნახვლანჯი ჯადო.

კარგს ეტყოდა კეთილთ მთესავი სული ნათელი. კიდეც მოსწონდა ქალს იმისი თქმა. ვერ ახერხებდა აღძრულიყო სამოქმედოდა. შეძლებას აღარ აძლევდა კეთილის ქმნისას დაჩემებული ჰაზრი უვარგი; იმ ზვიად ფიქრს ჰმონებდა მის ნებისყოფა. ვეღარ უსმენდა სულს კარგის მთქმელსა, რომელი ეტყოდა მას კეთილ სიტყვას, უჩვენებდა სწორე სავალს ცხოვრების ტყეში.

ადამიანს მიჩემებული ჰყავს შემოქმედისაგან ნათელისა სული მცველი, ის უძღვის იმას კეთილ გზაზედ, იგი უნერგავს წრფელ სიყვარულს ქმნილებისადმი და გრძნობისგან წარმოშობილ მისწრაფებებსა. ბნელთა მეუფისაგან მიჩემებულ ჰყავს სული მძვინვარე, ის უძღვის იმას გზასა ბოროტსა, იგი უნერგავს მძულვარებას ქმნილებისადმი, ამ შავ გრძნობიდან წარმოშობილ მისწრაფებებსა.

ბევრჯერ დაჩაგრა სამძივარმა ანგელოზი თვისი კეთილი; როდი უსმინა! ბევრჯელ აცეკვა სიხარულით თავისი მავნე; უსმენდა პირბნელს. მან ჩაუხერგა თავისსა მოსავს გზა სასიკეთო, სხვა შარა მისცა.

სამძივარი შეეჩვია ყაბახზედ რონინს; მაღაზიებში შესვლას; ვაჭრობას. ჰაზრი ჰქონდა მას იდუმალი: გაეტანა თვისი მშვენება, ეჩვენებინა, თვალი მოეჭრა სანდომებისთვის. აქამდინ სწამდა, რომ მისი კეთილქმნილება თითონ მიიზიდავდა ღირსეულებს; იმის გალიაკს სურვილით შემოჰგრაგნიდნენ მზეჭაბუკები, ვით ზღაპრულ ქალის მარმარილოს კოშკს, მის გულისათვის ძნელ ბრძოლასაც ჩასთვლიდნენ მღერად. რწმენა ჩაშლილმა აწ თითონ იწყო ვაჟკაცთაკენ სვლა, რომ მოეხიბლა ის გულქვავები, გამოება სარტყლის ფოჩებზედ, შებორკილნი მიეყვანა თვის გალიაკში. ერთ ამისთანა სეირნობის დროს შეამჩნია მისკენ მიმავალი იასე. მარტო მიდიოდა. ნავაჭრი რამ ეჭირა ხელში. ვერ დაინახა ქალი შორიდან, ვერც იგრძნო მისი მიახლოება. დაუსწორდა მას. შენიშნა, შედგა. ერთს წამს დაიბნა, თითქო შეკრთაო. თავი დაუკრა მდაბლად ქალთამზეს.

– გამობრძანებულხართ სასეირნოდა.

– სასყიდი მაქვს რამ, ჩვენები ვერ აარჩევდნენ.

– მეც სავაჭრო დამაბარეს, – სთქვა ვაჟმა

და გამოტრიალდა, რომ აჰყოლოდა ქალს მცირე ხანს მაინც. ეჰა, ქალთამზევ. შემთხვევა მარჯვე! გაუღიმე განპატიჟებულს, სიყვარულს გიძღვნის იგი გულწრფელსა. ის იყო აპირობდა სამძივარი სანუგეშოდ გაღიმებასა, რომ შემოესმა:

– იტანჯოს კვალად! იმასა ცდილობს, გასძლოს უშენოდ, განთავისუფლდეს შენის ბადიდან. ეწამოს ჯერეთ!

უსმინა ქალმა ხმას ბოროტისას და გაუწოდა ვაჟკაცს ხელი გამოსათხოვრად. წანვლო, გაჰშორდა. იდგა იასე გაქვავებული. თვალს ადევნებდა მიმავალ სხივს ეშხით რხეულსა. ჩაჰკიდა თავი უიმედოდ, გამოტრიალდა. კვლავ ჩასწყდა სიმი, ქალის მის გულთან მაერთებელი სირათაგანი:

ვარდმა შემრისხა თავმომწონები, ისარი მტყორცნა დასაღონები!

გაუდგა თვის გზას დარდდარეული. თავდახრილი წამოვიდა  დაფიქრებული.

– ვაჰ, საყვარელო! ერთი უბრალო მოძრაობა, ერთი მოხედვა ქალის კვალისკენ და... შეგეცვლებოდათ ცხოვრების გზა შენც, სამძივარსაც, სასიკეთოდ გარდგექმნებოდათ.

– ორთავესთვის სასიამოდა?!

– შენ გასახარად, ქალისათვისც საბედნიეროდ.

– როგორ?!

– გვიანღა არის!

ცივად მიიღო სამძივარმა თვის მოტრფიალე, პირი არიდა და გაერიდა. მაგრამ მალევე ხმა აიმაღლა იმისმა გულმა, უსაყვედურა:

– სასტიკი არის ეს შენი ქცევა, ვერ ეთანხმება შენს აზრებსაც კი, აწინდელ მიხვრას შენის ფიქრისას

და ამ განცდამ შეაბრუნა ქალი ვაჟისკენ; ფეხიც გადმოდგა. დარწმუნებული იყო, იასე იმავ ადგილს იდგებოდა გაშეშებული; თვალნიც მისკენ ექმნებოდა მას მიბყრობილი. ის კი, დახე, მიდიოდა, გზას განაგრძობდა! ეწყინა ეს განაზებულს მოტრფიალისგან.

– უნდა კი გეგრძნო, რომ საშენოდ გაიღიმა წუთს ჩემმა გულმა. ვერა ყოფილხარ გულთმისანი, იასე ჩემო! აწ დაემდურე შენსავე თავსა, – წარსთქვა ქალმა

და მოხდენილად გაგოგმანდა ყელღერებული. მარჯვე რამ ბრძოლა თუ გარდიხადა, ან ეშხიანად შეასრულა კარგი განზრახვა. ეჰ, როდი იყო აზრიანი იმისი სიტყვა, გამარჯვებული სახის მიღება. ნაწყენი იყო ვაჟკაცისგან, მისთვის ავობდა.

– მაშ ამიწონე მოქმედება, მე როცა გაგცდი, შენც გზას დაადეგ? სიტყვას მიბრუნებ შენს საქციელში, უხმო თქმას მაღლა ახმაურებულს...

– რახან არ გსურვარ, არ გიყვარვარ იმდენად მაინც, რომ მიიღო შესაწირად ჩემი წამება, მაშინ...

– მერმე რა მაშინ? თუ შეგიძლიან ყოფნა უჩემოდ ამქვეყანაზედ? ვერ ყოფილა შეუცვლელი ეგ შენი ტრფობა. არ ყოფილა მიჯნურობა ისე მზიური, რომ უიმისოდ დაგფაროს ბნელმა. კიდე გყოლია ჩემს გარეშე ვინმე მაშუქი. წადი, იარე შენნი დღენი მბჟუტავ ციაგში!

## 29

ვერ შეეგნო ქალს, რომ ვაჟის ტრფობა აენთებოდა სვეტად ალისა, თუ ყოფილა შეუცვლელი ეგ შენი ტრფობა. არ ყოფილა მიჯნურობა ისე მზიური, იყო ესე! ქალის გრძნობა თუ მისი თქმა გათვლილი სჩანდა, ანგარიშებგასწორებული. ხანიერმა დაკვირვებამ და გრძელმა ტანჯვამ ამცნეს იასეს, რომ თვის ქცევაში ქალი გრძნობას არა ჰკითხავდა, გონება კი მხოლოდ თვისკენ მიმთვლელი აზრი, ეუბნებოდა:

– ეს დაბმულია უწყვეტელი ჯაჭვ-ჯინჯილითა. ჯერ სხვა ეძიე უკეთესი, უფრო საფერი და თუ ვერ ჰპოვო...

ჰხედავდა ვაჟი. ამ შეგნებამ მისცა შეძლება შეემართა თილისმისათვის და დაეწყო სიარული ახალ გზაზედა; თუნდაც რყევით სვლა ბედისაგან შეჯანჯღარებულს, მყარ მიწაზედ მუხლის თავით მძლავრად დაცემულს.

გაიარა ქალმა მანძილი. შეიარა მაღაზიაში, რაღაც იყიდა. მოჰკრა თვალი დიდ სარკეში თავის აჩრდილსა; დააკვირდა. არ მოეწონა დღეს თავისი თავი. სახე ლამაზი, მიმზიდველი, როგორ გამშრალა, გახევებულა?! ნორჩ სიჩვილისგან თითქო გაძრცვილა. თვალები... რად უმზერიან ნეტავი მკაცრად, რად მოჰკლებიათ ალერსის სხივი? უნარი თუ დაჰკარგვიათ მიხმატკბილების იგი საყურე, მარგალიტის რამ კუფხალი ოქროს ფოთლის ქვეშ, ისევ ცელქად დაციმციმებს მწყაზარ ყვრიმალსა, მაგრამ... თითქო შეჭმუჭნულა ყირმიზი კანი. ნუთუ ნაოჭი?! წვრილწვრილი ხაზი თვალთ კილოებთან... ცუდ გუნებაზედ დამაყენა იმ შეხვედრამა, მით გადმებურა სხვა რამ სახე ჩემთვის უფერი, სთქვა ქალმა

და აღარ განაგრძო სეირობა, გაბრუნდა უკან, შინისკენ გაემართა უკმაყოფილო. თუ ეს გადახრა თვისის მშვენების ეხლა პირველად შეენიშნა ქალს, შემთხვევითი ეგონებოდა, უსიამო შეხვედრისგან გამოწვეული; წინადაც ჰქონდა შენიშნულო მუქი ცვლილება: თავისი სარკეც უმჟღავნებდა დაშვების ზღაპარს აუცილებელს, ძლიერ საჯავრელს. განზრახ დაბრუნდა ქვენა ქუჩითა, რომ აეარნა იასეანთკენ.

– ისე ავივლი, არ მივიხედავ. აივანზედ თუ იქნება ან ფანჯარაში. თუნდაც ამძრახდეს, მოირბინოს, მაინც არ...

– არა, ქალოჯან, უზრდელობას ეგვანება ეგეთი ქცევა. ემჯობინება ხმა გასცე საწყალს, თუ აგჩქამდება ან მოახერხებს ჩამოირბინოს, რომ ისიამოს ახლოდან მზერით. შენი სიყრმის ამხანაგია ის მოტრფიალე; სიბერემდის შენი მონა, თაყვანისმცემი, – შეემუდარა ძუძუ მარცხენა.

ლამაზად გრძნობს ის კოკობი, მსწრაფლ შემგნები ნათელ სავალის; ზედ გულთან ცხოვრობს და ეს იმისთვის.

– არ შემინიშნავს!..

რას მეტყვი მაგას?! სინჯე, იწვრილე და დარწმუნდები; ყურო დაადე, თითონ მოგითხრობს!

დაუახლოვდა იასეს კარსა. ფეხი დააწყო: ნელის ნაბიჯით ჰსურდა გაევლო მათ სახლის არე. აავლო თვალი იდუმალი იმათ აივანს; არ სჩანდა ვაჟი. დაინახა ქალი თეონა. თეთრი კაბა შეფოთლილი; განიერი სახელოები. უბაღდადოდა. ნაწნავები გადაშოლტილი. თეთრად ფუოდა ფაფუკ-მაფუკი. უღიმოდა მხიარულს სახე. სკამებს აწყობდა აივანზედ, – თუ ელოდდა, უფროსები გამოვიდოდნენ. ვარდობისავ თვე. ვარდი ჰქონდა გულისპირში გამაგრებული. შესდგა თეონა, თვალს ადევნებდა. თუ აეხადნა სამძივარსა, თავს დაუკრავდა მოიკითხავდა. არ აიხედა მუქ გუნებისამ, არ მისცა ნება თავის ნაცნობს მისალმებისა.

– იასეს ბედი, მისი საფერი. თოქმად ნაქსოვი. თეთრ-წითელი. თვალი გუდალი. მაგრამ არ უშავს?! ბალღობად სახლის მოვლას, კერის პატივს შეთვისებული. ვინ რა იცის, ვისი შვილია. იქნებ გლეხისაც. ქოთანი გაგორდა, სარქვ... მე კი... უნდოდა ეთქვა ბევრჯელ თქმული, მე კი ღირსი ვარ უფლისწულისა, მოვა რაინდი ჩემს წასაყვანადო. აღარა სთქვა. ბაგეს შეაშრა მომდგარი სიტყვა. ეს უკარნახა სასტიკმა ალღომ.

– დაიგვიანა! იქნება არც კი მოაგელვებს შენსკენ ის რაშსა.

შეიკრა შუბლი, მყის მიიღო სახე სასტიკი. ბეჩავს იასეს უწყრებოდა, რომ ვერ შეიგრძნო მან მარეხის მიახლოვება, მისკენ გადახრა უცეცხლოდ დამწველ ცდომილისა თუნდ წამიერი.

იასე კი... შემთხვევის ხვედრი შემქნილიყო სასომიხდილი. დაჰსმგავსებოდა ღვარისაგან ნატაც ნაფოტსა, ქაფმორეულ ზვირთთა ზურგზედ მოთამაშესა. დაიცარა უმთავრესი თვის მისწრაფებაში და მოესპო მას უნარი ეშხის გზაზედ მიმოფრენისა, სავალდებულო საკეთებნი დაუდგნენ თვალთ წინ; ცხოვრების თხოვნა უჩვენებდა სამოქმედოსა, ჰმორჩილებდა უფიქრელად უცილებლობას, ბალღობიდან ჩვეული იყო საწაღმართო მოქმედებასა, ეხლაც ასდევდა იმავე ბილიკს. საკუთარის თაოსნობით ვერ ირჯებოდა; მურაზი თუ დაჰკარგოდა თავის ნდომით მოქმედებისა. თუ მეტი ძალა ერჩენოდა მის ნებისყოფას, იქნებ განეგრძო კიდევ ბრძოლა და შემართება. კარგსაც იზამდა: ბურთს გაიტანდა. ვეღარ განაგრძო თვის ბრძოლა ძნელი. ცხოვრების ჩარხიც ისე მობრუნდა, დაშალა ფიქრიც ამგვარ ბრძოლაზედ. მამიდა მართამ არ მისცა დრო უიმედო იმედებზედ დაფიქრებისა.

ეცადა მართა, იქ წაგებული იასეს ბრძოლა შეეცვალნა აქ გამარჯვებით, აენაზღაურებინა ძმისწულისათვის მამცირებელი ზნეობრივი იგი ზარალი. იმისთვის კი არ მოქმედებდა მართა ამ სახით, რომ ავი იყო, ან ჰსურდა ცბიერს კარგი ვაჟის ხელში დაჭერა, მხოლოდ თავის სასურველი საქმის კეთება. ესეც ხომ იყო, რასაკვირველია: ლუკმა გავარდეს... ისიცა სწამდა, რომ იასე თეონასთან ბედნიერი შეიქმნებოდა; ქალიც მის ხელში. მისთვის ცდილობდა თითქო დარწმუნდა, სამძივარი არ გაჰყვებოდა იმათ იასეს. მხოლოდ უკვირდა, რაღად იხვევდა ხელზედ ვაჟკაცსა. არ ესმოდა მისი ხანგრძლივი ჟინიანობა. იქნებ ესმოდა...

– მცირე ხანით განაზება, თითქო უარი, წესია ქალთა, მერმე ლამაზთა; უსრულებელი ცივი ქცევა უარის მსგავსი თვით უარია; უფროც ცივია. საქანს არ აძლევს, დროზედ შეუდგეს თვის ცხოვრების გზას უცილებელს. ბოროტსა სთესავს! არ კი ჰგავს ბოროტს... მიქროლავს ხანი, რბიან წუთები. მათი დაკარგვა განძეულის გაბნეულის გაბნევას უდრის, სამუდამოდ იმის გადაყრას. რით შეიძლება წარსულის ჟამის, იმ ცოტა წამის, რომელიც რომ განუსაზღვრავს ჩვენთვის განგებას კეთილ სწრაფათა განსასახებლად?!

სდუმდა იასე ამ სიტყვების წინ, ეთანხმებოდა სწორედ მთქმელის აზრს. მოვალეობადღა სთვლიდა ის ქორწინებას, აუცილობელ სავალ კვალად ცხოვრების გზაზედ. თანამგზავრის ამორჩევა... მხოლოდ ჰაზრთა თვალსაზრისით შეიძლებოდა ეხლა მისთვის ქალის არჩევა. გონება არაფერ საწინააღმდეგოს არ ამბობდა თეონას შესახებ. რა შეეძლო საუარო ფიქრს დამკვირვებელს, თუნდაც გამჭრიახს?! ავარდნილი წითელ ვაშლად ლოყა მსუქანი, კეთილი თვალი ოდნავ უბრყვილო. რა მკლავებია ბარაქიანი! გულმკერდი სავსე. სანიმუშო ჯანსაღობა, ხორცთა სისრულე. გვარის საგრძნობად მოწყობილი, ზედგამოჭრილი. შეუღლებაა მიზანშეწონილი.

– თეონა კერის საშენებლად შეუქმნია კეთილ ბუნებას, ახალ ოჯახის მოსაწყობად, წაღმა სასვლელად; როდი იცის უბრალოდ დრტვინმა. შავი დარდი სულაც არ ესმის. დრო სულ არა აქვს მოწყენისთვის მუდამ საქმიანს.

– ვუყვარვარ კიდეც. ბევრჯელ მინახავს, ჩემზედ რჩენია სურვილის თვალი. სიხარულსა ჰფენს ჩემი შესვლა, ღიმილს უმატებს. არ იქნება ძლიერ მწვავი ეს ჩვენი გრძნობა, არც ხანძარივით ბდღვრიალ-ბჭყვიალა; მდორე იქმნება; დიდხანს გამწევი. გრძნობაც ორმაგი, ვით ორმაგად თვითც ნაქსოვია.

ვაჟის მსჯელობა თეონასკენ მიხრასა ჰგვანდა: განცდილი ჰქონდა მძაფრი ტანჯვა სიყვარულისა; ფასიც იცოდა, ძვირფასი ფასი, იმ იშვიათის მოვლინებისა. ვერ შეჰხვდებოდა გულმძინარედ მოყვარულს ქალსა.

ეხლავ მოუსპე უიმედო იგი იმედი! გადუკვეთე მილტოლვის გზები. მოჭრით უთხარი მწვავე სიტყვა გადაწყვეტილი. არ სტანჯო ქალი!

– სრული უარი? ნეტავ რადაო?! ხომ გაწამდება ქალი საწყალი; განეწონება გულსა მახვილი

და შეარხია ქალის სახემ ვაჟკაცის გრძნობა; აამეტყველა თანაგრძნობით, თბილ-თბილი სიტყვით. ნუთუ გაიხსნა თეონასთვის ტანჯული გული, სამძივარისგან დაკეტილი, ჩაჟანგებული?! კეთილი იყო ქალი თეონა, ნათელთა კრთომა ბნელს სჭარბობდა მის არსებაში; იმისთვის თუ მოახდინა ეს სასწაული. ვეღარ ჰპოვებდა იასე მიზეზს, რომ გაეგარნა თვის გულიდან ქალის აღალმა. დღითი დღე უფრო სიახლოვე: ერთი საფიქრი თუ საზრუნავი, ერთი და ისვე სიხარული თუნდ შემძიმება თანაზიარ ცხოვრებაშია. შეუმჩნევლად ეჩვეოდნენ ერთსავ უღელსა, კალოს სალეწად, მის ბარაქის სახვავებლად ერთად შრომასა.

ახალგაზრდების ახლოვება ახარებდა უფროსებს. თეონა ისეც სახლისა იყო და უმადლოდნენ, რომ შესძლო და გაანელა ვაჟის ის გრძნობა უშედეგო, მაკნინებელი.

– საწყენი იყო მთელის ჩვენის ოჯახისთვის ხვეწნა უწყვეტი. არავის ჰშვენის ნაჭარბები თავის მცირება. დიდ გასაჭირშიც უნდა შეგრჩეს თავი ამაყი.

მამიდა მართა ალერსობდა მეტად დამტკბარი.

– ვენაცვალე ჩემს წილს ღმერთსა! შეისმინა ლოცვა ჩემი და გზა მიკურთხა, სვლა წარმიმართა, მისწრაფება კეთილისაკენ.

გეგმებს ადგენდა ახალგაზრდათ საბედნიეროდ.

დადგა ზაფხული. დაცხა თბილისურად. კორიანტელი ალავარდნილ ქუჩა-უბანში. მამიდა მართა ჯერ ქალაქს იყო.

– მართასაგან აქამიდისინ ქალაქში დგომა! მაისშივე მამულისკენ ემგზავრებოდა.

– ვკითხე. მითხრა, სასყიდმა რამ შემაბრკოლაო.

– ხელსაწყოებს თუ შეიძენს მამულისათვის, რამე იარაღს.

– შესაძლო არის.

სავაჭრო არ აბრკოლებდა მამიდა მართას. უმიზეზოდ კი არ იჯდა იგი ქალაქში. უმიზნოდ რად დაჰკარგავდა იმ ძვირფას დროსა, როდესაც სარჩოს სჭიროდა სოფლად გამოცდილი თვალი მზრუნველი?! უთვალთვალებდა ლელვარიანთა: ელოდა, როდის წავიდოდნენ სააგარაკოდ. ძლიერ უნდოდა, რომ იასე თან წაეყვანა. ამ განზრახვისთვის ის დრო უფრო ემარჯვებოდა, სამძივარი ქალაქიდან რომ წავიდოდა. მაინც ჰხედავდა შორსმჭვრეტელი იმ ქალთან კავშირს. ცრიატი იყოს ის კავშირი, ფერნაკრთალები, მაინც კი იყო. ჯვარედინ გზაზედ იდგა იასე: ერთს მზექალსაკენვე მიჰყვანდა იგი, გზას უიმედოს; მეორე კი მიდიოდა უკვე სხვისაკენ, შესაძლოა თეონასაკენ. ეს ჯერ გამორკვეული არა ჰქონდა ვაჟს. მამიდა მართა ამ რყეულ ყოფას დაჰკვირვებოდა. ჰსურდა ეს მისი სულის რხევა სათავისოდ გამოეყენა. ფიქრობდა იგი:

– ვთხოვ, ცოტახნობით დაეთხოვოს სამსახურიდან, წამოვიდეს ჩვენთან სოფლადა. იმასაც ვეტყვი, რომ კაცის ხელი იქ ძლიერ მიჭირს და დამთანხმდება.

რახან ერთი გაიმარტოვებდა ვაჟკაცს, სოფლად გაიყვანდა, იქ მალე გაირკვევოდა ქალ-ვაჟის საქმე; განსაზღვრულ სახეს მიიღებდა იმედის მომცემს, ან უარმყოფელს.

– გული რომ მეტყვის, ეთანხმება ჰაზრიც ჩემს გრძნობას: ხელსაყრელი შეიქმნება ჩვენი კავშირი მათთვის, ჩვენთვისაც.

ვაჟის დედ-მამამ იცოდა ეს, ცხადად ჰხედავდა ამ კავშირის სარგებლობასა, მაგრამ ჯერ სდუმდა: მარჯვე დრო ვერ მოეხელნა მოხერხებული. თითონ იასეც ნათლად ხედავდა, რომ ეს სავალი სასარგებლო იქმნებოდა ნივთიერის მხრივ; თითონ ქალიც შნოს მექონი ახალი ბედის მოსაწყობადა. არავითარო ხინჯი არ ჰქონდა მართასაგან არჩეულ სასძლოს. ის იყო ძნელი, რომ გული კრული ისევ ისწრაფდა სამძივრისკენ; უარის სადარ დაყოვნებამაც ვერ ათქმევინა მასზედ აუგი. ჰხედავდა ამას მამიდა მართა ჯადო სარკეში. მაინც იტყოდა:

– არა უშავს რა! დრო, თუ ბუნების მოთხოვნილება გზას გაჰკაფავენ. მაშინ მოსძებნის ნაკლული გულის ასავსებად ვაჟკაცი სხვასა. ვგონებ, მიჰმართოს ჩემს თეონასა.

ძლიერ შეხურდა, ავარვარდა ქუჩა, უბანი. ოშხივრობდა ნასუნთქ-ნაოფლი. იწამლებოდა ნოტით მწვირით მთელი ჰაერი. ხალხთა დენა სოფლისაკენ. გაისტუმრეს ლელვარიანთც ბარგის ურემი. ჩასხდნენ ეტლში, გაემგზავრნენ საგრილობელად. იასე... აღარ შეჰნატრის ლელვარიანთ ეტლს, გარს აღარ უვლის თავის სამძივარს, აღარ უგზავნის შორიდან შორს კოცნას ფარულსა. როდი ჩანდა აივანზედ, ან ეზოში, აღარც ქუჩაში: მიჰრიდებდა გულფიცხელ ხატს მიზეზიანსა. იქვე კი იყო, სად წავიდოდა?!

– დახე იასეს! ფიცულობდა, ხატი ხარო ჩემთ სალოცავი; სად წაუვალო მე შენსა ძალას სიკვდილამდისინ?! და... ცრუობდა კაცი! გაუცუდდა სიტყვები, ფიცი. მამაცისა სიცრუვესა ნეტა სხვამცა ჰგვანდეს რამცა.

– ლამაზად ამბობ! როგორ მივანდოთ ჩვენი თავი მთელს ცხოვრებაში, თუ ვეღარ შესძლო ჩვენთვის ტანჯვა, განპატიჟება?! ეს უნდა ეთქვა: სიკვდილამდინ შემოგტრფი, ჩემო სასტიკო! ის კი წარიტყვის: უარს ატარებს შენი სიტყვა, შენი გრძნობაცა; ვუშველო თავსა.

– განდგეს, გამშორდეს! არ კი ვიდარდო...

– რა სასტიკნი ხართ! ლამაზები, მაგრამ მკაცრენი. მოიკლას თავი? გადაეგოს უშვილ-უძეოდ? თუ უარსა ჰყოფთ, ნუღარ ჰყოფნით, ნურც ფიქრობთ მასზედ. გისურვიათ მისთვის ბოროტი. მოგიბრყროთ თასთა ტკბილი გრძნობა, ხელი აჰკარით.

– შენ სულ მისკენ ხარ მისი ქომაგი. წაჰყევ, თუ მოგწონს!

– ავ სიტყვას იტყვი, უფერ რასმე, შეუწყობელსა. შორს ხარ გულიდან, ვერა ხედავ მისსა სალაროს, მისთვის თუ უბნობ ეგრე მკაცრად, შეუბრალავო, – სთქვა.

ცრემლი წასქდა ბორცვ ბროლისას ლამაზ თვალიდან. თეთრი ცრემლები.

შესდგა ეტლი მართას ბინასთან. თითონ იასემ მოართვა ქალებს. საგზაოდ იყო გამოწყობილი. თოფიც ეჭირა სანადირო ორლულიანი. ჩამოვიდნენ; ჩასხდნენ ყველანი; ახსენეს ღმერთი. ბედნიერები!

მთისკენა ჰქონდა მამული. იგვიანებდა მცირედ ზაფხულით. თიბათვეშიც მოჰკრებდი მარწყვსა იქ ტყის ველებში. გაზაფხულის ყვავილებიც ჯერ ისევ იდგა, უფრო შროშანა. სოფლის ქვეით გაშლილ მინდვრებზედ უკვე ზაფხული იდგა საკმაოდ ცხელი. მამიდა მართა ქალბატონი აღარ იყო განაზებული. ეხლა მთელი დღე ტრიალებდა ფეხჩაუდრეკლად. მაშ რა ექმნა? თავის სახლში ვაჟკაციც იყო. ხალისს სძენდა იგი შრომა, მეტ სიყვარულსა, მეტ სიხარულსაც. მუშაობა ხვავიანი, დაფასებული. მთელს წელიწადს გასწვდებოდა მისი ნაყოფი. ჯანსაცა სძენდა იგი შრომა: უდიერი როდი იყო, ღონის დამლევი. ამ მუშაკს შრომის შესაფერი პატივიც ჰქონდა, ზედმეტი კვებაც. რომ შეგეხედნა ხანში შესული დედაკაცისთვის, როდესაც ის მიზდ-მოზდევდა ოჯახის სარგოს, გიამებოდა ეს უნარი მიმომავალი.

– მართაჯან ჩემო! მე უკვე ვკვდები. ჩემი დასხნა არ შეიძლება, არ შეგეშინდეს ცხოვრებისა: ისეთ მამულებს გიტოვებ, სულ გეყოფა მთელ სიცოცხლეში. ნუ კი დაამჩნევ უპატრონობას. შენ გიანდერძე სიკვდილამდის მთელი დოვლათი. მერმე უნდა გადაეცეს ჩვენს თეონასა.

მას აქათ იყო, ადევნებდა მზირ თვალს, მოქმედ ხელს მთელ თვის ქონებას. როდი დაატყო უვაჟკაცობა. შორსაც ფიქრობდა: სიცოცხლეში ჰსურდა ენახა თვის შვილობილის ბედნიერებამ რომ მისი ქმარი ვაჟიშვილად მოჰვლენოდა იმის დოვლათსა.

– მივაღწევ ღმერთო, ჩემს საწადელსა: საფერ ვაჟკაცს ვაპოვნინებ ჩემს თეონასა. ცოტაც და... აზრიანი ვაჟკაცია ჩვენი იასე, გულკეთილი, მოყვარული, კარგო მოსაქმე: მის ხელში ქალიც იბედნიერებს, ჩვენი მამულიც. სასიამოდ გარდიფურჩქნება, იტყოდა მართა.

დარწმუნებული იყო, მალე შეასრულებდა თავის ფიქრს, განაქარვებდა აწმყოს ჭმუნავს, მომავლის დარდს. ეს ფარული ჰაზრი იყო იმის მიზეზი, რომ თეონა წლეულ გვერდში აღარ მოიყენა სახლის მოვლაში, მოზღვავებულ მოსავლის ყურის გდებაში. ქალი თავისუფალი იყო შრომისაგან, როგორც იასეც, მათი სტუმარი. ძილი ტკბილი, უშფოთელი; შემრგო საზრდო სხვადასხვაფერი; სეირნ-გოგმანი ლბილ მდელოზედ, სუფთა ჰაერში, ღიღინ-ღუღუნი ხის ჩეროში სიცხიან დღესა. ტკბილი ცხოვრება ხორცთა სამღერი. მოლხვა, მოეშვა ნებისყოფა იმ უზრუნველ არსებობაში. ყოველივე მზად, მოწყობილი ტურფა სიცოცხლე. ოცნება იყო ხორცშესხმული, სიზმარი ცხადი. რისთვისღა გინდა, ბედნიერო, გამოფხიზლება?!

ჩამომჯდარიყო ვაჟკაცი წაქცეულ ხეზედ, უმიზნო მზერით გაჰყურებდა ქოჩორა ხეებს. შემოეზღუდათ ბუმბერაზებს პაწაწა ველი, მწვანე ხავერდად ხასხასი მდელო. პირდაპირადი ყვავილები გაღიმებული. გადახრილი მზის სხივები ხშირ ტევრებშია; სიხარულის ისრებია, ჰსერავენ ჰაერს. თეონას კაბა პირისფერი ხან იქით, ხან აქ, ყვავილთა შორის, მიეფარა აგერ ხეებსა. ისევ გამოჩნდა. ყვავილებს ჰკრეფავს სიცოცხლით სავსე; თაიგულსა სთხზავს ზამბახი თეთრი. დაათრო კაცი დღეს ზეიმმა დედა-ბუნების, მთლად მიაძინა იმის სულში ძალა მშფოთველი. სიამით ღრმაში შეაცურა შეუმჩნეველად, ხორცთ ფუფუნების უფსკრულ მორევში. ხედვა არეს უხედავი გარემო არსის. საგანთ აღალმა ბუნდოვანი, საზღვრებჩაშლილი. ძალამიხდილ ყურადღება ძლივსღა არჩევს სიცოცხლის დენას. ხსოვნის ძალები მინელებულნი, საგანთ ნამსხვრევი ასახული, ნაწყვეტები მოქმედებათა; ურკვეველი აჩრდილები გარდავლილიდან.

– პეპელა ჭრელი... ტურფა ყვავილი რხევით მფრინავი... ჭრელი ყვავილი... მჯდარი პეპელა, იმის ფურცლები, ამისი ფრთები... ხმაური ტყისა უცნაური... თბილი სიგრილე... ძილო, რასა მეძინები ამ შუადღის გულ... მზე... მზექალა... მწვავეა იგი უკარებელი... მიდის, მშორდება... იბრძოლე კვალად: გააპე მთანი, განვლე მდინ... ეჰ!.. თეონა კაი... თვით მოდის თეო... მო, მოდი ჩემთან!

– აი, ყმაწვილო, რა მშვენიერი თაიგული შეიკონა ველის ყვავილთა! სახე ლამაზი, სუნი ნაზი. აბა უსუნე!

და კოხტა კონა სუნნადსუნნელი მიუბყრო ვაჟკაცს საყნოსებელად. მიუახლოვა მის ბაგეს მაჯა გამთქვინებული. იგრძნო იასემ ნორჩი ხორცის სუნი სუნნელი, შეახო ბაგე, დაუკოცნა ქალს ბროლის ხელი. მურაზაშლილ ქალწულისთვის იგი კოცნა ელვა იყო, ცეცხლი მგზნებარე და...

დაკვესდა გრძნობა, დამწველ ალად ავარდა იგი. დახარა თავი ვაჟისაკენ, ყელს გადაეჭდო. თვისკენ მიხარა ტანი მოქნილი ვაჟის მარჯვენამ; ჩაეკონნენ, ჩაესკვნენ ერთურთს. ქალს აღტაცებულს ტკბილად სწვავდა ეს მიკარება, არ კი ჰნავლავდა. ბინდული ვაჟი ხორც მანაზებელ სითბოს სახით განიცდიდა  იმ სიახლოვეს... დაწყვილებით მიდიოდნენ შინ სიამის სიმით ერთად კონილნი.

## 31

რა გაეხარდა მამიდა მართას თვის შვილების ბედნიერება! მიულოცა, გადაჰკოცნა კმაყოფილებით. ატყობდა, საქმე ისე უნდა გათავებულიყო: არა სჩანდა რამ მიზეზი, საკეთილოდ არ დასკვნილიყო მისი განზრახვა, არ კი ელოდა, ესე სწრაფად შესრულებოდა; ამან უფრო აძლიერა მისი სიხარული. წმინდა დაუნთო ოჯახის ხატს, შეჰღაღადა სამადლობელი, რომ ლმობიერად ებყრობოდა ობოლ კერასა. მცირედ კიდეც იზუზუნა: სიხარულით მიუტირა იმ ცხონებულსა.

უხაროდა იასესაც თავისი ბედი, კმაყოფილის ღიმი გადაჰშლოდა მასაც სახეზედ. და რატომაო?! ვინ სთქვა ადვილი სხვისი ხვეწნა, უგრძნობელისა! ლანგრით მიართვა სიყვარული. არ შეიწირა! ძნელი იყო იგი ტრფობა სასტიკად მწველი. რა ადვილია ეს სიყვარული! თითონ მოილტვის, უტანჯველად, უშრომელად მოდის.

– გმადლობ, უფალო, არ დამამცირე ტოლ-სწორთა თვალში. ვინ არ დაჰნატრებს იმათგანი ჩემს ბედს ბედნიერს?! აღარ ინება ტანჯვა ჩემი უსრულებელი. აქ შვება ლხენა; იქ... განპატიჟება იმედმოსთვლილი, – იტყოდა ვაჟი, აწ უკვე ხსნილი საკვირველთაგან მიჯნურობისა. მაგრამ...

– ტანჯვა მიჯნურის ცეცხლია მწველი, მაინც მნათობი. დიდ სიყვარულის უკუმგდები ამაყი თვალი. თვით მზის თვალია ტკბილად მწველი, მოსანატრები.

– ფარვანას ჰგევხარ ალში მოშუშპრეს, სანთელის ალზედ ფრთებშეტრუშულ საწყალ პეპელას.

– გვანდი ფარვანას. აწ განვერე ალს მანავლებელს. ყვავილს ვახლავარ ჩემთვის გაფურჩქვნილს. ჩავეკონები ღაღანა მკერდში, ნექტარს ამოვსწოვ დამართებელსა.

– აწ აღარ ჰგევხარ? ყვავილს ახლავხარ?

– ყვავილსა ტურფას, ჩემთვის აღზრ...

– ქსოვილის ყვავილს შენთვის უსულოს ცივფერადებით ლამაზებულსა; ნახატსა ცეცხლსა; არსი ალის შუქთა კრთომას შენთვის ნასესხებს.

– აქ დაწყნარება მთელ სიცოცხლეში. იქ...

– იქ ერთი წამიც დამწველი შეყრის თვით საუკუნე უწყვეტ ჟამთ დარი. წინაშე მისსა თუნდ ერთი წუთი – მთელი სიცოცხლე დამშვენებული.

– იყუჩე, კმარა! რადროსღა არის საუბარი მაგისთანებზედ? დინჯად, იასე! კერის მშენებელს – მოფიქრება ყოველსა ჟამსა; ჰაზრი მშობელი, ნაბიჯი ფრთხილი, გამოთვლილი, ნაანგარიში.

წყნარად იქცეოდა ვაჟკაცი დინჯი. სიტყვა ბრძნობილი, მოძრაობა მორკალებული. არც აღტკინება, არც აღტაცება. ამ სიდინჯეს ბუნდად გრძნობდა ქალი თეონა. როდი ავსებდა კაცის ქცევა თავდაჭერილი, უფრო გაეხარდებოდა, იასეც აზვირთებული ყოფილიყო, გრძნობათა ტალღად შეტყორცნილი, აღტაცებული, რომ შესძლებოდათ ერთად ნავარდი ეთეროვან უმზღვრო სივრცეში ლაჟვარდის ცისა; მაგრამ... შემუქებული ეს შეგრძნობა მხოლოდ აჩრდილი მისის ცხოვრების არეზედ წარმავალი, უკვალოდ მსრბოლი. გაკვრითა გრძნობდა ქალი ამას, არ ჩაკვირვებით. სადღა ეცალა საფიქრებლად ბედის რჩეულსა?! ზეიმში იყო, ყოველ სიკეთით სავსე სუფრაზედ და... ქეიფის დროს ჩაფიქრება, აწონ-დაწონა?! ჰხამს აღტაცება ფრთაგაშლილი, მზის სხივებში მიმოფრენა, ყვავილთ ტრფიალი. ქალს მურაზი ჩაჰხვეოდა სავსე გულ-მკერდში, რადროსღა იყო ფიქრი, ზრუნვა, რაღაც გამოთვლა?!

მამიდა მართა... როდი იყო აღტაცებული, არ ქანაობდნენ აღქაფებულ ტალღებსავით მისი გრძნობები; დინჯად სთვლიდა კმაყოფილი ყოველსა წვლილსა; გონების ძალით შორსა სჭვრეტდა; გულში იტყოდა:

– კარგად მსჯელი, კაცი მექონი საღი აზრისა; ზრდილობიანი. სთქვა! აასრულებს ავის სიტყვას საკეთილდღეოდ ჩვენთვის, თვისთვის. მაინც სჯობია, დასრულდეს დროზედ ქალვაჟიანი; ქორწილი მალე! იქნებ შურმა აიტანოს იგი ლამაზი, მიჰხვდეს შეცდომას და შემობრუნდეს ვაჟკაცისაკენ. ვერ გაუძლებს მის თვალთა ისარს იასე ჩვენი და...

– შვილო იასე! რაც ადრე დაიწერთ ჯვარს, ისა სჯობია: დანიშნულებისათვის უკვალოდ არის დაკარგული ყოველი წუთი, რომელიც კი ჩამოივლის ქორწინებამდინ. დაგვწერდით ჯვარს, მაგრამ არ შეიძლება ქორწილი უშენ დედ-მამოდ, ნათესავთა თუ მეგობართ დაუსწრებლად. ემჯობინება ენკენისთვეში.

მართლა და აღარ ევარგებოდა გადადება ესე მარჯვედ მოსული საქმისა. რაღა იყო მოსასაზრი, ხანდასაზმელი?! მაშინვე დანიშნეს ქორწილის დღე, ქალაქს ჩასვლისას. მხოლოდ მახლობლებმა იცოდნენ მათი დანიშვნა. ბევრმა მარტო საწვევ ბარათიდან გაიგო ეს ამბავი. ლელვარიანთაც მაშინ გაიგეს, როცა წერილი მიუვიდათ გვეწვიენითო. მაინც ვერ გაიგებდნენ ამაზედ ადრე, იმ დღეებში ჩამობარგდნენ აგარაკიდან. წერილში სამძივარი არ იყო სახელდობრ ნახსენები: ალღომ ნება როდი მისცა პირად მოწვევის, თუმც შეჰშვენოდა ქალს დასწრება მეგობრის ქორწინებაში.

წაიკითხა სამძივარმა, გადასცა დედას ისე ცივად, თითქო სულაც არ შეეხო იგი ამბავი: ხასიათის ძალა დაჰყვა შემმართებელი, შესძლო დაფარვა გულის ტკივილის. იქნება იგი მკვეთრი განცდა დროსაც ითხოვდა, რომ ჰმჟღავნებოდა მთელის თვისის სიღრმით, სიგანით. თვალთა ფსკერზედ კი ააჩნდა ცეცხლი ბოროტი. იგი ალი ვერ შენიშნა მისმა დედამ. მსწრაფლ დაბურა ცეცხლთა კრთომა გიშრის ტევრებით. გაჰრიდა შემდეგ, შევლო ოთახი; დახშო, დარაზა კარი; მიწვა პირქვე თვის სარეცელზედ და... აქვითინდა, ატირდა უხმოდ. ცხარე ცრემლს ღვრიდა შელახულის ამაყობისა. მის მწარე კვნესა აისახა ნაქვთთა თრთოლაში, ლამაზ სხეულის უხმო მოთქმაში, მოქნილი ტანის ცხროებაში, გაშლა-გრაგვნაში.

– იასემაც კი გამწირა, თავი მანება! უჰ, დამცირებავ...

– ბეზარს მოვიდა მეტის დაცდით და...

– თუ ცდა მოსწყინდა ჩემგან ხიბლულს, ხელი გაიხსნა, მაშ ტყუილია ჩემი ქება, მთელს ქალაქში მოდებული სახელი ჩემი, – წარმოსთქვა ქალმა

და გაჰკრა გულისპირს, გადიხია, იჩინა მკერდი.

– რაღად მინდიხართ ბორცვებზრდილნო გრძნობის აუზნო?! ვერღა ეღირსოთ მიჯნურის ხელს, ჩემსა დედობას, პაწაწებისთვის სიცოცხლის წყაროდ აღმოჩენასა. რად კორდდებოდით თქვე საწყლებო, თქვე ლამაზებო?! – კრინტდაუძვრელად

და გამეტებით მოჰზიდავდა ბროლის ბირთვებსა, ნექტარის სადენ სპეტაკ სარაჯებს.

– მიღალატა! იასემაც კი გამწირა, თავი მანება, – ხმამაღლობდა უხმო კივილით.

დარწმუნებული იყო, მათ კავშირის გადახსნაში ვაჟი იყო დამნაშავე, მხოლოდ იასე, გონება მას ვერ აწვდიდა ვერც ერთს საბუთს დამამტკიცებელს. მაინც ამ სიტყვებს იტყოდა უხმოდ ხმა გამყივარი, დაჟინებით იმეორებდა: შეუგნებელ თვის შეგნებას ეთანხმებოდა: ჭეშმარიტებად თუ მიაჩნდა, შეურყეველად. ფიქრი ეტყოდა:

– ქალო ლამაზო, თვით უარჰყავ იგი საბრალო, შენის ხანგრძლივი დაყოვნებით მოუშრიტე ნასახი სასოებისა, რაღასა ჰყვედრი, რას ემდური უარყოფილსა?!

სჯეროდა ქალს ცხადი სიტყვა საღად მსჯელის თვისის გონების, ჰაზრით მთლად მას ეთანხმებოდა; მთელის თვისის არსებით კი უარს ჰყოფდა ესეთს დასკვნას, ეურჩებოდა.

– სასტიკად შესცდა! აჩქარდა ძლიერ! ყალბი თუ იყო მისი გრძნობა ტრფობის გარეშე დაფუძნებული. დაიღუპა! მეც დამღ...

– ჰა, ჰა, ჰა! შენ დაგღუპა, თუ შენ დაჰღუპე, შე გაუსჯელო! – ხითხითებდა ხმა საზარელი.

ეშმა იტყოდა პირყვითელი! თვალცეცხლიანი, გესლიანის გაღიმებით სისხლიან ლაშზედ. შეაკრთო ქალი; შეეშინდა, ზეწამოიჭრა; გადაიყარა თმათ ჯამბარები; გადაისვა ხელი შუბლზედ; ცრემლულ თვალებზედ. აჩნდა სარკეში მისი აჩრდილი. როგორ დაეშვა, ღმერთო ჩემო, ის განცდის წუთებს! ცეცხლს გადაევლო მის სურათზედ ბოროტად მკვალელს. გამოვიდა. არ ვარგოდა დიდის ხნობით განცალკევება: იგრძნობდა ყველა მის შავ განცდას, განცვიფრდებოდა. მთლად კერძო იყო გულისტკივილი, ყველა სხვისათვის უცნაური, შეუგრძნობელი. დედ-მამამაც ვერ შეიგნო იგი მკაფიოდ, თითონ უარჰყო, რად ინანებს ესე სასტიკად?! იტყოდა უცხო. თითონ ქალსაც არ ესმოდა ულმობელი ტანჯვის მიზეზი, იმის გონებას. ქალის გული კი, მის გძრნობების საკრებელი ჰაზრთა სხივით მიუწთომელი, მკაფიოდ გრძნობდა, სცნობდა, ჰხედავდა დარდის მიზეზებს.

მისანი არის გული კაცისა. ღრმად თუ განსჭვრეტს აწმყოს, მომავალს. გრძნობდა სამძივარ: ბოროტის მშობლად შეიქმნებოდა სამხიარულო ის ქორწილი, ავი მომავლის

მისთვის მომტანად; ვაჟკაცისთვისაც შავად შამხების. ვერ ჩასწვდომოდა მუქ წინადგრძნობის მიზეზს, საფუძველს; მაინც კი გრძნობდა, განიცდიდა იმ საშიშ მომავალს. და განპატიჟდა სამძივარი ორმაგი ქენჯვით იმ წუთის ტანჯვა-წყენის ნაჟური, შელახულის, დაბზარულის თვითმოყვარების, ბუნდოვანი მოლოდინი უბედობისა, შეუცნობელი ავის წევა უცილობელი.

– იქნება ტანჯვა წინასწარი ამაო იყო?

– შესაძლო არის, ხან ეგრე ხდება.

## 32

ამოცურდა მანგი პირსავსე. წაწითანო ფერი ედვა დღეს, სისხლნაცხები. მაინც ტურფად გაანათა ვიწრო ქუჩა, ქუჩაბანდები. დიდძალი ხალხი მოჭრილიყო იასეანთკენ: ქორწილი ჰქონდათ დიდებული. ქალიც, ვაჟიც ერთად იყვნენ, იასეანთას. ერთად დაიძროდნენ ეკლესიისკენ: ერთადვე დაბრუნდებოდნენ. ზეიმი მოწყობილი იყო იასეანთას. თავის სახლში იცხოვრებდა იგი ცოლით რამდენსამე ხანს. გაყრა ჯერ უდროვო იყო, არც თუ საჭირო. შემდეგში გადავიდოდნენ საკუთარ სახლში. არც ევარგებოდა მაშინვე ცოლეურთას დაბინავება; იტყოდნენ, ზესიძედ შევიდაო იასე. სათაკილო იქნებოდა ესეთი თქმა ხელგამომავალ ვაჟკაცისათვის.

მთლადაც მიაწყდა მილეთის ხალხი იასეანთ კარს, როდესაც ზეაღმართა ზურნამ პირი და მიუთხრო ეზო-ყურეს, ქუჩა-უბანს; სიამოვნების წუთი დადგა ამ კერიასთვის! რამდენსამე ხანს ის პირველი მარტო იტყოდა, თითონ ცეკვავდა მთვარის სხივით გაშუქებულ ჰაერთ ტალღებზედ. გაიტანა თვისი ჰანგი ნაწეს სამზღვრამდინ; შეათამაშა ზე ფარდებში ბგერათა ჯგუფი: ცალს თუ იწვევდა ხმათა შუშპრის ასპარეზზედა. გვერდს ამოუდგა ეშხიანად ის ხმა მეორე და... ხმათა დავლური რიხიანი, თან მოკასკასე. ვეღარ გაუძლო დოლსაც გულმა, გაჰყვა მეგობრებს. შეეხმატკბილა. მთელ უბანში გადასტყორცნეს სიხარულის ხმა გამყივარი. წელში გასწორდა მეფის მეეტლე, მოზიდა ღვედებს: დადგა წუთი მის ქმედობისა. ხელადა ღვინოს, საკრავთა ხმას ამისათვისც ეშხი აღეძრათ; ჰსურდა დიდებულად გაეტარებინა ქალ-ვაჟი მოზღვავებულ ხალხში, ნამდვილ მეფე-დედოფლურად. მორთულს ეტლს აჰყვნენ სხვა ეტლები სტუმრებით სავსე. ფეხითაც ბევრი მიდიოდა. ნელა იძროდნენ: მანძილი დიდი არა ჰქონდათ გადასავალი. ეკლესია ლაპლაპებდა ჭაღით, სანთლებით. დეკანოზი შემოსილი ელოდდა მომსვლელთ. დიაკვანი იოანე უპრტყეს სარტყელით შეარდაგილი. ქალს მოჰხდენოდა სადედოფლო საბურ-საცმელი. მორთვაზედ მეტად ამშვენებდა მის სახეზედ ახატული კმაყოფილება; სიხარულის ღიმი თვალებში. კმაყოფილი მოსჩანდა მეფეც: ზომიერი ღიმი კრთოდა მის დინჯ სახეზედ; მიხვრა-მოხვრა მორკალული, ჰაზრით ნანათი. ქალს გრძნობათ ტალღა ატივტივებს ჯვარისწერის დროს და წამისწამს აცვლევინებს მოძრაობას, ფერს თუ იერსა; ვაჟი ასდევს ჰაზრის არეს, გრილად გამსჯელ ფიქრის სავალსა. ქალისათვის ჯვარისწერა ვარდისფრად ღებავს მის ცხოვრებას; ვაჟკაცისთვის კარის ბჭეა უდიადესის მოვალეობის.

– რა მხიარული პატარძალი გვყავს! სულ უღიმის ბედნიერს სახე; ძლივსღა იკავებს გულახდილ სიცილს.

– სიყვარულით შეირთო ვაჟი. თურმე გაანდო დედობილს გრძნობა, ისიც ეცადა და გაიმარჯვა.

– ვისი შვილია, ეს კი არ იცის.

– ბედნიერია! ჰაზრიანი ვაჟკაცი ხელში, სიმდიდრეც დიდი: მართას მაგათთვის მიუცია მთელი ქონება...

– ხომ შეჰნიშნე, გენაცვალე, პირველად ვინ შემოჰხვდა მეფე-დედოფალს?

– ეფემია მკერვალიანთი!

– ცუდი ნიშანი: ქვრივი დედაკაცის შეხვედრა ქალის დაქვრივებას მოასწავებს...

– ბიჭო ფილიპე! ჩხირის თლა ხომ არ დაგავიწყდა გზადაგზა?

– ხელი არ დამიყენებია! დახე, როგორ დავაწვრილე იმ სისხო ჯოხი; ლამის გადატყდეს.

– გადატეხე! დაუსუსტდებათ ამათ მტერთ, გადაემტვრევათ ბოროტის მქმნელი...

– დინჯად სდგას მეფე. ნეტა შესძლებდა ესეთსვე ქცევას, სამძივარი რომ ედგეს გვერდზედ?

– აღტაცებაში იქმნებოდა, თავსაც ვეღარ შეიმაგრებდა: ძლიერ უყვარდა ის გულმკვდრის შვილი.

– ააცეკვებდა ძლიერი გრძნობა, ვით როკვის მუსუსს დასტის მწყობრი ხმა: სიყვარული ჩამოჰკრავს ორძალს, – ბრძენიც იშუშპრებს...

– რა „იასიას“ დასძახიან მღვდელ-დიაკვანი!

კელაპტრები ჩამოართვა იოანემ მეფე-დედოფალს. წარსდგა ფეხი ამბიონისკენ. მძლავრად დაჰბერა შეტყუპულებს, ერთად გააქრო. ერთად მოსიპოს ჟამთ დასასრულში ერთ სულ და ერთ ხორც ქმნილი ორება.

კარგი ნიშნები აედევნა მათ ჯვარისწერას. ქორწილშიაც რიგზედ იყო ყველაფერი, სარისტიანად. გათენებამდინ გასტანა აღტაცებულ სიმხიარულემ. დალბნენ ვაჟკაცნი, მთლად გაიჟღინთნენ. ამღერდა თუ აცეკვდა მთელი კრებული, ძლიერ მოსწონდათ სამძივრის მამა. შეუღლებულთ სადღეგრძელო როცა დალია, წრფელად დალოცა; რწმენით წარმოსთქვა: ამისთანა მოწაღმართე ვაჟკაცის ხელში ბედნიერს კვალს დაადგება ახალი კერა. წარმოსთქვა ენამ გულის ნადები. მიუხვდა ყველა! ქალთამზის მამას უამეობდა იასე სიძედ. მეფემაც აწ დაინახა ეს ძლიერ ცხადად და... თავის გულში ამოიოხრა. მთლად უხმო კვნესა, უბგერო გმინვა.

ზურნა-დაფის ხმიანობამ ისარი დაჰკრა გესლიანი სამძივარის გულს. დასტის ზახილი გუგუნ-კასკასად მოესმოდა ქალს დამცინავად.

– მიღალატა! არ ყოფილა სიყვარულში გაუტეხელი.

იი... დიდი დარდი, ბოროტება უზღვენ შენს თავსა...
აა... დარდი დიდი, ბოროტ...

ჩასძახოდა გამყივარი დასტა ქალს ყურში.

– მიღალატა! მთლადაც გამწირა. უნდა შეეგნო ჯერ არ იყო საბოლოვოდ უარყოფილი.

იი... ბოროტება, რა დიდი დარდი... იი...

ყურს უგმირავდა საკრავის ხმა წვერმახვ შანთივით. ახ, შესძლებოდა მსწრაფლ მოესპო ის ხმიანობა, დაეხშო პირი თავაშვებულ საკრავებისთვის... ხელს იფარებდა სასმენელზედ, ბალიშებში თავს ჰმალავდა, რომ არ ესმინა მტანჯველი ხმები, მაგრამ...

აა... რა დარდი... დიდი დარდი...

განმახულიყო იმისი სმენა. ოდნავ ბგერებსაც ითვისებდა, შეუმჩნეველ ხმაურობებსა. და იგი ზურნა... აივსო ქალი ბოროტ გრძნობებით. თუ იმ მხიარულ მეზობლის ოჯახს აწ რამ სიავე წაჰკიდებოდა, იქნებ კიდეც გაეღიმა ამაზედ მის გულს: ბნელი აზრები მიმოსცურავდნენ ცნობიერებით განათებულ არემარეში მისის გონების... უკუჰრიდებდა შავ სურვილებს, ეძალებოდა მათ ჩაქრობასა: როდი იყო ბუნებით ავი. ის ამწვავებდა, შეჰლახოდა თვითმოყვარება.

– თავდადებული თაყვანისმცემიც განზედ გამიდგა. ნიშნს მიუგებენ ალბათ მცნობნი, ტოლ-ამხანაგი. ნამდვილ ეგრეა! ჰკითხავენ ჩვენებს, სამძივარი რად არ არიო, განზრახ ჰკითხავენ: კარგად იციან, შეუძლები რისთვის იყო ჩემი დასწრება.

– მითომ რისთვისა?

– აეშლებოდა ჩემს ნახვაზედ ძველი გრძნობები, დაულეწდა თვით აჩრდილსაც სიხარულისა.

– ჩაეშალნენ ის გრძნობები! დაჟინებულმა უარმა მოსპო იგინი. ვერ წარსდგამდა ის ამ ნაბიჯს, თუ ჩარჩენოდა იმ სიყვარულის თუნდაც აჩრდილი.

– გაუცხოვლდება ჩემს დანახვაზედ იგი ტრფიალი. თვის სახლში მნახოს, არ შეიგრძნოს თვისი შეცდომა. შედარება მას აუხელს დამწუხულ თვალებს, თვით ჯოჯოხეთს განაცდევინებს!

იქნება მომხდარიყო ამგვარი რამა, თუ დაენახა თავის გვედზედ თვის სამძივარი. მაგრამ არა! ხელს დაჭრევდა სასტიკ განცდას დინჯი ვაჟკაცი, უჩინარის ნებისყოფის მქონე ძლიერის. თეონას მოსვლოდა ეს ფიქრი, ფიცხი შურით ნაკარნახი ეს წინადგრძნობა; მშობლებსაც სახიფათოდ სჩვენებოდათ ეს; ამისთვის იყო, რომ სახელდობრ არ იწვიეს სამძივარ ქალი.

სურდა სამძივარს დარწმუნებულიყო, თუ დიდ გავლენას მოახდენდა, რომ სწვევიყო იგი ქორწილში; ეკლესიაშიც; ზეიმზედაც მთლად დაჰფარავდა მის მშვენება სხვის სილამაზეს, პატარძლისა თუ სხვა ქალების, ვით მზემ დაჰფაროს თვის სინათლით ვარსკვლათ პრიალი. მიუჯდა სარკეს, ილამაზა კეკლუცმა თავი, მაცთური ღიმი აისახა მარჯნის ტუჩებზედ.

– მაგრამ, ქალოჯან, გარდაგსვლია ნორჩობის ხანი. ეხლა უფრო მეტად გეტყობა: დაგლევია სინაზე ქორფა; ტუჩბაგეზედ რძე შეგშრობია, დაჰკარგვიათ ბალღის იერი. რამდენიმე კვლავ წელიწადი და...

– მაინც ისევ მშვენიერი, ისევ რჩეული ტურფათა შორის! მთვარემან მცხრალმან ვარსკვლ...

– პირმანგი მცხრალი, მშვენებიდან დამცხრალ-დამშრალი...

– რად მომანიჭე, შემოქმედო, ეს სიკეკლუცე, თუ უხმარად ჩაჭკნებოდა, ჩაიშლებოდა! არავინ მოსთვლის ღალიანი მოსამკელი ესეთი ტურფა... არ შეიძლება! მალე მოვა ჩემს კარს სწორედ ის, ვისთვისაც არის აღნიშნული ქალობა ჩემი; შემეევედრება და... დავსცემ დასტურს! სიხარულით ავაყვავებ, მეც ავყვავდები... უფრო მშვენივრად გარდავიფურჩქნო გულის სიხარულით. ოღონდ კი ჩქარა...

მართლაც, რასა ჰგავს, გაიშალოს ტურფად ყვავილი, ვერავინ კი ისიამოს მის ლამაზობით, არავინ დატკბეს მის სურნელებით, არც ვინ იგემოს დამათრობი იგი ნექტარი, ყვავილის გულში უკვდავების წვეთად ჩამდგარი?! ხან აღფრთოვანდებოდა ქალი და თავის მარცხს არარად სთვლიდა; სხვა წამს ჰქრებოდნენ მის იმედები; ვერ ისვენებდა: კოცნით როდი უხუჭავდა ლამაზ თვალებს ანგელოზი ძილად მიმწევი. გატყდა ღამე. ძლივს ჩაეძინა. საარის ხმები. ბანზედ არიან, ლაბიერით შემოზღუდულ

ვაკე სართულზედ. აემართათ ზეცისაკენ ხმა გამყივარი: მადლობის ჰიმნით დაჰხვედროდნენ ამომავალ მზეს, სიკეთის მთესველ მნათობს ღვთაებურს.

იასეს ბედნიერება სიმძიმილად შექმნილიყო სამძივარისთვის, ვის შეღონებაც რაოდეს არ სწადდა იმას. დაღონდებოდა, თუ სცოდნოდა ქალის წუხილი. რას იფიქრებდა?! ქალიც გაჰკვირდა რომ ეწყინა მისი დაკარგვა, კიდეც გაუწყრა თავის თავს ამ განცდის გამო: როდი იცოდა, რომ გულის ფსკერზედ უღიოდა მის თანაგრძნობა. მზის ბრწყინვალებამ კვლავ განფანტა ქალის ფიქრები. ჟამთა დენას ასდევს არსი, წამთა სრბოლისა, ხან გაქანებას, ხან კი უძრავ მოძრაობასა. სამძივარიც გაჰყვა წუთებს: გზას განაგრძობდა.

## 34

იასეს აწ საკუთარი სავალი ჰქონდა მკაცრად სამზღვრილი, ნათლად ნასახი მიზანი თავის არსებობის:

და მეუღლენი წესიერად განსაგებად თვისის სახლისა, სასიკეთოდ დასაცავად ნაკურთხ კავშირის, ნათელთ მრავლებად. იასესათვის ეხლა ზრუნვა იფარგლებოდა პირველ ყოვლის მისის ოჯახით. აზრიანად უნდა წარემართა იგი. ეს უმცირესი, რასაც სთხოვდა კაცურ კაცობა. თუ კარგად ვერ განაგებს ოჯახს, მაშ როგორ შესძლებს სასიკეთოდ წარმართოს თემი, მისწვდეს ქვეყანას?! შესცვალა გეზი თვისის ყოფის ცხოვრების ზღვაზედ. სამძივარი კი... უნდა განეგრძო წინანდელი თვისი სავალი: დღესაც ისევ დამკვლევია თვის მომავლისა, მისი მძებნელი. ძნელი იყო ეს: ბუნდოვანად სჩანდა მისთვის ის საძებარი; ვერ მიმხვდარიყო, სად ჰკარგავდა, სად იპოვნიდა, მოსაწყენიც გახდა ძებნა, გზების გაკვლევა, ბევრის ბევრი დრო დალია ამ ბნელ გზაზედა ყოფნის ჟამი საუკეთესო, დიდი ნაწილი ვარდობის თვისა, ასურ-მაისის. ვეღარცა სწამდა, ნაყოფიერი შეიქმნებოდნენ შემდეგნი ჟამნი ამ ძიებისა, ხვავიანნი, შედეგიანნი, წინამდებარე დაისის ჟამნი.

– იარე კვლავ ურყეველად, ჩემო ლამაზო! არ შედრკე არც წამს. არ მოგიშხამოს შავმა ეჭვმა ეგ ნებისყოფა, იმედმიხდილი არა გნახოს მყობადმა თუნდ წამს. ბოროტისა წამი აწმყო მერყევისათვის, დროც მომავალი, გესლიანად დამცინავი, დაუნდობელი. მედგრად წინ, კარგო! სძებნე! იპოვნი!

გაორკეცებული სურვილითა ცდილობდნენ ქალიც, მისი მშობლებიც მიებრუნებინათ თავიანთკენ ყისმათის პირი განათებული და თანაც მალე, ძლიერ სწრაფადა.

– რა არის, კაცო, რომ გესწრაფება საწყალი ქალის გათხოვება და მოშორება?!

– მოვა დრო და გათხოვდება. ქალი იჯდეს, ბედს ელოდესო.

– საკმაოდ იჯდა და ხვედრს ელოდდა, ეწვია ბედიც და არა ერთი, მაგრა...

– რა გაქვს სათქმელი?

– მაგრამ ხელი ჰკრა ყისმათისგან მოგზავნილებსა, პირი იბრუნა მედიდურად; სიცილიც კი დააყარა ზოგიერთ საწყალს. და ეხლა, ჰხედავ, აღარა ზის ქალი; დადის, დაეძებს თავის საძებარს: ყაბახი, ქუჩა, მაღაზიები, თეატრი, რაღაც საღამოები. არც ერთს დღეობას აღარ გაუშვებს. სად არის ეხლა?

– რამ გაგაავა! ბაზაზ ყასუმას დუქანშია ფანცის სასყიდლად.

– ამევსო უკვე საწყაული მოთმინებისა! გზათაუკან სიარულით ვერას გახდება: თვალს შეაჩვევენ და დაფოლდება, ოდეს ტურფა გაიაფ...

– მაინც მითხარი, რა გამწარებს, დღეს რა გაღელვებს? მკაცრ სიტყვებს ამბობ იმ საწყალ ქალზედ.

– ჩვენს ლიზასა გვთხოვს ქარშიკაული.

– ლიზასა გვთხოვს ჩვენ ალექსანდრე?!

– არ არის ჩვენგან დასაწუნი. ლიზაც დაჰყვება. მაგრამ მომდევნოს გათხოვება უპირველესად... დაუვარდება დარჩენილი ქალის სახელი სამძივარს. როდამდისინ უნდა იყოს ჩვენს ინაბარას? დღეს თავს ვადგევართ, ხვალ ღმერთ...

მართალს ამბობდა სამძივარის მამა: დრომ გაირბინა, დაქანებით ჩაიარეს წელიწადებმა; გათხოვდა უნცროსი ქალი; დაქორწილდა ვაჟი მომდევნო; უფროსი ქალი ისევ შინ იჯდა. შესაფერი ვერავინ შეჰხვდა. დადარდიანდა, ავიწყდებოდა, ყოველი სიკეთით სავსე კაცი იშვიათია ჭაბუკობაში. უნდა სჭედოს ყველამ ბედი თვის სიკვდილამდინ და ვერ მოასწროს დასრულებით მის გამოკვერვა. ვერ შთაენერგათ ეს ქალისათვის; სინამდვილე ვერ შეეგნო ბევრის მდომელსა. გარდავლილ გზაზედ შეჰხვდნენ იმას კარგი ჭაბუკნი; ქალის ძალა თუ ჰშველებოდა მათ ნათელ სულსა, შემოქმედ ნიჭად გარდაქმნიდა მათი მურაზი. ვერ შეითვისა ეს აზრი ქალმა და კვლავ ეძებდა თავის სამეგარს, დაჟინებით ესწრაფებოდა. გრძნობდა შემკრთალი, კიდეც ჰხედავდა: წარმავალს წუთს ყოველსავე მიჰქონდა მისგან სიცოცხლის ეშხი, განევლო მისთვის იმ ნეტარს ჟამსა, რომ წუთი ყველა სძენს სულდგმულს ძალას, რაიმ სიკეთეს, სილამაზე ახალ სიცოცხლეს; უხვი ბუნება ნიჭით სავსე კალთას აბერტყავს თვისგან შექმნილსა; აწ უკვე თავქვეს დასდგომოდა ქალის სავალი, მოლიჭყულ დაღმართს დაქანებულს თვით ფსკერამდინ არარაობის. ძაბუნდებოდა ლამაზ არსის ნივთიერი შემადგენლობა. სულიც მისი იფიტებოდა. ჯავრის ალმური თუ აშრობდა მის გულის სილბოს. ტანს რომ სიჩვილე ეკარგებოდა და ნაოჭთ ბადით იქარგებოდა, სულიც კარგავდა სახიერებას, კარგ გრძნობათაგან განიძრცვებოდა. სწრაფვის მიზანი შორეული, მიუწთომელი. დედობის ნდომა გამძაფრებული. უშედეგო სულდგმულობა ერთფეროვანი. მაინც იბრძოდა: ენანებოდა ტურფად ქმნილი თვისი არსება.

მენანებოდა, თვალნი მტკიოდნენ მის მომზერალსა. აღარ ჰფეროდა ტანთ სამოსი, სამკაული ახალქალური: ადრე თითონ ამშვენებდა მათ თვის სინორჩით ეხლა... ის მზიური ქსოვილები პირდაპირადი უფრო ცხადჰყოფდნენ მის სიძველეს, მის მიყანდებას. ახალნორჩისთვის ნაქარგ-ნაკერი კოპ-სარაღუჯი უკვე მიქცეულს... თუნდაც საყურე ბრჭყვიალ-პრიალა ჭმუჭვნილ ყვრიმალზედ...

– ნუ, გენაცვალე! ცოდვა არის ეგ საყურე, გოჰარისგან აკინძული ყურძნის მტევანი, ოქროს ფოთლის ქვეშ. ახალ სიცოცხლის სამკაულად შექმნილია ხელოვნისაგან, შთაუბერავს მის შემოქმედს მაგისთვის სული და... სტკივა გული საწყალ საყურეს; ჰე, დაავადდა სამკაული, რა დაკარგა ნორჩი სითბო შენმა სხეულმა. ფერი იცვალა. გადაეცი ახალ...

– ვერ შეველევი!

– სხვა გაიკეთე, თვისი ნაღჩით საღამოს აჩრდილს ზიარებული...

– ხმას აღარა მცემ! ხომ არ გეწყინა, გეთაყვანე, ეს სიტყვა მძიმე? ისევ მიყვარხარ. რა მენანები! ვყვედრი მეც შენთან ქვეყნის შემოქმედს: რად იავარჰყოფს თვის გაჩენილ სიტურფის ნიმუშს...

იმრავლა ხმაში ლითონის ბგერამ სილბო გაძრცვილმა; საუბარში გაუმრავლდა სიტყვა მწუნავი; ვეღარ ჰსახავდნენ მიტკბობას, ალერსს მისი თვალები; აღარ იტყოდა თაფლიან სიტყვას იმისი ენა.

– ყოველი ნაყოფი რომ მწიფდება თანდათან ტკბება; სამძივარი ხანში შედის, უფრო მწარდ...

– რა ქნას საწყალმა? გული გაუტყდა; ვეღარ ეღირსა დედად ყოფნასა. რა კარგი დედა იქნებოდა ბუნებისაგან შემკობილი ყოვლის კეთილით! ესეთი მარცხი ძნელი

არის, აუტანელი? თუ სხვა ჰქონოდა რამ მიზანი ცხოვრებისათვის, სხვა საძიებელი თუ მისახწევი, შესაძლო იყო გულის სევდა გაჰქარვებოდა.

– ჰო, მცირეოდნად. ბუნების თხოვნა უსრულივე დაურჩებოდა და პირადი უკვდავება თავის ნაშენში უარყოფილი. არ ჰქონდა ქალწულს სხვა მიზანი არსებობისა. ეს ერთადერთი საძებარი აგერ ჰქრებოდა.

– რამ ჰქმენი, ქალო, რამ გაგაკლდევა?! იგი საწყალი წლიდან წლამდინ შენ შემოგტრფოდა, შენით სუნთქავდა გულდახვრილი და უარი ჰყავ... ან როგორ მოგცა ამის ნება გრძნობამ, ძუძუმა?! სულ არ ყოფილა დასაწუნი იგი იასე: კარგადა ცხოვრობს, აზრიანად, დაწყნარებულად. მზრუნველი მამა თვისის მოდგმის, ახალ ოჯახის. შენთან იგი უკეთესიც იქნებოდა, უფრო გულსავსე.

## 35

კარგი კერის მკეთებელი სასიქადულო. გაიხარა მამულმა იასეს ხელში. წინადაც არ უჩივოდა მართა მიწა-წყალს, – იასეს ხელში საქებარი შეიქმნა იგი, უხვად მომცემი. ყველაფერმა განიცადა მკლავი მშრომელი და ამოხეთქა მრავალ ყლორტებად, გადიშალა ტურფა ყვავილად, დაიტვირთა შაქრულ ნაყოფით; ერთიორად იქცა ყოველი: ვაჟკაცის ხელი ძლიერია, ბარაქიანი.

– ნუ იტყვი მაგას! რამდენია, ანადგურებს თავის ქონებას, ნიადაგს აცლის თავის კერას, თავის ცოლ-შვილსა.

ბევრი არის მფანტავი კაცი ბედოვლათი. იასე მათში არ ერია, არც ჰქონდა რამე მათთან საერთო. მუშა იყო დაბადებით, საქმის ტრფიალი. უნდოდა თავის პიროვნება ნათელ-კვალად აესახნა თავის ნაღვაწში. არ უნდოდა, ეთქვა ვისმე:

– ცოლის მამული აცხოვრებს კაცსა.

სჯობდა ეს ეთქვათ:

ამთავნიერა დალოცვილმა მამულ-დედული, ააყვავილა, ჩაუდგა სული; თითონ აცხოვრებს თვისსა მამულს, მისი მარჯვენა ამრავალკეცებს ღირებულობას, იმის ღალასა.

ქალაქშიც იყო მრჩო ვაჟკაცი, სოფელშიაცა. სამსახური არ დასტოვა; მეტი უნარიც დაიჩინა დადინჯებულმა; შარსდგა ბიჯი ხელთუფლობაში. იმის მამულზედ მომუშავენი გრძნობდნენ ვაჟკაცის ძალას, მეტს მორჩილებას თუ ხათრს იჩენდნენ. მემკვიდრე ჰყვანდა. სხვასაც ელოდდა გვარის მამრავლსა.

ტკბილად დიოდა ცოლ-ქმრის ცხოვრება. ქალი სიყვარულით გაჰყვა იასეს და ის სურვილი არა სცხოვრებოდა; იზრდებოდა, ძლიერდებოდა. ხორცთა თვისება ზრდიდა ტრფობასა. ცდილობდა კაცი, მის მეუღლე სხვაზედ ნაკლებად არ გასულიყო ყოფის არეზედ. მადლობას გრძნობდა ამ ზრუნვისათვის ქალი თეონა.

– ერთ დღესაც კი ნუ მაცოცხლოს იასეს შემდეგ! – იტყოდა იგი.

გადაშლილი ჰქონდათ გული ერთმანეთისთვის. რა აზრი დაებადებოდა ქალს, გრძნობა ან ნდომა, არ გაეზიარებინა თავის კაცისთვის?! ქმარიც ესე ებყრობოდა თავის მეუღლეს: ერთად სჯიდნენ ყოველს წვრილმანსაც; სახლის მამა არც ერთს საქმეს არ იჭერდა დაუკითხავად. მაგრამ, ეჰ, არა! მათშიც იყო ორივეში ჩაბინდებული ერთურთისთვის პატარა არე. ვერ იქმნებოდა იმისი თქმა, მასზედ პასუხი. ქალის სული გარდაშლილი ქმრის წინაშე. მაინც იყო იმის სულში ხშული ადგილი. იქ ეს ეწერა:

– უყვარდა წრფელად ჩემს იასეს ის სამძივარი, ტრფობის ისარი ჰქონდა მისგან გულს განაწონი... თუ ამოსწვადა ჩემ ალერსმა იგი ბოძალი, მოსპო იარა, მოსწმინდა პირი?

განგრძობა იყო ქმრის არსების მისი მეუღლე. მის პიროვნების სხვა ნაწილი უფრო სათუთი; კაცს მაინც ჰქონდა გულის ფსკერზედ ერთი კუთხე კერძოებული, ქალისათვის მთლად საიდუმლო. სათაყვანო გრძნობა ჰქონდა იქ დაკრძალული... გაგწირა შენ სილამაზემ ცხოველსმყოფელმა. გასწირე შენ სიყვარული სულისა მდგმელი. არ გადაჰყევი ბოლომდისინა; როდი იარე სიკვდილამდინ იმის გზაზედა... რა ძნელია ის სამარე გულს უტევარი!.. წამება დარი სიძლიერით სიყვარულისა; თვით სიყვარული უქრობ ტანჯვად გარდაქცეული...

ნელ-ნელა აღმოჩნდა ის აკლდამა იასეს გულში, უღრმეს, ჯურღმულში მისის სულისა. როს მიიცვალა ის სიყვარული სინამდვილეში, ან როდის გაჩნდა მისი კუბო საწყალს მის გულში, რა მანქანებით, – ეს ვერ იცოდა, ვეღარ გაეგო.

– თითონ გასთხარე იგი სამარე; შიგ ჩაასვენე ცოცხალ-მკვდარი მიჯნურობა, ლამაზი სატრფო... თავს დააბრალე ყოველივე შეუგნებელო!

– თვით გავუთხარე ჩემს სიყვარულს იგი სამარე, გულს დავიმარხე ჩემდა ტანჯვად ისევ სულდგმული?! უაზროს იტყვი, ბოროტს რამ სიტყვას...

– ჭეშმარიტებას! შენთვის მეტად სავალალოს, დამაღონებელს, ჰკითხე გონებას, დაუკვირდი მოგონებასა: მართალს გეტყვიან. ამისათვის დრო შეგრჩა ბევრი. შენის ცხოვრების ჟამნი მთლიანად.

იასესათვის საკვირველი ხმა იდუმალი, თქმა უჯერები, მაინც სარწმუნო... სადღა ეცალა საფიქრებლად გარდავლილზედა?! სხვა ზრუნვით იყო აწ მოცული მისი გონება; ოჯახის მამა, მის მომავლის გამომჭედელი; ხელისუფალი საპატიო ადგილის მჭერი. დიდი შრომა სჭირდებოდა ორმაგ საზრუნველს, მოაზრება, წინასწარ ზომვა და... მთელი ცხოვრება საიდუმლო იმ განცდაზედ საფიქრებელად?!

მაინც იგი თქმა საკვირველი მართალი იყო! ოჯახის მოვლა, ხელთუფლობის მოვალეობა, მაგრამ... ქალი თეონა, კარგი ცოლი, უფასები დიასახლისი, მაგრამ... ალქური ტრფობა, მიჯნურობა ალავარდნილი... არტახს შეგარტყავს უხსნელ-უწყვეტს, შეგკრავს, შეგბორკავს იმ არდაგითა და წაგასწრაფებს ხნარცვებისკენ თავხედობისა, ქაფავარდნილ ჩანჩქერებისკენ საზარელისა.

– ნუ მიხვალ მაინთ! ჭკვათამყოფელი როგორ წავი მაგ დამღუპველ საბრკომებისკენ?!

– რა ლამაზია!

– ბევრი წასულა, ვეღარ მოსულა და თუ მოსულა. დიდად ვნებული!

– რა ბრიალაა! მიმზიდველი, დამატკბობელი...

– ნუ მიხვ... ვის ეტყვი, ვისა! მიდის ღიმილით, მიარღვევს არეს ქანცულ-ბასრული, სისხლმომდინარე; ურყვეველად მიისწრაფება, შეხეთ მის თვალებს, გატაცებულს მისსა მზერასა! ერთისადმი მიქცეული, მხოლოდ მისადმი. რა ნეტარება წამების ჟამს უდიერისა! მეშვიდე ცამდის აღტაცება ძირს ქვესკნელში ჩათხეულისა. ტანჯვასა შიგან ნეტარებას თუ...

კაცის ცხოვრებას, აზრიანად მოწყობილ ყოფას, აკლდა იგი აღტაცება ცეცხლებრივ მწველი. ხან ჟამიერი იგი ღელვა თუ წამიერი დამდორდება შემდეგ, დაუშვებს ფრთებსა. მაგრამ უშლელად იბეჭდება განმცდელის სულში: გონების სარკე უკლებრივ ჰქარგავს თვის კაბადონზე სხიოსან სურათს ზეგარდამო განცხადებისა და იგი ხატი უცვალები არსებობს მარად. ხანდაზმული უფროც ბრწყინვალე. ის აციაგებს შემდეგ ყოფას, ზრუნვით აღსავსე სიცოცხლის დენას ბევრჯერ უფერსა. ფერმიხდილია

მისი ყოფა, ვინც ვერ განსცადა ეს აღტაცება! იმას ღვთაება არ სცხადებია თუნდ ზურგით კერძო, მწველად მანათი უფლის არსება. არარაობა სახელია იმგვარი ყოფის!

ვერ განიცდის ამას ერთი, ვერც თუ შეიგრძნობს. არ ჰნიჭებია ზეგარდამო ამისი ძალა; ქვე-ქვე უძევს მას ბუნება, ცხოველთა სისწვრივ. სხვა მისწვდება მისაწთომელს, კიდეც განიცდის გარნა დაჰკარგავს ძვირფასსა ლალსა; სდის ცხარი ცრემლი, უსველებს თვალსა. უბედური რამ შემთხვევა, ან საკუთარი მოქმედება ნათელგაძრცვილი დაუხშობს იმას ედემის კარსა. ბედნიერი იგი უბედო! კიდევ სხვა განსჭვრეტს თივის ღმერთსა, პირისპირს ჰნახავს; განიცდის თვისში მისსა არსებას; შეუერთდება, ჩაინთქმის მასში. თვითცა ღვთაება ყოვლად ნეტარი თუნდ ერთის წამით!

– თავისსა ღმერთსა?

– თავისს, საკუთარს! თვითეულს ჰყავს თვისი ღმერთი სათაყვანები, თავის ხატი უძლიერესი. ვაჰ, რომ ზოგი თვალს ვერ უსწორებს მის ნათელ სახეს, თვალსა მიწიერს. ვერც იმას შესძლებს, ასახოს სულში მისი აღალმა და... მოაკლდება ნათელს უბინდოს, კეთილთ მნიჭებელს მღელვარე ზღვაშიც ბოროტებისა.

იასე... ღირს იქმნა იგი პირისპირ ხილვად თვისის ღვთაების, მაგრამ ვერ შესძლო მსახურება მხოლოდ მას ერთის; ვერ შესწვდა, მსხვერპლად მიეტანა თვისი არსება და... დაკარგა ზეარსებული ბედი მცხინვარე.

– კარგადა ცხოვრობს. სანიმუშოდ მოაწყო კერა.

– ჭკვიანად სცხოვრობს! აზრი უძღვის ცხოვრების გზაზედ.

– გულიც სავსე აქვს, კმაყოფილი...

– წვრილმან გრძნობებში კმაყოფილი, გული ტანჯული. გაბრაზებულია იგი გული, განაწამები.

– იასეს გული გაბზარული?!

– ნამზნევი გული გაბზარული, ღრმა იარის საიდუმლოდ მატარებელი.

## 36

საკუთარ სახით განვითარდა ეს მძიმე განცდა: მთლად ახალნორჩი ეტრფიალა იასე ქალსა; მზე იმაზედ ამოსდიოდა; შემძიმდა შემდეგ მის მიჯნურობა თანაგრძნობას აშორებული, ძნელ საზიდ ტვირთად გარდაიქმნა ვაჟკაცისათვის; ქალის პასუხმა ურკვეულმა ბოლოს მთლად მოსპო მისი იმედი და... დაჰმორჩილდა ნებისყოფა გატეხილი ცხოვრების კარნახს მისნი საქმნელნი. გვართა მრავლება, ზრუნვა, შრომა, წაღმა მავალ კაცის სახელი. შეჰხვდა იმ ჟამში მას მისი ცოლი, ამგვარ ყოფისთვის შეზომილი, გამოწყობილი. სიყვარულზედ დაყრდნობილი მათი კავშირი, თუნდაც ერთმხრივზედ. მაინც რა უშავს მათ ერთობას მიჯნურობის ანარეკლით ციაგებულსა?! ცხოვრების ტვირთის ერთად ზიდვა გაამტკიცებს იმათ კავშირსა; შვილთა ყოლა, მათი აღზრდა გადააჭდობს ორთა ცხოვრებას და უწყინარად გაივლიან გზას სიცოცხლისა. მიჰყვება მათ სამარემდინ მადლიერი მეგობართ თვალი, მათ არსებობით კმაყოფილი მოყვასთა ხსოვნა. ცხოვრების შვილნი, მავსებელნი, დავიწყების უფსკრულ ხნარცვისა. ვერ მიიტანდნენ მზისა სამყოფში მცხინვარე განცდის ბეჭედს უშლელსა.

შეურიგდა იასე დასკვნას, დაიკვართა ჩვეულებრივ ცხოვრებისათვის. ალბათ ეგონა, რომ მორჩა ტანჯვას, იმ მიუწთომელ ხატისადმი მისწრაფებასა, მიჯნურობის სახმილს განერა უცეცხლოდ მწველსა. მაგრამ... უფერებლობა აედევნა პორველ ხნიდგანვე ბედნიერების. აჩრდილი რამ მიჰყვებოდა საზეიმო იმისსა წუთებს, მის სიხარულის უმაღლეს წამებს, ლანდი ლამაზი, მისთვის შავ-ბნელი, სიბოროტის

მასწავებელი, მეფედ რომ დასჯდა და დედოფალმა დაუმშვენა ბედნიერს გვერდი, მისმა გონებამ იმ ქალის ადგილს გააშუქა სულ სხვა სურათი: სამძივრის სახე, თვით იგი ცხადად!

– გონებამ, თუ უწყალო გრძნობამ?

– აზრს დაჰყვა გრძნობა და სურვილიც მათ მიეტოლა.

ძლივს შეიმაგრა თავისი თავი განცვიფრებულმა. მძლავრად შეჰმართა მაცთურ ოცნებას, დასძლია იგი და განაქარვა. დაეჭრებოდა გული თეონას, თუ მიმხვდარიყო თავის ქმრის განცდას, ჩაუბნელებდა ის ჩვენება ბედნიერებას. ჰმადლობდა ალღოს, ნების ძალას შემდეგ იასე, რომ არ ატკინა მეუღლეს გული, არ ამჩნევინა საიდუმლო განსაკრთომელი, გადაიარა განცდამ საკვირმა, სიზმარმა მძიმემ, ცხადლივ ზმანებამ. გავიდა ხანი, განქრა ის ლანდი, სულისკვეთებაც დაავიწყდა კაცს იგი ბნელი. მზე თუ ეჩვენა ჩასვენებული უკვე სხვის კერძი, მისთვის არ ქმნილი, მისთვის შექმნილი, – იტყვიან მკვდრის მზე.

– გამოიცვალა იასე ჩვენი, მალე დაეტყო დაცოლშვილება: დინჯი, მოსაქმე, მოსიყვარულე.

– არც წინად იყო გარდარეული, იალქნებსხმული ან საშიში მომავალისთვის.

– აღარ თუ გახსოვს ერთს ხან მისი საუკუღმართო გზაზედ დადგომა? ღვინო, სიმღერა საკრავთა ხმები, გატაცება მთელ ღამეებით. შიშში ამყოფა თვის მახლობელნი.

– მახსოვს ეგეცა! გადაიარა მაგისათვის დრომ განსაცდელის: უიმედო სიყვარულმა გონი აჰხადა, ჩაულეწა ხასიათი, გადააგდო კარგ ცხოვრებიდან. საბოლოოდ ვერ დაერია ტრფობის სიშმაგე.

– ბედი ჰქონია: უკეთესს შეჰხვდა, პირადაც ვარგსა, დოვლათიანსა.

თითონ იასეც ესე ფიქრობდა. დაწყნარებით მუშაობდა დამშვიდებული. იქნებ უფრო ჭარბად დინჯი, სანამ ჰფერობდა, ახალს განთიადს ცხოვრებისას უფრო ჰშვენის სხივთა ცეკვა ცისკროვნებული. გავლილ გრძნობიდან ისღა სჩანდა, ერიდებოდა წინანდელ სატრფოს; არ დადიოდა იმათი ქუჩით. აღარც გზა ჰქონდა, ცოლეურთას სცხოვრობდა უკვე. რად უკრთოდა ქალს, რად ეშინოდა მის შეხვედრისა, ეს ვერ ესმოდა. ბუნდოვან გრძნობას აჰყოლოდა, გაურკვეველსა.

მაინც არ ასცდა! ვიწრო ქუჩით მიდიოდა ჩაფიქრებული. სამძივარი გამოჩნდა შორით. იასემ იგრძნო მის მიახლოება და შეყოყმანდა. სამძივარმაც გაბრუნება თითქო სცადაო. ვეღარ მოხერხდა. მდაბლად დაუკრა კაცმა თავი და წარსდგა მის წინ.

– ოქრომჭედლებში საქმე გამიჩნდა და... შუაბაზრიდან წამოვედი ამ ვიწრო ქუჩით.

– კარგად ბრძანდებით, გენაცვალე!

მაშინვე შეკრთა: უადგილო ადგილს იყო თქმა: „გენაცვალე“! წამოსცდა სიტყვა, ხშირად ხმარობდა არშიყობის დროს. ეხლა... დაუკრა თავი, მისცა ხელი, წავიდა ქალი. გაჰყურებდა კეკლუც რხევით მიმავალ ლამაზს. გადისო შუბლზედ ხელი; ბურუსი თუ გადიწმინდა გონებიდანა. ირყეოდა, რომ მიდიოდა. თვის ფიქრს ასდევდა ღრმა მორევად ირგვლივ მბრუნავსა.

– ჰე სამძივარი, სამძიმრად ჩემთვის ქმნილი ჩემი ლამაზი...

– შენივ მიზეზით!

– რას იტყვი მაგას?! ქალმა უარმყო! მე მხოლოდ...

– მხოლოდ შენ იყავ იქ დამნაშავე! აგერა ქალი ჯერეც ისევ თავისუფალი. თუკი ეტრფოდი, თუ სავსე იყავ მის არსებითა, რად არ ითმენდი?

– და როდამდისინ?!

– თვით სიკვდილამდინ!

– ნუთუ შესაძლო იქმნებოდა სამძივარის ჩემად წოდება?!

– გასწი, განაგრძე სავალი შენი!

## 37

დაჰკარგა თითონ თავისი ბედი, თვით გადასტყორცნა უფსკრულ მორევში. და მერმე როგორ?! ვეღარ შეეძლო ამისი თქმა, თუნდაც ხსენება, თავისთვისაც საიდუმლო თვისი მარცხი ეს საშინელი. ისე ცხადად აეხატა ეს ძნელი განცდა, რომ ვერ გაბედა შინ დაბრუნება: ეგონა, რომ შეუტყობდნენ მას ამ გრძნობასა. გაუხვია. იარა ბევრი გზადაბნეულმა. სად წავიდოდა?! მის სულში იყო ამომწვარი იგი შეგრძნობა. დრო წინანდელი. რჩევა მეგობრის:

– ძმაო იასე! ესეთ ტრფობით, შორით კდომით ვერას გაჰხდები. მკვეთრი ნაბიჯი ხმალივით მჭრელი! ბოლო მოეღოს მძიმე ამბავს დაუსრულებელს.

– თუ მოგეწყინა? ბარემ მეც მინდა, გათავდეს მალე; მაგრამ მეშინის ღმერთმა კი ნუ ქმნას, ჩაგვეშალოს დაწყებულობა!

– სასიხარულოდ დაგითავებთ შენს მტანჯველ ამბავს.

– მაშ?

– მოვიტაცოთ!

– არა! არა! ეწყინება და...

– მოგიწონებს! არ განრისხდება: შენი მკვეთრი მოქმედება გამოიყვანს რყეულ ყოფიდან.

თენგიზი ცხენზედ! ხმალი, ხანჯალი, დამბაჩა წელში. სახიფათო საქმეს ადგა, იარაღი საჭირო არის. გივიც, ზურაბიც. რა წერწეტი ახალგაზრდობა! ლომს შეიპყრობენ. გამოჩნდა ეტლი, რა ცხენებია! შუადღე არის. გამოჩნდა სამძივარი ეხლა ქუჩაზედა. გუშინ უთხრა თავის მეგობარს, აქ შეგხვდებიო. აგერა! ქალი მარტო მოდის. რა უხდება ნაკერი ქოლგა!

– შეაყენე შენი ტურფა ჩვენს ახლომახლო და...

– სალამი ჩემი, ქალი სამძივარ!

ვერ მოასწრო მშვენიერმა პასუხისგება, რომ გაჩნდა ეტლი. არ გაიბრძოლა: გონს ვერ მოვიდა. უბრალო რამ მოძრაობა თუ ეგონა ტრფობით ნაწვევი: თავხედური ძალადობა მეტად საწყენი. რაინდები ეტლის ახლო მფრინავ რაშებზედ. მკლავზედ მიეშო გულშემოყრილი. კრწანისის ბაღში ტურფა თალარი. სამძივარი შიგ ფერნაცვალი. გვერდზედ იასე მუხლმოდრეკილი.

– ჩემო სამძივარ, არ შეშინდე, გენაცვალები! ჰე, ჩემთანა ხარ, შენ იასესთან. ძმად შეფიცულნი რაინდები...

– აგვისრულე სახვეწარი, დაზედ უტკბესო! ჯვარს დაგწერს მღვდელი შენს იასეზედ.

– მოგვეცი ნება, გაგვიცოცხლე შენგან გულმკვდარი, – ყველაფერი უკვე მზად არის.

ქალი...

– კაცო იასე! საით მიდიხარ ჩაფიქრებული? ხმაც აღარ გამეც.

გამოფხიზლდა; გამოერკვა ბურან-ბურუსსა. არ გაეხარდა. მოჰბეზრდა ყოფა. შესძაგდა თავი.

– რომ გამებედნა... სიყვარული მოხიბლავდა ქალის ლამაზ გულს; შეათვისებდა ჩემს პიროვ... ეხლა...

– არ თუ გახსოვდა, ქალ-ღმერთის პოვნა შესაძლო არის დიდის ბრძოლითა...

მოშვებული მოდიოდა თვის ოჯახისკენ: გული წრფელი ვერ მოჰქონდა თავის კერისკენ.

სამძივარი თავის სახლისკენ მიქევქევობდა. განშორდა მალე ნაცნობს მახლობელს, აწ უკვე უცნობს. მაინცა გრძნობდა მისკენ მიმართული ვაჟკაცის თვალებს, კიდეც ჰხედავდა. ურისხდებოდა:

– გეფასებოდი, ცოლ-შვილში მყოფსაც არ დაგავიწყდი. რად უღალატე მაგ საწყალს შენს გულს, დააკავშირე სულ სხვასთან იგი?! ჰა, ჰა, ჰა! არ აღმოუფხვრის შენ სულიდან ჩემი აღალმა; განგაპატიჟებს!

წყრებოდა ქალი, თავის თავზედაც:

– რაღას იცინი, ბედშეკრულო, ვის აყრი ხარხარს? შენს თავს თუ იმას, აწ უცხოს შენთვის? ის თუ გეგონა, ეშხით ბმული ვეღარ შესძლებდა მოსცდენოდა შენსა მზერასა. მოსტყუვდი, ტურფავ: დაწყდნენ სირანი შემბოჭველნი იმ ვაჟკაცისა...

ჯავრობდა ქალი სხვაზედ, თავისზედ და... ეძიებდა გაშმაგებით თავისსა ბედსა. ვეღარ ჰპოვებდა! სხვა ფარგალში გაეტანა თვის საძებარი, იმ წყობის ხალხში, რომ შესჩვეოდა შემოსულთ ყოფას, მათ ცხოვრებას თვალმახარას შიგნიდან ფუჭსა. ბოროტ ეტლს თუ აეტანა ტურფა ქმნილება.

– იცოდე, ქალო! დიდ-დიდის თხოვნას ჩვენი ოჯახი ვეღარ აიტანს. მამაშენი არსად მსახურობს, მარტო თავის მამულს დაჰმყარებია; ეს კი იმოდენა შემოსავალს ვეღარ იძლევა, რომ...

– კარგი ცხოვრება ხელთუფლებსა აქვსთ, მეტადრე დიდებს, ეხლა ისინი გვჯობიან ჩვენ, მემამულეებს.

– მართალი არის! შეხეთ იასეს; წარმატება მიუციათ. გამგებელია. მინდა ვსთხოვო, მომიხერხოს რამე ადგილი.

– რატომა, შვილო! ხათრიანი კაცი არის, ჩვენთვის მარად კარგის მნდომელი.

მეტისმეტად აფასებდნენ ეხლა იასეს: მომკვდარი თუ დანაკარგი უფრო ტკბილია.

და მიდიოდა მათი ცხოვრება ბუნებისაგან დაკვლეულ გზაზედ: ის წინ ვიდოდა, თვის ნაშრომში იფურჩქნებოდა, იმის ნაშენში მრავლდებოდა მის პიროვნება; მომავლისაკენ გულსავსებით იმზირებოდა. ეს მოდიოდა უკან და უკან; გზაგზა ჰფანტავდა ლამაზ სახებას, რომელი ეზღვნა გამჩენისაგან საღორძინებლად. მომავლისაკენ შიშის ზარით იყურებოდა: იმის ხომალდი წინ-წინ ვლიდა, ახალ-ახალ განძეულით იტვირთებოდა; ამის კატარღა დასავლეთისკენ მიისწრაფოდა და ხუნდებოდა, გზაზედ ცვდებოდა, მასზედ ტვირთული ტურფა ნიჭი იფანტებოდა. ესეთია უნდობელი წუთისოფელი! იგი მარად მოძრავია, დაუდგრომელი და თუ წინ ვერ ხვალ, წაღმა არ მსვლელობ, უკუღმა ბრუნავს შენი ბედის ბორბალი მძლავრი.

და გამოჰბმოდა არსი ლამაზი ნიჭთა სიმრავლით სავსებით სავსე, უკუღმა მბრუნავ ბორბლის ეშვსა; მოსპობისაკენ მიისწრაფოდა.

ნუთუ უკვალოდ ჩაქრობისაკენ?!

ახ, ილეოდა ტურფა ნაკადი ლამაზ სიცოცხლის, მთლადაც შრებოდა. რისთვის, რადაო? ცოდვა ხარ, ქალო, სამძივარო, სამძიმო განცდად ჩემთვის ქმნილო, ჩემო ლამაზო! როგორ დამტანჯე შენი ტრფიალი! მადინე ცრემლი...

– ვინც დაფლა ნიჭი, კერძია ჩემი! სთქვა ბნელის შვილმა.

– ნათელთ მეუფის ქმნილებაც კი ბოროტის ხვედრი?!

– თვით მან აწესა!

ახ, შედგა ჩლიქი სამძივარის არსებაშია. კმაყოფილებით იღიმოდა სული ბოროტი. სიკვდილია მისი კვალი, სრული მოსპობა. ქალის მფარველი ანგელოზი,

ნათელთა შვილი, გულნატკენი განვიდოდა იმისაგანა. როგორი სევდა აჰსახოდა კეთილ თვალებში!

– გევედრები, ნუ გასწირავ ჩვენს სამძივარსა, ნუ აუფლებ ლამაზ არსზედ მსპობ ბოროტებას!

– ვერ შემძლებელ ვარ. უნდა მიეზღოს: მოვლინებულ იქმნა ქვეყნად მშვენების ფესვად, ყოვლად მნათი შემოქმედის სახის მრავლებად, ამან კი დაფლა იგი ნიჭი, არ განამრავლა. ვერღა მიუწყოს კეთილთ მომცემს აღნადგინებით. მოწევნულ არს ამისათვის ჟამი უჟამო.

## 38

– აღარსადა სჩანს სამძივარი. მთელი კვირა, არ დამინახავს.

სხვაგან სადმე გაიწვევდნენ ნათესავებში.

სოფლად ხომ არ წაიყვანეს?

რად წავიდოდა, ჯერ ახალი გაზაფხულია?! თავისებიც სულ აქა ჰყვანან.

– ავად არისო სამძივარი. ექიმბაში მიუყვანიათ.

– ავად რად არის ქალი ჯანსაღი?

– აბა რა ვიცი! ამოდენა დედაკაცი მოვიყარე ამ უბანშია და მაგისი ავადობა არა მსმენია.

ავად იყო სამძივარი უცნაურის ავადმყოფობით. ღაწვზედ აჩნდა ხუწუწი ჩალურჯებული. რა უშავდა! ბევრი ჩნდება ტანზედ კორძი და იკარგება. ქალმა დიდი ყურადღება არ მიაქცია ნამზნევ ადგილსა, თუმცა სწყინდა მის აღმოჩენა ლოყაზედ, გაშლილ ვარდის შუაზედ. შესჩივლა დედასა. გასინჯა იმან გულდასმით წყლული, ვერაფერი ვერა ნახა საფიქრობელი.

– არა უშავს რა, გენაცვალე! წასვლას ნუ იშლი მაგის გულისთვის. ჭარბად წაისვი ზედ უმარილი, რომ თვალმა ვერ შენიშნოს პაწაწა ხინჯი ეგ წამიერი. ქალმა აასრულა რჩევა დედისა. რომ ირთვებოდა, უცაბედად ქინძისთავი ჩამოჰკრა ნამზნევს და გაიფხაჭნა. აღარ იქმნა, ვეღარ მოურჩა. ექიმის რჩევა, აფთიაქის, შინაური მალამოები. ამაოდ დარჩა ყველაფერი. ჩაჭამა ხორცი. განზედ გაიდგა ლურჯი ფესვები. საშინელი სენი აჩნდა ორმაგ მტანჯველი: ხორცთა ჩალპობა, სულიერი განპატიჟება, იკარგებოდა ქალის საუნჯე. სამძივარი სახედაშლილი?! არ ეგების ეს! ესეთი დიდი სისასტიკე გამჩენელისგან?!

სიკვდილამდინ მიწურა ქალი სენმა ბოროტმა. ნავლიღა იწვა სარეცელზედ დიდებულის ქანდაკებისა. შუქმთრთოლარე სიმშვენივრე იავარქმნილი. ტიროდა ქალი მიმტკნარებული.

იარის ზრდას დაერთო ზედ ძნელი ციება. ვერ შეება ამ ცხროებას ვერა წამალი. დაიღალა ექიმბაში: დასძლია ის ავადმყოფობამა. ერთს ხანს კიდევ გაუმაგრდა ქალის მძლავრი აგებულება; გადატყდა იგი; დაიშრიტა სხეულის ძალა. მოედო უბანს, სამძივარი გარდაცვლილაო. ენანებოდათ მოსპობილი კარგი სიცოცხლე.

– საწყალი ქალი! ჩვენის უბნის ჩირაღდანი, მისი მშვენება.

– გული ჰხარობდა მის დანახვაზედა.

– მაისის ვარდი ტურფად შლილი მოარხევდა ტანსა კენარსა.

– რამდენს უყვარდა! ბევრი ჰყვანდა თაყვანისმცები.

– მაგრამ ყველაზედ თავდადებით ეტრფიალა იმას იასე.

– როდი მეგონა, სხვას აჰყვებოდა ცხოვრების გზაზედ.

– სულ უგრძნობელნი არიან კაცნი; ცოლშვილიანი ვაჟკაცებიც მიუნდობელნი.

– დაივიწყებდა იასე საწყალს?

– აუცილებლად! რაღა დროსია?!

მეტად სცდებოდნენ მოსაუბრენი. გულთმისნები თუ ვერ იყვნენ, ფიქრმახვილები: ქალის ტანჯვის ჟამს უხილავი იარა აჩნდა იასეს გულში, ავი მუწუკი, ფესვგანრთხმული, მაცხროებელი. ქალის სენი მოჩინარი; მის იარა შეუმჩნეველი, მთლად უჩინარი.

– რა ამბავია, კაცო, შენს თავს; დაღვრემილი რომ დადიხარ, დაძმარებული? ბოროტი რამ მოგვევლინა, ან თუ მოგველის?

– არა, ქალო! ავი ჩვენს სახლს არ მოსვლია და არც მოგველის.

– მაშ რა...

– მაცა, გენაცვა! გადივლის ბნელი, გადმეწმინდება ცა შეღრუბლული. მაცა, გეთაყვა!

* * *

ანჩხატის ეზო ხალხით სავსე, ქალით თუ კაცით. მდუმარედ იყვნენ. თუ იტყოდნენ, უხმოდ, ნიშნებით. ქუჩაში იდგა. ბალდახინი, სამრეკლოს ახლო. ბალღები გარს დაჰხვეოდნენ შავად მოსილ მეეტლეებს, იმათ ცხენებსა; შიშით უმზერდნენ: ხშირი არ იყო ამ დიდებით დასაფლავება. თეთრი კუბო შავით მოსილ მაგიდაზედა. კუბოში ქალი უმურაზოდ განსვენებული. ყვავილი მრავლად, კუბო სავსე ახლად მოსთვლილ ყვავილებითა. აღარ მოსჩანდა საწყლის იარა: გაშლილი ვარდით დაეფარნათ იგი ნამზნევი.

– ვარდი ლამაზად გაფურჩქვნილი ყვავილებს შუა.

– იგიც მოსთვლილი, დასაშლელად განმზადებული.

დათალხული მახლობელნი კუბოს გარშემო. სრულდება წირვა სასოებით. დეკანოზი, იოანე ცრემლით მეტყველნი. ეკლესია გაჭედილი თანამგრძნობლებით.

– არ სჩანს იასე, შენი ქმარი! ნეტა სად არის?

– არ ვიცი, დედი! მე შევსთხოვე მოსულიყო, პატივი ეცა. ხმა როდი გამცა.

– საჭირო იყო, დასწრებოდა მეზობლის უბედურებას, – წარსთქვა წყენით მამიდა მართამ.

თავდება უკვე ღვთისმსახურება: ანდერძს უგებენ. მთლად გაიჭედა ეკლესია; შენივთდა ხალხი.

– გზა მიეცით, გადექით განზე!

მოარღვევდა ხალხს იასე ყვავილების გვირგვინით ხელში. მიატანა კუბოს, მივიდა, დააკვირდა მიცვალებულსა. და... შეამკო ქალის ნაშთი თეთრი გვირგვინით. დაეკონა, დააკვდა შუბლზედ. უხმო ქვითინი. თრთოდა ძლიერად. ცრემლის ნაკადი ულტობდა სახეს.

გაქვავდა ხალხი. შესდგა ხმაური. შეჩერდა წამით ღვთისმსახურება.

ძლიერებით გამომკრთალი გრძნობა უკვდავი. შესაზარად მეტყველებდა სიყვარული სიკვდილზედ მწვავი.

**1922 წ. მაისის 27-ს**

## სარჩევი

კერძო ბედნიერება;
ქუდბედინი;
გველის ზეიმი;
ყვავილი მიმომავალი;
აღდგომის ცოდვა;
განასკვილი სიმი;
სადედოფლო სარტყელი;
მოგვთა კალო;
ლეგას ჩოხა;
ნაძვნარის დევი;
სული მთვლემარე;
სარო მეტყველი;
ღიმი დამღუპი;
მაგნოლია;
ხაზართა სასძლო;
თეთრი გვირგვინი.